აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები

წიგნი

I

თბილისი
2005

გამოცემა მომზადებულია და გამოცემულია
ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს"
ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი და ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი
ზურაბ ჯიბლაშვილი

პროექტი განახორციელა არარეგისტრირებულმა კავშირმა
"პოსტსოციალისტური კონსტიტუციონალიზმის ინსტიტუტი".

ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი
ვალერიან ხაბურძანია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

პროექტის კონსულტანტი
ავთანდილ დემეტრაშვილი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტი
პაატა ცნობილაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

გამოცემაზე მუშაობდნენ:
რედაქტორი **მარინე ჯიბლაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **თამარ დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ქეთი ნაკაშიძის**

© ავტორთა კოლექტივი

ავტორთა კოლექტივი

თამარ ალექსიძე — ბოსნია-ჰერცოგოვინას კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და შესავალი ნაწილი

ავთანდილ დემეტრაშვილი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი — რესპუბლიკა ბელორუსის და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციების თარგმანი და შესავალი ნარკვევები

გიორგი ინაური — რუმინეთის კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და შესავალი ნარკვევი

ქეთევან მესხიშვილი — პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და შესავალი ნარკვევი

თანათო უკლება — ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი

ვალერიან ხაბურძანია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი — მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და შესავალი ნარკვევი

ზურაბ ჯიბლაშვილი — უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და შესავალი ნარკვევი; ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტი და ქარტიის ტექსტის თარგმანი; ხორვატიის რესპუბლიკის შესავალი ნარკვევი.

ლევან წულაია — ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი.

ნათია ხუნძაყიშვილი — ესტონეთის კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი და შესავალი ნარკვევი

ISBN99940-0-727-0

© ავტორები

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები (წიგნი I), ავტორთა კოლექტივი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ზურაბ ჯიბღაშვილი. თბილისი

წინამდებარე ნაშრომი ავტორთა კოლექტივის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციების მიმოხილვისა და სრული ტექსტების გამოცემის პირველი ცდაა. ავტორები განიხილავენ თითოეული ქვეყნის კონსტიტუციის ძირითად პოსტულატებს, კონსტიტუციის მიღების წინა პერიოდებს და მნიშვნელოვან ასპექტებს. ამასთანავე, ნაშრომს ერთვის კონსტიტუციების სრული ტექსტები, რაც მკითხველს უფრო გაუადვილებს წიგნზე მუშაობას.

განკუთვნილია იურიდიული პროფილის სასწავლებლების სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის და კონსტიტუციაონალიზმის თანამედროვე ტენდენციების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

გამოცემაში გამოყენებულია შემდეგი ვებგვერდები:

რესპუბლიკა ბელორუსი:

http://www.sovrep.gov.by/index.php/konstitucija_rb.html

ბოსნია-ჰერცეგოვინა:

http://www.oefre.unibe.ch/law/icl/bk00000_.html

ესტონეთი

http://www.constitution.garant.ru/DOC_3864919.htm

რესპუბლიკა მოლდოვა:

http://www.parliament.md/law/constitution/t3/c5/ru.html

პოლონეთის რესპუბლიკა

http://www.botschaft-polen.de/konst-de.html#r10

რუმინეთი:

http://www.presidency.ro/?_RID=htm&id=14

რუსეთის ფედერაცია:

http://www.ksrf.ru/doc/law/10003000/index.htm

უნგრეთის რესპუბლიკა:

http://www.oefre.unibe.ch/law/icl/hu00000_.html

ჩეხეთის რესპუბლიკა

კონსტიტუცია: http://www.psp.cz/cgi-bin/eng/docs/laws/constitution.html
ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ქარტია:
http://www.psp.cz/cgi-bin/eng/docs/laws/charter.html

ხორვატიის რესპუბლიკა:

http://www.oefre.unibe.ch/law/icl/hr00000_.html

სარჩევი

შესავალი 7

რესპუბლიკა ბელორუსი

რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 19
რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუცია 27

ბოსნია-ჰერცეგოვინა

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 69
ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია 80

ესტონეთი

ესტონეთის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 97
ესტონეთის კონსტიტუცია 109

რესპუბლიკა მოლდოვა

რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 143
რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუცია 154

პოლონეთის რესპუბლიკა

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 191
პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 207

რუმინეთი

რუმინეთის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი..... 261
რუმინეთის კონსტიტუცია 279

რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 319
რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია 339

უნგრეთის რესპუბლიკა

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 377
უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 397

ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 429
ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 443
ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ქარტია 465

ხორვატიის რესპუბლიკა

ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი ნარკვევი 479
ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია 495

შესავალი

„უცნაურია, რომ სწორედ საფრანგეთის რევოლუციისა და შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიღების ორასი წლისთავზე, ანუ 1989 წელს, თვალსაჩინო გახდა კომუნიზმის, როგორც მსოფლიო ისტორიული პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორის კოლაფსი.“

ფრენსის ფუკუიამა

გასული საუკუნის 1989-90-იანი წლების მიჯნაზე საზოგადოების ფართო ფენებისათვის უკვე ცხადი გახდა, რომ ძალაში შევიდა სსრკ-ის გავლენის ქვეშ მყოფი სოციალისტური სივრცის და შესაბამისად არსებული რეჟიმის რღვევის შეუქცევადი პროცესი. გამოიკვეთა, რომ სოციალისტური სივრცის, როგორც მისი „მფარველი“ სსრკ-ის, დაშლის პროცესი გარდაუვალი იყო. ღრმა შიდაპოლიტიკური კრიზისის გამო სსრკ სათანადო ყურადღებასა და ძალისხმევას ვეღარ ავლენდა მისი სატელიტი სახელმწიფოების მიმართ და იქ მიმდინარე პროცესები მთლიანად გავიდა ამ იმპერიის კონტროლის სფეროდან. ყოველივე ამან განაპირობა დემოკრატიული ფასეულობების განვრცობის სტიმულირება პოსტტოტალიტარულ სივრცეში. გადავხედოთ ისტორიას – თითქმის არ არსებულა ერი თუ სახელმწიფო, რომელსაც არ დაეწყოს ძლიერი ავტორიტარული ტრადიციით ან დროთა განმავლობაში ამგვარ ტრადიციამდე არ მისულიყოს. დემოკრატია კი ის კლდოვანი კონცხია, რომელსაც, მართალია, ღრიალით აწყდებიან ტალღები ავტორიტარული რეჟიმების სახით, მაგრამ იგი მაინც მშვიდად დგას და მის გარშემო თანდათან ცხრება ბობოქარი წყლის მძვინვარება. ასე მოხდა სულ ახლო წარსულშიც. ხანდაზმულმა ტოტალიტარულმა სოციალიზმმა გასული საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე კანონზომიერი კრახი განიცადა. მაგრამ ეს, როგორც დრომ დაგვანახა, თავისთავად არ ნიშნავდა ასევე შეუქცევადად მთელი სივრცის გადემოკრატიულებას. მართალია ჩვენ, ადამიანები „ღმერთთა საქმეებს თაყვანს ვცემთ მათი სრულქმნილების გამო, კაცთა საქმენი კი გვხიბლავენ თანანათესაობის ძალით“[1], მაგრამ პოსტტოტალიტარულ სივრცეში ჯერ კიდევ არსებობენ „ბელადები“, რომელთაც არ შეუძლიათ იწამონ ადამიანისაგან შექმნილი იმ ფასეულობების ერთობლიობა დემოკრატიის სახით, რომელიც უპირველესად ყველა ღმერთისაგან ნაქადაგებ ფასეულობებს ემყარება.

კარდინალური სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, რა თქმა უნდა, დღის წესრიგში ბუნებრივად დადგა ახალი საზოგადოებრივი სისტემის შესაბამისი სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა, რისი პირველდაწყებითი და უმთავრესი წყაროც უნდა ყოფილიყო კონსტიტუცია. როგორც დრომ გვიჩვენა, ამ პროცესისათვის მზადყოფნის ხარისხით ქვეყ-

1. მარკუს ავრელიუსი; ფიქრები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1972; (IV, 13) გვ. 84

ნები დიამეტრულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სწორედ ამიტომ პოსტსოციალისტურ ეპოქაში თითოეულ ქვეყანაში გააქტიურებული (მათ შორის ახლად აღმოცენებული) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალებისათვის სერიოზულ გამოცდად იქცა გარდამავალი კონსტიტუციური ეტაპი. მან ნათლად წარმოაჩინა აღნიშნული ძალების საზოგადოებრივ-პოლიტიკური კულტურა, მათი ხედვები, მიზნები და მისწრაფებები. ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული აღმოჩნდა ხედვა სახელმწიფოს სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შინაარსზე, მის ფუნქციებზე და შესაბამისად, არაერთგვაროვანი იყო ხედვები კონსტიტუციის არსისა და მისი ფუნქციების გააზრების თაობაზე.

სწორედ ამის შემდეგ მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის რუკაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები განხორციელდა. პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნებში გარდამავალ ეტაპზე განხორციელებულმა კონსტიტუციურმა რეფორმებმა მე-20 საუკუნის კონსტიტუციონალიზმის დინამიზმს ახალი, მძლავრი ბიძგი მისცა. თუმცა ამ პროცესებს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. პოსტსოციალისტური სივრცის შექმნა-განმტკიცების პროცესში მის საფუძველში ჩადებულმა ნელი მოქმედების ნაღმებმა ე.წ. „ეთნოკონფლიქტების" სახით (რომლის შედეგები დღემდეც არ არის აღმოფხვრილი) მნიშვნელოვნად შეაფერხა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარება და თავისი სერიოზული დაღი დაასვა კონკრეტული ქვეყნების კონსტიტუციების შინაარსსაც. ამ თვალსაზრისით აღნიშნულ სივრცეში ყველაზე ნათელი მაგალითია ბოსნია-ჰერცოგოვინის 1995 წლის 14 დეკემბრის კონსტიტუცია.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობრივი განსხვავებისა, კონსტიტუციურ რეფორმებს ბევრი საერთო კანონზომიერება ახასიათებდათ. კონსტიტუციური რეფორმების ერთ-ერთი უპირველესი ეტაპი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში კონსტიტუციების ტექსტების სოციალისტური იდეოლოგიური წნეხისაგან და შესაბამისად საზოგადოების იმ იდეოლოგიური ვალდებულებებისაგან გათავისუფლება იყო. ძირითადად (განსაკუთრებით პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების თვალსაზრისით) საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის ტენდენციები მაინც ლიბერალურ ფასეულობებს ეფუძნებოდა. ამიტომაც „ამ ცვლილებების მიმართულებები ყველა ამ ქვეყანაში მეტ-ნაკლებად თანხვედრია."[2]

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე, კიდევ ერთი საერთო ტენდენციის - კონსტიტუციების სოციალიზაციის შესახებ. თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია თანაბარი წარმატებით ახდენს ადამიანის სოციალური გარანტიების წინა პლანზე წამოწევას. აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიის კონსტიტუციების ავტორებმა, პირველ ყოვლისა, სწორედ სოციალურ უფლებათა ნაწილში უარყვეს ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამი: „კონსტიტუცია უნდა იყოს მოკლე და ბუნდოვანი." ავტორებმა ეს დამფუძნებელი აქტები აქციეს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის სოციალურად ყველაზე მეტ-ყველ ტექსტებად.

ისეთი მულტიეთნიკური საზოგადოების ქვეყნების კონსტიტუციები, რო-

2. Конституции государств Центральной и Восточной Европы; М., Центр конституционных исследований МОНФ, 1997. стр.3

გორებიცაა უნგრეთი, სლოვაკეთი, ხორვატია და, რაღა თქმა უნდა, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის კონსტიტუციები დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და მათი დაცვის გარანტიებს.

გარდა ამისა, არსებითად განსხვავებული მიდგომები გამომუშავდა ადამიანის პირად თავისუფლებებსა და სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებაშიც. ნორმატიულად დაიხვეწა და სტიმულირებულ იქნა უფლებათა დაცვის გარანტიები, მათ შორის ინსტიტუციონალურიც. ყველა ქვეყანაში დამკვიდრდა საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი. ამან, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და სამართლებრივ-პოლიტიკურ რეფორმებზე. საკონსტიტუციო სასამართლოები ძირითადად დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტებს წარმოადგენენ და ისინი ახორციელებენ ცენტრალიზებულ კონსტიტუციურ კონტროლს, ანუ ინსტიტუციონალურად მხოლოდ მათ ხელთაა მთლიანად საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია, ისინი განასახიერებენ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ერთადერთ ორგანოს, სხვა სასამართლო რგოლებს ეს ფუნქცია არ ეკისრებათ.

თითქმის ყველა პოსტსოციალისტური კონსტიტუციის შინაარსის განსაზღვრაზე იქონია გავლენა შიშის ფაქტორმა, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უნგრელი კონსტიტუციონალისტი ანდრაშ შაიო. როგორც იგი აღნიშნავს, „კონსტიტუციებში წინამორბედი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული შიში აისახება“[3]. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანამ ერთდროულად და თანაბრად ვერ შეძლო ლიბერალიზმზე დაფუძნებული კონსტიტუციონალიზმის იდეებთან ზიარება. აზერბაიჯანში, ბელორუსში, რუსეთში, სომხეთსა და უკრაინაში (ტუჯმანისეულ ეპოქაში ხორვატიაშიც) გზა გაეხსნა მმართველობის ე.წ. დეფორმირებულ ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემებს (რომლებსაც მეცნიერებაში უკვე ხშირად „სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკებსაც უწოდებენ) და შესაბამისი კონსტიტუციები არა თუ ვერ გახდნენ „დიდი კონსტიტუციები“[4], არამედ თეორიულად თავად იქცნენ ახალი — პოსტკომუნისტური შიშის პოტენციურ წყაროდ.

საერთო შეფასებით არსებითი განსხვავება სწორედ ის არის, რომ პოსტტოტალიტარული სივრცის ყველა ქვეყანამ ვერ შეძლო დემოკრატიზაციისადმი თანაბარი მიზანსწრაფულობის გამოვლენა. კონსტიტუციურ დონეზე დეკლარირების მიუხედავად, ყველამ ვერ უზრუნველყო ხელისუფლების კონცენტრაცია (რაც უფლებრივად აძლიერებს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ ინსტიტუტს და შესაბამისად უკანა პლანზე წევს შეკავებისა და კონტროლის ელემენტებს) რეალურად შეეცვალა ხელისუფლების დანაწილების დამკვიდრებით. ეს ამბიციური დეკლარირება არ იყო უზრუნველყოფილი ქმედითი და გულწრფელი ნებით. დემოკრატია კი კაცობრიობის განვითარების ის მონაპოვარია, რომელიც ფრენსის ფუკუიამას თქმით: „ვერასოდეს შემოვა უკანა კარიდან; გარკვეულ დროს ის უნდა გაჩნდეს როგორც სწო-

---

3. ანდრაშ შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ., 2003წ, გამომცემლობა „სეზანი“, გვ. 215-216.

4. თუმცა არ შეიძლება ხელის აღებით იმის თქმაც, რომ სხვა ყველა დანარჩენი უკვე „დიდი კონსტიტუციაა“. ყოველივე ამას, როგორც ეფექტურობის, ასევე სტაბილურობის თვალსაზრისით, დრო გვიჩვენებს.

რედ დემოკრატიის დამყარების თაობაზე მიღებული, აწონილ-დაწონილი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგი."[5] და ის არგუმენტი, რომელიც ხშირად ისმის, რომ ამა თუ იმ ქვეყანას გაუჭირდებოდა დემოკრატიის რელსებზე გადასვლა, რადგან არ ჰქონია მსგავსი ტრადიცია, უბრალოდ ალოგიკურია. ალოგიკურობა კი ის არის, რომ დემოკრატიულობის ტრადიცია არ არის აუცილებელი პირობა ქვეყნის გადემოკრატიულებისათვის, ასე რომ იყოს, ხომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდებოდა დემოკრატიული. ამ სამყაროში დემოკრატია თავისთავად არსად არსებულა, იგი ყველგან აღმოცენდა. აღმოცენება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ მომენტამდე არ არსებული მოვლენისა.

უკეთესი მომავლის მისაღწევად კონსტიტუციური ძალაუფლების ფლობის საჭიროების ხედვა შედეგობრივად სავსებით ლოგიკური აღმოჩნდა რიგ პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში, რადგანაც სწორედ ამგვარი ხედვით შექმნილი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით უწევდათ ამ ერებს ცხოვრება საბჭოთა პერიოდში. მათი კულტურები კი სრულიად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ისინი გარდამავალ კონსტიტუციურ ეტაპზე დიამეტრალურად განსხვავებულად აღიქვამდნენ კონსტიტუციის არსსა და ფუნქციას. ყველას თანაბრად არ შეეძლო გაეთავისებინა ის გარემოება, რომ კონსტიტუციონალიზმის იდეალებზე დაფუძნებით შექმნილი კონსტიტუცია არც თონეა, სადაც კარგი პური გამოცხვება და არც ჭური, საიდანაც გემრიელი ღვინის ამოღება შეიძლება. ის უფრო იმ მიწას ჰგავს, რომელიც მისი მოვლის ადეკვატურ მოსავალს იძლევა. კონსტიტუციონალიზმის პრინციპებზე შექმნილი ყველა დიდი კონსტიტუციის უმთავრესი ფუნქცია ადამიანის თავისუფლების პირობებში არჩევანის თავისუფლების გარანტირებაა. როგორც ანდრაშ შაიო აღნიშნავს, „კონსტიტუციონალიზმით ნაკარნახევი კონსტიტუცია არსებითად უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფო ორგანოებს შორის ხელისუფლების დანაწილება."[6]

პოსტსოციალისტური სივრცის აღმოსავლეთ ევროპული — „ახალი დემოკრატიის" ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის უახლესი ისტორია შეიძლება პირობითად დაიყოს რამდენიმე ეტაპად, ხოლო ამ პერიოდში მიღებული კონსტიტუციები კი — თითოეული ეტაპის შესაბამის ჯგუფებად. აქვე აღვნიშნავთ, რომ კონსტიტუციონალიზმის ამგვარი ისტორიული კლასიფიკაციის საფუძვლად და ამოსავალ წერტილად ჩვენს მიერ აღებული იქნა ის კონკრეტული პერიოდი, როდესაც შესაბამის ისტორიულ მონაკვეთში მნიშვნელოვნად ერთგვაროვან პირობებში განხორციელდა კონსტიტუციური რეფორმა რამოდენიმე ქვეყანაში:[7]

პირველი ჯგუფის კონსტიტუციები — 1989-90 წლებში გატარებული გარდამავალი კონსტიტუციური რეფორმების პერიოდში მიღებული კონსტიტუციები და კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე აქტები;

მეორე ჯგუფის კონსტიტუციები — 1991-92 წლებში აღმოსავლეთ ევროპული ფედერაციების (ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის) ფედერა-

---

5. ფერნის ფუკუიამა. „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი"; 1999 თბ., გვ. 230.
6. ანდრაშ შაიო. დს. ნშ. გვ. 59
7. აღნიშნული კლასიფიკაცია კონკრეტული ქვეყნების მითითებით შესაძლებელია იხილოთ №1 დანართში

ციების დაშლის შედეგად მიღებული კონსტიტუციები;

მესამე ჯგუფის კონსტიტუციები — სსრკ-ს დაშლის შედეგად მიღებული კონსტიტუციები;

მეოთხე ჯგუფის კონსტიტუციები — გარდამავალი კონსტიტუციური ეტაპის შემდგომ პერიოდში მიღებული კონსტიტუციები.

ამასთანავე, რიგ ქვეყნებში (მაგალითად ბულგარეთსა და უნგრეთში), კონსტიტუციური რეფორმები იყო მოსამზადებელი ეტაპი საზოგადოებრივი წყობილების სისტემის შესაცვლელად; ხოლო სხვა ქვეყნებში (პოსტსაბჭოური რესპუბლიკები, რუმინეთი, პოლონეთი და სხვა) ტოტალიტარული რეჟიმების დამხობამ გამოიწვია მოქმედი კონსტიტუციების პრაქტიკული უმოქმედობა და ახალი კონსტიტუციებიც უკვე შესაბამისად პოსტტოტალიტარული ხელისუფლების პირობებში იქნენ შემუშავებული და მიღებული. პრაქტიკულად ყველა მათგანი მათი მიღების მომენტისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კულტურის სრულად ადეკვატური და პირდაპირ-პროპორციულია. ისინი პოლიტიკურ ძალთა შორის იმ მომენტისათვის არსებული თანაფარდობის სამართლებრივ გაფორმებას, მათ მიერ დადებულ შეთანხმებას განასახიერებენ.

ამ ქვეყნებიდან მმართველობის მონარქიული ფორმა არსად დამკვიდრებულა. ყველა მათგანმა განავითარა ხელისუფლების დანაწილების განსხვავებული ვარიაცია მმართველობის რესპუბლიკური ფორმის პირობებში. სხვათა შორის, სხვადასხვა ქვეყნებში ამ რეფორმების შედეგად განხორციელებულმა ინსტიტუციონალურმა არჩევანმა ნათლად წარმოაჩინა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში ხელისუფლების დანაწილების ტრანსფორმაციული ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ყველაზე მეტ — 10 რესპუბლიკაში მმართველობის საპარლამენტო სისტემაა დაფუძნებული, მათ შორის პრაქტიკულად აღარ ვხვდებით XIX საუკუნის ტიპის საპარლამენტო მოდელებს. თითოეული მათგანი შეიცავს რაციონალიზაციის სხვა და სხვა ელემენტს. მოქმედ საპარლამენტო სისტემებში შრომა პროზაულად არის გადანაწილებული პარტიების წარმომადგენლობით პრინციპზე ფორმირებული საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობის გათვალისწინებით და პრეზიდენტი მხოლოდ საარბიტრაჟო ძალაუფლებით შემოიფარგლება. ხუთი რესპუბლიკა დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტოა; ხოლო ოთხი — ნახევრადსაპრეზიდენტო[8]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სივრცეში კონსტიტუციური განვითარების პროცესები დინამიურია და დღეისათვის მოხდა რამდენიმე ცვლილება. მაგალითად, მოლდოვაში პრეზიდენტმა პიტერ ლუჩინსკიმ, მართალია, დააპირა საკუთარი უფლებამოსილებების გაფართოება მართვა-გამგეობის შერეული ფორმის ნეგატიური განვითარების გზით, მაგრამ საბოლოოდ, 2000 წლის 5 ივლისის კონსტიტუციური ცვლილებებით, მოლდოვა საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაიქმნა; გადასინჯულ იქნა ხორვატიის რესპუბლიკის მმართველობის სისტემაც, რომელმაც დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა დაბალანსებულ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნა; სლოვაკეთში კი შემოღებულ იქნა პრეზი-

---

8. იხილეთ დანართი №2

დენტის პირდაპირი არჩევნები, თუმცა მისი უფლებამოსილებები არ გადასინჯულა; ხოლო უკრაინაში კი ამჟამად მიმდინარეობს საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის უმთავრესი არსიც სწორედ მმართველობის დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის სისტემის კორექტირებაა.

მმართველობის არც ერთი სისტემა არ არის ერთგვაროვანი. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ამ საუკუნის ბოლოს სუბიექტურ ფაქტორთა თანხვედრით განხორციელებულმა რეფორმებმა დღეისათვის ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ოთხი (ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი და ხორვატია) ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის აღმოცენება განაპირობა, ამ რესპუბლიკების მმართველობის თითოეული სისტემა დინამიურია და თავისი ბუნებით ხელისუფლების განშტოებებს შორის (ზოგჯერ პოლიტიკურად ვნებიანადაც) ხან პარლამენტის, ხან პრეზიდენტის, ხოლო ხანაც მთავრობის აღმავლობით ხასიათდება. ყოველივე ეს კი მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრული პრინციპების ფარგლებში მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე და ამ პროცესის სამართლებრივი კონტროლი უზრუნველყოფილია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების მხრიდან (რომელიც ცალკე ინსტიტუტად მოქმედებს აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისია ესტონეთი).

ყურადსაღებია, რომ პრეზიდენტის სტატუსის განმარტება „სახელმწიფოს მეთაურად", დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ მეცნიერული კვლევის შეფასების შედეგი იყო. პრეზიდენტი, როგორც „სახელმწიფოს მეთაური", დღეს მოქმედი კონსტიტუციებიდან პირველად დაფიქსირებულ იქნა 1982 წლის 7 ნოემბრის თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში, ხოლო ამის შემდეგ, პოსტსოციალისტურ კონსტიტუციონალიზმში — უნგრეთის კონსტიტუციაში 1989 წლის ოქტომბერში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, როდესაც აღდგენილ იქნა პრეზიდენტის თანამდებობა. თუმცა, თავისთავად პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის განსაზღვრა არ გამხდარა მისი ფართო უფლებებით აღჭურვის განცხადების საფუძველი მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს დებატები პრეზიდენტის უფლებამოსილებების გაზდრდის თაობაზე. პრეზიდენტის ამგვარი კონსტიტუციური სტატუსის განსაზღვრისას უნგრული კონსტიტუციის შემოქმედები დაეყრდნენ იმ სამართლებრივ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის ფარგლებს, მის უფლებამოსილებათა არეალს კონსტიტუციური დემოკრატიის თანამედროვე რეჟიმში. ხელისუფლების დანაწილების ტრანსფორმირებულ, თანამედროვე გააზრებაში „ასეთი განმსაზღვრელი კრიტერიუმებია ხელისუფლების გამიჯვნა-გადანაწილება, ხელისუფლების განშტოებათა კონტროლი (ურთიერთშეკავება), წონასწორობა და მათ შორის კონსტიტუციით განსაზღვრული თანამშრომლობა და კონკურენცია, რაც ხელისუფლების სხვა ინსტიტუტების მსგავსად ზღუდავენ პრეზიდენტსაც."[9]

უნგრეთის შემდეგ პრეზიდენტის სტატუსის დეფინიციამ კონსტიტუციების ტექსტებში ფართო გავრცელება ჰპოვა და პრეზიდენტი სახელმწიფოს

---

9. საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ბალანსის ხაზები; თბ., 2005; გვ. 12.

მეთაურად გამოაცხადეს ბულგარეთის 1991 წლის 13 ივლისის, ესტონეთის 1992 წლის 28 ივნისის, ჩეხეთის 1992 წლის 16 დეკემბრის, ხორვატიის 1991 წლის 21 დეკემბრის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებმა.

იმ ქვეყნებში კი, სადაც პრეზიდენტის ხელისუფლება წარმოდგენილია სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემის ვერტიკალად და ამ მთელი მექანიზმის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად, მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვანწილად სცილდება დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე კატეგორიების გააზრებას და ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციურ განხორციელებაში (შეგნებულად არ ვამბობთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს) წინა პლანზე ყოველთვის წამოწეულია იერარქიულობის პრინციპი პრეზიდენტთან მიმართებაში, რაც უკვე ნაკლებად თავსებადია ხელისუფლების დანაწილების სოციალურ არსთან. იტალიელი მკვლევარი ჯოვანი სარტორი ამბობს: „კონსტიტუცია თავის სახელწოდებას მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში იმსახურებს."[10] დღეს ფორმალურად თანაბარი წარმატებით უწოდებენ კონსტიტუციას აზერბაიჯანისა და სლოვენიის, სომხეთისა და ჩეხეთის, უკრაინისა და ესტონეთის, ბელორუსისა და უნგრეთის, რუსეთისა და პოლონეთის ძირითად კანონებს. არადა, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელორუსისა და რუსეთის კონსტიტუციები, რომლებმაც დაამკვიდრეს დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკები, შესაბამის ქვეყნებში სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი მახასიათებლების კონცეპტუალური უარყოფისათვის ე.წ. „სასათბურე პირობებს" ქმნიან. როგორც ერთ-ერთი ქართველი კონსტიტუციონალისტი ო. მელქაძე აღნიშნავს, რიგ სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკებში „უბრალოდ მორჩილებაა, დიქტატურა არ არის აღიარებული, მაგრამ ქვეყანაში გაბატონებული შიშნარევი რიდი და თვითნებობა დემოკრატიის მახასიათებლად არ გამოდგება."[11]

პრეზიდენტის ფართო უფლებებით აღჭურვა, როგორც აღმოჩნდა, არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. რადიკალური საპრეზიდენტო ძალაუფლების მინიჭებით პრეზიდენტები იქცევიან არა მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის პროცესის ცენტრად, არამედ უფრო მეტიც - თითქმის მის ერთადერთ სუბიექტად. ამგვარმა მიდგომებმა კი ჩამოთვლილი ქვეყნები კლასიკური (სტაბილური) დემოკრატიის ქვეყნებში მოქმედი მმართველობის სისტემების უარყოფამდე მიიყვანა.

ამ სისტემებში ხელისუფლება კონცენტრირებულია ერთი ინსტიტუტის - სახელმწიფოს მეთაურის ხელში და ყურადღების მიღმაა დატოვებული ერთი აქსიომური ჭეშმარიტება — „თუ ქვეყანაში ხელისუფლებაზე მონოპოლია არსებობს, მაშინ უფლებამოსილებათა კონსტიტუციური შეზღუდვა არის ფორმალური და არ თამაშობს იმ როლს, რომელიც მას მიკუთვნებული აქვს დემოკრატიულ საზოგადოებებში."[12] დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენო რესპუბლიკების კონსტიტუციები ხელისუფლების კონცენ-

---

10. Sartori Giovani. Comparative Constitutional Engineering. Hound-mills u.a. 1997. P 196.
11 ო. მელქაძე; ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები; თბ., 2001. გვ. 16
12. А.В. Кнев; Институт Президенства в странах Центральной и Восточной Европы как индикатор процесса политической трансформации; ინტერნეტწყარო: http://www.politstudies.ru /fulltext/2002/2/11.htm

ტრაციის ერთ-ერთი ვარიაციაა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ „მუშათა კლასი“ ან „პროლეტარიატის დიქტატურა“ აღარ არსებობდა ამ კონსტიტუციების მიღების მომენტისათვის, ამ ერთიანობის განმსაზღვრელი გახდა არა სოციალური, არამედ ინსტიტუციონალური ასპექტი და ეს იყო პრეზიდენტი. თუმცა, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს სისტემები მსოფლმხედველობრივად შეუთავსებელნი აღმოჩნდნენ დემოკრატიის თანამედროვე კატეგორიებთან. მათ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის ნეგატიური განვითარების გზა აირჩიეს, რაც (როგორც დრომ დაგვანახა, რეგრესის პროპორციულად) სცილდება დემოკრატიის არსსაც.

1989-90-ანი წლები აღმოსავლეთ ევროპის არასაბჭოთა ქვეყნებში საბჭოური სოციალიზმის „ფინიში“ აღმოჩნდა. სწორედ ამ წლებში პოლონეთსა და უნგრეთში განხორციელებული პირველი აღმოსავლეთ ევროპული კონსტიტუციური ცვლილებები მთელი ამ სივრცისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმების ათვლის წერტილი გახდა. პოლონეთსა და უნგრეთში პირველი კონსტიტუციური ცვლილებების დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ სათავე დაედო არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების ცვლილების შეუქცევად პროცესს.

შესაძლებელია ძალიან ძოკლედ ჩამოვთვალოთ ის საერთო მახასიათებლები, რომლებითაც ხასიათდება აღნიშნული სივრცის ქვეყნების კონსტიტუციური განვითარება:

1. არსებული საზოგადოებრივი სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის კოლაფსი. სახელმწიფოს არსი და მისი სოციალური დანიშნულების სხვაგვარი კონცეპტუალური ხედვა,

2. ქვეყანაში რეალურად არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ასახვა კონსტიტუციის შინაარსში;

3. ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობების გადასინჯვა სახელმწიფოს ახლებური კონცეპტუალური ხედვიდან გამომდინარე;

4. სახელმწიფო სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიის საზღვრების ხელშეუვალობისა და ურღვევობის პრინციპების კონსტიტუციური განმტკიცება. სწრაფვა მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ;

5. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დამკვიდრება და შესაბამისად, ინსტიტუციონალური სისტემის სრული გადახალისება. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, უმაღლესი თანამდებობის პირის ზოგ შემთხვევაში აღდგენა, ზოგგან კი პირველადი დამკვიდრება;

6. ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი მექანიზმების რეალური ამოქმედება (სასამართლო და პროკურატურის ორგანოების, აგრეთვე ადვოკატურის სისტემის რეფორმირება) და ამ ინსტიტუციონალური არსენალის გამდიდრება ომბუდსმენის სახით;

7. ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის საფუძველზე, მიუხედავად ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ფორმისა.

8. ცალკე უნდა აღინიშნოს კონსტიტუციის უზენაესობაზე „მზრუნველი“ ორგანოს - საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციონალიზაციის შესა-

ხებაც, რომელიც, მეორეს მხრივ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი მექანიზმიც არის.

წინამდებარე წიგნზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პოსტტოტალიტარულ საზოგადოებებში დღემდე საკმაოდ დაძაბულად და მტკივნეულად მიმდინარეობს თვისობრივად ახალი კონსტიტუციური აზროვნების და მართლწესრიგის ფორმირების პროცესი. პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნებში კონსტიტუციონალიზმის ფასეულობებისა და კონსტიტუციის ფუნქციების განსხვავებული ხედვა არის ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელმაც განაპირობა ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა თვალსაზრისით არსებული კონტრასტი. ასე რომ, აღნიშნული ქვეყნების კონსტიტუციების ორტომეულზე მუშაობის დასასრული სულაც არ იქნება ამ ქვეყნებში კონსტიტუციური პროცესების მიმდინარეობის კვლევისადმი ინტერესის ამოწურვის საფუძველი. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც უკვე დავინახეთ, ზოგიერთ ქვეყანაში, სულ უახლოეს წარსულში, კიდევ ერთხელ განხორციელდა მასშტაბური კონსტიტუციური რეფორმები და ზოგგან დღესაც მიმდინარეობს. საქართველოში კი, რომელიც სამწუხაროდ, ვერ დაიკვეხნის კონსტიტუციური კანონმდებლობის სიმყარითა და სტაბილურობით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფასეულობებისა და შეცდომების ანალიზს, რომელთაგან პირველი უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროცესში ჩადებულ დიდ კაპიტალად, ხოლო მეორე კი ამ პროცესის შემაფერხებელ გარემოებად.

ზურაბ ჯიბღაშვილი

დანართი №1

ქვეყნების კლასიფიკაცია მმართველობის სისტემების მიხედვით

№	ქვეყანა	მმართველოს სისტემა
1	ალბანეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა
2	აზერბაიჯანი	დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
3	ბელორუსი	დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
4	ბულგარეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა
5	ესტონეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა
6	ლატვია	საპარლამენტო რესპუბლიკა
7	ლიტვა	ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
8	მაკედონია	საპარლამენტო რესპუბლიკა
9	მოლდოვა	საპარლამენტო რესპუბლიკა
10	პოლონეთი	ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
11	რუმინეთი	ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
12	რუსეთი	დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
13	სლოვაკეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა
14	სლოვენია	საპარლამენტო რესპუბლიკა
15	სომხეთი	დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
16	უკრაინა	დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
17	უნგრეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა
18	ხორვატია	ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
19	ჩეხეთი	საპარლამენტო რესპუბლიკა

პოსტტოტალიტარული კონსტიტუციების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია

№	ჯგუფი	ქვეყანა	კონსტიტუციის მიღების თარიღი
1	**პირველი ჯგუფის კონსტიტუციები** – 1989-90 წლებში გატარებული გარდამავალი კონსტიტუციური რეფორმების პერიოდში მიღებული კონსტიტუციები და კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე აქტები.	უნგრეთი[1]	1949 წლის 18 აგვისტოს კონსტიტუცია, რომელშიც არსებითი ცვლილებები შეეიტანა 1989-90 წლებში.
		ალბანეთი	1991 წლის 25 აპრილის კანონი „კონსტიტუციის ძირითადი დებულებების შესახებ“
		ბულგარეთი	1991 წლის 13 ივლისი
		რუმინეთი	1991 წლის 22 ნოემბერი
		პოლონეთი	1992 წლის 17 ოქტომბრის ე.წ. „მცირე კონსტიტუცია“
2	**მეორე ჯგუფის კონსტიტუციები** – 1991-92 წლებში აღმოსავლეთ ევროპული ფედერაციების (ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის) ფედერაციების დაშლის შედეგად მიღებული კონსტიტუციები.	მაკედონია	1991 წლის 17 ნოემბერი
		ხორვატია	1991 წლის 21 დეკემბერი
		სლოვენია	1991 წლის 23 დეკემბერი
		სერბეთი და ჩერნოგორია	1992 წლის 27 აპრილი
		სლოვაკეთი	1992 წლის 1 სექტემბერი
		ჩეხეთი	1992 წლის 16 დეკემბერი
		ბოსნია-ჰერცოგოვინის	1995 წლის 14 დეკემბერი
3	**მესამე ჯგუფის კონსტიტუციები** – სსრკ-ს დაშლის შედეგად მიღებული კონსტიტუციები.	ესტონეთი	1992 წლის 28 ივნისი
		ლიტვა	1992 წლის 25 ოქტომბერი
		რუსეთი	1993 წლის 12 დეკემბერი
		მოლდოვა	1994 წლის 29 ივლისი
		სომხეთი	1995 წლის 5 ივლისი
		აზერბაიჯანი	1995 წლის 12 ნოემბერი
		ლატვია	1996 წლის 6 ივლისი
		უკრაინა	1996 წლის 28 ივლისი
		ბელორუსი	1996 წლის 24 ნოემბერი
4	**მეოთხე ჯგუფის კონსტიტუციები** – გარდამავალი კონსტიტუციური ეტაპის შემდგომ პერიოდში მიღებული კონსტიტუციები.	პოლონეთი	1997 წლის 2 აპრილი

13. უნგრეთი ერთადერთი ქვეყანა, სადაც ტოტალიტარიზმიდან გარდამავალ პერიოდში დღემდე არაა მიღებული ახალი კონსტიტუციის ტექსტი.

რესპუბლიკა ბელორუსი



ავთანდილ დემეტრაშვილი

რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — ბელორუსის რესპუბლიკა;
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის აღმოსავლეთ ნაწილი;
ფართობი — 207 600 ათასი კვ. კმ.;
მოსახლეობა — 10,437 მილიონი;
დედაქალაქი — მინსკი.

დამოუკიდებელი რესპუბლიკა ბელორუსის თანამედროვე სახით ჩამოყალიბების პოლიტიკურ სათავეებსა და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ 1990 წლის დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, 1994 და 1996 წლების კონსტიტუციები, რუსეთთან ინტეგრაციის ამსახველი რიგი დოკუმენტებისა,[1] მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობა. ამ ქვეყანაში რეალურად არსებული წესწყობილებისა და პოლიტიკის დახასიათებისათვის ალბათ ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ ბელორუსი ერთადერთია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომელიც არ მონაწილეობს დემოკრატიის, კონსტიტუციონალიზმის განვითარების ხელშემწყობი ისეთი ორგანიზაციის საქმიანობაში, როგორიცაა ევროპის საბჭო.[2] „ბელორუსისათვის, მისი ისტორიული, კულტურული ტრადიციებიდან, საზოგადოების განვითარების დონიდან გამომდინარე, მიუღებელია ლიბერალური, სუსტი სახელმწიფოს მოდელი, რომელსაც თავს გვახვევენ როგორც გარედან, ასევე ზოგიერთი ჩვენი შინაზარდი „თეორეტიკოსები". თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო აღმშენებლობის საკითხთა გადაწყვეტა უნდა მოხდეს **ეფექტური სახელმწიფოს კონცეფციის** (ხაზგასმულია ჩვენ მიერ — ა.დ.) — საფუძველზე". ეს არის ერთი პასაჟი რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის უსტარისა, რომელიც მან 2002 წელს ბელორუსის პარლამენტს — ეროვნულ კრებას გაუგზავნა. მას შემდეგ განვლილ წლებში არსებითად მხოლოდ ის შეიცვალა, რომ დღევანდელი პრეზიდენტის წარმოდგენაში ე.წ. „ეფექტური სახელმწიფო" სულ უფრო და უფრო პერსონიფიცირდება რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის, ანუ ა. გ. ლუკაშენკოს პიროვნებასთან, რომელიც უკვე მეთერთმეტე წელია, ამ ქვეყნის სახელმწიფო მეთაურია.

1. კონსტიტუციის მიღება, სტრუქტურა, გადასინჯვა

სსრ კავშირის დაშლისა და მისი შემადგენელი რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ, მხოლოდ ბელორუსში და ყაზახეთში იქნა მიღებული ორი კონსტიტუცია. ბელორუსში 1994 წელს მიღე-

---

1 1997 წლის ხელშეკრულება ბელორუსისა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის გაერთიანების, ამ გაერთიანების წესდება, 1999 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციისა და რესპუბლიკა ბელორუსის სამოკავშირო სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

2. გარიცხულია ევროის საბჭოდან (შეტრებულია მისი წევრობა).

3. უკუღებულიყოფილი იყო ხელისუფლების დანაწილება, პარლამენტი არაპროფესიულ საფუძველზე მოქმედად, პრეზიდენტს მეტზეადი უფლებები ჰქონდა და სხვ.

ბული კონსტიტუცია იმდენად სოციალისტური იყო,[3] იმდენად მწვავე აღმოჩნდა მის შინაარსზე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი აზრის რეაქცია, რომ ამავე კონსტიტუციის საფუძველზე, სახელმწიფო ინსტიტუტებში პრეზიდენტის – სახელმწიფო მეთაურის დომინანტური როლის შენარჩუნებით, 1996 წლის 24 ნოემბერს რეფერენდუმზე იქნა მიღებული დღეს მოქმედი კონსტიტუცია. იგი პრეამბულისა და 9 კარში გაერთიანებული 146 მუხლისაგან შედგება:

კარი I. კონსტიტუციური წესწყობილების საფუძვლები;

კარი II. პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო;

კარი III. საარჩევნო სისტემა. რეფერენდუმი;

კარი IV. პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო;

კარი V. ადგილობრივი თვითმმართველობა;

კარი VI. პროკურატურა. სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი;

კარი VII. რესპუბლიკა ბელორუსის საფინანსო-საკრედიტო სისტემა;

კარი VIII. რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის მოქმედება და მისი გადასინჯვის წესი;

კარი IX. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები.

კონსტიტუციის გადასინჯვა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით – I, II, IV და VIII კარების დებულებათა გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების გზით, კონსტიტუციის დანარჩენ დებულებათა გადასინჯვა შეუძლია პარლამენტს, ამასთან კანონი კონსტიტუციაში ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანის შესახებ განხილული და მიღებული უნდა იყოს ორჯერ – სულ ცოტა, სამთვიანი ინტერვალის დაცვით. კონსტიტუციური ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს მხოლოდ პრეზიდენტი ან რესპუბლიკა ბელორუსის საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 150 000 ამომრჩეველი.

2. უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების სისტემა

ისევე, როგორც სხვა რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (უწინარესად კი რუსეთის ფედერაციაში), ბელორუსში სახელმწიფო ხელისუფლება ფორმალურად ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე დანაწილების საფუძველზე (მუხლი 6), თუმცა იგივე ფორმალურ-დოგმატური ანალიზის საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ არსებობს მეოთხე – პრეზიდენტის ხელისუფლება, რომელიც არც ერთ განშტოებას არ მიეკუთვნება და იმავდროულად, ფლობს ისეთ უფლებამოსილებებს, რომელიც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულობას სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. ამის თაობაზე ერთ-ერთ გამოსვლაში თავად ა.გ. ლუკაშენკომ ბრძანა: „მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ – ხელისუფლების ყველა განშტოება და სახელმწიფო მეთაური – ერთსულოვნად და შედეგიანად ვიმუშავებთ".[4]

რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტად 5 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების არანაკლებ 35 წლის ასაკის მქონე დაბადებით ბელორუსის მოქალაქე, რომელიც უშუალოდ არჩევნებამდე მუდმივად ცხოვრობდა რესპუბლიკა ბელორუსში.

უპრეცედენტო ან თითქმის უპრეცედენტო რამ მოხდა ბელორუსში 2004

---

4. http://president.gov.by/rus/president/speech/2004/sing/dot16349

წლის შემოდგომაზე. ვინაიდან იწურებოდა ა.გ. ლუკაშენკოს მეორე საპრეზიდენტო ვადა, ხოლო კონსტიტუცია (81-ე მუხლის პირველი ნაწილი) ადგენდა, რომ ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად მხოლოდ ორჯერ შეიძლება ყოფილიყო არჩეული, მოქმედმა პრეზიდენტმა (ა.გ. ლუკაშენკომ) საკუთარი ინიციატივით დანიშნა რეფერენდუმი და ამომრჩევლის წინაშე დასვა შემდეგი კითხვა: „აძლევთ თუ არა რესპუბლიკა ბელორუსის პირველ პრეზიდენტს ა.გ. ლუკაშენკოს ნებართვას, მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკა ბელორუსის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად და იღებთ თუ არა რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის 81-ე მუხლის პირველ ნაწილს შემდეგი რედაქციით: „პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლის ვადით უშუალოდ რესპუბლიკა ბელორუსის ხალხის მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით?" ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის, განუვითარებელი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების პირობებში ხელისუფლებამ მიიღო მისთვის სასურველი შედეგი, რის საფუძველზეც ა.გ. ლუკაშენკოს შეუძლია, განუსაზღვრელი ვადით იყოს ქვეყნის პრეზიდენტი.

პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ძალიან ფართო წრე, მისი, როგორც სახელმწიფო მეთაურის დანიშნულებიდან გამომდინარეობს. იგი ერთდროულად არის კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათავისუფლებების გარანტი, აგრეთვე უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მემკვიდრეობითობას (? - ა.დ.) და ურთიერთმოქმედებას, ახორციელებს შუამავლობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის და ა. შ.

პრეზიდენტის უფლებამოსილებები მთავრობის ფორმირებისა და საქმიანობის სფეროში, მისი უფლება — გააუქმოს მთავრობის აქტები და დეკრეტებით დაარეგულიროს მთავრობის გამგებლობას მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური, ფინანსური სფეროები, ფაქტობრივად აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელად ხდის მას, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია პრეზიდენტის უფლებამოსილებანი სახელმწიფო საქმიანობის სხვა სფეროებშიც,[5] (მაგ. საკანონმდებლოში).

კონსტიტუციის 90-ე მუხლის თანახმად: „პარლამენტი - რესპუბლიკა ბელორუსის ეროვნული კრება — არის რესპუბლიკა ბელორუსის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო". მიაქციეთ ყურადღება — აქ არც პარლამენტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ხასიათია დადგენილი, არც საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში მისი წამყვანი როლია ხაზგასმული. ეფექტური სახელმწიფოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი სულაც არ არის, ძირითადი კანონის დამფუძნებლები აქაც პრეზიდენტის — სახელმწიფო მეთაურის განსაკუთრებულ როლს ხედავენ.

ბელორუსის პარლამენტი ორი, ერთმანეთისაგან ფორმირების წესითა და კომპეტენციით განსხვავებული, პალატებისაგან შედგება.

წარმომადგენელთა პალატა (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არის პარლამენტის ქვედა პალატა) 4 წლის ვადით პირდაპირი, საყოველთაო და თანას-

---

5. მხოლოდ კონსტიტუციის 84-ე მუხლით განმტკიცებულია მისი 30 კონკრეტული და მნიშვნელოვანი უფლებამოსილება.

წორი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული არანაკლებ 21 წლის ასაკის მქონე 110 დეპუტატისაგან შედგება.

რესპუბლიკის საბჭო (ზედა პალატა), როგორც ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატის ბუნებიდან გამომდინარე, არაპირდაპირი გზით აირჩევა: ყოველი ოლქიდან და ქალაქ მინსკიდან საბაზო დონის დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე ფარული კენჭისყრით აირჩევა საბჭოს რვა-რვა წევრი (ანუ რესპუბლიკის საბჭოში სულ 48 წევრი-სენატორია). სენატორი შეიძლება გახდეს 30 წლის ასაკს მიღწეული ბელორუსის მოქალაქე, რომელსაც შესაბამისი ოლქის ან ქალაქ მინსკის ტერიტორიაზე სულ ცოტა, ხუთი წელი მაინც უცხოვრია.

პალატების ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებები ასახულია კონსტიტუციის 97-ე და 98-ე მუხლებში, ამიტომ არ ჩამოვთვლით მათ, თუმცა საჭიროდ ვთვლით, მივუთითოთ, თუ როგორ არის განაწილებული უფლებამოსილებები პალატებს შორის საკანონმდებლო პროცესში, მთავრობის ფორმირებასა და პრეზიდენტის გადაყენების პროცესში — იმპიჩმენტში.

საკანონმდებლო პროცესში თვალსაცემია წარმომადგენელთა პალატის გადამწყვეტი როლი, რაც გამოიხატება შემდეგში:

1) საკანონმდებლო პროცესი, გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული იშვიათი შემთხვევისა, იწყება წარმომადგენელთა პალატაში;

2) კანონპროექტს იღებს წარმომადგენელთა პალატა;

3) რესპუბლიკის საბჭო მოიწონებს ან უარყოფს კანონპროექტს;

4) პალატებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობის შემთხვევაში პრეზიდენტს (ან მისი დავალებით მთავრობას) შეუძლია, მოსთხოვოს წარმომადგენელთა პალატას საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

5) ორივე პალატა მონაწილეობს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეყოვნებითი[6] ვეტოს გადალახვის პროცესში.

მთავრობის ფორმირებაში მონაწილეობს მხოლოდ წარმომადგენელთა პალატა, რომელიც პრეზიდენტს თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე. მოისმენს და აფასებს სამთავრობო პროგრამას, შეუძლია, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით განიხილავს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების საკითხს.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ასეთი თანმიმდევრობით მიმდინარეობს:

1) წარმომადგენელთა პალატა წაუყენებს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბრალდებას სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში;

2) რესპუბლიკის საბჭო განიხილავს წარმომადგენელთა პალატის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნას;

3) რესპუბლიკის საბჭო ჩაატარებს გამოძიებას;

4) საკმარისი საფუძვლის არსებობისას რესპუბლიკის საბჭო, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით, იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე;

5) რესპუბლიკის საბჭოს გამამტყუნებელი ვერდიქტის არსებობისას

---

6 ბელორუსის კონსტიტუციის აკრეფილ აქვს ე.წ. „ვეტოს ფენომენი", რომლის შესაბამისად, „კანონი არ იქნება ხელმოწერილად და არ იქნება ძალაში, თუ შეუძლებელია მისი დარღვევა ორმოცდაათ ხანის დარღვევის გამო." (კონსტიტუციის მე-100 მუხლი).

წარმომადგენელთა პალატა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

პარლამენტის მუშაობის ძირითადი ორგანიზაციული ფორმებია მორიგი სესიები, სხდომები, საპარლამენტო მოსმენები, კომისიების მუშაობა. პირველი სესია იხსნება 2 ოქტომბერს და მისი ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 80 დღეზე მეტი, მეორე — 2 აპრილს — ხანგრძლივობა არა უმეტეს 90 დღისა.

როგორც ყველა პარლამენტში, ბელორუსის ეროვნულ კრებაშიც პალატებში საკითხების წინასწარი განხილვისა და მომზადებისათვის იქმნება პარლამენტის ძირითადი „მუშა" ორგანოები - მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები. რესპუბლიკის საბჭოში. მაგალითად, შექმნილია კანონმდებლობისა და სახელმწიფო აღმშენებლობის, ეკონომიკის, ბიუჯეტისა და ფინანსების, სოციალურ საკითხთა, რეგიონალური პოლიტიკის, საერთაშორისო საქმეთა და ეროვნული უშიშროების 5 მუდმივმოქმედი კომისია.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა - რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭო. ნიშანდობლივია ის, რომ მთავრობა არ არის განსაზღვრული როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ან თუნდაც ამ ხელისუფლების ნაწილი. კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობა მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოა. მთავრობის სამართლებრივი სტატუსის ძირითადი მახასიათებელი ჩადებულია ფორმულაში: „თავის საქმიანობაში მთავრობა ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე".

სტრუქტურის მიხედვით ბელორუსის მთავრობა, შეიძლება ითქვას, ორდონიანია. მთავრობის სრული, მრავალრიცხოვანი შემადგენლობა განსაზღრულია როგორც მინისტრთა საბჭო, ხოლო მის შიგნით არსებობს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი.

რესპუბლიკა ბელორუსის 1998 წლის „რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭოს შესახებ" კანონის შესაბამისად, მთავრობის შემადგენლობაშია პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, მათ შორის ერთ-ერთი პირველი მოადგილეა, მინისტრები, სახელმწიფო მმართველობის სხვა რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელები. ჩვენს ხელთ არსებული ბოლო მონაცემებით ბელორუსში იყო შემდეგი სამინისტორო და სახელმწიფო კომიტეტი: 1. არქიტექტურისა და მშენებლობის; 2. შინაგან საქმეთა; 3. საბინაო-კომუნალური მეურნეობის; 4. ჯანდაცვის; 5. საგარეო საქმეთა; 6. ინფორმაციის; 7. კულტურის; 8. სატყეო მეურნეობის; 9. თავდაცვის; 10. განათლების; 11. გადასახადებისა და მოსაკრებლების; 12. საგანგებო სიტუაციების; 13. ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის; 14. მრეწველობის; 15. კავშირგაბმულობისა და ინფორმატიზაციის; 16. სოფლის მეურნეობისა და სურსათის; 17. სპორტისა და ტურიზმის; 18. სტატისტიკისა და ანალიზის; 19. ვაჭრობის; 20. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების; 21. შრომისა და სოციალური დაცვის; 22. ფინანსთა; 23. ეკონომიკის; 24. ენერგეტიკის; 25. იუსტიციის. გარდა ამისა, პრეზიდენტის განკარგულებით, მთავრობის შემადგენლობაში შედიან შემდეგი სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები: 26. სახელმწიფო უშიშროების; 27. სამხედრო-სამრეწველო; 28. ავიაციის; 29. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების; 30. სასაზღვრო ჯარის; 31. საბანკო.

გარდა იმისა, რომ ბელორუსის პრეზიდენტი განსაზღვრავს მთავრობის ორგანიზაციულ სტრუქტურას, იგი გადამწყვეტი ფიგურაა მთავრობისა და მასში შემავალი უწყებების ხელმძღვანელობის გამწესებაში.

წარმომადგენელთა პალატის თანხმობით, იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. დანიშვნაზე ორჯერ ზედიზედ უარის მიღების შემთხვევაში, ერთპიროვნულად ნიშნავს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, დაითხოვს წარმომადგენელთა პალატას და ნიშნავს მის ახალ არჩევნებს.

პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, ყველა მინისტრს, სახელმწიფო უშიშროების, ავიაციის, სასაზღვრო ჯარების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, მთავრობასთან არსებულ სახელმწიფო კომიტეტთა (ასეთი რვაა) თავმჯდომარეებს, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგანგებო სიტუაციათა მინისტრთა მოადგილეებს, ზემოჩამოთვლილ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებს ერთპიროვნულად ნიშნავს ბელორუსის პრეზიდენტი, ხოლო სახელმწიფო მმართველობის დანარჩენ ცენტრალურ ორგანოთა ხელმძღვანელების მოადგილეებს — მინისტრთა საბჭო პრეზიდენტთან შეთანხმებით (რაც, ჩვენი აზრით, პრეზიდენტის იგივე დისკრეციული უფლებაა).

მთავრობის კომპეტენციაში შემავალი საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის გათვალისწინებულია მუდმივმოქმედი ორგანოს — მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის არსებობა. მის შემადგენლობაშია პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური, სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. პრეზიდიუმის სხდომები იმართება თვეში ერთხელ მაინც, ან — საჭიროებისამებრ.

კანონი მინისტრთა საბჭოს შესახებ დეტალურად არეგულირებს მთავრობის კომპეტენციას კონსტიტუციის, კანონებისა და პრეზიდენტის აქტების აღსრულების სფეროში, ეკონომიკური, საბიუჯეტო, საფინანსო, საგადასახდო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უზრუნველყოფის უფლებამოსილებებს, მის შესაძლებლობებს სოციალურ-კულტურულ, გარემოს დაცვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საკადრო პოლიტიკის სფეროებში.

მთავრობის სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც, თუმცა საჭიროებისამებრ შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე სხდომაც. სხდომას თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი ან მისი პირველი მოადგილე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი (მიაქციეთ ყურადღება), რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტთან შეთანხმებით, — ერთ-ერთი მოადგილე. ბელორუსის სახელმწიფოებრივი სისტემის არსიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ პრეზიდენტს აქვს მთავრობის სხდომის თავმჯდომარეობის უფლება.

თუ რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციას (მუხლი 6) დავუჯერებთ, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, გარდა პარლამენტისა და მთავრობისა (პრეზიდენტი ამ განშტოებათა ზემოთაა — კოორდინატორია) სასამართლოებიც მონაწილეობენ. ძირითადი კანონი არაფერს ამბობს რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლების ან თუნდაც სასამართლო სისტემის შესახებ. მეექვსე თავის (მუხლი 109-ე-116-ე) და 84-ე მუხლის ანალიზიდან ჩანს, რომ იგი საერთო იურისდიქციის სასამართლოების, სამეურნეო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოსაგან შედგება.

კონსტიტუცია განამტკიცებს მართლმსაჯულების განხორციელების ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა (მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან);

მართლმსაჯულების განხორციელებას მოსამართლის (მოსამართლეთა) მიერ პროფესიულ საფუძველზე (მოსამართლეს არ შეუძლია, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ახორციელებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა პედაგოგიურისა და სამეცნიერო-კვლევითისა);

მართლმსაჯულების საქვეყნოობა, საქმეთა განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა. (დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით);

მართლმსაჯულების განხორციელება შეჯიბრებითობისა და პროცესში მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.

სასამართლო სისტემის ფორმირებაში აშკარაა (კონსტიტუციის „ფილოსოფიიდან" გამომდინარე) პრეზიდენტის განსაკუთრებული, გადამწყვეტი როლი.

ბელორუსის უზენაესი და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოების ყველა წევრს პრეზიდენტი ნიშნავს რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით, რაც არ შეიძლება, სერიოზული კრიტიკის საფუძველი იყოს, მაგრამ როდესაც კონსტიტუცია (84-ე მუხლის მე-11 პუნქტი) ადგენს, რომ რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი უფლებამოსილია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საკონსტიტუციო, უზენაესი და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს ყველა, თავმჯდომარის ჩათვლით, მოსამართლე, ზედმეტია მოსამართლეთა კონსტიტუციითვე დეკლარირებულ დამოუკიდებლობაზე საუბარი. ამ დასკვნას ვერანაირად ვერ შეარყევს კონსტიტუციის ის ნორმაც, რომლის შესაბამისად, პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ უნდა შეატყობინოს რესპუბლიკის საბჭოს.

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში ერთ-ერთი მათგანი უნდა ასრულებდეს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას. რესპუბლიკა ბელორუსში ამისათვის შექმნილია **რესპუბლიკა ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლო**. ქვეყნის კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ერთადერთი ფუნქცია — ნორმატიული აქტების კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება არის დადგენილი.[7] რესპუბლიკა ბელორუსის 1994 წლის კანონი „რესპუბლიკა ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ამის გარდა ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანებს: კონსტიტუციის უზენაესობისა და უშუალო მოქმედების უზრუნველყოფა, სამართალშემოქმედებაში კანონიერების დამკვიდრება.

ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლოში სულ 12 მოსამართლეა, რომელთაგან ექვსს ერთპიროვნულად რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს, ექვსს ირჩევს რესპუბლიკის საბჭო. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადაა — 11 წელი, ხელახალი გამწესების შესაძლებლობა არ არის გამორიც-

---

7 ჯერჯერობით წარუმატებელია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის გაფართოების წინადადება, მისთვის კონსტიტუციური უფლებების ღარღვევების შესახებ მოქალაქეთა სარჩელის, საარჩევნო დავების, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის შესახებ საკითხის განხილვის მინიჭების შესახებ. იხ. "Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии". М., 1998, стр. 50.

ხული, უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია 70 წლის ასაკის მიღწევა.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელი პირების გამწესების საკითხი: თავმჯდომარეს მოსამართლეთა შემადგენლობიდან, რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით, ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო მის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლო. ყურადსაღებია აგრეთვე „რესპუბლიკა ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონის მე-15 მუხლი, სადაც ხაზგასმულია, რომ პრეზიდენტს „ნებისმიერ დროს" შეუძლია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, თუნდაც იმ მოტივით, რომ თავმჯდომარის ქმედება ლახავს მოსამართლის ღირსებას, ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციას.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტს, წარმომადგენელთა პალატას, რესპუბლიკის საბჭოს, უზენაეს სასამართლოს, უმაღლეს სამეურნეო სასამართლოს, მინისტრთა საბჭოს. ამ სუბიექტების მიერ შეტანილი წინადადებების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს დასკვნა:

1) კანონების, ბელორუსის პრეზიდენტის დეკრეტებისა და ბრძანებულებების, რესპუბლიკა ბელორუსის საერთაშორისო ხელშეკრულების და სხვაგვარი ვალდებულებების რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციასთან, აგრეთვე რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შესახებ;

2) სახელმწიფოთაშორისი წარმონაქმნების, კანონის აღსრულების მიზნით პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებულებათა კონსტიტუციასთან, რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, აგრეთვე კანონებთან, დეკრეტებთან შესაბამისობის შესახებ;

3) რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს, გენერალური პროკურატურის აქტების რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციასთან, რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ;

4) ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოს აქტის კონსტიტუციასთან, რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს დასკვნას პარლამენტის პალატების (პალატის) მიერ კონსტიტუციის სისტემატური ან უხეში დარღვევის შესახებ, შესაბამისი დასკვნის მომზადებით მონაწილეობს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების მიზნით წამოწყებულ პროცედურაში — იმპიჩმენტში.

რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუცია

მიღებულია 1996 წლის 24 ნოემბერს

ჩვენ, რესპუბლიკა ბელორუსის ხალხი,

გამოვდივართ რა ბელორუსის აწმყოსა და მომავლის პასუხისმგებლობიდან,

ვაცნობიერებთ რა ჩვენს თავს მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიან სუბიექტად და ვადასტურებთ რა ჩვენს ერთგულებას საერთო — საკაცობრიო ღირებულებებისადმი,

ვეყრდნობით რა თვითგამორკვევის ჩვენს შეუვალ უფლებას, ბელორუსული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას,

ვისწრაფვით რა, განვამტკიცოთ რესპუბლიკა ბელორუსის ყოველი მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები,

გვსურს რა, უზრუნველვყოთ სამოქალაქო თანხმობა, ხალხის ძალაუფლებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ურყევი საფუძვლები,

ვიღებთ წინამდებარე კონსტიტუციას — რესპუბლიკა ბელორუსის ძირითად კანონს.

კარი I
კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები

მუხლი 1

რესპუბლიკა ბელორუსი უნიტარული, დემოკრატიული, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოა.

რესპუბლიკა ბელორუსს თავის ტერიტორიაზე აქვს უზენაესობა, იგი ფლობს სრულ ხელისუფლებას და დამოუკიდებლად ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

რესპუბლიკა ბელორუსი იცავს თავის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, კონსტიტუციურ წესწყობილებას, უზრუნველყოფს კანონიერებასა და მართლწესრიგს.

მუხლი 2

ადამიანი, მისი უფლებები, თავისუფლებები და მათი რეალიზაციის გარანტიები საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი ფასეულობა და მიზანია.

სახელმწიფო პასუხისმგებელია მოქალაქის წინაშე პიროვნების თავისუფალი და ღირსეული განვითარებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. მოქალაქე პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე კონსტიტუციით მასზე დაკისრებული მოვალეობების განუხრელი შესრულებისათვის.

მუხლი 3

რესპუბლიკა ბელორუსში სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყარო და სუვერენიტეტის მფლობელი არის ხალხი. ხალხი ახორციელებს

თავის ძალაუფლებას უშუალოდ წარმომადგენლობითი და სხვა ორგანოების მეშვეობით კონსტიტუციით დადგენილ ფორმებსა და ფარგლებში.

კონსტიტუციური წესწყობილების შეცვლისა და სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებისაკენ მიმართული ყველა მოქმედება ძალადობრივი მეთოდებით, აგრეთვე რესპუბლიკა ბელორუსის კანონთა სხვაგვარი დარღვევით სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდება ისჯება კანონის თანახმად.

მუხლი 4

რესპუბლიკა ბელორუსში დემოკრატია ხორციელდება პოლიტიკური ინსტიტუტების, იდეოლოგიებისა და აზრთა მრავალფეროვნების საფუძველზე.

პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სოციალური ჯგუფების იდეოლოგია არ შეიძლება მოქალაქეთათვის დადგენილ იქნეს როგორც სავალდებულო.

მუხლი 5

პოლიტიკური პარტიები, სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც მოქმედებენ ბელორუსის კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში, ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლინებასა და გამოხატვას, მონაწილეობენ არჩევნებში.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს უფლება აქვთ, ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით.

აკრძალულია ისეთი პოლიტიკური პარტიების, ასევე სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების დაფუძნება და საქმიანობა, რომელთა მიზანია კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი შეცვლა ან ისეთების, რომლებიც ეწევიან ომის, სოციალური, ნაციონალური, რელიგიური და რასობრივი შუღლის პროპაგანდას.

მუხლი 6

რესპუბლიკა ბელორუსის სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე მისი დანაწილების საფუძველზე. თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში სახელმწიფო ორგანოები დამოუკიდებელნი არიან: ისინი ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებენ, აოკებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს.

მუხლი 7

რესპუბლიკა ბელორუსში დგინდება სამართლის უზენაესობის პრინციპი.

სახელმწიფო, მისი ყველა ორგანო და თანამდებობის პირი მოქმედებს კონსტიტუციისა და მასთან შესაბამისობით მიღებული კანონმდებლობის აქტების ფარგლებში.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონსტიტუციის დებულებებთან შეუსაბამოდ ცნობილ სამართლებრივ აქტებს ან აქტების ცალკეულ დებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.

სახელმწიფო ორგანოთა ნორმატიული აქტები უნდა გამოქვეყნდეს, ან კანონით დადგენილი სხვა წესით ეცნობოს მოსახლეობას.

მუხლი 8

რესპუბლიკა ბელორუსი ცნობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პრიორიტეტს და უზრუნველყოფს მათთან კანონმდებლობის შესაბამისობას.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, რესპუბლიკა ბელორუსს ნებაყოფლობით საფუძველზე შეუძლია, შევიდეს და გამოვიდეს სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებებიდან.

დაუშვებელია ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, რომლებიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგებიან.

მუხლი 9

რესპუბლიკა ბელორუსის ტერიტორია არის ხალხის არსებობის ბუნებრივი პირობა და მისი თვითგამორკვევის სიერცობრივი ფარგლები, მისი კეთილდღეობისა და რესპუბლიკა ბელორუსის სუვერენიტეტის საფუძველი.

ბელორუსის ტერიტორია ერთიანი და განუსხვისებელია. ტერიტორია იყოფა ოლქებად, რაიონებად, ქალაქებად და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 10

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქისათვის გარანტირებულია სახელმწიფოს მფარველობა და დაცვა როგორც ბელორუსის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

დაუშვებელია რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეობის ან მოქალაქეობის შეცვლის უფლების ჩამორთმევა.

დაუშვებელია რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, თუ რესპუბლიკა ბელორუსის საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოქალაქეობის შეძენა თუ დაკარგვა ხორციელდება კანონის შესაბამისად.

მუხლი 11

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები რესპუბლიკა ბელორუსის ტერიტორიაზე რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეების თანაბრად ფლობენ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასრულებენ მოვალეობებს, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული კონსტიტუციით, კანონით და საერთაშორისო ხელშეკრულებით.

მუხლი 12

რესპუბლიკა ბელორუსს შეუძლია თავშესაფრის უფლება მისცეს იმ

პირებს, ვინც სხვა სახელმწიფოებში იდევნება პოლიტიკური, რელიგიური მრწამსისა ან ეროვნული კუთვნილების გამო.

მუხლი 13

საკუთრება შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო. სახელმწიფო ყველას აძლევს სამეურნეო ან სხვა, საქმიანობის განხორციელების თანაბარ უფლებას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული და ქმნის ყველა ფორმის საკუთრების თანაბარი პირობების დაცვისა და განვითარების გარანტიებს.

სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციის განვითარებას. სამეწარმეო და იმ სხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელიც კანონით არ არის აკრძალული, სახელმწიფო ყველას აძლევს უნარ — ჩვევებისა და ქონების თავისუფლად გამოყენების თანაბარი შესაძლებლობების გარანტიას.

ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას სახელმწიფო ახორციელებს ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, იგი უზრუნველყოფს სოციალური მიზნებისათვის სახელმწიფო და კერძო ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებას და კოორდინაციას.

წიაღი, წყლები, ტყეები — მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენენ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სახელმწიფო საკუთრებაშია.

კანონით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე სხვა ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება იყოს, კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს ობიექტების სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლის განსაკუთრებული წესი, აგრეთვე დადგინდეს საქმიანობის ცალკეული სახეების მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელების უფლება.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისა და ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური დონის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო აძლევს მშრომელებს მათ მართვაში მონაწილეობის უფლების გარანტიას.

მუხლი 14

სოციალურ, ნატურალურ და სხვა ერთობათა შორის ურთიერთობებს სახელმწიფო არეგულირებს მათი უფლებებისა და პატივისცემის, კანონის წინაშე მათი თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

სოციალურ-შრომით სფეროში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, დამქირავებელთა გაერთიანებებისა და პროფესიული კავშირების ურთიერთობები ხორციელდება სოციალური პარტნიორებისა და მხარეთა ურთიერთმოქმედების პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 15

სახელმწიფო პასუხისმგებელია რესპუბლიკა ბელორუსში მცხოვრები ყველა ეროვნული ერთობის ისტორიულ-კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მათი კულტურის თავისუფალ განვითარებაზე.

მუხლი 16

ყველა რელიგია და სარწმუნოება თანასწორია კანონის წინაშე. ურთიერთობები სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციათა შორის რეგულირდება კანონით ბელორუსი ხალხის სულიერი, კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების ჩამოყალიბებაზე გავლენის გათვალისწინებით.

იკრძალება რელიგიური ორგანიზაციების, მათი ორგანოებისა და წარმომადგენლების საქმიანობა, რომელიც მიმართულია რესპუბლიკა ბელორუსის სუვერენიტეტის, მისი კონსტიტუციური წყობილებისა და სამოქალაქო თანხმობის წინააღმდეგ ან დაკავშირებულია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან, აგრეთვე ხელს უშლის მოქალაქეების მიერ მათი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ოჯახური მოვალეობების შესრულებას ან ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას და ზნეობას.

მუხლი 17

რესპუბლიკა ბელორუსში სახელმწიფო ენებია ბელორუსული და რუსული.

მუხლი 18

საგარეო პოლიტიკაში რესპუბლიკა ბელორუსი გამოდის სახელმწიფოთა თანასწორობის, ძალის გამოყენებაზე ან ძალის მუქარაზე უარის თქმის, საზღვრების ურყეობის, დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან.

რესპუბლიკა ბელორუსი მიზნად ისახავს, თავის ტერიტორია აქციოს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად, ხოლო სახელმწიფო — ნეიტრალურად.

მუხლი 19

რესპუბლიკა ბელორუსის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს. სიმბოლოები არის მისი სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო გერბი და სახელმწიფო ჰიმნი.

მუხლი 20

რესპუბლიკა ბელორუსის დედაქალაქია მინსკი. ქალაქ მინსკის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

კარი II
პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო

მუხლი 21

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია.

ყველას აქვს ცხოვრების ღირსეული დონის უფლება, რომელიც შეიცავს

საკმარისი კვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლისა და ამისათვის საჭირო პირობათა გამუდმებულ გაუმჯობესებას.

სახელმწიფო იძლევა კონსტიტუციით, კანონით განმტკიცებული და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებით გათვალისწინებულ ბელორუსის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას.

მუხლი 22

ყველა თანასწორია კანონის წინაშე. ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ყველას აქვს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თანაბარი დაცვის უფლება.

მუხლი 23

პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

არავის შეუძლია, სარგებლობდეს ისეთი უპირატესობებითა და პრივილეგიებით, რომელიც კანონთან წინააღმდეგობაშია.

მუხლი 24

ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. სახელმწიფო იცავს ადამიანის სიცოცხლეს ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

სიკვდილით დასჯა მის გაუქმებამდე შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონის შესაბამისად, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ზომა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მხოლოდ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე.

მუხლი 25

სახელმწიფო უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, ხელშეუხებლობასა და ღირსებას. პირადი თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა დასაშვებია კანონით დადგენილი წესითა და შემთხვევებში. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს მისი დაკავების ან დაპატიმრების კანონიერების სასამართლოს მიერ გადამოწმების უფლება.

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს, აგრეთვე მისი თანხმობის გარეშე სამედიცინო ან სხვაგვარი ექსპერიმენტების ჩატარებას.

მუხლი 26

არავინ შეიძლება გამოცხადდეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, თუ მისი ბრალი კანონით განსაზღვრული წესით არ იქნება დამტკიცებული და დადგენილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ბრალეული არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავის უდანაშაულობა.

მუხლი 27

დაუშვებელია ვინმეს იძულება მისცეს თავისი, მისი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების საწინააღმდეგო ჩვენებები და ახსნა-განმარტებები. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

მუხლი 28

ყველას აქვს მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევისაგან, მათ შორის მისი კორესპონდენციის, სატელეფონო ან სხვაგვარ შეტყობინებათა საიდუმლოს, მისი პატივისა და ღირსების ხელყოფისაგან დაცვის უფლება.

მუხლი 29

გარანტირებულია მოქალაქეთა საცხოვრებლისა და სხვა კანონიერი ადგილ-მამულის ხელშეუხებლობა. არავის აქვს უფლება, კანონიერი საფუძვლის გარეშე შევიდეს მოქალაქის საცხოვრებელში ან სხვა კანონიერ ადგილ-მამულში მისი ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 30

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს აქვთ რესპუბლიკა ბელორუსის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის, მისი ტერიტორიიდან გასვლის და დაბრკოლების გარეშე უკან დაბრუნების უფლება.

მუხლი 31

ყველას აქვს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად, სწამდეს ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეს არც ერთი, გამოხატოს და გაავრცელოს რელიგიასთან მიმართებაში თავისი მრწამსი, მონაწილეობდეს იმ რელიგიური რიტუალების, წეს-ჩვეულებების აღსრულებაში, რომლებიც კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 32

ქორწინება, ოჯახი, დედობა, მამობა და ბავშვები სახელმწიფოს დაცვის ქვეშ არიან. საქორწინო ასაკის მიღწევისას ქალსა და მამაკაცს უფლება აქვთ, დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ოჯახურ ურთიერთობებში მეულლეები თანასწორუფლებიანები არიან.

მშობლები ან პირები, ვინც მშობლებს ცვლის, უფლებამოსილნი და იმავდროულად მოვალენი არიან, გაზარდონ შვილები, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და სწავლაზე. დაუშვებელია ბავშვის სასტიკი მოპყრობა ან დამცირება, მისი ისეთ სამუშაოებზე დასაქმება, რომელთაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მათ ფიზიკურ, გონებრივ ან ზნეობრივ განვითარებას. შვილები უნდა ზრუნავდნენ მშობლებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც მშობლების მაგივრობას ასრულებენ და დახმარება აღმოუჩინონ მათ.

შვილების მოშორება ოჯახიდან მშობლების ან იმ პირების, რომლებიც მშობლების მაგივრობას ასრულებენ, ნების საწინააღმდეგოდ, დასაშვებია მხო-

ლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მშობლები ან ის პირები, რომლებიც მშობლების მაგივრობას გაწევენ, არ ასრულებენ თავის მოვალეობებს.

ქალებისათვის უზრუნველყოფილია მამაკაცთან თანაბარი შესაძლებლობები განათლების მიღების, პროფესიული მომზადების, შრომითი საქმიანობის, საძსახურში დაწინაურების, საზოგადოებრივ — პოლიტიკურ, კულტურულ და საქმიანობის სხვა სფეროებში, აგრეთვე უზრუნველყოფილია მათი შრომისა და ჯანმრთელობის დაცვა.

ახალგაზრდობისათვის გარანტირებულია სულიერი, ზნეობრივი და ფიზიკური განვითარების უფლება.

პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში ახალგაზრდობის თავისუფალი და ეფექტური მონაწილეობისათვის სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს.

მუხლი 33

ყველასათვის გარანტირებულია აზრისა და მრწამსის, აგრეთვე მათი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება.

არ შეიძლება არავის იძულება, გამოთქვას თავისი რწმენა ან უარი თქვას მასზე.

სახელმწიფოს, საზოგადოებრივი გაერთიანებების ან ცალკეული მოქალაქეების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია, აგრეთვე ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 34

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეთათვის გარანტირებულია უფლება - მიიღონ, შეინახონ და გაავრცელონ სრული, სარწმუნო და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შესახებ, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საერთაშორისო ცხოვრების, გარემოს მდგომარეობის შესახებ.

სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, მისცენ რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეს შესაძლებლობა, გაეცნოს იმ მასალებს, რომლებიც მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ეხება.

კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს ინფორმაციით სარგებლობა მოქალაქეთა პატივის, ღირსების, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვისა და მათ მიერ თავისი უფლებების სრულად განხორციელების მიზნით.

მუხლი 35

შეკრებების, მიტინგების, მსელელობების, დემონსტრაციებისა და პიკეტირების თავისუფლება, თუ ამით არ ირღვევა მართლწესრიგი და არ ილახება რესპუბლიკა ბელორუსის სხვა მოქალაქეთა უფლებები, გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 36

ყველას აქვს გაერთიანების თავისუფლების უფლება. მოსამართლეები,

პროკურატურის მუშაკები, შინაგან საქმეთა ორგანოების, სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის, უშიშროების ორგანოების თანამშრომლები და სამხედრო მოსამსახურეები არ შეიძლება, იყვნენ პოლიტიკური პარტიებისა და სხვა პოლიტიკური მიზნების მქონე საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრები.

მუხლი 37

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობდნენ სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში როგორც უშუალოდ, ასევე მათ მიერ თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში უზრუნველყოფილია რეფერენდუმების ჩატარებით, კანონ-პროექტების, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვით, აგრეთვე კანონით განსაზღვრული სხვა საშუალებებით.

მუხლი 38

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს უფლება აქვთ, თავისუფლად აირჩიონ და არჩეული იყვნენ სახელმწიფო ორგანოებში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი ან ირიბი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 39

თავისი ნიჭისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად, რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს აქვთ ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თანაბარი უფლება.

მუხლი 40

ყველას შეუძლია შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებში პირადი ან კოლექტიური მიმართვები.

სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, განიხილონ მიმართვა და გასცენ არსებითი პასუხი კანონით განსაზღვრულ ვადაში. მიღებული განცხადების განხილვაზე უარის თქმა მოტივირებული უნდა იყოს წერილობით.

მუხლი 41

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებისათვის გარანტირებულია შრომის უფლება, როგორც ადამიანის თვითაღიარების ღირსეული საშუალება, ანუ პროფესიის, საქმიანობის სახეობისა და სამუშაოს არჩევის უფლება მოწოდების, ნიჭის, განათლების, პროფესიული მომზადების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, აგრეთვე შრომის, ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების უფლება.

სახელმწიფო ქმნის მოსახლეობის სრული დასაქმების პირობებს. თუ პირი არ არის დასაქმებული მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მისთვის გარანტირებულია ახალი სპეციალობების შესწავლა და კვალიფიკაცი-

ის ამაღლება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, აგრეთვე უმუშევრობის დახმარება.

კანონის შესაბამისად, მოქალაქეებს აქვთ თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვის უფლება, მათ შორის პროფესიულ კავშირებში გაერთიანებების და კოლექტიური ხელშეკრულებების დადების, აგრეთვე გაფიცვის უფლება.

იკრძალება იძულებითი შრომა გარდა სამუშაოსი ან სამსახურისა, რომელიც დადგენილია სასამართლოს განაჩენით ან საგანგებო და საომარი მდგომარეობის შესახებ კანონით.

მუხლი 42

დაქირავებული მუშაკებისათვის გარანტირებულია შრომის ეკონომიკური შედეგების გასამრჯელოს სამართლიანი წილი შრომის ოდენობის, ხარისხისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ იმ დონისა, რომელიც უზრუნველყოფს მათი და მათი ოჯახების თავისუფალ და ღირსეულ არსებობას.

ქალებსა და მამაკაცებს, მოზრდილებსა და არასრულწლოვანებს თანაბარი ღირებულებების შრომისათვის აქვთ თანაბარი გასამრჯელოს უფლება.

მუხლი 43

მშრომელებს აქვთ დასვენების უფლება. დაქირავებული მუშაკებისათვის ეს უფლება უზრუნველყოფილია სამუშაო კვირის დადგენით, რომლის ხანგრძლივობა 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს, აგრეთვე ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობით, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების მიცემითა და ყოველკვირეული დასვენების დღეების დადგენით.

მუხლი 44

სახელმწიფო ყველას უქმნის საკუთრების უფლების გარანტიას და ხელს უწყობს მის შეძენას.

მესაკუთრეს აქვს ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვა პირებთან ერთობლივად. საკუთრების ხელშეუხებლობა, მისი მემკვიდრეობით მიღების უფლება ხელშეუხებელია.

კანონიერი გზით მოპოვებულ საკუთრებას იცავს სახელმწიფო.

სახელმწიფო ახალისებს და იცავს მოქალაქეთა დანაზოგებს, ქმნის ანაბრების დაბრუნების პირობებს.

ქონების იძულებითი გასხვისება დაშვებულია მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროების მოტივით, კანონით განსაზღვრული პირობებისა და წესის დაცვით, გასხვისებული ქონების ღირებულების სრული და დროული კომპენსაციითა და სასამართლოს დადგენილების თანახმად.

საკუთრების უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ სარგებელსა და უსაფრთხოებას, არ უნდა აყენებდეს ზიანს გარემოს, ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს და არ ლახავდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

მუხლი 45

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებისათვის გარანტირებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება ჯანდაცვის სახელმწიფო დაწესებულებებში უფასო მკურნალობის ჩათვლით.

ყველა მოქალაქისათვის სახელმწიფო ქმნის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების პირობებს.

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლება უზრუნველყოფილია აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით, გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებებით, გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა სარგებლობის შესაძლებლობით, შრომის დაცვის სრულყოფით.

მუხლი 46

ყველას აქვს ხელსაყრელი გარემოს უფლება და ამ უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

ცხოვრების პირობების დაცვისა და გაუმჯობესების, გარემოს დაცვისა და აღდგენის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კონტროლს.

მუხლი 47

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეთათვის გარანტირებულია სოციალური უზრუნველყოფის უფლება ხანდაზმულობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, შრომისუნარიანობის, მარჩენალის დაკარგვისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სახელმწიფო განსაკუთრებულად ზრუნავს ომისა და შრომის ვეტერანებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც ჯანმრთელობა დაკარგეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისას.

მუხლი 48

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო და კერძო საბინაო ფონდის განვითარებით, მოქალაქეების მიერ საცხოვრებლის შეძენის ხელშეწყობით.

მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას, საცხოვრებელი მიეცემათ უფასოდ ან მათთვის ხელმისაწვდომ ფასებში სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად.

არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას საცხოვრებელი.

მუხლი 49

ყველას აქვს განათლების უფლება. გარანტირებულია საერთო საშუალო და პროფესიულ — ტექნიკური განათლების ხელმისაწვდომობა და უფასობა.

საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია ყველასათვის ყოველის ნიჭის შესაბამისად. ყველას შეუძლია, კონკურსის საფუძველზე, უფასოდ მიიღოს შესაბამისი უმაღლესი განათლება სახელმწიფო სახწავლო დაწესებულებაში.

მუხლი 50

ყველას აქვს თავისი ეროვნული კუთვნილების შენარჩუნების უფლება, ასევე არავინ შეიძლება აიძულო, განსაზღვროს და მიუთითოს ეროვნული კუთვნილება.

ეროვნული ღირსების შეურაცხყოფა იდევნება კანონის თანახმად.

ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს მშობლიური ენით, აირჩიოს ურთიერთობათა ენა. კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქმნის აღზრდისა და სწავლების ენის შერჩევის თავისუფლების გარანტიას.

მუხლი 51

ყველას აქვს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული სამამულო და მსოფლიო კულტურის ფასეულობათა საყოველთაო ხელმისაწვდომობით, კულტურულ — საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებით.

გარანტირებულია სამხატვრო, სამეცნიერო, ტექნიკური შემოქმედებისა და სწავლების თავისუფლება.

ინტელექტუალურ საკუთრებას იცავს კანონი. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის, სამეცნიერო და ტექნიკურ კვლევათა განვითარებას საერთო ინტერესების საკეთილდღეოდ.

მუხლი 52

ყველა, ვინც იმყოფება რესპუბლიკა ბელორუსის ტერიტორიაზე, ვალდებულია, დაიცვას მისი კონსტიტუცია, კანონები და პატივი სცეს მის ეროვნულ ტრადიციებს.

მუხლი 53

ყველა ვალდებულია, პატივი სცეს სხვა პირთა ღირსებას, უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 54

ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ისტორიულ-კულტურულ, სულიერ მემკვიდრეობასა და სხვა ეროვნულ ღირებულებებს.

მუხლი 55

გარემოს დაცვა ყოველი ადამიანის მოვალეობაა.

მუხლი 56

რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეები ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში სახელმწიფო გადასახადების, ბაჟისა და სხვა გადასახადების გადახდის გზით.

მუხლი 57

რესპუბლიკა ბელორუსის დაცვა რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქის

წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

სამხედრო სამსახურის გავლა, სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების ან მისი ალტერნატიულით შეცვლის საფუძვლები და პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 58

არ შეიძლება არავის იძულება, შეასრულოს ის მოვალეობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციითა და მისი კანონებით, ან უარი თქვას თავის უფლებებზე.

მუხლი 59

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ღონისძიება საშინაო და საერთაშორისო წესრიგის დასამყარებლად, რომელიც აუცილებელია რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეების მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების სრულად განხორციელებისათვის.

სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის და სხვა პირები, რომელთაც ეკისრებათ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელება, ვალდებულნი არიან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა პიროვნების უფლებისა და თავისუფლებების განხორციელებისა და დაცვისათვის.

ეს ორგანოები და პირები პასუხს აგებენ იმ ქმედებებისათვის, რომელიც პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს.

მუხლი 60

ყველასათვის გარანტირებულია მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, კანონით განსაზღვრულ ვადებში.

თავისი უფლებების, თავისუფლებების, სახელისა და ღირსების დასაცავად, კანონის შესაბამისად, მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან, სასამართლო წესით გადაახდევინონ მიყენებული როგორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება.

მუხლი 61

რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუ ამოწურულია სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

მუხლი 62

თავისი უფლებისა და თავისუფლებების განხორციელებისა და დაცვისათვის ყველას აქვს იურიდიული დახმარების უფლება, მათ შორის უფლება, ნებისმიერ დროს ისარგებლოს ადვოკატისა და თავისი სხვა წარმომადგენლის დახმარებით სასამართლოში, სხვა სახელმწიფო ორგანოში, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოებში, საწარმოებსა, დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, თანამდებობის პირებთან თუ მოქალაქეებთან ურთიერთობაში. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარება გაწეული იქნება სახელმწიფო სახსრების ხარჯზე.

რესპუბლიკა ბელორუსში სამართლებრივი დახმარებისათვის წინააღმდეგობის გაწევა აკრძალულია.

მუხლი 63

წინამდებარე კონსტიტუციით გათვალისწინებული პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განსაკუთრებული ზომების განხორციელებისას დაუშვებელია კონსტიტუციის 24-ე მუხლით, 25-ე მუხლის მესამე ნაწილით, 26-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა.

კარი III
საარჩევნო სისტემა. რეფერენდუმი

თავი 1. საარჩევნო სისტემა

მუხლი 64

დეპუტატებისა და სხვა პირების არჩევნები, რომლებსაც ხალხი სახელმწიფო თანამდებობებზე ირჩევს, საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვთ 18 წლის ასაკს მიღწეულ რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეებს.

არჩევნებში არ მონაწილეობენ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი მოქალაქეები, აგრეთვე ის პირი, ვინც სასამართლო განაჩენის საფუძველზე იმყოფება სასჯელ-აღსრულების დაწესებულებაში. კენჭისყრაში არ მონაწილეობენ ის პირები, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით აღმკვეთ ღონისძიებად შერჩეულია პატიმრობა. სხვა შემთხვევაში მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ნებისმიერი პირდაპირი თუ ირიბი შეზღუდვა დაუშვებელია და კანონის შესაბამისად ისჯება.

დეპუტატებისა და სახელმწიფო თანამდებობებზე ასარჩევი სხვა პირების ასაკობრივი ცენზები შესაბამისი კანონებით განისაზღვრება, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 65

არჩევნები თავისუფალია: ამომრჩეველი თავად წყვეტს, მიიღოს თუ არა არჩევნებში მონაწილეობა და ვის მისცეს ხმა. არჩევნების მომზადება და ჩატარება მიმდინარეობს ღიად და საჯაროდ.

მუხლი 66

არჩევნები თანასწორია: ამომრჩევლებს თანაბარი ხმები აქვთ.

სახელმწიფო თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატები არჩევნებში თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 67

დეპუტატების არჩევნები პირდაპირია: დეპუტატებს უშუალოდ ამომრჩევლები ირჩევენ.

მუხლი 68

კენჭისყრა ფარულია: იკრძალება კენჭისყრის დროს ამომრჩეველთა ნების გამოხატვაზე კონტროლის განხორციელება.

მუხლი 69

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება ეკუთვნის საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით კოლექტივებსა და მოქალაქეებს, კანონის შესაბამისად.

მუხლი 70

არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, სახელმწიფო იღებს თავის თავზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ხარჯების დაფარვა შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საშუალებების ხარჯზე.

მუხლი 71

არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება რესპუბლიკა ბელორუსის კანონებით.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში არჩევნები არ ტარდება.

მუხლი 72

დეპუტატთა გაწვევა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრა ტარდება დეპუტატის არჩევისათვის დადგენილი წესით, შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის ინიციატივით.

რესპუბლიკის საბჭოს წევრთა გაწვევის საფუძვლები და წესი განისაზღვრება კანონით.

თავი 2. რეფერენდუმი (სახალხო კენჭისყრა)

მუხლი 73

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკით-

ხთა გადასაწყვეტად შეიძლება, ჩატარდეს რესპუბლიკური ან ადგილობრივი რეფერენდუმები.

მუხლი 74

რესპუბლიკური რეფერენდუმები ინიშნება რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით, აგრეთვე წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს წინადადებით, რომელიც მათ მიერ ცალ-ცალკეა მიღებული თითოეული პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ან საარჩევნო უფლების მქონე 450 ათასი მოქალაქის წინადადებით, რომელთა შორის ყოველი ოლქიდან და ქალაქ მინსკიდან იქნება არანაკლებ ოცდაათ-ოცდაათი ათასი მოქალაქისა.

რეფერენდუმის ჩატარების შესახებ კანონის შესაბამისად, წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს, ან მოქალაქეთა წინადადების მიღების შემდეგ პრეზიდენტი ნიშნავს რესპუბლიკურ რეფერენდუმს.

რეფერენდუმის გამართვის თარიღი დგინდება არა უგვიანეს სამი თვისა რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემის დღიდან.

რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ხელს აწერს რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი.

მუხლი 75

ადგილობრივი რეფერენდუმები ინიშნება შესაბამისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ საკუთარი ინიციატივით ან შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები და საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ათი პროცენტის ინიციატივით.

მუხლი 76

რეფერენდუმები ტარდება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყროთ.

რეფერენდუმებში მონაწილეობენ საარჩევნო უფლების მქონე რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეები.

მუხლი 77

რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება ან გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, თუ რეფერენდუმზე სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

მუხლი 78

რესპუბლიკური და ადგილობრივი რეფერენდუმების ჩატარების წესი, აგრეთვე იმ საკითხთა ნუსხა, რომელიც არ შეიძლება გატანილ იქნეს რეფერენდუმზე, განისაზღვრება რესპუბლიკა ბელორუსის კანონით.

კარი IV
პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო

თავი 3. რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი

მუხლი 79

რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის, მოქალაქისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი.

პრეზიდენტი განასახიერებს ხალხის ერთიანობას, იძლევა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის გარანტიას, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში წარმოადგენს რესპუბლიკა ბელორუსს. პრეზიდენტი იღებს რესპუბლიკა ბელორუსის სუვერენიტეტის, მისი ეროვნული ურთიერთობებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის საჭირო ზომებს, უზრუნველყოფს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მემკვიდრეობასა და ურთიერთმოქმედებას, ახორციელებს შუამავლობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის.

პრეზიდენტი ხელშეუხებელია, მისი ღირსება კანონით არის დაცული.

მუხლი 80

პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით რესპუბლიკა ბელორუსის, არანაკლებ 35 წლის ასაკის, საარჩევნო უფლების მქონე, უშუალოდ არჩევნებამდე რესპუბლიკა ბელორუსში მუდმივად ათი წელი მცხოვრები მოქალაქე.

მუხლი 81

პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლის ვადით უშუალოდ რესპუბლიკა ბელორუსის ხალხის მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

პრეზიდენტის თანამდებობის კანდიდატებს წარადგენენ რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეები ამომრჩეველთა სულ ცოტა 100 ათასი ხელმოწერის არსებობისას. პრეზიდენტის არჩევნები ინიშნება წარმომადგენელთა პალატის მიერ წინა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს ხუთი თვისა და უნდა ჩატარდეს ამ ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს ორი თვის ვადაში.

თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური აღმოჩნდა, არჩევნები ტარდება ვაკანსიის გახსნის დღიდან არა უმეტეს 30 და არა უგვიანეს 70 დღისა.

მუხლი 82

არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეტანილ რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა.

პრეზიდენტი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა არჩევნებში მონ-

აწილე რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა.

თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ამომრჩეველთა ხმების საჭირო რაოდენობა, ორკვირიან ვადაში ტარდება კენჭისყრის მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო. არჩეულად ჩაითვლება პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელმაც განმეორებითი კენჭისყრის დროს მიიღო კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი ხმა.

პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება რესპუბლიკა ბელორუსის კანონით.

მუხლი 83

პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს შემდეგი შინაარსის ფიცის დადების შემდეგ:

„ვიკავებ რა რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო რესპუბლიკა ბელორუსის ხალხს, პატივი ვცე და დავიცვა ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, აღვასრულო და დავიცვა რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუცია, წმინდად და კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემზე დაკისრებული მაღალი მოვალეობანი.”

ფიცის დადება ხდება საზეიმო ვითარებაში წარმომადგენელთა პალატის დეპუტატების, რესპუბლიკის საბჭოს წევრების, საკონსტიტუციო, უზენაესი და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოების მოსამართლეთა თანდასწრებით, პრეზიდენტის არჩევის დღიდან არა უგვიანეს ორი თვის ვადაში. ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან წინა პრეზიდენტს უფლებამოსილება უწყდება.

მუხლი 84

რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი:

1) ნიშნავს რესპუბლიკურ რეფერენდუმებს;

2) ნიშნავს წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოსა და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგ და რიგგარეშე არჩევნებს;

3) კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით დაითხოვს პალატებს;

4) ნიშნავს არჩევნების ჩატარებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმების მომწყობი ცენტრალური კომისიის ექვს წევრს;

5) ქმნის, აუქმებს და რეორგანიზებას უწევს რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებს, აგრეთვე პრეზიდენტთან არჩეულ საკონსულტაციო-სათათბირო და სხვა ორგანოებს;

6) წარმომადგენელთა პალატის თანხმობით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე;

7) განსაზღვრავს რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობის სტრუქტურას, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, მინისტრებსა და მთავრობის სხვა წევრებს, იღებს გადაწყვეტილე-

ბას მთავრობის ან მისი წევრების გადაყენების შესახებ;

8) რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით, ამ სასამართლოს წევრთაგან ერთ-ერთს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე;

9) რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით, ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობებზე, არჩევნების ჩატარებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმების მომწყობი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის თავმჯდომარესა და გამგეობის წევრებს;

10) ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს წევრს, რესპუბლიკა ბელორუსის სხვა მოსამართლეებს;

11) კანონით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას და რესპუბლიკის საბჭოს შეტყობინებით, თანამდებობიდან ათავისუფლებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, არჩევნების ჩატარებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმების მომწყობი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის თავმჯდომარესა და მისი გამგეობის წევრებს;

12) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს;

13) მიმართავს რესპუბლიკა ბელორუსის ხალხს სახელმწიფოში არსებული მდგომარეობისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ;

14) ყოველწლიური წერილით მიმართავს პარლამენტს; მიმართვა წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს სხდომებზე მოისმინება განხილვის გარეშე; უფლებამოსილია, მიიღოს მონაწილეობა პარლამენტისა და მისი ორგანოების მუშაობაში, ნებისმიერ დროს გამოვიდეს მათ წინაშე სიტყვით ან მოკლე ინფორმაციით;

15) უფლებამოსილია, თავმჯდომარეობდეს რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობის სხდომებს;

16) ნიშნავს სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელებს და განსაზღვრავს მათ სტატუსს; ნიშნავს პრეზიდენტის წარმომადგენლებს პარლამენტში და სხვა თანამდებობის პირებს, რომელთა თანამდებობები გათვალისწინებულია კანონმდებლობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით;

17) წყვეტს რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქეობაში მიღების, მისი შეწყვეტისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

18) აწესებს სახელმწიფო დღესასწაულებს, უქმე დღეებს; ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, საკლასო ჩინებსა და წოდებებს;

19) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

20) აწარმოებს მოლაპარაკებებსა და ხელს აწერს საერთაშორისო

ხელშეკრულებებს, ნიშნავს და გამოიწვევს რესპუბლიკა ბელორუსის დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვა სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

21) იღებს მასთან აკრედიტებულ სხვა სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს;

22) სტიქიური უბედურების, კატასტროფების, აგრეთვე უწესრიგობების შემთხვევაში, რომელთაც თან მოსდევს ძალადობა ან ძალადობის მუქარა პირთა ჯგუფის ან ორგანიზაციათა მხრიდან, რის შედეგადაც საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას რესპუბლიკა ბელორუსის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება სამდღიან ვადაში შეაქვს დასამტკიცებლად რესპუბლიკის საბჭოში;

23) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილია, გადაავადოს გაფიცვის ჩატარება ან შეაჩეროს იგი, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის ვადისა;

24) ხელს აწერს კანონებს; უფლებამოსილია, კონსტიტუციით დადგენილი წესით, თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს წარმომადგენელთა პალატას კანონი ან მისი ცალკეული დებულებები;

25) უფლებამოსილია, გააუქმოს მთავრობის აქტები;

26) უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ კანონმდებლობის შესრულებაზე; უფლებამოსილია, შეაჩეროს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები, აგრეთვე უფლება აქვს, გააუქმოს ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები, თუ თვლის, რომ ეს გადაწყვეტილებები კანონმდებლობასთან შეუსაბამოა;

27) ქმნის და მეთაურობს რესპუბლიკა ბელორუსის უშიშროების საბჭოს: თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უშიშროების საბჭოს სახელმწიფო მდივანს;

28) არის რესპუბლიკა ბელორუსის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი; ნიშნავს თანამდებობებზე და თანამდებობებიდან ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების უმაღლეს ხელმძღვანელობას;

29) შეიარაღებული თავდასხმის ან სამხედრო მუქარის შემთხვევებში რესპუბლიკა ბელორუსის ტერიტორიაზე შემოიღებს საომარ მდგომარეობას, აცხადებს სრულ ან ნაწილობრივ მობილიზაციას და სამდღიან ვადაში შეაქვს ეს გადაწყვეტილებები დასამტკიცებლად რესპუბლიკის საბჭოში;

30) ახორციელებს მასზე კონსტიტუციითა და კანონებით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 85

კონსტიტუციის შესაბამისად და მის საფუძველზე პრეზიდენტი გამოსცემს რესპუბლიკა ბელორუსის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს. უშუალოდ ან თანამდებობრივი ორგანოების მეშვეობით პრეზიდენტი უზრუნველყოფს მის მიერ გაცემული განკარგულებების აღსრულებას.

მუხლი 86

პრეზიდენტს არ შეუძლია ეკავოს სხვა თანამდებობები, თავისი ხელფასის გარდა მიიღოს სხვა ფულადი გასამრჯელო, გარდა ჰონორარებისა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებისათვის.

უფლებამოსილებათა მთელი ვადის განმავლობაში პრეზიდენტი შეაჩერებს თავის წევრობას პოლიტიკურ პარტიაში, პოლიტიკური მიზნების მქონე სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებაში.

მუხლი 87

პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გადადგეს. პრეზიდენტის გადადგომას იღებს წარმომადგენელთა პალატა.

მუხლი 88

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მყარი უუნარობის შემთხვევაში, რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი შეიძლება, ვადამდე ადრე გათავისუფლდეს თანამდებობიდან. პალატების მიერ სპეციალურად ამ შემთხვევისათვის შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე პრეზიდენტის ვადამდე ადრე თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით და რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. გადაწყვეტილება ამგვარი ბრალდების წაყენებისა და მისი გამოძიების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ წარმომადგენელთა პალატის დეპუტატდა ერთი მესამედის წინადადებით მას მხარი დაუჭირა ამ პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ. ბრალდების გამოძიებას ორგანიზებას უწევს რესპუბლიკის საბჭო. პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამგვარ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა, აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

თუ ბრალდების წარდგენის დღიდან ერთი თვის განმავლობაში რესპუბლიკის საბჭომ და წარმომადგენელთა პალატამ არ მიიღეს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, ბრალდება უარყოფილად ჩაითვლება. დაუშვებელია პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის ინიცირება კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის უფლებამოსილებათა ვადამდე ადრე შეწყვეტის საკითხის განხილვის პერიოდში.

დანაშაულის ჩადენის გამო, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების

შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს უზენაესი სასამართლო.

მუხლი 89

პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიის, ან კონსტიტუციით გათვალისწინებული საფუძვლების გამო მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებამდე პრეზიდენტის უფლებამოსილებანი გადაეცემა პრემიერ-მინისტრს.

თავი 4. პარლამენტი — ეროვნული კრება

მუხლი 90

პარლამენტი — რესპუბლიკა ბელორუსის ეროვნული კრება — რესპუბლიკა ბელორუსის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა.

პარლამენტი ორი პალატისაგან — წარმომადგენელთა და რესპუბლიკის საბჭოსაგან შედგება.

მუხლი 91

წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობაში 110 დეპუტატია. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატთა არჩევა ხორციელდება კანონის შესაბამისად საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

რესპუბლიკის საბჭო არის ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატა. ყოველი ოლქისა და ქალაქ მინსკის საბაზო დონის დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სხდომებზე ყოველი ოლქიდან და ქალაქ მინსკიდან ფარული კენჭისყრით აირჩევა რესპუბლიკის საბჭოს რვა-რვა წევრი. რესპუბლიკის საბჭოს რვა წევრი ინიშნება რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის მიერ.

პარლამენტის პალატების ახალი შემადგენლობის არჩევნები ინიშნება არა უგვიანეს ოთხი თვისა და ტარდება არა უგვიანეს 30 დღისა მოქმედი მოწვევის პალატების უფლებამოსილებათა დასრულებამდე.

პარლამენტის პალატების რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის პალატების უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის დღიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 92

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი შეიძლება იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქე.

რესპუბლიკის საბჭოს წევრი შეიძლება იყოს 30 წლის ასაკს მიღწეული რესპუბლიკა ბელორუსის მოქალაქე, რომელსაც სულ ცოტა ხუთი წელი მაინც უცხოვრია შესაბამის ოლქში ან ქალაქ მინსკში.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები თავის უფლებამოსილებებს პროფესიულ საფუძველზე ახორციელებენ, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ

არის გათვალისწინებული; წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი ერთდროულად შეიძლება იყოს მთავრობის წევრი.

ერთი და იგივე პირი არ შეიძლება, ერთდროულად იყოს პარლამენტის ორივე პალატის წევრი. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი არ შეიძლება, იყოს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი. რესპუბლიკის საბჭოს წევრი არ შეიძლება, ერთდროულად იყოს მთავრობის წევრი. დაუშვებელია წარმომადგენელთა პალატის დეპუტატის, აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოს წევრის მოვალეობათა შეთავსება პრეზიდენტის ან მოსამართლის თანამდებობასთან.

მუხლი 93

პარლამენტის უფლებამოსილებათა ვადა ოთხი წელია. პარლამენტის უფლებამოსილებათა გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ომის შემთხვევაში და კანონის საფუძველზე.

პარლამენტის პალატების პირველ სესიას იწვევს არჩევნების ჩატარებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმების მომწყობი ცენტრალური კომისია არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნების შემდეგ. წარმომადგენელთა პალატის მოწვევისა და პირველი სესიის მუშაობის დაწყების ოცდაათდღიანი ვადის ათვლა იწყება მისი ახალი შემადგენლობის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან. თუ წარმომადგენელთა პალატის არჩევნების მეორე ტური არ ტარდება, ოცდაათდღიანი ვადის ათვლა იწყება რესპუბლიკა ბელორუსში საერთო არჩევნების პირველი ტურის ჩატარების დღიდან. რესპუბლიკის საბჭოს მოწვევისა და მისი პირველი სესიის მუშაობის დაწყებისათვის დადგენილი ოცდაათდღიანი ვადის ათვლა იწყება ოლქის ან ქალაქ მინსკის საბაზო დონის დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა იმ სხდომიდან, სადაც აირჩევენ რესპუბლიკის საბჭოს წევრებს.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მის მიერ დადგენილი წესით, წარმომადგენელთა პალატას ან რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე ადრე შეუწყდეთ. წარმომადგენელთა პალატის ან რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილებათა შეწყვეტასთან ერთად, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილებანი შეიძლება შეუწყდეს შესაბამისად რესპუბლიკის საბჭოს ან წარმომადგენელთა პალატას.

მუხლი 94

წარმომადგენელთა პალატას უფლებამოსილებანი შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს, თუ იგი უარს ამბობს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებაზე, უნდობლობას უცხადებს მთავრობას ან თუ ორჯერ უარი თქვა პრემიერ — მინისტრის დანიშვნაზე.

წარმომადგენელთა პალატას ან რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილებანი კადამდე ადრე შეიძლება შეუწყდეს აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პარლამენტის პალატები სისტემატურად და უხეშად არღვევენ კონსტიტუციას.

ამ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი იღებს არა უგვიანეს ორთვიანი ვა-

დისა პალატების თავმჯდომარეებთან ამ საკითხებზე გამართული კონსულტაციების შემდეგ.

არ შეიძლება პალატების დათხოვნა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, პალატების მიერ პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადამდე ადრე გათავისუფლების ან გადაყენების საკითხის გადაწყვეტის პერიოდში.

დაუშვებელია პალატების დათხოვნა მათი პირველი სხდომების ჩატარების პირველი დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 95

პალატები იკრიბებიან წელიწადში ორ მორიგ სესიაზე. პირველი სესია იხსნება 2 ოქტომბერს; მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოც დღეს.

მეორე სესია იხსნება 2 აპრილს; მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ დღეს.

თუ 2 ოქტომბერი ან 2 აპრილი არასამუშაო დღეს ემთხვევა, სესია იხსნება მომდევნო სამუშაო დღეს.

განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში წარმომადგენელთა პალატა და რესპუბლიკის საბჭო მოიწვევა რიგგარეშე სესიაზე პრეზიდენტის ინიციატივით, აგრეთვე თითოეული პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობის მოთხოვნით წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით.

რიგგარეშე სესიები მოიწვევა პრეზიდენტის ბრძანებულებებით.

მუხლი 96

თავისი შემადგენლობიდან წარმომადგენელთა პალატა ირჩევს წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

თავისი შემადგენლობიდან რესპუბლიკის საბჭო ირჩევს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

წარმომადგენელთა პალატა და რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები უძღვებიან შესაბამისი პალატის სხდომებს, განაგებენ პალატის შინაგანაწესს.

თავისი შემადგენლობიდან წარმომადგენელთა პალატა და რესპუბლიკის საბჭო ირჩევენ მუდმივადმოქმედ კომისიებსა და სხვა საკანონპროექტო სამუშაოებისათვის, პალატების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების წინასწარი განხილვისა და მომზადებისათვის საჭირო ორგანოებს.

მუხლი 97

წარმომადგენელთა პალატა:

1) პრეზიდენტის წინადადებით ან საარჩევნო უფლების მქონე რესპუბლიკა ბელორუსის არანაკლებ 150 ათასი მოქალაქის ინიციატივით განიხილავს კანონპროექტებს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ, კონსტიტუციის განმარტების შესახებ;

2) განიხილავს კანონპროექტებს, მათ შორის რესპუბლიკა ბელორუსის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ; სამხედრო დოქტრინის შესახებ; საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ; მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობის ძირითადი შინაარსისა და განხორციელების შესახებ; მოქალაქეობის, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ; რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების შესახებ; რესპუბლიკური გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების შესახებ; საკუთრებითი ურთიერთობების განხორციელების პრინციპების შესახებ; სოციალური დაცვის საფუძვლების შესახებ; შრომისა და დასაქმების რეგულირების პრინციპების შესახებ; ქორწინების, ოჯახის, ბავშვობის, დედობის, მამობის, აღზრდის, განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის შესახებ; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ; სახელმწიფოს ადმინისტრაციულ — ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის განსაზღვრის შესახებ; ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ; სასამართლო წყობილების, სამართალწარმოებისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ; ამნისტიის შესახებ; ომის გამოცხადებისა და ზავის დადების შესახებ; საომარი ან საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ; სახელმწიფოებრივი ჯილდოების დაწესების შესახებ; კანონთა განმარტების შესახებ.

3) ნიშნავს პრეზიდენტის არჩევნებს;

4) პრეზიდენტს თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე;

5) ისმენს პრემიერ-მინისტრის მოხსენებას მთავრობის საქმიანობის პროგრამის შესახებ, მოიწონებს ან უარყოფს ამ პროგრამას; პროგრამის ორჯერ უარყოფა ნიშნავს მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას;

6) პრემიერ-მინისტრის წინადადებით განიხილავს მთავრობისადმი ნდობის საკითხს;

7) წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ მესამედის ინიციატივით უცხადებს მთავრობას უნდობლობის ვოტუმს; არ შეიძლება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მისი საქმიანობის პროგრამის მოწონებიდან ერთი წლის განმავლობაში;

8) იღებს პრეზიდენტის გადადგომას;

9) წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით წაუყენებს პრეზიდენტს სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებას; რესპუბლიკის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ;

10) აუქმებს წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის განკარგულებებს. წარმომადგენელთა პალატას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილებები აგრეთვე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, თუ ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

მუხლი 98

რესპუბლიკის საბჭო:

1) მოიწონებს ან უარყოფს წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ კანონპროექტებს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; კონსტიტუციის განმარტების შესახებ; სხვა კანონპროექტებს;

2) თანხმობას აძლევს პრეზიდენტს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების, არჩევნების ჩატარებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმების მომწყობი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნაზე;

3) ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს მოსამართლეს;

4) ირჩევს არჩევნების ჩატარებისა და რესპუბლიკური რეფერენდუმის მომწყობი ცენტრალური კომისიის ექვს წევრს;

5) აუქმებს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებს, თუ თვლის, რომ ისინი კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

6) იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დათხოვნის შესახებ, ამ საბჭოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა სისტემატური და უხეში დარღვევის ან სხვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

7) განიხილავს წარმომადგენელთა პალატის მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში და იღებს გადაწყვეტილებას მისი გამოძიების შესახებ. საფუძვლების არსებობისას სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების შესახებ;

8) განიხილავს პრეზიდენტის ბრძანებულებებს საგანგებო მდგომარეობის, სამხედრო მდგომარეობის, სრული ან ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ და ბრძანებულების პალატაში შეტანიდან არა უგვიანეს სამდღიანი ვადისა, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რესპუბლიკის საბჭოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილებები აგრეთვე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, თუ ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

მუხლი 99

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს, რესპუბლიკის საბჭოს, მთავრობას. აგრეთვე საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 ათას მოქალაქეს და მისი რეალიზება ხდება წარმომადგენელთა პალატაში.

კანონპროექტები, რომელთა მიღების შედეგი შეიძლება გახდეს სახელმწიფო სახსრების შემცირება, ხარჯების შექმნა და ზრდა, წარმომადგენელთა პალატაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ პრეზიდენტის ან მისი დავალებით მთავრობის თანხმობით.

პრეზიდენტს ან მისი დავალებით მთავრობას, უფლება აქვთ, წარმომადგენელთა პალატაში ან რესპუბლიკის საბჭოში შეიტანონ წინადადებით კანონპროექტის სასწრაფო განხილვის გამოცხადების შესახებ. ამ შემთხვევაში წარმომადგენელთა პალატამ ან რესპუბლის საბჭომ ეს კანონპროექტი უნდა განიხილოს განხილვისათვის შემოტანის დღიდან ათი დღის განმავლობაში.

პრეზიდენტის ან მისი თანხმობით, მთავრობის მოთხოვნით, წარმომადგენელთა პალატა და რესპუბლიკის საბჭო თავის სხდომებზე იღებენ გადაწყვეტილებებს ისე, რომ კენჭს უყრიან მთლიანად პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ შემოტანილ პროექტს, ან ამ პროექტის ნაწილს, ტოვებენ რა მხოლოდ იმ შესწორებებს, რომელიც შემოსული ან მოწონებულია პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ.

მუხლი 100

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, ნებისმიერი კანონპროექტი განიხილება ჯერ წარმომადგენელთა პალატაში, შემდეგ კი, რესპუბლიკის საბჭოში.

გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კანონპროექტი კანონი ხდება ყოველი პალატის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით — წარმომადგენელთა პალატაში მიღების, ხოლო რესპუბლიკის საბჭოში — კანონპროექტის მოწონების შემდეგ.

წარმომადგენელთა პალატაში მიღებული კანონპროექტები განსახილველად გადაეცემა რესპუბლიკის საბჭოს ხუთი დღის განმავლობაში, სადაც მათი განხილვა არ უნდა გაგრძელდეს ოც დღეზე მეტ ხანს, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონი რესპუბლიკის საბჭოს მიერ მოწონებულად ჩაითვლება, თუ კენჭისყრისას მას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობამ ან იგი არ იქნება განხილული რესპუბლიკის საბჭოს მიერ ოცი დღის განმავლობაში, ხოლო თუ კანონპროექტი სასწრაფოდ მისაღებად არის გამოცხადებული — შეტანიდან 10 დღის განმავლობაში.

რესპუბლიკის საბჭოს მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში პალატებს შეუძლიათ, წარმოჩენილ უთანხმოებათა დასაძლევად პარიტეტულ საწყისებზე შექმნან შემთანხმებელი კომისია. შემთანხმებელი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტის ტექსტი მოსაწონებლად წარედგინება ორივე პალატას.

თუ შემთანხმებელმა კომისიამ ვერ მიიღო შეთანხმებული კანონპროექტი, პრეზიდენტს ან მისი დავალებით მთავრობას შეუძლიათ, მოითხოვონ, რომ წარმომადგენელთა პალატამ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში კანონი წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობამ.

წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული და რესპუბლიკის საბჭოს მიერ მოწონებული ან ამ მუხლით გათვალისწინებული წესით მხოლოდ წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კანონი პრეზიდენტს ხელმოსაწერად წარედგინება ათდღიან ვადაში. თუ პრეზიდენტი ეთანხმება კანო-

ნის ტექსტს, იგი ხელს აწერს მას. თუ წარდგენიდან ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტი არ დაუბრუნებს პარლამენტს კანონს, იგი ხელმოწერილად ითვლება. კანონი არ ითვლება ხელმოწერილად და არ იძენს ძალას, თუ შეუძლებელია მისი დაბრუნება პარლამენტში სესიის დასრულების გამო.

თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება კანონის ტექსტს, თავისი შენიშვნებით აბრუნებს მას წარმომადგენელთა პალატაში, რომელმაც კანონი პრეზიდენტის შენიშვნებთან ერთად უნდა განიხილოს არა უმეტეს ოცდაათი დღის განმავლობაში. თუ კანონი წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული იქნება მისი სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, იგი პრეზიდენტის შენიშვნებთან ერთად ხუთდღიან ვადაში გადაიგზავნება რესპუბლიკის საბჭოში, რომელმაც კანონი ხელმეორედ უნდა განიხილოს არა უმეტეს ოცი დღის განმავლობაში. კანონი ამ შემთხვევაში მიღებულად ითვლება, თუ იგი მოიწონა რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობამ. წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს მიერ პრეზიდენტის შენიშვნების გადალახვის შემდეგ, პრეზიდენტმა ხუთდღიან ვადაში ხელი უნდა მოაწეროს კანონს. თუ ამ ვადაშიც არ მოაწერა პრეზიდენტმა კანონს ხელი, კანონი მაინც ძალაში შესულად ითვლება.

ამავე წესით განიხილება პრეზიდენტის შენიშვნები პალატებში ხელმეორედ მისაღებად პარლამენტში დაბრუნებული კანონის ცალკეულ დებულებებზე. ამ შემთხვევაში წარმომადგენელთა პალატის და რესპუბლიკის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს, იგი ძალაში შედის იმ დებულებათა გამოკლებით, რომელთა მიმართ პრეზიდენტს აქვს შენიშვნები.

მუხლი 101

პალატების სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული კანონით, წარმომადგენელთა პალატას და რესპუბლიკის საბჭოს, პრეზიდენტის წინადადებით, შეუძლიათ, განახორციელონ მისთვის კანონიერი ძალის მქონე დეკრეტების გამოსაცემად საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება. ამ კანონში განსაზღვრული უნდა იყოს რეგულირების საგანი და პრეზიდენტისათვის დეკრეტის გამოცემისათვის დადგენილი ვადა.

დაუშვებელია პრეზიდენტისათვის ისეთი დეკრეტების გამოცემის უფლების დელეგირება, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის განმარტებას, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას; პროგრამული კანონების გადასინჯვას; რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცებას; პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების წესის გადასინჯვას; მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. კანონს პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ არ შეუძლია ნება მისცეს პრეზიდენტს, ცვლილებები შეიტანოს ამ კანონში, აგრეთვე მისცეს უფლება, მიიღოს უკუქცევის ძალის მქონე ნორმები.

განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტს საკუთარი ინიციატივით ან მთავრობის წინადადებით შეუძლია, გამოსცეს კანონის ძალის მქონე დროებითი დეკრეტები. თუ ასეთი დეკრეტები გამოცემულია მთავრობის წინადადებით, მათ ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. სამდღიან ვადაში დროებითი დეკრეტები უნდა წარედგინოს მომდევნო განხილვისათვის ჯერ წარმომადგენელთა პალატას, შემდეგ რესპუბლიკის საბჭოს. ეს დეკრეტები ძალაში რჩება, თუ პალატების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით არ არის გაუქმებული. პალატებს შეუძლიათ, კანონით მოაწესრიგონ გაუქმებული დეკრეტების საფუძველზე წარმოჩენილი ურთიერთობები.

მუხლი 102

თავისი აზრის გამოხატვისას და თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები და რესპუბლიკის საბჭოს წევრები სარგებლობენ ხელშეუხებლობით. ეს არ ეხება მათ მიმართ წაყენებული ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ბრალდებას.

თავის უფლებამოსილებათა ვადის განმავლობაში წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები და რესპუბლიკის საბჭოს წევრები შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ, ან მათი თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობით, გარდა მათ მიერ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის, აგრეთვე დანაშაულზე წასწრების შემთხვევებისა.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატის ან რესპუბლიკის საბჭოს წევრის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე განიხილება უზენაესი სასამართლოს მიერ.

მუხლი 103

პალატების სხდომები ღიაა. თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები, პალატებს მათი სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ. სხდომის, მათ შორის დახურული სხდომის დროს, პრეზიდენტს, მის წარმომადგენელს, პრემიერ-მინისტრს და მთავრობის წევრებს შეუძლიათ, წინასწარი ჩაწერის გარეშე და რიგგარეშე სიტყვით გამოვიდნენ იმდენჯერ, რამდენჯერაც ისინი ამას მოითხოვენ.

თვეში ერთი სხდომა რეზერვირებულია წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებისა და რესპუბლიკის საბჭოს წევრების შეკითხვებისათვის და ამ შეკითხვებზე მთავრობის პასუხებისათვის.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი, რესპუბლიკის საბჭოს წევრი უფლებამოსილია, შეკითხვით მიმართოს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევრებს, პარლამენტის მიერ შექმნილი ან არჩეული სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებს. პასუხი გაცემული უნდა იყოს პარლამენტის პალატის მიერ დადგენილი წესით ოცი სასეირო დღის განმავლობაში.

პალატის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის [illegible] ესწრება წარმომადგენელთა

პალატის დეპუტატთა ან რესპუბლიკის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

წარმომადგენელთა პალატაში და რესპუბლიკის საბჭოში კენჭისყრა ღიაა და უშუალოდ დეპუტატის ან რესპუბლიკის საბჭოს წევრის მიერ ხორციელდება „მომხრე" და „წინააღმდეგი" ხმის მიცემით. ფარული კენჭისყრა ტარდება მხოლოდ საკადრო საკითხების გადაწყვეტისას.

მუხლი 104

წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებები მიიღება კანონებისა და დადგენილებების ფორმით. წარმომადგენელთა პალატა დადგენილებებს იღებს განმკარგულებელ და საკონტროლო ხასიათის საკითხებზე. რესპუბლიკის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილების ფორმით. პალატების გადაწყვეტილებები მიღებულად ჩაითვლება, თუ მათ მხარი დაუჭირა პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონები რესპუბლიკა ბელორუსის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, რესპუბლიკა ბელორუსის სამხედრო დოქტრინის შესახებ პროგრამულია და მიღებულად ჩაითვლება, თუ მათ მხარი დაუჭირა პალატების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

ხელმოწერის შემდეგ კანონები ექვემდებარება დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ, თუ თავად ამ კანონში სხვა ვადა არ არის დადგენილი. ამავე წესით ქვეყნდება და ძალაში შედის პრეზიდენტის დეკრეტები.

კანონს არა აქვს უკუქცევის ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ამსუბუქებს ან აუქმებს მოქალაქეთა პასუხისმგებლობას.

მუხლი 105

წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოს, მათი ორგანოების, წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებისა და რესპუბლიკის საბჭოს წევრების საქმიანობის წესი განისაზღვრება პალატების რეგლამენტებით, რომელთაც ხელს აწერენ პალატების თავმჯდომარეები.

თავი 5. მთავრობა – რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭო

მუხლი 106

აღმასრულებელ ხელისუფლებას რესპუბლიკა ბელორუსში ახორციელებს მთავრობა – რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭო – სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო.

თავის საქმიანობაში მთავრობა ანგარიშვალდებულია რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის წინაშე და პასუხისმგებელია რესპუბლიკა ბელორუსის პარლამენტის წინაშე.

მთავრობა იხსნის თავის უფლებამოსილებებს რესპუბლიკა ბელორუსის ახლადარჩეული პეზიდენტის წინაშე.

რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის სხვა რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელები.

პრემიერ-მინისტრი ინიშნება რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის მიერ წარმომადგენელთა პალატის თანხმობით. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას წარმომადგენელთა პალატა იღებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესახებ წინადადების შემოტანის დღიდან არაუგვიანეს ორი კვირისა. წარმომადგენლთა პალატის მიერ პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემაზე ორჯერ მიღებული უარის შემთხვევაში, რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი უფლებამოსილია, დანიშნოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა და დანიშნოს ახალი არჩევნები. მთავრობის მუშაობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი:

1) ახორციელებს მთავრობის საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობას და ინდივიდუალურად აგებს პასუხს მის მუშაობაზე;

2) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

3) დანიშვნიდან ორთვიან ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის საქმიანობის პროგრამას, მისი არმოწონების შემთხვევაში ორთვიან ვადაში ხელმეორედ წარუდგენს პარლამენტს მთავრობის საქმიანობის პროგრამას;

4) პრეზიდენტს აწვდის ინფორმაციას მთავრობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და მის მიერ მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ;

5) ასრულებს მთავრობის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

მთავრობა ან მისი რომელიმე წევრი უფლებამოსილია, განუცხადოს პრეზიდენტს თავისი გადადგომის შესახებ, თუ თვლის, რომ შეუძლებელია მასზე დაკისრებული მოვალეობების შემდგომი შესრულება. მთავრობა აცნობებს პრეზიდენტს გადადგომის შესახებ წამომადგენელთა პალატის მიერ მისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში.

პრემიერ-მინისტრს შეუძლია, დააყენოს წარმომადგენელთა პალატაში მთავრობის ნდობის საკითხი წარმოდგენილ პროგრამასა თუ სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. თუ წარმომადგენელთა პალატა არ უცხადებს ნდობას, პრეზიდენტი უფლებამოსილია, ათდღიან ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ან მთავრობის გადაყენების, ან წარმომადგენელთა პალატის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. გადადგომის უარყოფისას მთავრობა აგრძელებს თავის უფლებამოსილებათა განხორციელებას.

პრეზიდენტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადაყენების შესახებ, შეუძლია, თანამდებობიდან გათავისუფლოს მთავრობის ნებისმიერი წევრი.

გადადგომის ან უფლებამოსილებათა აყრის შემთხვევაში, რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობა, პრეზიდენტის დავალებით, აგრძელებს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

მუხლი 107

რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობა:

ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო მმართველობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოთა სისტემას;

შეიმუშავებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და იღებს ზომებს მათი რეალიზაციისათვის;

შეიმუშავებს და პრეზიდენტს პარლამენტში შესატანად წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და ანგარიშს მისი შესრულების შესახებ;

უზრუნველყოფს ერთიანი ეკონომიკური, ფინანსური, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის გატარებას, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის ანაზღაურების დარგებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;

იღებს ზომებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფოს ინტერესების დაცვის, ეროვნული უშიშროებისა და თვდაცვისუნარიანობის, საკუთრების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის, დამნაშავეობასთან ბრძოლის უზრუნველყოფისათვის;

მესაკუთრის სახელით გამოდის იმ ქონებასთან მიმართებაში, რომელიც რესპუბლიკა ბელორუსის საკუთრებაა, ორგანიზებას უწევს სახელმწიფო საკუთრების მართვას;

უზრუნველყოფს კონსტიტუციის, კანონებისა და დეკრეტების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების აღსრულებას;

აუქმებს სამინისტროებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა რესპუბლიკური ორგანოების აქტებს;

ახორციელებს კონსტიტუციით, კანონებითა და პრეზიდენტის აქტებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 108

რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობა გამოსცემს დადგენილებებს, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვთ რესპუბლიკა ბელორუსის მთელ ტერიტორიაზე.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი გამოსცემს განკარგულებებს. მთავრობის კომპეტენცია, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი კონსტიტუციის საფუძველზე განისაზღვრება რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონით.

თავი 6. სასამართლო

მუხლი 109

რესპუბლიკა ბელორუსში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სასამართლოებს.

სასამართლოების სისტემა აგებულია ტერიტორიულობისა და სპეციალიზაციის პრინციპების გათვალისწინებით.

რესპუბლიკა ბელორუსში სასამართლო წყობილება განისაზღვრება კანონით.

საგანგებო სასამართლოების შექმნა იკრძალება.

მუხლი 110

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

დაუშვებელია და კანონის მიხედვით იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას ნებისმიერი ფორმით მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა.

მუხლი 111

მოსამართლეებს არ შეუძლიათ, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, ახორციელებდნენ სხვა ანაზღაურებად საქმიანობას გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითისა.

მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები კანონით არის გათვალისწინებული.

მუხლი 112

მართლმსაჯულებას მოსამართლეები ახორციელებენ კონსტიტუციისა და კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესუსაბამობას, იგი იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციის შესაბამისად და დადგენილი წესით აყენებს საკითხს მოცემული ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.

მუხლი 113

საქმეები სასამართლოებში განიხილება კოლეგიალურად, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — მოსამართლეების მიერ ერთპიროვნულად.

მუხლი 114

ყველა სასამართლოში საქმეები განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმეთა განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

მუხლი 115

მართლმსაჯულება ხორციელდება შეჯიბრებითობისა და პროცესში მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.

სასამართლო დადგენილებები სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირთათვის.

მხარეებსა და პროცესში მონაწილე სხვა პირებს აქვთ გადაწყვეტილებების, განაჩენებისა და სხვა სასამართლო დადგენილებების გასაჩივრების უფლება.

მუხლი 116

ნორმატული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი სახელმწიფოში

ხორციელდება რესპუბლიკა ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

რესპუბლიკა ბელორუსის საკონსტიტუციო სასამართლო ყალიბდება 12 მოსამართლისაგან სამართლის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომელთაც, როგორც წესი, აქვთ სამეცნიერო ხარისხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს ექვსი მოსამართლე ინიშნება რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის მიერ, ექვსი მოსამართლე აირჩევა რესპუბლიკის საბჭოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით; საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 11 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ზღვრული ასაკი 70 წელია.

რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის, წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოს, რესპუბლიკა ბელორუსის უზენაესი სასამართლოს, რესპუბლიკა ბელორუსის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს, რესპუბლიკა ბელორუსის მინისტრთა საბჭოს წინადადებით, საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნებს:

კანონების, დეკრეტების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, რესპუბლიკა ბელორუსის საერთაშორისო სახელშეკრულებო და სხვაგვარი ვალდებულებების კონსტიტუციასთან და რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შესახებ;

იმ სახელმწიფოთაშორისი წარმონაქმნების, რომელშიც შედის რესპუბლიკა ბელორუსი, აგრეთვე კანონის აღსრულების მიზნით, პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულებების კონსტიტუციასთან, რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან და დეკრეტებთან შესაბამისობის შესახებ;

მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს, გენერალური პროკურორის აქტების კონსტიტუციასთან, რესპუბლიკა ბელორუსის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ;

არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტები ან მათი ცალკეული დებულებები კარგავენ ძალას კანონით განსაზღვრული წესით.

კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, პრეზიდენტის წინადადებით, საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას პარლამენტის პალატების მიერ რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის სისტემატიური და უხეში დარღვევის ფაქტების არსებობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

კარი V
ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა

მუხლი 117

ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას მოქალაქეები ახო-

რციელებეს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი რეფერენდუმების, კრებებისა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საქმეებში პირდაპირი მონაწილეობის სხვა ფორმების მეშვეობით.

მუხლი 118

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები აირჩევა შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოქალაქეების მიერ ოთხი წლის ვადით.

მუხლი 119

ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ხელმძღვანელები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტის მიერ, ან მის მიერ დადგენილი წესით და დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს მიერ დამტკიცების პირობით.

მუხლი 120

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ასრულებენ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს.

მუხლი 121

მხოლოდ დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციას მიეკუთვნება:

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების, ადგილობრივი ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;

კანონის შესაბამისად, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება;

კანონით დადგენილ ფარგლებში კომუნალური საკუთრების მართვისა და განკარგვის წესის დადგენა;

ადგილობრივი რეფერენდუმების დანიშვნა;

მუხლი 122

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე იღებენ შესაბამის ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებებს.

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილებებს აუქმებენ ზემდგომი წარმომადგენლობითი ორგანოები.

ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილებებს აუქმებენ დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები, ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი.

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც ზღუდავენ ან არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლო წესით.

მუხლი 123

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა სისტემატური და უხეში დარღვევის შემთხვევაში იგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს რესპუბლიკის საბჭოს მიერ. დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის სხვა საფუძველი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124

მმართველობისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენცია, შექმნისა და საქმიანობის წესი კანონმდებლობით განისაზღვრება.

კარი VI
პროკურატურა.
სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი

თავი 7. პროკურატურა

მუხლი 125

დეკრეტების, ბრძანებულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა სამინისტროებისა და მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ, ეკისრება რესპუბლიკა ბელორუსის გენერალურ პროკურორსა და მისადმი დაქვემდებარებულ პროკურორებს.

პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას დანაშაულის გამოძიებისას კანონის დაცვაზე, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლოების მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობაზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ატარებს წინასწარ გამოძიებას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოებში.

მუხლი 126

პროკურატურის ორგანოთა ერთიან და ცენტრალიზებულ სისტემას რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით მეთაურობს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გენერალური პროკურორი.

ქვემდგომი პროკურორები დაინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ.

მუხლი 127

თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას გენერალური პროკურორი და ქვემდგომი პროკურორები დამოუკიდებელნი არიან და ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით. თავის საქმიანობაში გენერალური პროკურორი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 128

პროკურატურის ორგანოთა კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

თავი 8. სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი

მუხლი 129

სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი ზედამხედველობს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას, პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების სახელმწიფო საკუთრებასთან დაკავშირებულ სამეურნეო, საფინანსო და საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელი აქტების შესრულებას.

მუხლი 130

სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი იქმნება პრეზიდენტის მიერ.

სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 131

სახელმწიფო კონსტროლის კომიტეტის კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

კარი VII
რესპუბლიკა ბელორუსის საფინანსო – საკრედიტო სისტემა

მუხლი 132

რესპუბლიკა ბელორუსის საფინანსო-საკრედიტო სისტემა მოიცავს საბიუჯეტო სისტემას, საბანკო სისტემას, აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ფინანსურ სახსრებს.

რესპუბლიკა ბელორუსში ტარდება ერთიანი საბიუჯეტო-საფინანსო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო პოლიტიკა.

მუხლი 133

რესპუბლიკა ბელორუსის საბიუჯეტო სისტემა მოიცავს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ბიუჯეტის ფორმირება ხდება კანონით განსაზღვრული გადასახადების, სხვა სავალდებულო სახდელებისა აგრეთვე სხვა შემოსავლების ხარჯზე.

კანონის შესაბამისად, რესპუბლიკა ბელორუსში შეიძლება შეიქმნას არასაბიუჯეტო ფონდები.

მუხლი 134

ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების შედგენის, დამტკიცებისა და შესრულების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 135

რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების ანგარიში პარლამენტს განსახორციელებლად წარედგინება საფინანსო წლის დასრულების დღიდან არა უგვიანეს ხუთი თვისა.

ანგარიშები ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შესახებ განსახილველად წარედგინება შესაბამის დეპუტატთა საბჭოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიშები ექვემდებარება გამოქვეყნებას.

მუხლი 136

რესპუბლიკა ბელორუსის საბანკო სისტემა შედგება რესპუბლიკა ბელორუსის ეროვნული ბანკისა და სხვა ბანკებისაგან. ეროვნული ბანკი არეგულირებს საკრედიტო ურთიერთობებს, ფულის ბრუნვას, განსაზღვრავს ანგარიშსწორების წესსა და აქვს მხოლოდ და მხოლოდ მისთვის მინიჭებული ფულის ემისიის უფლება.

კარი VIII
რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის მოქმედება და მისი გადასინჯვის წესი

მუხლი 137

კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. კანონები, დეკრეტები, ბრძანებულებები და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

კანონის, დეკრეტი ან ბრძანებულების კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებს კონსტიტუცია.

დეკრეტების ან ბრძანებულებასა და კანონს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც დეკრეტის ან ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილება კანონით იყო ნებადართული.

მუხლი 138

საკითხი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ განიხილება პარლამენტის პალატების მიერ პრეზიდენტის ან საარჩევნო უფლების მქონე რესპუბლიკა ბელორუსის არანაკლებ 150 ათასი მოქალაქის ინიციატივით.

მუხლი 139

კანონი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის

შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს პარლამენტის მიერ ორი განხილვისა და ორჯერ მოწონების შემდეგ, რომელთა შორის უნდა გავიდეს სულ ცოტა სამი თვე მაინც.

კონსტიტუციის გადასინჯვა არ ხდება საგანგებო მდგომარეობის დროს, აგრეთვე წამომადენელთა პალატის უფლებამოსილებათა ვადის ბოლო ექვს თვეს.

მუხლი 140

კონსტიტუცია, კანონები კონსტიტუციაში ცვილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, ამ კანონთა ამოქმედების შესახებ, კონსტიტუციის განმარტების აქტები მიღებულად ითვლება, თუ მათ მიღებას ხმა მისცა პარლამენტის თითოეული პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

კონსტიტუციის გადასინჯვა შეიძლება განხორციელდეს რეფერენდუმის მეშვეობით. გადაწყვეტილება კონსტიტუციის რეფერენდუმის მეშვეობით გადასინჯვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭისყრისათვის არსებულ სიაში შეტანილ მოქალაქეთა უმრავლესობამ.

კონსტიტუციის I, II, IV, VII კარი შეიძლება გადასინჯულ იქნეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

კარი IX
დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

მუხლი 141

რესპუბლიკა ბელორუსის 1994 წლის კონსტიტუცია რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან მისი იმ ცალკეული დებულებების გამოკლებით, რომელთა ძალაში შესვლის ვადები განსაზღვრულია ამ კონსტიტუციით. იმავდროულად წყდება „რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციის ძალაში შესვლის წესის შესახებ" რესპუბლიკა ბელორუსის კანონის მოქმედება.

მუხლი 142

ამ კონსტიტუციის ამოქმედებამდე რესპუბლიკა ბელორუსის ტერიტორიაზე მოქმედი კანონების, ბრძანებულებების და სხვა აქტების მხოლოდ ის ნაწილები მოქმედებენ, რომლებიც რესპუბლიკა ბელორუსის კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 143

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ერთთვიან ვადაში რესპუბლიკა ბელორუსის უზენაესი საბჭო და რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტი ქმნიან წარმომადგენელთა პალატას უზენაესი საბჭოს დეპუტატთა იმ რიცხვიდან, ვინც არჩეული იყო 1996 წლის რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების თარიღის დანიშვნის დღისათვის. ამასთან, რესპუბლიკა ბელორუსის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ინარჩუნებენ თავის უფლე-

ბამოსილებებს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. მათი უფლებამოსილების ვადის ათვლა იწყება წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან.

რესპუბლიკის საბჭო იქმნება ამ კონსტიტუციის 91-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

თუ აღნიშნულ ვადებში წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობა არ იქნება ჩამოყალიბებული პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს შორის არსებული წინააღმდეგობების გამო, პრეზიდენტი ამ კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ითხოვს უზენაეს საბჭოს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს.

მუხლი 144

რესპუბლიკა ბელორუსის პრეზიდენტს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილებები, ხოლო უფლებამოსილებათა ვადის ათვლა იწყება წინამდებარე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 145

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან რესპუბლიკა ბელორუსის მთავრობას ენიჭება კონსტიტუციით მისთვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 146

პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი თვის განმავლობაში ქმნიან და აყალიბებენ მასში აღნიშნულ ორგანოებს კონსტიტუციით დადგენილი წესით, თუ კონსტიტუციის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბოსნია-ჰერცეგოვინა



თამარ ალექსიძე

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — ბოსნია-ჰერცეგოვინა;
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი;
ფართობი — 50,200 ათასი კვ. კმ.;
მოსახლეობა — 4.1 მილიონი (2004 წლის მონაცემებით);
დედაქალაქი — სარაევო;
ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება — ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია, „რესპუბლიკა სრპსკა", ბრჩკოს ოლქი;[1]
წარმომადგენლობითი ორგანო: საპარლამენტო ასამბლეა - სკუპსტინა:[2] ზედა პალატა - დომ ნაროდა, ქვედა პალატა - პრედსტავნიცკი დომ.[3]

1. სოციალიზმიდან ეთნოცენტრიზმამდე

სოციალისტური იუგოსლავიის დაშლამ ევროპას II მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი მოუტანა. იუგოსლავიის დანაწევრებაში მნიშვნელოვანი როლი ეროვნულ — გამათავისუფლებელი მოძრაობების გაძლიერებამ შეიტანა. ბოსნიელებს ალია იზეტბეგოვიჩი მეთაურობდა, სერბებს — სლობოდან მილოშევიჩი, ხოლო ხორვატებს - ფრანიო ტუჯმანი.

1990 წლისათვის ბოსნია-ჰერცეგოვინა იუგოსლავიის ყველაზე არაერთგვაროვან და ეთნიკურად ჭრელ რესპუბლიკას წარმოადგენდა, სადაც არც ერთი ცალკე აღებული ეთნოსი არ ფლობდა უმრავლესობას. ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციით დაცული იყო ბალანსი ბოსნიელებს, სერბებსა და ხორვატებს შორის, რაც ნებისმიერი კონსტიტუციური ხასიათის ცვლილებისათვის ძალიან მაღალი კვორუმის არსებობას საჭიროებდა. საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის ეთნოსთა მიმართ ერთხმიანობის მოთხოვნამ ბოსნია-ჰერცეგოვინაში მწვავე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. აღნიშნულმა კი კატალიზატორის როლი შეასრულა ხანგრძლივი, სისხლიანი და ქაოტური სამოქალაქო ომის დაწყებაში.

1992 წლის 5 აპრილს სლოვენიისა და ხორვატიის კვალდაკვალ[4] ბოსნიელმა და ხორვატმა დეპუტატებმა ბოსნიის პარლამენტში რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. გადაწყვეტილებას წინ უძღოდა 1992 წლის 3 მარტს ყოფილი იუგოსლავიისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადება[5], რაც ეფუძნებოდა ბოსნიის მთავრობის მიერ 1992 წლის 1 მარტს ჩატარებული საერთო — სახალხო რეფერენდუმის შედეგებს. რეფერენდუმში მოსახლეობის 66 პრცენტმა მიიღო მონაწილეობა. ბოსნიელი და ხორ-

---

1. ბრჩკოს ოლქი მდებარეობს ბოსნია და ჰერცეგოვინას ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად იკი ბოსნია და ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შედის, ბრჩკოს ოლქი დღემდე საერთაშორისო თანაშეგობრობის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ამაზე არაფერია ნათქვამი ქვეყნის კონსტიტუციაშიც.
2. Skupstina
3. Predstavnicki Dom
4. სლოვენიამ და ხორვატიამ იუგოსლავიისაგან დამოუკიდებლობა 1990 წელს გამოაცხადეს.
5. 1991 წლის ოქტომბერში ბოსნია და ჰერცეგოვინამ სუვერენიტეტი გამოაცხადა.

ვატი მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის გამოცხადებას (რეფერენდუმში მონაწილეთა 99%), ხოლო ბოსნიელმა სერბებმა ანტიკონსტიტუციურობის მოტივით[6] რეფერენდუმის ბოიკოტირება მოახდინეს. „განდგომილმა" სერბმა დელეგატებმა 1992 წლის 6 აპრილს, შუაღამისას საკუთარი სახელმწიფო - „რესპუბლიკა სრპსკა" გამოაცხადეს. რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვა, რომლის ფორმალურ მიზეზად სერბები სერბი სამოქალაქო პირის (საქორწილო პროცესიაში მონაწილე ნეფის მამის), ხოლო ბოსნიელები – სამშვიდობო მიტინგში მონაწილე მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობას ასახელებენ. აღნიშნულს თან დაერთო იუგოსლავიის არმიის მიერ დუბროვნიკის[7] დასაკავებლად მიმდინარე ბრძოლისას ჰერცეგოვინაში მდებარე ხორვატებით დასახლებული პატარა სოფლის – რავნოს განადგურება.

თავდაპირველად სამოქალაქო ომში მხოლოდ ორი მხარე არსებობდა: ბოსნიელები და ხორვატები სერბების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს „დიდი სერბეთის" შექმნის მსურველი სერბია და ჩერნოგორია უწყობდა ხელს. მოგვიანებით მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და 1993 წელს, ვანს – ოუენის სამშვიდობო გეგმის[8] ჩაშლის შემდეგ ბოსნიელები და ხორვატები ერთმანეთს მათ ხელთ არსებული ტერიტორიის გამიც დაუპირისპირდნენ.

1994 წელს მოწინააღმდეგე ბოსნიელებმა და ხორვატებმა კონსენსუსს მიაღწიეს და „ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია" შექმნეს. 1995 წლის 21 ნოემბერს კი დეიტონში (აშშ, ოჰაიოს შტატი) სამშვიდობო შეთანხმების შედეგად შეიქმნა ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელმწიფო დღეს არსებული სახით. შეთანხმების სამოქალაქო მხარის შესრულების უზრუნველსაყოფად დაარსდა „უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი",[9] რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ ზედამხედველის ფუნქციები ჰქონდა, მოგვიანებით კი, ბონის კონფერენციის შემდეგ, უმაღლესი წარმომადგენელი ე.წ. ბონის უფლებამოსილებებით აღჭურვეს. აღნიშნული უფლებები მას ფაქტობრივად შეუზღუდავ ძალაუფლებას ანიჭებს (პრეზიდენტთა კოლეგიისა და მინისტრთა საბჭოს წევრების თანამდებობიდან გათავისუფლების ჩათვლით), რაც „შეკავებისა და გაწონასწორების" მექანიზმის შესახებ არსებულ წარმოდგენას რადიკალურად ცვლის. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე შეეხება „შეკავებისა და გაწონასწორების" მექანიზმის მიღმა არსებულ ხელისუფლების წყაროს, რომელიც საგანგებო სიტუაციაში მოქმედებს. მსგავსი საგანგებო სიტუაცია კი უჩვეულოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება.

მიუხედავად ხელისუფლების დანაწილების კლასიკური ვარიანტის გადმოსახედიდან შესამჩნევი აშკარა ნაკლოვანებებისა, არსებული მექანიზმი საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა გარკვეული დროის განმავლობაში და აუცილებელიც იყო სისხლიანი ომის შესაჩერებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. თუმცა ეთნიკური ბალანსის დაცვის მიზნით შემოღებულმა

---

6. ზემოხსენებული განპირობებული იყო კონსტიტუციის დარღვევით რეფერენდუმის გამოცხადებისას - ხერბ დელეგატებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ.
7. დუბროვნიკი ხორვატის ტერიტორიაზე მდებარეობდა.
8. ავტორები - Cyrus Vance, David Owen. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონფლიქტის მხარეებისთვის შეთავაზებული ერთ-ერთი გეგმა, რომელიც არც თუ დიდი წარმატებით სარგებლობდა.
9. უმაღლესი წარმომადგენელი ამჟამად - ლორდი უედი ეშდოუნი.

მექანიზმებმა ქვეყანა ეთნოცენტრიზმის საფრთხის წინაშე დააყენა და ხელი შეუშალა თვითმყოფადი, სტაბილური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე ელიტის ჩამოყალიბებას, რაც ქვეყნის განვითარების უმთავრესი მაჩვენებელია.

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ძალზე დიდ როლს ასრულებს ახლად შექმნილი სახელმწიფოს ისტორიაში, მართალია, ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელმწიფოს შენარჩუნება-გაძლიერებისათვის უკვე 5 მილიარდი აშშ დოლარი დაიხარჯა, მაგრამ „უმაღლესი წარმომადგენლის ოფისის" განუსაზღვრელი და უვადო ხელისუფლების პირობებში ბოსნია-ჰერცეგოვინას პოლიტიკური ელიტა შესაძლოა მუდმივი საერთაშორისო „პარაზიტის" როლში მოგვევლინოს.

2. პარტიული სისტემა

ბოსნია-ჰერცეგოვინას პარტიული სისტემა მრავალპარტიულობით ხასიათდება. ასეთი პატარა ქვეყნისათვის თითქმის ორი ათეული პარტია სერიოზული მიღწევაა. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული სისტემა საკმაოდ სუსტი და განუვითარებელია, ხოლო პარტიებს შორის მეტნაკლები სხვაობით ძირითადად ნაციონალური, ეთნოცენტრისტული პარტიები დომინირებენ. მათგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პარტია:

(Hrvatska demokratska zajednica) (HDZ BiH) ხორვატული დემოკრატიული გაერთიანება - ბოსნია-ჰერცეგოვინაში მცხოვრებ ხორვატთა ნაციონალური პარტია.

(Stranka za Bosnu i Hercegovinu) (SBiH) ბოსნია-ჰერცეგოვინას პარტია – მულტიეთნიკური პარტია შედარებით ლიბერალური პლატფორმით.

(Stranka demokratske akcije) (SDA) დემოკრატიული მოქმედების პარტია – 1945 წელს კომუნისტების მიერ მრავალპარტიულობის აკრძალვის შემდეგ წარმოქმნილი პირველი ეროვნული ორიენტაციის ბოსნიური პარტია, რომელიც 1990 წელს დაარსდა. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია ალიჯა იზეტბეგოვიჩი. SDA კვლავინდებურად დიდი პოპულარობით სარგებლობს ბოსნიელ მოსახლეობაში.

(Srpska demokratska stranka) (SDS) სერბეთის დემოკრატიული პარტია – ბოსნია-ჰერცეგოვინაში მცხოვრებ სერბთა ნაციონალური პარტია, რომლის რიგებშიც მოღვაწეობდა რადოვან კარადჯიჩი.

(Socijaldemokratska partija Bosne i Hercegovine-Socijaldemokrati) (SDP) ბოსნია-ჰერცეგოვინას სოციალ – დემოკრატიული პარტია – ბოსნია-ჰერცეგოვინას კომუნისტური პარტიის სამართალმემკვიდრე, შემდგომში შეიერთა Socijaldemokratska partija Bosne i Hercegovine.

Party of Independent Social Democrats (Stranka nezavisnih soci-

jaldemokrata) (SNSD) დამოუკიდებელ სოციალ — დემოკრატთა პარტია.

Party of Democratic Progress (Partija demokratskog progresa) (PDP) **დემოკრატიული პროგრესის პარტია.**

2000 წლის 5 ნოემბრის არჩევნების მონაცემებით, წარმომადგენელთა პალატაში ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით: **დემოკრატიული მოქმედების პარტია** (SDA) - 21.9%, **სერბეთის დემოკრატიული პარტია** (SDS) - 14.0%, **ბოსნია-ჰერცეგოვინას პარტია** (SBIH) - 10.5%, **ბოსნია-ჰერცეგოვინას სოციალ — დემოკრატიული პარტია** (SDP) - 10.4%, **დამოუკიდებელ სოციალ — დემოკრატთა პარტია** (SNSD)- 9.8%, **ხორვატული დემოკრატიული გაერთიანება** (HDZ) - 9.5%, **დემოკრატიული პროგრესის პარტია** (PDP)- 4.6%, სხვა-19.3%;

მოპოვებული ადგილების მიხედვით: **დემოკრატიული მოქმედების პარტია** (SDA) - 10, **სერბეთის დემოკრატიული პარტია** (SDS) - 5, **ბოსნია-ჰერცეგოვინას პარტია** (SBiH) - 6, **ბოსნია-ჰერცეგოვინას სოციალ — დემოკრატიული პარტია** (SDP) - 4, **დამოუკიდებელ სოციალ — დემოკრატთა პარტია** (SNSD) - 3, **ხორვატული დემოკრატიული გაერთიანება** (HDZ) - 5, **დემოკრატიული პროგრესის პარტია** (PDP) - 2, სხვა - 7.

დღევანდელი მონაცემებით, ბოსნია-ჰერცეგოვინას საპარლამენტო ასამბლეაში ეთნიკური ნაციონალიზმის ორიენტაციის მქონე პარტიები დომინირებენ, თუმცა კოალიციური მუშაობის აუცილებლობის პირობებში ეს ფაქტორი პარტიებს შორის ურთიერთთანამშრომლობას მნიშვნელოვნად არ აბრკოლებს.

3. ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის ტექსტი დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შედეგია, რომელმაც ასახვა პპოვა „ბოსნია-ჰერცეგოვინაში მშვიდობის დასამყარებლად ზოგადი ჩარჩო - ხელშეკრულების“ IV დანართში. აღნიშნულ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობა 1995 წლის 21 ნოემბერს დაიწყო, რაც 1995 წლის 14 დეკემბერს პარიზში შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერით დასრულდა.

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო დოკუმენტს როგორც კონსტიტუციონალისტებისათვის, ისე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის. ყურადღება ამ დოკუმენტისადმი აიხსნება მთელი რიგი ფაქტორებით, უპირველეს ყოვლისა კი იმით, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია თავისი შინაარსით უფრო მეტად საერთაშორისო საჯარო სამართლის დოკუმენტს წააგავს, ვიდრე საკონსტიტუციო ტექსტს, რაც ძირითადი კანონის კომპრომისული ხასიათით აიხსნება:

- აშკარაა კონსტიტუციის ტექსტის სახელშეკრულებო და ნაკლებად ნორმატიული ხასიათი, ვინაიდან მიღების წესის თვალსაზრისით, მისი ლეგიტიმურობის ხარისხი საკმაოდ დაბალია.

- კონსტიტუციის ავთენტური ტექსტი შედგენილი და გამოქვეყნებულია უცხო - ინგლისურ ენაზე, რაც თავისთავად პირველი პრეცედენტია კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში.

- ძირითადი კანონის ტექსტის დიდი ნაწილი ეთმობა იმ საერთაშორისო საჯარო - სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც „ბოსნია-ჰერცეგოვინას" კონსტიტუცია იერარქიულ დაქვემდებარებას აღიარებს; აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტის დებულებათა გადმოტანა-გადმოწერა ან მოხსენიება, მათთვის პირდაპირი წესით მოქმედების და სამართლის ყველა სხვა წყაროსთან მიმართებაში უპირატესი ძალის მინიჭებით.[10]

მიუხედავად იმისა, რომ თავად კონსტიტუციაში არ გამოიყენება ტერმინი „ფედერაცია", ჩანს, რომ ავტორებმა უპირატესობა ქვეყნის რთული მოწყობის პრინციპს მიანიჭეს. კონსტიტუციის I.3 მუხლის მიხედვით, ბოსნია-ჰერცეგოვინა შედგება ორი ერთეულისაგან — ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციისა და „რესპუბლიკა სრპსკასაგან" (შემდგომში „ერთეულები"), ძირითადი კანონი აგრეთვე ადგენს ერთიან მოქალაქეობას და ამავდროულად აღიარებს ერთეულების მოქალაქეობას. აღიარებულია კონსტიტუციის უპირატესი ძალა „ერთეულების" კონსტიტუციებსა და კანონებთან მიმართებაში და შემოღებულია საკონსტიტუციო სასამართლო - საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, რომლის ფუნქციებშიც შედის „ერთეულების" კონსტიტუციების უზენაეს კანონთან შესაბამისობის შემოწმება.[11]

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის განხილვა შეუძლებელია იმ ნორმატიული ბაზისა და პოლიტიკური კონიუნქტურის გაუთვალისწინებლად, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ აღნიშნული დოკუმენტის მიღებამდე.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ტექსტების უმრავლესობის მიღება მიმდინარეობდა უშუალოდ საომარი მოქმედებების დროს, ან მათ დასრულებამდე რამდენიმე ხნით ადრე.[12] „რესპუბლიკა სრპსკას" კონსტიტუცია 1992 წელს მიიღეს. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ქვეყნის უნიტარული მოწყობის პრინციპს და ფაქტობრივად, სეპარატისტულად განწყობილი, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კონსტიტუციას წარმოადგენდა.[13]

ბოსნია-ჰერცეგოვინას მეორე „ერთეული" — „ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია" თავად ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის (1995) მსგავსად საერთაშორისო შეთანხმების შედეგია. დოკუმენტი ბოსნიელებსა და ხორვატებს შორის ამერიკელთა შუამავლობით მიღწეული იმ კომპრომისული ტექსტის ნაწილია, რომელიც „ვაშინგტონის შეთანხმების" სახელით არის ცნობილი.[14]

ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის კონსტიტუციის მიხედვით, ბოსნიელებმა და ხორვატებმა, როგორც ქვეყნის მოსახლეობის შემადგენელმა ნაწილმა (სხვებთან ერთად) და ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკის მოქალაქეებმა, შეცვალეს ბოსნიელი და ხორვატი უმრავლესობებით დასახლებული ტერიტორიების შინაგანი სტრუქტურა და შემოიღეს ფედერაცია. გადაწყვეტილების მიღება სერბი უმრავლესობით დასახლებული ტერიტორიების სამართლებრივი სტატუსის შესახებ მომავალი მოლაპარაკებებისათვის გადაიდო.[15]

---

10. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ. II 2, 3. იხ. აგრეთვე დანართი I
11. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ.VI.3 ა.
12. იხ. ევროკომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 2. პარ. 4
13. იხ. ევროკომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 2. პარ.4
14. მიღებულია 1994 წლის ივნისში.
15. იხ. ევროკომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 2. პარ.4

ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის კონსტიტუციით შემოღებულ იქნა ძალზე დეცენტრალიზებული ფედერაცია, რომელიც 10 კანტონად იყოფოდა. მათგან 5-ში ბოსნიელები ჭარბობდნენ, 3 კანტონში - ხორვატები იყვნენ უმრავლესობით წარმოდგენილნი, ხოლო დანარჩენ ორ კანტონში ეთნიკური შემადგენლობა შერეული (ბოსნიელი/ხორვატი) სახისა იყო. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მცირერიცხოვან ხორვატთა მონაწილეობის მიზნით, დაცვის დამატებითი მექანიზმები ჩაიდო ფედერალურ დონეზეც. პირდაპირი არჩევნებით არჩეულ ქვედა პალატას დაემატა ზედა — არაპირდაპირი არჩევნებით არჩეული ხალხთა პალატა — ორივე ეთნოსის თანაბარი რიცხობრივი მონაწილეობით. შემოღებულ იქნა მაღალი კვორუმების სისტემა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის „შემადგენელი ხალხების" სასიცოცხლო ინტერესებს შეეხებოდა და ა.შ.

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციამ აღიარა ბოსნია-ჰერცეგოვინას იმ რესპუბლიკის სამართალსუბიექტობის განგრძობადობა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა ყოფილი იუგოსლავიისაგან. მაგრამ შეიცვალა აღნიშნული სუბიექტის სამართლებრივი სტრუქტურა და სახელწოდება: ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკას „ბოსნია-ჰერცეგოვინა" ეწოდა,[16] მანამდე არსებულ ორ წარმონაქმნს - „რესპუბლიკა სრპსკასა" და „ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციას" კი „ერთეულების" სტატუსი მიენიჭა. კონსტიტუციამ დაადგინა ტერმინი „შემადგენელი ხალხები", რომელიც გამოყენებულ იქნა ბოსნიელების, ხორვატების და სერბების ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისაგან, ე.წ. „სხვა ხალხებისაგან" გასამიჯნად . ფაქტობრივად კონსტიტუციის მთელი ტექსტი იმგვარად აიგო, რომ სამივე ეთნოსის წარმომადგენელთა შორის შენარჩუნებულიყო ძალთა თანაფარდობა. აღნიშნული თანასწორობის უზრუნველსაყოფად დადგინდა მთელი რიგი დაცვითი მექანიზმი, როგორც სახელმწიფო, ისე „ერთეულების" და კანტონების[17] დონეზე. მათ შორის, ე.წ. „სასიცოცხლო ინტერესების ვეტო" და საკვანძო სახელისუფლებო თანამდებობათა თანაბარი გადანაწილება სამი „შემადგენელი ხალხის" წარმომადგენლებს შორის.

შედეგად მივიღეთ ორი ერთეულისაგან შემდგარი, საოცრად სუსტი ფედერაცია, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი დამატებით დაყოფილია 10 ქვეერთეულ-კანტონად, რომელიც, თავის მხრივ, კონტროლდება „შემადგენელ ხალხთაგან" ერთ-ერთი (ბოსნიელი ან ხორვატი) ან ორი (ბოსნიელი და ხორვატი) ეთნოსის მიერ.[18] აღნიშნულს ემატება კონსტიტუციით გარანტირებული ე.წ. „ბლოკირების" მექანიზმები, რომლებიც სამი „შემადგენელი ხალხის" წარმომადგენლებს ნებისმიერი გადაწყვეტილების ბლოკირების ფართო უფლებებს ანიჭებს მაშინაც კი, როდესაც რომელიმე მათგანი ამომრჩეველთა ძალზე მცირე რაოდენობას შეადგენს.[19]

ყოველივე ზემოთქმული იმ წინამძღვრების შედეგია, რომელთაც განაპირობეს ბოსნია-ჰერცეგოვინას არსებული კონსტიტუცია. საომარ მდგომარეობაში მყოფი ეთნოსები სრულიად ბუნებრივად ცდილობდნენ მაქსი-

16. იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 3. პარ.6
17. ბოსნია და ჰერცეგოვინას ფედერაციის ერთეული
18. იგულისხმება შერეული კანტონები, სადაც ბოსნიელები და ხორვატები თანაბრად არიან წარმოდგენილნი.
19. იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 3. პარ.11

მალურად მოერგოთ კონსტიტუციის ტექსტი ერთი ჯგუფის ინტერესებისათვის საერთო ხერხემლის დასუსტების ხარჯზე, რამაც უჩვეულოდ დაკნინებული, ფაქტობრივად, უფლებაშეზღუდული ფედერაცია მოგვცა. აშკარაა ტერიტორული მოწყობის მოდელი, რომელიც გარეგნულად ფედერაციის თვისებებს ატარებს, მაგრამ სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო ევროპის ისეთ ფედერაციებთან, როგორებსაც წარმოადგენენ შვეიცარია, ბელგია, ავსტრია და პრაქტიკაში თავისი შინაარსით და სახელშეკრულებო ხასიათით კონფედერაციას უფრო მოგვაგონებს.

4. საპარლამენტო ასამბლეა

ბოსნია-ჰერცეგოვინაში მოქმედებს ორპალატიანი წარმომადგენლობითი ორგანო - საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ხალხთა (15 წევრი) და წარმომადგენელთა (42 წევრი) პალატებად. ორივე პალატა თანასწორუფლებიანია. სხვა ფედერაციებისაგან განსხვავებით, საპარლამენტო ასამბლეის ბიკამერულობა ისევ და ისევ ეთნიკური ბალანსის შენარჩუნებით არის ნაკარნახევი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, დისკრიმინაციული ხასიათისაა. პალატათა შემადგენლობის 2/3 კომპლექტდება ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციიდან. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ხალხთა პალატაში, რომელიც სულ 15 დეპუტატისაგან შედგება, თითოეულ ეთნოსს განკუთვნილი აქვს 5 ადგილი. ამასთან, ბოსნიელების და ხორვატების წარმომადგენელთა შერჩევა მხოლოდ ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის ტერიტორიიდან ხდება, ხოლო სერბებისა – „რესპუბლიკა სრპსკადან".

კვოტირების აღნიშნულ სისტემას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ „სხვა ხალხების" წარმომადგენლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ხალხთა პალატის მუშაობაში. იგივე ითქმის სერბებზე, რომლებიც ცხოვრობენ არა „რესპუბლიკა სრპსკას" ტერიტორიაზე, არამედ ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციაში. ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენენ ბოსნიელები და ხორვატებიც, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც არ არის ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია. გამოდის, რომ ამგვარი დამცავი მექანიზმით კონსტიტუციის IV 1. მუხლი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ არსებულ დებულებებს (რომელთა პრიმატსაც თავად აღიარებს), არამედ საკუთარ ტექსტში მოცემულ დებულებებსაც – დისკრიმინაციის აკრძალვის, ადამიანის უფლებათა სამართლის პირდაპირი წესით მოქმედების,[20] დემოკრატიის პრინციპების შესახებ.[21]

„შემადგენელ ხალხთა" ინტერესების დაცვის სერიოზულ მექანიზმად უნდა მივიჩნიოთ „სასიცოცხლო ინტერესების ვეტო", რომლის მიხედვითაც საპარლამენტო ასამბლეაში წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტი რომელიმე „შემადგენელი ხალხის" წარმომადგენელთა უმრავლესობამ შესაძლოა ბოსნიელი, ხორვატი ან სერბი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ მიიჩნიოს. ასეთ შემთხვევაში ვეტოს დაძლევა მხოლოდ ბოსნიელი, ხორვატი და სერბი „შემადგენელი ხალხების" ერთობლივი

20. იხ. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ II 2, 3, 4
21. იქვე მ. I 2.

უმრავლესობით არის შესაძლებელი. ამასთან, ბოსნიელი, ხორვატი ან სერბი „შემადგენელი ხალხების" სხვა წარმომადგენელთა უმრავლესობა შეიძლება შეეწინააღმდეგოს ვეტოს გამოყენებას.[22] ასეთ შემთხვევაში იქმნება სპეციალური შემთანხმებელი კომისია, რომელშიც სამივე ეთნოსი თითო წევრით არის წარმოდგენილი. კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა, რომელმაც ვეტოს მართებულობაზე უნდა იმსჯელოს. საყურადღებოა ისიც, რომ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ტერმინ „სასიცოცხლო ვეტოს" შინაარსი, ამ ცნების მნიშვნელობა „ერთეულების" კონსტიტუციებში გვხვდება, თუმცა მათ ძირითად კანონებში მოცემული დეფინიცია ზედმეტად ფართოა და მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის (ერთეულის) ხალხთა პალატაში რომელიმე „შემადგენელი ხალხის"[23] ორი მესამედის მოთხოვნით ნებისმიერი საკითხი შეიძლება ჩაითვალოს „სასიცოცხლო ინტერესად", რაც ხსენებული მექანიზმის ბოროტად გამოყენების საფრთხეს ქმნის.

5. აღმასრულებელი ხელისუფლება

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის V მუხლით აღმასრულებელ ხელისუფლებას ქვეყანაში ხელმძღვანელობს პრეზიდენტთა კოლეგია და მინისტრთა საბჭო. კოლეგია ერთი ბოსნიელი, ერთი ხორვატი და ერთი სერბი წევრისაგან შემდგარი კოლექტიური ორგანოა, სადაც ერთი ბოსნიელი და ერთი ხორვატი პირდაპირი არჩევნების წესით აირჩევიან ფედერაციის ტერიტორიიდან, ხოლო ერთი სერბი — პირდაპირი არჩევნების წესით „რესპუბლიკა სრპსკას" ტერიტორიიდან.

არსებულ მოდელს ბევრი ნაკლი აქვს, მათ შორის უმთავრესი კი ალბათ პოზიტიური დისკრიმინაციის მიზნით ეთნიკური და ტერიტორიული კრიტერიუმების კომბინირება და მინისტრთა საბჭოს ფუნქციების დუბლირებაა. თავისთავად კოლეგიალური საპრეზიდენტო ინსტიტუტი საკმაოდ უცნაური წარმონაქმნია, განსაკუთრებით სხვა კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოს - მინისტრთა საბჭოს არსებობის პირობებში. აღნიშნული ინსტიტუციური მოწყობა აფერხებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ახდენს ფუნქციების დუბლირებას, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიუროკრატიული აპარატის ზრდაზე. პრეზიდენტთა კოლეგიასთან მიმართებაში პასიური საარჩევნო უფლების გამოყენება, ისევე როგორც ხალხთა პალატის შემთხვევაში, შეზღუდულია ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის ტერიტორიიდან ბოსნიელებისა და ხორვატებისათვის, ხოლო „რესპუბლიკა სრპსკადან" - ეთნიკური სერბებისათვის. ე.ი. ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციიდან პრეზიდენტთა კოლეგიაში ვერ აირჩევა „სხვა ხალხების" წარმომადგენელი ან „შემადგენელი ხალხების" წარმომადგენელი სერბი. იგივე შეზღუდვა მოქმედებს „რესპუბლიკა სრპსკადან" - ეროვნებით „სხვა ხალხებს", ბოსნიელ, ან ხორვატ ეთნოსს მიკუთვნებული მოქალაქის პრეზიდენტთა კოლეგიაში არჩევის შემთხვევაში. ასე რომ, აქაც წინააღმდეგობას ვაწყდებით

22. მაგ. ბოსნიელთა მიერ ვეტოს დადებას შეიძლება ხორვატ დელეგატთა უმრავლესობა შეეწინააღმდეგოს.
23. ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ ბოსნიელები და ხორვატები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან და non-discrimination პრინციპთან მიმართებაში.

სწორედ აღნიშნული ინსტიტუტების არაეფექტურობის გათვალისწინებით, ვენეციის კომისიამ სპეციალურად გამოკვეთა აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებული პრობლემები და პრეზიდენტთა კოლეგიის ნაცვლად, თავის „მოსაზრებაში" რეკომენდაცია გაუწია აღმასრულებელი ხელისუფლების კონცენტრაციას მინისტრთა საბჭოს ხელში და ერთი, შეზღუდული უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას.[24]

6. საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლო ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის მიხედვით ერთადერთი უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა.[25] დანარჩენი სასამართლო ინსტანციები გათვალისწინებულია სხვა დონის კანონმდებლობით.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან. მათგან ოთხ წევრს ირჩევს ფედერაციის წარმომადგენელთა პალატა, ორს - „რესპუბლიკა სრპსკას" ასამბლეა, დანარჩენ სამ წევრს, პრეზიდენტთა კოლეგიასთან კონსულტაციების შემდეგ, შეარჩევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელნი არ შეიძლება იყვნენ ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქეები. მათ მხოლოდ იმ საქმეების განხილვაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, რომლებიც უშუალოდ ადამიანის უფლებებს ეხება. მოსამართლეები უნდა იყვნენ მაღალი მორალური შეგნების მქონე, გამორჩეული სამართალმცოდნეები,[26] რაც შეეხება უფლებამოსილების ვადას, თითოეული პირი უფლებამოსილია, მოღვაწეობდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მანამ, სანამ 70 წლის ასაკს არ მიაღწევს, ან სხვა მოსამართლეთა კონსენსუსის საფუძველზე გადაყენებული იქნება დაკავებული თანამდებობიდან, ან საკუთარი სურვილით დატოვებს დაკავებულ თანამდებობას.[27]

კონსტიტუციის VI. 3 მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას:

ა. სასამართლოს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა კონსტიტუციასთან მიმართებაში „ერთეულებს", ბოსნია-ჰერცეგოვინასა და „ერთეულს" ან „ერთეულებს", ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლო ინსტიტუტებს შორის შემდეგ საკითხებზე:

— შეესაბამება თუ არა „ერთეულის" გადაწყვეტილება — დაამყაროს განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოსთან, კონსტიტუციას, მათ შორის დებულებებს ბოსნია-ჰერცეგოვინას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ.[28]

— შეესაბამება თუ არა "ერთეულის" კონსტიტუციის დებულება ან კანონი კონსტიტუციას.

---

24. იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 10. პარ.40
25. იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 6. პარ. 22
26. იხ. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ VI 1.
27. პირველი მონაკვეთის სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა განსაზღვრა 5 წლით. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ VI 1. გ.
28. იხ. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ. III 2 ა.

ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე აქვს საapელაციო იურისდიქცია ბოსნია-ჰერცეგოვინას სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის საკითხებთან მიმართებაში.

ბოსნია-ჰერცეგოვინას ნებისმიერი სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციასთან, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან და მის დამატებით ოქმებთან, ბოსნია-ჰერცეგოვინას სხვა კანონებთან შესაბამისობის შემოწმების მოთხოვნით ისევე, როგორც კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესის არსებობის დადგენისა და მისი ფარგლების განსაზღვრის მიზნით.[29]

შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ორგანოა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ქვეყნის სამართლებრივ ცხოვრებაში. თუმცა, კონსტიტუციის ტექსტიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდია მისი პოლიტიზირების ხარისხიც. ფაქტობრივად, ნებისმიერი სერიოზული საკითხი, რომლის გადაწყვეტაც „შემადგენელი ხალხების" უთანხმოების გამო ჩიხში შევა, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ხდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საყურადღებოა ე.წ. „შემადგენელი ხალხების" საქმე.[30] რომელშიც, როგორც სასამართლომ აღნიშნა, ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციაში ინკორპორირებული საერთაშორისო სამართლის აქტები იმგვარად ზღუდავდა სახელმწიფოს, რომ ეს უკანასკნელი არ იყო უფლებამოსილი, მიენიჭებინა რაიმე პრივილეგია ქვეყანაში უკვე გაბატონებული ძირითადი ჯგუფებისათვის და დაცვის დამატებითი მექანიზმების გამოყენება მხოლოდ ქვეყანაში არსებულ უმცირესობათა მიმართ იყო შესაძლებელი. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე დაადგინა non discrimination პრინციპის და მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევა პრეზიდენტთა კოლეგიის არჩევის პროცედურასთან მიმართებაში ეთნიკური და ტერიტორიული პრინციპის შერწყმით (მუხლი V).[31] ამ გადაწყვეტილების განხორციელების შედეგად „ერთეულების" კონსტიტუციებში ჩაიდო „შემადგენელი ხალხების" თანასწორობის პრინციპი, რაც „ერთეულების კონსტიტუციებში" „სასიცოცხლო ინტერესების ვეტოს" შემოღებასა და სამი ეთნოსის წარმომადგენელთა შორის სახელისუფლებო თანამდებობების თანაბრად გადანაწილებაში გამოიხატა.

დასკვნა

ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე დანაწილების მასშტაბები და „სახელმწიფო აპარატების" ბიუროკრატიულობა გადაწყვეტილების მიღებას ძალზე აძნელებს და, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ დღეს ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციას იუსტიციის 11

29. იქვე VI.3
30. 2000 წლის 1 ივლისის განაწყვეტილება 65ა.; იხ. აგრეთვე ვენეციის კომისიის დოკუმენტი CDL 2000 (81). ვენეციის კომისიის მოსაზრება CDL-AD (2005)004 Or. English ვენეცია, 11 მარტი 2005წ. გვ. 3. პარ. 10, გვ. და გვ. 15-16, პარ. 68-71
31. პაქტი საერთაშორისო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მ. 25., ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 4.

მინისტრი ჰყავს,[32] რაც სახელმწიფოს დონეზე იუსტიციის მინისტრთან ერთად უკვე 12 მინისტრს შეადგენს. არსებულ პრობლემებს ორ ერთვის დაცვის სპეციალური მექანიზმები: „სასიცოცხლო ვეტო", ეთნიკურ პრინციპზე დამყარებული კოლეგიური საპრეზიდენტო ინსტიტუტი, რომელიც გადაწყვეტილებას კონსენსუსის გზით იღებს, ორპალატიანი პარლამენტი, რომლის „ხალხთა პალატა" მხოლოდ ეთნიკურ ინტერესებს ემსახურება და კანონპროექტის მიღების გართულებული პროცედურა, სადაც ბიუჯეტის პროექტმა მინისტრთა საბჭოს, პრეზიდენტთა კოლეგიის და ორივე პალატის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს. აღნიშნულ სირთულეებს უნდა დაუმატოთ ზედმეტად დეცენტრალიზებული ფედერაციული ერთეული (ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია) და ამავდროულად, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების დაბალი დონე. ჩვენ წინაშეა სუსტი, უუნარო ფედერაცია, სადაც ცენტრი „ერთეულების" „შემოწირულებით" არსებობს და, მათზე ფინანსურად არის დამოკიდებული.[33] სახელმწიფოს განსაკუთრებული გამგებლობის სფეროს საკითხთა ძალზე მცირე ნუსხა მიეკუთვნება, ხოლო ყველაფერი, რაც ცენტრის განსაკუთრებულ კომპეტენციებში არ შედის, „ერთეულების" გამგებლობის სფეროს წარმოადგენს.

ვენეციის კომისიის ექსპერტებმა თავის „მოსაზრებაში" პირდაპირ მიუთითეს, რომ „არსებული კონსტიტუციური წყობა სრულიად გამორიცხავს ქვეყნის წინსვლას, ევროკავშირთან ინტეგრაციას",[34] რადგან ეს პროცესი გადაწყვეტილებების ეფექტურად მიღებას და, შესაბამისად, მოქნილ სახელმწიფო აპარატს საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის მოდელი „სრულიად არაეფექტური და ირაციონალურია, ხოლო კონსტიტუციის ტექსტის გადასინჯვა — გარდაუვალი".

დასასრულს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დადებითი როლი, რომელიც დეიტონის შეთანხმებამ და კომპრომისულმა კონსტიტუციამ ქვეყანაში ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის შესაჩერებლად შეასრულა. თუმცა დღეს აშკარაა, რომ ძირითადი კანონის არსებულმა ტექსტმა ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები და ქვეყანას მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად ახალი, მეტად მოქნილი და ლეგიტიმურობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე მექანიზმი ესაჭიროება. ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიული მოწყობის დღევანდელ მოდელს ევოლუციის თეორიის თვალით თუ შეეხედავთ, ეს იქნება კონფედერაციული მოწყობიდან ფედერაციულ მოწყობაზე გარდამავალი სახელმწიფო, რომელიც დამყარებულია ეთნიკური კუთვნილების და არა მოქალაქეობის პრინციპზე. ასეთ მიდგომას კი ჯერ არც ერთი სახელმწიფოსათვის არ მოუტანია კეთილდღეობა. სადღაც უნდა გატარდეს ზღვარი „შემადგენელი ხალხების" ინტერესების დაცვასა და ეფექტური ხელისუფლების აუცილებლობას შორის.[35]

---

32. *10 კანტონიდან, 1 ერთეულის და 1 სახელმწიფო იუსტიციის მინისტრები*
33. *იხ. ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია მ. VIII 3.*
34. *იქვე ასრ. 26*

ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია

პრეამბულა:

ეფუძნება რა ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას;

ერთგულია რა მშვიდობის, სამართლიანობის, შემწყნარებლობისა და შერიგების;

დარწმუნებულია რა, რომ დემოკრატიული სახელისუფლებო ინსტიტუტები და სამართლიანი პროცედურები საუკეთესო საშუალებაა პლურალისტურ საზოგადოებაში მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებისა;

სურს რა კერძო საკუთრების დაცვითა და საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და ეკონომიკურ ზრდას;

ხელმძღვანელობს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის მიზნებითა და პრინციპებით;

ერთგულია რა ბოსნია-ჰერცეგოვინას საერთაშორისო სამართლით აღიარებული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა;

მზადაა რა უზრუნველყოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განუხრელი პატივისცემა;

შთაგონებულია რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, საერთაშორისო პაქტებით — სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, დეკლარაციით იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს, აგრეთვე — ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა დოკუმენტებით;

შეახსენებს რა ჟენევის 1995 წლის 8 სექტემბრისა და ნიუიორკის 1995 წლის 26 სექტემბრის შეთანხმებათა მიღწეულ ძირითად პრინციპებს;

ბოსნიელები, ხორვატები, სერბები, როგორც ქვეყნის მოსახლეობის შემადგენელი ნაწილი (სხვებთან ერთად) და ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქენი ადგენენ ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციას შემდეგი სახით:

მუხლი I
ბოსნია-ჰერცეგოვინა

1. სამართალსუბიექტობის განგრძობადობა

ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკა, რომლის ოფიციალური სახელწოდე-

ბაც ამიერიდან არის "ბოსნია-ჰერცეგოვინა", განაგრძობს სამართლებრივ არსებობას საერთაშორისო სამართლის თანახმად, როგორც სახელმწიფო, ამჟამად არსებულ საერთაშორისო სამართლით აღიარებულ საზღვრებში, რომლის შიდა მოწყობაც მოდიფიცირებულია ამ დოკუმენტის შესაბამისად. იგი დარჩება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოდ, აგრეთვე უფლებამოსილია, გაწევრიანდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში არსებულ ორგანიზაციებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

2. დემოკრატიის პრინციპები

ბოსნია-ჰერცეგოვინა იქნება დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების პირობებში, ხელმძღვანელებს სამართლის უზენაესობის პრინციპით.

3. შემადგენლობა

ბოსნია-ჰერცეგოვინა შედგება ორი ერთეულისაგან - ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია და „რესპუბლიკა სრპსკა" (შემდგომში „ერთეულები").

4. საქონლის მომსახურების, კაპიტალისა და პირის თავისუფალი გადაადგილება

გადაადგილების თავისუფლება აღიარებულია ბოსნია-ჰერცეგოვინას მთელ ტერიტორიაზე. ბოსნია-ჰერცეგოვინამ და „ერთეულებმა" არ უნდა შეაფერხონ პირის, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის გადაადგილება ბოსნია-ჰერცეგოვინას მთელ ტერიტორიაზე. არც ერთი „ერთეული" არ არის უფლებამოსილი, დააწესოს საკონტროლო პუნქტები ერთეულების საზიარო საზღვარზე.

5. დედაქალაქი

ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქია სარაევო.

6. სიმბოლიკა

ბოსნია-ჰერცეგოვინას სიმბოლიკას განსაზღვრავს ქვეყნის საპარლამენტო ასამბლეა გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდენტთა კოლეგია.

7. მოქალაქეობა

ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქეობის საკითხის მოწესრიგება ხდება საპარლამენტო ასამბლეის მიერ, ხოლო თითოეული „ერთეულის" მოქალაქეობის საკითხს წყვეტს ეს „ერთეული", ამასთან:

a. ყველა მოქალაქე, განურჩევლად იმისა, თუ რომელ „ერთეულს" ეკუთვნის იგი, იმავდროულად არის ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქე;

b. პიროვნებას არ შეიძლება ჩამოერთვას ბოსნია-ჰერცეგოვინას ან „ერთეულის" მოქალაქეობა თვითნებურად ან იმგვარად, რომ პიროვნება გახდეს მოქალაქეობის არმქონე პირი;

პიროვნებას არ შეიძლება ჩამოერთვას ბოსნია-ჰერცეგოვინას ან „ერთეულის" მოქალაქეობა სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, წარმოშობის თუ სხვა სტატუსის საფუძველზე;

c. ყველა პიროვნება, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკასთან მოქალაქეობრივ ურთიერთობებში იმყოფებოდა, ამ კონსტიტუციის ძალაში

შესვლამდე ითვლება ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქედ. იმ პირების მოქალაქეობის საკითხი, რომლებმაც გაიარეს ნატურალიზაციის პროცესი 1992 წლის 6 აპრილის შემდეგ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, მოწესრიგდება საპარლამენტო ასამბლეის მიერ.

d. ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქეები შეიძლება, იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც იყვნენ, თუკი ამ უკანასკნელსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის დადებულია ორმხრივი შეთანხმება, რომელიც დამტკიცებულია საპარლამენტო ასამბლეის მიერ IV (4) მუხლის შესაბამისად. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში ბოსნია-ჰერცეგოვინას და „ერთეულების" ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოსნია-ჰერცეგოვინა მათი ადგილსამყოფელი ქვეყანაა;

e. საზღვარგარეთ მყოფი ბოსნია-ჰერცეგოვინას მოქალაქე სარგებლობს ბოსნია-ჰერცეგოვინას მფარველობით.

თითოეული „ერთეული" უფლებამოსილია, გასცეს ბოსნია-ჰერცეგოვინას პასპორტები საკუთარ მოქალაქეებზე. პასპორტების გაცემის წესი რეგულირდება საპარლამენტო ასამბლეის მიერ. ბოსნია-ჰერცეგოვინამ შეიძლება გასცეს პასპორტი მოქალაქეებზე, რომელთაც არ გააჩნიათ „ერთეულის" პასპორტი. ცენტრალური რეგისტრატურა რეგისტრაციაში გაატარებს „ერთეულების" და ბოსნია-ჰერცეგოვინას მიერ გაცემულ ყველა პასპორტს.

მუხლი II
ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები

1. ადამიანის უფლებები

ბოსნია-ჰერცეგოვინა და ორივე „ერთეული" უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრიმატს. ამ მიზნით ბოსნია-ჰერცეგოვინასათვის იქმნება ადამიანის უფლებათა კომისია, ზოგადი ჩარჩო-შეთანხმების დანართი №6-ის შესაბამისად.

2. საერთაშორისო სტანდარტები

უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით, პირდაპირი წესით მოქმედებს ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე. მათ ენიჭებათ უპირატესობა სამართლის ყველა სხვა წყაროსთან მიმართებაში.

3. უფლებათა ნუსხა

ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიის ფარგლებში ყველა სარგებლობს მე-2 პუნქტში მოხსენიებული ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, მათ შორის:

a. სიცოცხლის უფლებით;

b. უფლებით, არ დაექვემდებარონ წამებას, ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას, ან სასჯელს;

c. უფლებით, არ იმყოფებოდნენ მონობაში ან ყმობაში და არ დაეკისროთ იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება;

d. პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებით;

e. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილ-

ვის უფლებით, აგრეთვე სხვა უფლებებით, რომლებიც უკავშირდება სისხლის სამართალწარმოებას;

f. პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისის და მიმოწერის ხელშეუხებლობით;

g. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით;

h. გამოხატვის თავისუფლებით;

i. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებით;

j. ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებით;

k. საკუთრების უფლებით;

l. განათლების უფლებით;

m. მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით.

4. დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ მუხლით გათვალისწინებული და ამ კონსტიტუციის I დანართში აღნუსხული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს ყველა პიროვნება ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად რასის, სქესის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა.

5. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები

ყველა ლტოლვილსა და იძულებით გადაადგილებულ პირს უფლება აქვს, თავისუფლად დაუბრუნდეს საკუთარ სახლს. ზოგადი ჩარჩოხელშეკრულების მე-7 დანართის თანახმად, ისინი ასევე სარგებლობენ უფლებით, დაუბრუნდეთ 1991 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ჩამორთმეული ქონება და მიიღონ კომპენსაცია იმ ქონებისათვის, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია. ბათილია ასეთ ქონებასთან დაკავშირებით მიცემული ან გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან ვალდებულების აღიარება, რომელიც მოპოვებულ იქნა ძალადობის გზით.

6. იმპლემენტაცია

ბოსნია-ჰერცეგოვინა, აგრეთვე ყველა სასამართლო, სახელისუფლებო ორგანო და დაწესებულება, ისევე როგორც „ერთეულების" მიერ გატარებული და „ერთეულებში" განხორციელებული ღონისძიებები, უნდა შეესაბამებოდეს მე-2 პუნქტში აღნიშნულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

7. საერთაშორისო შეთანხმებები

ბოსნია-ჰერცეგოვინა დარჩება ხელშემკვრელ სახელმწიფოდ ან მიუერთდება ამ კონსტიტუციის I დანართში აღნუსხულ საერთაშორისო შეთანხმებებს.

8. თანამშრომლობა

ბოსნია-ჰერცეგოვინას ყველა კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, ითანამშრომლოს და უზრუნველყოს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობით ბოსნია-ჰერცეგოვინასათვის დაწესებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმები, აგრეთვე ამ კონსტიტუციის I დანართში მოცემული რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებით დაწესებული საზედამხედველო ორგანოები, „საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიი-

სათვის" (კერძოდ ტრიბუნალის სტატუტის 29-ე მუხლით დაწესებული წესების შესაბამისად) ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის საკითხებში შესაბამისი მანდატით არის აღჭურვილი.

მუხლი III
ბოსნია-ჰერცეგოვინას და „ერთეულების" სახელისუფლებო ინსტიტუტების გამგებლობის სფეროები და მათი ურთიერთობა

1. ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების გამგებლობის სფეროები

ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების კომპეტენციაშია შემდეგი საკითხები:

a. ფინანსური პოლიტიკა;

b. საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა;

c. საბაჟო პოლიტიკა;

d. მონეტარული პოლიტიკა (იხ. მუხლი VII);

e. დაფინანსება ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების და საერთაშორისო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად;

f. საიმიგრაციო, ლტოლვილთა, თავშესაფრის საკითხების რეგულირება;

g. საერთაშორისო და „ერთეულთაშორისი" სისხლის სამართლებრივი აღსრულება, მათ შორის ინტერპოლთან ურთიერთობა;

h. ერთობლივი და საერთაშორისო კომუნიკაციების შექმნა და მათი ფუნქციონირება;

i. "ერთეულთაშორისი" ტრანსპორტირების რეგულირება;

j. საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი.

2. „ერთეულების" გამგებლობის სფეროები

a. „ერთეულები" უფლებამოსილნი არიან, დაამყარონ განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, რომელიც შეესაბამება ბოსნია-ჰერცეგოვინას სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

b. თითოეული „ერთეული" ვალდებულია, გაუწიოს საჭირო დახმარება ბოსნია-ჰერცეგოვინას მთავრობას ბოსნია-ჰერცეგოვინას საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ბოსნია-ჰერცეგოვინას საპარლამენტო ასამბლეისა და პრეზიდენტების არჩევამდე „ერთეული" პასუხისმგებელია იმ ფინანსურ ვალდებულებებზე, რომელსაც ის მეორე ერთეულის თანხმობის გარეშე იკისრებს. ზემოხსენებული არ ეხება ვალდებულებებს, რომელიც აუცილებელია ბოსნია-ჰერცეგოვინას საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის გასაგრძელებლად.

c. „ერთეულები" საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოს ყველა პიროვნებისათვის. ამ მიზნით „ერთეულები" შეინარჩუნებენ სამართალაღსრულების სამოქალაქო ორგანოებს, რომლებიც ფუნქციონირებენ საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის და აღიარებული საერ-

თაშორისო სტანდარტების პირობებში, (იხ. ზემოთ მუხლი II) აგრეთვე გაატარებენ სხვა, შესაბამის ზომებს.

d. თითოეული „ერთეული" ასევე უფლებამოსილია, საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით, დადოს შეთანხმებები სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საპარლამენტო ასამბლეა უფლებამოსილია, კანონით დაადგინოს, რომ ზოგიერთი სახის შეთანხმება არ საჭიროებს ასეთ თანხმობას.

3. ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების გამგებლობის სფეროები

a. ყველა სახელისუფლებო ფუნქცია და უფლებამოსილება, რომელიც ამ კონსტიტუციის ძალით ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების სპეციალური გამგებლობის სფეროს არ განეკუთვნება, ეკუთვნის „ერთეულებს".

b. „ერთეულებმა" და მათმა ნებისმიერმა ქვედანაყოფებმა სრულად უნდა დაიცვან ეს კონსტიტუცია. წინამდებარე კონსტიტუციას ენიჭება უპირატესობა ნებისმიერი კოლიზიის შემთხვევაში ბოსნია-ჰერცეგოვინას კანონსა და „ერთეულების" კონსტიტუციებსა და კანონს, აგრეთვე ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები ბოსნია-ჰერცეგოვინას და „ერთეულების" კანონის განუყოფელი ნაწილია.

4. კოორდინაცია

პრეზიდენტთა კოლეგია უფლებამოსილია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელი შეუწყოს ერთეულთაშორის კოორდინაციას იმ საკითხებში, რომლებიც ამ კონსტიტუციის შესაბამისად უშუალოდ არ განეკუთვნება ბოსნია-ჰერცეგოვინას გამგებლობის სფეროს, იმ პირობით, თუკი „ერთეული" არ არის ამის წინააღმდეგი.

5. დამატებითი კომპეტენციები

a. ბოსნია-ჰერცეგოვინა განკარგავს იმ სხვა საკითხებს, რომლებიც შეთანხმებულია „ერთეულების" მიერ და მოცემულია ზოგადი ჩარჩო — შეთანხმების მე-5 — მე-8 დანართებში, ან აუცილებელია ბოსნია-ჰერცეგოვინას სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესანარჩუნებლად, ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის ვალდებულებების დანაწილების შესაბამისად. ამგვარ ვალდებულებათა შესასრულებლად შესაძლებელია, საჭიროებისამებრ, დამატებითი ინსტიტუტების დაარსება.

b. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში „ერთეულები" დაიწყებენ მოლაპარაკებებს ბოსნია-ჰერცეგოვინას ინსტიტუტების ვალდებულებების ნუსხის შესახებ. არსებულ ნუსხაში სხვა, მათ შორის, ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების საკითხების შეტანის მიზნით.

მუხლი IV
საპარლამენტო ასამბლეა

საპარლამენტო ასამბლეა შედგება ორი პალატისაგან: ხალხთა პალატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან.

1. ხალხთა პალატა

ხალხთა პალატა შედგება 15 დელეგატისაგან, ორი მესამედი ფედერაციიდან (მათგან ხუთი ხორვატი და ხუთი ბოსნიელი) და ერთი მესამედი „რესპუბლიკა სრპსკადან" (ხუთი სერბი).

a. ფედერაციიდან დანიშნული ხორვატი და ბოსნიელი დელეგატები შეირჩევიან ფედერაციის ხალხთა პალატის, შესაბამისად, ხორვატი და ბოსნიელი დელეგატების მიერ. დელეგატები „რესპუბლიკა სრპსკადან" შეირჩევიან „რესპუბლიკა სრპსკას" ეროვნული ასამბლეის მიერ.

b. ხალხთა პალატის ცხრა წევრი შეადგენს კვორუმს, იმ პირობით, რომ სხდომას ესწრება, სულ მცირე, სამი ბოსნიელი, სამი ხორვატი და სამი სერბი დელეგატი.

2. წარმომადგენელთა პალატა

წარმომადგენელთა პალატა შედგება 42 წევრი-დეპუტატისაგან, რომელთაგანაც ორი მესამედი აირჩევა ფედერაციის ტერიტორიიდან, ერთი მესამედი კი — „რესპუბლიკა სრპსკადან".

a. წარმომადგენელთა პალატის წევრები აირჩევიან მათი „ერთეულიდან" პირდაპირი არჩევნების წესით, საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად.

b. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატთა უმრავლესობა შეადგენს კვორუმს.

3. პროცედურები

a. თითოეული პალატა მოიწვევა სარაევოში მისი შერჩევის ან არჩევნებიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

b. თითოეული პალატა ხმათა უმრავლესობით იღებს პალატის შინაგანაწესს და საკუთარი წევრებისაგან აირჩევს ერთ სერბს, ერთ ბოსნიელს და ერთ ხორვატს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე. თავმჯდომარის პოსტი მონაცვლეობითია და მას მორიგეობით იკავებს სამივე არჩეული პიროვნება.

c. ყველა კანონი საჭიროებს დამტკიცებას ორივე პალატის მიერ.

d. ყველა გადაწყვეტილება ორივე პალატაში მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. დელეგატები და წევრები მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რათა საკითხისათვის მიცემულ ხმათა უმრავლესობა მოიცავდეს თითოეული „ერთეულის" ტერიტორიის დელეგატთა ან წევრთა ხმების სულ მცირე, ერთ მესამედს. თუ ხმათა უმრავლესობა არ მოიცავს თითოეული „ერთეულის" ტერიტორიის დელეგატთა ან წევრთა ხმების სულ მცირე ერთ მესამედს, იქმნება კომისია თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების შემადგენლობით, რომელიც ეცდება, მოიპოვოს მხარდაჭერა საკითხის კენჭისყრიდან 3 დღის განმავლობაში. თუკი ამ შემთხვევაშიც ვერ მოხერხდა შედეგის მიღწევა, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, იმ პირობით, რომ განსხვავებულ ხმათა რაოდენობა არ შეადგენს რომელიმე „ერთეულიდან" არჩეულ დელეგატთა ან წევრთა ხმების ორ მესამედს ან მეტს.

e. პირველი „a" პუნქტის მიხედვით (იხ. ზემოთ) შერჩეული ბოსნიელი, ხორვატი ან სერბი დელეგატების უმრავლესობით საპარლამენტო ასამბლეის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ბოსნიელი, ხორვატი ან სერბი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საზიან-

ოდ. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ხალხთა პალატაში წარმოდგენილი ბოსნიელი, ხორვატი და სერბი დელეგატების დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერას.

f. თუ ბოსნიელი, ხორვატი ან სერბი დელეგატების უმრავლესობა ეწინააღმდეგება „e" პუნქტის გამოყენებას, ხალხთა პალატის თავმჯდომარე საკითხის გადასაჭრელად სასწრაფოდ მოიწვევს ერთობლივ კომისიას სამი დელეგატის შემადგენლობით. მათგან თითო შეირჩევა ბოსნიელი, ხორვატი და სერბი დელეგატების მიერ. თუკი კომისიამ ხუთი დღის განმავლობაში მაინც ვერ მიაღწია შედეგს, საკითხი განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც დაჩქარებული წესით განიხილავს პროცედურული წესების მართებულობის საკითხს.

g. ხალხთა პალატა შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტთა კოლეგიის ან თავად პალატის ინიციატივით, იმ პირობით, რომ პალატის გადაწყვეტილებას დათხოვნის შესახებ მხარს დაუჭერს უმრავლესობა, რომელიც მოიცავს დელეგატთა უმრავლესობას ბოსნიელ, ხორვატ და სერბ ხალხთა სულ მცირე, ორი ჯგუფიდან.

h. საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებები ძალაში შედის მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ.

i. ორივე პალატა გამოსცემს საპარლამენტო განხილვათა სრულ ანგარიშს. განხილვა საჯაროა, გარდა დადგენილი წესების მიხედვით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

j. დელეგატები და წევრები პასუხს არ აგებენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის წესით ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია მათ მიერ საპარლამენტო ასამბლეაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

4. უფლებამოსილება

საპარლამენტო ასამბლეა პასუხისმგებელია:

a. კანონმდებლობის მიღებაზე, რომელიც აუცილებელია პრეზიდენტთა კოლეგიის გადაწყვეტილებების იმპლემენტაციისათვის ან ასამბლეის მოვალეობების კონსტიტუციის შესაბამისად შესრულებისათვის;

b. იმ შემოსავლის რაოდენობის და წყაროების განსაზღვრაზე, რომლებიც აუცილებელია ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

c. ბოსნია-ჰერცეგოვინას ბიუჯეტის დამტკიცებაზე;

d. საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციაზე თანხმობის გამოხატვაზე;

e. სხვა საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც შედის მის ფუნქციებში ან დადგენილია „ერთეულების" ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი V
პრეზიდენტთა კოლეგია

ბოსნია-ჰერცეგოვინას პრეზიდენტთა კოლეგია შედგება სამი წევრისაგან: ერთი ბოსნიელი და ერთი ხორვატი პირდაპირი არჩევნების წესით აირჩევიან ფედერაციის ტერიტორიიდან, ხოლო ერთი სერბი პირდაპირი არჩევნების წესით - „რესპუბლიკა სრპსკას" ტერიტორიიდან.

1. არჩევა და უფლებამოსილების ვადა

a. თითოეულ „ერთეულში" პრეზიდენტთა კოლეგიის წევრებს ირჩევენ პირდაპირი არჩევნების წესით (ამასთან თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პრეზიდენტთა კოლეგიაში მხოლოდ ერთი ადგილის დაკავებას) საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული საარჩევნო კანონის შესაბამისად. კოლეგიაში ვაკანტური ადგილის შევსება ხდება შესაბამისი „ერთეულიდან" საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად.

b. პირველი არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტთა კოლეგიის უფლებამოსილების ვადა ორი წელია. მომდევნო არჩევნებში არჩეულ წევრთა უფლებამოსილების ვადა კი — ოთხი წელი. ერთი და იგივე პირი კოლეგიის წევრად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ, რის შემდეგაც მისი გადარჩევა აკრძალულია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

2. პროცედურები

პრეზიდენტთა კოლეგია ადგენს კოლეგიის პროცედურულ წესებს, რომელიც გულისხმობს კოლეგიის შეხვედრათა შესახებ შესაბამის შეტყობინებას.

a. პრეზიდენტთა კოლეგიის პირველი მოწვევისთვის თავმჯდომარეს ნიშნავენ კოლეგიის წევრები თავისი შემადგენლობიდან. პირველი კოლეგიისა თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს მეტ ხმას. მომდევნო კოლეგიების თავმჯდომარეთა როტაციით ან სხვაგვარად არჩევის წესს განსაზღვრავს საპარლამენტო ასამბლეა IV(3) მუხლის შესაბამისად.

b. პრეზიდენტთა კოლეგიამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა კოლეგიის ყველა გადაწყვეტილება (ე.ი. მუხლი V (3) (a)- (d) საკითხებზე) მიღებულ იქნეს კონსენსუსის გზით. ასეთი გადაწყვეტილებანი შესაძლოა, ამ მუხლის მე-2 (d) პუნქტის დებულებათა შესაბამისად, მიღებულ იქნეს კოლეგიის ორი წევრის მიერ, როდესაც კონსენსუსის მიღწევის ყველა მცდელობა უშედეგოა.

c. განსხვავებული აზრის მქონე პრეზიდენტთა კოლეგიის წევრი უფლებამოსილია, პრეზიდენტთა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში კოლეგიის გადაწყვეტილება მიიჩნიოს იმ „ერთეულის" სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ, რომელსაც ის წარმოადგენს. ასეთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადაეცემა განსახილველად „რესპუბლიკა სრპსკას" ეროვნულ ასამბლეას იმ შემთხვევაში, თუკი საკითხი „რესპუბლიკა სრპსკას" ტერიტორიიდან წარმოდგენილმა წევრმა დასვა; ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციის ხალხთა პალატის ბოსნიელ დეპუტატებს - თუ საკითხი კოლეგიის ბოსნიელმა წევრმა დასვა, ან ხორვატ დეპუტატებს, თუ იგი ხორვატი წევრის მიერ იქნა წამოჭრილი. პრეზიდენტთა კოლეგიის სადაო გადაწყვეტილება არ შევა ძალაში, თუ განსახილველად მისი გადაცემიდან 10 დღის ვადაში ის ზემოაღნიშნულ წარმომადგენელთა ხმების 2/3-ს მიიღებს.

3. უფლებამოსილება

პრეზიდენტთა კოლეგია:

ა. აწარმოებს ბოსნია-ჰერცეგოვინას საგარეო პოლიტიკას;

ბ. ნიშნავს ბოსნია-ჰერცეგოვინას ელჩებსა და სხვა საერთაშორისო

წარმომადგენლებს, რომელთაგან არა უმეტეს ორი მესამედისა, შეირჩევა ფედერაციის ტერიტორიიდან;

c. წარმოადგენს ბოსნია-ჰერცეგოვინას საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, იღწვის იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გასაწევრიანებლად, რომელთა წევრიც ბოსნია-ჰერცეგოვინა არ არის;

d. აწარმოებს მოლაპარაკებებს, ახდენს ბოსნია-ჰერცეგოვინას ხელშეკრულებების დენონსირებას და საპარლამენტო ასამბლეის თანხმობით, მათ რატიფიცირებას;

e. აღასრულებს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებებს;

f. მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციით ყოველწლიურად წარუდგენს საპარლამენტო ასამბლეას ბიუჯეტის პროექტს;

g. საპარლამენტო ასამბლეის მოთხოვნით, წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს ასამბლეას პრეზიდენტთა კოლეგიის მიერ გაწეული ხარჯის ანგარიშს;

h. კოორდინირებულად თანამშრომლობს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ბოსნია-ჰერცეგოვინაში;

i. საჭიროებისამებრ ასრულებს საპარლამენტო ასამბლეის მიერ დაკისრებულ ან „ერთეულების" მიერ შეთანხმებულ სხვა ფუნქციებს, რომლებიც შეესაბამება მის ვალდებულებებს.

4. მინისტრთა საბჭო

პრეზიდენტთა კოლეგია ასახელებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელსაც თანამდებობაზე ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატა. თავმჯდომარე, თავის მხრივ, ასახელებს საგარეო საქმეთა მინისტრს, საგარეო ვაჭრობის მინისტრისა და სხვა შესაბამისი მინისტრების კანდიდატურებს, რომლებსაც ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატა.

a. თავმჯდომარე და მინისტრები ერთად შეადგენენ მინისტრთა საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია, მუხლი III (1), (4) და (5) პუნქტებით აღნიშნულ სფეროებში განახორციელოს ბოსნია-ჰერცეგოვინას პოლიტიკა და ცხოვრებაში გაატაროს მიღებული გადაწყვეტილებები, რის შესახებაც ანგარიშს წარუდგენს საპარლამენტო ასამბლეას (მათ შორის, სულ მცირე, ყოველწლიურ ანგარიშს ბოსნია-ჰერცეგოვინას ხარჯების შესახებ).

b. მინისტრების არა უმეტეს ორი მესამედისა შეიძლება დაინიშნონ ფედერაციის ტერიტორიიდან. თავმჯდომარე ასახელებს თავმჯდომარის მოადგილეთა კანდიდატურებს (რომელთა ეროვნული კუთვნილებაც განსხვავდება მინისტრთა ეროვნული კუთვნილებისაგან). კანდიდატურებს ამტკიცებს წარმომადგენელთა პალატა.

c. საპარლამენტო ასამბლეის მიერ მინისტრთა საბჭოსათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში მინისტრთა საბჭო გადადგება.

5. მუდმივმოქმედი კომიტეტი

a. პრეზიდენტთა კოლეგიის თითოეულ წევრს, დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, აქვს შეიარაღებული ძალების სამოქალაქო სარდლობის უფლება. არც ერთმა „ერთეულმა" არ უნდა გამოიყენოს ძალა ან მიმართოს ძალის გამოყენების მუქარას მეორე "ერთეულის" წინააღმდეგ. დაუშვებელია რომელიმე "ერთეულის" ნებისმიერი შეიარაღებული ძალის მეორე "ერთეულის" ტერიტორიაზე შესვლა ან დარჩენა ამ "ერთეულის" მთავ-

რობისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას პრეზიდენტთა კოლეგიის თანხმობის გარეშე. ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებულმა ყველა შეიარაღებულმა ძალამ უნდა იმოქმედოს ბოსნია-ჰერცეგოვინას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისად.

b. ბოსნია-ჰერცეგოვინას შეიარაღებული ძალების მოქმედებების კოორდინირების მიზნით, პრეზიდენტთა კოლეგიის წევრები ირჩევენ სამხედრო საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედ კომიტეტს. პრეზიდენტთა კოლეგიის წევრები იმავდროულად არიან მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრები.

მუხლი VI
საკონსტიტუციო სასამართლო

1. შემადგენლობა

ბოსნია-ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან.

a. ოთხ წევრს ირჩევს ფედერაციის წარმომადგენელთა პალატა, ორს - „რესპუბლიკა სრპსკას" ასამბლეა, დანარჩენ სამ წევრს, პრეზიდენტთა კოლეგიასთან კონსულტაციების შემდეგ, შეარჩევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი.

b. მოსამართლეები უნდა იყვნენ მაღალი მორალური შეგნების მქონე გამორჩეული სამართალმცოდნეები. საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ასეთ კრიტერიუმებს, შესაძლებელია გამწესებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. მოსამართლეები, რომელთაც შეარჩევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, არ უნდა იყვნენ ბოსნია-ჰერცეგოვინას ან რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქენი.

c. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი მოწვევის მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლე გადადგება დაკავებული თანამდებობიდან ან მისი თანამდებობიდან გადაყენება მოხდება კონკრეტულ საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეთა კონსენსუსით. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი მოწვევის მოსამართლეები არ გადაირჩევიან. მომდევნო მოწვევის მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა წყდება მათ მიერ 70 წლის შესრულებისთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლე გადადგება დაკავებული თანამდებობიდან, ან მისი თანამდებობიდან გადაყენება მოხდება კონკრეტულ – საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეთა კონსენსუსის საფუძველზე.

d. იმ საქმე მოსამართლის თანამდებობაზე განწესების წესი, რომელთაც შეარჩევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, შესაძლოა შეიცვალოს საპარლამენტო ასამბლეის კანონით, სასამართლოს პირველი მოწვევიდან მხოლოდ მეხუთე წლის გასვლის შემდეგ.

2. პროცედურები

a. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობა შეადგენს კვორუმს.

b. საკონსტიტუციო სასამართლო წევრთა უმრავლესობით ამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს. საკონსტიტუციო სამართალწარმოება საჯაროა, გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი გამოქვეყნდება.

3. იურისდიქცია

საკონსტიტუციო სასამართლო ემსახურება კონსტიტუციის დაცვას.

a. წინამდებარე ნუსხა არის არასრული ჩამონათვალი იმ საკითხებისა, რომელთა განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა კონსტიტუციასთან მიმართებაში „ერთეულებს", ბოსნია-ჰერცეგოვინასა და „ერთეულს" ან „ერთეულებს", ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის:

— შეესაბამება თუ არა „ერთეულის" გადაწყვეტილება — დაამყაროს განსაკუთრებული პარალელური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოსთან — კონსტიტუციას, მათ შორის დებულებებს, ბოსნია-ჰერცეგოვინას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ.

— შეესაბამება თუ არა „ერთეულის" კონსტიტუციის დებულება ან კანონი კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის უფლება აქვთ: პრეზიდენტთა კოლეგიის წევრს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საპარლამენტო ასამბლეის პალატების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს. საპარლამენტო ასამბლეის პალატის წევრთა ერთ მეოთხედს, „ერთეულის" საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ერთ მეოთხედს.

b. საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე აქვს სააპელაციო იურისდიქცია ბოსნია-ჰერცეგოვინას სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის საკითხებთან მიმართებაში.

c. საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ბოსნია-ჰერცეგოვინას ნებისმიერი სასამართლოს მიმართვაზე, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ განსაჯოს იმ კანონის კონსტიტუციასთან, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან და მის დამატებით ოქმებთან, ბოსნია-ჰერცეგოვინას კანონებთან შესაბამისობა, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაეყრდნოს. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისი საჯარო საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესის არსებობა ან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ზოგადი წესის ფარგლები სასამართლო გადაწყვეტილებასთან მიმართებაში.

4. გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი VII
ცენტრალური ბანკი

მხოლოდ ბოსნია-ჰერცეგოვინას ცენტრალური ბანკია უფლებამოსილი მოახდინოს ფულის ემისია, განახორციელოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

1. ცენტრალური ბანკის ფუნქციებს განსაზღვრავს საპარლამენტო ასამბლეა. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან პირველი ექვსი წლის განმავლობაში მას არა აქვს უფლება, გასცეს კრედიტი ფულის მოჭრის ხარჯზე და შეასრულოს სავალუტო პალატის ფუნქცია. მოგვიანებით, საპარლამენტო ასამბლეამ შეუძლია აღადგინოს ცენტრალური ბანკი ასეთი ფუნქციით.

2. ცენტრალური ბანკის მმართველთა პირველ საბჭოში შედიან საბჭოს მმართველი, რომელსაც პრეზიდენტთა კოლეგიასთან კონსულტაციების შემდეგ ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და პრეზიდენტთა კოლეგიის მიერ დანიშნული სამი წევრი, რომელთაგან ორი ფედერაციიდან (ერთი ბოსნიელი, ერთი ხორვატი) ერთი კი „რესპუბლიკა სრპსკადან" არის წარმოდგენილი. ყოველი მათგანის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ექვს წელს. საბჭოს მმართველს, რომელიც არ უნდა იყოს ბოსნია-ჰერცეგოვინას ან რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქე, ხმათა გაყოფის შემთხვევაში აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

3. ბოსნია-ჰერცეგოვინას ცენტრალური ბანკის მომდევნო მმართველთა საბჭოების შემადგენლობა განისაზღვრება პრეზიდენტთა კოლეგიის მიერ თანამდებობაზე ექვსი წლის ვადით განწესებული ხუთი პირით. საბჭო თავისი შემადგენლობიდან მმართველს აირჩევს ექვსი წლის ვადით.

მუხლი VIII
ფინანსები

1. საპარლამენტო ასამბლეა, პრეზიდენტთა კოლეგიის წარდგინებით, ყოველწლიურად იღებს ბიუჯეტს, რომელიც საჭიროა ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის და ბოსნია-ჰერცეგოვინას საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად.

2. თუ საპარლამენტო ასამბლეამ დროულად ვერ მოახერხა ბიუჯეტის მიღება, დროებით გამოიყენება გასული წლის ბიუჯეტი.

3. ფედერაცია პასუხისმგებელია ბიუჯეტის შემოსავლის ორ მესამედზე, ხოლო „რესპუბლიკა სრპსკა" — ერთ მესამედზე.

მუხლი IX
ზოგადი დებულებები

1. არც ერთ პირს, რომელიც იხდის „საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის" მიერ დაწესებულ სასჯელს, აგრეთვე არც ერთ პირს, რომელიც ტრიბუნალის მიერ მიჩნეულია ბრალდებულად და თავს არიდებს ტრიბუნალის წინაშე წარდგენას, არ აქვს უფლება, დააყენოს საკუთარი კანდიდატურა ნებისმიერ დანიშვნით, არჩევით, თუ სხვა საჯარო თანამდებობის დასაკავებლად ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე.

2. იმ პირთა ანაზღაურება, რომელთაც უკავიათ თანამდებობები ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტებში, არ შეიძლება შემცირდეს მათი ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს.

3. საჯარო მოხელენი, რომლებიც დაინიშნებიან ბოსნია-ჰერცეგოვინას სახელისუფლებო ინსტიტუტებში, ზოგადად უნდა წარმოადგენდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინას ხალხებს.

მუხლი X
კონსტიტუციის გადასინჯვა

1. ამ კონსტიტუციის გადასინჯვა შეიძლება მოხდეს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებით. თუ მას მხარს დაუჭერს წარმომადგენელთა პალატის დამსწრეთა ორი მესამედი.

2. კონსტიტუციის ვერც ერთი გადასინჯვით ვერ მოხდება II მუხლში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმება, მათი ხარისხის შემცირება ან მოცემული დებულების შეცვლა.

მუხლი XI
გარდამავალი დებულებები

გარდამავალი დებულებები, რომლებიც ეხება საჯარო სამსახურს, კანონს და სხვა საკითხებს, მოცემულია კონსტიტუციის II დანართში.

მუხლი XII
ძალაში შესვლა

1. ეს კონსტიტუცია ძალაში შედის ზოგადი ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, როგორც ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკის კონსტიტუციაზე უფრო მაღლა მდგომი საკონსტიტუციო აქტი, რომელიც გადასინჯავს მას.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში „ერთეულები" გადასინჯავენ თავიანთ კონსტიტუციებს, მათი ამ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, III (3) (b) მუხლის შესაბამისად.

დანართი I

ადამიანის უფლებათა დაცვის დამატებითი დოკუმენტები რომლებიც გამოიყენება ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მიმართებაში

1. 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის დასჯისა და თავიდან აცილების შესახებ.
2. 1949 წლის ჟენევის კონვენცია I-IV ომებში მსხვერპლთა დაცვის შესახებ და 1977 წლის ჟენევის I-II დამატებითი ოქმები.
3. 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და 1966 წლის დამატებითი ოქმები.
4. 1957 წლის კონვენცია ქორწინებაში მყოფ ქალთა მოქალაქეობის შესახებ.
5. 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების შესახებ.
6. 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.
7. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მისი 1966 და 1989 წლების ფაკულტატური ოქმები.
8. 1966 წლის პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.
9. 1979 წლის კონვენცია ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.
10. 1984 წლის კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის შესახებ.
11. 1987 წლის ევროპული კონვენცია წამების და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის თავიდან აცილების შესახებ.
12. 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ.

13. 1990 წლის საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ.

14. 1992 წლის ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ.

15. 1994 წლის ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.

დანართი II

გარდამავალი დებულებები

1. დროებითი ერთობლივი კომისია

a. მხარეები ქმნიან დროებით ერთობლივ კომისიას, რომლის მანდატიც მოიცავს იმ პრაქტიკული საკითხების განხილვას, რომლებიც უკავშირდება ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციის, ზოგადი ჩარჩო-ხელშეკრულებისა და მისი დანართების ცხოვრებაში გატარებას. დროებითი ერთობლივი კომისია აღჭურვილი იქნება აგრეთვე საკონსულტაციო ფუნქციებით - შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მოამზადებს წინადადებებს.

b. დროებითი ერთობლივი კომისია შედგება ფედერაციის ოთხი, „რესპუბლიკა სრპსკას" სამი და ბოსნია-ჰერცეგოვინას ერთი წარმომადგენლისაგან.

c. კომისიის სხდომებს უხელმძღვანელებს „უმაღლესი წარმომადგენელი".

2. კანონთა მოქმედების გაგრძელება

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე მოქმედი ყველა კანონი, დებულება და სამართალწარმოების პროცესუალური წესი, თუკი ის არ ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას, ძალაში რჩება ბოსნია-ჰერცეგოვინას კომპეტენტური სამთავრობო ორგანოს მიერ საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. სასამართლო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება

სამართალწარმოება, რომელიც ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისას მიმდინარეობს ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე მოქმედ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში, გაგრძელდება, ან გადაეცემა ბოსნია-ჰერცეგოვინას სხვა სასამართლოებს, ან ორგანოებს იმ კანონმდებლობის დაცვით, რომელიც აწესრიგებს ასეთი სასამართლოების ან ორგანოების კომპეტენციებს.

4. საჯარო სამსახური

შესაბამისი შეთანხმების ან კანონის არსებობამდე სამთავრობო დაწესებულებების, ინსტიტუტების და სხვა ორგანოების მუშაობა რეგულირდება არსებული კანონმდებლობით.

5. ხელშეკრულებები

ყველა ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციაც ბოსნია-ჰერცეგოვინამ მოახდინა 1992 წლის 1 იანვრიდან ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, გადაეცემა გასაცნობად პრეზიდენტთა კოლეგიას — მათ მიერ თანამდებობების დაკავებიდან 15 დღის განმავლობაში. ხელშეკრულება, რომელსაც არ გაეცნობა პრეზიდენტთა კოლეგია, უარყოფილი იქნება. საპარლამენტო ასამბლეის პირველი მოწვევიდან ექვსი თვის ვადაში, პრეზიდენტთა კოლეგიის წევრის მოთხოვნით, საპარლამენტო ასამბლეა განიხილავს სხვა მსგავსი ხელშეკრულების უარყოფის საკითხს.

ესტონეთი

ნათია ხუნძაყიშვილი

ესტონეთის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — ესტონეთის რესპუბლიკა;

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი;

ფართობი — 45,1 ათასი კვ. კმ. მისი ტერიტორიის 9,2 პროცენტი უკავია ბალტიის ზღვის 1521 კუნძულს, რომელთაგან უდიდესია საარემაა და ხიიუმაა;

მოსახლეობა — 1.238 მილიონი. ამათგან — ესტონელები 65,3 პროცენტი, რუსები — 28,1 პროცენტი, უკრაინელები — 2,5 პროცენტი, ბელორუსები — 1,5 პროცენტი, ფინელები — 1 პროცენტი. ესტონელები თანაბრად არიან დასახლებული მთელს ტერიტორიაზე, რუსები და სხვა არაესტონელები კი ძირითადად სამრეწველო ქალაქებში სახლობენ;

დედაქალაქი — ტალინი.

1. ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების ძირითადი ეტაპები

თანამედროვე ესტონეთის ტერიტორიაზე, ისტორიკოსების ვარაუდით, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო მე-13 საუკუნის დამდეგს და მიმდინარეობდა მრავალრიცხოვანი ომების ფონზე. ამ დროისათვის ესტონეთის, თანამედროვე ფინეთის, ლიტვისა და ლატვიის ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხი კვლავ წარმართები იყვნენ. მათზე არ ვრცელდებოდა მზარდი დასავლურ-ევროპული კათოლიციზმისა და აღმოსავლურ-რუსული მართლმადიდებლობის გავლენის სფეროები. 1227 წელს ესტონეთი დაიპყრეს გერმანელმა რაინდებმა და გააქრისტიანეს, რამაც განაპირობა მისი ორიენტირება დასავლეთ—ევროპულ ფასეულობებზე. მე-13-16 საუკუნეებში გერმანელი ჯვაროსნების მიერ დაპყრობილი ეს ტერიტორიები შეეიდა ლივონიის ორდენში და ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად ჩამოყალიბდა.

მე-16 საუკუნეში გერმანიაში დაწყებული რეფორმატორული მოძრაობა გავრცელდა ლივონიაზეც, რამაც გამოიწვია ფეოდალთა უმრავლესობის ლუთერანობა. რეფორმაციამ დარტყმა მიაყენა ლივონიის ორდენისა და საეპისკოპოსოების მთავარ იდეოლოგიურ საფუძველს — კათოლიკურ-კლერიკალურ სტრუქტურას. ლივონიის პოლიტიკურმა დაქსაქსულობამ და გამწვავებულმა კლასობრივმა წინააღმდეგობამ გამოიწვია ორდენის საბოლოო დასუსტება, და შემდგომ მისი მარცხი (1558—1582 წ.წ.). ესტონეთის ჩრდილოეთი ნაწილი შვედეთს დაექვემდებარა, ხოლო სამხრეთი — რეჩ-პოსპოლიტას. კუნძული საარემაა დარჩა დანიას. 1645 წლიდან კი ესტონეთის მთელი ტერიტორია შვედეთს მიეკუთვნა. მე-18 საუკუნის დასაწყისში ბალტიის რეგიონში რუსეთისა და შვედეთის ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა, რაც

გახდა ე.წ. ჩრდილოეთის 21-წლიანი ომის მიზეზი ამ ორ ქვეყანას შორის, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1721 წელს *ნიშტადტის* ზავით ესტონეთი რუსეთს შეუერთდა. 1917 წლის აპრილში ესტონეთმა მიიღო რუსეთის პროვინციის სტატუსი და შეიქმნა ესტლანდიის ავტონომიური გუბერნია.

1917 წლის იულისში ჩატარდა პარლამენტის პირველი არჩევნები, ხოლო 12 ოქტომბერს შეიქმნა *კონსტანტინე პიატსის* მთავრობა, რომელმაც 1918 წლის 24 თებერვალს გამოაქვეყნა „ესტონეთის დამოუკიდებლობის" მანიფესტი. თუმცა ფაქტიურ დამოუკიდებლობამდე ესტონეთმა გადაიტანა გერმანელების ოკუპაცია 1918 წელს. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, 1918 წლის 11 ნოემბერს აღიარებულ იქნა ესტონეთის დამოუკიდებლობა. 1919 წლის გაზაფხულზე ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელმაც მიიღო მიწის რეფორმის რადიკალური კანონი და პირველი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ესტონეთი გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად, სადაც ხელისუფლება ეკუთვნოდა ერთპალატიან პარლამენტს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს კონსტიტუცია იყო დროებითი, იგი ფაქტიურად ფორმალურ სახეს ატარებდა და ცვალებადი პოლიტიკური სიტუაციის გამო ძალაში არ შესულა. უკვე 1920 წლის 15 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ქვეყნის უზენაესი კანონი. იგი წარმოადგენდა ბურჟუაზიული კონსტიტუციის საკმაოდ დემოკრატიულ ვარიანტს. ამ კონსტიტუციის თანახმად, ესტონეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ჩამოყალიბებული იყო რესპუბლიკური მმართველობის თავისებური ფორმა პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, სადაც პრეზიდენტის ფუნქციები გადანაწილებული იყო სახელმწიფო კრებას, მთავრობასა და მის მეთაურს (სახელმწიფო უხუცესს) შორის.

1933 წელს ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენდა 1920 წლის კონსტიტუციის გადამუშავებულ ვარიანტს (პირველსაწყისი 89 მუხლიდან შეცვლილი იყო მხოლოდ 30). მემარჯვენე რადიკალური წრეების ხელისუფლებაში მოსვლის შიშის გამო, დემოკრატიის დაცვაზე აპელირებით, 1934 წლის 12 მარტს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება ქვეყნის უხუცესის კ. პიატსის და მთავარსარდალ *ლაიდონერის* მეთაურობით. შემოდგომაზე დათხოვნილ იქნა პარლამენტი, ხოლო 1935 წელს — აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია. ფაქტიურად დამყარდა ავტორიტარული რეჟიმი.

1937 წელს შემუშავებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა 1938 წელს. ამ კონსტიტუციის თანახმად, ესტონეთი დაუბრუნდა პარლამენტარიზმს, შესაძლებელი გახდა ოპოზიციიდან დეპუტატების არჩევა, თუმცა კვლავ აკრძალული იყო პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. შემოღებულ იქნა პრეზიდენტის პოსტი და ესტონეთის პირველ პრეზიდენტად 1938 წლის აპრილში არჩეულ იქნა კ. პიატსი.

1939 წლის 28 ნოემბერს ესტონეთსა და სსრკ-ს შორის დაიდო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ესტონეთმა ნებართვა მისცა სსრკ-ს საბჭოთა ჯარების თავის ტერიტორიაზე განლაგების შესახებ. 1940 წლის 21 ივნისს ესტონეთის მთავრობა დაამხეს. ქვეყნის სათავეში საბჭოთა არმიის მხარდაჭერით მოვიდა სახალხო ფრონტის მთავრობა. 1940 წლის 14-15 ივლისს ჩატარდა ახალი პარლამენტის — სახ-

ელმწიფო სათათბიროს (დუმა) ფიქტიური არჩევნები, სადაც დეპუტატობის ყველა არაკომუნისტი კანდიდატი დაბლოკილ იქნა. 1940 წლის 21 ივლისს კი ამ მოწვევის სახელმწიფო დუმამ ესტონეთი გამოაცხადა საბჭოთა რესპუბლიკად ხალხის მანდატის გარეშე. 1940 წლის 25 აგვისტოს მიიღეს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებდა ესტონეთის მთელ ტერიტორიაზე და რომელსაც საფუძვლად დაედო რსფსრ-ს კონსტიტუცია. ერთი თვის შემდეგ, 6 აგვისტოდან, ესტონეთი უკვე სსრკ-ის ერთ-ერთი რესპუბლიკაა. ხელისუფლების ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ქვეყნის სწრაფი გასაბჭოებისაკენ.

1941-1944 წლებში ესტონეთი ოკუპირებული იყო გერმანელი ფაშისტების მიერ. ოკუპაციის შემდეგ იგი დარჩა სსრკ-ს შემადგენლობაში. სსრკ-ს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ესტონეთმა 1978 წლის 13 აპრილს მიიღო საბჭოური ტიპის მეორე კონსტიტუცია. 1940 წლიდან 1990 წლის აგვისტომდე ესტონეთს ჰქონდა სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკის სტატუსი. 1987 წლიდან ესტონეთში უკვე ღიად დაიწყო საზოგადოების საყოველთაო მოძრაობა დამოუკიდებლობის მოთხოვნით საბჭოთა კავშირის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1988 წელს შეიქმნა სახალხო ფრონტი, ასევე მთელი რიგი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც მოითხოვდნენ სსრკ-დან გამოყოფას. 1988 წლის ნოემბერში ესტონეთის უმაღლესმა საბჭომ 254 ხმით 7-ის წინააღმდეგ მიიღო საბჭოთა კავშირში პირველი დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ. 1989 წელს დამოუკიდებლობის პარტიისა და ესტონეთის ძეგლთა დაცვის ინიციატივით შეიქმნა ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა კომიტეტი. მოქალაქეთა კომიტეტის ფორმირება ხდებოდა ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა (1940 წლის მდგომარეობით), აგრეთვე მათ პირდაპირ შთამომავალთა და ესტონეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა რეგისტრაციის გზით. 1990 წლის დასაწყისისთვის კომიტეტში რეგისტრირებულთა რაოდენობამ 700 ათას ადამიანს გადააჭარბა. 1989 წელს მოიწვიეს ესტონეთის კონგრესი, რომელიც პარალელური პარლამენტი იყო და მოქმედებდა 1992 წლამდე. 1991 წლის 21 აგვისტოს ესტონეთმა გამოაცხადა ომამდელი ესტონეთის რესპუბლიკის აღდგენის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ და კონგრესმა ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო ასამბლეა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად. 1991 წლის 28 იანვარს სსრკ-ის პრეზიდენტმა ***მიხეილ გორბაჩოვმა*** დაადასტურა ესტონეთის კონსტიტუციური უფლება სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ამ წლიდან, თანამედროვე გეოპოლიტიკურ რუკაზე ესტონეთი გაჩნდა როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

ესტონეთის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1992 წლის 28 ივნისის რეფერენდუმით და ძალაში შევიდა 1992 წლის 3 ივლისს.

2. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები; კონსტიტუციის სტრუქტურა და მისი გადასინჯვის წესი

კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 15 თავისა და 168 პარაგრაფისაგან. ესტონელი კანონმდებლები უკვე პრეამბულაშივე აღნიშნავენ ისტორიული ტრადიციების მემკვიდრეობითობასა და თანამედროვე მსოფლიოს საყოვე-

ლთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულების შესახებ. გაცხადებულია ესტონელი ხალხის უმაღლესი მიზანი — ესტონელი ერის და კულტურის შენარჩუნება საუკუნოდ, საზოგადოებრივი პროგრესი და საყოველთაო სიკეთე ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის.

კონსტიტუციის თანახმად, ესტონეთის რესპუბლიკა დემოკრატიულ ფასეულობებზე დამყარებული სამართლებრივი სახელმწიფოა. კონსტიტუციაში დეკლარირებულია ესტონეთის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის ხელშეუვალობა და წარუვალობა, ტერიტორიული მთლიანობა და განუყოფლობა (§1-§2). ნათელია დასავლური დემოკრატიისთვის ესოდენ დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ხელისუფლების დანაწილების პრინციპისადმი ანალოგიური მიდგომა (§4). უზენაესი სუვერენი არის ესტონეთის ხალხი, რაც დემოკრატიის საწინდარია (§1). კონსტიტუციაში ჩადებულია სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპები — ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციისა და მასთან შეთანხმებული კანონების საფუძველზე, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები წარმოადგენს ესტონეთის სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილს (§3). სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ესტონური (§6), აქვე აღიარებულია ეროვნულ უმცირესობათა ენის დაცვის უფლებაც.

ესტონელი კანონმდებლები ადგენენ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის განსაკუთრებით რთულ პროცედურას და ეს განპირობებულია მისი სწრაფვით, არ გახადონ ადვილად შესწორებადი ქვეყნის ძირითადი კანონი, რათა პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ცვალებადობის სიხშირის პირდაპირპროპორციულად არ დაიკარგოს მისი უზენაესობისა და სტაბილურობის განცდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების სუბიექტთა წრე საკმაოდ ვიწროა. კონსტიტუცია ამ უფლებას ანიჭებს სახელმწიფო კრების წევრთა სულ ცოტა, ერთ მეხუთედს და რესპუბლიკის პრეზიდენტს. სახელმწიფო კრება ცვლილებების კანონპროექტს განიხილავს სამი მოსმენით. გადაწყვეტილება ცვლილების განხორციელების შესახებ მიიღება მხოლოდ მესამე მოსმენისას. ამასთან, პირველ და მეორე მოსმენებს შორის შუალედი არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები, ხოლო მეორე და მესამეს შორის - არანაკლებ ერთი თვისა.

კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს კანონით, რომელიც მიღებულია:

— რეფერენდუმის გზით;

— სახელმწიფო კრების ზედიზედ ორი შემადგენლობით;

— სახელმწიფო კრების მიერ, როგორც სასწრაფოდ განსახილველი საკითხი.

არანაირი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება არ შეიძლება საგანგებო და საომარი მდგომარეობის პერიოდში. მხოლოდ რეფერენდუმის გზით შეიძლება შეიცვალოს კონსტიტუციის პირველი და მე-15 თავები („ზოგადი დებულებები", „კონსტიტუციის გადასინჯვა");

3. პარტიული სისტემა

კონსტიტუცია უშვებს რა პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მასში გაერთიანების თავისუფლებას, ამავდროულად კრძალავს ისეთი პარტიების

შექმნას, რომელთა მიზანი და საქმიანობა მიმართულია ქვეყნის კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი შეცვლისაკენ ან სხვაგვარად ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ გარემოებების დადგენის უფლებამოსილება კი ენიჭება სასამართლოს და მხოლოდ მას შეუძლია შეაჩეროს ან აკრძალოს პარტიის საქმიანობა ჩადენილი სამართალდარღვევის გამო და აგრეთვე დააკისროს მას ჯარიმა.

1987 წლიდან, ე.წ. გარდაქმნის ეპოქაში დაიწყო ახალი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ფორმირება, რომლებიც ეფუძნებიან საკუთარ იდეოლოგიურ მრწამსს. ამასთან მიმდინარეობს პარტიათა შერწყმისა და შესაბამისად, მყარი პარტიული სისტემის ფორმირების პროცესი. ნაკლებად გავრცელებულია საარჩევნო ბლოკების ფორმა. დღეისათვის ქვეყანაში 6 გავლენიანი (რიიგიკოგუში წარმოდგენილი) პარტიაა.

მამულის კავშირი (ისამაალიტი) (მკ) – რომელიც წარმოადგენს კონსერვატული იდეოლოგიის პარტიას (სხვადასხვა დროს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის, ეროვნულ-კონსერვატიული პარტიის, ესტონეთის ლიბერალების და სხვა ზოგიერთი წვრილი პარტიის გაერთიანების შედეგს). 1992-94 და 1999-2002 წლებში იყო ქვეყნის მმართველი კოალიციის წევრი და იკავებდა პრემიერ-მინისტრის პორტფელს. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით რიიგიკოგუში წარმოდგენილია 7 წევრიანი ფრაქციით და არ შედის მემარჯვენე-ცენტრისტულ კოალიციურ მთავრობაში.

გაერთიანება რესპუბლიკისთვის – რე-რესპუბლიკა – *მკ*-ს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (მოიპოვა 28 მანდატი) მთავრობას ჩაუდგა სათავეში, მაგრამ 2005 წლის აპრილში მომხდარი გადაჯგუფების შედეგად მმართველი კოალიციის გარეთ აღმოჩნდა. ეს პარტიაც კონსერვატულ იდეოლოგიას ეფუძნება. მისთვის ყველაზე მყარი პარტნიორი სამთავრობო კოალიციაში ყოველთვის იყო *მკ*.

რეფორმისტული პარტია (რპ), ცენტრისტული პარტია (ცპ) და ესტონეთის სახალხო კავშირი (ესკ) – მემარჯვენე ცენტრისტული პარტიები არიან, რომლებმაც 2005 წლის აპრილში შექმნეს სამთავრობო კოალიცია. ყველა მათგანი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით რიიგიკოგუში მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ფრაქციით არიან წარმოდგენილნი.

სოციალ-დემოკრატიული პარტია – სხვადასხვა პარტიების გაერთიანების შედეგად საბოლოოდ ამ სახელწოდებით ფორმირებული პარტიაა. ქვეყანაში ერთადერთი მემარცხენე-ცენტრისტული გაერთიანებაა, რომელიც ერთხელ (2002-2003წ.წ.) იყო სამთავრობო კოალიციის წევრი *რპ*-სთან ერთად.

სხვა მეტ-ნაკლებად რეიტინგული პარტიები, რომლებიც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით სახელმწიფო კრების გარეთ აღმოჩნდნენ, არიან: ***ესტონეთის ანარქო-კომუნისტური გაერთიანება „ანტი“, ესტონეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ესტონეთის თავისუფლების გაერთიანება, რესპუბლიკური პარტია.*** ქვეყანაში მოქმედებს აგრეთვე ორი ეთნიკური (რუსული) პარტია: ***ესტონეთის გაერთიანებული სახალხო პარტია*** და ***ესტონეთის რუსული პარტია.***

4. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

ესტონეთის კონსტიტუციაში თავი, რომელშიც ადამიანის უფლებებზეა საუბარი, ყველაზე მოცულობითია. აქ ასახვა ჰპოვა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულმა უფლებებმა და თავისუფლებებმა, რადგან მათ დაცვას ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო. აქ ჩადებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დეტალური რეგლამენტაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანტიტოტალურ მექანიზმებსა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. ეს არის ევროპული კონსტიტუციებისთვის დამახასიათებელი პირადი (სამოქალაქო) უფლებები სიცოცხლის, პატივისა და ღირსების დაცვის, პიროვნების ხელშეუხებლობის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის და ა.შ. უპირობოდაა მიღებული წამების აკრძალვა. პოზიტიურია ამ თავის ნორმების საერთო პრინციპი, კერძოდ ის, რომ აქ დეკლარირებული კანონის უზენაესობა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, ყველას უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები თანაბრად ვრცელდება როგორც ესტონეთის მოქალაქეებზე, ასევე ესტონეთში მყოფ სხვა ქვეყნის მოქალაქეებსა თუ მოქალაქეობის არმქონე პირებზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების დაცვას.

ესტონეთის კონსტიტუციით დაცულია საკუთრების, საავტორო, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, თავისუფალი თვითრეალიზაციის, საცხოვრებლის არჩევის, კომუნიკაციის საშუალებებით სარგებლობის უფლებები. გარანტირებულია მემკვიდრეობის უფლება. ყველა სარგებლობს აზრის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლებით.

ესტონეთის კონსტიტუციის ანტიდისკრიმინაციული პოზიცია უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის თანასწორობის პრინციპს. ამიტომ აკრძალულია ყოველგვარი ძალადობა მიუხედავად ეროვნული, რასობრივი, სოციალური თუ სხვა კუთვნილებისა. აკრძალვა აბსოლუტურია და მასზე არ ვრცელდება არანაირი შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი ზოგიერთი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას ადგენს იმ შემთხვევებში, როცა საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. თუმცა იქვეა განმარტებული, რომ არ შეიძლება შეიზღუდოს თავად უფლებათა არსი და ადამიანის ღირსება.

პოლიტიკურ უფლებებს რაც შეეხება, სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლება პირდაპირაა დაკავშირებული პოლიტიკურ დემოკრატიასთან. გარანტირებულია საარჩევნო უფლება, მშვიდობიანი შეკრებების და კრებების ჩატარების უფლება.

კონსტიტუციით დაცულია პიროვნების სოციალური უფლებები. კერძოდ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, შრომისა და სწავლის უფლებას, აგრეთვე ადამიანს სახელმწიფოს მხრიდან ეძლევა დახმარების უფლება ხანდაზმულობის, შრომისუუნარობის, მარჩენალის დაკარგვისა და სიღატაკის გამო. სოციალური გარანტიებით სარგებლობენ ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანებების მქონე პირები და ისინი იმყოფებიან სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთი ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიგს, სადაც არა მხოლოდ აღიარებული და განმტკიცებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, არამედ სრული სახითაა წარმოდგენილი ქვეყნის ძირითად კანონში.

5. უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

ესტონეთი ტრადიციულ პარლამენტარიზმში განხორციელებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე აგებული რესპუბლიკაა. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს კონსტიტუციის მე-4 პარაგრაფი: „სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის და სასამართლოების საქმიანობა ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების და დაბალანსების პრინციპით.“ საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი პარლამენტი — სახელმწიფო კრება (იგი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა შორის ერთადერთია, რომელიც ფორმირდება პირდაპირი არჩევნებით); სახელმწიფოს მეთაური არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა მრავალსაფეხურიანი არჩევნებით; აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას.

ესტონეთში, როგორც ყველა საპარლამენტო ქვეყანაში, პარლამენტს აქვს მეტი უფლებამოსილება მთავრობასთან მიმართებაში ვიდრე პრეზიდენტს. სახელმწიფოს მეთაურთან შედარებით, მთავრობის მიმართ აღჭურვილია მეტი უფლებამოსილებით. პარლამენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობის ფორმირებასა და მის პოლიტიკაზე, ვიდრე პრეზიდენტი. თუმცა ამასთანავე აღსანიშნავია, პარლამენტარიზმის კონცეპტუალური ურყევობის პრინციპის შენარჩუნებით გაძლიერებულია პრეზიდენტის როლი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში, მათ ურთიერთობაში. არადომინირებული პარტიების არსებობა (და შესაბამისად კოალიციების შექმნის აუცილებლობა), მათი ხშირი მონაცვლეობა, გადაჯგუფებები კოალიციებს შიგნით განაპირობებს იმას, რომ ქვეყანაში დღემდე არ დამკვიდრებულა ე.წ. „პრემიერის დემოკრატია“ და მისი სახელმწიფო რეჟიმი პარლამენტარიზმია.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება — სახელმწიფო კრება (რიიგიკოგუ)

საკანონმდებლო ორგანო არის რიიგიკოგუ ანუ სახელმწიფო კრება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს მისთვის სახალხო სუვერენიტეტის გადაცემის გზით. სახელმწიფო კრება წარმოადგენს ერთპალატიან პარლამენტს, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით პროპორციული სისტემით არჩეული 101 დეპუტატისაგან. სახელმწიფო კრების უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი (თუ იგი არ დაინიშნა კონსტიტუციით დადგენილი წესით და, შესაბამისად, არ იქნა დანიშნული რიგგარეშე არჩევნები). დეპუტატისთვის დადგენილია ასაკობრივი ცენზი და იგი განისაზღვრება 21 წლის ასაკიდან.

სახელმწიფო კრება იღებს კანონებსა და დადგენილებებს, წყვეტს რეფერენდუმის ჩატარების საკითხს, ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს. იმ შემთხვევაში, როცა კენჭისყრის მესამე ტურშიც ვერ მოხერხდება პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტს ირჩევს ამომრჩევთა კოლეგია. კრება წყვეტს

რეფერენდუმის ჩატარების საკითხს. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის. რეფერენდუმის შედეგები შეიძლება გახდეს პარლამენტის დათხოვნის მიზეზი, რადგან კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს სახელმწიფო კრების დათხოვნის უფლებას, თუკი განხილვაზე გატანილი კანონპროექტი არ მიიღებს მხარდაჭერას.

ესტონეთის პარლამენტი, კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან კანონებს, მათ შორის ყველა საარჩევნო კანონს, კანონს რეფერენდუმის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სხვას, იღებს ან შეაქვს მასში ცვლილებები მხოლოდ სახელმწიფო კრების წევრთა ხმათა უმრავლესობით(§104); პარლამენტი ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და დენონსირებას; პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ანიჭებს მთავრობის ფორმირების უფლებას; პრეზიდენტის წარდგინებით სიშნავს მაღალი რანგის თანამდებობის პირებს აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ესტონეთის კონსტიტუციურ წყობას საფრთხე ემუქრება, კრებას, კონსტიტუციის §65-ის მე-14 ნაწილის საფუძველზე, ენიჭება საგანგებო მდგომარეობის შემოღების უფლება.

პარლამენტი მუშაობს წელიწადში ორი სასესიო პერიოდის რეჟიმით.

ესტონეთის საკანონმდებლო ორგანო აღჭურვილია მთავრობის ან მისი რომელიმე წევრის მიმართ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების უფლებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მთავრობას აქვს ეფექტური საშუალება და მას, კონსტიტუციის 97-ე პარაგრაფის თანახმად, შეუძლია მიმართოს პრეზიდენტს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნით.

სახელმწიფო კრება ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, იღებს კანონს მისივე რეგლამენტის შესახებ. პარლამენტის სტრუქტურულ რიგულს წარმოადგენს ფრაქციები, რომლებიც იქმნება დეპუტატთა მიერ. პარლამენტს ენიჭება რეფერენდუმზე ნებისმიერი სახის კანონპროექტისა თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხის გატანის უფლება. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის. კონსტიტუცია აგრეთვე განსაზღვრავს იმ კანონპროექტებს, რომელთა რეფერენდუმზე გატანა აკრძალულია. ესენია: სახელმწიფოს საბიუჯეტო, საგადასახადო, საფინანსო ვალდებულებების სფერო, უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების რატიფიკაციისა და დენონსაციის საკითხები, საგანგებო მდგომარეობის შემოღება თუ გაუქმება, აგრეთვე სახელმწიფოს თავდაცვა.

საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო კრების წევრი, მისი ფრაქციები, სახელმწიფო კრების კომისიები, რესპუბლიკის მთავრობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს აქვს მხოლოდ კონსტიტუციის ცვლილებებზე საკითხების ინიცირების უფლება.

ბ) რესპუბლიკის პრეზიდენტი

პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც აირჩევა პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით, სახელმწიფო კრების კვალიფიციური უმრავლესობის ხმათა 2/3-ით. პრეზიდენტობის კანდიდატისთვის დაწესებულია

ბინადრობის, მოქალაქეობრივი და ასაკობრივი ცენზები. კერძოდ, ესტონეთის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ესტონეთის მოქალაქე, დაბადებით ესტონელი, 40 წელს მიღწეული. კანონმდებელი აქვე აწესებს მკაცრ აკრძალვას იმაზე, რომ არავინ შეიძლება აირჩეს პრეზიდენტად ზედიზედ ორ ვადაზე მეტად. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, სახელმწიფო კრების ყველა წევრს აქვს ერთი ხმა. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრების შემადგენლობის ხმათა 2/3-ს. ასე აირჩია ესტონეთის პარლამენტმა 1992 წლის ოქტომბერში პირველი პრეზიდენტი ***ლენარტ მერი,*** მწერალი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

თუ კენჭისყრის სამი ტური უშედეგო აღმოჩნდა, საარჩევნო პროცედურაში ერთვება ახალი ორგანო და პრეზიდენტს ირჩევს ამომრჩევთა კოლეგია. ასე მოხდა 2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა ესტონეთის პრეზიდენტი ***არნოლდ რიუიტელი*** აირჩია ამომრჩევთა კოლეგიამ, რომელიც შედგებოდა 101 დეპუტატისა და ადგილობრივი თვითმმართველობის 266 წარმომადგენლისგან (ყოველი საბჭო კოლეგიაში ირჩევს არანაკლებ ერთ წევრს, რომელიც არის ესტონეთის მოქალაქე). აქედან რიუიტელის სასარგებლოდ ხმა მისცა 184 ამომრჩევმა, ანუ ნახევარზე მეტმა.

სახელმწიფო კრება ამომრჩევთა კოლეგიას წარუდგენს პრეზიდენტის პოსტზე იმ ორ კანდიდატს, რომელმაც კრებაზე მიიღო ხმათა მეტი რაოდენობა. პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს აგრეთვე ამომრჩევთა კოლეგიის სულ ცოტა 21 წევრს. ამომრჩევთა კოლეგია პრეზიდენტს ირჩევს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმათა უმრავლესობით. დასაშვებია იმავე დღეს მეორე ტურის ჩატარება საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად დაწინაურებულ ორ კანდიდატს შორის.

ესტონეთის პრეზიდენტი აღჭურვილია შედარებით მეტი უფლებამოსილებებით, ვიდრე ამას ტრადიციულად ითვალისწინებს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, სადაც პრეზიდენტს აქვს უპირატესად სიმბოლური და ცერემონიული დატვირთვა.

პრეზიდენტი წარმოადგენს თავის რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობებში, ნიშნავს და იწვევს დიპლომატებს, აცხადებს სახელმწიფო კრების მორიგ ან რიგგარეშე არჩევნებს, ხელმძღვანელობს სახელმწიფო თავდაცვას, გამოსცემს ბრძანებებს, რომელთაც კანონის ძალა აქვთ. ასეთი ბრძანებების რეალიზაცია პრეზიდენტს შეუძლია მაშინ, როცა სახელმწიფო კრება ვერ ახერხებს შეკრებას ან თუ არსებობს კონკრეტული საკითხის გადაუდებელი გადაჭრის აუცილებლობა. ბრძანებას ხელს უნდა აწერდეს სახელმწიფო კრების თავჯდომარე და პრემიერ-მინისტრი. სახელმწიფო კრების შეკრებისთანავე პრეზიდენტი ვალდებულია, წარუდგინოს მას ბრძანება. პრეზიდენტის მიერ კანონის ძალის მქონე ბრძანებებზე კანონმდებელი აწესებს შეზღუდვას, მას არ შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს კონსტიტუცია, არც 104-ე მუხლში ჩამოთვლილი ორგანული კანონები, ასევე კანონები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო სფეროში.

კანონებს აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც ასევე სარგებლობს შეყოვნებითი ვეტოს უფლებით.

გ) აღმასრულებელი ხელისუფლება — მთავრობა

აღმასრულებელი ხელისუფლება ესტონეთში ეკუთვნის მთავრობას. მის

შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრები.

მთავრობა ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას; წარმართავს სამთავრობო სტრუქტურების კოორდინირებულ მუშაობას; უზრუნველყოფს კანონების, სახელმწიფო კრების დადგენილებებისა და პრეზიდენტის აქტების შესრულებას; პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტებს, აგრეთვე უცხო ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებს რატიფიკაციისა და დენონსაციის მიზნით; შეიმუშავებს და პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტს, უზრუნველყოფს მის შესრულებას და პარლამენტს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; კანონების საფუძველზე და მათი შესრულების მიზნით გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს; ორგანიზებას უწევს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებს; აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში სტიქიური უბედურებების, კატასტროფების დროს ან ინფექციური დაავადებების აღკვეთის მიზნით; ასრულებს კონსტიტუციითა და კანონით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს.

ესტონეთში მთავრობის ფორმირება რთული სქემის მიხედვით ხდება. მთავრობის ხელმძღვანელის — პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დასახელების უფლებით სარგებლობს პრეზიდენტი. ხოლო შემდგომი პროცედურები ცხადყოფს პარლამენტის დომინანტურ როლს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში. მხოლოდ პარლამენტს შეუძლია მოიწონოს წარდგენილი კანდიდატურა და ახალი მთავრობის ფორმირების მისეული გეგმა, ან უარყოს იგი. თუ პრეზიდენტის მიერ ზედიზედ წარდგენილი ორი კანდიდატურიდან პარლამენტმა არ მოიწონა არც ერთი, მაშინ კანდიდატურის დასახელების უფლება გადადის პარლამენტზე. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, ანუ მთავრობის საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო კრების ნდობის მანდატზე. 2001 წლის დეკემბერში, 2,5 წლიანი სტაბილურობის შემდეგ, როდესაც მოხდა პოლიტიკური ძალების მოულოდნელი გადაჯგუფება, რეფორმების პარტიამ (რომელიც გამოდიოდა საბაზრო ეკონომიკური ცვლილებების ინიციატივით), დაშალა მოქმედი კოალიცია, თავისი პარტნიორებისაგან მოულოდნელად შექმნა კოალიცია მემარცხენე ცენტრისტულ პარტიასთან. ეს იყო ფართომასშტაბიანი და უპრეცენდენტო კოალიციური თანხმობა ორ იდეურად განსხვავებულ პარტიას შორის. შესაბამისად გადადგა ლაარის (*ისამაალიტი*) მთავრობა. 2002 წლის 22 იანვარს კი ახალი კოალიციის საფუძველზე, სახელმწიფო კრებამ დაამტკიცა ახალი მთავრობა *სიიმი კალასის* (*რპ*) ხელმძღვანელობით. ანალოგიური სიტუაცია (კოალიციებს შორის გადაჯგუფება) განმეორდა 2005 წლის აპრილშიც (2003 წლის მოწვევის პარლამენტშიც), როდესაც *იოჰან პარტსის* (*რე რესპუბლიკა*) მთავრობა ჩაანაცვლა *ანდრიუს ანსიპისამ* (*რპ*).

დ) სასამართლო ხელისუფლება

ესტონეთში მართლმსაჯულების სისტემა აგებულია დემოკრატიული პრინციპებისა და სასამართლოების დამოუკიდებლობის საფუძველზე. კონსტიტუციის მიხედვით, მართლმსაჯულებას დამოუკიდებლად, მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად ახორციელებს სასამართლო. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს ამოსავალი პრინციპი და ესტონელი

კანონმდებლებიც განუხრელად ამკვიდრებენ ამ პრინციპს.

ესტონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას, რომელსაც შეადგენენ სამაზრო, საქალაქო და ადმინისტრაციული, საოლქო და სახელმწიფო სასამართლოები. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს სახელმწიფო სასამართლო. ეს უკანასკნელი საქმეებს განიხილავს საკასაციო წესით და იმავდროულად წარმოადგენს საკონსტიტუციო ზედამხედველობის სასამართლოს. ამ ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო სასამართლოს სისტემაში იქმნება საკონსტიტუციო ზედამხედველობის სასამართლო კოლეგია. მეორე ინსტანციას წარმოადგენენ საოლქო სასამართლოები, რომლებიც სააპელაციო წესით განიხილავენ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებებს. ხოლო სამაზრო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები — პირველი ინსტანციის სასამართლოები არიან. მოსამართლეები ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე, რაც განაპირობებს მათი დამოუკიდებლობის მეტ ხარისხს. სამაზრო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ხოლო ეს უკანასკნელი — სახელმწიფო კრების მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

6. იუსტიციის კანცლერი

ცალკე კონსტიტუციურ ორგანოდაა განხილული იუსტიციის კანცლერი. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ახორციელებს ზედამხედველობას სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან და კანონთან შესაბამისობაზე.

იუსტიციის კანცლერს 7 წლის ვადით, პრეზიდენტის წინადადებით, ნიშნავს სახელმწიფო კრება. იუსტიციის კანცლერს თავისი საქმიანობის განხორციელებაში ეხმარება კანცელარია. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იუსტიციის კანცლერი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტში შედის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

7. ადგილობრივი თვითმმართველობა

ესტონეთის ტერიტორია დაყოფილია 15 მაკონდად (მაზრად) და ცენტრალური დაქვემდებარების 6 ქალაქად.

კონსტიტუციით ადგილებზე ცხოვრებისა და მოწყობის საკითხების გადაჭრა ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა, რომელიც მოქმედებს კანონების საფუძველზე დამოუკიდებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებია თემები და ქალაქები, ანუ ესტონეთში დაწესებულია ორდონიანი თვითმმართველობა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო არის საბჭო, რომელიც აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით. აქ აღსანიშნავია ესტონეთის კანონმდებლობის ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, კერძოდ ის, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ

იმათაც, ვინც არ არის ესტონეთის მოქალაქე, მაგრამ მუდმივად ცხოვრობს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და მიაღწია 18 წლის ასაკს. (პარ.156) ეს კი თავისთავად აძლევს ასეთ მოქალაქეებს ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალებას.

კონსტიტუციით შექმნილია თვითმმართველობის ინსტიტუტის წარმატებულად განვითარებისთვის საჭირო წინაპირობები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის ფორმირების წესს ადგენს კანონი, მასვე მინიჭებული აქვს უფლება, დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, აგრეთვე დაწესოს ბეგარა. მათ შეუძლიათ შექმნან კავშირები და ერთობლივი დაწესებულებები.

ესტონეთის რესპუბლიკის უახლესი ისტორია ცხადყოფს იმას, რომ ესტონელი ხალხი ადგას პროგრესისა და დემოკრატიის გზას. თუ გადავხედავთ პოლიტიკურ სპექტრს, ნათელი გახდება, რომ კომუნისტური პარტიისაგან ისინი გათავისუფლდნენ ერთხელ და სამუდამოდ, აგრეთვე თითქმის გათავისუფლდნენ რუსულენოვანი პოლიტიკური სეგმენტისაგან. მთავრობას მონაცვლეობით აკომპლექტებენ მემარცხენე ცენტრისტული და მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური ძალები.

ესტონეთმა გამოიყენა რეფერენდუმის უფლება ევროკავშირში შესვლის თაობაზე. 2003 წელს ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 62,7 პროცენტმა. მათგან ევროკავშირში შესვლის თანხმობა განაცხადა 66,92 პროცენტი, ხოლო წინააღმდეგი – 33,08 პროცენტი.

ესტონელმა კანონმდებლებმა შექმნეს თვისებრივად ახალი კონსტიტუცია, სადაც დეკლარირებულია კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები: თავისუფლება, ჰუმანიზმი, პიროვნების საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, სახალხო სუვერენიტეტი, ხელისუფლების დანაწილება, მმართველობის წარმომადგენლობითი ფორმა.

ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

შესავალი მუხლი

ესტონეთის რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1992 წლის რეფერენდუმზე. მისი მიღებისას შენარჩუნებულ იქნა 1920 წლის კონსტიტუციის და განსაკუთრებით 1938 წლის ძირითადი კანონის მემკვიდრეობითობა, რომლის §1-ის საფუძველზეც იგი საერთოდ იქნა მიღებული. კონსტიტუციით, სახელმწიფო ხასიათდება, როგორც „დამოუკიდებელი და თვითმყოფადი დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი არის ხალხი". ესტონეთის მმართველობის ფორმა არის საპარლამენტო რესპუბლიკა.

კონსტიტუციის §4-ში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის და სასამართლოების საქმიანობა ხორციელდება ხელისუფლების დანაწილებისა და დაბალანსების პრინციპით". საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახელმწიფო კრებას, რომელიც შედგება 101 დეპუტატისგან. არჩევნები ხორციელდება პროპორციული სისტემის საფუძველზე. ესტონეთის სახელმწიფოს მეთაური რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა სახელმწიფო კრების ან (კენჭისყრის სამ ტურში აურჩევლობის შემთხვევაში) ამომრჩევთა კოლეგიის მიერ, რომელიც შედგება სახელმწიფო კრების წევრებისაგან და თვითმმართველობის ადგილობრივი საბჭოების წევრებისაგან. ესტონეთის პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ დაბადებით ესტონეთის მოქალაქე, 40 წლის ასაკიდან. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის ფორმირებისთვის გათვალისწინებულია შედარებით რთული პროცედურა, რომელშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფო კრებას (პარაგრაფი 89). სასამართლო სისტემა შედგება სამაზრო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან (პირველი ინსტანციის სასამართლოები), საოლქო სასამართლოებისაგან (მეორე ინსტანციის სასამართლოები) და სახელმწიფო სასამართლოსაგან. სახელმწიფო სასამართლო არის სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია და ამავდროულად—საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანო.

კონსტიტუციის მე-2 თავი „ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი" შეიცავს უფლებებისა და თავისუფლებების საკმაოდ ფართო და გააზრებულ ჩამონათვალს, სადაც სჭარბობს საყოველთაო უფლებები და თავისუფლებები, ამასთან, სრული სიზუსტისთვის კონსტიტუციის §9-ში აღნიშნულია, რომ „ყველასა და ყოველის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები, ჩამოთვლილი ძირითად კანონში, თანაბრად ვრცელდება როგორც ესტონეთის მოქალაქეებზე, აგრეთვე ესტონეთში მყოფ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე". არ შეიძლება

უყურადღებოდ დარჩეს §19-ში მოცემული ნორმა, „უფლება თავისუფალ თვითრეალიზაციაზე", აგრეთვე, §21-ში ვრცელი და ჰუმანური რეგულირება habeas corpus, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილისთვის დაპატიმრების მიზეზების დაუყოვნებლივ „მისთვის გასაგებ ენაზე და მისთვის გასაგები საშუალებებით" შეტყობინებას, არამედ შეიცავს მისთვის შესაძლებლობის მიცემას, შეატყობინოს ამის შესახებ თავის ახლობლებს.

კონსტიტუციის პარაგრაფი 50-ე ნაციონალურ უმცირესობებს ანიჭებს უფლებას, ნაციონალური კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნან თვითმმართველობის დაწესებულებები, ხოლო §51 და §52 არეგულირებენ უცხო ენების გამოყენების საფუძვლებს, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებში ნაციონალური უმცირესობის ენების გამოყენების საფუძვლებსაც.

რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ესტონური.

ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიღებულია 1992 წლის 28 ივნისს

ესტონელი ხალხი, გამოხატავს ურყევ რწმენას და მტკიცე ნებას განამტკიცოს და განავითაროს სახელმწიფო,

რომელიც შექმნილია ესტონელი ხალხის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის წარუვალი უფლებით და გამოცხადებულია 1918 წლის 24 თებერვალს,

რომელიც ემყარება თავისუფლებას, სამართლიანობას და სამართალს,

რომელიც წარმოადგენს საშინაო და საგარეო მშვიდობის ბურჯს, აგრეთვე საზოგადოებრივი პროგრესის საწინდარს და სიკეთეს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის,

რომელიც მოწოდებულია დაიცვას ესტონელი ერი და მისი კულტურა საუკუნოდ,

1992 წლის 28 ივნისის საყოველთაო კენჭისყრით, 1938 წელს ძალაში შესული ძირითადი კანონის §1 საფუძველზე მიღებულ იქნა შემდეგი კონსტიტუცია.

თავი პირველი. ზოგადი დებულებები

§1. ესტონეთი დამოუკიდებელი და თვითმყოფადი დემოკრატიული რესპუბლიკაა, სადაც უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი არის ხალხი.

ესტონეთის დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა არის წარუვალი და ხელშეუვალი.

§2. ესტონეთის რესპუბლიკის ტერიტორია, ტერიტორიული წყლები და საჰაერო სივრცე ერთიანი და განუყოფელია.

თავისი სახელმწიფოებრივი მოწყობით ესტონეთი არის ერთიანი სახელმწიფო, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა დადგენილ-

ია კანონით.

§3. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციისა და მასთან შესაბამისი კანონების საფუძველზე. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები წარმოადგენს ესტონეთის სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილს.

კანონების გამოქვეყნება ხდება დადგენილი წესით. შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ გამოქვეყნებული კანონები.

§4. სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის და სასამართლოების საქმიანობა ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების და დაბალანსების პრინციპით.

§5. ესტონეთის სასარგებლო წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ნაციონალურ სიმდიდრეს, რომლის გამოყენებაც ჯეროვან მზრუნველობას საჭიროებს.

§6. ესტონეთის სახელმწიფო ენა არის ესტონური ენა.

§7. ესტონეთის სახელმწიფო ფერებია - ლურჯი, შავი და თეთრი. სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო გერბის ფორმა დადგენილია კანონით.

თავი მეორე.
ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი

§8. ყოველ ბავშვს, რომლის ერთ-ერთი მშობელი ესტონეთის მოქალაქეა, აქვს უფლება, გახდეს დაბადებით ესტონეთის მოქალაქე.

ყველა იმ პირს, რომელმაც სრულწლოვანებამდე დაკარგა ესტონეთის მოქალაქეობა, უფლება აქვს, აღიდგინოს იგი.

არავის შეიძლება ჩამოერთვას დაბადებით მოპოვებული ესტონეთის მოქალაქეობა.

არავის შეიძლება ჩამოერთვას თავისი მრწამსის გამო ესტონეთის მოქალაქეობა.

ესტონეთის მოქალაქეობის მიღების, დაკარგვის, აღდგენის პირობებსა და წესს ადგენს კანონი მოქალაქეობის შესახებ.

§9. ძირითად კანონში ჩამოთვლილი ყველასა და თითოეულის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები, თანაბრად ვრცელდება როგორც ესტონეთის მოქალაქეებზე, აგრეთვე ესტონეთში მყოფ სხვა სახელმწიფოებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

ძირითად კანონში ჩამოთვლილი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები ვრცელდება იურიდიულ პირებზე იმდენად, რამდენადაც ეს შესაბამისობაშია იურიდიული პირის საერთო მიზნებთან და მისი უფლებების, თავისუფლებების და მოვალეობების არსთან.

§10. მოცემულ თავში ჩამოთვლილი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები არ გამორიცხავს სხვა უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციური არსიდან ან შეესაბამებიან და პასუხობენ ადამიანური ღირსების, სოციალური და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.

§11. უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ

კონსტიტუციის შესაბამისად. ეს შეზღუდვები აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის და არ უნდა აკნინებდეს შეზღუდული უფლებებისა და თავისუფლებების ძირითად არსს.

§12. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციას მისი ეროვნული, რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, ენის, წარმოშობის, რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის ან სხვა გარემოებების გამო.

ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური მოტივით შუღლის გაღვივება, ძალადობა და დისკრიმინაცია აკრძალულია და ისჯება კანონით. აგრეთვე კანონით აკრძალული და დასჯადია საზოგადოების ფენებს შორის შუღლის გაღვივება, ძალადობა და დისკრიმინაცია.

§13. ყველას აქვს უფლება, იყოს დაცული კანონისა და სახელმწიფოს მიერ. ესტონეთის სახელმწიფო იცავს სხვა სახელმწიფოში მყოფ თავის მოქალაქეებს.

კანონი იცავს ყველას სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისაგან.

§14. უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა არის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის მოვალეობა.

§15. ყველას აქვს უფლება, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისას მიმართოს სასამართლოს. ყველას შეუძლია, სასამართლოში მისი საქმის განხილვისას მოითხოვოს იმის დადასტურება, რომ საქმეზე გამოყენებული ნებისმიერი კანონი ან სამართლებრივი აქტი ან ქმედება შესაბამისობაშია კონსტიტუციასთან.

სასამართლო თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას და კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ აღიარებს ნებისმიერ კანონს, სხვა სამართლებრივ აქტს ან ქმედებას, რომლითაც ირღვევა კონსტიტუციით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები და რომლებიც ამა თუ იმ სახით ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

§16. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება, თვითნებურად წაართვან სიცოცხლე.

§17. არავის შეიძლება, შეებღალოს ღირსება და პატიოსანი სახელი.

§18. არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას, სასტიკ, ღირსების შემლახავ მოპყრობას და სასჯელს.

არავისზე, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება.

§19. ყველას აქვს თავისუფალი თვითრეალიზაციის უფლება.

ყველა, სარგებლობს რა, თავისი უფლებებითა და თავისუფლებებით, ასრულებს რა თავის მოვალეობებს, ვალდებულია, დაიცვას კანონი, გაითვალისწინოს და პატივი სცეს სხვათა უფლებებს და თავისუფლებებს.

§20. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

ადამიანს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა და წესის მიხედვით:

1) სასამართლოს მიერ საბრალდებო დასკვნის შესრულების ან

სასამართლოს მიერ დაპატიმრების გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით;

2) სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

3) დანაშაულის აღკვეთის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში ეჭვმიტანილის წარდგენის ან მისი მიმალვის მცდელობის თავიდან აცილების მიზნით;

4) არასრულწლოვანისათვის პედაგოგიური ზედამხედველობის დანიშვნის ან კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის ან მასზე ზედამხედველობის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტის მიზნით;

5) ინფექციური ავადმყოფების, სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების ან ნარკომანების დაკავების მიზნით, თუ ისინი საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავს ან გარშემომყოფთ;

6) ესტონეთში პირის უკანონოდ შესვლის აღკვეთის, მისი ესტონეთიდან გაძევების ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნით.

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე.

§21. ყველას, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე და მისთვის გასაგები საშუალებით დაპატიმრების მიზეზი, მისი უფლებები, აგრეთვე მიეცეს შესაძლებლობა, ამის შესახებ შეატყობინოს ახლობლებს. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს დაუყოვნებლივ ეძლევა დამცველის აყვანისა და მასთან შეხვედრის უფლება. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის უფლება შეატყობინოს ახლობლებს თავისი დაკავების შესახებ, იზღუდება დანაშაულის აღკვეთის ან სისხლის სამართლის წარმოებისას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

არავინ შეიძლება იყოს პატიმრობაში 48 საათზე მეტი ხნით სასამართლოს შესაბამისი ნებართვის გარეშე. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ ეცნობება მისთვის გასაგებ ენაზე და გასაგები საშუალებებით.

§22. არავინ შეიძლება განიხილებოდეს დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულად, ვიდრე მის მიმართ კანონიერ ძალაში არ შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

არავინ არის ვალდებული, სისხლის სამართალწარმოებისას ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

არავინ შეიძლება აიძულონ, მისცეს ჩვენება თავის და თავისი ახლობლების წინააღმდეგ.

§23. არავინ შეიძლება გასამართლდეს ამა თუ იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში კანონით დანაშაულს არ წარმოადგენდა.

არავის შეიძლება დაენიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სამართალდარღვევის ჩადენის დროს. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით წესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, გამოიყენება უფრო მსუბუქი სასჯელი.

არავინ შეიძლება მეორედ გასამართლდეს ან დაისაჯოს იმ ქმედებისათვის, რომლისთვისაც, კანონის შესაბამისად, იგი უკვე იყო საბოლოოდ

მსჯავრდებული ან გამართლებული.

§24. არავინ შეიძლება, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გადაყვანილ იქნეს კანონით მისთვის განსაზღვრული განსჯადი სასამართლოდან სხვა განსჯადობის სასამართლოში.

ყველას აქვს უფლება, დაესწროს თავისი სასამართლო საქმის განხილვას.

სასამართლო სხდომები ღიაა. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სასამართლომ შეიძლება სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების დაცვა, ადამიანთა ზნეობის ან ოჯახური ან პირადი ცხოვრების დაცვის, ან არასრულწლოვანის, დაზარალებულის თუ მართლმსაჯულების ინტერესები.

სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა რამეს მოითხოვს არასრულწლოვანის, ერთ-ერთი მეუღლის ან დაზარალებულის ინტერესები.

ყველას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს მისთვის გამოტანილი განაჩენი ზემდგომ სასამართლოში.

§25. ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს მის მიმართ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

§26. ყველას აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. სახელმწიფო დაწესებულებას, ადგილობრივ თვითმმართველობას და მათი თანამდებობის პირებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ ვინმეს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, გარდა კანონით დადგენილი წესისა და შემთხვევებისა: ჯანმრთელობის, ზნეობრიობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით, აგრეთვე დანაშაულის აღკვეთის ან დამნაშავის დაკავების მიზნით.

§27. ოჯახი, როგორც ერის შენარჩუნების და გამრავლების საფუძველი, როგორც საზოგადოების ფუძე, დაცულია სახელმწიფოს მიერ.

მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები.

მშობლების უფლება და მოვალეობაა აღზარდონ და იზრუნონ თავიანთ შვილებზე.

მშობელთა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

ოჯახი ვალდებულია, იზრუნოს თავის წევრებზე, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას.

§28. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ესტონეთის მოქალაქეს სახელმწიფოს მხრიდან ეძლევა დახმარების აღმოჩენის უფლება ხანდაზმულობის, შრომისუუნარობის, მარჩენალის დაკარგვისა და სიღატაკის გამო. ამ უფლებით სარგებლობის წესს, ოდენობას და პირობებს ადგენს კანონი. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ უფლებით, ესტონეთის მოქალაქეების თანაბრად, სარგებლობენ ესტონეთში მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

სახელმწიფოს მხრიდან წახალისებულია ნებაყოფლობითი მზრუნველობის დაწესება და თვითმმართველობის მიერ მზრუნველობის განხორციელება.

მრავალშვილიანი ოჯახები, ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანებების მქონე პირები, იმყოფებიან სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმარ-

თველობის გახსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ.

§29. ესტონეთის მოქალაქეს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს საქმიანობის სახეობა, პროფესია და სამუშაო ადგილი. ამ უფლებით სარგებლობის წესსა და პირობებს ადგენს კანონი. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ უფლებით, ესტონეთის მოქალაქის თანაბრად, სარგებლობს ესტონეთში მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი.

არავინ შეიძლება აიძულონ, მისი ნების საწინააღმდეგოდ იმუშაოს ან იმსახუროს, გარდა თავდაცვის ძალებში სავალდებულო ან ალტერნატიული სამსახურისა, ინფექციური დაავადებების გავრცელების აღსაკვეთი სამუშაოებისა, სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების შემთხვევებში, აგრეთვე, გარდა კანონით დადგენილი წესით, მსჯავრდებულთათვის შეფარდებული სავალდებულო სამუშაოს შესრულებისა.

სახელმწიფო ორგანიზებას უწევს პროფესიულ სწავლებას და ეხმარება შრომითი მოწყობით მათ, ვინც ეძებს სამუშაოს.

სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს შრომის პირობებზე.

საზოგადოებებში და კავშირებში მუშაკთა და სამუშაოს მიმცემთა მონაწილეობა ნებაყოფლობითია. მუშაკთა და სამუშაოს მიმცემთა საზოგადოებებს და კავშირებს შეუძლიათ, დაიცვან თავიანთი უფლებები და კანონიერი ინტერესები კანონით დაშვებული მეთოდებით. გაფიცვის უფლების გამოყენების წესსა და პირობებს ადგენს კანონი.

შრომითი დავების გადაწყვეტის წესს ადგენს კანონი.

§30. სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში თანამდებობებს, კანონით განსაზღვრული პირობებითა და დადგენილი წესით, იკავებენ ესტონეთის მოქალაქეები. კანონის შესაბამისად, გამონაკლისის სახით, ეს თანამდებობები შეიძლება დაიკავონ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა.

კანონით შეიძლება შეიზღუდოს ზოგიერთი კატეგორიის მომსახურეთა უფლება სამეწარმეო საქმიანობაზე, კომერციულ გაერთიანებაში შესვლაზე (პარაგრაფი 31), აგრეთვე უფლება, იყვნენ პარტიებში და შევიდნენ ზოგიერთი სახის არაკომერციულ გაერთიანებებში (პარაგრაფი 48).

§31. ესტონეთის მოქალაქეს აქვს უფლება, ეწეოდეს მეწარმეობას და შევიდეს კომერციულ გაერთიანებებსა და კავშირებში. კანონით შეიძლება დადგინეს ამგვარი უფლებით სარგებლობის პირობები და წესი. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ესტონეთის მოქალაქეების თანაბრად ამ უფლებით სარგებლობენ ესტონეთში მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

§32. ყველას საკუთრება ხელშეუხებელი და თანაბრად დაცულია. საკუთრების ჩამორთმევა მისი მესაკუთრის თანხმობის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობებით და დადგენილი წესით, როცა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა სამართლიანი და დაუყოვნებელი კომპენსაცია. ყველას, ვისაც საკუთრება ჩამოერთვა მისი ნების საწინააღმდეგოდ, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს და გააპროტესტოს საკუთრების ჩამორთმევა, კომპენსაცია ან მისი რაოდენობა.

ყველას აქვს უფლება, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და გან-

კარგავდეს თავის საკუთრებას. შეზღუდვებს აწესებს კანონი. არ შეიძლება საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების საზიანოდ.

საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით შეიძლება განისაზღვროს ქონების სახეები, რომელთა საკუთრებაში შეძენაც ესტონეთში შეეძლებათ მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეებს, ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებს, ადგილობრივ თვითმმართველობას და ესტონეთის სახელმწიფოს.

მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

§33. საცხოვრებელი ბინა ხელშეუხებელია. აკრძალულია შეჭრა ნებისმიერის ბინაში, მფლობელობაში ან სამუშაო ადგილზე და იქ ჩხრეკის ჩატარება, გარდა გამონაკლისისა, რომელსაც ადგენს კანონი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებების ან თავისუფლებების დაცვის, დანაშაულის აღკვეთის, დამნაშავის დაკავების ან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

§34. ყველას, ვინც იმყოფება ესტონეთში კანონიერ საფუძველზე, აქვს თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის უფლება. კანონით დადგენილი პირობებითა და წესით, თავისუფალი გადაადგილების უფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფო თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების შემთხვევებში, აგრეთვე ინფექციური დაავადებების გავრცელების აღკვეთის, ბუნებრივი გარემოს დაცვის, არასრულწლოვანთა და სულით ავადმყოფთა უმეთვალყურეოდ დარჩენის თავიდან აცილების და სისხლის სამართლის საქმისწარმოების უზრუნველყოფის მიზნით.

§35. ყველას აქვს უფლება, დატოვოს ესტონეთი. ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება კანონით განსაზღვრულ პირობებში და დადგენილი წესით, სასამართლო წარმოებისა და სასამართლოს წინა წარმოების უზრუნველყოფის და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

§36. ესტონეთის არც ერთი მოქალაქე არ შეიძლება გაძევდეს ესტონეთიდან და არც ერთ მათგანს არ შეიძლება ხელი შეეშალოს ესტონეთში დასახლებაზე.

ესტონეთის არც ერთი მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შესაბამისი ხელშეკრულებით და კანონით დადგენილი წესით. საკითხს გადაცემის შესახებ წყვეტს რესპუბლიკის მთავრობა. ყველას, ვინც ექვემდებარება გადაცემას, უფლება აქვს, გაასაჩივროს იგი ესტონეთის სასამართლოში.

ესტონეთის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, დასახლდეს ესტონეთში.

§37. ყველას აქვს განათლების უფლება. სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლება, კანონით დადგენილ ფარგლებში, სავალდებულოა და უფასო, როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა ინახავს გარკვეული რაოდენობის სასწავლო დაწესებულებას. კანონის შესაბამისად, დასაშვებია სხვა სახის სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის კერძოს გახსნა და შენახვა.

ბავშვისათვის განათლების სფეროს არჩევისას გადამწყვეტი სიტყვა

ეკუთვნით მშობლებს.

ყველას აქვს უფლება, ისწავლოს ესტონურ ენაზე.

სწავლების ენას, ნაციონალური უმცირესობისათვის განკუთვნილ სასწავლო დაწესებულებაში, ირჩევს ეს დაწესებულება.

სახელმწიფო ახორციელებს ზედამხედველობას, თუ როგორ არის დაყენებული საგანმანათლებლო საკითხი.

§38. მეცნიერება, ხელოვნება და მათი სწავლება თავისუფალია.

უნივერსიტეტები და სამეცნიერო დაწესებულებები, კანონით დადგენილ ფარგლებში, ავტონომიურია.

§39. ავტორს აქვს თავის შემოქმედებაზე გაუსხვისებლობის უფლება. საავტორო უფლება დაცულია სახელმწიფოს მიერ.

§40. ყველა სარგებლობს სინდისის, აღმსარებლობის და აზრის თავისუფლებით.

ეკლესიასა და რელიგიურ საზოგადოებებთან კუთვნილება თავისუფალია.

არ არის სახელმწიფო ეკლესია.

ყველას აქვს თავისუფლება, ცალკე ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, ჩაატაროს რელიგიური წეს-ჩვეულებები, თუ ეს არ აყენებს ზიანს საზოგადოებრივ წესრიგს, ჯანმრთელობას ან ზნეობრიობას.

§41. ყველას შეუძლია დარჩეს საკუთარი აზრებისა და მრწამსის ერთგული. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, შეცვალოს ისინი.

ადამიანის მრწამსი არ ამართლებს მის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას.

არავინ შეიძლება მიეცეს იურიდიულ პასუხისმგებლობაში მისი მრწამსის გამო.

§42. სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ თვითმმართველობას და თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ, ესტონეთის მოქალაქის ნების საწინააღმდეგოდ, შეაგროვონ ან შეინახონ ცნობები მისი მრწამსის შესახებ.

§43. ყველას აქვს მისთვის ფოსტით, ტელეგრაფით, ტელეფონით ან საერთო სარგებლობის სხვა საშუალებებით გადაცემული შეტყობინებების საიდუმლოდ შენახვის უფლება. გამონაკლისი დასაშვებია დანაშაულის აღკვეთის ან სისხლის სამართლის წარმოებისას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სასამართლოს სანქციით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

§44. ყველას აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს საყოველთაო სარგებლობისათვის გავრცელებული ინფორმაცია.

ყველა სახელმწიფო დაწესებულება, ადგილობრივი თვითმმართველობა და მათი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, კანონით დადგენილი წესით, ესტონეთის მოქალაქის მოთხოვნით, მიაწოდონ მას ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ, გარდა იმ ცნობებისა, რომელთა გაცემაც აკრძალულია კანონით, აგრეთვე ცნობებისა, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ შიდა სარგებლობისათვის.

ესტონეთის მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში, აგრეთვე სახელმწიფო თუ მუნიციპალურ არქივებში მასზე არსებულ ცნობებს. კანონის საფუძველზე ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია სხვა

პირთა უფლებებისა და თავისუფლებებისა და ბავშვის წარმომავლობის საიდუმლოს დაცვის მიზნით, აგრეთვე დანაშაულის აღკვეთის, დამნაშავის დაკავებისა და სისხლის სამართლის წარმოებისას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ პარაგრაფის მეორე და მესამე ნაწილებში მითითებული უფლებებით ესტონეთის მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ ესტონეთში მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

§45. ყველას აქვს უფლება, თავისუფლად გაავრცელოს იდეები, შეხედულებები და სხვა ინფორმაცია ზეპირად, წერილობით, გამოხატვის მხატვრული ან სხვა საშუალებებით. კანონით ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, სხვა პირთა უფლებების და თავისუფლებების, ჯანმრთელობის, ღირსებისა და პატიოსანი სახელის დაცვის მიზნით. კანონით ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეებისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მათთვის ცნობილი სახელმწიფო თუ კომერციული საიდუმლოს ან კონფიდენციალური წყაროდან მიღებული ინფორმაციის დაცვის მიზნით, აგრეთვე სხვა პირთა ოჯახური, პირადი ცხოვრების და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის მიზნით.

ცენზურა არ არის.

§46. ყველას აქვს უფლება, მიმართოს მემორანდუმებითა და განცხადებებით სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ თვითმმართველობას და მათ თანამდებობის პირებს. კანონი ადგენს პასუხის გაცემის წესს.

§47. ყველა ადამიანს აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე, მშვიდობიანი შეკრებებისა და კრებების ჩატარებისა. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და დადგენილი წესით სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობრიობის, ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის და შეკრების მონაწილეთა დაცვის მიზნით, აგრეთვე ინფექციურ დაავადებათა გავრცელების აღკვეთის მიზნით.

§48. ყველას აქვს უფლება, შეეიდეს არაკომერციულ საზოგადოებებსა და კავშირებში. პარტიებში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ესტონეთის მოქალაქეები.

გასამხედროებული კავშირებისა და გაერთიანებების, აგრეთვე ისეთი კავშირებისა და გაერთიანებების შექმნისათვის, რომელთა განკარგულებაშია იარაღი და რომელთა საქმიანობა სამხედრო მომზადებით განისაზღვრება, საჭიროა წინასწარი ნებართვა, რომლის პირობებსა და წესს ადგენს კანონი.

აკრძალულია იმგვარი საზოგადოებების, კავშირებისა თუ პარტიების შექმნა, რომელთა მიზანი და საქმიანობა მიმართულია ესტონეთის კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი შეცვლისაკენ ან სხვაგვარად ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, შეაჩეროს ან აკრძალოს საზოგადოების, კავშირის ან პარტიის საქმიანობა ჩადენილი სამართალდარღვევის გამო და აგრეთვე დააკისროს მას ჯარიმა.

§49. ყველას აქვს უფლება, შეინარჩუნოს ეროვნული კუთვნილება.

§50. ნაციონალურ უმცირესობებს აქვთ უფლება, თავიანთი ნაციონალური

კულტურული ინტერესებიდან გამომდინარე, შექმნან თვითმმართველობითი დაწესებულებები, ნაციონალური უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ პირობებში.

§51. ყველას აქვს უფლება, მიმართოს სახელმწიფო დაწესებულებას, ადგილობრივ თვითმმართველობას და მათ თანამდებობის პირებს ესტონურ ენაზე და მიიღოს პასუხი ამ ენაზე.

რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ნახევარი მაინც ეკუთვნის ნაციონალურ უმცირესობას, ყველას აქვს უფლება, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მათი თანამდებობის პირებისაგან მიიღოს პასუხი ამ უმცირესობის ენაზე.

§52. საქმისწარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში და ადგილობრივ თვითმმართველობაში წარმოებს ესტონურ ენაზე.

რეგიონებში, სადაც ესტონური არ არის უმრავლესობის ენა, კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრული მოცულობით, ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია, შიდა საქმისწარმოებისათვის შემოიღოს ამ რეგიონის ძირითადი მოსახლეობის ენა.

უცხო ენების გამოყენება, აგრეთვე ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენება სახელმწიფო დაწესებულებებში, სამართალწარმოებისა და გამოძიების პროცესებში დადგენილია კანონით.

§53. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და სასიცოცხლო გარემოს და გარემოსათვის მიყენებული ზიანი აანაზღაუროს. ზიანის ანაზღაურების წესი დადგენილია კანონით.

§54. ესტონეთის მოქალაქის ვალია, იყოს კონსტიტუციური წყობის ერთგული და დაიცვას ესტონეთის დამოუკიდებლობა.

ესტონეთის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, ესტონეთის კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობას წინ აღუდგეს საკუთარი ინიციატივით.

§55. ესტონეთში მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებულნი არიან, დაიცვან ესტონეთის კონსტიტუციური წყობა.

თავი მესამე
ხალხი

§56. უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას ხალხი ახორციელებს არჩევნებში ხმის უფლების მქონე მოქალაქეების მეშვეობით:

1) სახელმწიფო კრებაში არჩევნების გზით;

2) რეფერენდუმის (საყოველთაო კენჭისყრა) გზით.

§57. საარჩევნო ხმის უფლება ენიჭებათ 18 წელს მიღწეულ ესტონეთის მოქალაქეებს.

ესტონეთის მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლომ ცნო არაქმედუნარიანად, არა აქვთ საარჩევნო ხმის უფლება.

§58. ესტონეთის მოქალაქეებს კანონით შეიძლება შეეზღუდოთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, თუ ისინი სასამართლომ გაასამართლა ან თუ იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

თავი მეოთხე
სახელმწიფო კრება (რიიგიკოგუ)

§59. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახელმწიფო კრებას.

§60. სახელმწიფო კრებაში შედის 101 დეპუტატი. სახელმწიფო კრების წევრები აირჩევიან პროპორციული სისტემის პრინციპით, თავისუფალი არჩევნების გზით. არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირია. კენჭისყრა — ფარული.

სახელმწიფო კრების წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ესტონეთის მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

სახელმწიფო კრების მორიგი არჩევნები ტარდება წინა არჩევნებიდან მეოთხე წელს, მარტის პირველ კვირა დღეს.

სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნები ტარდება კონსტიტუციის 89-ე, 97-ე, 105-ე და 119-ე პარაგრაფებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არჩევნების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 40 დღისა.

სახელმწიფო კრების არჩევნების წესს ადგენს კანონი სახელმწიფო კრების არჩევნების შესახებ.

§61. სახელმწიფო კრების წევრების უფლებამოსილება იწყება არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან. ამავე დღიდან უფლებამოსილება უწყდებათ წინა მოწვევის სახელმწიფო კრების წევრებს.

სახელმწიფო კრების წევრი თავისი მოვალეობების შესრულების დაწყებამდე დებს თანამდებობრივ ფიცს ესტონეთის რესპუბლიკისა და მისი კონსტიტუციური წყობის ერთგულების შესახებ.

§62. სახელმწიფო კრების წევრი არ იზღუდება მანდატით და არ ეკისრება იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფო კრებასა ან მის ორგანოებში კენჭისყრისა თუ პოლიტიკური განცხადებების გამო.

§63. სახელმწიფო კრების წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე სახელმწიფო თანამდებობა.

სახელმწიფო კრების წევრი თავისი უფლებამოსილების პერიოდში თავისუფლდება თავდაცვის ძალებში სავალდებულო სამსახურისაგან.

§64. სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილება შეჩერდება რესპუბლიკის მთავრობის წევრად დანიშვნის შემთხვევაში და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებისას უფლებამოსილება აღუდგება.

სახელმწიფო კრების წევრს უფლებამოსილება უწყდება ვადამდე:

1) სხვა სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისას;

2) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

3) კანონით დადგენილი წესით მისი გადადგომისას;

4) თუ დადგინდება სახელმწიფო სასამართლოს მიერ მისი მდგრადი უუნარობა, შეასრულოს თავისი ფუნქციები;

5) მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილების შეჩერების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევებში, კანონით დადგენილი წესით, მის ადგილს იკავებს სარეზერვო პარლამენტარი. სარეზერვო პარლამენტარს ენიჭება სახელმწიფო კრების წევრის ყველა უფლება და მოვალეობა.

სახელმწიფო კრების წევრის უფლებამოსილების აღდგენისას სარეზერ-

ვო პარლამენტარის უფლებამოსილება წყდება.

§65. სახელმწიფო კრება:

1) იღებს კანონებს და დადგენილებებს;

2) წყვეტს საკითხს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ;

3) კონსტიტუციის 79-ე პარაგრაფის თანახმად, ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს;

4) კონსტიტუციის 121-ე პარაგრაფის თანახმად, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას და დენონსირებას;

5) პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ანიჭებს რეპუბლიკის მთავრობის ფორმირების უფლებამოსილებას.

6) იღებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს;

7) რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარეს, ესტონეთის ბანკის თავმჯდომარეს, სახელმწიფო კონტროლიორს, იუსტიციის კანცლერს, თავდაცვის ძალების სარდალს ან მთავარსარდალს;

8) სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს სახელმწიფო სასამართლოს წევრებს;

9) ნიშნავს ესტონეთის ბანკის საბჭოს წევრებს;

10) რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო სესხებისა და სხვა ქონებრივი ვალდებულებების თავის თავზე აღების შესახებ;

11) გამოდის განცხადებებით, დეკლარაციებით და მიმართვებით ესტონელი ხალხის, სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე;

12) აწესებს სახელმწიფო ჯილდოებს, სამხედრო და დიპლომატიურ წოდებებს;

13) იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკის მთავრობის, პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ;

14) კონსტიტუციის 129-ე პარაგრაფის თანახმად სახელმწიფოში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას;

15) რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციას და დემობილიზაციას;

16) წყვეტს სახელმწიფოს ცხოვრების სხვაგვარ საკითხებს, რომლებიც, კონსტიტუციის თანახმად, არ შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის, სხვა სახელმწიფო ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში.

§66. ახალი მოწვევის სახელმწიფო კრების პირველი სხდომა იმართება არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. სახელმწიფო კრების პირველ სხდომას იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

§67. სახელმწიფო კრების მორიგი სესიები იმართება იანვრის მეორე ორშაბათიდან ივნისის მესამე ხუთშაბათამდე და სექტემბრის მეორე ორშაბათიდან დეკემბრის მესამე ხუთშაბათამდე.

§68. სახელმწიფო კრების რიგგარეშე სესიებს იწვევს სახელმწიფო კრების თავმჯდომარე, რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით ან სახელმწიფო

კრების შემადგენლობის 1/5-ის წინადადებით.

§69. სახელმწიფო კრება თავისი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს, რომლებიც სახელმწიფო კრებას ორგანიზებას უწევენ, სახელმწიფო კრების რეგლამენტისა და სახელმწიფო კრების მუშაობის წესის შესახებ კანონების საფუძველზე.

§70. სახელმწიფო კრების უფლებამოსილებას ადგენს კანონი სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ. სახელმწიფო კრების რიგგარეშე სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სახელმწიფო კრების წევრთა ნახევარზე მეტი.

§71. სახელმწიფო კრება ქმნის კომისიებს.

სახელმწიფო კრების წევრებს აქვთ უფლება, გაერთიანდნენ ფრაქციებში. კომისიებისა და ფრაქციების შექმნისა და მათი უფლებების წესს ადგენს კანონი სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ.

§72. სახელმწიფო კრების სხდომები ღიაა, თუ სახელმწიფო კრების ხმათა უმრავლესობის 2/3 სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

სახელმწიფო კრებაში კენჭისყრა ღიაა. ფარული კენჭისყრა ტარდება კონსტიტუციით ან კანონით სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხოლოდ თანამდებობის პირთა არჩევისა ან დანიშვნისას.

§73. სახელმწიფო კრების აქტები მიიღება ხმათა უმრავლესობით („თანახმა"), თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

§74. სახელმწიფო კრების წევრებს უფლება აქვთ, შეკითხვებით მიმართონ რესპუბლიკის მთავრობას და მის წევრებს, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს, ესტონეთის ბანკის პრეზიდენტს, სახელმწიფო კონტროლიორს, იუსტიციის კანცლერს და თავდაცვის ძალების სარდალს ან მთავარსარდალს.

შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს სახელმწიფო კრების სხდომაზე ოცი სასესიო დღის განმავლობაში.

§75. სახელმწიფო კრების წევრის წახალისება და მისთვის სხვაგვარი შრომითი შემოსავლების მიღების შეზღუდვა, დადგენილია კანონით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო კრების შემდეგი შემადგენლობის მიმართ.

§76. სახელმწიფო კრების წევრი ხელშეუხებელია. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისი მიცემა შეიძლება მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით, სახელმწიფო კრების შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით.

თავი მეხუთე
რესპუბლიკის პრეზიდენტი

§77. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ესტონეთის სახელმწიფოს მეთაური.

§78. რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1) წარმოადგენს ესტონეთის რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობებში;

2) რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით ნიშნავს და გაიწვევს ესტო-

ნეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს ესტონეთში აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნების სიგელებს;

3) აცხადებს სახელმწიფო კრების მორიგ არჩევნებს, აგრეთვე კონსტიტუციის 89-ე, 97-ე, 105-ე და 119-ე პარაგრაფების თანახმად - სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს;

4) კონსტიტუციის 66-ე პარაგრაფის თანახმად, იწვევს სახელმწიფო კრების ახალ შემადგენლობას და ხსნის პირველ სხდომას;

5) კონსტიტუციის 68-ე პარაგრაფის თანახმად სახელმწიფო კრების თავმჯდომარესთან შედის სახელმწიფო კრების რიგგარეშე სესიის მოწვევის წინადადებით;

6) აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციის 105-ე და 107-ე პარაგრაფების თანახმად და ხელს აწერს რატიფიცირებულ სიგელებს;

7) გამოსცემს ბრძანებებს, კონსტიტუციის 109-ე და 110-ე პარაგრაფების თანახმად;

8) აღძრავს საკითხს კონსტიტუციური ცვლილების შესახებ;

9) კანდიდატს ნიშნავს პრემიერ-მინისტრის პოსტზე კონსტიტუციის 89-ე პარაგრაფის თანახმად;

10) თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს კონსტიტუციის 89-ე, 90-ე და 92-ე პარაგრაფების თანახმად;

11) სახელმწიფო კრებაზე შეაქვს სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარის, სახელმწიფო კონტროლიორის, იუსტიციის კანცლერის და თავდაცვის ძალების სარდლის ან მთავარსარდლის დანიშვნის წინადადება;

12) ესტონეთის ბანკის საბჭოს წინადადებით ნიშნავს ესტონეთის ბანკის პრეზიდენტს;

13) სახელმწიფო სასამართლოს წინადადებით ნიშნავს მოსამართლეებს;

14) რესპუბლიკის მთავრობისა და თავდაცვის ძალების სარდლის წინადადებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავდაცვის ძალების სარდლობას;

15) აჯილდოვებს სახელმწიფო ჯილდოებით, ანიჭებს სამხედრო და დიპლომატიურ წოდებებს;

16) მეთაურობს ესტონეთის სახელმწიფოს თავდაცვას.

17) სახელმწიფო კრებაზე შედის საომარი მდგომარეობის შემოღების, მობილიზაციისა და დემობილიზაციის, აგრეთვე კონსტიტუციის 129-ე პარაგრაფის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წინადადებით;

18) ესტონეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შემთხვევაში, კონსტიტუციის 128-ე პარაგრაფის თანახმად აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციას და ნიშნავს თავდაცვის ძალების მთავარსარდალს;

19) მსჯავრდებულთა თხოვნით, შეწყალების წესით, ათავისუფლებს მათ ან უმსუბუქებს მსჯავრს;

20) აღძრავს იუსტიციის კანცლერის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს კონსტიტუციის 145-ე პარაგრაფის თანახმად.

§79. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ, ან ამავე პარაგრაფის მე-4 ნაწილის თანახმად, ამომრჩევი კოლეგიის მიერ.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს. სახელმწიფო კრების შემადგენლობის სულ მცირე 1/5-ს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი კანდიდატი უნდა იყოს არანაკლებ 40 წლისა, დაბადებით ესტონეთის მოქალაქე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით.

სახელმწიფო კრების ყველა წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა სახელმწიფო კრების შემადგენლობის ორ მესამედზე მეტმა. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო უმრავლესობა, მეორე დღეს ტარდება კენჭისყრის ახალი ტური. მეორე ტურის წინ ხდება ახალი კანდიდატების დასახელება. თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო უმრავლესობა, მაშინ იმავე დღეს, ტარდება კენჭისყრის მესამე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებს ის ორი კანდიდატი, რომელმაც ხმების მეტი რაოდენობა მიიღო. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა მესამე ტურშიც ვერ მოხერხდა, მაშინ სახელმწიფო კრების თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად ერთი თვის ვადაში იწვევს ამომრჩევთა კოლეგიას.

ამომრჩევთა კოლეგია შედგება სახელმწიფო კრების წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოების წარმომადგენლებისაგან. ყოველი ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭო ამომრჩევთა კოლეგიაში ირჩევს არანაკლებ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უნდა იყოს ესტონეთის მოქალაქე.

სახელმწიფო კრება ამომრჩევთა კოლეგიას პრეზიდენტობის პოსტზე წარუდგენს იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სახელმწიფო კრებაზე ხმათა უმრავლესობა მოაგროვეს. პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის წარდგენის უფლება ენიჭება ამომრჩევთა კოლეგიის სულ ცოტა 21 წევრს. ამომრჩევთა კოლეგია ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს კენჭისყრაში მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობით. თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც დააგროვეს ყველაზე მეტი ხმა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ზუსტ წესს ადგენს კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

§80. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლით. არავინ შეიძლება აირჩეს პრეზიდენტად ზედიზედ ორ ვადაზე მეტად.

მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 10 დღისა.

§81. თანამდებობის დაკავების წინ რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფო კრებაზე ესტონეთის ხალხის წინაშე დებს ფიცს: „ვიკავებ რა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, მე (სახელი და გვარი) ფიცით ვადასტურებ, რომ უყოყმანოდ დავიცავ ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, სამართლიანად და მიუკერძოებლად განვახორციელებ ჩემზე მინიჭებულ ხელისუფლებას, რწმენითა და სიმართლით განვახორციელებ ჩემს მოვალეობებს, მთელს ჩემს ძალებსა და შესაძლებლობებს მოვახმარ ესტონელი ხალხისა და ესტონეთის რესპუბლიკის კეთილდღეობას".

§82. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება:

1) მისი გადადგომისას;

2) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

3) მისი გარდაცვალებისას;

4) რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების დაწყებისას.

§83. თუ სახელმწიფო სასამართლო დაადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტის მდგრად უუნარობას შეასრულოს თავისი მოვალეობები, ან კანონით დადგენილ შემთხვევებში იგი დროებით ვერ ასრულებს მათ, ან მისი უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, მაშინ მისი ვალდებულებები დროებით გადაეცემა სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს.

სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულების დროს ჩერდება მისი, როგორც სახელმწიფო კრების თავმჯდომარის უფლებამოსილება.

პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებისას, სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს უფლება არა აქვს, სახელმწიფო სასამართლოს თანხმობის გარეშე დანიშნოს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნები და უარი თქვას კანონების გამოქვეყნებაზე.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს სამ თვეზე მეტი ხნით ან ვადამდე შეწყდება მისი უფლებამოსილება, მაშინ სახელმწიფო კრება 14 დღის ვადაში, კონსტიტუციის 79-ე პარაგრაფის თანახმად, ირჩევს ახალ პრეზიდენტს.

§84. თანამდებობის დაკავების მომენტიდან წყდება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება და მოვალეობები ყველა სახის არჩევით და ნომენკლატურულ თანამდებობებზე, აგრეთვე საპრეზიდენტო ვადის პერიოდში იგი წყვეტს თავის პარტიულ კუთვნილებას.

§85. რესპუბლიკის პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

თავი მეექვსე
რესპუბლიკის მთავრობა

§86. სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

§87. რესპუბლიკის მთავრობა:

1) ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას;

2) წარმართავს და კოორდინაციას უწევს სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობას;

3) ორგანიზებას უწევს კანონების, სახელმწიფო კრების დადგენილებებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტების შესრულებას;

4) სახელმწიფო კრებას წარუდგენს კანონპროექტებს, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებს მათი რატიფიკაციისა და დენონსაციის მიზნით;

5) შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარადგენს მას სახელმწიფო კრებაზე. ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და სახელმწიფო კრებაზე წარადგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

6) კანონების საფუძველზე და მათი შესრულების მიზნით, გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს;

7) ორგანიზებას უწევს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებს;

8) აცხადებს საგანგებო მდგომარეობას სახელმწიფოში ან მის ნაწილში, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების დროს ან ინფექციური დაავადებების გავრცელების აღკვეთის მიზნით;

9) ასრულებს კონსტიტუციით და კანონით მისთვის განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს;

§88. რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრები.

§89. მთავრობის გადადგომის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტი 14 დღის ვადაში ნიშნავს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, რომელსაც ავალებს ახალი მთავრობის ფორმირებას.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მთავრობის ფორმირებაზე მიღებული დავალების შემდეგ 14 დღის ვადაში სახელმწიფო კრებას წარუდგენს მოხსენებას მომავალი მთავრობის ფორმირების საფუძვლების შესახებ, რის შემდეგაც სახელმწიფო კრება კამათის გამართვის გარეშე, ღია კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატისათვის მთავრობის ფორმირების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

სახელმწიფო კრებისაგან მთავრობის ფორმირებაზე მიღებული უფლებამოსილების შემდეგ, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას, რომელიც 3 დღის ვადაში ნიშნავს მთავრობას.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი სახელმწიფო კრებაზე ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას „თანახმა", ან ვერ შესძლებს მთავრობის ფორმირებას, ან უარს იტყვის მის ფორმირებაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, 7 დღის ვადაში წარადგინოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე სხვა კანდიდატი.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი 7 დღის ვადაში არ წარადგენს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას, ან უარს განაცხადებს მის წარდგენაზე, ან სხვა კანდიდატი ამ პარაგრაფის მეორე და მესამე ნაწილებით განსაზღვრული პირობებითა და წესით, სახელმწიფო კრებისაგან არ მიიღებს მთავრობის ფორმირების უფლებამოსილებას, ან უარს განაცხადებს მის ფორმირებაზე, მაშინ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დასახელების უფლება გადადის სახელმწიფო კრებაზე.

სახელმწიფო კრება ასახელებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დასახელების უფლების სახელმწიფო კრებაზე გადასვლის შემდეგ, თუ 14 დღის ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტს არ წარედგინება მთავრობის შემადგენლობა, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი აცხადებს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს.

§90. რესპუბლიკის მთავრობის დანიშნულ შემადგენლობაში ცვლილებებს ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

§91. თანამდებობის დაკავების წინ, რესპუბლიკის მთავრობა სახელმწიფო კრების წინაშე დებს ფიცს.

§92. რესპუბლიკის მთავრობა გადადგება:

1) სახელმწიფო კრების ახალი შემადგენლობის მოწვევისას;

2) პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში;

3) თუ სახელმწიფო კრებამ რესპუბლიკის მთავრობას ან პრემიერ-მინისტრს გამოუცხადა უნდობლობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს რესპუბლიკის მთავრობის გადადგომას მთავრობის ახალი შემადგენლობის მიერ თანამდებობის დაკავებისთანავე.

§93. პრემიერ-მინისტრი წარადგენს რესპუბლიკის მთავრობას და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას.

პრემიერ-მინისტრი ნიშნავს ორ მინისტრს, რომლებიც მისი არყოფნის შემთხვევაში ჩაენაცვლებიან მას. ჩანაცვლების წესს ადგენს პრემიერ-მინისტრი.

§94. მმართველობის სფეროების მოწესრიგების მიზნით, კანონის საფუძველზე, იქმნება შესაბამისი სამინისტროები.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, აგრეთვე კანონის საფუძველზე და დადგენილი წესით ასრულებს მისთვის მინიჭებულ სხვა მოვალეობებს.

თუ ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, მინისტრი დროებით ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, პრემიერ-მინისტრი მის მოვალეობებს ამ დროის განმავლობაში აკისრებს სხვა მინისტრს.

რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, უფლება აქვს, დანიშნოს მინისტრები, რომელთა ფუნქციები არ განისაზღვრება კონკრეტული სამინისტროს ხელმძღვანელობით.

§95. რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ სახელმწიფო კანცელარიას ხელმძღვანელობს სახელმწიფო მდივანი.

სახელმწიფო მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფო მდივანი სიტყვის უფლებით მონაწილეობს მთავრობის სხდომებში.

სახელმწიფო მდივანს, როგორც სახელმწიფო კანცელარიის ხელმძღვანელს, ენიჭება იგივე უფლებები, რაც სამინისტროს ხელმძღვანელობის საკითხებში კანონით ენიჭება მინისტრს.

§96. რესპუბლიკის მთავრობის სხდომები დახურულია, თუ მთავრობა არ გადაწყვეტს სხვა რამეს.

მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის წარდგინების საფუძველზე.

მთავრობის დადგენილება მოქმედია, თუ მას ახლავს პრემიერ-მინისტრის, შესაბამისი მინისტრისა და სახელმწიფო მდივნის ხელმოწერები.

§97. სახელმწიფო კრებას შეუძლია, თავისი დადგენილებით, რომელსაც ხმას მისცემს სახელმწიფო კრების შემადგენლობის უმრავლესობა, უნდობლობა გამოუცხადოს რესპუბლიკის მთავრობას, პრემიერ-მინისტრს ან მინისტრს.

სახელმწიფო კრების მიერ უნდობლობის გამოცხადების საკითხი აღიძვრება სხდომაზე სახელმწიფო კრების შემადგენლობის არანაკლებ ერთი

მეხუთედის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის გზით.

მთავრობის ან პრემიერ-მინისტრის უნდობლობის ვოტუმის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტს 3 დღის ვადაში მთავრობის წინადადებით შეუძლია დანიშნოს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნები.

სახელმწიფო კრების თავმჯდომარე მინისტრისადმი გამოცხადებული უნდობლობის ვოტუმის შესახებ აცნობებს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც ათავისუფლებს მინისტრს დაკავებული თანამდებობიდან.

უნდობლობის გამოცხადების საკითხის განმეორებით აღძვრა იმავე საფუძვლით შესაძლებელია წინა უნდობლობის ვოტუმის კენჭისყრიდან არანაკლებ 3 თვის ვადის გასვლისა.

§98. რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია, სახელმწიფო კრებისათვის წარდგენილი პროექტის მიღება გააერთიანოს ნდობის ვოტუმთან.

პროექტისა და ნდობის ვოტუმის შეთავსებიდან არა უადრეს მესამე დღისა შეიძლება ჩატარდეს კენჭისყრა, თუ სახელმწიფო კრება არ მიიღებს პროექტს, მთავრობა გადადგება.

§99. რესპუბლიკის მთავრობის წევრებს არ შეუძლიათ, დაიკავონ სხვა სახელმწიფო თანამდებობები, იყვნენ კომერციული დაწესებულების გამგეობის ან საბჭოს წევრები.

§100. რესპუბლიკის მთავრობის წევრებს სიტყვის უფლებით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო კრების და მისი კომისიების სხდომებში.

§101. რესპუბლიკის მთავრობის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება იუსტიციის კანცლერის წარდგინებისა და სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

მთავრობის წევრის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე წყდება მისი უფლებამოსილება.

თავი მეშვიდე
კანონმდებლობა

§102. ესტონეთის რესპუბლიკის კანონები მიიღება კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.

§103. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ:

1) სახელმწიფო კრების წევრებს;
2) სახელმწიფო კრების ფრაქციებს;
3) სახელმწიფო კრების კომისიებს;
4) რესპუბლიკის მთავრობას;
5) რესპუბლიკის პრეზიდენტს — კონსტიტუციის შეცვლის საკითხებში.

სახელმწიფო კრების წევრების ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო კრებას ენიჭება უფლება, მიმართოს მთავრობას წინადადებით, რომ მოხდეს მათ მიერ რეკომენდირებული პროექტის ინიცირება.

§104. კანონების მიღების წესი განსაზღვრულია კანონით სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ.

მხოლოდ სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობით შეიძლება იყოს მიღებული და შეცვლილი შემდეგი კანონები:

1) კანონი მოქალაქეობის შესახებ;

2) კანონი სახელმწიფო კრების არჩევნების შესახებ;
3) კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ;
4) კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ;
5) კანონი რეფერენდუმის შესახებ (საყოველთაო კენჭისყრა);
6) კანონი სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ და კანონი სახელმწიფო კრების მუშაობის წესის შესახებ;
7) კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის და სახელმწიფო კრების წევრთა წახალისების შესახებ;
8) კანონი რესპუბლიკის მთავრობის შესახებ;
9) კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის და რესპუბლიკის მთავრობის წევრების სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ;
10) კანონი ნაციონალური უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ;
11) კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
12) კანონი ესტონეთის ბანკის შესახებ;
13) კანონი სახელმწიფო კონტროლის შესახებ;
14) კანონი სასამართლო მოწყობის შესახებ და კანონი სამართალწარმოების შესახებ;
15) კანონი საშინაო და საგარეო სესხების, აგრეთვე სახელმწიფოს ქონებრივი ვალდებულებების შესახებ;
16) კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ;
17) კანონი მშვიდობიან დროს სახელმწიფო თავდაცვის შესახებ და კანონი ომის დროს სახელმწიფო თავდაცვის შესახებ.

§105. სახელმწიფო კრებას აქვს უფლება, რეფერენდუმზე გაიტანოს კანონპროექტი ან სახელმწიფოს ცხოვრების მნიშვნელოვანი რაიმე საკითხი.

ხალხის გადაწყვეტილების გამოტანა ხდება რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების უმრავლესობის საფუძველზე.

რეფერენდუმზე მიღებულ კანონს დაუყოვნებლივ აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. რეფერენდუმის გადაწყვეტილება არის სავალდებულო სახელმწიფო ორგანოებისათვის.

თუ რეფერენდუმზე გატანილი კანონპროექტი ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას („თანახმა"), რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს.

§106. რეფერენდუმზე არ შეიძლება ბიუჯეტის, გადასახადების, სახელმწიფოს საფინანსო ვალდებულებების, სხვა სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებების რატიფიკაციისა და დენონსაციის, საგანგებო მდგომარეობის შემოღების ან მისი გაუქმების, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვის საკითხების გატანა.

რეფერენდუმის ჩატარების წესს ადგენს კანონი რეფერენდუმის შესახებ (საყოველთაო კენჭისყრა).

§107. კანონებს აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, არ გამოაქვეყნოს სახელმწიფო კრების მიერ მიღებული კანონი და კანონის მიღებიდან 14 დღის ვადაში, მოტივირებული გადაწყვეტილების თანხლებით, იგი დაუბრუნოს სახელმწიფო კრებას ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების

მიხნით, თუ სახელმწიფო კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაბრუნებულ კანონს ცვლილებების გარეშე მიიღებს, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი ან აქვეყნებს კანონს, ან მიმართავს სახელმწიფო სასამართლოს კანონის ანტიკონსტიტუციურად ცნობის შესახებ. თუ სახელმწიფო სასამართლო კანონს კონსტიტუციის შესაბამისად ცნობს, რესპუბლიკის პრეზიდენტი აქვეყნებს კანონს.

§108. კანონი ძალაში შედის „ესტონეთის რესპუბლიკის უწყებებში" მისი გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ თავად კანონით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

§109. თუ სახელმწიფო კრება ვერ ახერხებს შეკრებას, რესპუბლიკის პრეზიდენტს, სახელმწიფოს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, აქვს უფლება, გამოსცეს სახელმწიფო კრების თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერებით ბრძანებულებები, რომელთაც აქვთ კანონის ძალა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, სახელმწიფო კრებას შეკრებისთანავე წარუდგენს ბრძანებულებას და სახელმწიფო კრება დაუყოვნებლივ იღებს კანონს მისი დამტკიცების ან გაუქმების შესახებ.

§110. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით არ შეიძლება ამოქმედდეს, შეიცვალოს ან გაუქმდეს არც კონსტიტუცია, არც კონსტიტუციის 104-ე პარაგრაფში ჩამოთვლილი კანონები, აგრეთვე კანონები, რომლებიც ადგენენ სახელმწიფო გადასახადებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს.

თავი მერვე
ფინანსები და სახელმწიფო ბიუჯეტი

§111. ესტონური ფულის ემისიის განსაკუთრებული უფლება ენიჭება ესტონეთის ბანკს. ესტონეთის ბანკი ორგანიზებას უწევს ფულად მიმოქცევას და უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას.

§112. ესტონეთის ბანკი მოქმედებს კანონის საფუძველზე და ანგარიშვალდებულია სახელმწიფო კრების წინაშე.

§113. სახელმწიფო გადასახადები, ბეგარა, ბაჟი, ჯარიმა და მოსაკრებლები სავალდებულო დაზღვევისათვის განისაზღვრება კანონით.

§114. სახელმწიფო ქონების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის წესი დადგენილია კანონით.

§115. სახელმწიფო კრება ყოველი წლისთვის იღებს სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და გასავლის ბიუჯეტის შესახებ კანონს.

რესპუბლიკის მთავრობა სახელმწიფო კრებას წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს სამი თვისა.

მთავრობის წარდგინებით, სახელმწიფო კრებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუძლია, მიიღოს დამატებითი ბიუჯეტი.

§116. წინადადებას, რომელიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ან მისი პროექტის შეცვლას, რაც განპირობებულია მასში გათვალისწინებული შემოსავლების შემცირებით, გასავლების გაზრდით ან ხარჯების გადანაწილებით, ინიციატორმა უნდა დაურთოს საფინანსო გაანგარიშებები, შემოსავლების წყაროს მითითებით, რომელიც საჭიროა გასავლების დასაფარავად.

სახელმწიფო კრებას არა აქვს უფლება, ბიუჯეტში ან მის პროექტში გააუქმოს ან შეამციროს სხვა კანონებით გათვალისწინებული ხარჯები.

§117. სახელმწიფოს ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი დადგენილია კანონით.

§118. სახელმწიფო კრების მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტი ძალაში შედის საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან. თუ საბიუჯეტო წლის დასაწყისისთვის სახელმწიფო კრებამ არ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტი, მაშინ ყოველთვიური ხარჯვითი ნაწილი შეიძლება განისაზღვროს წინა ბიუჯეტის ხარჯების ერთი მეთორმეტედის ფარგლებში.

§119. თუ სახელმწიფო კრება, საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან ორი თვის ვადაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო კრების რიგგარეშე არჩევნებს.

თავი მეცხრე
საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

§120. ესტონეთის რეპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესს ადგენს კანონი.

§121. სახელმწიფო კრება ახდენს ესტონეთის რესპუბლიკის ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას:

1. რომელთა თანახმად იცვლება სახელმწიფო საზღვრები;
2. რომელთა ამოქმედებისათვის საჭიროა ესტონეთის კანონის მიღება, შეცვლა ან გაუქმება;
3. რომელთა თანახმად ესტონეთის რესპუბლიკა უერთდება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს;
4. რომელთა თანახმად ესტონეთის რესპუბლიკა იღებს თავის თავზე სამსედრო ან ქონებრივ ვალდებულებებს;
5. რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიკაციას.

§122. ესტონეთის სახმელეთო საზღვარი დადგენილია 1920 წლის 2 თებერვლის ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულებით და სხვა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით საზღვრების შესახებ. ესტონეთის საზღვაო და საჰაერო საზღვარი დადგენილია საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე.

იმ ხელშეკრულებათა რატიფიკაციისათვის, რომელთა თანახმად იცვლება ესტონეთის სახელმწიფო საზღვრები, საჭიროა სახელმწიფო კრების შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის თანხმობა.

§123. ესტონეთის რესპუბლიკა არ დებს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

თუ ესტონეთის რესპუბლიკის კანონები ან სხვა აქტები ეწინააღმდეგება სახელმწიფო კრების მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები.

თავი მეათე
სახელმწიფო თავდაცვა

§124. ესტონეთის მოქალაქეები ვალდებულნი არიან, კანონით დადგენილი წესით, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო თავდაცვაში. პირი, რომელიც რელიგიური ან ზნეობრივი მოსაზრებების გამო უარს აცხადებს, იმსახუროს

თავდაცვის ძალებში, კანონით დადგენილი წესით, ვალდებულია გაიაროს, ალტერნატიული სამსახური.

თუ სამსახურის სპეციფიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი არ ადგენს სხვა რამეს, პირები, რომლებიც მსახურობენ თავდაცვის ძალებში ან ალტერნატიულ სამსახურში, სარგებლობენ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლებით, თავისუფლებითა და ვალდებულებით. აკრძალულია უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, რომლებსაც ადგენს მე-8 პარაგრაფის მე-3 და მე-4 ნაწილები, მე-11-18-ე პარაგრაფები, მე-20 პარაგრაფის მე-3 ნაწილი, 21-ე, 28-ე პარაგრაფები, 33-ე, 36-ე და 43-ე პარაგრაფები, 44-ე პარაგრაფის პირველი და მე-2 ნაწილი, 49-51-ე პარაგრაფები. პირების სამართლებრივ სტატუსს, რომლებიც მსახურობენ თავდაცვის ძალებში ან ალტერნატიულ სამსახურში, ადგენს კანონი.

§125. პირს, რომელიც იხდის სამხედრო ვალდებულებას, არა აქვს უფლება, დაიკავოს სხვა არჩევითი ან ნომენკლატურული თანამდებობა და მონაწილეობდეს რომელიმე პარტიის საქმიანობაში.

§126. ესტონეთის თავდაცვის ძალების აღმშენებლობისა და სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციის საფუძვლებს ადგენს კანონი.

სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციის საფუძვლებს ადგენს კანონი მშვიდობიან დროს სახელმწიფო თავდაცვისა და კანონი საომარ დროს სახელმწიფო თავდაცვის შესახებ.

§127. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს სახელმწიფო თავდაცვას.

რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო თავდაცვის საბჭო არის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობა და ამოცანები დადგენილია კანონით.

ესტონეთის თავდაცვის ძალებისა და სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მშვიდობიან დროს ეკისრება თავდაცვის ძალების სარდალს, საომარ პერიოდში კი - თავდაცვის ძალების მთავარსარდალს. რესპუბლიკის პეზიდენტის წარდგინებით, სახელმწიფო კრება თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავდაცვის სარდალს და მთავარსარდალს.

§128. პრეზიდენტის წარდგინებით, სახელმწიფო კრება აცხადებს საომარ მდგომარეობას, მობილიზაციას და დემობილიზაციას, იღებს გადაწყვეტილებას თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ ესტონეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ესტონეთის რესპუბლიკის მიმართ აგრესიის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი, არ ელოდება რა სახელმწიფო კრების გადაწყვეტილებას, აცხადებს საომარ მდგომარეობას და მობილიზაციას და ნიშნავს თავდაცვის ძალების მთავარსარდალს.

§129. იმ შემთხვევაში, როცა ესტონეთის კონსტიტუციურ წყობას ემუქრება საფრთხე, სახელმწიფო კრებას, რესპუბლიკის პრეზიდენტის ან რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით, შეუძლია, შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა თავისი სრული შემადგენლობის უმრავლესობით არა უმეტეს 3 თვისა.

საგანგებო მდგომარეობის შემოღების წესს ადგენს კანონი.

§130. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში სახელმწიფო

უშიშროების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, პირებს შეიძლება შეეზღუდოთ უფლებები და თავისუფლებები და დაეკისროთ ვალდებულებები. არ შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის მე-8, მე-11-18-ე პარაგრაფებში, მე-20 პარაგრაფის მე-3 ნაწილში, 22-ე 23-ე პარაგრაფებში, 24-ე პარაგრაფის მე-2 და მე-4 ნაწილებში, 25-ე, 27-ე, 28-ე პარაგრაფებში, 36-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილში, მე-40, 41-ე, 49-ე პარაგრაფებში და 51-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი უფლებები და თავისუფლებები.

§131. საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს არ ტარდება სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი კრებების არჩევნები, აგრეთვე მათ არ უწყდებათ უფლებამოსილებები.

სახელმწიფო კრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი საბჭოების უფლებამოსილება გრძელდება, თუ მათი უფლებამოსილების ვადა უნდა გასულიყო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, ან საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევებში ახალი არჩევნები ტარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების დღიდან 3 თვის განმავლობაში.

თავი მეთერთმეტე
სახელმწიფო კონტროლი

§132. სახელმწიფო კონტროლი თავისი საქმიანობის სფეროში არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს კონტროლს სამეურნეო საქმიანობაზე.

§133. სახელმწიფო კონტროლი ამოწმებს:

1. სახელმწიფო დაწესებულებების, სახელმწიფო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობას.

2) სახელმწიფო ქონების გამოყენებას და დაცულობას;

3) ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში გადაცემულ სახელმწიფო ქონების გამოყენებას და განკარგვას.

4) იმ დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობას, სადაც სახელმწიფო ფლობს წილსა და აქციებს ხმების უმრავლესობით, აგრეთვე ვისი კრედიტებისა და სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე გარანტიებს იძლევა სახელმწიფო.

§134. სახელმწიფო კონტროლს ხელმძღვანელობს სახელმწიფო კონტროლიორი, რომელსაც, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო კრება.

სახელმწიფო კონტროლიორის უფლებამოსილება განისაზღვრება 5 წლით.

§135. სახელმწიფო კონტროლიორი სახელმწიფო კრებას წარუდგენს მიმოხილვას განვლილი საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების გამოყენებისა და დაცულობის შესახებ და ამავდროულად სახელმწიფო კრებას განსახილველად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

§136. სახელმწიფო კონტროლიორს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს

მთავრობის სხდომებში, მისი ვალდებულებების სფეროში შემავალ საკითხებზე აზრის გამოთქმის უფლებით.

სახელმწიფო კონტროლიორს, როგორც თავისი უწყების ხელმძღვანელს, კანონით ენიჭება იგივე უფლებები, რაც მინისტრს, როგორც სამინისტროს ხელმძღვანელს.

§137. სახელმწიფო კონტროლიორის მუშაობის წესს ადგენს კანონი.

§138. სახელმწიფო კონტროლიორი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

თავი მეთორმეტე
იუსტიციის კანცლერი

§139. იუსტიციის კანცლერი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან და კანონთან შესაბამისობაზე.

იუსტიციის კანცლერი ახორციელებს წინადადებათა ანალიზს, რომლებიც შეტანილია კანონების შეცვლის ან ახალი კანონების მიღების მიზნით, აგრეთვე წინადადებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო დაწესებულებებს და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო კრებას წარუდგენს მოხსენებას.

კონსტიტუციის 76-ე, 85-ე, 101-ე, 138-ე და 153-ე პარაგრაფებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იუსტიციის კანცლერი სახელმწიფო კრებაზე შედის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრის, რესპუბლიკის პრეზიდენტის, რესპუბლიკის მთავრობის წევრის, სახელმწიფო კონტროლიორის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახელმწიფო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

§140. იუსტიციის კანცლერი თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფო კრების მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით 7 წლის ვადით.

იუსტიციის კანცლერის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

§141. იუსტიციის კანცლერი თავისი კანცელარიის ხელმძღვანელობის საკითხებში სარგებლობს იგივე უფლებებით, რა უფლებებიც ენიჭება მინისტრს სამინისტროს ხელმძღვანელობისას.

იუსტიციის კანცლერს შეუძლია სიტყვის უფლებით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო კრების და რესპუბლიკის მთავრობის სხდომებში.

§142. თუ იუსტიციის კანცლერი დაასკვნის, რომ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალწარმოებული აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონს, იგი სთავაზობს ასეთი აქტის მიმღებ ორგანოს 20 დღის ვადაში მოიყვანოს იგი კონსტიტუციასთან ან კანონთან შესაბამისობაში.

თუ 20 დღის ვადაში აქტი არ იქნა მოყვანილი კონსტიტუციასთან ან კანონთან შესაბამისობაში, იუსტიციის კანცლერი შედის სახელმწიფო სასამართლოში წარდგინებით აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

§143. იუსტიციის კანცლერი წელიწადში ერთხელ სახელმწიფო კრებას

წარუდგენს მიმოხილვას საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალწარმოებული აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობის შესახებ.

§144. იუსტიციის კანცლერის სამართლებრივ სტატუსს და მისი კანცელარიის მუშაობის წესს ადგენს კანონი.

§145. იუსტიციის კანცლერი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

თავი მეცამეტე
სასამართლო

§146. მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო. სასამართლო დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მართლმსაჯულებას ახორციელებს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

§147. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე. მოსამართლეთა გათავისუფლების საფუძვლებსა და წესს ადგენს კანონი.

მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მოსამართლეს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ შეუძლია დაიკავოს რაიმე არჩევითი ან ნომენკლატურული თანამდებობა.

მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიებსა და მათ სამართლებრივ სტატუსს ადგენს კანონი.

§148. სამართალწარმოების სისტემაში შედის:

1) სამაზრო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები;

2) საოლქო სასამართლოები;

3) სახელმწიფო სასამართლო.

ზოგიერთი კატეგორიის სასამართლო საქმეთა განსახილველად სპეციალური სასამართლოების შექმნის საკითხებს ადგენს კანონი.

საგანგებო სასამართლოების შექმნა აკრძალულია.

§149. სამაზრო, საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოებს.

საოლქო სასამართლოები წარმოადგენენ მეორე ინსტანციას, ისინი სააპელაციო წესით განიხილავენ პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

სახელმწიფო სასამართლო არის სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, რომელიც საკასაციო წესით განიხილავს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო სასამართლო იმავდროულად წარმოადგენს საკონსტიტუციო ზედამხედველობის სასამართლოს.

სასამართლო მოწყობისა და სამართალწარმოების წესს ადგენს კანონი.

§150. სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფო კრების მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

სახელმწიფო სასამართლოს წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან სახელმწიფო კრების მიერ სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის

მიერ სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

§151. წარმომადგენლობის, დაცვის, სახელმწიფო ბრალდებისა და ზედამხედველობის ორგანიზების წესს, სამართალწარმოებაში კანონიერების დასაცავად ადგენს კანონი.

§152. სასამართლო საქმის განხილვისას მხედველობაში არ იღებს კონსტიტუციასთან შეუსაბამო არანაირ კანონებს ან სამართლებრივ აქტებს.

სახელმწიფო სასამართლო ბათილად ცნობს ნებისმიერ კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის დებულებებს ან მის არსს.

§153. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობით.

სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის და მისი წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით, სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

თავი მეთოთხმეტე
ადგილობრივი თვითმმართველობა

§154. ადგილობრივი ცხოვრებისა და მისი მოწყობის ყველა საკითხის გადაწყვეტით დაკავებულია ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად, კანონების საფუძველზე.

ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ამა თუ იმ ვალდებულებების დაკისრება შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე ან ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმების გზით. ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის კანონით დაკისრებული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებასთან, იფარება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

§155. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებია თემები და ქალაქები.

ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულები შეიძლება წარმოიქმნას კანონით დადგენილი საფუძვლების და წესის მიხედვით.

§156. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი კრება არის საბჭო, რომელიც აირჩევა თავისუფალ არჩევნებზე საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით.

ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს არჩევნებში, კანონით გათვალისწინებული პირობებით, ხმის უფლებით სარგებლობენ ამ თვითმმართველობის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები 18 წლის ასაკს მიღწეული პირები.

§157. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომლის ფორმირების საფუძვლებსა და წესს ადგენს კანონი.

ადგილობრივ თვითმმართველობას კანონით აქვს მინიჭებული უფლება, დაადგინოს და შეაგროვოს გადასახადები, აგრეთვე დააწესოს ბეგარა.

§158. დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საზღვრების შეცვლა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აზრის მოსმენის გარეშე.

§159. ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს, სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად შექმნას კავშირები და ერთობლივი დაწესებულებები.

§160. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობისა და მის საქმიანობაზე ზედამხედველობის წესს ადგენს კანონი.

თავი მეთხუთმეტე
კონსტიტუციის შეცვლა

§161. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ სახელმწიფო კრების წევრთა სულ ცოტა ერთ მეხუთედს და რესპუბლიკის პრეზიდენტს.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის აღძვრა და კონსტიტუციის შეცვლა არ შეიძლება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

§162. კონსტიტუციის პირველი თავი „ძირითადი დებულებები" და მე-15 თავი „კონსტიტუციის შეცვლა" შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

§163. კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს კანონით, რომელიც მიღებულია:

1) რეფერენდუმის გზით;

2) სახელმწიფო კრების ზედიზედ ორი შემადგენლობით;

3) სახელმწიფო კრების მიერ, როგორც სასწრაფოდ განსახილველი საკითხი.

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი სახელმწიფო კრების მიერ განიხილება სამი მოსმენით, ამასთან პირველ და მეორე მოსმენებს შორის შესვენება არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები, ხოლო მეორე და მესამეს შორის — არანაკლებ ერთი თვისა. კონსტიტუციის შეცვლის წესი წყდება მესამე მოსმენისას.

§164. კონსტიტუციის შეცვლის შესახებ კანონის პროექტის რეფერენდუმზე გატანას სჭირდება სახელმწიფო კრების შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობა. რეფერენდუმი ტარდება სახელმწიფო კრების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არა უადრეს სამი თვისა.

§165. იმისათვის, რომ კონსტიტუცია შეიცვალოს სახელმწიფო კრების ზედიზედ ორი შემადგენლობით, კონსტიტუციის შეცვლის კანონის პროექტს მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობამ.

თუ სახელმწიფო კრების მომდევნო შემადგენლობა პირველი მოსმენით თავის წევრთა, სულ ცოტა, სამი მეხუთედით მიიღებს კონსტიტუციის შეცვლის პროექტს ცვლილებების გარეშე, რომელსაც მხარი დაუჭირა წინა შემადგენლობის უმრავლესობამ, მაშინ კანონი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ მიღებულად ჩაითვლება.

§166. გადაწყვეტილება სასწრაფო წესით კონსტიტუციაში ცვლილებების განხილვის შესახებ, მიიღება სახელმწიფო კრების წევრების ოთხი მეხუთედის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში, კანონი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების ორი შესამედის უმრავლესობით.

§167. კანონი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქვეყნდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ და კანონიერ ძალაში შედის თავად ამ

კანონით დადგენილ ვადაში, გამოქვეყნებიდან არა უადრეს სამი თვისა.

§168. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი არ შეიძლება ხელმეორედ აღიძრას ერთი წლის განმავლობაში, თუ სახელმწიფო კრების მიერ ან რეფერენდუმზე შესაბამისი კანონპროექტი არ იქნა მიღებული.

ესტონეთის რესპუბლიკის კანონი კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ

§1. კონსტიტუცია ძალაში შედის რეფერენდუმზე მისი მიღებიდან მომდევნო დღეს და ამოქმედდება ამ კანონით დადგენილი წესით.

ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და ესტონეთის კონგრესს უფლებამოსილება უწყდება სახელმწიფო კრების არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე.

სახელმწიფო კრების არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე საკანონმდებლო კრების ფუნქციებს ახორციელებს ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე დამტკიცებული რესპუბლიკის მთავრობა გადადგება მას შემდეგ, რაც თანამდებობას დაიკავებს სახელმწიფო კრების მიერ ფორმირებული მთავრობა.

§2. ესტონეთის რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო აქტები ძალაში რჩება კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას ან კანონს „კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ" და მოქმედებენ მანამ, სანამ არ მოხდება მათი ბათილად ცნობა ან კონსტიტუცასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

დავები, რომლებიც ეხება საკანონმდებლო აქტების შესაბამისობას, კონსტიტუციასა და კანონთან „კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ", განიხილება სახელმწიფო სასამართლოს მიერ.

§3. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, უმაღლესი საბჭო აცხადებს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო კრების არჩევნებს, ადგენს არჩევნების ჩატარების გრაფიკს. არჩევნები უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს 1992 წლის 27 სექტემბრისა.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ არჩეული პირველი მოწვევის სახელმწიფო კრება თავის უფლებამოსილებას, გამონაკლისის სახით, ახორციელებს სამ წლამდე ვადით.

სახელმწიფო კრების პირველ სხდომას იწვევს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

სახელმწიფო კრების თავმჯდომარის არჩევამდე სახელმწიფო კრების საქმიანობას ხელმძღვანელობს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე.

კანონის „სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ" და კანონის „სახელმწიფო კრების მუშაობის წესის შესახებ" მიღებამდე სახელმწიფო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი.

კონსტიტუციის თანახმად, ხმათა უმრავლესობა — „თანახმა" ნიშნავს, რომ ხმების რაოდენობა „თანახმა" აღემატება ხმების რაოდენობას „წინააღმდეგი".

ხმათა ორი მესამედის უმრავლესობა ნიშნავს, რომ ხმების რაოდენობა — „თანახმა“ ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს ხმების რაოდენობას „წინააღმდეგი“.

ხმათა ოთხი მეხუთედის უმრავლესობა ნიშნავს, რომ ხმების რაოდენობა „თანახმა“ ოთხჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს ხმების რაოდენობას „წინააღმდეგი“.

სახელმწიფო კრების შემადგენლობის უმრავლესობა ნიშნავს, რომ კენჭისყრისას „თანახმა“ არის სახელმწიფო კრების შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სახელმწიფო კრების შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა ნიშნავს, რომ კენჭისყრისას „თანახმა“ არის სახელმწიფო კრების შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

სახელმწიფო კრების შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობა ნიშნავს, რომ კენჭისყრისას „თანახმა“ არის სახელმწიფო კრების შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედისა.

სახელმწიფო კრებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების გამოცხადებამდე, უმაღლეს საბჭოს სამოქმედოდ შემოაქვს ნორმატიული აქტები რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, სახელმწიფო კრების წევრებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის სოციალური გარანტიებისა და ჯილდოების შესახებ.

§4. კონსტიტუციის 78-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი და79-ე პარაგრაფის გამოიყენება, ამ პარაგრაფის საფუძველზე არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების მომენტიდან.

კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები გამონაკლისის სახით ტარდება სახელმწიფო კრების არჩევნებთან ერთად საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით, ოთხი წლის ვადით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტს სახელმწიფო კრება ირჩევს იმ ორი კანდიდატიდან, რომლებმაც მიიღეს ხმათა მეტი რაოდენობა და ირჩევს სახელმწიფო კრების მოწვევის დღიდან ათი დღის ვადაში. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების უფრო ზუსტ წესს ადგენს კანონი „რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ესტონეთის არანაკლებ ათი ათას მოქალაქეს, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო ხმის უფლებით.

პირს, რომელიც კენჭს იყრის პრეზიდენტის პოსტზე, არ შეუძლია, ამავდროულად კენჭი იყაროს სახელმწიფო კრებაში.

§5. კონსტიტუციის ძალაში შესვლა თავისთავად არ იწვევს არსებულ სახელმწიფო ორგანოებში მომუშავე პირთა შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას.

ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადით დანიშნული სახელმწიფო კონტროლიორის, ესტონეთის ბანკის პრეზიდენტის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის და სახელმწიფო სასამართლოს წევრების უფლებამოსილება გრძელდება იმ ვადის ამოწურვამდე, რა ვადითაც ისინი დაინიშნენ თანამდებობაზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების დღიდან 60 დღის ვადაში სახელმწიფო კრებას წარუდგენს კანდიდატურებს იმ თანამ-

დებობებზე, რომლებიც ჩამოთვლილია კონსტიტუციის 78-ე პარაგრაფში და არ არის აღნიშნული ამ პარაგრაფის მეორე აბზაცში.

§6. პირები, რომლებმაც 2000 წლის 31 დეკემბრამდე წარადგინეს თავიანთი კანდიდატურები რესპუბლიკის პრეზიდენტის, სახელმწიფო კრების წევრის ან ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს წევრის პოსტზე, აგრეთვე პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ პრემიერ-მინისტრის, მინისტრის, სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის, სახელმწიფო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, იუსტიციის კანცლერის, სახელმწიფო კონტროლიორის, ესტონეთის ბანკის პრეზიდენტის, თავდაცვის ძალების მთავარსარდლის ან მეთაურის, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ან თვითმმართველობის ორგანოებში სხვა ნებისმიერ არჩევით თუ ნომენკლატურულ თანამდებობებზე, ვალდებულნი არიან, წერილობითი ფორმით დადონ ფიცი, რომ არ უმსახურიათ ესტონეთის ოკუპანტი სახელმწიფოების უშიშროების ორგანოებში, მათი შეიარაღებული ძალების დაზვერვასა ან კონტრდაზვერვაში, არ იყვნენ მათი აგენტები, აგრეთვე არ მონაწილეობდნენ პოლიტიკური მრწამსის, კლასობრივი კუთვნილების, თუ არალოიალობის გამო მოქალაქეთა დევნასა და რეპრესიებში.

თუ სასამართლო დადგენს, რომ პირის მიერ დადებული ფიცი არ შეესაბამება სიმართლეს, მაშინ კანდიდატს ამოიღებენ საარჩევნო სიიდან ან გაბათილებენ მის მანდატს, ან პირს არ დანიშნავენ ამ პარაგრაფის პირველ აბზაცში ჩამოთვლილ თანამდებობებზე, ან პირს გათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობიდან.

§7. პირი, რომელმაც თანამდებობა დაიკავა სახელმწიფო კრების მოწვევამდე და მე-6 პარაგრაფის პირველ აბზაცში მითითებული თანამდებობაზე დარჩენის სურვილი გამოხატა, ვალდებულია, სახელმწიფო კრების მოწვევის შემდეგ 30 დღის ვადაში დადოს ფიცი. თუ პირი უარს განაცხადებს ფიცის დადებაზე, ან დადგინდება ფიცის სინამდვილესთან შეუსაბამობა, იგი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

სახელმწიფო კრებისა და საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებამდე უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს ფიცის დადების წესს.

§8. რეფერენდუმზე კონსტიტუციის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო კრებას უფლება აქვს, მისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, სასწრაფო წესით შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილებები. გადაწყვეტილება კონსტიტუციაში ცვლილებების სასწრაფო წესით შეტანის შესახებ, მიიღება სახელმწიფო კრების ხმათა უმრავლესობით „თანახმა".

რეფერენდუმზე კონსტიტუციის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხის აღძვრის უფლება ენიჭება სახალხო ინიციატივის წესით ხმის უფლების მქონე ათი ათას მოქალაქეს. სახალხო ინიციატივის საფუძველზე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წინადადება სახელმწიფო კრების დღის წესრიგში შეაქვთ სასწრაფო საკითხად და მისი გადაწყვეტა ხდება ამ პარაგრაფის პირველი აბზაცის შესაბამისად.

§9. ეს კანონი და კონსტიტუცია მიღებულია 1992 წლის 28 ივნისის რეფერენდუმზე. კანონი ძალაში შედის კონსტიტუციასთან ერთად.

კანონში „კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ" ცვლილებების შეტანა ხდება იმავე წესით, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად.

რესპუბლიკა
მოლდოვა



ვალერიან ხაბურძანია
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

რესპუბლიკა მოლდოვა მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში;
ტერიტორია — 33,7 ათასი კვ.კმ;
მოსახლეობა — 4 მლნ 446 ათასი (2004წ.); მოლდოველები — (64,5%), უკრაინელები — (13,8%), რუსები — (13%), გაგაუზები — (3,5%), ბულგარელები — (2%), ებრაელები — (1,5%), ბოშები — (0,3%). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, უმცირესობაში არიან მუსულმანები და იუდეველები;
დედაქალაქია — კიშინეუ.

1. ძირითადი სახელმწიფოებრივ-კონსტიტუციური ეტაპები

მოლდოვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად მოლდო-ვლახიის სახით თავად ბოგდან I—ის დროიდან 1359 წელს ჩამოყალიბდა.

XVI საუკუნიდან მოლდოვა ოსმალეთმა დაიპყრო. 1774 წელს მოლდოვა ავსტრიის ვასალი გახდა, ხოლო 1806 წლიდან შეეიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1812 წელს თურქეთთან ზავის შემდეგ რუსეთის შემადგენლობაში იყო ბესარაბიაც. რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლიდან ბესარაბია, რუმინეთის სამეფოს, ხოლო მოლდავეთის ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში მოხვდა, ეს უკანასკნელი 1924 წლიდან ჩამოყალიბდა მოლდავეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის სახით.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველ წლებში საბჭოთა კავშირმა მოახდინა ბესარაბიის ანექსია და 1940 წლის 2 აგვისტოს შეიქმნა მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოლდოვა ტოტალიტარული საბჭოეთის ცხოვრების ყველა პროცესის მიმღები და თანამონაწილეა: ომის შემდგომი რეპრესიები თუ ეკონომიკური წარმატებები, ხრუშჩოვის „ოტტეპელი“ თუ ბრეჟნევის „ზასტოი“ და ბოლოს გორბაჩოვის „პერესტროიკა“.

ამის შემდეგ, 1988 წლიდან, ქვეყანაში იქმნება დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც 1989 წლის მაისში დაფუძნდა, როგორც მოლდავეთის სახალხო ფრონტი. სახალხო ფრონტელებმა შეძლეს სსრკ უმაღლესი საბჭოსა და მოლდავეთის პარლამენტში დიდი რაოდენობით ადგილების მოპოვება და დაიწყეს აქტიური ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის საბოლოოდ დაშლისა და საოკუპაციო ჯარების გასაყვანად. ამ პერიოდში მოლდავეთს გადაერქვა სახელი და ეწოდა მოლდოვა, ამ პერიოდშივე მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ იქნა მიღებული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ და დეკლარაცია სუვერენიტეტის პრინციპების შესახებ. სახალხო ფრონტელთა ერთმა ნაწილმა დაიწყო მოძრაობა მოლდოვას რუმინეთთან მიერთების მიზ-

ნით, რამაც სახალხო ფრონტის პოლიტიკური ავტორიტეტის მკვეთრი დაცემა გამოიწვია.

1989 წლიდან იქმნება სახალხო ფრონტის ერთგვარი ალტერნატივა ინტერფრონტი, რომელიც ჩამოყალიბდა „პერესტროიკისას" სკკპ-ს კურსის დემოკრატიზაციის მხარდასაჭერად. შემდგომში ამ მოძრაობამ ისარგებლა სახალხო ფრონტის პოლიტიკური შეცდომებით და აგრარიკოსებთან ერთად ხელისუფლებაში მოსვლაც მოახერხა.

1991 წლის 27 აგვისტოს მოლდავეთის პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და გამოცხადდა სუვერენული სახელმწიფოს – რესპუბლიკა მოლდოვას შექმნა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით ქვეყანა იყოფა 32 რაიონად და 5 მუნიციპალიად (კიშინეუ, ბელცი, ტირასპოლი, ბენდერი და კომრატი), ავტონომიური ტერიტორიული წარმონაქმნი გაგაუზია და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები დნესტრის მარცხენა სანაპიროზე, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ თვითაღიარებულ (არცნობილ) დნესტრისპირეთის მოლდავეთის რესპუბლიკას. 2002 წლის დასაწყისისათვის მოლდოვა ითვლიდა 1678 დასახლებულ პუნქტს, აქედან ქალაქის ტიპის იყო 66.

კონსტიტუციაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფების უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით გაცხადებულია, რომ ამ ერთეულთა ავტონომიურობა არანაირად არ უნდა შეეხოს ქვეყნის უნიტარულ ხასიათს, ამასთან განსაზღვრავს რა გაგაუზიის სტატუსს, როგორც ავტონომიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნისას, ამავე დროს ძირითად კანონში საუბარია შესაძლო ავტონომიაზე, კერძოდ, დნესტრის მარცხენა სანაპიროს დასახლებულ პუნქტებს შეიძლება, ორგანული კანონით დადგენილი განსაკუთრებული სტატუსის შესაბამისად, მიეცეს ავტონომიის განსაკუთრებული ფორმები და პირობები. აღსანიშნავია, რომ საკითხის ფორმალურ-კონსტიტუციური გადაწვეტა ძალიან წააგავს ესპანურს, რადგანაც ესპანეთის კონსტიტუციამ, ბასკური სეპარატიზმის შიშით, თავის დროზე პირველმა მოგვცა „შესაძლო ავტონომიის" მოდელი.

1990 წლიდან მოლდოვაში გამწვავდა სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. ქვეყნის ჭრელმა ეთნიკურმა შემადგენლობამ, საბჭოთა პერიოდის პოლიტიკურმა მემკვიდრეობამ შექმნა უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. წარმოიშვა რუმინეთთან შეერთების მოთხოვნა, რამაც არსებითი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. 1990 წლიდანვე დაიწყო ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებები, რომლებიც შემდეგში სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

გაგაუზიაში ვითარება გართულდა 1990 წლის 19 აგვისტოს, როდესაც ქალაქ კომრატში გამართულმა გაგაუზთა დეპუტატთა ყრილობამ განაცხადა „გაგაუზიის ხალხის სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო ხელისუფლებისგან". მას შემდეგ, რაც მოლდოვას ხელისუფლებაში ზომიერი ძალები მოვიდნენ, 1994 წელს შეიქმნა ავტონომიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი. 2003 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით გაგაუზიას მიენიჭა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

დნესტრის მარცხენა სანაპიროს კონფლიქტი, რომელიც ამჟამადაც მოუგ-

ვარებელია, სათავეს იღებს 1990 წლის 2 სექტემბრიდან, როდესაც ტირასპოლში გაიმართა დნესტრისპირეთის დეპუტატთა მეორე ყრილობა, სადაც გამოცხადდა დნესტრისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა (1991 წლის სექტემბრიდან დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკა). ამ კონფლიქტის საბაბი გაგაუზიის პრობლემის იდენტურია, რაც იყო დნესტრისპირეთის სლავური მოსახლეობის რეაქცია მოლდოვაში მიმდინარე რუმინიზაციის ულტრანაციონალურ პროცესებზე. გარეგნული ნიშნებით წინააღმდეგობამ ბოლო პერიოდის საბჭოთა გაგების მემარჯვენეობა-მემარცხენეობის წინააღმდეგობის სახე მიიღო, თუმცა უნდა ითქვას, კონფლიქტს ეთნიკურ-სამხედრო საფუძვლები აქვს და ამ რეგიონში სეპარატიზმი ყოფილი სსრკ-ის მე-14 არმიის ყოფნას ეფუძნება.

1992 წლის ბოლოსა და 1993 წლის დასაწყისში მოხდა პოლიტიკური ორგანიზაციების გადაჯგუფება, რასაც თან დაერთო სახალხო ფრონტის გავლენის შემცირება, ხოლო აგრარიკოს დეპუტატთა და ყოფილი კომუნისტების (დამოუკიდებელ დეპუტატთა ფრაქცია) კოალიციამ პარლამენტში დომინირებული მდგომარეობა დაიკავა.

1994 წლის თებერვალში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები. აგრარულ-დემოკრატიულმა პარტიამ მოაგროვა ხმათა 43,2% და მოიპოვა აბსოლუტური უმრავლესობა (56 ადგილი 104-დან). სოციალისტურმა ბლოკმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრარიკოსთა მოკავშირე პარტიები — ხმათა 22% და შესაბამისად 28 ადგილი მიიღო. მოლდოვას პრორუმინულმა ძალებმა არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადეს.

ძალთა ასეთი შეფარდების პარლამენტმა 1994 წლის 29 ივლისს მიიღო კონსტიტუცია. კონსტიტუცია მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ და მისი ძალაში შესვლისათვის (1994 წლის 27 აგვისტო) საჭირო იყო პრეზიდენტის მიერ მისი პრომულგაცია. საბჭოთა პერიოდში მოლდავეთში მოქმედებდა ჯერ 1941 წლის, შემდეგ კი 1978 წლის კონსტიტუცია. ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს 1994 წლის კონსტიტუცია 1996, 2000, 2001, 2002 და 2003 წლების შესწორებებით.

90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მოლდოვის პოლიტიკური სისტემის ტოტალიტარულიდან დემოკრატიულზე გადასვლა. ამ პროცესის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ეტაპი:

1. 1990 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე მოლდოვა მიდიოდა საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბების გზით;

2. 1990 წლის სექტემბრიდან 1994 წლის აგვისტომდე მოლდოვა საპრეზიდენტო რესპუბლიკაა;

3. 1994 წლის სექტემბრიდან 2000 წლის ივლისამდე მოლდოვა ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა;

4. 2000 წლის ივლისიდან დღემდე მოლდოვა ფორმალური საპარლამენტო რესპუბლიკაა.

აღსანიშნავია, რომ მოლდოვის კონსტიტუცია, არასრულყოფილების მოტივით, იმთავითვე იქცა კრიტიკისა და პრეტენზიების ობიექტად. დასაწყისისათვის იგი იყო მოლდოვის პირველი პრეზიდენტის მირჩა სნეგურისა და პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის პეტრე ლუჩინსკის პოლიტიკური ზავის ნაყოფი. შედეგად მიღებულ იქნა ერთგვარი მოლდოვური ჰიბრი-

დი საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკისა, რომელშიც პრეზიდენტი-ცა და პარლამენტიც საყოველთაო არჩევნების გზით აირჩეოდა, მაგრამ პრეზიდენტს ნაკლები უფლებამოსილება ჰქონდა, ვიდრე პარლამენტს.

მირჩა სნეგური ხშირად ჩიოდა უფლებამოსილების არასაკმარისობის გამო, მაგრამ ფაქტიურად, ამ თვალსაზრისით კონსტიტუციას არც შეხებია. ლუჩინსკიმ კი, რომელიც მთელი წინასაპრეზიდენტო კამპანიის დროს აცხადებდა, რომ მისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში კონსტიტუციით განსაზღვრული საპრეზიდენტო ხელისუფლების ფარგლები, დაივიწყა წინასაარჩევნო დაპირებები და წამოიწყო ისეთი კამპანია კონსტიტუციის გადასასინჯად, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიტიკურად არყევდა მთელ ქვეყანას.

ლუჩინსკიმ დააპირა მოლდოვაში ერთგვარად საპრეზიდენტო აბსოლუტიზმის შემოღება. ასე მაგალითად, მის მიერვე შექმნილი კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი აცხადებდა, რომ „პრეზიდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს ნებისმიერი თანამდებობის პირის გადადგომა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი ორგანოს მიერ მოხდა მისი დანიშვნა".

პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის დაიწყო ლეგალისტური ომი, რაც იმით დამთავრდა, რომ 2000 წლის 5 ივლისს რესპუბლიკა მოლდოვას პარლამენტმა 90 ხმით მიიღო შესწორება კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო ცვლილებების სასარგებლოდ ხმა მისცეს თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენლებმა, გარდა საპრეზიდენტო მაჟორიტართა ფრაქციისა, რომელშიც მხოლოდ 9 წევრი იყო და რომელიც პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიდა. საკონსტიტუციო ცვლილებამ გააუქმა პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები და დადგინა, რომ პრეზიდენტი აირჩევა არა საყოველთაო-სახალხო არჩევნებით, არამედ პარლამენტის დეპუტატების მიერ. ამ ცვლილებათა გამო ლუჩინსკი ჩამოსცილდა ხელისუფლებას და მოლდოვამ მიიღო პრეზიდენტი-კომუნისტი ვლადიმერ ვორონინი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ფორმალურად საპარლამენტო რესპუბლიკაა, დაამყარა ფაქტიური საპრეზიდენტო რეჟიმი.

2. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, სტრუქტურა და გადასინჯვის წესი

კონსტიტუციის შესაბამისად, მოლდოვა დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოა, რომელშიც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, სამართლიანობა და პოლიტიკური პლურალიზმი წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას. სუვერენიტეტი ეკუთვნის მოლდოვას ხალხს. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების შიდა კანონმდებლობასთან წინააღმდეგობისას პრიორიტეტი საერთაშორისო ნორმებს ენიჭება.

მოლდოვა აცხადებს თავის მუდმივ ნეიტრალიტეტს. კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად არ დაიშვება სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგება მოლდოვას ტერიტორიაზე.

მოლდოვას სახელმწიფო ენაა მოლდოვური, ამასთან აღიარებულია სხვა ენების დაცვის უფლება, რომლებსაც იყენებენ მოლდოვას ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები.

რაც შეეხება კონსტიტუციის გადასინჯვას, მისი ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს:

— რესპუბლიკა მოლდოვას არჩევნების უფლების მქონე არანაკლებ 200 000 მოქალაქისაგან (მოქალაქეები, რომელთაგანაც მოდის კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა, უნდა წარმოადგენდნენ მეორე დონის ტერიტორიული ერთეულების არანაკლებ ნახევარს, ყოველ მათგანში უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 20 000 ხელმოწერისა ამ ინიციატივის მხარდასაჭერად);

— პარლამენტის დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედისაგან;

— მთავრობისაგან;

ამასთან პარლამენტი უფლებამოსილია, სათანადო პროცედურის დაცვით, მხოლოდ წარდგენიდან ექვსი თვის შემდეგ განიხილოს კონსტიტუციური ცვლილებები.

მეტად საინტერესოა დებულება კონსტიტუციის გადასინჯვის ზღვარის შესახებ:

მხოლოდ რეფერენდუმის გზით, მოქალაქეთა საარჩევნო სიაში ჩართული უმრავლესობის მიერ მოწონებისას შეიძლება გადაიხედოს დებულება სახელმწიფოს სუვერენულ, დამოუკიდებელ და უნიტარულ ხასიათზე, აგრეთვე მის მუდმივ ნეიტრალიტეტზე.

არ შეიძლება გადაიხედოს კონსტიტუცია საგანგებო, საალყო და საომარი მდგომარეობის დროს.

არ დაიშვება კონსტიტუციის იმგვარი გადასინჯვა, რომლის შედეგიც შეიძლება იყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ან ასეთის გარანტიის გაუქმება.

3. პარტიული სისტემა

მოლდოვაში პოლიტიკური სისტემის ფორმირება ხასიათდებოდა გარკვეული თავისებურებებით: მას ერთგვარად ფეთქებადი საწყისი ჰქონდა და თავდაპირველად 60-მდე პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა. ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნდათ სოციალური საფუძველი რეალური სოციალური ფენების სახით. პარტიები იყო მცირერიცხოვანი, მათი ფორმირება ხდებოდა ლიდერის გარშემო და პარტია დაკავებული იყო მასების მოზიდვით, ამ უკანასკნელთა მოტივაცია კი პარტიის ტრამპლინად გამოყენება და ხელისუფლებაში მოხვედრა გახლდათ.

1991 წლის შემდეგ მოლდოვაში საქმიანობის განაცხადი გააკეთეს ორი ტიპის პარტიებმა: პირველი — ახალი პარტიები, რომლებიც ადრე არ არსებობდნენ (*დემოკრატიულ ძალთა პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია, ეკოლოგიური პარტია, რეფორმირებული კომპარტია*) და რეანიმირებული პარტიები (*კადეტთა პარტია, მონარქისტთა პარტია, ეროვნულ-ლიბერალური პარტია, ეროვნულ-გლეხური პარტია*).

მიუხედავად პოლიტიკური პროცესების შემდგომი სტაბილიზაციისა, ძნელია პარტიების მსოფლმხედველობრივი დაჯგუფება, რადგან თუ მათი დასახელებით და საწესდებო დებულებებით ვიხელმძღვანელებთ, აუცილებლად დავუშვებთ უზუსტობას, რადგან პარტიები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რეალური ესტატური ძალაუფლების კანონებით უფრო მოქმედებენ, ვიდრე თავიანთი დეკლარირებული იდეოლოგიით.

დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი მოლდოვათში ასე გამოიყურება:

2001 წლის არჩევნების შემდეგ წამყვანი პოლიტიკური ძალა გახდა

რესპუბლიკა *მოლდოვას კომუნისტთა პარტია* (*მკპ*). 1991 წელს აკრძალული პარტია 1994 წელს ახალი სახელწოდებით დარეგისტრირდა. 1998 წელს, აკრძალვის შემდეგ პირველად, პარტიამ მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში და მოიპოვა 40 მანდატი. 2000 წლის ვადამდელი არჩევნების შედეგების მიხედვით კი პარტიამ პარლამენტში 71 ადგილი მიიღო და 2001 წლის 4 აპრილს ამ პარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ვორონინი არჩეულ იქნა პრეზიდენტად. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სადაც კომუნისტებმა ხმათა 46% მოაგროვეს, 75 ხმით ერთის წინააღმდეგ რესპუბლიკა მოლდოვას კომუნისტთა ლიდერი ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ არჩევნების დროს მოლდოვას პრეზიდენტმა კარგად გამოიყენა რუსეთის საგარეო პოლიტიკური შეცდომები და ამ ქვეყნის მიმართ პრაგმატიზმით განპირობებული საერთო ლოიალობის ფონზე მკვეთრი ნაბიჯები გადადგა მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით და მის დარღვევაში რუსეთის ფაქტიური დადანაშაულებით დამატებით გაიმყარა მოლდოვას მოსახლეობის ნდობის ვოტუმი.

ქრისტიანულ-დემოკრატიული სახალხო პარტია (*ქდსპ*) შეიქმნა 1989 წლის 20 მაისს, იგი *მოლდოვას სახალხო ფრონტისა* და *ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრონტის* ერთობლივი მემკვიდრეა. 1998 წლის საპარლამენტო არჩევნებში *ალორძინებისა და შერიგების პარტიასთან* (*აშპ*) ბლოკში გაერთიანებულმა მიიღო ხმათა 19,2%, 2001 წელს კი დამოუკიდებლად გამოსვლის დროს, 8,3% და 11 ადგილი. იგი იყო კომპარტიის მთავარი ოპონენტი. 2005 წლის არჩევნებში პარტიამ 9,1% მიიღო.

სხვა მსხვილ პარტიებს წარმოადგენენ მოლდოვის *აგრარულ-დემოკრატიული პარტია* (*ადპ*), *სოციალისტური პარტია* (*სპ*), *დემოკრატიული პარტია* (*დპ*), *სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა — „ფორტა ნოუა“* (*სპმ-ფნ*), *სოციალ-ლიბერალური პარტია* (*სლპ*), *სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა — „თანასწორობა“* (*სპმ-თ*), *მოლდოვას ცენტრისტული კავშირი* (*მცკ*) და სხვა.

2003 წლის 19 ივლისს *სოციალ-დემოკრატიული ალიანსი* (*სდა*), ლიბერალური პარტია (*ლპ*), დამოუკიდებელთა ალიანსი (*და*) და სახალხო-დემოკრატიული პარტია (*სდპ*) გაერთიანდნენ ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციაში „*ჩვენი მოლდოვა*“.

2005 წლის არჩევნებში დემოკრატიული ძალები მონაწილეობდნენ „*დემოკრატიული მოლდოვას*“ ბლოკის სახით და ამომრჩეველთა 28%-ის მხარდაჭერა მიიღეს.

4. რესპუბლიკა მოლდოვას უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

მოლდოვა, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე შექმნილი საპარლამენტო რესპუბლიკაა, თუმცა ამან „ხელი ვერ შეუშალა“ ხელისუფლებაში უმრავლესობით მყოფ კომუნისტებად წოდებულ პოლიტიკურ ჯგუფსა და მათ ლიდერს პრეზიდენტ ვორონინს, ქვეყანაში ფაქტიური საპრეზიდენტო რეჟიმის შექმნასა და შემდგომ მის წარმატებით შენარჩუნებაში. მოლდოველი კომუნისტების იდეოლოგიური ორთოდოქსობის რევიზიას არ შეუდგებით, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ერთ საკითხში ნამდვილად შეინიშნება მათი იდენტურობა საბჭოთა პერიოდის კომუნისტებთან, რაც

ჩვენთვის სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმის თვალსაზრისითაა საინტერესო. კერძოდ, კომუნისტურ პარტიას საბჭოთა კავშირში სახელმწიფოზე ზემდგომარეობა ჰქონდა; პარტიული სტრუქტურები ქმნიდნენ რეალურ სახელმწიფო მანქანას, ანუ ძალაუფლებით იერარქიას განსაზღვრავდა არა სახელმწიფო, არამედ პარტიული იერარქია. ამ შედარებისაკენ, ზემოთ უკვე განხილულმა, მოლდოვაში შექმნილმა რეალურმა სიტუაციამ გვიბიძგა, სადაც ფორმალური პარლამენტარიზმის პირობებში, ფაქტიური, საპრეზიდენტო რეჟიმია და უფლებაშეზღუდული კომუნისტი პრეზიდენტი, იმის გამო, რომ პარტიის ლიდერია, ფლობს რეალურ ხელისუფლებას.

ა) პარლამენტი

საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება ერთპალატიანი პარლამენტის მიერ, რომელიც შედგება 101 დეპუტატისაგან და რომლებიც აირჩევიან პროპორციული წარმომადგენლობით საერთო ეროვნული საარჩევნო ოლქიდან, ამასთან საარჩევნო კოდექსით დაწესებულია საარჩევნო ბარიერი, კერძოდ, პარტიის, საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციისათვის 6%, ორწევრიანი საარჩევნო ბლოკისათვის – 9%, ხოლო სამწევრიანისათვის – 12%. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

პარლამენტი იღებს კანონებს და იძლევა მათ განმარტებას, ნიშნავს რეფერენდუმს, ამტკიცებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლს, ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახორციელებს მისი შესრულების კონტროლს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას. პარლამენტი მუშაობს წელიწადში ორი სესიის განმავლობაში.

პარლამენტი იღებს კონსტიტუციურ, ორგანულ და ორდინარულ (ჩვეულებრივ) კანონებს. ორგანული კანონები მიიღება არჩეულ დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით, ისინი აწესრიგებენ საარჩევნო სისტემას, პარლამენტის, მთავრობის და სასამართლო სისტემის ორგანიზაციასა და საქმიანობას, ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციას, ავტონომიის რეჟიმს, პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციასა და საქმიანობას, შრომითი ურთიერთობების საერთო რეჟიმს, პროფესიული კავშირებისა და სოციალური დაცვის, სამხედრო, საალყო და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმსა და ზოგიერთ სხვა სფეროს. სხვა ურთიერთობები რეგულირდება ორდინარული კანონებით, რომელიც მიიღება დამსწრე დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით. რაც შეეხება საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ისინი წყდება რეფერენდუმზე.

საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის პარლამენტის დეპუტატებს, პრეზიდენტს, მთავრობას და გაგაუზიის ავტონომიურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნს.

ბ) პრეზიდენტი

სახელმწიფოს მეთაურად ითვლება პრეზიდენტი, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ აირჩევა პარლამენტის მიერ დეპუტატთა ხმების სამი მეხუთედით. პრეზიდენტი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე, 40 წელს მიღწეული მოლდოვას მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და ცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 10 წლისა. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი

შეიძლება არჩეულ იქნას პრეზიდენტად ზედიზედ ორჯერ. კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან არჩეულ დეპუტატთა ორი მესამედის მიერ.

პრეზიდენტი დებს ხელშეკრულებებს რესპუბლიკა მოლდოვას სახელით, მთავრობის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს დიპლომატებს, აგრეთვე იღებს მათი რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს. იგი წარმოადგენს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, ახორციელებს კანონთა პრომულგაციას. პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებას მიეკუთვნება: სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოება, სამხედრო წოდებების მინიჭება, მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა, სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა და მსჯავრდებულთა შეწყალება. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებს, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა მოლდოვას მთელ ტერიტორიაზე.

პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვის შედეგია კონტრასიგნების ინსტიტუტის მოლდავური სქემა. პრეზიდენტის აქტები დაკავშირებული მობილიზაციასთან, საომარი მდგომარეობის გამოცხადებასთან, დიპლომატთა აკრედიტაცია-გაწვევასთან, ასევე ეროვნული უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის კანონით დადგენილ საკითხებთან საჭიროებს კონტრასიგნებას.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება უზრუნველყოფილია მთავრობის მიერ, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრის, პირველი მოადგილის და მოადგილეების, მინისტრებისა და სხვა წევრებისაგან. საქმიანობის პროგრამა და შემადგენლობა განიხილება პარლამენტის სხდომაზე. პარლამენტი უცხადებს ნდობის ვოტუმს მთავრობას არჩეულ დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით. ნდობის ვოტუმის საფუძველზე პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას. თუ მთავრობის ფორმირება შეუძლებელია, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს. ამგვარი სისტემა მოლდოვას კონსტიტუციაში ინვესტიტურად იწოდება, რაც პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების მთავრობისათვის დათმობის სახელდებაა საპარლამენტო რესპუბლიკის სასარგებლოდ.

გ) მთავრობა

მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას და ახორციელებს საჯარო მართვის საერთო ხელმძღვანელობას. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობა ხელმძღვანელობს საქმიანობის პროგრამით, რომელიც მტკიცდება პარლამენტის მიერ. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, პირველი მოადგილის და პრემიერ-მინისტრის მოადგილის, მინისტრების და სხვა წევრებისაგან. პარლამენტის მიერ გამოხატული ნდობის ვოტუმის საფუძველზე, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის წინაშე, მისი წევრების მიერ ფიცის დადების დღიდან.

პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და კოორდინირებას უკეთებს მის წევრთა საქმიანობას. პრემიერ-მინისტრის გადადგომა მთელი მთავრობის გადადგომას იწვევს. მთავრობა იღებს დადგენილებებს, ორდონანსებს და განკარგულებებს. მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებს და ორდონანსებს

ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი, რომელთა კოხტრასიგნებაც ხდება იმ მინისტრების მიერ, რომელთა მოვალეობაშიც შედის მათი შესრულება და ქვეყნდება რესპუბლიკა მოლდოვას ოფიციალურ მონიტორში. დადგენილებებისა და ორდონანსების გამოუქვეყნებლობა იწვევს მათ ბათილობას.

უნდობლობის ვოტუმის გამოხატვის, პრემიერ-მინისტრის გადადგომის, ან ახალი პარლამენტის არჩევნების ნამდვილობის ცნობამდე მთავრობა, ახალი მთავრობის მიერ ფიცის დადებამდე, მოქმედებს შეზღუდული უფლებამოსილებით და ასრულებს მხოლოდ საზოგადოებრივი საქმეების მართვის ფუნქციას.

დ) სასამართლო ხელისუფლება

მართლმსაჯულებას ახორციელებენ უმაღლესი სასამართლო პალატა, სააპელაციო პალატა და მოსამართლეები. მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. მოსამართლეობა შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობისა. სასამართლო საქმეების ცალკეული კატეგორიებისათვის, კანონის შესაბამისად, შეიძლება მოქმედებდნენ სპეციალიზებული სასამართლოები.

საგანგებო სასამართლოების შექმნა აკრძალულია. სასამართლო ინსტანციების მოსამართლეები დამოუკიდებელნი, მიუკერძოებელნი და უცვლელნი არიან კანონის შესაბამისად.

ყველა სასამართლო ინსტანციების მოსამართლეები ინიშნებიან რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ კანონის შესაბამისად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. მოსამართლეები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი, ინიშნებიან ჯერ 5 წლით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მოსამართლეები ინიშნებიან ზღვრული ასაკის მიღწევამდე, რომელიც დადგენილია კანონის შესაბამისად.

სასამართლო ინსტანციების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეების მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ოთხი წლის ვადით.

თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და უმაღლესი სასამართლო პალატის მოსამართლეები ინიშნებიან პარლამენტის მიერ, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. მათ უნდა ჰქონდეთ სასამართლო პრაქტიკის არანაკლებ ათი წლის სტაჟი.

მოსამართლეთა დაწინაურება და გადაადგილება ხორციელდება მხოლოდ მათი თანხმობით.

სასამართლო ინსტანციებს ჰყავთ მათდამი დაქვემდებარებული პოლიცია. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში შედიან მოსამართლეები და შტატიანი პროფესორები, რომლებიც არჩეულნი არიან ოთხწლიანი ვადით. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში თანამდებობის მიხედვით შედიან უმაღლესი სასამართლო პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მოსამართლეთა დანიშვნას, გადაადგილებას, მივლინებას, მათ თანამდებობრივ დაწინაურებას და მათდამი დისციპლინარული ზომების გამოყენებას.

კონსტიტუციაში წარმოდგენილია მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპები. ყველა სასამართლოში სასამართლო სხდომები ტარდება ღიად. სასამართლო განხილვა დახურულ სხდომაზე დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ყველა პროცედურის დაცვით. სამარ-

თალწარმოება მიმდინარეობს მოლდოვურ ენაზე, უზრუნველყოფილია თარგმნის უფლება. კანონი ითვალისწინებს სამართალწარმოებას პროცესში მონაწილეთა უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე. სასამართლო გადაწყვეტილებები საჩივრდება კანონით დადგენილი წესითა და პროცედურით.

პროკურატურის ორგანოთა სისტემა მოიცავს გენერალურ პროკურატურას, ტერიტორიულ და სპეციალიზებულ პროკურატურებს. გენერალური პროკურორი და მისადმი დაქვემდებარებული პროკურორები, კანონის შესაბამისად, ახორციელებენ ზედამხედველობას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სრუქტურების მიერ. გენერალური პროკურორი ინიშნება პარლამენტის მიერ, ქვემდგომი პროკურორები — გენერალური პროკურორის მიერ. პროკურორთა უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

კონსტიტუციური იუსტიციის ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც დამოუკიდებელია სხვა ნებისმიერი საჯარო ხელისუფლებისაგან და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამისი „მიმართვის" საფუძველზე ახორციელებს კონტროლს კანონების, პარლამენტის რეგლამენტისა და დადგენილებების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, მთავრობის განკარგულებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობაზე; იძლევა კონსტიტუციის განმარტებას; აზრს გამოთქვამს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადებებზე; ადასტურებს რეფერენდუმის, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შედეგებს; ახდენს პრეზიდენტის თანამდებობიდან დროებით ჩამოშორებისა და პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შესრულების კონსტატაციას, აგრეთვე იმ გარემოებების, რომლებიც ამართლებენ პარლამენტის დათხოვნას; განსაკუთრებულ შემთხვევებში წყვეტს უმაღლესი სასამართლო პალატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების არაკონსტიტუციურობის საკითხს; იღებს გადაწყვეტილებებს პარტიების კონსტიტუციურობის შესახებ. კანონები და სხვა ნორმატიული აქტები ან მათი ნაწილები ძალას კარგავენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, თვით სასამართლოს გადაწყვეტილება კი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ექვსი წევრისაგან, რომლებიც ინიშნებიან ექვსწლიანი ვადით, აქედან ორს ნიშნავს პარლამენტი, ორს - პრეზიდენტი და ორსაც - მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები უცვლელნი არიან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

5. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მოიცავს კონსტიტუციის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობას ამ სფეროში. კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის უფლებების ისეთი პრინციპები, როგორიცაა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, უკუქცევითი ძალის დაუშვებლობა, მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, ეთნიკური წარმოშობისა, ენისა, რელიგიისა, სქესისა, შეხედულებებისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა და სოციალური წარმოშობისა.

მოლდოვას კონსტიტუცია სოციალური ხასიათის ძირითადი აქტია, რაც ერთგვარი ხარკია მოლდოვის პოლიტიკური სპექტრისადმი. სოციალური დაცვის გარანტიებს საკმაო ადგილი ეთმობა კონსტიტუციაში და ეს მიმართულება გამყარებულია თვით საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობითაც კი. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო 1999 წლის ბიუჯეტის კანონის 52-ე მუხლი და მისი დამატება, რომელიც აუქმებდა მატერიალური ხასიათის შეღავათებს, ამასთან ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონიც, რადგანაც კანონი აწესებდა სოციალური თანასწორობის პრინციპისათვის მიუღებელ მატერიალურ პრივილეგიებს ყოფილი დეპუტატებისათვის.

6. ადგილობრივი თვითმმართველობა

თვითმმართველობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელისუფლების თემასთან. ხელისუფლებაში მოსული ყოველი ახალი ძალა ცდილობს თვითმმართველობითი სპექტრის ცენტრალურთან შესაბამისობაში მოყვანას. მოლდოვაში კომუნისტებმა რეფორმირების ლოზუნგით სცადეს ადგილობრივი თვითმმართველობის შეცვლა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ 2001 წელს სახელისუფლებო პარტიას ამის საშუალება არ მისცა. თუმცა შემდეგ ცალკეული ცვლილებები მაინც განხორციელდა. ამჟამად თვითმმართველობის ძირითადი რგოლები მოლდოვაში წარმოდგენილია საჯარო მმართველობის ხელისუფლების არჩევითი ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი პრიმარების სახით, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ ავტონომიას რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში. კანონის შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოები და პრიმარები მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი მმართველი ხელისუფლება და წყვეტენ სოფლებისა და ქალაქების საზოგადოებრივ საქმეებს. რაიონული საბჭო კოორდინირებას უკეთებს სასოფლო და საქალაქო საბჭოების საქმიანობას რაიონული მნიშვნელობის საზოგადოებრივი საქმიანობის მართვისათვის. ურთიერთობა ადგილობრივ საჯარო ხელისუფლებებს შორის ეფუძნება ავტონომიის, კანონიერების და თანამშრომლობის პრინციპებს საერთო საკითხების გადაწყვეტაში.

ამგვარად, მოლდოვას კონსტიტუცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კონსტიტუციური აზროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ტიპიური მაგალითია, თუმცა მასაც ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ძირითადად აკმაყოფილებს რა დამფუძნებელი აქტისათვის აუცილებელ ყველა კრიტერიუმს, კონსტიტუცია, მოქმედების ხანმოკლე პერიოდში, მოლდოვას პოლიტიკურ ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებების მაინიცირებელ-ამსახველ აქტად იქცა. მოლდოვა ჯერ-ჯერობით ერთადერთია **დსთ**-ს სივრცის ქვეყნებიდან, სადაც საპრეზიდენტო ხელისუფლების აბსოლუტიზაციის მცდელობამ საპარლამენტო რესპუბლიკის ტენდენციების მნიშვნელოვანი ფორმალიზაცია გამოიწვია. ამჟამად ქვეყნის პოლიტიკური შემადგენელი საკონსტიტუციო განვითარება გარკვეულ სტაბილიზაციის წინაპირობას უქმნის, მაგრამ ვითვალისწინებთ რა პოსტსაბჭოთა სივრცის მეტად სენსიტიურობას სოციალური პროცესებისადმი, მოლდოვაში შექმნილ არაერთგვაროვან სოციალურ და კონფლიქტებში გამოხატულ ეთნო-პოლიტიკურ სიტუაციას, ძნელია გაკეთდეს პროგნოზი კონსტიტუციით განსაზღვრული ვადით ქვეყნის საკონსტიტუციო მოწყობის უცვლელობისა.

რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუცია

მიღებულია 1994 წლის 29 ივლისს

ჩვენ, რესპუბლიკა მოლდოვას ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, პარლამენტის დეპუტატები,

ვეფუძნებით რა რესპუბლიკა მოლდოვას დამოუკიდებლობის გამოცხადებისას გამოხატულ ხალხის საუკუნოებრივ სწრაფვას, იცხოვროს სუვერენულ სახელმწიფოში,

მხედველობაში ვიღებთ რა მოლდოვას ხალხის უწყვეტ სახელმწიფოებრიობას მისი ეროვნული ჩამოყალიბების ისტორიულ და ეთნიკურ სივრცეში,

ვესწრაფვით რა სხვა ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილებას, რომლებიც მოლდოველებთან ერთად შეადგენენ რესპუბლიკა მოლდოვას ხალხს,

ვცნობთ რა უზენაეს ღირებულებებად სამართლებრივ სახელმწიფოს, სამოქალაქო მშვიდობას, დემოკრატიას, ადამიანის ღირსებას, მის უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის პიროვნების თავისუფალ განვითარებას, სამართლიანობასა და პოლიტიკურ პლურალიზმს,

ვაცნობიერებთ რა ჩვენს პასუხისმგებლობას და ვალს წარსული, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე,

ვადასტურებთ რა ჩვენს ერთგულებას ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი, სწრაფვას ვიცხოვროთ მშვიდობასა და თანხმობაში მსოფლიოს ყველა ხალხთან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად,

ვიღებთ რა რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუციას, ვაცხადებთ მას საზოგადოებისა და სახელმწიფოს უზენაეს კანონად.

განყოფილება I
ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. სახელმწიფო — რესპუბლიკა მოლდოვა

1. რესპუბლიკა მოლდოვა — სუვერენული და დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა.

2. სახელმწიფო მმართველობის ფორმაა — რესპუბლიკა.

3. რესპუბლიკა მოლდოვა — დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოა, რომელშიც ადამიანის ღირსება, მისი უფლებები და თავისუფლებები, ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარება, სამართლიანობა და პოლიტიკური პლურალიზმი წარმოადგენს უზენაეს ღირებულებებს და გარანტირებულია.

მუხლი 2. სუვერენიტეტი და სახელმწიფო ხელისუფლება

1. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის რესპუბლიკა მოლდოვას ხალხს, რომელიც მას ახორციელებს უშუალოდ და თავის წარმომადგენლობითი

ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციით გასაზღვრულ ფორმებში.

2. არც ერთ კერძო პირს, ხალხის არც ერთ ნაწილს, არც ერთ სოციალურ ჯგუფს, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ან სხვა პოლიტიკურ გაერთიანებას არ შეუძლიათ განახორციელონ სახელმწიფო ხელისუფლება თავისი სახელით. სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია უმძიმესი დანაშაულია ხალხის წინაშე.

მუხლი 3. ტერიტორია

1. რესპუბლიკა მოლდოვას ტერიტორია განუსხვისებელია.

2. ქვეყნის საზღვრები განმტკიცებულია ორგანული კანონით საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვით.

მუხლი 4. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

1. კონსტიტუციური დებულებები ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე განიმარტება და გამოიყენება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, პაქტებისა და სხვა ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვა.

2. ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ პაქტებსა და ხელშეკრულებებს, რომლის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვა და საშინაო კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტი აქვს საერთაშორისო ნორმებს.

მუხლი 5 დემოკრატია და პოლიტიკური პლურალიზმი

1. რესპუბლიკა მოლდოვაში დემოკრატია ხორციელდება პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში, რომელიც შეუთავსებელია დიქტატურასა და ტოტალიტარიზმთან.

2. არც ერთი იდეოლოგია არ შეიძლება დადგინდეს ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიად.

მუხლი 6. ხელისუფლებათა გამიჯვნა და ურთიერთქმედება

რესპუბლიკა მოლდოვაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება გამიჯნულია და თავიანთი პრეროგატივების განხორციელებისას ურთიერთქმედებენ კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 7. კონსტიტუცია — უზენაესი კანონი

რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუცია წარმოადგენს მის უზენაეს კანონს. არც ერთ კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებს, არ გააჩნია იურიდიული ძალა.

მუხლი 8. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვა

1. რესპუბლიკა მოლდოვა ვალდებულებას კისრულობს, დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და ხელშეკრულებები, რომელთა ერთ-ერთ მხარესაც ის წარმოადგენს. ააგოს თავისი ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებზე.

2. კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებების შემცველი საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლას წინ უნდა უსწრებდეს კონსტიტუციის გადასინჯვა.

მუხლი 9. საკუთრების ძირითადი პრინციპები

1. საკუთრება შეიძლება იყოს საჯარო და კერძო. ის შედგება მატერი-

ალური და ინტელექტუალური ღირებულებებისაგან.

2. არ შეიძლება საკუთრება გამოყენებულ იქნას ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების საზიანოდ.

3. ბაზარი, თავისუფალი ეკონომიკური ინიციატივა, კეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკის ფუძემდებლურ ფაქტორებს.

მუხლი 10. ხალხის ერთიანობა და თვითმყოფადობაზე უფლება

1. სახელმწიფოს საფუძველს შეადგენს რესპუბლიკა მოლდოვას ხალხის ერთიანობა. რესპუბლიკა მოლდოვა წარმოადგენს ყველა მისი მოქალაქის საერთო და განუყოფელ სამშობლოს.

2. სახელმწიფო ცნობს და გარანტიებს უქმნის ყველა მოქალაქის უფლებას ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის შენახვის, განვითარებისა და გამოხატვისათვის.

მუხლი 11. რესპუბლიკა მოლდოვა — ნეიტრალური სახელმწიფოა

1. რესპუბლიკა მოლდოვა აცხადებს თავის მუდმივ ნეიტრალიტეტს.

2. რესპუბლიკა მოლდოვა არ უშვებს თავის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების განთავსებას.

მუხლი 12. სახელმწიფო სიმბოლიკა

1. რესპუბლიკა მოლდოვას აქვს დროშა, გერბი და ჰიმნი.

2. რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო დროშა სამფეროვანია. ფერადი ზოლები განლაგებულია ვერტიკალურად, ტარიდან, შემდეგი თანმიმდევრობით: ლურჯი, ყვითელი, წითელი. ცენტრში ყვითელ ზოლზე გამოსახულია რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო გერბი.

3. რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო გერბი წარმოადგენს გადაკვეთილ ფარს, ზემოთ — წითელი მინდორი, ძირს — ლურჯი. ფარის ცენტრში გამოსახულია ჯიხვის თავი, რომლის რქებს შორის რვასხივიანი ვარსკვლავია, თავის მარჯვნივ — ხუთფურცლოვანი ვარდია, მარცხნივ — ნახევარმთვარე, მიმართული და მსუბუქად დახრილი მარცხნივ. ყველა ელემენტი ფარზე ოქროსფერია (ყვითელი). ფარი განთავსებულია ბუნებრივი არწივის მკერდზე, რომელსაც ნისკარტით უჭირავს ოქროს ჯვარი (ჯვაროსანი არწივი), ბრჭყალებში მარჯვნივ - მწვანე ზეთისხილის რტო, მარცხნივ - ოქროს სკიპტრა.

4. რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო ჰიმნი დგინდება ორგანული კანონით.

5. დროშა, გერბი და ჰიმნი წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო სიმბოლოებს და დაცულია კანონით.

მუხლი 13. სახელმწიფო ენა, სხვა ენათა ფუნქციონირება

1. რესპუბლიკა მოლდოვას სახელმწიფო ენაა მოლდოვური ენა, რომელიც ფუნქციონირებს ლათინური გრაფიკის საფუძველზე.

2. .სახელმწიფო ცნობს და იცავს რუსული ენისა და ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყენებული სხვა ენების შენარჩუნების, განვითარებისა და ფუნქციონირების უფლებას.

3. სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის ენათა სწავლებას.

4. რესპუბლიკა მოლდოვას ტერიტორიაზე ენათა ფუნქციონირების წესი დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 14. დედაქალაქი

რესპუბლიკა მოლდოვას დედაქალაქია ქალაქი კიშინეუ.

განყოფილება II
ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები
თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 15. უნივერსალურობა

რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეები სარგებლობენ უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც განმტკიცებულია კონსტიტუციითა და სხვა კანონებით და აგრეთვე აქვთ მათ მიერ გათვალისწინებული მოვალეობები.

მუხლი 16. თავისუფლება

1. პიროვნების პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს პირველხარისხოვან მოვალეობას.

2. რესპუბლიკა მოლდოვას ყველა მოქალაქე თანასწორია კანონისა და ხელისუფლების წინაშე რასის, ეროვნების, ეთნიკური წარმოშობის, ენის, რელიგიის, სქესის, შეხედულებების, პოლიტიკური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სოციალური წარმოშობის მიუხედავად.

მუხლი 17. რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეობა

1. რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეობის შეძენა, შენარჩუნება ან დაკარგვა ხდება მხოლოდ ორგანული კანონებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება — შეცვალოს იგი.

(მე-17 მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1469-XV, 21.11.02, რედაქციით)

მუხლი 18. რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეთა დაცვა

1. რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეები არ შეიძლება იყვნენ სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეები, გარდა შემთხვევებისა, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვა.

2. რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეები სარგებლობენ სახელმწიფოს დაცვით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

(მე-18 მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1469-XV, 21.11.02, რედაქციით)

მუხლი 19. უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსი

1. უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ იგივე უფლებები და მოვალეობები, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებით, რაც რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეებს.

2. უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები შეიძლება, გადაეცნენ სხვა სახელმწიფოს მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ნაცვალგების საფუძველზე და სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებით.

3. თავშესაფრის უფლება მიეცემა ან ჩამოერთმევა კანონის შესაბამისად და საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვით, რომლის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვა.

(მე-19 მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1469-XV, 21.11.02, რედაქციით)

მუხლი 20. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში კომპეტენტურმა სასამართლოებმა ეფექტურად აღუდგინონ უფლება.

2. არც ერთ კანონს არ შეუძლია შეზღუდოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 21. უდანაშაულობის პრეზუმფცია

ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დადგინდება კანონიერი წესით საჯარო სასამართლო განხილვის გზით, რომლის დროსაც მას დაცვისათვის უზრუნველყოფილი ექნება ყველა აუცილებელი გარანტიები.

მუხლი 22. კანონის უკუქცევის ძალა

არავინ შეიძლება მსჯავრდებულ იქნას მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომლებიც მათი ჩადენის მომენტისათვის არ წარმოადგენდნენ დანაშაულს. არ შეიძლება აგრეთვე დასჯა უფრო მძიმე სასჯელით, ვიდრე ის, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის მომენტში.

მუხლი 23. ყოველი ადამიანის უფლება, იცოდეს თავისი უფლებები და მოვალეობები

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მისი სამართალსუბიექტობის ცნობაზე. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას, იცოდეს თავისი უფლებები და მოვალეობები. ამ მიზნით სახელმწიფო აქვეყნებს ყველა კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას.

თავი II. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 24. სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველი ადამიანისთვის სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლებას.

2. არავინ შეიძლება განიცადოს წამება, სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების დამამცირებელი სასჯელი ან მოქცევა.

3. სიკვდილით დასჯა უქმდება. არავის არ შეიძლება მიესაჯოს ასეთი სასჯელი ან დაისაჯოს სხვაგვარად, როგორც ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს და მხოლოდ კანონის შესაბამისად.

(24-ე მუხლის მე-3 ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 351-XV, 12.07.01, რედაქციით)

მუხლი 25 თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება

1. თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება დაურღვეველია.

2. პირის ჩხრეკა, დაკავება ან დაპატიმრება დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

3. დაკავების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 72 საათს.

(25-ე მუხლის მე-3 ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 351-XV, 12.07.01, რედაქციით)

4. დაპატიმრება ხდება მოსამართლის მიერ გაცემული ორდერის

საფუძველზე არა უმეტეს 30 დღისა. ორდერის კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს კანონის შესაბამისად, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. პატიმრობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ მოსამართლის ან სასამართლო ინსტანციის მიერ, კანონის შესაბამისად, არაუმეტეს 12 თვისა. *(25-ე მუხლის მე-4 ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 351-XV, 12.07.01, რედაქციით)*

5. დაკავების ან დაპატიმრების საფუძველი დაკავებულს ან დაპატიმრებულს ეცნობება დაუყოვნებლივ, ხოლო ბრალდება წარედგინება უმოკლეს დროში; დაკავების ან დაპატიმრების საფუძველი წარედგინება მხოლოდ არჩეული ან დანიშნული ადვოკატის თანდასწრებით.

6. დაკავებულის ან დაპატიმრებულის გათავისუფლება სავალდებულოა, თუ დაკავების ან დაპატიმრების საფუძვლები მოიხსნა.

მუხლი 26. დაცვის უფლება

1. დაცვის უფლება გარანტირებულია.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, კანონიერი საშუალებებით, დამოუკიდებლად მოახდინოს რეაგირება თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე.

3. მთელი პროცესის განმავლობაში მხარეებს უფლება აქვთ ისარგებლონ არჩეული ან დანიშნული ადვოკატის დახმარებით.

4. დადგენილ საზღვრებში დაცვის განმახორციელებელ პირთა საქმიანობაში ჩარევა ისჯება კანონით.

მუხლი 27. გადაადგილების თავისუფლება

1. ქვეყანაში გადაადგილების თავისუფლება გარანტირებულია.

2. რესპუბლიკა მოლდოვას ყოველ მოქალაქეს უზრუნველყოფილი აქვს უფლება დასახლდეს ან იმყოფებოდეს ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში, გავიდეს ქვეყნიდან, წავიდეს ემიგრაციაში ან დაბრუნდეს.

მუხლი 28. ინტიმური, საოჯახო და კერძო ცხოვრება

სახელმწიფო პატივს სცემს და იცავს ინტიმურ, საოჯახო და კერძო ცხოვრებას.

მუხლი 29. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა

1. საცხოვრებელი და ადგილსამყოფელი ხელშეუხებელია. არავის შეუძლია შეაღწიოს და იმყოფებოდეს პირის საცხოვრებელში ან ადგილსამყოფელში მისი თანხმობის გარეშე.

2. კანონით დაშვებულია პირველი ნაწილის დებულებიდან გადახვევა აუცილებლობის შემთხვევაში:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილების ან დაპატიმრების ორდერის შესრულების დროს;

ბ) საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას ან ქონებას.

გ) ეპიდემიის გავრცელების აღსაკვეთად.

3. შემთხვევის ადგილის ჩხრეკა და დათვალიერება დაიშვება და ხორციელდება მხოლოდ კანონის შესაბამისად.

4. ღამით ჩხრეკა დაუშვებელია, გარდა ჩხრეკისა, რომელიც ტარდება აშკარა დანაშაულის დროს.

მუხლი 30. მიმოწერის საიდუმლოება

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს წერილების, ტელეგრამების და სხვა საფოსტო გზავნილების, სატელეფონო საუბრებისა და სხვა სახის კანონ-

იერი კავშირის საიდუმლოებას.

2. კანონის მიერ პირველი ნაწილის დებულებებიდან გადახვევა დაიშვება იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

(30-ე მუხლის მე-2 ნაწილი დაემატა კონსტიტუციური კანონის N351-XV, 12.07.01, შესაბამისად)

მუხლი 31. სინდისის თავისუფლება

1. სინდისის თავისუფლება გარანტირებულია. ის უნდა გამომჟღავნდეს ურთიერთშემწყნარებლობის სულითა და ურთიერთპატივისცემით.

2. რელიგიური კულტები თავისუფალია და ორგანიზაცია უკეთდება საკუთარი წესდებისა და კანონის შესაბამისად.

3. რელიგიურ კულტებს შორის ურთიერთობაში იკრძალება მტრობის ნებისმიერი გამოვლინება.

4. რელიგიური კულტები დამოუკიდებელია, გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სარგებლობენ მისი მხარდაჭერით, კერძოდ, რელიგიური ყოფის შემსუბუქებით ჯარში, საავადმყოფოებში, ციხეებსა და თავშესაფრებში.

მუხლი 32. აზრის და მისი გამოხატვის თავისუფლება

1. ყოველ მოქალაქეს გარანტირებული აქვს აზროვნების, აზრის, აგრეთვე სიტყვის, გამოსახულების ან სხვა შესაძლო საშუალების მეშვეობით საჯარო გამოხატვის თავისუფლება.

2. გამოხატვის თავისუფლებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი სხვა პირის პატივს, ღირსებასა და უფლებას, იქონიოს საკუთარი შეხედულებები.

3. კანონით იკრძალება და ისჯება სახელმწიფოსა და ხალხის უფლებებში შეცილება და მათი სახელის გატეხვა, მოწოდება აგრესიული ომისაკენ, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლისაკენ, დისკრიმინაციის, ტერიტორიული სეპარატიზმისაკენ, საზოგადოებრივი ძალადობის წაქეზება, აგრეთვე სხვა ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ კონსტიტუციურ რეჟიმს.

მუხლი 33. შემოქმედების თავისუფლება

1. მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედების თავისუფლება გარანტირებულია. შემოქმედება ცენზურას არ ექვემდებარება.

2. მოქალაქეთა უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე, მათი მატერიალური და მორალური ინტერესები, რომელიც წარმოიშვება ინტელექტუალური შემოქმედების სხვადასხვა სახეთან დაკავშირებით, დაცულია კანონით.

3. სახელმწიფო ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის და მეცნიერების მიღწევების დაცვას, განვითარებასა და გავრცელებას.

მუხლი 34. უფლება ინფორმაციაზე

1. პირის უფლება — საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე არ შეიძლება შეიზღუდოს.

2. ხელისუფლება, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, ვალდებულია, უზრუნველყოს მოქალაქეების სარწმუნო ინფორმირება საზოგადოებრივ საქმეებსა და პირადი ხასიათის საკითხებზე.

3. ინფორმაციაზე უფლებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა ან ეროვნული უსაფრთხოების დაცვად.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საზოგადოების უტყუარი ინფორმირება.

5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურას არ ექვემდებარებიან.

მუხლი 35. განათლების უფლება

1. განათლების უფლება უზრუნველყოფილია საყალდებულო ზოგადი განათლებით, სალიცეუმო და პროფესიული განათლებით, უმაღლესი განათლებით, აგრეთვე სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმებით.

2. სახელმწიფო, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს პირის უფლებას აირჩიოს აღზრდისა და სწავლების ენა.

3. სახელმწიფო ენის შესწავლა უზრუნველყოფილია ყველა დონის სასწავლო დაწესებულებებში.

4. სახელმწიფო განათლება უფასოა.

5. სასწავლო დაწესებულებები, მათ შორის არასახელმწიფო, იქმნება და ახორციელებს თავის საქმიანობას კანონის შესაბამისად.

6. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს აქვთ ავტონომიის უფლება.

7. სახელმწიფო სალიცეუმო, პროფესიული და უმაღლესი განათლება [illegible] ნაბრად ხელმისაწვდომია უნარის შესაბამისად.

8. კანონის შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური წარმონაქმნების თავისუფლებას.

9. ბავშვების სწავლის სფეროს არჩევის უპირატესი უფლება [illegible] მშობლებს.

მუხლი 36. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებულია.

2. სახელმწიფო სამედიცინო უზრუნველყოფის მინიმალური დონე უფასოა.

3. ჯანდაცვის ეროვნული სისტემის სტრუქტურა და საშუალებები, რომელიც განსაზღვრულია პირის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისათვის, დგინდება ორგანული კანონის შესაბამისად.

მუხლი 37. უფლება სასიკეთო გარემოზე

1. ყველა ადამიანს აქვს უფლება სიცოცხლისათვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოზე, აგრეთვე უსაფრთხო საკვებ პროდუქტებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებზე.

2. სახელმწიფო ყოველი ადამიანისათვის უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის, ცხოვრებისა და შრომის, საკვები პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესახებ უტყუარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მისი გავრცელების უფლებას.

3. ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ფაქტორების შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება აკრძალულია კანონით.

4. ფიზიკური და იურიდიული პირები პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რაც მიადგა პიროვნების ჯანმრთელობას და ქონებას ეკოლოგიური სამართალდარღვევის შედეგად.

მუხლი 38. უფლება აირჩიო და იყო არჩეული

1. ხალხის ნება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველს. ეს ნება გამოხატულებას პოულობს თავისუფალ არჩევნებში, რომელიც პერი-

ოდეულად ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული და თავისუფალი კენჭისყრით.

2. არჩევის უფლება აქვთ რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს 18 წელს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ჩამოერთვათ ეს უფლება კანონით დადგენილი წესით.

3. უფლება არჩეულ იქნან — გარანტირებული აქვთ რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეებს, რომლებსაც კანონის შესაბამისად, აქვთ უფლება, აირჩიონ.

მუხლი 39. უფლება მართვაზე

1. რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, როგორც უშუალოდ, ასევე თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით.

2. ნებისმიერი მოქალაქისთვის, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილია სახელმწიფო სამსახურის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 40. შეკრების თავისუფლება

მიტინგები, დემონსტრაციები და მანიფესტაციები, შეკრებები ან ნებისმიერი სხვა მსვლელობები თავისუფალია და შეიძლება ორგანიზებულ იქნეს და ჩატარდეს მხოლოდ მშვიდობიანად, ყოველგვარი იარაღის გარეშე.

მუხლი 41. პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების თავისუფლება

1. მოქალაქეებს შეუძლიათ, თავისუფლად გაერთიანდნენ პარტიებსა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლენასა და გამოხატვას და მონაწილეობენ არჩევნებში კანონის შესაბამისად.

2. პარტიები და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები კანონის წინაშე თანასწორნი არიან.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

4. პარტიები და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიზნები ან საქმიანობა მიმართულია პოლიტიკური პლურალიზმის, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების, რესპუბლიკა მოლდოვას სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, არაკონსტიტუციურია.

5. საიდუმლო გაერთიანებები აკრძალულია.

6. აკრძალულია პარტიების მოქმედება, რომელიც შედგება უცხოელი მოქალაქეებისაგან.

7. სახელმწიფო თანამდებობები, რომელთა დაკავება შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან, დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 42. პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში შესვლის უფლება

1. ნებისმიერ მუშაკს უფლება აქვს, შექმნას პროფესიული კავშირი და შევიდეს მასში თავისი ინტერესების დასაცავად.

2. პროფესიული კავშირები იქმნებიან და თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საკუთარი წესდების თანახმად და კანონის შესაბამისად. ისინი ხელს უწყობენ მუშაკთა პროფესიული, ეკონომიკური და სოციალური ინტე-

რესების დაცვას.

მუხლი 43. შრომისა და შრომის დაცვის უფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი პირობების უფლება, აგრეთვე უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. მუშაკებს აქვთ შრომის დაცვის უფლება. დაცვის ზომები ეხება შრომის უსაფრთხოებასა და ჰიგიენას, ქალისა და ახალგაზრდობის შრომის რეჟიმს, მინიმალური ხელფასის დადგენას ეკონომიკის სფეროში, ყოველკვირეულ დასვენებას, ანაზღაურებად შვებულებას, შრომას მძიმე პირობებში, აგრეთვე სხვა სპეციფიკურ სიტუაციებს.

3. სამუშაო კვირის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 40 საათს.

4. შრომის საკითხებზე მოლაპარაკების და კოლექტიური ხელშეკრულებების სავალდებულობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 44. იძულებითი შრომის აკრძალვა

1. იძულებითი შრომა აკრძალულია.

2. იძულებით შრომად არ ითვლება:

ა) სამხედრო ან მის შემცვლელ სამსახურში მყოფ პირთა საქმიანობა, რომლებიც კანონის მიხედვით არ გადიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს;

ბ) მსჯავრდებული პირის შრომა თავისუფლების აღკვეთის პერიოდში ან გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე, რომელიც ხორციელდება ნორმალურ პირობებში;

გ) შრომა სტიქიური უბედურებების ან სხვა საფრთხის პირობებში, აგრეთვე შრომა, რომელიც ნაწილია კანონით დადგენილი ჩვეულებრივი სამოქალაქო ვალდებულებებისა.

მუხლი 45. გაფიცვის უფლება

1. გაფიცვის უფლება აღიარებულია. გაფიცვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მუშაკთა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პროფესიული ინტერესების დაცვის მიზნით.

2. კანონით დგინდება გაფიცვის უფლების განხორციელების პირობები, აგრეთვე პასუხისმგებლობა გაფიცვის უკანონოდ ჩატარებისათვის.

მუხლი 46. კერძო საკუთრების უფლება და მისი დაცვა

1. კერძო საკუთრების უფლება, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ აღებული საკალო ვალდებულებები გარანტირებულია.

2. არავის შეიძლება ჩამოერთვას თავისი ქონება სხვაგვარად, თუ არა კანონით დადგენილი საზოგადოებრივი აუცილებლობის შემთხვევაში და სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურებით.

3. კანონით დადგენილი ქონება არ შეიძლება დაექვემდებაროს კონფისკაციას, მოპოვებულის კანონიერება იგულისხმება.

4. ქონება — გათვალისწინებული, გამოყენებული დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენისათვის ან მოპოვებული დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენით, შეიძლება კონფისკირებულ იქნეს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

5. კერძო საკუთრების უფლება ქმნის გარემოს დაცვის მოთხოვნათა დაცვის და კეთილმეზობლობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, აგრეთვე სხვა მოთხოვნათა დაცვისა, რომლებიც კანონის შესაბამისად ეკისრება მესაკუთრეს.

6. კერძო საკუთრების მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 47. სოციალური უზრუნველყოფის და დაცვის უფლება

1. სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ზომები ყოველი ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად, რომელიც საჭიროა მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მათ შორის საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო დახმარების და აუცილებელი სოციალური მომსახურების შესანარჩუნებლად.

2. მოქალაქეებს აქვთ სოციალური უზრუნველყოფის უფლება უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობისას, ან სხვა შემთხვევებში მათგან დამოუკიდებელი გარემოებების პირობებში არსებობის საშუალებათა დაკარგვის დროს.

მუხლი 48. ოჯახი

1. ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედს და უფლება აქვს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან იყოს დაცული.

2. ოჯახი ეფუძნება ქალისა და მამაკაცის ურთიერთთანხმობით ქორწინებას, მათ თანასწორობას, უფლებებსა და მოვალეობებს, გაზარდონ, აღზარდონ და ასწავლონ შვილებს.

3. ქორწინების, განქორწინების და მისი ბათილად ცნობის პირობები დგინდება კანონით.

4. შვილები ვალდებულნი არიან, იზრუნონ მშობლებზე და დაეხმარონ მათ.

მუხლი 49. ოჯახისა და ობოლი ბავშვების დაცვა

1. სახელმწიფო ეკონომიკური და სხვა ღონისძიებებით ხელს უწყობს ოჯახის შექმნას და მის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებას.

2. სახელმწიფო მფარველობს დედობას, ბავშვობას და ახალგაზრდობას და ხელს უწყობს შესაბამისი დაწესებულებების განვითარებას.

3. ყოველგვარი მზრუნველობა ობოლ და მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე, მათ რჩენაზე, სწავლასა და აღზრდაზე ეკისრება სახელმწიფოსა და საზოგადოებას. სახელმწიფო წაახალისებს და მხარს უჭერს ქველმოქმედებას ასეთ ბავშვებთან მიმართებაში.

მუხლი 50. დედების, ბავშვების და ახალგაზრდების დაცვა

1. დედასა და ბავშვს აქვთ განსაკუთრებული დახმარებისა და დაცვის უფლება. ყველა ბავშვი, მათ შორის ქორწინების გარეშე დაბადებული, სარგებლობს ერთნაირი სოციალური დაცვით.

2. ბავშვები და ახალგაზრდობა სარგებლობენ განსაკუთრებული მხარდაჭერით თავიანთი უფლებების განხორციელებაში.

3. სახელწიფო უზრუნველყოფს აუცილებელ დახმარებებს ბავშვებისათვის, ასევე დახმარებას ავადმყოფი ან ფიზიკური, გონებრივი და ფსიქიკური გადახრის მქონე ბავშვებისათვის. ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმები დგინდება კანონით.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია, მათი გამოყენება სამუშაოებზე, რომლებიც ზიანს აყენებენ მათ ჯანმრთელობას ან ზნეობრიობას, ან საფრთხეს უქმნიან სიცოცხლეს ან ნორმალურ განვითარებას.

5. ხელისუფლება უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის თავისუფალი მონაწილეობის პირობებს.

მუხლი 51. ფიზიკური, გონებრივი და ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა დაცვა

1. ფიზიკური, გონებრივი და ფსიქიკური გადახრების მქონე პირები სარგებლობენ მთელი საზოგადოების განსაკუთრებული დაცვით. სახელმწიფო უზრუნველყოფს მათთვის მკურნალობის, რეაბილიტაციის და განათლების მიღების, სწავლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ნორმალურ პირობებს.

2. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით მკურნალობას გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 52. პეტიციის უფლება

1. მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ ხელისუფლებას პეტიციით, მხოლოდ თავიანთი სახელით.

2. კანონიერად შექნილ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მიმართონ პეტიციებით მხოლოდ იმ კოლექტივის სახელით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

მუხლი 53. ხელისუფლების მიერ შევიწროვებული პირის უფლება

1. პირს, რომელიც ხელისუფლების მიერ შევიწროვებულია თავის რომელიმე უფლებაში, რომელიმე ადმინისტრაციული აქტით ან პატიების დაუკმაყოფილებლობით დადგენილ ვადაში, შეუძლია მიაღწიოს თავისი უფლების ცნობას, აქტის შეცვალას და ზიანის ანაზღაურებას.

2. სახელმწიფო, კანონის შესაბამისად, მატერიალურად აგებს პასუხს ზიანისათვის, რომელიც მიადგა სისხლის სამართლის პროცესებში საგამოძიებო ორგანოების ან სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების გამო.

მუხლი 54. უფლებების ან თავისუფლებების განხორციელების შეზღუდვა

1. რესპუბლიკა მოლდოვაში არ შეიძლება მიღებულ იქნას კანონები, რომლებიც კრძალავენ ან ლახავენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

2. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას, გარდა იმათის, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, შეესაბამებიან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებში, მასობრივი უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებების და ღირსების დაცვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გახმაურების თავიდან ასაცილებლად ან მართლმსაჯულების ავტორიტეტის ან მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

3. მე-2 ნაწილის დებულებები არ უშვებენ მე-20–24-ე მუხლებით გამოცხადებული უფლებების შეზღუდვას.

4. შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს მის გამომწვევ გარემოებას და არ შეიძლება, შეეხოს უფლებისა და თავისუფლების არსებობას.

(54-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 351-XV, 12.07.01, რედაქციით)

თავი III
ძირითადი მოვალეობები

მუხლი 55. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება

ყოველი ადამიანი თავის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ახორციელებს კეთილსინდისიერად, სხვა პირთა უფლებებისა და თავი-

სუფლებების დაურღვევლად.
(55-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 351-XV, 12.07.01, რედაქციით)

მუხლი 56. ქვეყნისადმი ერთგულება

1. ქვეყნისადმი ერთგულება წმიდათაწმიდაა.

2. მოქალაქეები, რომლებსაც მინდობილი აქვთ სახელწიფო თანამდებობები, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეები, პასუხს აგებენ თავიანთი მოვალეობების პატიოსნად შესრულებისათვის და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დებენ შესაბამის ფიცს.

მუხლი 57. სამშობლოს დაცვა

1. სამშობლოს დაცვა ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა უფლება და ვალია.

2. სამხედრო სამსახური ხორციელდება კანონის შესაბამისად შეიარაღებული ძალების რიგებში, რომელიც განკუთვნილია ეროვნული თავდაცვის და საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად.

მუხლი 58. ფინანსურ ხარჯებში მონაწილეობა

1. მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდით მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ხარჯებში.

2. საგადასახადო სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, უნდა უზრუნველყოფდეს საგადასახადო ტვირთის სამართლიან განაწილებას.

3. აკრძალულია ნებისმიერი გადასახადი, რომელიც კანონით არ არის დადგენილი.

მუხლი 59. გარემოსა და ძეგლთა დაცვა

გარემოს დაცვა, ისტორიისა და კულტურის ძეგლების შენახვა და დაცვა წარმოადგენს ყოველი მოქალაქის მოვალეობას.

განყოფილება III
საჯარო ხელისუფლებანი
თავი IV. პარლამენტი
ნაწილი 1. ორგანიზაცია და მოლვაწეობა

მუხლი 60. პარლამენტი-უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო

პარლამენტი წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვას უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს და სახელმწიფოს ერთადერთ საკანონმდებლო ხელისუფლებას. პარლამენტი შედგება 101 დეპუტატისაგან.

მუხლი 61. პარლამენტის არჩევნები

1. პარლამენტი აირჩევა საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული და თავისუფალი კენჭისყრით.

2. არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების წესი დგინდება ორგანული კანონით.

3. პარლამენტის დეპუტატის არჩევნები ტარდება წინა მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ან მისი დათხოვნიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

მუხლი 62. დეპუტატთა მანდატების ცნობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებით, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა მანდატების ცნობაზე ან არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — მათ არ ცნობაზე.

მუხლი 63. უფლებამოსილების ვადა

1. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. იგი შეიძლება გაგრძელდეს ომის ან კატასტროფის შემთხვევაში ორგანული კანონით.

2. პარლამენტი მოიწვევა რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ არჩევნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

3. პარლამენტი ასრულებს თავის უფლებამოსილებას პარლამენტის ახალი შემადგენლობის კანონიერ მოწვევამდე. ამ პერიოდში არ შეიძლება, კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილებები და არ შეიძლება, მიღებულ იქნას, შეიცვალოს ან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ორგანული კანონები.

4. კანონპროექტები ან საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც შეტანილია წინა შემადგენლობის პარლამენტის დღის წესრიგში, განიხილება ახლად არჩეული პარლამენტის მიერ.

მუხლი 64. შინაგანი ორგანიზაცია

1. პარლამენტის სტრუქტურა, ორგანიზაცია და საქმიანობა განისაზღვრება რეგლამენტით. პარლამენტის დაფინანსების წყაროები გათვალისწინებულია მის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით.

2. პარლამენტის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით არჩეული დეპუტატების ხმათა უმრავლესობით პარლამენტის უფლებამოსილების ვადით. იგი შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს თანამდებობიდან პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით დეპუტატთა ხმების 2/3-ით.

3. თავმჯდომარის მოადგილეები აირჩევიან პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით პარლამენტის ფრაქციებთან შეთანხმებით.

მუხლი 65. სხდომათა ღიაობა

1. პარლამენტის სხდომა ღიაა.

2. პარლამენტს შეუძლია, ცალკეულ შემთხვევებში მიიღოს დახურული სხდომების ჩატარების გადაწყვეტილება.

მუხლი 66. ძირითადი უფლებამოსილებანი

პარლამენტს აქვს შემდეგი ძირითადი უფლებამოსილებანი:

a) იღებს კანონებს, დადგენილებებს და რეზოლუციებს;

b) ნიშნავს რეფერენდუმს;

c) განმარტავს კანონებს და უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

d) ამტკიცებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

e) ამტკიცებს სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინას;

f) ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფორმებითა და ფარგლებში;

g) რატიფიკაციას, დენონსაციას უკეთებს, აჩერებს და ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედების ანულირებას, რომელიც დადებულია რესპუბლიკა მოლდოვას მიერ;

h) ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახორციელებს კონტროლს მის შესრულებაზე;

i) ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო სესხის გაცემაზე სხვა სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური ან სხვა დახმარებისათვის, შეთანხმებათა დადებაზე, სახელმწიფო სესხებზე და კრედიტებზე უცხოური წყაროებიდან;

j) ირჩევს და ნიშნავს სახელმწიფო თანამდებობის პირებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

k) ამტკიცებს რესპუბლიკა მოლდოვას ორდენებსა და მედლებს;

l) აცხადებს ნაწილობრივ ან საყოველთაო მობილიზაციას;

m) აცხადებს საგანგებო, საალყო და სამხედრო მდგომარეობას;

n) ორგანიზებას უკეთებს ნებისმიერი საკითხის შესწავლასა და მოსმენას, რომელიც შეეხება საზოგადოების ინტერესებს;

o) აჩერებს ადგილობრივ საჯარო მმართველობის ორგანოთა საქმიანობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

p) იღებს ამნისტიის აქტს;

q) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას, რომელიც დადგენილია კონსტიტუციითა და კანონით.

მუხლი 67. სესიები

1 პარლამენტი იკრიბება წელიწადში ორ მორიგ სესიაზე. პირველი იწყება თებერვალში და მთავრდება არა უგვიანეს ივლისის ბოლოს. მეორე იწყება სექტემბერში და მთავრდება არა უგვიანეს დეკემბრის ბოლოს.

2 პარლამენტი მოიწვევა რიგგარეშე ან სპეციალურ სესიებზე რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის ან დეპუტატთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

ნაწილი 2. დეპუტატის სტატუსი

მუხლი 68. წარმომადგენლობითი მანდატი

1. მანდატის შესრულების დროს დეპუტატები იმყოფებიან ხალხის სამსახურში.

2. ყოველი იმპერატიული მანდატი ბათილია.

მუხლი 69. დეპუტატის მანდატი

1. დეპუტატები მანდატის შესრულებას შეუდგებიან მისი ცნობის შემთხვევაში.

2. დეპუტატის მანდატი წყდება პარლამენტის ახალი შემადგენლობის კანონიერი მოწვევის დღეს ან გადადგომის, მანდატის ჩამორთმევის, თანამდებობების შეუთავსებლობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 70. შეუთავსებლობა და ხელშეუხებლობა

1. დეპუტატის მდგომარეობა შეუთავსებელია სხვა რომელიმე ანაზღაურებად თანამდებობასთან, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა.

(70-ე მუხლის პირველი ნაწილი დაემატა კონსტიტუციური კანონის N1470-XV, 21.11.02 შესაბამისად)

2. შეუთავსებლობის სხვა პირობები დგინდება ორგანული კანონით.

3. არ შეიძლება დეპუტატის დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა, აგრეთვე არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა პარლამენტის თანხმობის გარეშე. პარლამენტის თანხმობა გაიცემა დეპუტატის მოსმენის შემდეგ.

მუხლი 71. შეხედულებათა დამოუკიდებლობა

დეპუტატი არ შეიძლება იდევნებოდეს ან მიეცეს იურიდიულ პასუხისმგებლობაში ხმის მიცემის ან შეხედულებების გამო, რომელიც გამოიხატა მანდატის შესრულების დროს.

ნაწილი 3. კანონმდებლობა

მუხლი 72. კანონთა სახეები

1) პარლამენტი იღებს კონსტიტუციურ, ორგანულ და ორდინარულ კანონებს;

2) კონსტიტუციური კანონები - კანონებია კონსტიტუციის გადასახედად;

3) ორგანული კანონით რეგულირდება:

a) საარჩევნო სისტემა;

b) რეფერენდუმის ორგანიზაცია და ჩატარება;

c) პარლამენტის ორგანიზაცია და საქმიანობა;

d) მთავრობის ორგანიზაცია და საქმიანობა;

e) კონსტიტუციური სასამართლოს, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს, სასამართლო ინსტანციების, ადმინისტრაციული სასამართლოს ორგანიზაცია და საქმიანობა;

f) ადგილობრივი მმართველობის ტერიტორიის ორგანიზაცია, აგრეთვე ადგილობრივი ავტონომიის საერთო რეჟიმი;

g) პოლიტიკური პარტიების ორგანიზაცია და საქმიანობა;

h) განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის წესი;

i) საკუთრების და მემკვიდრეობის საერთო სამართლებრივი რეჟიმი;

j) შრომითი ურთიერთობის საერთო რეჟიმი, პროფესიული კავშირები და სოციალური დაცვა;

k) განათლების ზოგადი ორგანიზაცია;

l) რელიგიური კულტების საერთო რეჟიმი;

m) საგანგებო, საალყო და სამხედრო მდგომარეობის რეჟიმი;

n) სამართალდარღვევები, სასჯელი და სასჯელის მოხდის რეჟიმი;

o) ამნისტიის და შეწყალების გამოცხადება;

p) სხვა სფეროები, რომლებშიც კონსტიტუციით გათვალისწინებულია ორგანული კანონის მიღება;

q) სხვა სფეროები, რომლებშიც პარლამენტმა ორგანული კანონების მიღების აუცილებლობა ცნო.

4. ორდინარული კანონები მოქმედებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში, გარდა სფეროებისა, რომლებიც რეგულირდება კონსტიტუციური და ორგანული კანონებით.

მუხლი 73. საკანონმდებლო ინიციატივა

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის პარლამენტის დეპუტატებს, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტს, მთავრობას და გაგაუზიის ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნის სახალხო კრებას.

(73-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N344-XV, 25.07.03 რედაქციით)

მუხლი 74. კანონებისა და დადგენილებების მიღება

1. ორგანული კანონები მიიღება არჩეული დეპუტატების უმრავლესობის მიერ, არანაკლებ ორი წაკითხვით განხილვის შემდეგ.

2. ორდინარული კანონები და დადგენილებები მიიღება დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობით.

3. მთავრობის ძიერ წარმოდგენილი კანონების პროექტები და მათ მიერ მოწონებული დეპუტატთა საკანონმდებლო წინადადებები განიხილება პარლამენტის მიერ, მათ შორის სასწრაფო წესით, მთავრობის მიერ დადგენილი წესისა და პრიორიტეტების შესაბამისად. სხვა საკანონმდებლო წინადადებები განიხილება დადგენილი წესით.

(74-ე მუხლი შეივსო მე-3 ნაწილით კონსტიტუციური კანონით N1115-XIV, 05.07.00)

4. კანონები პრომულგაციისათვის გადაეცემა რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტს.

მუხლი 75. რეფერენდუმი

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები გამოიტანება რეფერენდუმზე.

მუხლი 76. კანონის ძალაში შესვლა

კანონი ქვეყნდება რესპუბლიკა მოლდოვას ოფიციალურ მონიტორში და ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს ან თვით ამ კანონით გათვალისწინებულ ვადაში. კანონის გამოუქვეყნებლობა იწვევს მის ბათილობას.

თავი V
რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი

მუხლი 77. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი - სახელმწიფოს მეთაური

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს და არის სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის, ერთიანობის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი.

მუხლი 78. პრეზიდენტის არჩევნები

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას მოქალაქე, რომელსაც აქვს არჩევის უფლება, არის 40 წლის, რომელიც ცხოვრობდა ან ცხოვრობს რესპუბლიკა მოლდოვას ტერიტორიაზე არანაკლებ 10 წელს და ფლობს სახელმწიფო ენას.

3. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა არჩეულ დეპუტატთა ხმათა სამი მეხუთედი. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა აუცილებელი რაოდენობა, ტარდება ხმის მიცემის მეორე ტური პირველ ორ კანდიდატს შორის, რომლებიც გამოვლინდებიან პირველ ტურში მიღებული ხმების რიცხვის კლების მიხედვით.

4. თუ ხმის მიცემის მეორე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა აუცილებელი რაოდენობა, ტარდება განმეორებითი არჩევნები.

5. თუ განმეორებითი არჩევნების შემდეგაც რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ვერ აირჩა, მოქმედი პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და ნიშნავს ახალი პარლამენტის არჩევნების თარიღს.

6. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის არჩევის პროცედურა დგინდება ორგანული კანონით.

(78-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

მუხლი 79. უფლებამოსილების ცნობა და ფიცის დადება

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ნამდვილობას ცნობს საკონსტიტუციო სასამართლო.

2. კანდიდატი, რომლის არჩევა ჩაითვალა ძალის მქონედ, არჩევნების შემდეგ, არა უგვიანეს 45 დღისა, პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

„ვფიცავ, მთელი ჩემი ძალები და ცოდნა გავიღო რესპუბლიკა მოლდოვას ასაყვავებლად, დავიცვა კონსიტუცია და ქვეყნის კანონები, დავიცვა დემოკრატია, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ერთიანობა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობა."

მუხლი 80. უფლებამოსილების ვადა

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი აირჩევა ოთხწლიანი ვადით და თანამდებობრივ საქმიანობას შეუდგება ფიცის მიღების დროიდან.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ასრულებს თავის უფლებამოსილებას ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე.

3. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორგანული კანონით ომის ან კატასტროფის დროს.

4. ერთი და იგივე პირს არ შეუძლია დაიკავოს რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ ორჯერ მეტი ვადით.

(მე-80 მუხლის მე-4 ნაწილი დაემატა კონსტიტუციური კანონის N1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

მუხლი 81. შეუთავსებლობა და ხელშეუხებლობა

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა რომელიმე ანაზღაურებად სამსახურთან.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ხელშეუხებელია. მას არ შეიძლება დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა შეხედულებებისათვის, რომლებიც გამოხატა უფლებამოსილების განხორციელებისას.

3. პარლამენტს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების აღძვრის თაობაზე მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არჩეული დეპუტატების ორი მესამედის ხმებით. კანონის შესაბამისად, სასამართლო განხილვა შედის უმაღლესი სასამართლო პალატის კომპეტენციაში. პრეზიდენტი ჩამოსცილდება თანამდებობას გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან.

(82-ე და 83-ე მუხლები ამოღებულია კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

მუხლი 84. წერილები

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი შეიძლება დაესწროს პარლამენტის სხდომებს.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი პარლამენტს მიმართავს წერილებით საერთო ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე.

მუხლი 85. პარლამენტის დათხოვნა

1. მთავრობის ფორმირების შეუძლებლობის ან სამი თვის განმავლობაში კანონების მიღების ბლოკირების შემთხვევაში, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი უფლებამოსილია, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, დაითხოვოს პარლამენტი.

2. პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს, თუ მან არ გამოხატა მთავრობისადმი ნდობის ვოტუმი წინადადების შეტანიდან 45 დღიან ვადაში და მხოლოდ წინადადების არა უმცირეს ორჯერ უარყოფის შემდეგ.

3. ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს ერთხელ.

4. პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო ექვს თვეში, გარდა შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია 78-ე მუხლის მე-5 ნაწილით, აგრეთვე საგანგებო, საალყო და საომარი მდგომარეობის დროს.

(85-ე მუხლის მე-4 ნაწილი კონსტიტუციური კანონის N1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

მუხლი 86. უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის სფეროში

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი აწარმოებს მოლაპარაკებებს, მონაწილეობს მოლაპარაკებებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს რესპუბლიკა მოლდოვას სახელით და წარუდგენს მათ პარლამენტს რატიფიკაციისათვის კანონით დადგენილ წესითა და ვადებში.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი, მთავრობის წინადადებით აკრედიტაციას უკეთებს და გამოიწვევს რესპუბლიკა მოლდოვას დიპლომატიურ წარმომადგენლებს და ამტკიცებს დიპლომატიური მისიების რანგების დაწესებას, გაუქმებას და შეცვლას.

3. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი იღებს რესპუბლიკა მოლდოვაში სხვა სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს.

მუხლი 87. უფლებამოსილება თავდაცვის სფეროში

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტს, პარლამენტის წინასწარი თანხმობით, შეუძლია გამოაცხადოს ნაწილობრივი ან საყოველთაო მობილიზაცია.

3. ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი იღებს ზომებს აგრესიის მოსაგერიებლად, აცხადებს საომარ მდგომარეობას და დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ პარლამენტს. თუ პარლამენტი ამ დროს სესიაზე არ იმყოფება, ის მოიწვევა აგრესიიდან 24 საათის განმავლობაში უფლებრივად.

4. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტს ეროვნული უშიშროების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად შეუძლია, მიიღოს სხვა ზომები, კანონის ფარგლებში და მათ შესაბამისად.

მუხლი 88. სხვა უფლებამოსილებანი

რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ახორციელებს ასევე სხვა უფლებამოსილებას:

a) აჯილდოვებს სახელმწიფო ჯილდოებით და ანიჭებს საპატიო წოდებებს;

b) ანიჭებს კანონით გათვალისწინებულ უმაღლეს სამხედრო წოდებებს;

c) წყვეტს რესპუბლიკა მოლდოვას მოქალაქეობის და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

d) ნიშნავს სახელმწიფო თანამდებობებზე კანონის შესაბამისად;

e) ახორციელებს შეწყალებას;

f) ითხოვს ხალხისაგან მისი ნების გამოხატვას საერთო ეროვნულ საკითხებზე რეფერენდუმის გზით;

g) ანიჭებს დიპლომატიურ რანგებს;

h) ანიჭებს, კანონის შესაბამისად, პროკურატურის, სასამართლო ინსტანციების მუშაკებს და მოსამსახურეთა სხვა კატეგორიებს უმაღლეს საკლასო ჩინებს;

i) აჩერებს მთავრობის აქტების მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

j) ახორციელებს კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 89. თანამდებობიდან გადაყენება

1. კონსტიტუციის დებულებების დამრღვევი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი არჩეული დეპუტატების ხმათა ორი მესამედით შეიძლება გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან პარლამენტის მიერ.

2. წინადადება თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შეიძლება წამოყენებულ იქნას არა ნაკლებ დეპუტატთა ერთი მესამედის მიერ და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტს. პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტს და საკონსტიტუციო სასამართლოს მისცეს განმარტებანი მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე.

(89-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

მუხლი 90. თანამდებობის ვაკანსია

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური ხდება ვადის ამოწურვის, გადადგომის, გადაყენების, თავის მოვალეობათა შესრულების საბოლოო შეუძლებლობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

2. განცხადება რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის გადადგომის შესახებ წარედგინება პარლამენტს, რომელიც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას.

3. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობა 60 დღეზე მეტი ვადით დასტურდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიმართვის მიღებიდან 30 დღიან ვადაში.

(90-ე მუხლის მე-3 ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

4. მას შემდეგ, რაც ვაკანტური ხდება რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის თანამდებობა, ორი თვის ვადაში ტარდება ახალი პრეზიდენტის არჩევნები, კანონის შესაბამისად.

(90-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეიცვალა კონსტიტუციური კანონის N1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

მუხლი 91. პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შესრულება

თუ რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის თანამდებობა ხდება ვაკანტური, ან თუ პრეზიდენტი ჩამოცილებულია თანამდებობას ან დროებით არ შეუძლია, შეასრულოს თავისი მოვალეობები, მისი მოვალეობების დროებითი შესრულება ეკისრება პარლამენტის თავმჯდომარეს ან პრემიერ-მინისტრს მითითებული რიგითობით.

(91-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

მუხლი 92. პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლის პასუხისმგებლობა

თუ პირი, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, ჩადის მძიმე ქმედებას და ამით არღვევს კონსტიტუციის დებულებებს, გამოიყენება 89-ე მუხლის პირველი ნაწილი და 91-ე მუხლი.

მუხლი 93. კანონების პრომულგაცია

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ახორციელებს კანონების პრომულგაციას.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტს, თუ მას შენიშვნები აქვს კანონზე, უფლება აქვს არა უგვიანეს ორკვირიანი ვადისა, გააგზავნოს იგი პარლამენტში გადასახედად. თუ პარლამენტი ხმას მისცემს წინა გადაწყვეტილებას, პრეზიდეტი ახდენს კანონის პრომულგაციას.

მუხლი 94. პრეზიდენტის აქტები

1. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ბრძანებულებები ქვეყნდება რესპუბლიკა მოლდოვას ოფიციალურ მონიტორში.

2. პრეზიდენტის მიერ 86-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 87-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ბრძანებულებების კონტრასიგნება ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ.

მუხლი 95. პრეზიდენტის აპარატის საფინანსო საშუალებები, გასამრჯელო და სხვა უფლებები

1. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის აპარატის საფინანსო საშუალებები მტკიცდება მისი წინადადებით პარლამენტის მიერ და ჩაირთვება სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის გასამრჯელო და სხვა უფლებები დგინდება კანონით.

თავი VI მთავრობა

მუხლი 96. როლი

1. მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებას და ახორციელებს საჯარო მართვის საერთო ხელმძღვანელობას.

2. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობა ხელმძღვანელობს საქმიანობის პროგრამით, რომელიც მტკიცდება პარლამენტის მიერ.

მუხლი 97. სტრუქტურა

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, პირველი მოადგილის და პრემიერ-მინისტრის მოადგილის, მინისტრების და სხვა წევრებისაგან, რომელთაც განსაზღვრავს ორგანული კანონი.

მუხლი 98. ინვესტიტურა

1. საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი წარმოადგენს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

(98-ე მუხლის პირველი ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

2. წარდგენიდან 15 დღიან ვადაში კანდიდატი პრემიერ-მინისტრის პოს-

ტზე თხოვს პარლამენტს გამოხატოს ნდობის ვოტუმი საქმიანობის პროგრამისა და მთავრობის მთელი შემადგენლობის მიმართ.

3. საქმიანობის პროგრამა და მთავრობის შემადგენლობა განიხილება პარლამენტის სხდომაზე. პარლამენტი მთავრობისადმი ნდობის ვოტუმს გამოხატავს არჩეულ დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით.

(98-ე მუხლის მე-3 ნაწილი შევსებულია კონსტიტუციური კანონის N1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

4. პარლამენტის მიერ გამოხატულ ნდობის ვოტუმის საფუძველზე, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას.

(98-ე მუხლის მე-4 ნაწილი შემოღებულია კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

5. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის წინაშე მისი წევრების მიერ ფიცის დადების დღიდან.

6. საკადრო გადაადგილებების აუცილებლობის დროს ან მთავრობაში თანამდებობათა ვაკანსიისას რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წინადადებით, ათავისუფლებს თანამდებობიდან და ნიშნავს მთავრობის ცალკეულ წევრებს.

(98-ე მუხლის მე-6 ნაწილი შემოღებულია კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

მუხლი 99. შეუთავსებლობა

1. მთავრობის წევრის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა რაიმე ანაზღაურებად თანამდებობასთან.

2. შეუთავსებლობის სხვა პირობები დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 100. მთავრობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

მთავრობის წევრის უფლებამოსილება წყდება გადადგომის, თანამდებობიდან გათავისუფლების, თანამდებობათა შეუთავსებლობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 101. პრემიერ-მინისტრი

1. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და კოორდინირებას უკეთებს მის წევრთა საქმიანობას, პატივს სცემს რა მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

2. თუ პრემიერ-მინისტრი მე-100 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მდგომარეობაშია, ან უუნაროა, შეასრულოს თავისი მოვალეობანი, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი კაბინეტის რომელიმე წევრს ნიშნავს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ახალი მთავრობის ფორმირებამდე. პრემიერ-მინისტრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ან მისი გარდაცვალებისას, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი მთავრობის ერთ-ერთ წევრს ნიშნავს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

(101-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცვალა კონსტიტუციური კანონის N1115-XIV, 05.07.00 შესაბამისად)

3. პრემიერ-მინისტრის გადადგომისას გადადგება მთელი მთავრობა.

მუხლი 102. მთავრობის აქტები

1. მთავრობა იღებს დადგენილებებს, ორდონანსებს და განკარგულებებს.

2. დადგენილებები მიიღება კანონთა შესრულების ორგანიზაციისათვის.

3. ორდონანსები მიიღება 1062-ე მუხლის შესაბამისად.

4. მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებს და ორდონანსებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი, რომელთა კონტრასიგნებაც ხდება იმ მინისტრების მიერ, რომელთა მოვალეობაშიც შედის მათი შესრულება და ქვეყნდება რესპუბლიკა მოლდოვას ოფიციალურ მონიტორში. დადგენილებებისა და ორდონანსების გამოუქვეყნებლობა იწვევს მათ ბათილობას.

5. განკარგულებები გამოიცემა პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის შიდა საქმიანობის ორგანიზაციისათვის.

(102-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

მუხლი 103. უფლებამოსილების შეწყვეტა

1. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ახალი პარლამენტის არჩევნების ნამდვილობის ცნობამდე.

2. მთავრობისადმი პარლამენტის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოხატვის, პრემიერ-მინისტრის გადადგომის, ან პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მთავრობა, ახალი მთავრობის მიერ ფიცის დადებამდე, ასრულებს მხოლოდ საზოგადოებრივი საქმეების მართვის ფუნქციას.

თავი VII პარლამენტის დამოკიდებულება მთავრობისადმი

მუხლი 104. პარლამენტის ინფორმირება

1. მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და მას, მის კომისიებსა და დეპუტატებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციასა და დოკუმენტებს.

2. მთავრობის წევრებს უფლება აქვთ, დაესწრონ პარლამენტის სხდომებს. აუცილებლობის შემთხვევაში მთავრობის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მუხლი 105. კითხვები და შეკითხვები

1. მთავრობა და მთავრობის ყველა წევრი ვალდებულნი არიან, პასუხი გასცენ დეპუტატთა კითხვებსა და შეკითხვებს.

2. პარლამენტს შეუძლია, მიიღოს რეზოლუცია, რომელიც გამოხატავს მის პოზიციას შეკითხვის თაობაზე.

მუხლი 106. უნდობლობის გამოხატვა

1. პარლამენტს, დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის წინადადებით, შეუძლია, გამოხატოს უნდობლობა მთავრობისადმი დეპუტათა ხმების უმრავლესობით.

2. წინადადება უნდობლობის გამოხატვის შესახებ განიხილება პარლამენტში მისი შეტანიდან სამი დღის გასვლის შემდეგ.

მუხლი 106[1]. მთავრობის მიერ პასუხისმგებლობის აღება

1. მთავრობას უფლება აქვს, პარლამენტის წინაშე აიღოს პასუხისმგებლობა პროგრამაზე, ზოგადპოლიტიკური ხასიათის განცხადებებზე ან კანონის პროექტზე.

2. მთავრობა გადადგება, თუ წინადადება უნდობლობის გამოხატვაზე,

რომელიც შეტანილია პროგრამის, ზოგადპოლიტიკური ხასიათის განცხადების ან კანონის პროექტის წარდგენიდან სამდღიან ვადაში, მიღებულია 106-ე მუხლის შესაბამისად.

3. თუ მთავრობა არ გადადგება მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონის წარმოდგენილი პროექტი ითვლება მიღებულად, ხოლო პროგრამა და ზოგადპოლიტიკური ხასიათის განცხადება — მთავრობისათვის სავალდებულოდ.

(1061-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

მუხლი 106². საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება

1. მთავრობის საქმიანობის პროგრამის რეალიზაციის მიზნით, პარლამენტს მთავრობის წინადადებით შეუძლია, მიიღოს სპეციალური კანონი, რომელიც მთავრობას უფლებამოსილს ხდის, გამოსცეს ორდონანსები იმ სფეროებში, რომლებიც არ წარმოადგენენ ორგანული კანონების საგანს.

2. აღმჭურველი კანონი აუცილებელი წესით ადგენს სფეროს და თარიღს, რომელამდეც შეიძლება გამოიცეს ორდონანსები.

3. ორდონანსები შედის ძალაში მათი გამოქვეყნებიდან და არ ექვემდებარება პრომულგაციას.

4. ორდონანსები ექვემდებარებიან პარლამენტის მიერ დამტკიცებას, თუ ეს გათვალისწინებულია აღმჭურველი კანონით. ორდონანსების დამტკიცების შესახებ კანონის პროექტი წარდგენილ უნდა იქნეს ვადაში, რომელიც დადგენილია აღმჭურველი კანონით. ამ ვადის დაუცველობა იწვევს ორდონანსის ბათილობას. თუ პარლამენტი არ უარყოფს ორდონანსების დამტკიცების შესახებ კანონის პროექტს, ეს უკანასკნელი რჩება ძალაში.

5. ორდონანსების გამოცემისათვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი შეიძლება ჩაითვალონ ძალადაკარგულად, შეჩერდნენ ან შეიცვალონ მხოლოდ კანონით.

(1062-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

თავი VIII. საჯარო მართვა

მუხლი 107. ცენტრალური დარგობრივი საჯარო მართვა

1. სახელმწიფოს ცენტრალურ დარგობრივ ორგანოებს წარმოადგენენ სამინისტროები. ეფუძნებიან რა კანონს, ისინი ცხოვრებაში ატარებენ მთავრობის პოლიტიკას, მის დადგენილებებსა და განკარგულებებს, ახორციელებენ მათთვის მინდობილი სფეროების ხელმძღვანელობას და პასუხს აგებენ თავიანთ საქმიანობაზე.

2. ხელმძღვანელობის, კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელების მიზნით ეკონომიკის ორგანიზაციის სფეროში და სხვა სფეროებში, რომლებიც არ იმყოფებიან უშუალოდ სამინისტროს გამგებლობაში, იქმნება სხვა მმართველი ხელისუფლება კანონის შესაბამისად.

მუხლი 108. შეიარაღებული ძალები

1. შეიარაღებული ძალები ექვემდებარებიან მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნებას სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის და კონსტიტუციური დემოკრატიის გარანტირების მიზნით.

2. დაცვის ეროვნული სისტემის სტრუქტურა დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 109. ადგილობრივი საჯარო მმართველობის ძირითადი პრინცი-

პები

1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაყოფებში საჯარო მმართველობა ეფუძნება ადგილობრივი ავტონომიის პრინციპებს, საზოგადოებრივი სამსახურების დეცენტრალიზაციას, ხელისუფლების არჩევითობას, ადგილობრივ საჯარო მმართველობას და კონსულტაციებს მოქალაქეებთან ადგილობრივი მნიშვნელობის მნიშვნელოვან საკითხებზე.

2. ავტონომია ეხება როგორც ადგილობრივი საჯარო მმართველობის ორგანიზაციასა და საქმიანობას, ასევე წარმოდგენილი საზოგადოებების საქმეთა განკარგვას.

3. წარმოდგენილი პრინციპების გამოყენება არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოს უნიტარულ ხასიათს.

მუხლი 110. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

1. ადმინისტრაციულ მიმართებაში რესპუბლიკა მოლდოვას ტერიტორიები იყოფა სოფლებად, ქალაქებად, რაიონებად და ავტონომიურ-ტერიტორიულ წარმონაქმნ გაგაუზიად. კანონის შესაბამისად, ზოგიერთი ქალაქი შეიძლება ცნობილ იქნეს მუნიციპიად.

2. დნესტრის მარცხენა სანაპიროს დასახლებულ პუნქტებს შეიძლება მიეცეს ავტონომიის განსაკუთრებული ფორმები და პირობები ორგანული კანონით დადგენილი განსაკუთრებული სტატუსის შესაბამისად.

3. რესპუბლიკა მოლდოვას დედაქალაქის სტატუსი — ქალაქი კიშინეუ, წესრიგდება ორგანული კანონით.

(110-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 344-XV, 25.07.03 რედაქციით)

მუხლი 111. ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნი გაგაუზია

1. გაგაუზია — ეს ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნია განსაკუთრებული სტატუსით, როგორც გაგაუზთა თვითგამორკვევის ფორმა, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვას შემადგენელ და განუსხვისებელ ნაწილს, რომელიც დამოუკიდებლად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, წყვეტს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ხასიათის საკითხებს მთელი მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე.

2. ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნის გაგაუზიის ტერიტორიაზე გარანტირებულია ყველა უფლება და თავისუფლება, რომელიც გათვალისწინებულია რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუციითა და კანონმდებლობით.

3. ავტონომიურ-ტერიტორიულ წარმონაქმნის გაგაუზიაში კანონის შესაბამისად მოქმედებენ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

4. მიწა, წიაღი, წყლები, მცენარეული და ცხოველური სამყარო, სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც იმყოფება ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნს გაგაუზიის ტერიტორიაზე, წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვას ხალხის საკუთრებას და ამავდროულად, გაგაუზიის ეკონომიკურ საფუძველს.

5. ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნ გაგაუზიის ბიუჯეტი ყალიბდება გაგაუზიის განხაკუთრებული სტატუსის მარეგლამენტირებელი ორგანული კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

6. ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნ გაგაუზიის ტერიტორიაზე რესპუბლიკა მოლდოვას კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი ხორციელდ-

ება მთავრობის მიერ კანონის შესაბამისად.

7. ავტონომიურ-ტერიტორიული წარმონაქმნ გაგაუზიის განსაკუთრებული სტატუსის განმსაზღვრელ ორგანულ კანონში ცვლილებები მიიღება პარლამენტში არჩეული დეპუტატების სამი მეხუთედით.

(110-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 344-XV, 25.07.03 რედაქციით)

მუხლი 112. სასოფლო და საქალაქო ხელისუფლება

1. საჯარო მმართველობის ხელისუფლებას, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ ავტონომიას სოფლებსა და ქალაქებში, წარმოადგენს არჩევითი ადგილობრივი საბჭოები და პრიმარები.

2. ადგილობრივი საბჭოები და პრიმარები მოქმედებენ კანონის შესაბამისად, როგორც დამოუკიდებელი მმართველი ხელისუფლება და წყვეტენ სოფლებისა და ქალაქების საზოგადოებრივ საქმეებს.

3. ადგილობრივი საბჭოების და პრიმარების არჩევის წესი და მათი ფუნქციები დგინდება კანონით.

მუხლი 113. რაიონული საბჭო

1. რაიონული საბჭო კოორდინირებას უკეთებს სასოფლო და საქალაქო საბჭოების საქმიანობას რაიონული მნიშვნელობის საზოგადოებრივი საქმიანობის მართვისათვის.

2. რაიონული საბჭო აირჩევა და ახორციელებს თავის საქმიანობას კანონის შესაბამისად.

3. ურთიერთობა ადგილობრივ საჯარო ხელისუფლებებს შორის ეფუძნება ავტონომიის, კანონიერების და თანამშრომლობის პრინციპებს საერთო საკითხების გადაწყვეტისას.

თავი IX. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 114. მართლმსაჯულების განხორციელება

მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის სახელით მხოლოდ სასამართლო ინსტანციების მიერ.

მუხლი 115. სასამართლო ინსტანციები

1. მართლმსაჯულება ხორციელდება უმაღლესი სასამართლო პალატის, სააპელაციო პალატის და სასამართლოების მიერ.

(115-ე მუხლის პირველი ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 1471-XV, 21.11.02 რედაქციით)

2. სასამართლო საქმეების ცალკეული კატეგორიებისათვის, კანონის შესაბამისად, შეიძლება მოქმედებდნენ სპეციალიზებული სასამართლოები.

3. საგანგებო სასამართლოების შექმნა აკრძალულია.

4. სასამართლო ინსტანციების ორგანიზაცია და კომპეტენცია, სასამართლო პროცედურა დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 116. მოსამართლეთა სტატუსი

1. სასამართლო ინსტანციების მოსამართლეები დამოუკიდებელნი, მიუკერძოებელნი და უცვლელნი არიან, კანონის შესაბამისად.

2. სასამართლო ინსტანციების მოსამართლეები ინიშნებიან რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ კანონის შესაბამისად, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. მოსამართლეები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი, ინიშნებიან ჯერ 5 წლით. 5 წლის ამოწურვის შემდეგ მოსამართლეები

ინიშნებიან ზღვრული ასაკის მიღწევამდე, რომელიც დადგენილია კანონით.

3. სასამართლო ინსტანციების თავმჯდომარეები და თავმჯდომარეების მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, ოთხი წლის ვადით.

4. თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და უმაღლესი სასამართლო პალატის მოსამართლეები ინიშნებიან პარლამენტის მიერ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. მათ უნდა ჰქონდეთ სასამართლო პრაქტიკის არანაკლებ ათი წლის სტაჟი.

5. მოსამართლეთა დაწინაურება და გადაადგილება ხორციელდება მხოლოდ მათი თანხმობით.

6. მოსამართლეთა დასჯა ხორციელდება კანონის შესაბამისად.

7. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია რაიმე სახელმწიფო ან კერძო თანამდებობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა. *(116-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1471-XV, 21.11.02 რედაქციით)*

მუხლი 117. სასამართლო განხილვების საჯაროობა

ყველა სასამართლოში სასამართლო განხილვა ტარდება ღიად. სასამართლო განხილვა დახურულ სხდომაზე დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, სასამართლო პროცედურის ყველა წესის დაცვით.

მუხლი 118. სასამართლო წარმოების ენა და თარჯიმნის უფლება

1. სამართალწარმოება ხორციელდება მოლდავურ ენაზე.

2. პირებს, რომლებიც არ ფლობენ ან ვერ ლაპარაკობენ მოლდავურ ენაზე, უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის ყველა დოკუმენტსა და მასალას, გამოთქვან აზრი სასამართლოში თარჯიმნის მეშვეობით.

3. კანონის შესაბამისად, სამართალწარმოება შეიძლება მიმდინარეობდეს აგრეთვე ენაზე, რომელიც მისაღებია პროცესში მონაწილე პირთა უმრავლესობისთვის.

მუხლი 119. გასაჩივრების უფლება

სასამართლოს გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ, კანონის შესაბამისად.

მუხლი 120. კანონიერ ძალაში შესული განაჩენების და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულობა

კანონიერ ძალაში შესული განაჩენების და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების დაცვა, აგრეთვე სასამართლოებისათვის სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას კანონიერ ძალაში შესული განაჩენების და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში დახმარება სავალდებულოა.

მუხლი 121. სასამართლო ინსტანციების ფინანსური საშუალებები, გასამრჯელო და სხვა უფლებები

1. სასამართლო ინსტანციების ფინანსური საშუალებები მტკიცდება პარლამენტის მიერ და ჩაირთვება სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. მოსამართლეთა გასამრჯელო და სხვა უფლებები დგინდება კანონით.

3. სასამართლო ინსტანციებს ჰყავთ მათდამი დაქვემდებარებული პოლიცია.

ნაწილი 2. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო

მუხლი 122. შემადგენლობა

1. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში შედიან მოსამართლეები და შტა-

ტიანი მასწავლებლები, რომლებიც ირჩევიან ოთხწლიანი ვადით.

2. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში უფლებრივად შედიან უმაღლესი სასამართლო პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი.

(122-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1471-XV, 21.11.02 რედაქციით)

მუხლი 123. უფლებამოსილება

1. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მოსამართლეთა დანიშვნას, გადაადგილებას, მივლინებას, მათ თანამდებობრივ დაწინაურებას და მათდამი დისციპლინური ზომების გამოყენებას.

2. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციის და საქმიანობის წესი დგინდება ორგანული კანონით.

(123-ე მუხლი კონსტიტუციური კანონის N 1471-XV, 21.11.02 რედაქციით)

ნაწილი 3. პროკურატურა

მუხლი 124. უფლებამოსილება და სტუქტურა

1. პროკურატურა წარმოადგენს საზოგადოების საერთო ინტერესებს და იცავს მართლწესრიგს, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ხელმძღვანელობს სისხლის სამართლებრივ დევნას და ახორციელებს მას, კანონის შესაბამისად წარმოადგენს ბრალდებას სასამართლო ინსტანციებში.

(124-ე მუხლის პირველი ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

2. პროკურატურის ორგანოების სისტემა მოიცავს გენერალურ პროკურატურას, ტერიტორიულ და სპეციალიზირებულ პროკურატურებს.

3. პროკურატურის საქმიანობის ორგანიზაცია, კომპეტენცია და წესი დგინდება კანონით.

მუხლი 125. პროკურორთა უფლებამოსილების ვადა

1. გენერალური პროკურორი ინიშნება პარლამენტის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

2. ქვემდგომი პროკურორები ინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ და ემორჩილებიან მას.

3. პროკურორების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

4. პროკურორის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა რაიმე სახელმწიფო ან კერძო თანამდებობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა.

5. თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორები ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

განყოფილება IV
ეროვნული ეკონომიკა და საჯარო ფინანსები

მუხლი 126. ეკონომიკა

1. რესპუბლიკა მოლდოვას ეკონომიკა საბაზრო, სოციალურად ორიენტირებულია, დაფუძნებულია კერძო და საჯარო საკუთრებაზე და თავისუფალ კონკურენციაზე

2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

a) ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება და მისი კუთვნილი საჯარო საკუთრების მართვა კანონის შესაბამისად;

b) ვაჭრობისა და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება, კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვა, ყველა საწარმოო ფაქტორის გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

c) ეროვნული ინტერესების დაცვა ეკონომიკური, საფინანსო და სავალუტო საქმიანობის სფეროში;

d) სამეცნიერო გამოკვლევების სტიმულირება;

e) მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება ეროვნული ინტერესების შესაბამისად;

f) გარემოს აღდგენა და დაცვა, აგრეთვე ეკონომიკური თანასწორობის დაცვა;

g) სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდა, აუცილებელი პირობების შექმნა სასიცოცხლო დონის შენარჩუნების მიზნით;

h) ფიზიკური და იურიდიული პირების ინვესტიციების, მათ შორის უცხოელთა, ხელშეუხებლობა.

მუხლი 127. საკუთრება

1. სახელმწიფო იცავს საკუთრებას.

2. სახელმწიფო ახდენს მესაკუთრისათვის ყველა მის ფორმაში საკუთრების უფლების რეალიზაციის გარანტირებას, რომელიც არ მოდის წინააღმდეგობაში საზოგადოების ინტერესებთან.

3. საჯარო საკუთრება ეკუთვნის სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს.

4. წიაღის მთელი სიმდიდრე, საჰაერო სივრცე, წყლები და ტყეები, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებრივ ინტერესებში, ეკონომიკური ზონის და კონტინენტალური შელფის ბუნებრივი რესურსები, გზები, აგრეთვე სხვა სიმდიდრეები, განსაზღვრული კანონით, წარმოადგენენ საჯარო საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტებს.

მუხლი 128. უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრება

1. რესპუბლიკა მოლდოვაში დაცულია სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრება.

2. რესპუბლიკა მოლდოვას ტერიტორიაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ საკუთრების უფლების განხორციელების წესი და პირობები რეგულირდება კანონით.

მუხლი 129. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა

1. პარლამენტი ამტკიცებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, უცხოური სესხებისა და კრედიტების გამოყენების პრინციპებს.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ატარებს თავისუფალი გაცვლის ან პროტექციონიზმის პოლიტიკას.

მუხლი 130. საფინანსო-საკრედიტო სისტემა

1. სახელმწიფოს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და საჯარო დაწესებულებების ფინანსურ საშუალებების ფორმირება, მართვა,

გამოყენება და კონტროლი წესრიგდება კანონით.

2. მოლდავეთის ეროვნული ვალუტაა მოლდავური ლეი.

3. ფულადი ნიშნების ემისიის განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის რესპუბლიკა მოლდოვას ეროვნულ ბანკს. ემისია ხორციელდება პარლამენტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 131. ეროვნული საჯარო ბიუჯეტი

1. ეროვნული საჯარო ბიუჯეტი შედგება სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტისა და რაიონების, ქალაქების და სოფლების ბიუჯეტისაგან.

2. მთავრობა ყოველწლიურად შეიმუშავებს სახელმწიფო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტების პროექტებს და წარუდგენს მათ პარლამენტს დასამტკიცებლად. არასაბიუჯეტო ფონდის წარმოქმნის დროს ის ექვემდებარება პარლამენტის მიერ დამტკიცებას.

3. თუ სახელმწიფო ბიუჯეტი და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი არ იქნა მიღებული მიმდინარე საბიუჯეტი წლის დამთავრებამდე სამი დღით ადრე, მაშინ შემდგომში გამოიყენება წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი ახალი ბიუჯეტების დამტკიცებამდე.

4. ნებისმიერი საკანონმდებლო წინადადება და შესწორება, რომელიც იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების ან სესხების გაზრდას ან შემცირებას, აგრეთვე საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას ან შემცირებას, შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მთავრობის მიერ მისი მოწონების შემდეგ.

(131-ე მუხლის მე-4 ნაწილი შემოღებულია 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

5. რაიონების, ქალაქების და სოფლების ბიუჯეტები შემუშავდება, მტკიცდება და სრულდება კანონის შესაბამისად.

6. არც ერთი საბიუჯეტო დანახარჯი არ შეიძლება დამტკიცდეს მისი დაფინანსების წყაროს დადგენის გარეშე.

მუხლი 132. საგადასახადო სისტემა

1. გადასახადები, მოსაკრებლები და სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტისა და რაიონების, ქალაქების და სოფლების ბიუჯეტისა ნებისმიერი სხვა შემოსავლები დგინდება კანონით სათანადო წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

2. სხვა ნებისმიერი საგადასახადო დაბეგვრა აკრძალულია.

მუხლი 133. საანგარიშო პალატა

1. საანგარიშო პალატა ახორციელებს კონტროლს საჯარო საფინანსო საშუალებების ფორმირების, მართვისა და გამოყენების წესზე.

2. საანგარიშო პალატა შედგება შვიდი წევრისაგან.

3. საანგარიშო პალატის თავმჯდომარე ინიშნება პარლამენტის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, ხუთწლიანი ვადით. საანგარიშო პალატის წევრები ინიშნებიან პარლამენტის მიერ პალატის თავმჯდომარის წარდგინებით.

4. საანგარიშო პალატა პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას საჯარო საფინანსო საშუალებების მართვასა და მათ გამოყენებაზე.

5. სხვა უფლებამოსილებანი, აგრეთვე საანგარიშო პალატის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი დგინდება ორგანული კანონით.

თავი V
საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 134. სტატუსი

1. საკონსტიტუციო სასამართლო რესპუბლიკა მოლდოვაში - საკონსტიტუციო იურისდიქციის ერთადერთი ორგანოა.

2. საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებელია სხვა ნებისმიერი საჯარო ხელისუფლებისაგან და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას.

3. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის უზენაესობის გარანტია, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დაყოფის პრინციპის რეალიზაციას და ახდენს სახელმწიფოს მოქალაქისადმი და მოქალაქის სახელმწიფოსადმი პასუხისმგებლობის გარანტირებას.

მუხლი 135. უფლებამოსილება

1.საკონსტიტუციო სასამართლო:

a)ახორციელებს კანონების, პარლამენტის დადგენილებების, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის ბრძანებულებების, მთავრობის დადგენილებებისა და ორდონანსების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების, რომელთა ერთ-ერთ მხარესაც წარმოადგენს რესპუბლიკა მოლდოვა, კონსტიტუციურობის კონტროლს შეკითხვის საფუძველზე;

(135-ე მუხლის მე-4 ნაწილის პუნქტი "ა)" კონსტიტუციური კანონის 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

b) იძლევა კონსტიტუციის განმარტებას;

c) გამოთქვამს აზრს კონსტიტუციის გადახედვის წინადადებებზე;

d) ამტკიცებს რესპუბლიკური რეფერენდუმის შედეგებს;

e) ადასტურებს რესპუბლიკა მოლდოვას პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს;

f) კონსტატაციას უკეთებს მთავრობის დათხოვნის გარემოებების გამართლებას, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის თანამდებობიდან დათხოვნას ან მისი მოვალეობის დროებით შესრულებას, აგრეთვე რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობას 60 დღეზე მეტი ვადით;

(135-ე მუხლის მე-4 ნაწილი პუნქტი "ვ)" კონსტიტუციური კანონის 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

g) ნებადართულს ხდის სამართლებრივი აქტების არაკონსტიტუციურობის განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომლებიც წარმოდგენილია უმაღლესი სასამართლო პალატის მიერ;

h) იღებს გადაწყვეტილებებს საკითხებზე, რომელთა საგანია პარტიების კონსტიტუციურობა;

საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს თავის საქმიანობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით გათვალისწინებული სუბიექტების ინიციატივით.

მუხლი 136. სრუქტურა

1. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ექვსი მოსამართლისაგან, რომლებიც ინიშნებიან ექვსწლიანი ვადით.

2. ორი მოსამართლე ინიშნება პარლამენტის, ორი მთავრობის და ორი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ.

(136-ე მუხლის მე-2 ნაწილი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV, 05.07.00 რედაქციით)

3. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევენ ფარული კენჭისყრით.

მუხლი 137. დამოუკიდებლობა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არიან უცვლელნი, დამოუკიდებელნი და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

მუხლი 138. დანიშვნის პირობები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი პროფესიული დონე და იურისპრუდენციის დარგში, იურიდიული განათლების ან მეცნიერების სფეროში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი.

მუხლი 139. შეუთავსებლობა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია რომელიმე სხვა ანაზღაურებად სახელმწიფო ან კერძო თანამდებობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა.

მუხლი 140. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. კანონები ან სხვა ნორმატიული აქტები ან მათი ნაწილები ძალას კარგავენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

განყოფილება VI
კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 141. გადასინჯვის ინიციატივა

1. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს:

a) რესპუბლიკა მოლდოვას არჩევნების უფლების მქონე არანაკლებ 200 000 მოქალაქისაგან. მოქალაქეები, რომელთაგანაც მოდის კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა, უნდა წარმოადგენდნენ მეორე დონის ტერიტორიული ერთეულების არანაკლებ ნახევარს, ყოველ მათგანში ამ ინიციატივის მხარდასაჭერად უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 20 000 ხელმოწერისა;

b) პარლამენტის დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედისაგან;

c) მთავრობისაგან;

(141-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა)" პუნქტი კონსტიტუციური კანონის N 1115-XIV. 05.07.00 რედაქციით, "გ)" პუნქტი ამოღებულია)

2. კონსტიტუციური კანონების პროექტები წარედგინება პარლამენტს, მხოლოდ არანაკლებ ოთხი მოსამართლის მიერ მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნასთან ერთად.

მუხლი 142. გადასინჯვის საზღვრები

1. დებულება სახელმწიფოს სუვერენულ, დამოუკიდებელ და უნიტარულ ხასიათზე, აგრეთვე მის მუდმივ ნეიტრალიტეტზე შეიძლება გადასინჯულ იქნეს მხოლოდ მისი მოწონებისას რეფერენდუმის გზით, მოქალაქეთა საარჩევნო სიაში ჩართული უმრავლესობის მიერ.

2. არ დაიშვება გადასინჯვა, რომლის შედეგი შეიძლება იყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ან ასეთის გარანტიის გაუქმება.

3. კონსტიტუცია არ შეიძლება გადაიხედოს საგანგებო, საალყო და საომარი მდგომარეობის დროს.

მუხლი 143. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის კანონი

1. პარლამენტი უფლებამოსილია, მიიღოს კანონი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ სათანადო წინადადების წარდგენიდან არა უადრეს ექვსი თვისა. კანონი მიიღება დეპუტატთა ხმების ორი მესამედით.

2. თუ წლის განმავლობაში წინადადების წარდგენიდან კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაზე პარლამენტმა არ მიიღო სათანადო კონსტიტუციური კანონი, წინადადება ითვლება ძალადაკარგულად.

განყოფილება VII
დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი I

1. ეს კონსტიტუცია მიღებულია პარლამენტის მიერ და პრომულგირებული იქნება პრეზიდენტის მიერ სამდღიან ვადაში.

2. რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუცია ძალაში შედის 1994 წლის 27 აგვისტოდან. ამ დღიდან ითვლება ძალადაკარგულად რესპუბლიკა მოლდოვას კონსტიტუცია 1978 წლის 15 აპრილიდან ყველა მასში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით.

მუხლი II

1. კანონები და სხვა ნორმატიული აქტები მოქმედებენ იმ ნაწილში, რომელშიც არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში პარლამენტის მუდმივი კომისიები და მთავრობა განიხილავენ კანონმდებლობას კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე და წარუდგენენ პარლამენტს სათანადო წინადადებას.

მუხლი III

1. სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც მოქმედებდნენ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღისათვის, აგრძელებენ მოქმედებას ახლის შექმნამდე.

2. პარლამენტი, რომელიც შედგება 104 დეპუტატისაგან, რომლებიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული და თავისუფალი კენჭისყრისას პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის პირობებში და პარლამენტის არჩევნების შესახებ 1993 წლის 14 ოქტომბრის კანონის შესაბამისად, აგრძელებს

მოქმედებას ვადის ამოწურვამდე, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონსტიტუციით.

3. რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტი, რომელიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული და თავისუფალი კენჭისყრით პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის პირობებში და რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის არჩევის შესახებ 1991 წლის 18 სექტემბრის კანონის შესაბამისად, აგრძელებს თავისი მოვალეობის შესრულებას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, რომლითაც ის არჩეულია, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონსტიტუციით.

4. პარლამენტის მიერ დამტკიცებული მთავრობა აგრძელებს თავისი ფუნქციების განხორციელებას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, გარდა ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოები აგრძელებენ თავისი ფუნქციების განხორციელებას უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, გარდა ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მოსამართლეებს, რომლებსაც ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღისათვის აქვთ სასამართლო პრაქტიკის არანაკლებ ხუთწლიანი სტაჟი, მიესადაგებათ უცვლელობის პრინციპი 116-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რესპუბლიკა მოლდოვას პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც გამოცემულია იუსტიციის მინისტრისა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე.

(III მუხლის მე-6 ნაწილი შეიცვალა კონსტიტუციური კანონით N957-XIII, 19.07.96)

7. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, 115-ე მუხლის თანახმად, კანონის შესაბამისად მოხდება სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია.

მუხლი IV

1995 წლის 1 იანვრამდე მუხლი 25-ის მე-4 ნაწილის დებულებები, რომლებიც ეხება პატიმრობის ვადას, არ ვრცელდება პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაულები, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 7^1 მუხლით.

მუხლი V

1. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში ფუძნდება საკონსტიტუციო სასამართლო და საანგარიშო პალატა.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ შემადგენლობაში მოსამართლეები მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოდან ინიშნებიან სახალხო მოსამართლეების და უმაღლესი სასამართლოს წევრების საერთო კრების მიერ.

მუხლი VI

საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნებამდე საკითხები გათვალისწინებული ამ კონსტიტუციის 135-ე მუხლით, პარლამენტის წინადადებით შეიძლება გადაწყდეს უმაღლესი სასამართლოს მიერ.

მუხლი VII

1. რესპუბლიკა მოლდოვას 1989 წლის 1 სექტემბრის კანონი ენების

ფუნქციონირების შესახებ მოქმედებენ ნაწილში, რომელშიც არ ეწინააღმდეგებიან ამ კონსტიტუციას.

2.ზემოთაღნიშნულ კანონში ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან შვიდი წლის განმავლობაში შეიძლება შევიდეს ცვლილებები დეპუტატთა ხმების ორი მესამედით.

მუხლი VIII

განყოფილება VII „დასკვნითი და გარდამავალი დებულებები" წარმოადგენს ამ კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს და არეგულირებს საკითხებს, რომელიც ეხება მის ძალაში შესვლას.

პოლონეთის
რესპუბლიკა

ქეთევან მესხიშვილი

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — პოლონეთის რესპუბლიკა;
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის ცენტრალური ნაწილი;
ფართობი — 312,7 ათასი კვ. კმ.;
მოსახლეობა — 38.972 მილიონი;
დედაქალაქი — ვარშავა;
ევროპის კავშირის წევრია 2004 წლის პირველი მაისიდან.

1569 წელს პოლონეთმა და ლიტვამ შეიქნეს დუალისტური სახელმწიფო — რეჩ-პოსპოლიტა, რომელსაც საერთო სეიმი და სეიმის მიერ არჩეული მეფე ჰყავდა. რეჩ-პოსპოლიტას შინაგანი კრიზისისა და გართულებული საგარეო პოლიტიკის შედეგად პრუსიამ, ავსტრიამ და რუსეთმა მოახერხეს მისი ნაწილობრივი გაყოფა (ე.წ. პოლონეთის I დანაწევრება [1798]).

1. ქვეყნის განვითარების ძირითადი კონსტიტუციური ეტაპები

1791 წელს პოლონეთის საზოგადოების პროგრესულმა წრეებმა პირველი კონსტიტუციის მიღება შეძლეს, რომელიც პირველი ტალღის კონსტიტუციებს მიეკუთვნება.[1] მისმა მიღებამ გავლენიანი მაგნატების მწვავე რეაქცია გამოიწვია. მათ დახმარებისათვის რუსეთსა და პრუსიას მიმართეს. სწორედ მათ ინტერვენციას მოჰყვა პოლონეთის მეორე დანაწევრება, რის შედეგადაც პოლონეთმა, ფაქტობრივად, დაკარგა დამოუკიდებლობა.

პოლონეთის მეორე კონსტიტუცია, რომელიც 1815 წელს იქნა მიღებული, წარმოადგენდა არა მთელი პოლონეთის, არამედ პოლონეთის სამეფოდ წოდებული მხოლოდ იმ ნაწილის კონსტიტუციას, რომელიც ვენის კონგრესის შედეგად (1814-1815) მიეკუთვნა რუსეთის სამეფოს. ამავდროულად, ცარიზმის თანდათანობით გაძლიერების პარალელურად, ქვეყანაში იზღუდებოდა კონსტიტუციით დამკიდრებული დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა. ის უფლებები, რომლებიც პოლონეთის სახელმწიფოს ორგანოების გამგებლობას მიენიჭა ამ კონსტიტუციით, შეიზღუდა 1832 წელს მიღებული ორგანული სტატუტით, რომელმაც კონსტიტუციის ნაცვლად მოქმედებდა.

პოლონეთის შემდეგი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 17 მარტს, რომლითაც პოლონეთი გამოცხადდა რესპუბლიკად და ჩამოყალიბდა შესაბამისი დემოკრატიული ინსტიტუტები, აღიარებულ იქნა ადამიანის უფლებები. აღნიშნული დემოკრატიული რეფორმების გატარების მიუხედავად ქვეყანაში კვლავ არასტაბილური მდგომარეობა იყო. არსებობდა უთანხმობა ეროვნულ უმცირესობებთან, რომელთა რაოდენობა პოლონეთის მოსახლეობის 1/3-ს შეადგენდა. დაუცველი იყო დასავლეთის საზღვრები.[2] საკანონ-

1. ფოთლელ დეტერმინალი, „ბოლოლი ქვეყნების კონსტიტუციები“, ნიგნი I; თბ. 1992, იურიდიული ლიტერატურა, გვ. 8
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი VI, გვ. 280

მდებლო ხელისუფლება პარტიებისა და პოლიტიკური ჯგუფების სიმრავლის გამო, ფაქტობრივად, ქმედუუნარო აღმოჩნდა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება კი — სუსტი. ამ ვითარებაში გენერალმა *პილსუდსკიმ* მოახდინა სამხედრო გადატრიალება და დაამკვიდრა სანაციური[3] რეჟიმი. 1935 წლის 22 აპრილს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების კონცენტრაცია მოხდა პრეზიდენტის ხელში. ახალი კონსტიტუცია არ მოიწონეს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ბრძოლა მათსა და პილსუდსკის რეჟიმს შორის მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. „მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ს გამარჯვებამ პოლონელ ხალხს შესაძლებლობა მისცა, ახლებურად, უკვე სამართლიანად დაედგინა სახელმწიფო საზღვრები."[4] ამ დროიდან იწყება სოციალური გარდაქმნების ეპოქა, რამაც ასახვა ჰპოვა 1952 წლის 22 ივლისის კონსტიტუციაში . აღნიშნული კონსტიტუციის თანახმად, პოლონეთის მმართველობის ფორმა იყო სახალხო რესპუბლიკა. სწორედ სახელმწიფოს ამგვარმა პოლიტიკურმა წყობამ განაპირობა მუშათა კლასის მმართველობა. კონსტიტუცია, რომელიც ადამიანებს პირადი და პოლიტიკური უფლებებით „მოკრძალებულად უზრუნველყოფდა", გულუხვად ასახელებდა სოციალურ უფლებებს და იძლეოდა მათი უზრუნველყოფის სხვადასხვა გარანტიებს. ამიტომ 1952 წლის კონსტიტუცია პოლონეთის ისტორიაში ცნობილია, როგორც ყველაზე უფრო სოციალური კონსტიტუცია. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის კონსტიტუცია არ მიიჩნეოდა უშუალოდ მოქმედ კანონად, ამიტომაც არ არსებობდა იმის საჭიროება, რომ მასში მოცემული უფლებების ფორმულირება არსებული სოციალური და ეკონომიკური რეალობის შესაბამისი ყოფილიყო.[5] ანუ კონსტიტუცია შეიცავდა ზოგად ნორმებს და კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საჭირო იყო დამატებითი კანონების მიღებით კონსტიტუციის იმპლემენტაცია. 80-იანი წლების ბოლომდე აღნიშნულ უფლებებს არ გააჩნდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან არ არსებობდა კონსტიტუციური ნორმების იმპლემენტაციის უზრუნველმყოფი (კონსტიტუციური) გარანტიები. თუმცა კი 1985 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს და 1987 წელს ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებამ რადიკალურად შეცვალა არსებული მდგომარეობა.

1952 წლის კონსტიტუციის ის ნორმები, რომლებიც მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს ეხებოდა, არსებითი ცვლილებების გარეშე მოქმედებდა 1997 წლამდე. 1997 წლის 2 აპრილის, კონსტიტუციის მიღებამდე, გარდამავალ პერიოდში მოქმედებდა ე. წ. „*მცირე კონსტიტუციად*" წოდებული „კონსტიტუციური აქტი პოლონეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". მისი მიღება განაპირობა იმ დროს არსებულმა პოლიტიკურმა კლიმატმა. სწორედ მას უკავშირდება ქვეყანაში თვისობრივად ახალი პოლიტიკური და ინსტიტუციონალური სისტემის საფუძვლის შექმნა: აღდგა სეიმის, სენატის, პრეზიდენტისა და სხვა ინსტიტუტები. საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდებოდა ასევე უშუალოდ

---

3. აქ, ეს ტერმინი უნდა განმარტოთ
4. http://www.sovetika.ru/pnr/konst.htm
5. http://www.europa.km.ru/poland/history.htm

მოქალაქეების მიერ რეფერენდუმის გზით. მართალია, „მცირე კონსტიტუციის“ თანახმად, პრეზიდენტი არ წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლება განაწილებული იყო პრეზიდენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის. მას სახელისუფლებო სისტემაში მედიატორი მოსამართლის ფუნქციებიც ეკისრა.[6] 1997 წლის 2 აპრილს კი მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. 1990 წლის 25 ნოემბერს (გენერალ *ვოიცეხ იარუზელსკის* გადადგომისა და თანმდევი კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ) უშუალოდ ხალხის მიერ, პოლონეთის პრეზიდენტად არჩეულ „სოლიდარნოსტის“ ლიდერ *ლეხ ვალენსას*[7] სახელს უკავშირდება მცირე კონსტიტუციის მიღება.

2. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, სტრუქტურა და მისი გადასინჯვის წესი

1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუციის სტრუქტურა მარტივია. იგი პრეამბულის, 12 თავისა და 243 მუხლისაგან შედგება. სახელმწიფოს ფორმებს განსაზღვრავს კონსტიტუციის პირველივე თავი. პოლონეთი სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით უნიტარულია, ხოლო მმართველობის ფორმისა კი – რესპუბლიკური. კონსტიტუციაში მოცემულია ის დემოკრატიული პრინციპები, რომლითაც ხასიათდება პოლონეთის რესპუბლიკა. ეს პრინციპები წარმოადგენს. კონსტიტუციის საფუძველს და ქმნის საერთო ნორმატიულ ბაზას. პოლონეთის რესპუბლიკა პოლონელი ხალხის საერთო მონაპოვრად მიიჩნევა. იგი „დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოა“, სადაც ხელისუფლებას ახორციელებს ხალხი, უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით. სახელმწიფოს მიზნები გარდა პრეამბულისა, მოცემულია ასევე კონსტიტუციის მე-5 მუხლში, რომლის თანახმადაც პოლონეთის რესპუბლიკა იცავს თავისი ტერიტორიის დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, იცავს ასევე მოქალაქეების უსაფრთხოებას, ეროვნულ მემკვიდრეობასა და უზრუნველყოფს გარემოს დაცვას. კონსტიტუციის უზენაესობის ქვეშ იგულისხმება მისი როგორც უმაღლესი იერარქიული ძალა, სხვა ნორმატიული აქტების წინაშე, ასევე მისი მოქმედების სფერო. მას ზოგადი ხასიათი აქვს და მოიცავს სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად პრინციპებს. კონსტიტუციის მნიშვნელობა აღიარებულია ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ. ზოგიერთი კონსტიტუცია პირდაპირ უთითებს მის უზენაესობაზე. ამგვარ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება პოლონეთის კონსტიტუციაც. 1997 წლის კონსტიტუციამ არ გაითვალისწინა 1952 წლის კონსტიტუციის გამოცდილება და კონსტიტუციურ ნორმებს პირდაპირი მოქმედების ძალა მიანიჭა. პოლონეთის რესპუბლიკა აღიარებს საერთაშორისო სამართლის როლს სახელმწიფოსათვის და ითვალისწინებს მისთვის სავალდებულო ხასიათის მქონე საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის ვალდებულებას, თუმცა კონსტიტუციიდან არ ირკვევა, თუ რა ადგილი უკავია საერთაშორისო სამართლის ნორმებს ნორმატიული

---

6. *Журнал Конституционное Право Восточноевропейское Обозрение; N1(2)1993г. с. 22*
7. *Лешек Лех Гарлицкий: "Институт президентства в новой Конституции Польши"; Журн.Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение N3(20)/N4(21)1997г. с. 67.*

აქტების იერარქიაში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს პოლონეთის კონსტიტუციის **მეორე თავი** ეთმობა, კონსტიტუციის აეტორები პირველ თავში ახდენენ გარკვეულ უფლებათა დეკლარირებას, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზოგადი პრინციპების გვერდით, რომლებიც პირველ თავშია მოცემული, სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობს ანიჭებს მათაც.

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვას ეხება XI თავი. კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება იმავე წესით, რა წესითაც მიიღება კანონი. განსახვავებულია მხოლოდ ცვლილება-დამატების მისაღებად აუცილებელი ხმების რაოდენობა და სეიმისა და სენატის კოორდინირებული მოქმედების ვადები. კონსტიტუციის 235-ე მუხლის მიხედვით, სეიმი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონს იღებს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, ხოლო კონსტიტუციის 120-ე მუხლის მიხედვით, კანონის მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ამრიგად, პოლონეთის კონსტიტუცია გადასინჯვის წესის მიხედვით ხისტი (მკაცრი) კონსტიტუციების რიცხვს მიეკუთვნება.

3. პარტიული სისტემა

პოლონეთის რესპუბლიკის დემოკრატიულობის გამოხატულებას წარმოადგენს კონსტიტუციით განმტკიცებული მრავალპარტიულობა. თუმცა კანონმდებლებმა გაითვალისწინეს რა მწარე ისტორიული გამოცდილება და კონსტიტუციით აკრძალეს ისეთი პოლიტიკური პარტიების არსებობა, რომლებიც თავიანთ პროგრამაში ეყრდნობიან ნაციზმის, ფაშიზმისა და კომუნიზმის ტოტალიტარულ მეთოდებსა და პრაქტიკას. აკრაძალულია ასევე ისეთი პოლიტიკური პარტიების არსებობა, რომელთა პროგრამა ან საქმიანობა ითვალისწინებს ან უშვებს რასობრივ ან ეროვნულ სიძულვილს, ძალის გამოყენებას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით, ან სტრუქტურებისა და წევრობის გასაიდუმლოებას. პოლიტიკური პარტიების შექმნის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზემოქმედება. პოლიტიკური პარტიების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს არეგულირებს ცალკე კანონი. პარტიის შემოსავალს შეადგენს წევრთა შენატანები, მემკვიდრეობით მიღებული ქონება, საზოგადოებრივი შემოწირულობები და შემოსავალი, რომელსაც პარტია იღებს თავისი ქონებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან. აღსანიშნავია, რომ პარტია სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საზოგადოებრივი მიზნებისათვის.[8] პოლონეთის რესპუბლიკის ძირითადი პოლიტიკური პარტიებია: *ქრისტიან-ეროვნული პარტია* (პოლონური ოჯახების ლიგა), *უმცირესობების პარტია* (გერმანელთა უმცირესობები), *ცენტრისტული პარტია* (მოქალაქეთა პოლიტიკური პლატფორმა), *აგრარული პარტია* (პოლონელი ხალხის პარტია), *ქრისტიან-დემოკრატიული პარტია* (პოლონელი ქრისტიან დემოკრატების ალიანსი), *ანტი-კორუფციული პარტია* (კანონი და

---

8 *В. В. Маклаков, Иностранное конституционное Право, Москва, 1997г. с.398*

სამართალი), *კონსერვატიული პარტია* (მოძრაობა პოლონეთის რეკონსტრუქციისათვის), *კონსერვატიული პარტია* (სოციალური მოძრაობა საარჩევნო ქმედების სოლიდარობისათვი), *აგრარულ-კონსერვატიული პარტია* (პოლონეთის რესპუბლიკის თავდაცვა), *მოძრაობა - ახალი პოლონეთი, სოციალ-დემოკრატიული პარტია* (დემოკრატ-მემარცხენეთა ალიანსი), *სოციალ-დემოკრატიული პარტია* (მუშათა კავშირი), *ლიბერალური პარტია* (თავისუფლების კავშირი), *კონსერვატიული პარტია* (ქრისტიან-ეროვნული კავშირი), *მემარჯვენეთა ალტერნატიული პარტია, მწვანეთა ფედერაცია, პოლონეთის კომუნისტური პარტია, კონფედერაცია პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული აღორძინების პარტია, პოლონელ მონარქისტთა ორგანიზაცია, პოლონელ მონარქისტთა ლიგა, სილეზიური ავტონომიური მოძრაობა, დემოკრატიული პარტია, რეალური პოლიტიკის კავშირი, მწვანეები.* გარდა ზემოჩამოთვლილი პარტიებისა, პოლონეთის რესპუბლიკაში არსებობს ორი ალიანსი: *მემარჯვენეთა საარჩევნო ქმედების სოლიდარობა*, რომელშიც გაერთიანებულია კონსერვატიული პარტია (ქრისტიან-ეროვნული კავშირი), კონსერვატიული პარტია (სოციალური მოძრაობა საარჩევნო ქმედების სოლიდარობისათვის) და ქრისტიან-დემოკრატიული პარტია (პოლონელ ქრისტიან დემოკრატთა ალიანსი) და *ბლოკი სენატი 2001*, რომელშიც გაერთიანებულია ცენტრისტული პარტია (მოქალაქეთა პოლიტიკური პლატფორმა), ანტი-კორუფციული პარტია (კანონი და სამართლიანობა), მემარჯვენეთა საარჩევნო ქმედების სოლიდარობა, ლიბერალური პარტია (თავისუფლების კავშირი)[9] და კონსერვატიული პარტია (მოძრაობა პოლონეთის რეკონსტრუქციისათვის).

4. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

კონსტიტუციის II თავი, უფლებებთან ერთად, აწესრიგებს აგრეთვე *მოქალაქეობის საკითხსაც*. პოლონეთის რესპუბლიკაში მოქმედებს "სისხლის პრინციპი". "პოლონეთის მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით, თუ მშობლები პოლონეთის მოქალაქეები არიან" — აღნიშნულია პოლონეთის კონსტიტუციის 34-ე მუხლის I პუნქტში. თუმცა კონსტიტუციიდან ირკვევა, რომ კანონი მოქალაქეობის მოპოვების სხვა წესსაც ითვალისწინებს. ვინაიდან მოქალაქეობა წარმოადგენს პირის სამართლებრივ კავშირს სახელმწიფოსთან, ამიტომ სახელმწიფოში მოქალაქის მდგომარეობა უპირატესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ზრუნავს კანონმდებელი მასზე და როგორ სამართლებრივ საფუძველს ამკვიდრებს იგი საკუთარი მოქალაქეებისათვის. სწორედ ამ გარემოების ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ კონსტიტუციის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას. ქვეყნის უზენაესი კანონი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე იმპერატიულად ადგენს, რომ პოლონეთის მოქალაქეების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია. დაუშვებელია ასევე პოლონეთის მოქალაქის მიერ პოლონეთის მოქალაქეობის დაკარგვა, თუ თვით მოქალაქე არ იტყვის უარს პოლონეთის მოქალაქეობაზე.

---

9. *http://www.electionsworld.org/Poland.htm*

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის II თავი გვთავაზობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრს. საგულისხმოა, რომ კონსტიტუციის ავტორები ანსხვავებენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს. ადამიანის ცნებაში იგულისხმება ყველა პირი, მიუხედავად მოქალაქეობისა, ხოლო მოქალაქეებისა კი — მხოლოდ პოლონეთის მოქალქეები. კანონმდებლები რიგ უფლებებს ზოგადი პრინციპების კატეგორიაში აერთიანებენ. მაგალითად: ადამიანის ღირსებასა და ადამიანის თავისუფლებას. ადამიანის თავისუფლებაში კანონმდებლები გულისხმობენ არა მარტო ფიზიკურ თავისუფლებას, არამედ საქმიანობის თავისუფლებას. "დაუშვებელია ადამიანის იძულება, გაკეთოს ის რაც მას კანონით არ ევალება"— ეკითხულობთ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტში. კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. 31-ე მუხლის მე-3 პუნქტში ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა პირობებისა და გარემოებების არსებობისას არის შესაძლებელი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის დაწესება. ესენია: დემოკრატიულ სახელმწიფოში უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, ჯანსაღი გარემოს, საყოველთაო მორალური პრინციპების ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აღნიშნული პირობები ალტერნატიულია ანუ საკმარისია ერთ-ერთის არსებობაც, რომ შესაძლებელი გახდეს ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, მაგრამ აღნიშნულ პირობათაგან ერთ-ერთის არსებობასთან ერთად კუმულაციურ ხასიათს ატარებს კანონით მისი გათვალისწინება. კონსტიტუციის 233-ე მუხლში კი მითითებულია, თუ რომელი უფლებები არ ექვემდებარება შეზღუდვას.

კონსტიტუციის ავტორები ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს ოთხ კატეგორიად ყოფენ: 1. ზოგადი უფლებები და თავისუფლებები; 2. პირადი უფლებები და თავისუფლებები; 3. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები; 4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები.

პირად (სამოქალაქო) უფლებებსა და თავისუფლებებს განეკუთვნება სიცოცხლის უფლება, უფლება იმისა, რომ არავინ დაექვემდებაროს საკუთარი ნების წინააღმდეგ სამეცნიერო, მათ შორის სამედიცინო ექსპერიმენტებს, წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელის აკრძალვა, პირადი ხელშეუხებლობა და თავისუფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება. აქ აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. კონსტიტუცია იმპერატიულად ადგენს საქმის ზეპირი მოსმენის აუცილებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქმის სამართლიანად განხილვა. კანონმდებლები პირად უფლებათა კატეგორიას აკუთვნებენ ასევე საკუთრების უფლებას, მშობლების მიერ თავიანთი შვილების საკუთარი შეხედულებით აღზრდის შესაძლებლობას, კომუნიკაციის თავისუფლებას, ბინის, სხვა სახის სადგომის ან ტრანსპორტის ჩხრეკის დაუშვებლობას, საკუთარი პიროვნების შესახებ ცნობების საიდუმლოდ დაცვის უფლებას და ა. შ.

რაც შეეხება პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ის პოლიტიკური უფლებები, რომლებსაც კონსტიტუცია მხოლოდ მოქალაქეებისათვის განამტკიცებს და ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც საერთოა ყველასათვის, განურჩევლად

მათი მოქალაქეობისა. მხოლოდ მოქალაქეებს აქვთ უფლება, დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, მიიღონ ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის შესახებ.

ყველასათვის საერთო პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს განეკუთვნება: მშვიდობიანი შეკრების მოწყობისა და მასში გაერთიანების თავისუფლება, კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების თავისუფლება, პროფესიულ კავშირებში, მიწათმოქმედთა სოციალურ-პროფესიულ და დამქირავებელთა ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლება, საჯარო ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვის თავისუფლება.

1997 წლის კონსტიტუცია 1952 წლის კონსტიტუციის სამართალმემკვიდრეა. ამ გარემოებამ განაპირობა *სოციალური უფლებების* ფართოდ რეგლამენტირება 1997 წლის კონსტიტუციაში. კანონმდებლებმა შემოგვთავაზეს მთელი რიგი სოციალური უფლებებისა, მათ შორის აღსანიშნავია საკუთრების უფლება, პროფესიის არჩევის, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა და სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება, შრომის უსაფრთხო და ჰიგიენური პირობების მოთხოვნის უფლება, შრომისუუნაროთა სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, განათლების მიღების უფლება და ა. შ.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოში მოქმედი კონტროლის სისტემის გამართულ საქმიანობაზეა დამოკიდებული. ზოგადად სახელმწიფოში კონტროლის განხორციელების ამოცანაა გამოავლინოს უფლებათა დარღვევის ფაქტები, მოახდინოს დარღვეული უფლებების აღდგენა, შეაფასოს საზედამხედველო სფეროში საქმის ფაქტიური მდგომარეობა, დაისაჯოს დამნაშავე, გამოვლენილი დარღვევების კვალობაზე შემუშავდეს რეკომენდაციები. კონსტიტუციის ავტორები არამარტო გვთავაზობენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრს, არამედ იძლევიან მათი დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს. კონსტიტუციის 77-ე – მე-80 მუხლების მიხედვით ადამიანის უფლებების დაცვისა და მათ ჯეროვნად შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებია საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო და სახალხო დამცველი. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ადამიანის უფლებების დაცვის ორი შესაძლებლობა არსებობს: დარღვეული უფლებების აღდგენა, რასაც საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო ემსახურება და უფლებების განხორციელებაზე ზედამხედველობა, რასაც ომბუდსმენი ახორციელებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-80 მუხლის მიხედვით, ომბუდსმენი მხოლოდ სამოქალაქო უფლებების დამცველად გვევლინება, რომლისთვისაც მიმართვის უფლება აქვს ყველას, ვისი უფლებებიც საჯარო ხელისუფლების მხრიდან დაირღვა.

5. პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემის განხილვისას განსაკუთებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ხელისუფლების დანაწილების მიმოხილვას, რადგან ხელისუფლების დანაწილება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია. სახელმწიფო მექანიზმის ერთიანობაში მოქმედი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

გულისხმობს ამ მექანიზმის ორგანოთა ურთიერთქმედებასა და ურთიერთშეზღუდვას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრინციპის განხორციელება გულისხმობს სახელმწიფო მექანიზმში შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის არსებობას. მაშასადამე, ხელისუფლების დანაწილება სრულებითაც არ ამოიწურება სახელმწიფო ორგანოთა შორის ფუნქციების გამიჯვნით.

პოლონეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობა ეფუძნება ხელისუფლების დანაწილებასა და საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების თანასწორობას. სწორედ მათ შორის ურთიერთკავშირზეა დამოკიდებული რესპუბლიკური მმართველობის სისტემა.

პოლონეთის კონსტიტუციურ სისტემას ახასიათებს როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნები, სადაც ეს უკანასკნელნი სჭარბობენ. ვფიქრობთ, უპრიანი იქნება პოლონეთის კონსტიტუციაში ასახული საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ნიშნების ცალ-ცალკე განხილვა. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია პრეზიდენტის ფართო უფლებებით წარმოჩენის მიზნით (რაც მოიცავს ტიპიური საპრეზიდენტო რესპუბლიკის მახასიათებელ ზოგიერთ შტრიხსაც), შეიცავს შემდეგ ნიშნებს:

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე;

2. პრეზიდენტი არის პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. მის წარმომადგენლობას არ აქვს მხოლოდ კონსტიტუციურად ფორმალიზებული ხასიათი. მას უფლება აქვს განსაზღვროს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შინაარსი და მოახდინოს ამ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება;

3. პრეზიდენტს გააჩნია შეყოვნებითი ვეტოს უფლება;

4. სენატის თანხმობით აქვს საყოველთაო რეფერენდუმის დანიშვნის უფლება;

5. პრეზიდენტი აცხადებს საომარ და საგანგებო მდგომარეობას და ამის თაობაზე მიღებულ დადგენილებებს 48 საათის განმავლობაში წარუდგენს სეიმს დასამტკიცებლად.

ბევრ თავის უფლებას პრეზიდენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლების თანხმობით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მექანიზმში მას აქვს არამყარი მდგომარეობა. ეს გარემოება არც საკანონმდებლო ხელისუფლების გაზრდილ უფლებებზე მეტყველებს და არც მის პრიმატზე ხელისუფლებაში, არამედ ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ხელისუფლების შტოებს შორის არამარტო კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმი მუშაობს, არამედ ისინი თავიანთი ერთობლივი კოორდინირებული მოქმედებით ხელისუფლების ერთიანობას უზრუნველყოფენ, რითაც უფრო ეფექტურს ხდიან სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებას.

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ასახული საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. ფორმალურად პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, თუმცა პრეზიდენტის კომპეტენცია — შეამციროს სეიმის უფლებამოსილების ვადა — საკანონმდებლო ხელისუფლების დათხოვნის ერთგვარ ნაირსახეობას წარმოადგენს.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არ არის ხელისუფლების დამოუკიდებელი განშტოება. მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება საჯალდებულო ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხელს მოაწერს მათ, ანუ მოქმედებს კონტრასიგნების წესი.

3. საკანონმდებლო ხელისუფლების ქვედა პალატა — სეიმი ახორციელებს კონტროლს მინისტრთა საბჭოს საქმიანობაზე. მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარულად, ასევე ინდივიდუალურად. სეიმს უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს როგორც მთლიანად მინისტრთა საბჭოს, ისე ცალკეულ მინისტრს. სეიმი მინისტრთა საბჭოს უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმს უცხადებს დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, არანაკლებ 46 დეპუტატის განცხადების საფუძველზე, როდესაც განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა.

4. მართალია, იურიდიულად გამოცხადებულია, რომ პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს კლასიკური საპრეზიდენტო სისტემაა, რადგანაც, პრეზიდენტის აღნიშნული უფლებამოსილება შეზღუდულია კონტრასიგნებითა და მინისტრთა კაბინეტის მხოლოდ სეიმის წინაშე პასუხისმგებლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ, თუ როგორ მუშაობს პოლონეთის რესპუბლიკაში ხელისუფლების შტოებს შორის კონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმი. ამისათვის უნდა განვიხილოთ ხელისუფლების თითოეულ შტოს თუ რა ბერკეტები გააჩნია მეორეზე ზემოქმედებისთვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებისათვის ერთი შტოს შიგნითაც შეიძლება არსებობდეს აღნიშნული მექანიზმი. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებაში კონტრასიგნების მექანიზმი და ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო. თუმცა, სეიმისა და სენატის ერთობლივი მუშაობა არ გულისხმობს მხოლოდ ურთიერთშეკავებასა და გაწონასწორებას. მის შინაარსში უცვლელად დევს მათი კოორდინირებული მუშაობის იდეა, რაც გამოხატულებას პოულობს ეროვნული კრების საქმიანობაში. ხელისუფლების შტოებს შორის აღნიშნული ურთიერთზემოქმედების ბერკეტებს შეიცავს კონსტიტუციაში არსებული შემდეგი დებულებები:

1. დეპუტატებს უფლება აქვთ ზეპირი ან წერილობითი შეკითხვით მიმართონ მინისტრთა საბჭოს წევრებს, ამ უკანასკნელთ არ გააჩნიათ მათზე პასუხის გაცემის ვალდებულება;

2. პრეზიდენტის მიერ ახლადდანიშნულ მინისტრთა საბჭოს სეიმმა უნდა გამოუცხადოს ნდობა. თუ არ გამოუცხადა ნდობა დადგენილი ვადების გასვლიდან 14 დღის განმავლობაში, სეიმი თვითონ ირჩევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ შეთავაზებულ წევრებს;

3. მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარულად, ისე ინდივიდუალურად;

4. სეიმს უფლება აქვს, უნდობლობა გამოუცხადოს როგორც მთლიანად მინისტრთა ‍საბჭოს, ისე მის ცალკეულ წევრებს;

5. თუ არსებობს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორ-

ციელების დამბრკოლებელი გარემოებები, სეიმის ძარშალი მიმართავს საკონსტიტუციო ტრიბუნალს აღნიშნული გარემოებების დასადგენად. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას, მაშინ იგი პრეზიდენტის მოვალეობათა დროებით შესრულების უფლებამოსილებას გადასცემს სეიმის მარშალს;

6. პრეზიდენტი აცხადებს საომარ და საგანგებო მდგომარეობას და ამის თაობაზე მიღებულ დადგენილებებს 48 საათის განმავლობაში წარუდგენს სეიმს დასამტკიცებლად;

7. პრეზიდენტს სენატის თანხმობით აქვს საყოველთაო რეფერენდუმის დანიშვნის უფლება;

8. პრეზიდენტს ბრალი წაეყენება ეროვნული კრების დადგენილების საფუძველზე;

9. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის არჩევნებს;

10. პრეზიდენტს, კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სეიმისა და სენატის მარშლების მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, უფლება აქვს შეამციროს სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადა.

11. პრეზიდენტს გააჩნია სუსპენზიური ვეტოს უფლება.

12. საკანონმდებლო ორგანოს მიერ მინისტრთა საბჭოსათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს უარი თქვას მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებაზე.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება

პოლონეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება სეიმისა და სენატის მიერ. სეიმი შედგება 460 დეპუტატისაგან, რომლებიც საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პროპორციული საარჩევნო სისტემით აირჩევიან, ხოლო სენატი 100 სენატორისაგან შედგება. ისინი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩევიან. მათი უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის პასიური საარჩევნო უფლება სეიმში დეპუტატობისათვის იწყება 21 წლის ასაკიდან, ხოლო სენატში სენატორობისათვის 30 წლიდან. პოლონეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლების განხილვისას უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: პოლონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირების შესაძლებლობას. ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია თვით სეიმს, დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით და რესპუბლიკის პრეზიდენტს, რაც წარმოადგენს პრეზიდენტის ბერკეტს საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიმართებით. ამ უფლების გამოყენება პრეზიდენტს მხოლოდ ორ შემთხვევაში შეუძლია:

1. თუ სეიმი არ გამოუცხადებს ნდობას პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მინისტრთა საბჭოს ან არ აირჩევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ შეთავაზებულ მინისტრთა საბჭოს წევრებს;

2. თუ ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი სეიმში შეტანიდან ორი თვის განმავლობაში არ გადაეცა პრეზიდენტს ხელმოსაწერად.

კონსტიტუციის მეოთხე თავი ითვალისწინებს ასევე დეპუტატებისა და სენატორების დაცვის გარანტიებს: თავისუფალ მანდატს, იმუნიტეტსა და ინდემნიტეტს, რაც დეპუტატებისა და სენატორების მიერ თავიანთი საქმიანობის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხორციელებას უზრუნველყოფს.

სეიმი და სენატი წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს, სადაც საკანონმდებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, საკანონმდებლო ხელისუფლების შიგნით საქმიანობათა დანაწილება, კომპეტენციის ურთიერთგამიჯვნა, ურთიერთშეკავება და კოორდინირებული საქმიანობა ხორციელდება. კოორდინირებულ საქმიანობას უზრუნველყოფს კონსტიტუციის 114-ე მუხლით გათვალისწინებული ეროვნული კრება, რომელიც იქმნება სეიმისა და სენატის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კონსტიტუცია ორ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა აუცილებელი ხდება ეროვნული კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება: 1. სეიმის მარშალი ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პრეზიდენტის მოვალეობებს ასრულებს, თუ ეროვნულმა კრებამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხანგრძლივად ვერ შესძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას; ამგვარ გადაწყვეტილებას ეროვნული კრება იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ის იმრავლესობით და 2. პრეზიდენტს ბრალი წაეყენება ეროვნული კრების დადგენილების საფუძველზე. დადგენილება მიიღება ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

სეიმი და სენატი ერთობლივად მოქმედებენ საკანონმდებლო პროცესშიც. სეიმის მიერ მიღებულ კანონს სეიმის მარშალი უგზავნის სენატს. სენატი უფლებამოსილია კანონის გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში მიიღოს იგი ცვლილებების გარეშე, კენჭი უყაროს ცვლილებებს ან მთლიანად უარყოს კანონი. თუ სენატი კანონის გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში არანაირ დადგენილებას არ მიიღებს, კანონი მიღებულად ითვლება სეიმის მიერ შემუშავებული ფორმით. სენატის დადგენილება, რომლითაც სეიმის მიერ მიღებული კანონი უარყოფილ იქნა ან რომლითაც მასში ცვლილებები შეეიდა, მიღებულად ითვლება, თუ სეიმი მას ხმების აბსოლუტური უმრავლესობით არ უარყოფს, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის სულ მცირე, ნახევარი მაინც. პრეზიდენტს საკანონმდებლო პროცესში აქვს შეყოვნებითი ვეტოს უფლება, ამასთან მას შეუძლია კანონპროექტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების მიზნით შუამდგომლობით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო თუ საკონსტიტუციო სასამართლომ კანონპროექტი კონსტიტუცურად ცნო, პრეზიდენტს აღარ აქვს მის ხელმოწერაზე უარის თქმის უფლება ე. ი. საკონსტიტუცო სასამართლო აქარწყლებს პრეზიდენტის შეყოვნებითი ვეტოს უფლებას. სეიმის კომპეტენციას განეკუთვნება ასევე პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა რეფერენდუმის დანიშვნაზე, საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე.

საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად სეიმის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება მინისტრთა საბჭოს საქმიანობის კონტროლი. "სეიმი

ახორციელებს კონტროლს მინისტრთა საბჭოზე კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში" — ვკითხულობთ კონსტიტუციის 95-ე მუხლში. აღნიშნული კონტროლი გამოიხატება დეპუტატების მიერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და სხვა წევრების მიმართ ზეპირი და წერილობითი შეკითხვების (ინტერპელაცია) დასმაში — "მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა წევრები ვალდებულნის არიან 21 დღის განმავლობაში უპასუხონ დეპუტატების ინტერპელაციებსა და შეკითხვებს"— მოცემულია კონსტიტუციის 115-ე მუხლში — და მინისტრთა საბჭოს მიმართ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის გამოყენებაში.

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება

1997 წლის კონსტიტუციამ შეინარჩუნა 1992 წლის მცირე კონსტიტუციით დამკვიდრებული რაციონალიზებული პარლამენტარიზმის პრინციპები. როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის საფუძველი. ამ კონსტიტუციით, პრეზიდენტის როლი სახელისუფლებო სისტემაში მნიშვნელოვნად შეიზღუდა, თუმცა, იგი მცირე კონსტიტუციით გათვალისწინებულ გარკვეულ უფლებებს მაინც ინარჩუნებს.

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას პოლონეთის ყოველი მოქალაქე, რომელსაც არაუგვიანეს არჩევნების დღისა, 35 წელი შეუსრულდა და რომელიც სეიმის არჩევნებში სრული საარჩევნო უფლებით სარგებლობს. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ირჩევა ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით, რაც მის სტატუსს დემოკრატიულ ლეგიტიმურობასა და მილიონობით ამომრჩეველზე აპელირების შესაძლებლობას ანიჭებს.[10] პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ნამდვილი ხმების ნახევარზე მეტი მიიღო. კონსტიტუცია ითვალისწინებს განმეორებითი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას. განმეორებით არჩევნებში მონაწილეობს საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი და არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

კონსტიტუციის მე-10 მუხლის მიხედვით, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პოლონეთის რეპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო. კონსტიტუციის 126-ე მუხლი უფრო აკონკრეტებს პრეზიდენტის ფუნქციებს და აღნიშნავს, რომ „პრეზიდენტი არის პოლონეთის რეპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უწყვეტობის გარანტი", მის უფლებამოსილებას წარმოადგენს კონსტიტუციის დაცვაზე ზედამხედველობა, ქვეყნის სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ასევე სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობისა და განუყოფლობის დაცვა. მინისტრთა საბჭო პოლონეთის კონსტიტუციის 146-ე მუხლის თანახმად ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი ხელმძღვანელობს მმართველობით ადმინისტრაციას, მის კომპეტენციაში შედის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი

---

10. *Журнал Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; N3(20)N4(21)1997г. с.70*

თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებას არ განეკუთვნება. მინისტრთა საბჭო შედგება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრებისაგან. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და მისი წარდგინებით, მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებს, ნიშნავს პრეზიდენტი და ნდობის მისაღებად წარუდგენს სეიმს.

პრეზიდენტი (გარდა იმ უფლებამოსილებებისა, რომელთა შესახებაც ხელისუფლების თითოეულ განშტოებასთან მიმართებაში ზემოთ მიმოვიხილეთ) როგორც სახელმწიფოს მეთაური ფლობს სხვა უფლებამოსილებებსაც. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პრეზიდენტი **წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში.** რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და დენონსირებას; ნიშნავს და ათავისუფლებს პოლონეთის რესპუბლიკის უფლებამოსილ წარმომადგენლებს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში; იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აკრედიტებული ელჩების რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს. **პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.** იგი მშვიდობიან პერიოდში შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს ეროვნული თავდაცვის მინისტრის მეშვეობით. პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება **რეფერენდუმის დანიშვნა,** აგრეთვე, **საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება სეიმის თანხმობით; შეწყალება, ჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინიჭება და ა. შ.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1997 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა მცირე კონსტიტუციის გამოცდილება და პრეზიდენტი არ აქცია აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნულ მეთაურად. იგი მთელი რიგი უფლებების განხორციელებაში შეზღუდულია კონტრასიგნების მექანიზმით. თუმცა, კონსტიტუციით, პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილება არ საჭიროებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერას. კონსტიტუციის 144-ე მუხლის მე-3 პუნქტში ზუსტად არის რეგლამენტირებული, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის კონსტიტუცია აფართოებს იმ საკითხთა წრეს, რომლებიც კონტრასიგნებას საჭიროებს. თუ მცირე კონსტიტუციის მიხედვით მეორე ხელმოწერას მხოლოდ სამართლებრივი აქტები საჭიროებდა, 1997 წლის კონსტიტუციის თანახმად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერას საჭიროებს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ყველა აქტი, გარდა იმ 30 აქტისა, რომელიც numerus clauses-ის[11] პრინციპით არის მოცემული კონსტიტუციის 144-ე მუხლის მე-3 პუნქტში. კონსტიტუციის თანახმად, მეორე ხელმოწერის უფლებით აღჭურვილია მხოლოდ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რითაც ხაზი აქვს გასმული მის მნიშვნელოვან დამოუკიდებლობასა და წამყვან როლს მინისტრთა საბჭოში. თავმჯდომარისათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებასთან ერთად, კანონმდებლებმა გაზარდეს ასევე მისი პასუხისმგებლობა სეიმის წინაშე და კონსტიტუციით

---

11. numerus clauses - დახურული რიცხვთა კანონი. ნიშნავს რაიმეს ამომწურავ ჩამონთვალს

განსაზღვრეს უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის არსებობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ **სეიმი მინისტრთა საბჭოსათვის უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად განცხადებაში უთითებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას.** თუ სეიმმა მიიღო დადგენილება მინისტრთა საჭოსათვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე, მაშინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს მინისტრთა საბჭოს გადადგომას და ნიშნავს სეიმის მიერ არჩეულ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და მისივე წინადადებით, მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებს.

იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების სხვა შტოებისაგან დამოუკიდებლობით ხასიათდება, პრეზიდენტის უფლებამოსილება ხელისუფლების ამ შტოსთან მიმართებით მხოლოდ მოსამართლეთა დანიშვნით ამოიწურება.

პრეზიდენტის ინსტიტუტი 1997 წლის კონსტიტუციაში წარმოადგენს იმ პოლიტიკური პრაქტიკისა და კონსტიტუციონალიზმის თეორიის შეიდწლიანი გამოცდილების შედეგს, რომელიც პოლონეთის რესპუბლიკამ 1989 წლის შემდეგ დააგროვა. უდავოა, რომ კონსტიტუციის შემუშავებისას უპირატესობა მიენიჭა საპარლამენტო მმართველობას, თუმცა საპრეზიდენტო მმართველობის იდეა ბოლომდე არ იქნა უარყოფილი, რამაც გამოიწვია პოლონეთის რესპუბლიკის შერეული მმართველობის ტიპის ჩამოყალიბება და იგი 1997 წლის კონსტიტუციით ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა.

გ) სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენს ხელისუფლების დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან განშტოებას. მას აქვს დამბალანსებელი ფუნქცია ხელისუფლების სხვა განშტოებებს შორის. იგი ადამიანებს იცავს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოების სხვა წევრთა ძალადობისა და თვითნებობისაგან, არეგულირებს სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობებს და ა.შ.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. მისი დამოუკიდებლობა წარმოდგენს სამართლიანი გადაწყვეტილების გარანტს. თუმცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მის განცალკევებას ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. ბუნებრივია, მათ შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება და იგი ხელისუფლების სხვა დანარჩენი შტოების გავლენას განიცდის. მაგალითად, სასამართლოების სისტემას, მათ ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი, მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ. მათი დამოუკიდებლობის გარანტიებს უზრუნველყოფს საკანონმდებლო ხელისუფლება, ეს უკანასკნელი წყვეტს მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხს და ა. შ.

პოლონეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოები. სპეციალური სასამართლოების შექმნა და დაჩქარებული სამართალწარმოების შემოღება შესაძლებელია მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს. სასამართლო ხელისუფლებაში პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით არის ფუნქციონირების ვერტიკალური კონტროლის

სისტემა, ანუ შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციებში. კონსტიტუციის 176-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლო სამართალწარმოება მოიცავს სულ მცირე ორ ინსტანციას." საერთო სასამართლოების უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს უზენაესი სასამართლო, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოების — უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო. მოსამართლეები ინიშნებიან პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პოლონეთის სასამართლო საბჭოს წინადადების საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით. პოლონეთის რესპუბლიკის სასამართლო საბჭოსაც ძირითადად პრეზიდენტი აკომპლექტებს. უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოების პირველი თავმჯდომარეებიც პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთის სასამართლო სისტემის ფორმირება პრეზიდენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს.

სასამართლო ხელისუფლების მეტად მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს — **საკონსტიტუციო ტრიბუნალი,** რომელსაც პოლონეთში დიდი ისტორია აქვს. „ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებს შორის პირველი საკონსტიტუციო სასამართლო პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალი იყო. ეს არ იყო უბრალო შემთხვევითობა. პროფესიულმა კავშირმა "სოლიდარობამ", რომელიც სოციალიზმის საბოლოო კრახის იდეის სტიმულის მიმცემი იყო, სხვა დემოკრატიული ძალების ხელშეწყობით ბიძგი მისცა პოლონეთში ასეთი ტრიბუნალის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ 1981 წელს „სოლიდარობა" დაიშალა, მისმა საქმიანობამ, რომელსაც წინ უსწრებდა სხვა რეფორმატორთა შრომაც, ნაყოფი გამოიღო. 1985 წელს სოციალისტურ იმპერიაში პირველი საკონსტიტუციო სასამართლო ჩამოყალიბდა. აღნიშნული ტრიბუნალი 1986 წლის პირველი იანვრიდან 1997 წლის ოქტომბრამდე ფუნქციონირებდა. 1997 წლის აპრილის კონსტიტუციით, რომელიც 1997 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, იგი კიდევ უფრო მძლავრ ტრიბუნალად გადაიქცა."[12] მას თავიდან ძირითადად სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა უწევდა. 1990-97 წლებში ტრიბუნალმა რამდენიმე ათეული საკითხი განიხილა სოციალურ საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით იგი მეტად რთულ ვითარებაში იმყოფებოდა, რადგან ერთი მხრივ — სოციალური უფლებებით გაჯერებული კონსტიტუციური ნორმების დაცვა უწევდა, ხოლო მეორე მხრივ კი — მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება. საკონსტიტუციო ტრიბუნალს პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ორი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია:

1. იერარქიულად ქვემდგომ საკანონმდებლო აქტების შესაბამისობის დადგენა იერარქიულად ზემდგომ საკანონმდებლო აქტებთან;

2. გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკური პარტიების მიზნებისა და საქმიანობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი შედგება 15 მოსამართლისაგან. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სასამართლო ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში გარკვეული ბალანსის ერთგვარ გამოხატულე-

---

12. ქრისტინ შეარი; კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; თბ. 2003. გვ. 101.

ბას წარმოადგენს ისიც, რომ საკონსტიტუციო ტრიბუნალის წევრები, განსაზვავებით ზემოთჩამოთვლილი სასამართლოს მოსამართლეებისაგან, ინიშნებიან სეიმის მიერ.

პოლონეთის რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლების სისტემაში არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სასამართლო ორგანო - **სახელმწიფო ტრიბუნალი.** იგი სეიმის მიერ არჩეული 19 წევრისაგან შედგება. სახელმწიფო ტრიბუნალი უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციისა და კანონების დაცვის ერთგვარ გარანტს წარმოდგენს. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 198-ე მუხლი ზუსტად განსაზღრავს იმ თანამდებობის პირებს, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხსაც იხილავს სახელმწიფო ტრიბუნალი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ პირთა მიერ კონსტიტუციისა და კანონების დარღვევა სახელმწიფო ტრიბუნალის ქვემდებარეა, მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევა თანამდებობრივ უფლებამოსილების განხორციელებასთან არის დაკავშირებული.

ადგილობრივი თვითმმართველობა, მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია და განხორციელების გარანტიები დამოკიდებულია ქვეყანაში დემოკრატიის, საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონეზე. ადგილობრივ თვითმმართველობას ეთმობა პოლონეთის კონსტიტუციის VII თავი. პოლონეთის რესპუბლიკა წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს. როგორც კონსტიტუციის 164-ე მუხლიდან ირკვევა, ადგილი აქვს ერთსაფეხურიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას. პოლონეთის რესპუბლიკის უნიტარიზმი შედარებით დეცენტრალიზებულია, ვინაიდან ადგილობრივ ერთეულებს აქვთ თავიანთი არჩევითი ორგანოები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს უწოდებენ და რომელთაც ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციები ეკისრებათ. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები მოქმედებენ კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში. კონსტიტუციის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოების არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ხოლო აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისა და გადაყენების წესსა და პრინციპებს აწესრიგებს კანონი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს გააჩნიათ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. პოლონეთის კონსტიტუციის თანახმად საკუთარია ისეთი უფლებამოსილება, რომელიც თვითმმართველი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ხოლო დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, თუ ამას სახელმწიფოს დასაბუთებული საჭიროება მოითხოვს, კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს შეიძლება სხვა საჯარო ამოცანების შესრულება დაეკალოს. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში თვითონ ადგენენ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობას. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს აქვთ შემოსავლის ორი წყარო: საკუთარი და საჯარო. მათი ამოცანებისა და კომპეტენციების ცვლილება იმავდროულად იწვევს საჯარო შემოსავლების განაწილების შესაბამის ცვლილებას.

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიღებულია ეროვნული კრების მიერ
1997 წლის 2 აპრილს

ვზრუნავთ რა ჩვენი სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე,
მას შემდეგ რაც 1989 წელს კვლავ მოვიპოვეთ შესაძლებლობა, სუვერენულად და დემოკრატიულად განვსაზღვროთ ჩვენი სამშობლოს ბედი,
ჩვენ, პოლონელი ხალხი, რესპუბლიკის ყველა მოქალაქე,
ვისაც სწამს ღმერთის — როგორც ჭეშმარიტების, სამართლიანობის, სიკეთისა და სილამაზის წყაროსი,
ასევე ისინი, რომლებიც არ იზიარებენ ამ რწმენას და უნივერსალური ღირებულებების წყაროდ მიიჩნევენ სხვა რამეს,
ჩვენ ყველა, გათანაბრებულნი უფლებებსა და მოვალეობებში საერთო სიკეთის — პოლონეთის მიმართ,
წინაპრების მადლიერნი მათი შრომისათვის, ბრძოლისათვის, დიდი მსხვერპლის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობისათვის, ასევე კულტურისათვის, რომელიც ხალხის ქრისტიანული მემკვიდრეობიდან და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიდან იღებს სათავეს,
პირველი და მეორე რესპუბლიკის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელნი,
ვალდებულნი, გადავცეთ მომავალ თაობას ყოველივე ღირებული, რაც ათასწლოვანი მემკვიდრეობიდან მივიღეთ,
დაკავშირებულნი ერთობის გრძნობით მთელ მსოფლიოში გაფანტულ ჩვენს თანამემამულეებთან,
გათვითცნობიერებულნი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობის საჭიროებით,
იმ პერიოდის გამოცდილების გათვალისწინებით, როცა ჩვენს სამშობლოში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ირღვეოდა,
სამოქალაქო უფლებების დაცვისა და საჯარო ინსტიტუტების საქმიანობის კეთილსინდისიერებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით,
ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე პასუხისმგებლობის სრული შეგრძნებით,
ვიღებთ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას,
როგორც სახელმწიფოს ძირითად კანონს.

იგი ეფუძნება თავისუფლებისა და სამართლიანობის პატივისცემას, საზოგადოებრივ დიალოგში ხელისუფლებათა თანამშრომლობას, აგრეთვე სუბსიდიურობის პრინციპს, განამტკიცოს მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების უფლებები.

ყველასაგან, ვინც ამ კონსტიტუციას მესამე რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის გამოიყენებს, ვითხოვთ, დაიცვან ადამიანების ღირსება, მათი თავისუფლების უფლება, სხვა ადამიანებთან მათი სოლიდარობის ვალდებულება და მიიჩნიონ აღნიშნული პრინციპების დაცვა პოლონეთის რესპუბლიკის ძირითად საფუძვლად.

თავი I. რესპუბლიკა

მუხლი 1

პოლონეთის რესპუბლიკა არის სახელმწიფოს ყველა მოქალაქის საერთო მონაპოვარი.

მუხლი 2

პოლონეთის რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც სოციალური სამართლიანობის პრინციპებს ახორციელებს.

მუხლი 3

პოლონეთის რესპუბლიკა არის უნიტარული სახელმწიფო.

მუხლი 4

1. უმაღლესი ხელისუფლება პოლონეთის რესპუბლიკაში ეკუთვნის ხალხს.

2. ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს წარმომადგენლების მეშვეობით ან უშუალოდ.

მუხლი 5

პოლონეთის რესპუბლიკა, ხელმძღვანელობს რა პროპორციული განვითარების პრინციპით, იცავს თავისი ტერიტორიის დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას, უზრუნველყოფს ადამიანებისა და მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე სახელმწიფოს მოქალაქეთა უსაფრთხოებას, იცავს ეროვნულ მემკვიდრეობას და უზრუნველყოფს გარემოს დაცვას.

მუხლი 6

1. პოლონეთის რესპუბლიკა ქმნის კულტურის განვითარებისა და მისი თანაბარი, საყოველთაო ხელმისაწვდომობის პირობებს. კულტურა პოლონელი ხალხის იდენტურობის, მისი შენარჩუნებისა და განვითარების წყაროს წარმოადგენს.

2. პოლონეთის რესპუბლიკა დახმარებას უწევს საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებს, რათა შენარჩუნებულ იქნას მათი კავშირი ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობასთან.

მუხლი 7

საჯარო ხელისუფლების ორგანოები მოქმედებენ კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში.

მუხლი 8

1. კონსტიტუცია წარმოადგენს პოლონეთის რესპუბლიკის უზენაეს კანონს.

2. კონსტიტუციის ნორმები მოქმედებენ უშუალოდ თუ კონსტიტუცია სხვა წესს არ ითვალისწინებს.

მუხლი 9

პოლონეთის რესპუბლიკა იცავს მისთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

მუხლი 10

1. პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობა ეფუძნება ხელისუფლების დანაწილებასა და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანასწორობას.

2. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი და სენატი, აღმასრულებელ ხელისუფლებას — პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას — სასამართლოები და ტრიბუნალები.

მუხლი 11

1. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლებას. პოლიტიკური პარტიები პოლონეთის მოქალაქეებს აერთიანებენ ნებაყოფლობითობისა და თანასწორობის საფუძველზე სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზემოქმედების მიზნით.

2. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საჯაროა.

მუხლი 12

პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პროფესიული კავშირების, გლეხების საზოგადოებრივ-პროფესიული ორგანიზაციების, ამხანაგობების, მოქალაქეთა მოძრაობების, სხვა ნებაყოფლობითი გაერთიანებებისა და ფონდების დაარსებისა და განვითარების თავისუფლებას.

მუხლი 13

აკრძალულია ისეთი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც თავიანთ პროგრამებში ეყრდნობიან ნაციზმის, ფაშიზმისა და კომუნიზმის ტოტალიტარულ მეთოდებსა და პრაქტიკას. აკრძალულია აგრეთვე ისეთი პოლიტიკური პარტიების არსებობა, რომელთა პროგრამა ან საქმიანობა ითვალისწინებს ან უშვებს რასობრივ ან ეროვნულ სიძულვილს, ძალის გამოყენებას ძალაუფლების ხელში ჩაგდების, სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით ან სტრუქტურებისა და წევრობის გასაიდუმლოებას.

მუხლი 14

პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას.

მუხლი 15

1. პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას.

2. სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორიული დანაწევრება, რომელიც ითვალისწინებს არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს და რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიული ერთეულების ქმედითუნარიანობას საჯარო ამოცანების განხორციელებაში, მოწესრიგებულია კანონით.

მუხლი 16

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ერთეულის მოსახლეობა კანონის ძალით ქმნის თვითმმართველობით გაერთიანებას.

2. ადგილობრივი თვითმმართველობა მონაწილეობას იღებს საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში და კანონის ფარგლებში მისთვის დაკისრებულ საჯარო ფუნქციების არსებით ნაწილს ახორციელებს საკუთარი სახელითა და პასუხისმგებლობით.

მუხლი 17

1. კანონის საფუძველზე შესაძლებელია პროფესიული თვითმმართ-

ველობების შექმნა. პროფესიულ თვითმმართველობებს ქმნიან ის პირები, რომელთა პროფესიული საქმიანობა საჯარო ნდობაზეა დამოკიდებული და რომლებსაც საჯარო ინტერესის ფარგლებში და მის დასაცავად პროფესიული საქმიანობის განხორციელებაზე ზრუნვა ევალებათ.

2. კანონის საფუძველზე შესაძლებელია ასევე სხვა სახის თვითმმართველობების შექმნა. მათ არ აქვთ როგორც პროფესიული საქმიანობის თავისუფლების ხელყოფის, ასევე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თავისუფლების შეზღუდვის უფლება.

მუხლი 18

ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი, ოჯახი, დედობისა და მშობლობის უფლება, სარგებლობს პოლონეთის რესპუბლიკის დაცვითა და მფარველობით.

მუხლი 19

პოლონეთის რესპუბლიკა განსაკუთრებულად მფარველობს დამოუკიდებლობისათვის ომის ვეტერანებს, განსაკუთრებით კი — ომის ინვალიდებს.

მუხლი 20

სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კერძო საკუთრებასა და სოციალური პარტნიორების სოლიდარობას, დიალოგსა და თანამშრომლობას ეყრდნობა, პოლონეთის რესპუბლიკის ეკონომიკური წყობის საფუძველს წარმოადგენს.

მუხლი 21

1. პოლონეთის რესპუბლიკა იცავს საკუთრებას და მემკვიდრეობის უფლებას.

2. ექსპროპრიაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ იგი საჯარო მიზნებისა და სამართლიანი ანაზღაურებისთვის ხორციელდება.

მუხლი 22

ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 23

სახელმწიფოს აგრარული წყობის საფუძველს წარმოადგენს ოჯახური მეურნეობა. ეს პრინციპი არ არღვევს 21-ე და 22-ე მუხლების დებულებებს.

მუხლი 24

პოლონეთის რესპუბლიკა იცავს შრომის უფლებას. სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს შრომის პირობებზე.

მუხლი 25

1. ეკლესია და სხვა რელიგიური გაერთიანებები თანასწორუფლებიანნი არიან.

2. პოლონეთის რესპუბლიკაში საჯარო ხელისუფლება მიუკერძოებელია რელიგიურ, საზოგადოებრივ, მსოფლმხედველობრივ და ფილოსოფიურ საკითხებში და უზრუნველყოფს მათი გამოხატვის თავისუფლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3. სახელმწიფოსა და ეკლესიებს, ასევე სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობები ყალიბდება მათი ავტონომიურობისა და საკუთარ ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის, ასევე ადამიანებისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის თანამშრომლობის პრინციპების შესაბამისად.

4. პოლონეთის რესპუბლიკასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობები წესრიგდება რომის პაპთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კანონებით.

5. პოლონეთის რესპუბლიკასა და სხვა ეკლესიებს, ასევე რელიგიურ გაერთიანებეს შორის ურთიერთობები წესრიგდება მინისტრთა საბჭოს მიერ თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული კანონებით.

მუხლი 26

1. პოლონეთის შეიარაღებული ძალები ემსახურება სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, ასევე საზღვრების უსაფრთხოებისა და ურღვეობის უზრუნველყოფას.

2. შეიარაღებული ძალები ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს პოლიტიკურ საკითხებში და ექვემდებარებიან სამოქალაქო და დემოკრატიულ კონტროლს.

მუხლი 27

პოლონეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის პოლონური ენა. ეს ნორმა არ არღვევს ეროვნულ უმცირესობათა იმ უფლებებს, რომლებიც რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობენ.

მუხლი 28

1. პოლონეთის რესპუბლიკის გერბს წარმოადგენს გვირგვინიანი თეთრი არწივის გამოსახულება წითელ მდელოზე.

2. პოლონეთის რეპუბლიკის ფერებია თეთრი და წითელი.

3. პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნია დობროვსკის მაზურკა.

4. პოლონეთის რეპუბლიკის გერბი, ფერები და ჰიმნი ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას.

5. დეტალებს გერბის, ფერებისა და ეროვნული ჰიმნის თაობაზე განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 29

პოლონეთის რესპუბლიკის დედაქალაქია ვარშავა.

თავი II. ადამიანის და მოქალაქის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები ზოგადი პრინციპები

მუხლი 30

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელი და განუსხვისებელია. იგი წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების წყაროს. ადამიანის ღირსების პატივისცემა და დაცვა საჯარო ხელისუფლების მოვალეობაა.

მუხლი 31

1. ადამიანის თავსუფლება ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას.

2. ყველა მოვალეა, პატივი სცეს სხვათა უფლებებსა და მოვალეობებს. დაუშვებელია ადამიანის იძულება, გააკეთოს ის, რაც მას კანონით არ ევალება.

3. კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან გარემოს, ჯანმრთელობის, საყოველთაო მორალური პრინციპების ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამგვარმა შეზღუდვებმა არ უნდა ხელყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფ-

ლებების არსი.

მუხლი 32

1. ყველა თანასწორია კანონის წინაშე. ყველას აქვს საჯარო ხელისუფლების მხრიდან თანასწორი მოპყრობის უფლება.

2. დაუშვებელია რაიმე საფუძვლით ვინმეს დისკრიმინაცია პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ან ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მუხლი 33

1. ქალსა და კაცს პოლონეთის რესპუბლიკაში თანაბარი უფლებები აქვთ ოჯახში, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

2. ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლება აქვთ განათლების მიღების, დასაქმების და პროფესიული წინსვლისა; თანაბარი შრომის პირობებში თანაბარი ანაზღაურებისა, სოციალური უზრუნველყოფისა, ასევე თანამდებობის დაკავების, ფუნქციების შესრულებისა და საჯარო ჯილდოებისა და საპატიო წოდებების მიღებისა.

მუხლი 34

1. პოლონეთის მოქლაქეობა მოიპოვება დაბადებით, თუ მშობლები პოლონეთის მოქალაქეები არიან. პოლონეთის მოქალაქეობის მოპოვების სხვა შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. დაუშვებელია პოლონეთის მოქალაქის მიერ პოლონეთის მოქალაქეობის დაკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირი თვითონ იტყვის უარს მოქალაქეობაზე.

მუხლი 35

1. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პოლონელი მოქალაქეებისათვის, რომლებიც ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს განეკუთვნებიან, საკუთარი ენის შენარჩუნებისა და განვითარების თავისუფლებას, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და საკუთარი კულტურის განვითარებას.

2. ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს უფლება აქვთ, შექმნან საკუთარი საგანმანათლებლო, კულტურული და ისეთი დაწესებულებები, რომლებიც მათი რელიგიური იდენტურობის დაცვას ემსახურებიან. მათ ასევე უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მათ კულტურულ თვითმყოფადობას ეხება.

მუხლი 36

პოლონეთის რესპუბლიკა მფარველობს თავის მოქალაქეებს მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა.

მუხლი 37

1. ის, ვინც პოლონეთის რესპუბლიკის იურისდიქციას ექვემდებარება, სარგებლობს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებებითა და თავისუფლებებით.

2. ამ პრინციპიდან გამონაკლისს, რომელიც უცხოელებზე ვრცელდება, აწესრიგებს კანონი.

პირადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 38

პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიცოცხ-

ლის სამართლებრივ დაცვას.

მუხლი 39

არავინ უნდა დაექვემდებაროს სამეცნიერო, მათ შორის სამედიცინო ექსპერიმენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნებაყოფლობით გამოთქმულია თანხმობა.

მუხლი 40

დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება.

მუხლი 41

1. ყველასათვის უზრუნველყოფილია პირადი ხელშეუხებლობა და თავისუფლება. თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ მასში მითითებული პრინციპებისა და წესის შესაბამისად.

2. ყოველ ადამიანს, რომელსაც თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე შეეზღუდა, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს მისთვის თავისუფლების აღკვეთის კანონიერების დასადგენად. თავისუფლების აღკვეთის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ოჯახს ან დაკავებულის მიერ დასახელებულ პირებს.

3. ყველა დაკავებულს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგები ფორმით უნდა ეცნობოს დაკავების საფუძვლების შესახებ. დაკავებული უნდა წარედგინოს სასამართლოს დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას პირისათვის ბრალის წაყენებისა და დროებითი დაპატიმრების თაობაზე, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს ჰუმანური მოპყრობის უფლება.

5. ყველა ადამიანს, რომელსაც თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 42

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვინც დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს. ეს პრინციპი ხელს არ უშლის იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს იმ ქმედებებისთვისაც, რომელიც დანაშაულად ითვლება საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

2. ყოველ პირს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, შეუძლია, ისარგებლოს დაცვის უფლებით პროცესის ყველა სტადიაზე. მას ასევე უფლება აქვს, აირჩიოს დამცველი ან კანონით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად ისარგებლოს დანიშვნითი დამცველის (სავალდებულო) მომსახურებით.

3. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

მუხლი 43

ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებს.

მუხლი 44

ხანდაზმულობის ვადის დენა უშუალოდ საჯარო თანამდებობის პირების მიერ ან მათი დავალებით ჩადენილი დანაშაულებების მიმართ, რომლებიც პოლიტიკური საფუძვლების გამო არ იდევნებოდა, ჩერდება აღნიშნული საფუძვლების მოქმედების შეწყვეტამდე.

მუხლი 45

1. ყველას აქვს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება, რომელიც მის საქმეს ზეპირი მოსმენის გზით, დაუსაბუთებელი გაწელვის გარეშე, სამართლიანად განიხილავს.

2. სხდომის დახურვა შესაძლებელია, თუ ეს აუცილებელია მორალური პრინციპების, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის, ასევე მხარეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი ინტერესების დასაცავად. სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

მუხლი 46

ქონების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 47

ყველას აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების, ქორწინებისა და რეპუტაციის სამართლებრივი დაცვის, ასევე პირადი ცხოვრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

მუხლი 48

1. მშობლებს უფლება აქვთ, აღზარდონ შვილები საკუთარი შეხედულების მიხედვით. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის სიმწიფის დონე, მისი სინდისისა და რწმენის თავისუფლება, მისი შეხედულებები.

2. მშობლის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 49

კომუნიკაციის თავისუფლება და მისი საიდუმლოების დაცვა უზრუნველყოფილია. მათი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით.

მუხლი 50

ბინის ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია. ბინის, სხვა სახის სადგომის ან ტრანსპორტის ჩხრეკა შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული ფორმით.

მუხლი 51

1. არავინ არის ვალდებული, გამოააშკარაოს ცნობები საკუთარი პიროვნების შესახებ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საჯარო ხელისუფლებას უფლება არა აქვს, მიიღოს, შეაგროვოს ან ხელმისაწვდომი გახადოს მოქალაქეების შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის არის აუცილებელი.

3. ყველას აქვს მასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტებისა

და მონაცემების გაცნობის უფლება. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

4. ყველას აქვს მასზე არსებული მცდარი, არასრული ან არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის შესწორების ან გაუქმების მოთხოვნის უფლება.

5. ინფორმაციის შეკრებისა და მიწოდების ძირითად პრინციპებსა და წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 52

1. ყველას უზრუნველყოფილი აქვს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილისა და დროებითი ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლება.

2. ყველას აქვს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლება.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

4. დაუშვებელია პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქის სახელმწიფოდან გაძევება ან მისთვის სახელმწიფოში უკან დაბრუნების აკრძალვა.

5. პირს, რომლის პოლონური წარმომაელობა კანონის შესაბამისად იქნა დადგენილი, უფლება აქვს, მუდმივად დასახლდეს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხლი 53

1. ყველასათვის უზრუნველყოფილია სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

2. რელიგიის თავისუფლება გულისხმობს რელიგიის არჩევის ან აღიარების თავისუფლებას, ასევე საკუთარი რწმენის ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძო კულტისადმი თაყვანისცემით, ლოცვით ან ღვთისმსახურებით გამოხატვის თავისუფლებას. რელიგიის თავისუფლება გულისხმობს ასევე აკლდამებისა და მორწმუნეთათვის საჭიროების შესაბამისად სხვა საკულტო ადგილების ფლობას, ასევე მორწმუნეთა უფლებას, ისარგებლონ რელიგიური დახმარებით იქ, სადაც ისინი იმყოფებიან.

3. მშობლებს უფლება აქვთ, საკუთარი შეხედულების მიხედვით უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური განათლება და მორალური აღზრდა. 48-ე მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება შესაბამისად.

4. ეკლესიის ან სხვა სამართლებრივად აღიარებული რელიგიური გაერთიანების რელიგია შესაძლებელია ისწავლებოდეს სკოლაში, მაგრამ ამასთან არ უნდა დაირღვეს სხვა პირთა სინდისისა და რწმენის თავისუფლება.

5. რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სხვათა ჯანმრთელობის, მორალის ან უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

6. დაუშვებელია ვინმეს იძულება, მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებაში.

7. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს იძულება, გამოააშკარაოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები ან მრწამსი.

მუხლი 54

1. ყველასათვის უზრუნველყოფილია საკუთარი შეხედულებების გამოხატვის, ასევე ინფორმაციების მიღებისა და გავრცელების თავისუფლება.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინასწარი ცენზურა აკრძალულია, აგრეთვე — პრესის ლიცენზირება. კანონის საფუძველზე შეიძლება, დაწესდეს რადიო ან ტელესადგურის გამოყენებისათვის ლიცენზიის წინასწარი მიღების ვალდებულება.

მუხლი 55

1. დაუშვებელია პოლონეთის მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა.

2. დაუშვებელია იმ პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, რომელიც პოლიტიკური საფუძვლით ძალადობის გარეშე რაიმე დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი.

3. პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო.

მუხლი 56

1. უცხოელები პოლონეთში კანონით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით.

2. დევნილ უცხოელს, რომელიც პოლონეთის რესპუბლიკაში ეძებს თავშესაფარს, დევნილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პოლონეთის რესპუბლიკისათვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 57

ყველასათვის უზრუნველყოფილია მშვიდობიანი შეკრების მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების თავისუფლება. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მუხლი 58

1. ყველასათვის უზრუნველყოფილია კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების თავისუფლება.

2. აკრძალულია ისეთი კავშირების არსებობა, რომელთა მიზანი ან საქმიანობა კონსტიტუციას ან კანონს ეწინააღმდეგება. ამგვარი კავშირების რეგისტრაციაზე უარის თქმის ან მათი საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

3. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი კავშირები ექვემდებარება სასამართლო რეგისტრაციას, ასევე რეგისტრაციის წესსა და ამგვარ კავშირებზე კონტროლის განხორციელების ფორმებს.

მუხლი 59

1. ყველასათვის უზრუნველყოფილია პროფესიულ კავშირებში, მიწათმოქმედთა სოციალურ-პროფესიულ და დამქირავებელთა ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლება.

2. პროფესიულ კავშირებსა და დამქირავებლებს, ასევე მათ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, აწარმოონ მოლაპარაკებები, კერძოდ კი, გადაწყვიტონ კოლექტიური დავები და დადონ შრომითი ან სხვა სახის ხელშეკრულებები.

3. პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ მოაწყონ დაქირავებული მუშახელის გაფიცვები და სხვა საპროტესტო აქციები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაფიცვის უფლების შეზღუდვა კანონის საფუძველზე ან მისი აკრძალვა განსაზღვრული კატეგორიის დაქირავებული მუშახელისთვის ან განსაზღვრულ სფეროებში.

4. პროფესიულ კავშირებსა და დამქირავებელთა ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლების ფარგლები, აგრეთვე სხვა კავშირებში გაერთიანების თავისუფლება შესაძლებელია დაექვემდებაროს ისეთ კანონიერ შეზღუდვებს, რომლებიც დასაშვებია პოლონეთის რესპუბლიკის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მუხლი 60

პოლონეთის რესპუბლიკის ყველა იმ მოქალაქეს, რომლებიც სამოქალაქო უფლებებით სრულად სარგებლობენ, აქვთ საჯარო სამსახურში დასაქმების თანაბარი უფლება.

მუხლი 61

1. პოლონეთის მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის შესახებ. ეს უფლება გულისხმობს ასევე ინფორმაციის მიღებას სამეურნეო და პროფესიული თვითმმართველობის ორგანოების, ასევე სხვა პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, თუ ისინი საჯარო ხელისუფლების დავალებებს ასრულებენ და კომუნალური ან სახელმწიფო ქონებით სარგებლობენ.

2. ინფორმაციის მიღების უფლება გულისხმობს ასევე დოკუმენტების ხელმისაწვდომობასა და საყოველთაო არჩევნების გზით შექმნილი საჯარო ხელისუფლების კოლეგიური ორგანოების სხდომებზე დასწრების უფლებას, ასევე ამგვარ სხდომებზე ვიდეო-აუდიო ჩაწერის შესაძლებლობას.

3. პირველ და მეორე პუნქტებში მოცემული უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სხვა პირთა და სამეურნეო სუბიექტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების ან სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესის დაცვას ემსახურება.

4. პირველ და მეორე პუნქტებში დასახელებული ინფორმაციების მიღების წესს განსაზღვრავს კანონი, ხოლო სეიმთან და სენატთან მიმართებაში - მათი რეგლამენტი.

მუხლი 62

1. პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, აირჩიოს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, დეპუტატები, სენატორები და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, თუ მას, არაუგვიანეს არჩევნების დღისა შეუსრულდა 18 წელი.

2. რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არა აქვთ იმ პირებს, რომლებიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუუნაროდ არიან აღიარებულნი ან რომელთაც ჩამოერთვათ საჯარო უფლებები ან არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 63

ყველას აქვს უფლება, საკუთარი, საზოგადოებრივი ან მათი თანხმობით,

სხვა პირთა ინტერესებიდან გამომდინარე, პეტიციებით, განცხადებებითა და საჩივრებით მიმართოს საჯარო ხელისუფლების ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციის სფეროში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 64

1. ყველას აქვს საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებები, ასევე მემკვიდრეობის უფლება.

2. საკუთრების უფლება, სხვა სანივთო უფლებები და მემკვიდრეობის უფლება ყველასათვის თანაბარ სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება.

3. საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ შეილახება საკუთრების უფლების არსი.

მუხლი 65

1. ყველას აქვს პროფესიის, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა და სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება. გამონაკლისი შემთხვევები განისაზღვრება კანონით.

2. შრომითი ვალდებულების დაწესება შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

3. აკრძალულია 16 წლამდე ბავშვების მუდმივი შრომითი დასაქმება. დასაშვები საქმიანობის ფორმებსა და ხასიათს განსაზღვრავს კანონი.

4. შრომის მინიმალურ ანაზღაურება ან მინიმალური ანაზღაურების დადგენის წესი განსაზღვრება კანონით.

5. საჯარო ხელისუფლება ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია სრული, პროდუქტიული დასაქმება. ამ მიზნით იგი ახორციელებს პროგრამებს უმუშევრობის დასაძლევად, ორგანიზებას უკეთებს და ხელს უწყობს პროფესიულ კონსულტაციასა და განათლებას, ასევე საჯარო და ინტერვენციულ შრომას.

მუხლი 66

1. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს შრომის უსაფრთხო და ჰიგიენური პირობები. ამ უფლების განხორციელების წესს, ასევე დასაქმებულთა მოვალეობებს განსაზღვრავს კანონი.

2. მუშა-მოსამსახურეს უფლება აქვს, ისარგებლოს კანონით განსაზღვრული დასვენების დღეებითა და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით. სამუშაო დროის მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 67

1. პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქეს ავადმყოფობით, ინვალიდობით ან საპენსიო ასაკის მიღწევით გამოწვეული შრომისუუნარობის შემთხვევებში აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება. სოციალური უზრუნველყოფის ფორმებსა და ფარგლებს აწესრიგებს კანონი.

2. პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც საკუთარი ნების გარეშე დარჩება უმუშევარი და რომელსაც არსებობის სხვა საშუალება არ

გააჩნია, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება, რომლის ფარგლებსა და ფორმებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 68

1. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

2. მოქალაქეებისათვის, მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის თანაბარ პირობებს, რაც სახელმწიფო სახსრებიდან ფინანსდება. სამედიცინო მომსახურების გაწევის პირობებსა და ფარგლებს განსაზღვრავს კანონი.

3. საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, განსაკუთრებული დაცვით უზრუნველყოს ბავშვები, ორსულები, ინვალიდები და მოხუცები.

4. საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, ებრძოლოს ეპიდემიურ დაავადებებს და თავიდან აიცილოს გარემოს დაბინძურების ზემოქმედება ჯანმრთელობაზე.

5. საჯარო ხელისუფლება ხელს უწყობს სპორტის განვითარებას, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის.

მუხლი 69

საჯარო ხელისუფლება ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანებს დახმარებას უწევს საარსებო პირობების უზრუნველყოფაში, შრომისათვის მომზადებასა და დასაქმებაში, ასევე საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

მუხლი 70

1. ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სასკოლო განათლების მიღება 18 წლამდე სავალდებულოა. სასკოლო ვალდებულებათა შესრულების წესს განსაზღვრავს კანონი.

2. სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა. კანონით შეიძლება დაშვებული იქნეს ზოგიერთი სახის სახელმწიფო სკოლებში ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

3. მშობლებს უფლება აქვთ, სახელმწიფო სკოლის გარდა თავიანთი შვილებისათვის აირჩიონ სხვა სკოლა, მოქალაქეებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ, დააარსონ საბაზო, საშუალო და უმაღლესი სკოლები, ასევე აღმზრდელობითი დაწესებულებები. არასახელმწიფო სკოლების დაარსების, მათი საქმიანობის პირობებსა და სახელმწიფოს მონაწილეობას მათ დაფინანსებაში, ასევე სკოლებსა და აღმზრდელობით დაწესებულებებზე პედაგოგიური კონტროლის განხორციელების პრინციპებს განსაზღვრავს კანონი.

4. საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოფს სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის საყოველთაო და თანაბარ პირობებს. ამ მიზნით იქმნება მოსწავლეებისა და სტუდენტების ინდივიდუალური ფინანსური და ორგანიზაციული დახმარების სისტემა. დახმარების გაწევის პირობებს განსაზღვრავს კანონი.

5. უმაღლესი სკოლების ავტონომიურობა უზრუნველყოფილია კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 71

1. სახელმწიფო თავისი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას ითვალისწინებს ოჯახის კეთილდღეობას. ოჯახებს, რომლებიც მძიმე მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხოლო მრავალშვილიან ოჯახებსა და მარტოხელა მშობლებს, აქვთ განსა-

კუთრებული სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება.

2. დედას, როგორც ბავშვის დაბადებამდე, ისე მისი დაბადების შემდეგ, აქვს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დახმარების მიღების უფლება, რომლის ფარგლებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 72

1. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას. ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ხელისუფლების ორგანოებისაგან ბავშვის დაცვა ძალადობის, სისატიკის, ექსპლუატაციისა და დემორალიზაციისაგან.

2. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვს აქვს საჯარო ხელისუფლების მხრიდან მზრუნველობისა და დახმარების მიღების უფლება.

3. საჯარო ხელისუფლების ორგანოები, ასევე ბავშვზე პასუხიმგებელი პირები ბავშვთა უფლებების დადგენისას, მოვალენი არიან, მოისმინონ და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ ბავშვის აზრი.

4. კანონი განსაზღვრავს ბავშვის უფლებების დამცველის დანიშვნის პირობებსა და მის უფლებამოსილებას.

მუხლი 73

ყველასათვის უზრუნველყოფილია მხატვრული შემოქმედების, სამეცნიერო კვლევებისა და მისი შედეგების გამოქვეყნების თავისუფლება, ასევე სწავლებისა და კულტურული ფასეულობებით სარგებლობის თავისუფლება.

მუხლი 74

1. საჯარო ხელისუფლება ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც თანამედროვე და მომავალი თაობისათვის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

2. გარემოს დაცვა საჯარო ხელისუფლების მოვალეობაა.

3. ყველას აქვს გარემოს მდგომარეობისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.

4. საჯარო ხელისუფლება ხელს უწყობს მოქალაქეთა საქმიანობას გარემო პირობების დასაცავად და გასაუმჯობესებლად.

მუხლი 75

1. საჯარო ხელისუფლება ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მხარს უჭერს მოქალაქეების ბინებით უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ეწინააღმდეგება უსახლკარობას, ხელს უწყობს სოციალური მშენებლობის განვითარებას, ასევე ახალისებს მოქალაქეთა მიზანსწრაფვას, მიიღონ საკუთარი ბინები.

2. ბინის მაძიებელთა უფლებები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 76

საჯარო ხელისუფლება იცავს მომხმარებლებსა და დამქირავებლებს იმ ქმედებებისაგან, რომლებიც მათ ჯანმრთელობას, პირად ცხოვრებასა და უსაფრთხოებას ემუქრება, ასევე იმ არაკეთილსინდისიერი ქმედებებისაგან, რომლებიც ბაზარზე გამოიყენება. დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს კანონი.

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საშუალებები

მუხლი 77

1. ყველას აქვს საჯარო ხელისუფლების ორგანოს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

2. დაუშვებელია, კანონის საფუძველზე ხელი შეეშალოს ვინმეს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 78

დავაში მონაწილე ყოველ მხარეს უფლება აქვს, გაასაჩივროს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა. გამონაკლისს ამ პრინციპიდან, ასევე გასაჩივრების წესს აწესრიგებს კანონი.

მუხლი 79

1. კონსტიტუციით მოწესრიგებული პრინციპების საფუძველზე, ყველას, ვისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებებიც შეილახა, უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლოში, რათა შემოწმდეს იმ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, რომლის საფუძველზეც სასამართლომ ან საჯარო ხელისუფლების ორგანომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო კონსტიტუციაში გათვალისწინებული უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების თაობაზე.

2. პირველი პუნქტის დებულება არ ეხება იმ უფლებებს, რომლებიც 56-ე მუხლშია მოცემული.

მუხლი 80

ყველას აქვს უფლება, კანონში მითითებული პრინციპების საფუძველზე მიმართოს სამოქალაქო უფლებათა დამცველს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, რომლებიც საჯარო ხელისუფლების მიერ დარღვა.

მუხლი 81

უფლებები, რომლებიც მოცემულია 65-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში, 66-ე, 69-ე, 71-ე და 74-76-ე მუხლებში, შეიძლება დაცულ იქნეს კანონში მითითებულ ფარგლებში.

მოვალეობები

მუხლი 82

პოლონეთის რესპუბლიკისადმი ერთგულება და საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ყოველი პოლონელი მოქალაქის მოვალეობაა.

მუხლი 83

ყველა მოვალეა, დაიცვას პოლონეთის რესპუბლიკის უფლება.

მუხლი 84

ყველას ეკისრება კანონით განსაზღვრული საჯარო მოვალეობების, მათ შორის ბეგარისა და სხვა გადასახადების გადახდის ვალდებულება.

მუხლი 85

1. სამშობლოს დაცვა ყველა პოლონელი მოქალაქის მოვალეობაა.

2. სამხედრო ვალდებულების ფარგლებს განსაზღვრავს კანონი.

3. სახელმწიფოს მოქალაქეს, რომლის რელიგიური შეხედულებები ან მორალური პრინციპები არ აძლევს მას სამხედრო ვალდებულების მოხდის შესაძლებლობას, შეიძლება, დაეკისროს ალტერნატიული სამსახურის მოხდის ვალდებულება კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 86

გარემოს დაცვა ყოველი ადამიანის მოვალეობაა. ისინი პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ გამოწვეული გარემოს მდგომარეობის გაუარესების გამო. ამგვარი პასუხისმგებლობის პრინციპებს განსაზღვრავს კანონი.

თავი III. სამართლის წყაროები

მუხლი 87

1. პოლონეთის რესპუბლიკის ზოგადსავალდებულო ძალის მქონე წყაროებია: კონსტიტუცია, კანონები, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და დადგენილებები.

2. ადგილობრივი სამართლის აქტები წარმოადგენენ პოლონეთის რესპუბლიკის ზოგადსავალდებულო ძალის მქონე სამართლის წყაროებს იმ ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელმა ორგანომაც ისინი მიიღო.

მუხლი 88

1. კანონები, დადგენილებები, ასევე ადგილობრივი სამართლის აქტები კანონიერ ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

2. ნორმატიული აქტების გამოქვეყნების პრინციპებსა და წესს განსაზღვრავს კანონი.

3. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიცირება კანონით განსაზღვრულ თანხმობას საჭიროებს, ქვეყნდება იმ წესის შესაბამისად, რომელიც კანონის გამოქვეყნებისათვის არის დადგენილი. სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოქვეყნების პრინციპებს აწესრიგებს კანონი.

მუხლი 89

1. პოლონეთის რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და დენონსაცია საჭიროებს კანონით გათვალისწინებულ წინასწარ თანხმობას, თუ ხელშეკრულება ეხება შემდეგ საკითხებს:

1) მშვიდობას, კავშირებს, პოლიტიკურ ან სამხედრო შეთანხმებებს;

2) მოქალაქეთა კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს, თავისუფლებებს ან მოვალეობებს;

3) პოლონეთის რესპუბლიკის წევრობას საერთაშორისო ორგანიზაციაში;

4) სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფინანსურ ვალდებულებებს;

5) კანონით გათვალისწინებულ საკითხებს ან იმ საკითხებს, რომელთა თაობაზეც კონსტიტუცია კანონის მიღებას ითხოვს;

2. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სეიმს უნდა აცნობოს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციისათვის წარდგენის განზრახვის შესახებ, რომელიც კანონით გათვალისწინებულ თანხმობას არ საჭიროებს.

3. საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკაციისა და დენონსაციის პრინციპებსა და წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 90

1. პოლონეთის რესპუბლიკას საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე შეუძლია, საერთაშორისო ორგანიზაციას ან საერთაშორისო ორგანოს გარკვეულ საკითხებში გადასცეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენცია.

2 კანონი, რომლითაც სეიმი იძლევა თანხმობას პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, სეიმის მიერ მიიღება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს სეიმის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც და სენატის ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, სადაც ასევე უნდა ესწრებოდეს სენატორების სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი.

3. ამგვარი ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის თანხმობის მიღება შესაძლებელია ასევე 125-ე მუხლით გათვალისწინებული რეფერენდუმის მეშვეობით.

4. დადგენილება იმის თაობაზე, თუ რა ფორმით უნდა იქნას გამოხატული თანხმობა რატიფიკაციაზე, მიღებულ უნდა იქნას სეიმის მიერ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი.

მუხლი 91

1. რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება "პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა ჟურნალში" („Dziennik Ustav Rzeczuypolitej Polskiej") გამოქვეყნების შემდეგ ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი და გამოიყენება უშუალოდ თუ მისი გამოყენება არ საჭიროებს კანონის მიღებას.

2. საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის რატიფიკაცია კანონით გათვალისწინებულ წინასწარ თანხმობას საჭიროებს, კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს.

3. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კანონი გამოიყენება უშუალოდ და კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, თუ იგი პოლონეთის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელ ხელშეკრულებას წარმოადგენს.

მუხლი 92

1. დადგენილებები მიიღება კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოების მიერ კანონით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილების საფუძველზე და მათი განხორციელების მიზნით. უფლებამოსილებით უნდა განისაზღვროს დადგენილების გამომცემი კომპეტენტური ორგანო და იმ საკითხთა წრე, რომელიც მას მოსაწესრიგებლად გადაეცა, ასევე დირექტივები, რომლებიც სამართლებრივი აქტის შინაარსს ეხება.

2. დადგენილების გამომცემ უფლებამოსილ ორგანოს არ შეუძლია, პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციების სხვა ორგანოებისათვის გადაცემა.

მუხლი 93

1. მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, ასევე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრების მიერ გამოცემული განკარგულებები წარმოადგენენ შიდასახელმწიფოებრივ აქტებს და ავალდებულებენ მხოლოდ იმ ორგანიზაციულ ერთეულებს, რომლებიც ამ აქტების გამომცემ ორგანოს ექვემდებარებიან.

2. განკარგულებები შეიძლება გამოიცეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. ისინი არ შეიძლება, საფუძვლად დაედოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოქალაქეებს, იურიდიულ პირებსა და სამართლის სხვა სუბიექტებს ეხება.

3. განკარგულებები და დადგენილებები ექვემდებარებიან კონტროლს, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ზოგადსავალდებულო სამართლის ნორმებს.

მუხლი 94

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ასევე მმართველობითი ადმინისტრაციის ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში გამოსცენ ადგ-

ილობრივი აქტები, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვთ ამ ორგანოების სამოქმედო ტერიტორიაზე.

თავი IV. სეიმი და სენატი

მუხლი 95

1. პოლონეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი და სენატი.

2. სეიმი ახორციელებს კონტროლს მინისტრთა საბჭოზე კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

არჩევნები და უფლებამოსილების ვადა

მუხლი 96

1. სეიმი შედგება 460 დეპუტატისაგან.

2. სეიმი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით.

მუხლი 97

1. სენატი შედგება 100 სენატორისაგან.

2. სენატი აირჩევა საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 98

1. სეიმი და სენატი აირჩევა 4 წლის ვადით. სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადა იწყება ახლადარჩეული სეიმის პირველი სხდომის დღეს და გრძელდება შემდგომი მოწვევის სეიმის პირველი სხდომის დღემდე.

2. არჩევნებს სეიმსა და სენატში ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არა უგვიანეს 90 დღისა სეიმისა და სენატის უფლებამოსილების 4-წლიანი ვადის გასვლამდე. არჩევნები ინიშნება დასვენების დღეს, სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 30 დღის განმავლობაში.

3. სეიმს შეუძლია, დეპუტატთა სრული შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით შეამციროს თავისი უფლებამოსილების ვადა. სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირება თავისთავად ნიშნავს სენატის უფლებამოსილების ვადის შემცირებასაც. მე-5 მუხლის დებულება გამოიყენება შესაბამისად.

4. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, სეიმისა და სენატის მარშლების მოსაზრებების მოსმენის შემდეგ. უფლება აქვს, შეამციროს სეიმის უფლებამოსილების ვადა. სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირებასთან ერთად თავისთავად მცირდება სენატის უფლებამოსილების ვადა.

5. თუ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამცირებს სეიმის უფლებამოსილების ვადას, მაშინ იგი იმავდროულად ნიშნავს სეიმისა და სენატის არჩევნებს არა უგვიანეს 45 დღისა, სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირების დადგენის დღიდან. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იწვევს ახლადარჩეულ სეიმს არა უგვიანეს 15 დღისა არჩევნების ჩატარების დღიდან.

6. სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირების შემთხვევაში პირველი პუნქტის დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 99

1. სეიმში შეიძლება არჩეულ იქნას საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არა უგვიანეს არჩევნების დღისა, შეუსრულდა 21 წელი.

2. სენატში შეიძლება არჩეულ იქნას საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არა უგვიანეს არჩევნების დღისა, შეუსრულდა 30 წელი.

მუხლი 100

1. დეპუტატების ან სენატორების კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ისე ამომრჩევლებს.

2. ერთი და იგივე კანდიდატის დასახელება სეიმსა და სენატში დაუშვებელია.

3. კანდიდატთა დასახელებისა და არჩევნების ჩატარების პრინციპებსა და წესს, ასევე მისი ნამდვილობის პირობებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 101

1. სეიმისა და სენატის არჩევნების ნამდვილობას ადგენს უზენაესი სასამართლო.

2. ამომრჩეველს, კანონით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, უფლება აქვს, გაასაჩივროს არჩევნების ნამდვილობა უზენაეს სასამართლოში.

დეპუტატები და სენატორები

მუხლი 102

დეპუტატისა და სენატორის თანამდებობები შეუთავსებელია.

მუხლი 103

1. დეპუტატის მანდატი შეუთავსებელია პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარის, სამოქალაქო უფლებების დამცველის, ბავშვთა უფლებების დამცველისა და მისი მოადგილის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბჭოს წევრის, რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭოს წევრის თანამდებობებთან, ასევე სეიმში, სენატში, პოლონეთის რესპუბლიკის კანცელარიასა და სახელისუფლებო ადმინისტრაციაში საქმიანობასთან. ეს აკრძალვა არ ეხებათ მინისტრთა საბჭოს წევრებსა და სამთავრობო ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნებს.

2. მოსამართლემ, პროკურორმა, სახელმწიფო მოხელემ, მოქმედ სამხედრო სამსახურში მყოფმა სამხედრო მოსამსახურეებმა, პოლიციის თანამდებობის პირებმა, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის ორგანოს თანამდებობის პირებმა არ შეიძლება განახორციელონ დეპუტატის მანდატი.

3. დეპუტატის მანდატსა და საჯარო საქმიანობას შორის შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებს, აგრეთვე დეპუტატის მანდატის განხორციელების აკრძალვის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 104

1. დეპუტატები არიან ხალხის წარმომადგენლები. ისინი არ ემორჩილებიან ამომრჩევლების მითითებებს.

2. უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე დეპუტატები სეიმის

წინაშე დებენ შემდეგ ფიცს:

"საზეიმოდ ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობები ხალხის წინაშე. დავიცვა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ინტერესები, ვემსახურო სამშობლოსა და მოქალაქეების კეთილდღეობას და დავიცვა პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები".

ფიცს შეიძლება დაემატოს შემდეგი წინადადება: „დაე, დამეხმაროს მე ამაში უფალი ღმერთი".

3. ფიცის დადებაზე უარი ნიშნავს დეპუტატის მანდატზე უარის თქმას.

მუხლი 105

1. დაუშვებელია დეპუტატის პასუხისგებაში მიცემა იმ საქმიანობისათვის, რომელსაც იგი სადეპუტატო მანდატის განხორციელების დროს ან მისი შეწყვეტის შემდეგ ახორციელებდა. ამგვარი საქმიანობისათვის დეპუტატი პასუხისმგებელია მხოლოდ სეიმის წინაშე, ხოლო მესამე პირთა უფლებების დარღვევისათვის დეპუტატის პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ სეიმის თანხმობით.

2. არჩევნების შედეგების გამოქვეყნების დღიდან მანდატის შეწყვეტის დღემდე სეიმის თანხმობის გარეშე დაუშვებელია დეპუტატის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

3. სისხლის სამართლის საქმე, რომელიც პირის დეპუტატად არჩევამდე აღიძრა, სეიმის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება შეჩერდეს მანდატის შეწყვეტამდე. ამ პერიოდში ჩერდება ასევე ხანდაზმულობის ვადა.

4. თუ დეპუტატი დაეთანხმა მის მიცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება.

5. დაუშვებელია დეპუტატის დაკავება ან დაპატიმრება სეიმის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და თუ მისი დაკავება აუცილებელია პროცესის სწორად წარმართვისათვის. დაკავების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სეიმის მარშალს, რომელსაც უფლება აქვს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაკავებული.

6. დეპუტატების სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპებს, ასევე პროცესის წარმოების წესს ვრცლად განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 106

პირობებს, რომლებიც დეპუტატების მიერ თავიანთი მოვალეობების ეფექტურად განხორციელებისათვის არის აუცილებელი, ასევე სადეპუტატო მანდატის განხორციელების შედეგად წარმოშობილი უფლებების დაცვას, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 107

1. კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დეპუტატს უფლება არა აქვს, განახორციელოს ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც მას სახელმწიფო ხაზინიდან ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებიდან მოგებას მოუტანს. მას ასევე არ შეუძლია ამგვარი საკუთრების შეძენა.

2. თუ დეპუტატი პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აკრძალვებს დაარღვევს, სეიმის მარშალის წარდგინებით, სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია მისი პასუხისგებაში მიცემა სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე. სახელმწიფო ტრიბუნალი იხილავს დეპუტატებისათვის მანდატის ჩამორთმევის საკითხს.

მუხლი 108

103-107 მუხლებით გათვალისწინებული ნორმები შესაბამისად გამოიყენება სენატორების მიმართაც.

ორგანიზაცია და საქმიანობა

მუხლი 109

1. სეიმი და სენატი თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სხდომებზე.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმისა და სენატის პირველ სხდომას იწვევს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებსაც 58-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები ითვალისწინებენ.

მუხლი 110

1. სეიმი საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს სეიმის მარშალსა და მის მოადგილეებს.

2. სეიმის მარშალი უძღვება სხდომებს, იცავს სეიმის უფლებებს და წარმოადგენს სეიმს.

3. სეიმი ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს. შესაძლებელია ასევე განსაკუთრებული კომისიების შექმნა.

მუხლი 111

1. სეიმს უფლება აქვს, გარკვეულ საქმეთა გამოსაძიებლად შექმნას საგამოძიებო კომისია.

2. საგამოძიებო კომისიის საქმიანობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 112

სეიმის შიდა სტრუქტურა და საქმიანობის, აგრეთვე მისი ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის წესი, ისევე როგორც სეიმის წინაშე სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული თავიანთი მოვალეობების შესრულების საშუალება, განისაზღვრება სეიმის რეგლამენტით.

მუხლი 113

სეიმის სხდომები საჯაროა. სხდომის დახურვა, თუ ამას სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს, შესაძლებელია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარი მაინც.

მუხლი 114

1. სეიმი და სენატი კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქმნიან ეროვნულ კრებას, სადაც ისინი ეროვნული კრების სახელით ერთობლივად მუშაობენ სეიმის მარშლის ან სხვა პირის ხელმძღვანელობით.

2. ეროვნული კრება იღებს თავის რეგლამენტს.

მუხლი 115

1. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა წევრები ვალდებულნი არიან, 21 დღის განმავლობაში უპასუხონ დეპუტატების ინტერპელაციებსა და შეკითხვებს.

2. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა წევრები ვალდებულნი არიან, სეიმის ყოველ სხდომაზე უპასუხონ მიმდინარე მოვლენების თაობაზე დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 116

1. პოლონეთის რესპუბლიკის სახელით სეიმი იღებს გადაწყვეტილებებს ომისა და ზავის საკითხებზე.

2. სეიმს შეუძლია, საომარი მდგომარეობა გამოაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის ტერიტორიაზე განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა ან თუ სართაშორისო ხელშეკრულებიდან თავდასხმის წინააღმდეგ ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება გამომდინარეობს. თუ სეიმი ვერ შეიკრიბება სხდომაზე, საომარი მდგომარეობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 117

პოლონეთის რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა შეიარაღებული ძალების გამოყენების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება ან კანონი. პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების ყოფნისა და გადაადგილების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავენ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და კანონები.

მუხლი 118

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ დეპუტატებს, სენატს, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს.

2. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე სეიმში საარჩევნო უფლების მქონე სულ ცოტა 100 000 მოქალაქეს. საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის წესს განსაზღვრავს კანონი.

3. სეიმში კანონპროექტის წარდგენასთან ერთად საკანონმდებლო ინიციატივის ავტორმა პროექტს უნდა დაურთოს აგრეთვე მისი განხორციელების ფინანსური შედეგების აღწერა.

მუხლი 119

1. სეიმი კანონპროექტს იხილავს 3 მოსმენით.

2. კანონპროექტის მოსმენის დროს ცვლილებების შეტანის უფლება აქვს იმას, ვინც კანონპროექტი შეიტანა, ასევე დეპუტატებსა და მინისტრთა საბჭოს.

3. სეიმის მარშალს უფლება აქვს, უარი თქვას იმ ცვლილებების თაობაზე კენჭისყრაში მონაწილეობაზე, რომელიც წინასწარ არ იქნა კომისიაში წარდგენილი.

4. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორს საკანონმდებლო პროცესში კანონპროექტის უკან წაღების უფლება აქვს მეორე მოსმენის დასრულებამდე.

მუხლი 120

თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სეიმი კანონებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის სულ მცირე, ნახევარი მაინც. სეიმი ამავე წესით იღებს დადგენილებებს, თუ კანონით ან დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 121

1. სეიმის მიერ მიღებულ კანონს სეიმის მარშალი უგზავნის სენატს.

2. სენატი უფლებამოსილია, კანონის გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში მიიღოს იგი ცვლილებების გარეშე, კენჭი უყაროს ცვლილებებს ან

მთლიანად უარყოს კანონი. თუ სენატი კანონის გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში არანაირ დადგენილებას არ მიიღებს, კანონი მიღებულად ითვლება სეიმის მიერ შემუშავებული ფორმით.

3. სენატის დადგენილება, რომლითაც სეიმის მიერ მიღებული კანონი უარყოფილ იქნა ან რომლითაც მასში ცვლილებები შევიდა, მიღებულად ითვლება, თუ სეიმი მას ხმების აბსოლუტური უმრავლესობით არ უარყოფს, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის სულ მცირე ნახევარი მაინც.

მუხლი 122

1. 121-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ სეიმის მარშალი მიღებულ კანონს წარუდგენს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელმოსაწერად.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონის გადაცემიდან 21 დღის განმავლობაში ხელს აწერს მას და იძლევა განკარგულებას „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა ჟურნალში" მის გამოსაქვეყნებლად.

3. პრეზიდენტი უფლებამოსილია, კანონის ხელმოწერამდე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება არ აქვს, უარი თქვას იმ კანონის ხელმოწერაზე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო.

4. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უარს ამბობს იმ კანონის ხელმოწერაზე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. თუ კონსტიტუციას მხოლოდ რამდენიმე ნორმა არ შეესაბამება და თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ დაადგენს, რომ აღნიშნული ნორმების კანონისაგან განცალკევება დაუშვებელია, პრეზიდენტი, სეიმის მარშლის მოსაზრების მოსმენის შემდეგ, ხელს აწერს კანონს იმ ნორმების გამოკლებით, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ან უბრუნებს მას სეიმს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

5. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, თუ იგი მე-3 პუნქტის შესაბამისად არ მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, უფლება აქვს, კანონი დასაბუთებული შუამდგომლობით ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს სეიმს. მას შემდეგ რაც სეიმი ხმების 3/5-ის უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის სულ მცირე ნახევარი მაინც, ხელახლა მიიღებს კანონს, პრეზიდენტი მას 7 დღეში აწერს ხელს და გასცემს განკარგულებას მის გამოსაქვეყნებლად "პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა ჟურნალში". თუ სეიმი კანონს ხელახლა მიიღებს, პრეზიდენტს უფლება აღარ აქვს მე-3 პუნქტის შესაბამისად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

6. თუ პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს განცხადებით კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე ან თუ იშუამდგომლებს სეიმის წინაშე კანონის ხელახლა განსახილველად, მაშინ კანონის ხელმოსაწერად მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა ჩერდება.

მუხლი 123

1) მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს, მის მიერ დადგენილებით მოწონებ-

ული კანონპროექტი მიიჩნიოს სასწრაფოდ. მინისტრთა საბჭოს ამგვარი უფლება არ გააჩნია საგადასახადო კანონთან, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სეიმის, სენატისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული კანონების მიმართ, ასევე იმ კანონებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება საჯარო ხელისუფლების სტრუქტურასა და უფლებამოსილებას ან კოდექსებს.

2) სეიმისა და სენატის რეგლამენტი განსაზღვრავს იმ დეტალებს, რომლებიც ახასიათებს სასწრაფო კანონების განხილვის პროცესს.

(3) სენატის მიერ იმ კანონის განხილვის ვადა, რომელის პროექტიც სასწრაფოდ არის მიჩნეული, შეადგენს 14 დღეს, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მისი ხელმოწერის ვადა – 7 დღეს.

მუხლი 124

110-ე, 112-ე, 113 და 120-ე მუხლები გამოიყენება შესაბამისად სეიმის მიმართაც.

რეფერენდუმი

მუხლი 125

1. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება.

2. საყოველთაო რეფერენდუმის დანიშვნის უფლება აქვს სეიმს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემდგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, სენატის თანხმობით, რომლისთვისაც საჭიროა სენატის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს სენატორთა სრული შემდგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც.

3. რეფერენდუმის შედეგებს აქვს სავალდებულო ხასიათი, თუ საყოველთაო რეფერენდუმში მონაწილეობას იღებს ხმის უფლების მქონე მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

4. საყოველთაო რეფერენდუმის, ასევე 235-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული რეფერენდუმის ნამდვილობას ადგენს უზენაესი სასამართლო.

5. რეფერენდუმის ჩატარების პრინციპებსა და წესს განსაზღვრავს კანონი.

თავი V. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 126

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უწყვეტობის გარანტი.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ზედამხედველობს კონსტიტუციის დაცვას, იცავს ქვეყნის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას, ასევე სახელმწიფო ტერიტორიის ხელშეუხებლობასა და განუყოფლობას.

3. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის მოვალეობებს ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად და მათ ფარგლებში.

მუხლი 127

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. მისი განმეორებითი არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

3. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას პოლონეთის ყოველი მოქალაქე, რომელსაც არა უგვიანეს არჩევნების დღისა 35 წელი შეუსრულდა და რომელიც სეიმის არჩევნებში სრული საარჩევნო უფლებით სარგებლობს. პრეზიდენტის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს სეიმის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე არანაკლებ 100 000 მოქალაქეს.

4. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ნამდვილი ხმების ნახევარზე მეტი მიიღო. თუ ვერ ცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, პირველი არჩევნებიდან მე-14 დღეს ჩატარდება განმეორებითი არჩევნები.

5. განმეორებით არჩევნებში კენჭი ეყრება პირველ არჩევნებში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. თუ ამ ორი კანდიდატიდან რომელიმე უარს იტყვის კენჭისყრაში მონაწილეობაზე, დაკარგავს საარჩევნო უფლებას ან გარდაიცვლება, მის ნაცვლად განმეორებით არჩევნებში კენჭს იყრის პირველი არჩევნების დროს უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი. ამ შემთხვევაში განმეორებითი კენჭისყრის თარიღი გადაიდება კიდევ 14 დღით.

6. პრეზიდენტის თანამდებობაზე განმეორებით კენჭისყრაში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო.

7. კანდიდატთა წარდგენისა და არჩევნების ჩატარების პრინციპებსა და წესს, ასევე პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების პირობებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 128

1. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ თანამდებობის დაკავების დღიდან.

2. პრეზიდენტის არჩევნების დღეს ნიშნავს სეიმის მარშალი არა უადრეს 100 დღისა და არა უგვიანეს 75 დღისა თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. თუ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდა, სეიმის მარშალი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 14 დღის განმავლობაში ნიშნავს არჩევნების დღეს. არჩევნების დღე ინიშნება არა სამუშაო დღეს არჩევნების დანიშვნის დღიდან არა უგვიანეს 60 დღისა.

მუხლი 129

1. პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობას ადგენს უზენაესი სასამართლო.

2. ამომრჩევლებს უფლება აქვთ, უზენაეს სასამართლოში განაცხადონ პროტესტი პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

3. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ბათილად ცნო-

ბის შემთხვევაში, 128-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, რომელიც ეხება პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ტარდება ახალი არჩევნები.

მუხლი 130

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ ეროვნული კრების წინაშე დებს შემდეგ ფიცს:

"ხალხის ნების შესაბამისად ვიკავებ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას და საზეიმოდ ვფიცავ, რომ ვიქნები კონსტიტუციური პრინციპების ერთგული, განუხრელად დავიცავ ერის ღირსებას, სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას და სამშობლოსა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა ყოველთვის იქნება ჩემი უზენაესი მოვალეობა".

ფიცს შეიძლება დაემატოს ასევე შემდეგი წინადადება: "დაე, დამეხმაროს მე ამაში უფალი ღმერთი".

მუხლი 131

1. თუ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დროებით ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, იგი აცნობებს ამის შესახებ სეიმის მარშალს, რომელიც დროებით თავის თავზე იღებს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას. თუ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერ აცნობებს სეიმის მარშალს უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებს სეიმის მარშლის განცხადების საფუძველზე ადგენს საკონსტიტუციო სასამართლო. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას, მაშინ იგი პრეზიდენტის მოვალეობათა დროებით შესრულების უფლებამოსილებას სეიმს გადასცემს.

2. სეიმის მარშალი დროებით, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, პრეზიდენტის მოვალეობებს ასრულებს, თუ:

1) რესპუბლიკის პრეზიდენტი გარდაიცვალა;

2) რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი თქვა თანამდებობაზე;

3) დადგინდა პრეზიდენტის არჩევნების ბათილობა ან სხვა გარემოებების გამო პრეზიდენტმა ვერ შეძლო თანამდებობის დაკავება;

4) ეროვნულმა კრებამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხანგრძლივად ვერ შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას; ამგვარ გადაწყვეტილებას ეროვნული კრება იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით;

5) რესპუბლიკის პრეზიდენტი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე.

3. თუ სეიმის მარშალს არ შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება, მაშინ მათ შესრულებას თავის თავზე იღებს სენატის მარშალი;

4. პრეზიდენტის მოვალეობების შემსრულებელ პირებს არ გააჩნიათ სეიმის უფლებამოსილების შემცირების თაობაზე დადგენილების მიღების უფლება.

მუხლი 132

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა

თანამდებობა ან ახორციელებდეს სხვა საჯარო ფუნქციებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის დაკავებულ თანამდებობასთან.

მუხლი 133

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში:

1) ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და დენონსირებას, რომელთა შესახებ ინფორმაციას აწვდის სეიმსა და სენატს;

2) ნიშნავს და ათავისუფლებს პოლონეთის რესპუბლიკის უფლებამოსილ წარმომადგენლებს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

3) იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აკრედიტებული ელჩების რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს;

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

3. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და კომპეტენტურ მინისტრთან.

მუხლი 134

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მშვიდობიან პერიოდში შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს ეროვნული თავდაცვის მინისტრის მეშვეობით.

3. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს გენერალური შტაბის უფროსსა და შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების მეთაურებს განსაზღვრული დროით. უფლებამოსილების ხანგრძლივობას, ასევე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესსა და პირობებს აწესრიგებს კანონი.

4. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი საომარი მდგომარეობის დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე ნიშნავს შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, ამავე წესით შეუძლია მას უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლება. უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციებსა და პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური ორგანოებისადმი მისი დაქვემდებარების პრინციპებს განსაზღვრავს კანონი.

5. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის წარდგინებით, ანიჭებს კანონით განსაზღვრულ სამხედრო წოდებებს.

6. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კომპეტენციებს, რომლებიც შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან არის დაკავშირებული, დაწვრილებით განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 135

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო არის პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების სფეროში.

მუხლი 136

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული რეალური საგარეო მუქარის შემთხვევაში, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს წარდგინებით, აცხადებს შეიარაღებული ძალების სრულ ან ნაწილობრივ მობილიზაციას და მათ გამოყენებას პოლონეთის რესპუბლიკის დასაცავად.

მუხლი 137

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანიჭებს პოლონეთის მოქალაქეობას და იძლევა თანხმობას პოლონეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 138

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანიჭებს ჯილდოებსა და საპატიო წოდებებს.

მუხლი 139

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ახორციელებს მსჯავრდებულთა შეწყალებას. შეწყალების უფლება არ გამოიყენება სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ მსჯავრდებული პირების მიმართ.

მუხლი 140

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, წერილობით მიმართოს სეიმს, სენატს ან ეროვნულ კრებას. წერილობითი მიმართვა არ შეიძლება გახდეს განხილვის საგანი.

მუხლი 141

1. განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტს შეუძლია, მოიწვიოს კაბინეტის საბჭო. კაბინეტის საბჭო იქმნება მინისტრთა საბჭოსაგან, რომლის სხდომასაც თავმჯდომარეობს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. კაბინეტის საბჭოს არ გააჩნია მინისტრთა საბჭოს კომპეტენციები.

მუხლი 142

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებებსა და დადგენილებებს 92-ე და 93-ე მუხლებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს დადგენილებებს თავის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 143

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დამხმარე ორგანოს წარმოადგენს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარია. პრეზიდენტი იღებს კანცელარიის შესახებ დებულებას, ასევე ნიშნავს და ათავისუფლებს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსს.

მუხლი 144

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული უფლებამისილების განხორციელების ფარგლებში გამოსცემს ოფიციალურ აქტებს.

2. პოლონეთის რესპუბლიკის მიერ გამოცემული ოფიციალური აქტები იურიდიულ ძალას იძენენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით, რითაც იგი პასუხისმგებელი ხდება სეიმის წინაშე.

3. მე-2 პუნქტის დებულება არ ეხება:

1) სეიმსა და სენატში არჩევნების დანიშვნას;
2) ახლადარჩეული სეიმისა და სენატის პირველი სხდომის მოწვევას;
3) სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირებას კონსტიტუციით განსაზღრულ შემთხვევებში;
4) საკანონმდებლო ინიციატივებს;
5) საყოველთაო რეფერენდუმის დანიშვნას;
6) კანონის ხელმოწერას ან ხელმოწერაზე უარის თქმას;
7) კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების "პოლონეთის კანონთა ჟურნალში" გამოქვეყნების თაობაზე გაცემულ განკარგულებას;
8) სეიმის, სენატის ან ეროვნული კრებისათვის წერილობით მიმართვას;
9) საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვას;
10) კონტროლის განხორციელების თაობაზე კონტროლის უმაღლესი პალატისათვის წინადადების მიცემას;
11) მინისტრთა საბჭოს კანდიდატის დასახელებასა და დანიშვნას;
12) მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებას, ასევე მისთვის უფლებამოსილების განხორციელების დროებით გაგრძელებას;
13) სეიმში განცხადების შეტანას მინისტრთა საბჭოს წევრის სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე პასუხისგებაში მიცემის თაობაზე;
14) იმ მინისტრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტას, რომელსაც სეიმმა უნდობლობა გამოუცხადა;
15) კაბინეტის საბჭოს მოწვევას;
16) ჯილდოებისა და წოდებების მინიჭებას;
17) მოსამართლეთა დანიშვნას;
18) შეწყალების უფლების განხორციელებას;
19) მოქალაქეობის მინიჭებასა და მოქალაქეობაზე უარის თქმაზე თანხმობას;
20) უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის დანიშვნას;
21) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და ვიცე თავმჯდომარის დანიშვნას;
22) უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნას;
23) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარის დანიშვნას;
24) სეიმში წინადადების წარდგენას ეროვნული ბანკის თავმჯდომარის დანიშვნასთან დაკავშირებით;
25) ფულად-საკრედიტო საბჭოს წევრების დანიშვნას;
26) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრების დანიშვნასა და გათავისუფლებას;
27) რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭოს წევრების დანიშვნას;
28) პრეზიდენტის კანცელარიის დებულების მიღებას, ასევე პრეზიდენტის კანცელარიის უფროსის დანიშვნასა და გათავისუფლებას;
29) 93-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, დადგენილებებისა და განკარგულებების გამოცემას;
30) პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე უარის თქმას.

მუხლი 145

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის, ასევე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება, მიცემულ იქნას პასუხისგებაში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე.

2. პრეზიდენტს ბრალი წაეყენება ეროვნული კრების დადგენილების საფუძველზე. დადგენილება მიიღება ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით. დადგენილების მიღების თაობაზე განცხადების წარდგენის უფლება აქვს ეროვნული კრების 140 წევრს.

3. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ჩერდება სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე მისთვის ბრალის წაყენების თაობაზე დადგენილების გამოტანის დღიდან. 131-ე მუხლის დებულება გამოიყენება შესაბამისად.

თავი VI. მინისტრთა საბჭო და მმართველობითი ადმინისტრაცია

მუხლი 146

1. მინისტრთა საბჭო ახორციელებს პოლონეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2. მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება ის საკითხები, რომლებიც სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებაში არ შედის.

3. მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს მმართველობით ადმინისტრაციას.

4. მინისტრთა საბჭო კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად და მის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

1) უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას;

2) გამოსცემს განკარგულებებს;

3) კონტროლსა და კოორდინაციას უწევს მმართველობითი ადმინისტრაციის ორგანოების მუშაობას;

4) იცავს სახელმწიფოს ქონებრივ ინტერესებს;

5) იღებს სახელმწიფოს ბიუჯეტის შესახებ პროექტს;

6) ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, გამოსცემს განკარგულებას სახელმწიფო ანგარიშის დახურვისა და ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მოხსენებასთან დაკავშირებით;

7) უზრუნველყოფს სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს;

8) უზრუნველყოფს სახელმწიფოს საგარეო უსაფრთხოებას;

9) ხელმძღვანელობს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას;

10) დებს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც რატიფიკაციას საჭიროებენ, ასევე ადასტურებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ დენონსაციას;

11) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის სფეროში და განსაზღვრავს ყოველწლიურად წევამდელის რაოდენობას;

12) აწესრიგებს თავისი მუშაობის ორგანიზაციასა და წესს.

მუხლი 147

1. მინისტრთა საბჭო შედგება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრებისაგან.

2. მინისტრთა საბჭოში შეიძლება დაინიშნონ მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეები.

3. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს შეუძლიათ აგრეთვე მინისტრების ფუნქციის შესრულება.

4. გარდა ამისა, მინისტრთა საბჭოში შესაძლებელია კანონით განსაზღვრული კომიტეტების თავმჯდომარეების დანიშვნა.

მუხლი 148

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:

1) წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს;

2) ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს მუშაობას;

3) გამოსცემს დადგენილებებს;

4) უზრუნველყოფს მინისტრთა საბჭოს პოლიტიკის განხორციელებას და განსაზღვრავს მისი განხორციელების წესს;

5) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მინისტრთა საბჭოს წევრების მუშაობას;

6) კონსტიტუციითა და კანონებით გათვალისწინებულ ფარგლებში და ფორმით ხელმძღვანელობს ადგილობრივ თვითმმართველობას;

7) არის მმართველობით ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა ხელმძღვანელი.

მუხლი 149

1. მინისტრები ხელმძღვანელობენ მმართველობითი ადმინისტრაციის განსაზღვრულ სფეროებს ან ასრულებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2. მინისტრის საქმიანობის სფეროს მმართველობითი ადმინისტრაციის ფარგლებში განსაზღვრავს კანონი.

3. 147-ე მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული კომიტეტების თავმჯდომარეების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ის ნორმები, რომლებიც მმართველობითი ადმინისტრაციის ერთ-ერთი სფეროს ხელმძღვანელ მინისტრს ეხება.

მუხლი 150

მინისტრთა საბჭოს წევრს უფლება არა აქვს, განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც მის საჯარო მოვალეობებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 151

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და მინისტრები პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე დებენ შემდეგ ფიცს:

„ვიკავებ რა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის, მინისტრის) თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ, რომ ვიქნები პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა კანონების ერთგული და საშშობლოსა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა ყოველთვის იქნება ჩემი უზენაესი მოვალეობა“.

ფიცს შეიძლება დაემატოს შემდეგი წინადადება: „დაე, დამეხმაროს მე ამაში უფალი ღმერთი”.

მუხლი 152

1. მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი საოლქოდოში არის ვოევოდი.

2. ვოევოდთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, ასევე მათი საქმიანობის სფეროს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 153

1. მმართველობითი ადმინისტრაციის დაწესებულებებში მოქმედებს სამოქალაქო სამსახურის კორპუსი, რომლის მიზანია სახელმწიფო ამოცანების პროფესიონალური, კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური განხორციელება.

2. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არის სამოქალაქო სამსახურის კორპუსის ხელმძღვანელი.

მუხლი 154

1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასახელებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელიც განსაზღვრავს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, სეიმის პირველი სხდომიდან 14 დღის განმავლობაში ან წინა მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებიდან და იღებს ახლად დანიშნული მინისტრთა საბჭოს წევრების ფიცს.

2. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს დანიშვნიდან 14 დღის განმავლობაში წარუდგენს სეიმს მინისტრთა საბჭოს სამუშაო პროგრამას და წინადადებით მიმართავს მას, ნდობა გამოუცხადოს მინისტრთა საბჭოს. სეიმი მინისტრთა საბჭოს ნდობას უცხადებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც.

3. თუ მინისტრთა საბჭო პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით არ დაინიშნა, ან თუ მას მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით არ გამოეცხადა ნდობა, მაშინ სეიმი პირველი ან მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვადების გასვლიდან 14 დღის განმავლობაში ირჩევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ შეთავაზებულ მინისტრთა საბჭოს წევრებს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა უმრავლესობის სულ ცოტა ნახევარი მაინც. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს ამ წესით არჩეულ მინისტრთა საბჭოს და ადებინებს ფიცს.

მუხლი 155

1. თუ მინისტრთა საბჭო არ შეიქმნა 154-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 14 დღის განმავლობაში ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მისი წინადადებით – მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებს და იღებს მათ ფიცს. სეიმი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მინისტრთა საბჭოს დანიშვნიდან 14 დღის განმავლობაში უცხადებს მას ნდობას ხმათა უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც.

2. თუ მინისტრთა საბჭოს არ გამოეცხადა ნდობა პირველი პუნქტის შესაბამისად, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი ამცირებს სეიმის უფლე-

ბამოსილების ვადას და ნიშნავს არჩევნებს.

მუხლი 156

1. მინისტრთა საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე კონსტიტუციისა და კანონების დარღვევისათვის, აგრეთვე დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულებისათვის.

2. დადგენილებას, მინისტრთა საბჭოს წევრის სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე პასუხისმგებლობაში მიცემის თაობაზე, იღებს სეიმი, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ან არანაკლებ 115 დეპუტატის განცხადების საფუძველზე, დეპუტატთა სრული შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით.

მუხლი 157

1. მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

2. მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე ამავე დროს ინდივიდუალურადაც აგებენ პასუხს იმ საქმიანობისათვის, რომელიც მათი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება ან რომელთა შესრულება მათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა.

მუხლი 158

1. სეიმი მინისტრთა საბჭოს უნდობლობას უცხადებს დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, არანაკლებ 46 დეპუტატის განცხადების საფუძველზე, ამასთან განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა. თუ სეიმმა მიიღო დადგენილება მინისტრთა საბჭოსათვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე, მაშინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს მინისტრთა საბჭოს გადადგომას და ნიშნავს სეიმის მიერ არჩეულ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მისივე წინადადებით — მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებს და ადგენენს მათ ფიცს.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების მისაღებად სეიმში შეტანილი განცხადების კენჭისყრაზე დაყენება შესაძლებელია მისი შეტანიდან არა უადრეს 7 დღისა. ხელახალი განცხადების შეტანა შესაძლებელია პირვანდელი განცხადების შეტანიდან არა უადრეს 3 თვისა. ხელახალი განცხადების შეტანა 3 თვის ვადის გასვლამდე შესაძლებელია, თუ მას შეიტანს არანაკლებ 115 დეპუტატი.

მუხლი 159

1. სეიმს უფლება აქვს, უნდობლობა გამოუცხადოს მინისტრს. უნდობლობის თაობაზე განცხადების შეტანის უფლება აქვს არანაკლებ 69 დეპუტატს. შესაბამისად გამოიყენება 158-ე მუხლის დებულება.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი ათავისუფლებს მინისტრს, რომელსაც სეიმმა სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადა.

მუხლი 160

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს სეიმს მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის გამოცხადების თაობაზე. მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის გამოცხადება ხდება ხმების უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა შემადგენლობის არა-

ნაკლებ ნახევარი მაინც.

მუხლი 161

რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე, ცვლის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას.

მუხლი 162

1. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ახლადარჩეული სეიმის პირველ სხდომაზე აკეთებს განცხადებას მინისტრთა საბჭოს გადადგომის თაობაზე.

2. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მინისტრთა საბჭოს გადადგომის თაობაზე განცხადებას აკეთებს მაშინაც, როცა:

1) სეიმი მინისტრთა საბჭოს არ გამოუცხადებს ნდობას;

2) მინისტრთა საბჭოს გამოეცხადება უნდობლობა;

3) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გადადგება.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს მინისტრთა საბჭოს გადადგომას და ახალი მინისტრთა საბჭოს დანიშვნამდე ავალებს მას უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელებას.

4. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უარი თქვას მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებაზე.

თავი VII. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 163

ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს იმ საჯარო ფუნქციებს, რომლებიც კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად, საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანოების კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 164

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს თემი.

2. რეგიონალური ან ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის სხვა ერთეულებს განსაზღვრავს კანონი.

3. თემი ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა იმ ფუნქციას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულების კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 165

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. მათ აქვთ საკუთრების უფლება და სხვა ქონებრივი უფლებები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების დამოუკიდებლობა ექვემდებარება სასამართლო დაცვას.

მუხლი 166

1. ის საჯარო ამოცანები, რომლებიც თვითმმართველი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მიერ სრულდება, როგორც საკუთარი ფუნქციები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს, შეიძლება, კანონის საფუძველზე, დაეკალოთ სხვა საჯარო ამოცანების შესრულება, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს დასაბუთებული საჭიროება. აღნიშნული მოვალეობის დაკისრებისა და შესრულების წესსა და საშუალებას განსაზღვრავს კანონი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობითი ადმინისტრაციის ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავას წყვეტენ ადმინისტრაციული სასამართლოები.

მუხლი 167

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს უზრუნველყოფილი აქვთ საჯარო შემოსავლებიდან წილის მიღება მათზე დაკისრებული ფუნქციების შებამისად.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების შემოსავალს შეადგენს საკუთარი შემოსავალი, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული საერთო სუბსიდიები და მიზნობრივი დოტაციები.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების შემოსავლის წყაროებს განსაზღვრავს კანონი.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ფუნქციებს და კომპეტენციების სფეროს ცვლილება იმავდროულად იწვევს საჯარო შემოსავლების განაწილების შესაბამის ცვლილებას.

მუხლი 168

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს უფლება აქვთ, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, დაადგინონ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობა.

მუხლი 169

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები თავიანთ ამოცანებს ახორციელებენ გადაწყვეტილების გამომტანი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით.

2. გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოების არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. კანდიდატთა დასახელებისა და არჩევნების ჩატარების წესსა და პრინციპებს, ასევე არჩევნების ბათილობის პირობებს განსაზღვრავს კანონი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისა და გადაყენების წესსა და პრინციპებს განსაზღვრავს კანონი.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების შიდა სტრუქტურას განსაზღვრავენ მათი გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

მუხლი 170

თვითმმართველობითი საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ, რეფერენდუმის გზით მიიღონ გადაწყვეტილებები საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაყენების თაობაზე. ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების წესსა და პრინციპებს აწესრიგებს კანონი.

მუხლი 171

1. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის კანონიერება ექვემდებარება კონტროლს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კონტროლს ახორციელებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ვოევოდები,

ხოლო ფინანსურ სფეროში — რეგიონალური საანგარიშო პალატები.

3. სეიმს უფლება აქვს, მინისტრთა საბჭოს წინადადების საფუძველზე, დაითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო თუ, იგი უხეშად არღვევს კონსტიტუციასა და კანონებს.

მუხლი 172

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ გართიანების უფლება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს უფლება აქვს, შევიდეს ადგილობრივ და რეგიონალურ საზოგადოებათა სართაშორისო გაერთიანებაში, ასევე ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოების ადგილობრივ და რეგიონალურ საზოგადოებებთან.

3. პრინციპებს, რომელთა შესაბამისადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს პირველ და მეორე პუნქტებში გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა შეუძლიათ, განსაზღვრავს კანონი.

თავი VIII. სასამართლოები და ტრიბუნალები

მუხლი 173

სასამრთლოები და ტრიბუნალები წარმოადგენენ ხელისუფლებას, რომელიც განცალკევებული და დამოუკიდებელია სხვა ხელისუფლებებისაგან.

მუხლი 174

სასამართლოებსა და ტრიბუნალებს გადაწყვეტილებები გამოაქვთ პოლონეთის სახელით.

სასამართლოები

მუხლი 175

1. პოლონეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოები.

2. სპეციალური სასამართლოების შექმნა და დაჩქარებული სამართალწარმოების შემოღება შესაძლებელია მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს.

მუხლი 176

1. სასამართლო სამართალწარმოება მოიცავს სულ მცირე ორ ინსტანციას.

2. სასამართლოების მოწყობასა და განსჯადობას, ასევე სასამართლო პროცესის წარმოების წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 177

მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. გამონაკლისს წარმოადგენს ის საქმეები, რომლებიც კანონით სხვა სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 178

1. მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას არიან დამოუკიდებელნი და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

2. მოსამართლეებისათვის უზრუნველყოფილია ისეთი სამუშაო პირობები და ანაზღაურება, რომელიც მათ თანამდებობასა და ფუნქციებს შეესაბამება.

3. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან პროფესიული კავშირის წევრი, ასევე არ უნდა ახორციელებდეს ისეთ საჯარო საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის პრინციპებს.

მუხლი 179

მოსამართლეები ინიშნებიან პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს წინადადების საფუძველზე განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 180

1. მოსამართლეთა შეცვლა დაუშვებელია.

2. მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენება, უფლებამოსილების შეჩერება, სხვა ადგილას ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მათი ნების საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. მოსამართლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ იგი ავადმყოფობის ან ძალების დაკარგვის გამო ვეღარ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესს აწესრიგებს კანონი.

4. კანონი განსაზღვრავს მოსამართლეთა ზღვრულ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგ ისინი თანამდებობიდან თავისუფლდებიან.

5. სასამართლო მოწყობის ან სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელია მოსამართლეთა გადაყვანა სხვა სასამართლოში ან თანამდებობიდან მათი გათავისუფლება სრული თვიური სარგოს შენარჩუნებით.

მუხლი 181

დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან მისი თავისუფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრული სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია მოსამართლის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას დანაშაულზე წაასწრეს ან თუ მისი დაკავება აუცილებელია პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომპეტენტური ადგილობრივი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს განკარგულება დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლების თაობაზე.

მუხლი 182

მოქალაქეთა მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 183

1. უზენაესი სასამართლო კონტროლს უწევს საერთო და სამხედრო სასამართლოებს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის სფეროში.

2. უზენაესი სასამართლო ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

3. უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 6 წლის ვადით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

მუხლი 184

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული სასამართლოები, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, კონტროლს უწევენ საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობას. ამგვარი კონტროლი მოიცავს ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებებისა და მმართველი ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოების ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

მუხლი 185

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს 6 წლის ვადით ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უზენაეს სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

მუხლი 186

1. პოლონეთის სასამართლო საბჭო იცავს სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას.

2. თუ ნორმატიული აქტი არღვევს სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას, პოლონეთის სასამართლო საბჭოს შეუძლია, განცხადებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე.

მუხლი 187

პოლონეთის სასამართლო საბჭო შედგება:

1. უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრისაგან, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარისა და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირებისაგან;

2) უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთა შემადგენლობიდან არჩეული 15 წევრისაგან;

3) სეიმის მიერ დეპუტატთაგან არჩეული სამი წევრისა და სენატის მიერ სენატორთაგან არჩეული ორი წევრისაგან.

2. პოლონეთის სასამართლო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის ორ მოადგილეს.

3. პოლონეთის სასამართლო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

4. პოლონეთის სასამართლო საბჭოს მოწყობას, კომპეტენციას, საქმიანობისა და წევრთა არჩევის წესს განსაზღვრავს კანონი.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი

მუხლი 188

საკონსტიტუციო ტრიბუნალი გადაწყვეტილებებს იღებს:

1) კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე;

2) კანონების იმ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის თაობაზე, რომელთა რატიფიკაცია კანონით განსაზღვრულ დამატებით თანხმობას საჭიროებს;

3) ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კანონებთან შესაბამისობის თაობაზე;

4) პოლიტიკური პარტიების მიზნებისა და საქმიანობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

5) 79-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საჩივრის თაობაზე.

მუხლი 189

საკონსტიტუციო ტრიბუნალი წყვეტს სახელმწიფოს ცენტრალურ კონსტიტუციურ ორგანოებს შორის დავას.

მუხლი 190

1. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს აქვს სავალდებულო ძალა და საბოლოოა.

2. 188-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ ქვეყნდება იმ ოფიციალურ ორგანოში, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ნორმატიული აქტი. თუ აქტი არ იყო გამოქვეყნებული, მაშინ საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს პოლონეთის რესპუბლიკის ოფიციალურ მაცნეში - "მონიტორ პოლსკიში".

3. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება გამოქვეყნებისთანავე შედის ძალაში. თუმცა საკონსტიტუციო ტრიბუნალს შეუძლია, ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის სხვა ვადის დადგენაც. თუ საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება კანონს ეხება, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს, ხოლო თუ იგი სხვა ნორმატიულ აქტებს ეხება — 12 თვეს. თუ გადაწყვეტილების მიღება ისეთ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომლებსაც ბიუჯეტის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს, მაშინ საკონსტიტუციო ტრიბუნალი მინისტრთა საბჭოს მოსაზრების მოსმენის შემდეგ ადგენს ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის ვადას.

4. თუ საკონსტიტუციო ტრიბუნალი დაადგენს ნორმატიული აქტის შეუსაბამობას კონსტიტუციასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან კანონთან და თუ არსებობს ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ან სხვა საკითხებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები, მაშინ საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება წარმოადგენს პროცესის განახლების საფუძველს ადმინისტრაციული და სხვა სახის გადაწყვეტილებების გასაუქმებლად. გადაწყვეტილების გაუქმება ხდება იმ პრინციპებისა და წესის შესაბამისად, რომლებსაც ამ სახის პროცესის მომწესრიგებელი ნორმები ითვალისწინებს.

5. საკონსტიტუციო ტრიბუნალი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 191

1. 188-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის მიმართვის უფლება აქვთ:

1) რესპუბლიკის პრეზიდენტს, სეიმის მარშალს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, 50 დეპუტატს, 30 სენატორს, უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს

თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს, სამოქალაქო უფლებათა დამცველს;

2) პოლონეთის სასამართლო საბჭოს 186-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სფეროში;

3) ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების გადაწყვეტილების გამომტან ორგანოებს;

4) პროფესიული კავშირების სახელმწიფო ორგანოებს, დამქირავებელთა და პროფესიული ორგანიზაციების სახელმწიფო ორგანოებს;

5) ეკლესიებსა და სხვა რელიგიურ კავშირებს;

6) 79-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს ამავე მუხლით განსაზღვრულ ფარგლებში.

2. პირველი პუნქტის მე-3-5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტებს საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ნორმატიული აქტი მათი საქმიანობის სფეროს ეხება.

მუხლი 192

189-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის მიმართვის უფლება აქვთ: რესპუბლიკის პრეზიდენტს, სეიმის მარშალს, სენატს მარშალს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარესა და კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს.

მუხლი 193

ყოველ სასამართლოს უფლება აქვს, საკონსტიტუციო ტრიბუნალში განსახილველად შეიტანოს სამართლებრივი შეკითხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან კანონთან შესაბამისობის თაობაზე, თუ საკონსტიტუციო ტრიბუნალის პასუხზეა დამოკიდებული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის გადაწყვეტა.

მუხლი 194

1. საკონსტიტუციო ტრიბუნალი შედგება სეიმის მიერ იმ პირთაგან ინდივიდუალურად არჩეული 15 მოსამართლისაგან, რომლებიც გამოირჩევიან სამართალშეგნებით. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლის უფლებამოსილების ვადაა 9 წელი. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლის განმეორებითი არჩევა დაუშვებელია.

2. საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი იმ კანდიდატთა სიიდან, რომელსაც პრეზიდენტს საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეთა საერთო კრება წარუდგენს.

მუხლი 195

1. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას არიან დამოუკიდებელნი და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციას.

2. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეებს უზრუნველყოფილი აქვთ ისეთ სამუშაო პირობები და ანაზღაურება, რომელიც მათ მიერ დაკავებულ თანამდებობასა და მათზე დაკისრებულ ფუნქციებს შეესაბამება.

3. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან პროფე-

სიული კავშირის წევრი, არ უნდა ახორციელებდეს ისეთ საჯარო საქმიანობას, რომელიც სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 196

დაუშვებელია საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხიგებაში მიცემა ან მისთვის თავისუფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრული სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია მოსამართლის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას დანაშაულზე წაასწრეს ან თუ მისი დაკავება აუცილებელია პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს განკარგულება დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.

მუხლი 197

საკონსტიტუციო ტრიბუნალის ორგანიზაციასა და საკონსტიტუციო ტრიბუნალში სამართალწარმოების წესს განსაზღვრავს კანონი.

სახელმწიფო ტრიბუნალი

მუხლი 198

1. დაკავებულ თანამდებობასთან ან თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით კონსტიტუციისა და კანონის დარღვევისათვის სახელმწიფო ტრიბუნალში პასუხს აგებენ: პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე, რადიოსა და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭოს წევრები, პირები, რომლებსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სამინისტროს ხელმძღვანელობა დაავალა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. 107-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე პასუხს აგებენ ასევე დეპუტატები და სენატორები.

3. სასჯელის სახეებს, რომლებიც სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ ინიშნება, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 199

1. სახელმწიფო ტრიბუნალი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილისა და 16 წევრისაგან. სახელმწიფო ტრიბუნალის წევრებს ირჩევს სეიმი, მაგრამ არა დეპუტატთა ან სენატორთა რიცხვიდან. სეიმი სახელმწიფო ტრიბუნალის წევრებს ირჩევს თავისი უფლებამოსილების ვადით. ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეებს, ასევე ტრიბუნალის წევრთა არანაკლებ ნახევარს მაინც უნდა ჰქონდეს მოსამართლის თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია.

2. სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარე ამავე დროს არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

3. სახელმწიფო ტრიბუნალის წევრები სახელმწიფო ტრიბუნალის მოსამართლეთა უფლებამოსილების განხორციელების დროს არიან დამოუკიდებელნი და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს.

მუხლი 200

დაუშვებელია სახელმწიფო ტრიბუნალის მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხიგებაში მიცემა ან მისთვის თავისუფლების შეზღუდვა სახ-

ელმწიფო ტრიბუნალის წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია მოსამართლის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას დანაშაულზე წაასწრეს ან თუ მისი დაკავება აუცილებელია პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს განკარგულება დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.

მუხლი 201

სახელმწიფო ტრიბუნალის ორგანიზაცია და სახელმწიფო ტრიბუნალში სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

თავი IX. სახელმწიფო კონტროლისა და სამართალდამცავი ორგანოები კონტროლის უმაღლესი პალატა

მუხლი 202

1. კონტროლის უმაღლესი პალატა წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის უმაღლეს ორგანოს.

2. კონტროლის უმაღლესი პალატა ექვემდებარება სეიმს.

3. კონტროლის უმაღლესი პალატა საქმიანობას ახორციელებს კოლეგიალობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 203

1. კონტროლის უმაღლესი პალატა კონტროლს უწევს მმართველობითი ადმინისტრაციის, პოლონეთის ეროვნული ბანკის, სახელმწიფოს იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს სხვა ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობას კანონიერების, ეკონომიურობის, მიზანმიმართულობისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

2. კონტროლის უმაღლეს პალატას უფლება აქვს, აკონტროლოს ადგილობრივი თვითმმართველობის, კომუნალური იურიდიული პირებისა და სხვა კომუნალური ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობის კანონიერება, ეკონომიურობა და კეთილსინდისიერება.

3. კონტროლის უმაღლეს პალატას უფლება აქვს, ასევე აკონტროლოს სხვა ორგანიზაციული ერთეულებისა და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობა კანონიერებისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი სახელმწიფო ან კომუნალური საკუთრებით სარგებლობენ ან სახელმწიფოს სასარგებლოდ ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებენ.

მუხლი 204

1. კონტროლის უმაღლესი პალატა სეიმს წარუდგენს:

1) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანალიზს და ფულად - საკრედიტო პოლიტიკის პრინციპებს;

2) დასკვნას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მოწონების საკითხს ეხება;

3) ინფორმაციას კონტროლის განხორციელების შედეგებზე, ასევე კანონით გათვალისწინებულ წინადადებებსა და მოხსენებებზე.

2. კონტროლის უმაღლესი პალატა სეიმს წარუდგენს ყოველწლიურ მოხსენებას თავის საქმიანობასთან დაკავშირებით.

მუხლი 205

1. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს ნიშნავს სეიმი სენატის თანხმობით 6 წლის ვადით. მისი დანიშვნა განმეორებით შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

2. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს არ შეუძლია, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა უმაღლესი სკოლის პროფესორის თანამდებობისა ან ეწეოდეს სხვა პროფესიულ საქმიანობას.

3. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან პროფესიული კავშირის წევრი, ან ეწეოდეს ისეთ საჯარო საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

მუხლი 206

დაუშვებელია კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხიგებაში მიცემა ან მისთვის თავისუფლების შეზღუდვა სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია კონტროლის პალატის თავმჯდომარის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას დანაშაულზე წაასწრეს ან თუ მისი დაკავება აუცილებელია პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სეიმის მარშალს, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს განკარგულება მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.

მუხლი 207

კონტროლის პალატის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი.

სამოქალაქო უფლებების დამცველი

მუხლი 208

1. სამოქალაქო უფლებების დამცველი იცავს ადამიანებისა და მოქალაქეების კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

2. სამოქალაქო უფლებების დამცველის საქმიანობის სფეროსა და წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 209

1. სამოქალაქო უფლებების დამცველი ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 5 წლის ვადით.

2. სამოქალაქო უფლებების დამცველს არ შეუძლია, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა უმაღლესი სკოლის პროფესორის თანამდებობისა ან ეწეოდეს სხვა პროფესიულ საქმიანობას.

3. სამოქალაქო უფლებების დამცველი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან პროფესიული კავშირის წევრი ან ეწეოდეს ისეთ საჯარო საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

მუხლი 210

სამოქალაქო უფლებების დამცველი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი, განსაკუთრებით სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ სეიმის წინაშე, კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 211

დაუშვებელია სამოქალაქო უფლებების დამცველის სისხლის სამართლის პასუხიგებაში მიცემა ან მისთვის თავისუფლების შეზღუდვა სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია სამოქალაქო უფლებების დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას დანაშაულზე წაასწრეს ან თუ მისი დაკავება აუცილებელია პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სეიმის მარშალს, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს განკარგულება დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.

მუხლი 212

სამოქალაქო უფლებების დამცველი სეიმსა და სენატს ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას თავისი საქმიანობის თაობაზე, ასევე იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ადამიანებისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭო

მუხლი 213

1. რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭო იცავს სიტყვის თავისუფლებას, ინფორმაციის უფლებას, ასევე რადიო და ტელემაუწყებლობის საჯარო ინტერესებს.

2. რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭო გამოსცემს დადგენილებებს, ხოლო ინდივიდუალურ საკითხებთან დაკავშირებით — განკარგულებებს.

მუხლი 214

1. რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭოს წევრებს ნიშნავს სეიმი, სენატი და რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან პროფესიული კავშირის წევრი, ან ეწეოდეს ისეთ საჯარო საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

მუხლი 215

რადიო და ტელემაუწყებლობის სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაციას, ასევე საქმიანობისა და წევრთა დანიშვნის წესებსა და პრინციპებს დაწვრილებით განსაზღვრავს კანონი.

თავი X. საჯარო ფინანსები

მუხლი 216

1. საჯარო მიზნებისათვის განკუთვნილი ფინანსური სახსრების შეგროვებისა და განკარგვის წესს განსაზღვრავს კანონი.

2. უძრავი ქონების, წილების ან ფასიანი ქაღალდების შეძენა, გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა, ასევე სახელმწიფო ხაზინის ფასიანი ქაღალდების ემისია პოლონეთის ეროვნული ბანკის ან საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირების მიერ ხორციელდება კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესის შესაბამისად.

3. მონოპოლიის დაწესება შესაძლებელია კანონის საფუძველზე.

4. სახელმწიფოს მიერ სესხის აღება, ასევე ფინანსური გარანტიების მიცემა და თავდებობა ხორციელდება კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესის შესაბამისად.

5. დაუშვებელია სესხის აღება, გარანტიის მიცემა ან თავდებობა, თუ ამის შედეგად სახელმწიფოს საჯარო ვალი მთლიანი წლიური ეროვნული პროდუქტის ღირებულების 3/5-ს გადააჭარბებს. მთლიანი წლიური ეროვნული პროდუქტის ღირებულებისა და სახელმწიფოს საჯარო ვალის გამოთვლის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 217

გადასახადებისა და სხვა საჯარო მოსაკრებლების შემოღება, გადასახადების დაკისრებისა და საგადასახადო განაკვეთების სუბიექტებისა და ობიექტების, ასევე შეღავათების დაწესებისა და საგადასახადო ნაშთების ანულირების პრინციპების განსაზღვრა, ისევე როგორც იმ სუბიექტთა კატეგორიის განსაზღვრა, რომლებიც გადასახადებისაგან არიან გათავისუფლებულნი, ხორციელდება კანონის საფუძველზე.

მუხლი 218

სახელმწიფო ხაზინის ორგანიზაციასა და სახელმწიფო საკუთრების მართვის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 219

1. სეიმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტს იღებს ბიუჯეტის შესახებ კანონის ფორმით.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ პროექტის შემუშავების პრინციპებსა და წესს, მისი დეტალიზაციის ხარისხსა და მოთხოვნებს, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს, ისევე როგორც ბიუჯეტის შესახებ კანონის შესრულების პრინციპებსა და წესს, განსაზღვრავს კანონი.

3. გამონაკლის შემთხვევებში სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დროის ერთ წელზე ნაკლები მონაკვეთისათვის არის განკუთვნილი, შეიძლება, განისაზღვროს დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონით. ის ნორმები, რომლებიც ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტს ეხება, შესაბამისად გამოიყენება დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის მიმართაც.

4. თუ ბიუჯეტის შესახებ კანონი ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონი ძალაში არ შევიდა საბიუჯეტო წლის დაწყების დღეს, მაშინ სახელმწიფო ფინანსებს უძღვება მინისტრთა საბჭო წარდგენილი კანონპროექტის საფუძველზე.

მუხლი 220

1. ხარჯების გაზრდამ ან მინისტრთა საბჭოს მიერ დაგეგმილი შემოსავლების შემცირებამ არ უნდა გამოიწვიოს სეიმის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის იმაზე მეტი დეფიციტის დადგენა, ვიდრე ეს ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტით არის გათვალისწინებული.

2. დაუშვებელია ბიუჯეტის შესახებ კანონით იმის გათვალისწინება, რომ საბიუჯეტო დეფიციტი დაიფარება სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის მიერ ვალდებულებების აღების გზით.

მუხლი 221

მინისტრთა საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს ბიუ-

ჯეტის, დროებითი ბიუჯეტის, ბიუჯეტის შეცვლის ან სახელმწიფოს მიერ საჯარო ვალის აღების, ასევე სახელმწიფოს მიერ ფინანსური გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონებთან დაკავშირებით.

მუხლი 222

მინისტრთა საბჭო მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 თვისა, წარუდგენს სეიმს. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია, პროექტის უფრო გვიან წარდგენაც.

მუხლი 223

სენატს ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა შეუძლია მისთვის კანონის გადაცემიდან 20 დღის განმავლობაში.

მუხლი 224

1. რესპუბლიკის პრეზიდენტი ბიუჯეტის შესახებ კანონს, ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონს ხელს აწერს სეიმის მარშლის მიერ კანონის გადაცემიდან 7 დღის განმავლობაში. 122-ე მუხლი მე-5 პუნქტის დებულება არ გამოიყენება ბიუჯეტის შესახებ კანონისა და დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონის მიმართ.

2. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ბიუჯეტის შესახებ კანონის ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონის ხელმოწერამდე განცხადებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

მუხლი 225

თუ ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი სეიმში შეტანიდან 2 თვის განმავლობაში არ გადაეცა პრეზიდენტს ხელმოსაწერად

მუხლი 226

1. საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან 5 თვის განმავლობაში მინისტრთა საბჭო სეიმს წარუდგენს მოხსენებას ბიუჯეტის შესახებ კანონის შესრულების თაობაზე და ამასთან აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო დავალიანების შესახებ.

2. სეიმი მოხსენების წარდგენიდან 90 დღის განმავლობაში იღებს დადგენილებას მოხსენების დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. სეიმი დადგენილებას იღებს მოხსენების განხილვისა და კონტროლის უმაღლესი პალატის მოსაზრების გაცნობის შემდეგ.

მუხლი 227

1. პოლონეთის ეროვნული ბანკი არის სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი. მხოლოდ მის უფლებამოსილებას წარმოადგენს ფულის ემისია, ასევე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება. პოლონეთის ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პოლონეთის ეროვნული ვალუტის ღირებულებაზე.

2. პოლონეთის ეროვნული ბანკის ორგანოებია: პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბჭო და პოლონეთის ეროვნული ბანკის გამგეობა.

3. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით, 6 წლის ვადით ნიშნავს სეიმი.

4. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარ-

ტიის ან პროფესიული კავშირის წევრი, ასევე არ უნდა ეწეოდეს ისეთ საჯარო საქმიანობას, რომელიც არ შეესაბამება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას.

5. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბჭოს წევრები არიან პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, როგორც საბჭოს თავმჯდომარე და პირები, რომლებიც გამოირჩევიან ფინანსურ სფეროში შესაბამისი ცოდნით. მათ 6 წლის ვადით, თანაბარი რაოდენობით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სეიმი და სენატი.

6. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბჭო ყოველწლიურად ადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საფუძვლებს და გასაცნობად წარუდგენს სეიმს მინისტრთა საბჭოს მიერ ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტთან ერთად.

7. პოლონეთის ეროვნული ბანკის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხი და პრინციპები განისაზღვრება კანონით.

თავი XI. საგანგებო მდგომარეობა

მუხლი 228

1. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობის არსებობისას, როცა ჩვეულებრივი კონსტიტუციური მექანიზმები საკმარისი არ არის, შესაძლებელია საომარი, განსაკუთრებული ან სტიქიური უბედურების მდგომარეობის გამოცხადება.

2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე მიღებული დადგენილებით, რომელიც საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

3. საჯარო ხელისუფლების საქმიანობის პრინციპებს, ასევე ადამიანებისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ფარგლებს განსაზღვრავს კანონი.

4. კანონით შეიძლება განისაზღვროს იმ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრინციპები, ფარგლები და წესი, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანებისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვამ გამოიწვია.

5. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო განხორციელებული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს საფრთხის დონეს და მიზნად უნდა ისახავდეს მაქსიმალურად მოკლე დროში სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას.

6. საგანგებო მდგომარეობის დროს დაუშვებელია კონსტიტუციის, სეიმის, სენატისა და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შესახებ დადგენილებების, რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონისა და საგანგებო მდგომარეობების შესახებ კანონების შეცვლა.

7. საგანგებო მდგომარეობის დროს და მისი დასრულებიდან 90 დღის განმავლობაში დაუშვებელია სეიმის უფლებამოსილების ვადის შემცირება ან საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარება, ასევე დაუშვებელია სეიმის, სენატის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება. შესაბამისად უნდა გაგრძელდეს ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ვადაც.

მუხლი 229

სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული საგარეო მუქარის, პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის

შემთხვევაში ან თუ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოს წარდგინებით, უფლება აქვს, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა.

მუხლი 230

1. სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების, მოქალაქეთა უსაფრთხოების ან საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მუქარის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტს მინისტრთა საბჭოს წარდგინებით უფლება აქვს, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობა ცხადდება განსაზღვრული დროით, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა.

2. საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, სეიმისა და სენატის თანხმობით, მაგრამ არა უმეტეს 60 დღისა.

მუხლი 231

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის თაობაზე გამოცემულ დადგენილებას რესპუბლიკის პრეზიდენტი წარუდგენს სეიმს ხელმოწერიდან 48 საათის განმავლობაში. სეიმი რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილებას იხილავს დაუყოვნებლივ. სეიმს შეუძლია მისი გაუქმება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც.

მუხლი 232

სტიქიური უბედურების ან ტექნიკური ავარიების შედეგების თავიდან აცილების ან მათი ლიკვიდაციის მიზნით, მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს, გამოაცხადოს სტიქიური უბედურების მდგომარეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში განსაზღვრული დროით, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა. ამ მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ სეიმის თანხმობით.

მუხლი 233

1. კანონს, რომელიც საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადამიანებისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ფარგლებს ითვალისწინებს, არ შეუძლია შეზღუდოს ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც შემდეგ მუხლებშია მოცემული: 30-ე მუხლი (ადამიანის ღირსება), 34-ე და 36-ე მუხლები (მოქალაქეობა), 38-ე მუხლი (სიცოცხლის დაცვა), 39-ე, 40-ე მუხლები, 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი (ჰუმანური მოპყრობა), 42-ე მუხლი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა), 45-ე მუხლი (სასამართლოს უფლება), 47-ე მუხლი (პირადი უფლებები), 53-ე მუხლი (სინდისი და რელიგია), 63-ე მუხლი (პეტიციის უფლება), ასევე 48-ე და 72-ე მუხლები (ოჯახი და ბავშვი).

2. დაუშვებელია ადამიანებისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა რასის, სქესის, ენის, სარწმუნოებისადმი კუთვნილების ან ურწმუნოების, სოციალური ან ქონებრივი მდგომარეობის, ასევე წარმომავლობის გამო.

3. სტიქიური უბედურების დროს, კანონის საფუძველზე შესაძლებელია ადამიანებისა და მოქალაქეების იმ უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, რომლებიც შემდეგ მუხლებშია მოცემული: 22-ე მუხლი (სამეურნეო საქმიანობის თავისუფლება), 41-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნ-

ქტები (პირადი თავისუფლება), 50-ე მუხლი (საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა), 52-ე მუხლის პირველი პუნქტი (პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილებისა და ყოფნის თავისუფლება), 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი (გაფიცვის უფლება), 64-ე მუხლი (საკუთრების უფლება), 65-ე მუხლის პირველი პუნქტი (შრომის თავისუფლება), 66-ე მუხლის პირველი პუნქტი (შრომის უსაფრთხო და ჰიგიენური პირობების მოთხოვნის უფლება) და 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი (დასვენების უფლება).

მუხლი 234

1. თუ სეიმი საომარი მდგომარეობის დროს ვერ შეიკრიბება, მაშინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს წინადადებით, გამოსცემს კანონის ძალის მქონე დადგენილებებს 225-ე მუხლის მე-3 — მე-5 პუნქტებით დადგენილი მოცულობით და ფარგლებში. აღნიშნულ დადგენილებებს ამტკიცებს სეიმი პირველივე სხდომაზე.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული დადგენილებები წარმოადგენენ ზოგადსავალდებულო ხასიათის სამართლის წყაროს.

თავი XII. კონსტიტუციის შეცვლა

მუხლი 235

1. კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1\5-ს, სენატს ან რესპუბლიკის პრეზიდენტს.

2. კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონის საფუძველზე, რომელსაც ერთსა და იმავე რედაქციით იღებს ჯერ სეიმი, ხოლო შემდეგ — არა უგვიანეს 60 დღისა — სენატი.

3. სეიმში კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის წარდგენასა და მის პირველ მოსმენას შორის უნდა არსებობდეს დროის სულ მცირე 30 დღიანი შუალედი მაინც.

4. სეიმი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონს იღებს ხმათა 2\3-ის უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც, სენატი აღნიშნულ კანონს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იღებს, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს სენატორთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც.

5. სეიმს უფლება არა აქვს, მიიღოს კანონი მისი პირველი მოსმენიდან არა უადრეს მე-60 დღისა, თუ იგი კონსტიტუციის I, II და XII თავების შეცვლას ეხება.

6. თუ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონი კონსტიტუციის I, II ან XII თავებით გათვალისწინებულ ნორმებს ეხება, მაშინ პირველ პუნქტში დასახელებულ სამართლის სუბიექტებს უფლება აქვთ, სენატის მიერ კანონის მიღებიდან 45 დღის განმავლობაში მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება. აღნიშნული საკითხის თაობაზე სამართლის სუბიექტები მიმართავენ სეიმის მარშალს, რომელიც დაუყოვნებლივ ნიშნავს რეფერენდუმს განცხადების შეტანიდან 60 დღის განმავლობაში. ცვლილებები მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა.

7. მე-4 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული წარმოების დასრულების შემდეგ სეიმის მარშალი რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელმოსაწერად წარუდგენს მიღებულ კანონს. პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს წარდგენიდან 21 დღის განმავლობაში და გასცემს განკარგულებას „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა ჟურნალში" მისი გამოქვეყნების თაობაზე.

თავი XIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 236

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში მინისტრთა საბჭო სეიმს წარუდგენს იმ კანონების პროექტებს, რომელთა მიღება კონსტიტუციის გამოსაყენებლად არის აუცილებელი.

2. კანონები, რომლებიც 176-ე მუხლის პირველი პუნქტის ამოქმედებას ემსახურება და რომლებიც ადმინისტრაციულ სასამართლოებში სამართალწარმოებას ეხება, მიიღება კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 5 წლისა. ამ კანონების ძალაში შესვლამდე მოქმედებენ ის ნორმები, რომლებიც უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებების განსაკუთრებულ რევიზიას ეხება.

მუხლი 237

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში რაიონულ სასამართლოებში გადაცდომების თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებენ გადაცდომების განმხილველი კოლეგიები, ხოლო სასჯელის სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

2. აპელაციას კოლეგიის გადაწყვეტილებაზე იხილავს სასამართლო.

მუხლი 238

1. საჯარო ხელისუფლების იმ კონსტიტუციური ორგანოებისა და თანამდებობის პირების უფლებამოსილების ვადა, რომლებიც არჩეულ ან დანიშნულ იქნენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, მთავრდება იმ ვადის დასრულებასთან ერთად, რომელსაც კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ნორმები ითვალისწინებდა.

2. თუ უფლებამოსილების ვადა დადგენილი არ არის კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ნორმებით და თუ კონსტიტუციური ორგანოს, ან თანამდებობის პირის არჩევის ან დანიშვნის დღიდან იმაზე მეტი დროა გასული, ვიდრე კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, მაშინ მათი უფლებამოსილების ვადა სრულდება კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

3. თუ უფლებამოსილების ვადა დადგენილი არ არის კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ნორმებით და თუ კონსტიტუციური ორგანოს ან თანამდებობის პირის არჩევის ან დანიშვნის დღიდან იმაზე ნაკლები დროა გასული, ვიდრე კონსტიტუციით საჯარო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოებისა ან მათ შემადგენლობაში მყოფი პირებისთვის არის დადგენილი, მაშინ დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც აღნიშნული ორგანოები ან პირები, თავიანთ ფუნქციებს ადრე მოქმედი ნორმების შესაბამისად ასრულებდენენ, კონსტიტუციით დადგენილ ვადაში ჩაითვლება.

მუხლი 239

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული კანონების არაკონსტიტუციურად ცნობას ეხება, არ არის საბოლოო. მათ იხილავს სეიმი, რომელსაც უფლება აქვს, გააუქმოს ისინი ხმათა 2\3-ის უმრავლესობით, ამასთან სხდომას უნდა ესწრებოდეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი მაინც. ეს წესი არ ეხება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ მის წინაშე დასმულ სამართლებრივ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად გამოიტანა.

2. პროცესი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ზოგადსავალდებულო ხასიათის განმარტებას ეხება და რომელიც კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე დაიწყო, უნდა შეწყდეს.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღეს სავალდებულო ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონების განმარტების თაობაზე გამოტანილი დადგენილებები. ძალაში რჩება სასამართლოსა და სუკარო ხელისუფლების კანონიერ ძალაში შესული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ნორმების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მნიშვნელობის გათვალისწინებით არის მიღებული.

მუხლი 240

კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესახებ კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვის შესაძლებლობა ცენტრალური ბანკის მიერ ვალდებულებების აღების გზით.

მუხლი 241

1. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც პოლონეთის რესპუბლიკის მიერ იმ კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე იქნა რატიფიცირებული და „კანონთა ჟურნალში" გამოქვეყნებული, რომლებიც რატიფიკაციის დროს მოქმედებდნენ, მიეკუთვნებიან იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელთა რატიფიკაციისათვის კანონით გათვალისწინებული წინასწარი თანხმობაა საჭირო. მათ მიმართ გამოიყენება კონსტიტუციის 91-ე მუხლის დებულება, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების შინაარსი 89-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს ეხება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში მინისტრთა საბჭო სეიმს წარუდგენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩამონათვალს, რომლებიც კონსტიტუციას არ შეესაბამება.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე არჩეული სენატორები, რომლებსაც არ შესრულებიათ 30 წელი, ინარჩუნებენ მანდატებს თავიანთი უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.

4. დეპუტატების ან სენატორების მანდატის შეთავსება იმ ფუნქციასთან ან საქმიანობასთან, რომელიც 103-ე მუხლით არის აკრძალული, იწვევს მანდატის დაკარგვას კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 1 თვის გასვლის შემდეგ. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დეპუტატი ან სენატორი იქამდე იტყვის უარს აღნიშნული ფუნქციის განხორციელებაზე ან შეწყვეტს საქმიანობას.

5. კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე დაწყებული საქმის განხილვა, რომელიც კანონშემოქმედებითი საქმიანობის, საკონსტიტუციო ან სახელმწიფო ტრიბუნალში სამართალწარმოების ობიექტს წარმოადგენს, იმ

კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე გრძელდება, რომლებიც კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედებდნენ.

6. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში მინისტრთა საბჭო ადგენს, კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, მის მიერ გამოცემული რომელი დადგენილებები ან მინისტრებისა თუ მმართველობითი ადმინისტრაციის სხვა ორგანოების რომელი განკარგულებები უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 92-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული აქტების შეცვლა ხდება კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, რომელთა პროექტებს მინისტრთა საბჭო წარუდგენს სეიმს განსაზღვრულ ვადაში. იმავე დროს მინისტრთა საბჭო სეიმს წარუდგენს კანონპროექტს, რომელიც განსაზღვრავს, თუ მმართველობითი ადმინისტრაციის მიერ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე გამოცემული რომელი ნორმატიული აქტები ჩაითვლება კონსტიტუციის 93-ე მუხლით გათვალისწინებულ დადგენილებებად ან განკარგულებებად.

7. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღეს მოქმედი ადგილობრივი სამართლის აქტები და სათემო დებულებები ადგილობრივი სამართლის აქტები ხდებიან კონსტიტუციის 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 242

ძალას კარგავს:

1)1992 წლის 17 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციური კანონი პოლონეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების ორმხრივი ურთიერთობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ(Dz. U. 1995 Nr.84, Pos.426, Nr.38, Pos.184, Nr. 150 Pos. 729 და Dz. U. 1996, Nr. 106, Pos. 488).

2) 1992 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონი პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მომზადებისა და მიღების წესის შესახებ (Dz. U. Nr. 67, Pos. 336 და Dz. U. 1994 Nr.61, Pos. 251).

მუხლი 243

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

რუმინეთი

გიორგი ინაური

რუმინეთის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — რუმინეთი.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის აღმოსავლეთ ნაწილი, ქვემო დუნაის აუზი.

ფართობი — 237,5 ათას კვ.კმ (მისი საზღვრები დადგენილია 1947 წლის საზავო ხელშეკრულებით (ხელი მოეწერა პარიზში)).

მოსახლეობა — 23,2 მლნ. (90%-რუმინელი, 7%-უნგრელი, 3,1%-გერმანელი, 1,2%-სხვა ეროვნების წარმომადგენელი).

დედაქალაქი — ბუქარესტი.

გაეროს წევრია 1955 წლის 14 დეკემბრიდან.

1. ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების ძირითადი ეტაპები

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მოლდოვისა და ვლახეთის სამთავროთა ოსმალეთის უღლიდან გათავისუფლების შემდეგ, დაიწყო ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ტრანსფორმირება. მიმდინარეობდა გზების ძიება მემამულე-ლატიფუნდისტებსა და რუმინეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიას შორის კომპრომისის მისაღწევად. 1829 წელს ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებას, 1848 წლის რევოლუციას, 1862 წლის იანვარში რუმინეთის სამთავროთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას თან მოჰყვა მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ბრძოლა ხელისუფლებისათვის, ფეოდალური წყობილების დამხობის ცდა, კაპიტალიზმის ჩამოყალიბებისათვის შესაფერისი პირობების შექმნა. რასაც ხელი შუწყო 1866 წელს მეფე ალექსანდრე იოანკუზას შეცვლამ პრუსიელთა გვარის მონარქით კარლ ჰოგენცოლერნ—ზიგმარინგელით.

1866 წლის 20 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მეფის მიერ ოქტროირებული კონსტიტუცია, რომელიც 1866 წლის 1 ივლისს გამოქვეყნდა და მასში აისახა ხელისუფლების ორგანიზაციასთან დაკავშირებით მემამულე-ლატიფუნდისტებსა და ახალგაზრდა ბურჟუაზიას შორის მიღწეული კოპრომისი.

კონსტიტუციამ დაამკვიდრა პარლამენტური მონარქია. კონსტიტუციით ხელისუფლების წყაროდ დეკლარირებული იყო ხალხი, აღიარებული იყო კლასებს შორის განსხვავების არარსებობა, სახელმწიფო წყობილებისა და საკუთრების ფორმების ურყევობა, მოცემული იყო იმ დროისათვის დამახასიათებელი მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებანი. 1917 წლამდე კონსტიტუციას ცვლილებები არ განუცდია. ხოლო 1907 წლის აჯანყებამ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის როლის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გავლენამ მმართველი ძალები იძულებული გახადა 1917 წლის მარტში გაეტარებინათ კონსტიტუციური მნი-

შვნელობის ორი რეფორმა: შემოეღოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება და გაეტარებინათ აგრარული რეფორმა.

1923 წლის მარტში 1866 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციით მიღება გამოხატავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების ახალ ურთიერთობებს, კომპრომისს ბურჟუაზიასა და რუმინეთის საზოგადოების სხვა ფენებს შორის. ამ კანონის მიხედვით ხდებოდა სენატის ნაწილის არჩევა, ნაწილი კი შედგებოდა თანამდებობის პირებისაგან; გათვალისწინებული იყო საკუთრების დაცვის რიგი ფორმალური გარანტიები, აგრეთვე — სიტყვის, პერიოდული პრესის, გაერთიანების, საარჩევნო უფლება (სამხედრო მოსამსახურეებისა და ქალების გარდა).

1938 წლის თებერვალში 1923 წლის რედაქციით მიღებული კონსტიტუცია შეიცვალა ახლით, რომლითაც დამყარდა მეფისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დიქტატურა. მათ მიეცათ დეკრეტებისა და კანონების გამოცემის უფლება. ეს კონსტიტუცია შეიცვალა 1940 წლის კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც ხელისუფლების ყოველგვარი უფლებამოსილება აღმოჩნდა გენერალ იოან ანტონესკუს ხელში ხელისუფლების დანაწილების ფორმალური მნიშვნელობაც კი გაუქმდა და მის შესაბამისად შეიცვალა მოქალაქეთა უფლებანი და თავისუფლებანი.[1] გენერალ ანტონესკუს სამხედრო-ფაშისტური რეჟიმი დაემხო 1944 წლის 23 აგვისტოს. ეს იყო ისტორიული მოვლენა რუმინელი ხალხის ცხოვრებაში. ქვეყანაში დაიწყო რევოლუცია, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურით დაგვირგვინდა.[2] 1944 წლის 31 აგვისტოს ახალმა ხელისუფლებამ №1626 დეკრეტით 1923 წლის რედაქციის მიხედვით აღადგინა 1866 წლის კონსტიტუციის მთელი რიგი დებულებები. აღდგენილ იქნა ეროვნული დამოუკიდებლობა, ძირითადი დემოკრატიული უფლებები, გაუქმდა 1940 წელს გამოცემული დეკრეტები.

1947 წლის 30 დეკემბერს მეფე მიჰაი პირველი გადადგა. მან აღიარა, რომ მონარქია თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობისათვის მიუღებელი იყო და ხელს უშლიდა რუმინეთის განვითარებას. ამავე დღეს დეპუტატთა კრებამ №663 კანონით გამოაცხადა, რომ შეიქმნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა და 1866 წლის კონსტიტუცია 1923 წლის 29 მარტის და 1944 წლის 1 სექტემბრის ცვლილებებით გაუქმებულია.[3]

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო რუმინეთის მშრომელთა ერთიანი პარტიის შექმნა, რაც კომუნისტურ და სოციალ— დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანების შედეგი გახლდათ. 1948 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა უმაღლესი და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები — დიდი ეროვნული კრება და სახალხო საბჭოები.[4] 1948 წლის თებერვალსა და მარტში დათხოვნილ იქნა დეპუტატთა კრება და გაიმართა პარლამენტის არჩევნები (რომელსაც ეწოდა დიდი ეროვნული კრება).

1948 წლის 13 აპრილს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო რუმინეთის ისტორიაში მესამე — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის — კონსტიტუცია. რომელშიც ასახული იყო, რომ ხელისუფლება მოიპოვა მშრომელმა ხალხ-

---

1. Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm
2.Общие сведения http://cityref.ru/prosmotr/6463-370.htm
3.Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm
4.Общие сведения. http://cityref.ru/prosmotr/6463-370.htm

მა მუშათა კლასის მეთაურობით. თავისი შინაარსით 1948 წლის კონსტიტუცია ძალიან წააგავდა სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციას, ვინაიდან იყო იდეოლოგიზირებული და პოლიტიზებული. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეორე კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1952 წლის 24 სექტემბერს. მან განამტკიცა საერთო პრინციპები, რომელიც დამახასიათებელია სოციალისტური პოლიტიკური სისტემისათვის, კერძოდ კი მუშათა პარტიის ხელმძღვანელი როლი. ამ კონსტიტუციის 13 წლიანი არსებობის განმავლობაში იცვლებოდა კონსტიტუციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ხელისუფლების ორგანიზაციასა და განხორციელებას.

1965 წლის 21 აგვისტოს მიღებული კონსტიტუცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა კონსტიტუციებისაგან, როგორც სტრუქტურით, ისე თავისი ხასიათით, მიზნებითა და ამოცანებით. ამ კონსტიტუციაში აისახა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი ეტაპის დასრულება. ხელისუფლების წყაროდ გამოცხადდა ხალხი. იგი შედგებოდა თავებისაგან, რომლებიც ეხებოდა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ხელისუფლების ორგანოთა სისტემას, მათ უფლებამოსილებას და სხვ. თითქმის 25-წლიანი მოქმედების პერიოდში ამ კონსტიტუციამ განიცადა ბევრი ცვლილება, რომლებიც უკავშირდებოდა ადმინისტრაციულ — ტერიტორიულ დაყოფას, სამართალწარმოებას (1968 წ), დიდი ეროვნული კრებისა და სახალხო საბჭოების სტრუქტურასა და ვადებს (1971-1972 წწ). 1974 წელს შემოღებულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობა, აგრეთვე რეფერენდუმის ინსტიტუტი (1986 წ).[5]

1989 წლის 22 დეკემბერს დემონსტრანტების წინამძღოლმა პროფესორმა პეტრე რომანიმ განუცხადა ხალხს, რომ ჩაუშესკუს დიქტატურა დაემხო. ამავე დღეს ჩამოყალიბდა ეროვნული ხსნის ფრონტი, რომელშიც გაერთიანდნენ ის ფენები, რომლებიც დიქტატურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ ფრონტს სათავეში ჩაუდგნენ პეტრე რომანი და იოან ილიესკუ. დეკემბრის რევოლუციამ რუმინეთში საფუძველი ჩაუყარა მრავალპარტიული სისტემის შექმნას, რომელიც ეფუძნებოდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პლურალიზმს. რუმინეთში დაიწყო პოლიტიკური ბრძოლა იმ პირობებში, როცა ძლიერდებოდა ოპოზიციის მოთხოვნები მთავრობისა და ფრონტის ხელმძღვანელობის გადადგომის შესახებ, ფრონტის ხელმძღვანელობა წავიდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეორგანიზაციაზე, რის შედეგადაც შეიქმნა დროებითი ეროვნული თანხმობის კრება, რომლის შემადგენლობაში შეყვანილნი იყვნენ ყველა რეგისტრირებული პარტიის წარმომადგენლები.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა პოლიტიკური მოძრაობა — ეროვნული ხსნის ფრონტი, რომელშიც რუმინეთის პოლიტიკური სპექტრის მემარცხენე ნაწილი გაერთიანდა, დასრულდა მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლის დაწყებითი ეტაპი. აღდგენილნი იქნენ ომამდე მოქმედი მემარჯვენე და მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიები, რომელთაც რუმინეთში მოიხსენიებენ ისტორიულ პარტიებად. პოლიტიკურ პარტიათა ფორმირებამ შეიძინა ფეთქებადი ხასიათი: პრეზიდენტისა და პარლამენტის 1990 წლის 20 მარტის არჩევნებისათვის დარეგისტრირდა 88 პარტია.[6]

5. *Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm*
6. *Общие сведения. http://cityref.ru/prosmotr/6463-370.htm*

რუმინეთის დღეს მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1991 წლის 21 ნოემბერს დამფუძნებელი კრების მიერ (მომხრე 114, წინააღმდეგი – 95) და მოწონებულ იქნა 1991 წლის 7 დეკემბერის რეფერენდუმზე.

2. პარტიული სისტემა

მიმდინარე პერიოდისთვის პოლიტიკურ პარტიათა სისტემა გარკვეულწილად დაწმენდილია და გამოკვეთილია გავლენიანი პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ ხალხის ნების ფორმირებაში. ეს ძირითადი პარტიები: დემოკრატიული პარტია, რომელიც მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს; ეროვნულ-ლიბერალური პარტია; ფერმერთა ლიბერალური პარტია, რომელიც ქრისტიანულ და დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს; დიდი რუმინეთის პარტია, რომელიც ულტრა – მემარჯვენე პარტიას წარმოადგენს; სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ავტორიტარული დემოკრატიული სოციალისტური პარტიაა; რუმინეთის ჰუმანისტური პარტია და პოპულისტური პარტია განიხილებიან როგორც სოციალურ-ლიბერალური გაერთიანება; რუმინეთის უნგრელთა დემოკრატიული ალიანსი, რომელიც უნგრეთის უმცირესობის პარტიაა. გარდა ამისა, რუმინეთში მოქმედებენ სხვა პარტიები, როგორებიც არიან: ქრისტიანული სახალხო პარტია; სოციალისტური პარტია; ლენინური ბოლშევიკური რევოლუციური სოციალისტური პარტია. რუმინეთის პარლამენტში წარმოდგენილი არიან შემდეგი პოლიტიკური გაერთიანებები: ბლოკი ეროვნული კავშირი, რომელშიც გაერთიანებულია სოციალ-დემოკრატიული პარტია, რუმინეთის ჰუმანისტური პარტია. ამ ბლოკმა პარლამენტის ქვედა პალატაში მიიღო ხმების 36,8%, ხოლო ზედა პალატაში – 37,2%; ბლოკი სამართლიანობისა და სიმართლის ალიანსი, რომელშიც გაერთიანებულია ეროვნულ-ლიბერალური პარტია, დემოკრატიული პარტია, რომელმაც ქვედა პალატაში მიიღო ხმების 31,5%, ხოლო ზედა პალატაში – 31,8%; შემდეგ მოდიან უფრო ძლიერი რუმინეთის პარტია: ქვედა პალატაში – 13,0%, ზედა პალატაში – 13,6%; რუმინეთის უნგრული დემოკრატიული კავშირი: ქვედა პალატაში – 6,2%, ზედა პალატაში – 6,2%; ახალი თაობის პარტია: ქვედა პალატაში – 2,2%, ზედა პალატაში – 2,4%; გლეხთა ეროვნული ქრისტიან-დემოკრატიული პარტია: ქვედა პალატაში – 1,8%, ზედა პალატაში – 1,9%. გარდა ამისა, ქვედა პალატაში წარმოდგენილია ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციების 18 წარმომადგენელი, რომელთა არსებობასაც იმპერატიულად მოითხოვს კონსტიტუცია. აღნიშნული წარმოადგენს კონსტიტუციურ გარანტიას ეთნიკური უმცირესობებისათვის.

3. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, სტრუქტურა და მისი გადასინჯვის წესი

1989 წელს ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1965 წლის კონსტიტუცია ავტომატურად არ გაუქმებულა. რუმინეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. კონსტიტუციის მიღებამდე, ჩატარდა 1990 წლის 14 მარტის რუმინეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონით. რუმინეთის დღეს მოქმედი კონსტიტუცია 2003 წელს კვლავ შეიცვალა. ორდღიან რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 55,7%-მა, აქედან კონსტიტუციურ ცვლილებებს მხარი დაუ-

ჭირა ამომრჩეველთა 89,7%, ხოლო 8,8% წავიდა წინააღმდეგი. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებული იყო რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან, რასაც ისინი 2007 წლისათვის ვარაუდობენ და კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებიც ამ დროისათვის ამოქმედდება. კონსტიტუციური ცვლილებების მიხედვით, რუმინეთის მოქალაქეებს ეძლევათ ევროპარლამენტში არჩევის უფლება, ასევე ევროპის მოქალაქეებს უფლება, არჩეულ იქნენ ქვეყნის ადგილობრივ ადმინისტრაციებში. ევროპის მოქალაქეებს მიწის შეძენის უფლება ეძლევათ 2007 წლის შემდეგ.[7]

თავისი სტრუქტურითა და შინაარსით რუმინეთის კონსტიტუცია პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციაა, რომელიც უარყოფს ტოტალიტარულ რეჟიმს და ხაზს უსვამს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე გადასვლას. რაც გამოიხატება კონსტიტუციის მიერ საყოველთაო ღირებულებებისა და იდეალების (მაგ. სამოქალაქო საზოგადოება) აღიარებით და კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოწესრიგებით. აღიარებულია ასევე კონსტიტუციონალიზმის იდეა, რომელიც წარმოუდგენელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გარეშე. კონსტიტუცია აღიარებს ხალხის ხელისუფლებას. უნდა აღინიშნოს, რომ რუმინეთის კონსტიტუციაზე გავლენა იქონია სახელმწიფო სამართლის ფრანგულმა დოქტრინამ. კონსტიტუციის ძირითადი მახასიათებლებით იგი შეესაბამება ლიბერალურ-დემოკრატიულ კონსტიტუციათა მოდელს.

რუმინეთის კონსტიტუცია შეიცავს 156 მუხლს, რომლებიც გაერთიანებულია 7 ნაწილში და რომელიც იყოფა თავებად და კარებად.

პირველი ნაწილი ეხება ზოგად დებულებებს, რომლებიც შეიცავენ რუმინეთის სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ძირითად მახასიათებლებსა და პრინციპებს. მეორე ნაწილი, რომელიც შედგება სამი თავისაგან, ეხება მოქალაქეთა ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს. მესამე ნაწილი ექვსი თავისაგან შედგება და ეხება საჯარო ხელისუფლებას (პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაცია და სასამართლო ხელისუფლება). მეოთხე ნაწილი ეხება ეკონომიკასა და საჯარო ფინანსებს, მეხუთე ნაწილი — საკონსტიტუციო სასამართლოს, მეექვსე ნაწილი — კონსტიტუციის გადასინჯვას, მეშვიდე ნაწილი — გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.[8]

ეს კონსტიტუცია ითვალისწინებს რა რუმინეთის ისტორიულ გამოცდილებას, უარყოფს ტოტალიტალურ და ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმებს, ეს დასტურდება თვით კონსტიტუციის მიზნით — შეზღუდოს სახელმწიფო ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოებით, გააძლიეროს კონსტიტუციონალიზმი, როგორც ხელისუფლების ეფექტიანი ორგანიზაციისა და შეზღუდვის საზღვრების დადგენის გარანტი.

რუმინეთის კონსტიტუციის თანახმად, რუმინეთი ეროვნული, სუვერენული და დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა, რომლის მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა. კონსტიტუცია განამტკიცებს რუმინეთის სახელმწიფოს სხვა არსებით მახასიათებლებს, აღიარებს რა მას დემოკრატიულ და სამართლებრივ, სოციალურ სახელმწიფოდ, რომელშიც ადამია-

7 http://www.podrobnosti.ua/society/83634.html

8. Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm

ნის ღირსება, მოქალაქის უფლებანი და თავისუფლებანი, პიროვნების თავისუფალი განვითარება, სამართლიანობა და პოლიტიკური პლურალიზმი გარანტირებულია და წარმოადგენენ უზენაეს ღირებულებებს.

კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ რუმინეთის კონსტიტუცია მიეკუთვნება ხისტი კონსტიტუციების რიგს, ვინაიდან მასში ცვლილებების შეტანა დაკავშირებულია საკმაოდ ვრცელ პროცედურასთან. კერძოდ, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით შეიძლება გამოვიდნენ: რუმინეთის პრეზიდენტი მთავრობის, დეპუტატებისა და სენატორების სულ ცოტა ერთი მეოთხედის, ასევე არანაკლებ 500 000 საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქის წინადადების საფუძველზე (მუხლი 146). გადასინჯვასთან დაკავშირებული პროექტი ან წინადადება მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის თითოეული პალატის წევრთა ორი მესამედის მიერ. თუ პალატებს შორის შეთანხმება არ მოხდა, მაშინ პალატები გადაწყვეტილებას იღებენ ერთობლივ სხდომაზე დეპუტატებისა და სენატორების ხმათა უმრავლესობის, სულ ცოტა, სამი მეოთხედით. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი მიიღებს პროექტს ან წინადადებას, იგი მოწონებულ უნდა იქნეს რეფერენდუმზე, რომელიც ეწყობა 30 დღის განმავლობაში იმ თარიღიდან, როცა პარლამენტი მიიღებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტს ან წინადადებას. რუმინეთის კონსტიტუცია ასევე ადგენს კონსტიტუციის გადასინჯვის საზღვრებს და კრძალავს მის გადასინჯვას, თუ იგი ეხება რუმინეთის სახელმწიფოს ეროვნულ დამოუკიდებლობას, მის ერთიან და განუყოფელ ხასიათს, მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას, ტერიტორიულ მთლიანობას, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, პოლიტიკურ პლურალიზმს და ოფიციალურ ენას ქვეყანაში. ასევე გადასინჯვას არ ექვემდებარება საკითხი, თუ მისი შედეგი იქნება მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ან მათი გარანტიების შეცვლა. კონსტიტუცია არ შეიძლება გადაისინჯოს საგანგებო,საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

4. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

რუმინეთის საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის განსაზღვრების საფუძველი მოცემულია კონსტიტუციის პირველ ნაწილში (ზოგადი პრინციპები), რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს საფუძვლად უდევს რუმინეთის ხალხის ერთობა, იგი ერთიანი და განუყოფელი სამშობლოა თავისი მოქალაქეებისათვის განურჩევლად რასისა, ეთნიკური წარმოშობისა, ენისა, რელიგიისა, სქესისა, აზრისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, ქონებრივი ან სოციალური წარმოშობისა. განსაკუთრებულ ნორმას წარმოადგენს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომლითაც კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს საზღვარგარეთ მცხოვრებ რუმინელებთან ურთიერთობას და ხელს უწყობს მათ საკუთარი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას, განვითარებასა და გამოვლენას, მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობის პატივისცემით, რომლის მოქალაქეებიც არიან ისინი. აღნიშნული ნორმის სპეციფიკურობა იმით გამოიხატება, რომ რუმინეთის კონსტიტუციაში პირდაპირ არის გაცხადებული მეორე ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ თავისი დამოკიდებულება.[9]

9. *Конституция Румынии http://www.ilpp.ru/publications/ceeconst/romania/01.html*

კონსტიტუციის მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს. მასში აღნიშნულია, რომ ყოველი მოქალაქე თანასწორია კანონისა და საჯარო ხელისუფლების წინაშე ყოველგვარი დისკრიმინაციის და პრივილეგიის გარეშე (მუხლი 16). ამ მუხლის განსაკუთრებული ხასიათი სწორედ ის არის, რომ აღიარებულია მოქალაქეთა თანასწორობა არა მხოლოდ კანონის, როგორც ეს სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში გვხვდება, არამედ საჯარო ხელისუფლების წინაშეც. ამ შემთხვევაში, ალბათ, იგრძნობა წარსულის გავლენა და შიში და სწორედ ამიტომაც არის ამდენად დაკონკრეტებული.

უნდა აღინიშნოს ის თავისებურებაც, რომელიც ამ კონსტიტუციას ახასიათებს, კერძოდ, კონსტიტუციის ტექსტში გამოიყენება ტერმინები "მოქალაქე", "რუმინეთის მოქალაქე", "უცხო ქვეყნის მოქალაქე", "პირი". იშვიათად გამოიყენება ტერმინი "ადამიანის უფლებები".[10]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუმინეთის კონსტიტუცია ძალიან დეტალიზებულია. განსაკუთრებით უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ნაწილში. აღნიშნული, ალბათ, გამოწვეულია რუმინეთის არცთუ შორეული წარსულით, როცა ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები არ იყო პრიორიტეტული.

კონსტიტუციის მიხედვით, რუმინეთი მფარველობს საზღვარგარეთ მყოფ თავის მოქალაქეებს, ასევე მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებსა და აპატრიდებს. ამისათვის იგი ქმნის გარანტიებსაც, კერძოდ, რუმინეთის მოქალაქის გაძევება და გადაცემა დაუშვებელია. რუმინეთის მოქალაქეებთან დაკავშირებით კონსტიტუცია უშვებს გამონაკლისს (მუხლი 19) – მათი ექსტრადირება დაიშვება მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მონაწილეცაა რუმინეთი, კანონის ან ნაცვალგების პრინციპის გამოყენებით. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და აპატრიდებს, ისინი შეიძლება გადაცემულ იქნენ სხვა სახელმწიფოსათვის საერთაშორისო კონვენციებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე. გაძევებისა და გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვის გარანტიას, რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას.[11]

კონსტიტუციის მე-20 მუხლი ეთმობა ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ კონსტიტუციის დებულებები მოქალაქის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით განმარტებული და გამოყენებული იქნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის და იმ საერთაშორისო პაქტებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომელთა მხარესაც წარმოადგენს რუმინეთი, ხოლო კანონმდებლობასა და საერთაშორისო აქტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო აქტებს, თუ კონსტიტუცია და ეროვნული კანონმდებლობა არ ქმნის ხელსაყრელ პირობებს. ეს არის საკმაოდ კონკრეტული და მკაფიო გარანტია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.[12]

---

10. Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm

11. Конституция Румынии http://www.ilpp.ru/publications/ceeconst/romania/01.html

12. Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm

ძირითადი უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების კონკრეტულ კონსტიტუციურ რეგლამენტაციას ახლავს გარკვეული თავისებურებები.

პირველი: რუმინეთის კონსტიტუციურ სამართალში ჩნდება ბევრი ახალი უფლება (სიცოცხლის უფლება, გადაადგილების უფლება, გაფიცვის უფლება, ინფორმაციისა და სხვა). ამ უფლებების წინ წამოწევა განპირობებული იყო მათი განმტკიცების მიზნით. სოციალურ უფლებებს თან სდევს მუხლი ცხოვრების დონის შესახებ, რომელიც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. ძირითადად ლაპარაკია სახელმწიფოს სოციალურ ხასიათზე, რადგან იგი ახორციელებს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ფუნქციას.

მეორე: არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძირითადი ყურადღება ეთმობა უფლებათა და თავისუფლებათა ყოველმხრივ და დეტალურ რეგლამენტაციას, კონკრეტულ იურიდიულ გარანტიებს, ეს მოწმობს, რომ არის მცდელობა გადალახულ იქნეს უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციული ხასიათი. კონსტიტუცია ერთმანეთისაგან მიჯნავს რელიგიის უფლებასა და მისი გამოხატვის თავისუფლებას; კონსტიტუცია კრძალავს ცენზურას, ქვეყნისა და ერისათვის ცილისწამებას, აგრესიული ომისაკენ მოწოდებას, ეროვნული, კლასობრივი და რელიგიური შუღლის გაღვივებასა და სხვა (მუხლი 30).

მესამე: დამოუკიდებელ თავად არის გამოყოფილი ძირითადი მოვალეობები. მათ შორის გვხვდება უცნაური ფორმულირებები: „სახელმწიფოსადმი ერთგულება წმინდაა", „საჯარო ფუნქციებით აღჭურვილი პირები ვალდებული არიან, დადონ ფიცი".[13]

5. რუმინეთის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

კონსტიტუციის მესამე ნაწილი შედგება თავებისაგან, რომლებიც დაყოფილია კარებად (პირველ და მეექვსე თავებში — სამი კარია, ხოლო მეხუთეში — ორი) და შესაბამისად ეხება პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის სტატუსს, ორგანიზაციასა და საქმიანობას, მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციებს.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ორგანიზებას საფუძვლად უდევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი არის ქვეყნის ერთადერთი საკანონმდებლო ხელისუფლება, მთავრობა ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას იმ პროგრამის თანახმად, რომელიც მოწონებულია პარლამენტის მიერ. სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას, ხოლო პროკურატურა სასამართლოში წარმოადგენს საზოგადოების საერთო ინტერესს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

კონსტიტუციის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ეხება პარლამენტის, პრეზიდენტის არჩევის წესს, მთავრობის ჩამოყალიბებას, თანამდებობის პირების დანიშვნას, პასუხისმგებლობას იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ რუმინეთი მართვა — გამგეობის ფორმის მიხედვით მიეკუთვნება ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკას. კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ადგ-

13. Вводная статья ht:p://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm

ილსა და როლს, ასევე ნორმატიული და სამართლებრივი აქტების კატეგორიებს, რომლებსაც ისინი გამოსცემენ.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება

საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტიტუციური რეგულირება ეხება პარლამენტის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს, დეპუტატთა და სენატორთა სტატუსს, კანონთა სახეებსა და საკანონმდებლო სტადიებს.

1991 წლის 21 ნოემბერის კონსტიტუციით რუმინეთისათვის პრინციპული სიახლეა ბიკამერული პარლამენტის აღდგენა. დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ. პარლამენტარების რაოდენობა დგინდება საარჩევნო კანონმდებლობით და განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

დეპუტატები პალატასა და სენატში ირჩევიან 4 წლის ვადით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორგანული კანონის თანახმად ომის ან კატასტროფების დროს.

პარლამენტის არჩევნები იმართება უფლებამოსილების ვადის გასვლის ან მისი დათხოვნიდან სამი თვის შემდეგ. ახლად არჩეული პარლამენტი იკრიბება არა უგვიანეს 20 დღისა არჩევნების შემდეგ (მუხლი 63).

პარლამენტის ფორმირების განსაკუთრებული პირობა განსაზღვრულია კონსტიტუციით, სადაც დადგენილია, რომ მოქალაქეთა ორგანიზაციას, რომელიც მიეკუთვნება ერთ ეროვნულ უმცირესობას და არჩევნებზე ვერ აგროვებს წარმომადგენლობისათვის საჭირო ხმათა რაოდენობას, უფლება აქვს, ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი დეპუტატთა პალატში საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ერთი ეროვნული უმცირესობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ორგანიზაციის სახით (მუხლი 62).

დეპუტატთა და სენატორთა სტატუსი განისაზღვრება მათი სახელმწიფო სამსახურში ყოფნით. იკრძალება იმპერატიული მანდატი. კონსტიტუცია აღიარებს მხოლოდ თავისუფალ მანდატს. კონსტიტუცია ადგენს იმუნიტეტისა და შეუთავსებლობის ერთიან საწყისებს. კონსტიტუციის თანახმად, არავინ შეიძლება ერთდროულად იყოს დეპუტატიც და სენატორიც. დეპუტატის ან სენატორის ფუნქცია შეუთავსებელია სხვა ნებისმიერი საჯარო ფუნქციის განხორციელებასთან მთავრობის წევრის ფუნქციის გარდა. რუმინეთის კონსტიტუცია ყურადღებას იპყრობს იმ თავისებურებითაც, რომ გამოიყენება არცთუ ისე გავრცელებული პრაქტიკა, როცა დეპუტატის ფუნქცია შეთავსებადია მთავრობის წევრის ფუნქციასთან. ამ შემთხვევაში არ ხდება ხელისუფლების განაწილების პრინციპის ზუსტი გამოყენება (მუხლი 71).[14]

დეპუტატები და სენატორები სარგებლობენ იმუნიტეტით, რომლის მიზანია მათი დაცვის უზრუნველყოფა არამართლზომიერი სასამართლო დევნის შემთხვევაში, მათი აზრისა თუ მოქმედებების თავისუფლების გარანტიების შექმნა. დაუშვებელია დეპუტატის და სენატორის დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა ან პასუხისგებაში მიცემა სამართალდარღვევისა თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, თუ სათანადო მოსმენის შედეგად არ იქნება მიღებული შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობა. შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე დეპუტატის ან სენატორის დაკავება ან ჩხრეკა

14. http//www.cdep.ro/pls/dic/cd. show

დასაშვებია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების დროს (მუხლი 72).

დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევიან ერთნაირი წესით, ასევე ერთნაირი აქვთ შიდა ორგანიზაციაც. განსხვავებაა მხოლოდ საქმიანობის წესში, რომელიც განსაზღვრულია თითოეული პალატის რეგლამენტით, აგრეთვე მათთვის ცალ – ცალკე განსაზღვრული საბიუჯეტო დაფინანსებით.

პარლამენტის ყოველი პალატა ირჩევს მუდმივმოქმედ ბიუროს. პალატების თავმჯდომარეები აირჩევიან პალატების უფლებამოსილების ვადით, ხოლო ბიუროს სხვა წევრები – სესიის დაწყების წინ.

დეპუტატებსა და სენატორებს, რეგლამენტის შესაბამისად, შეუძლიათ შექმნან საპარლამენტო ჯგუფები. პალატებმა შეიძლება შექმნან მუდმივმოქმედი და საგამოძიებო კომისიები. მუდმივმოქმედი ბიურო და კომისიები დაკომპლექტებული უნდა იყოს პალატების პოლიტიკური შემადგენლობის გათვალისწინებით. დღეს მოქმედ პარლამენტში მოქმედებს შვიდი საპარლამენტო ჯგუფი: სოციალ-დემოკრატთა საპარლამენტო ჯგუფი – 111 წევრი; ეროვნულ – ლიბერალური საპარლამენტო ჯგუფი – 66 წევრი; დემოკრატების საპარლამენტო ჯგუფი –44 წევრი; დიდი რუმინეთის საპარლამენტო ჯგუფი – 36 წევრი; რუმინეთის უნგრელთა დემოკრატიული საპარლამენტო ჯგუფი – 22 წევრი; კონსერვატორთა საპარლამენტო ჯგუფი – 20 წევრი; ეროვნულ უმცირესობათა საპარლამენტო ჯგუფი – 18 წევრი; 14 კაციანი ჯგუფი, რომელიც არც ერთ საპარლამენტო ჯგუფს არ მიეკუთვნება.

პარლამენტის პალატები მუშაობენ სესიების ფორმით. წელიწადში მათ აქვთ ორი სესია. პირველი სესია იწყება თებერვალში და გრძელდება ივნისის ბოლომდე, ხოლო მეორე იწყება სექტემბერში და გრძელდება დეკემბრის ბოლომდე. პალატები იკრიბებიან რიგგარეშე სესიებზეც, რომლებიც მოიწვევა რუმინეთის პრეზიდენტის მიერ, თითოეული პალატის მუდმივმოქმედი ბიუროს ან დეპუტატებისა და სენატორების არანაკლებ მესამედის მოთხოვნით. პალატები მოიწვევა პალატების თავმჯდომარის მიერ.

პალატები მუშაობენ როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივი სხდომების სახით. ერთობლივი სხდომები იმართება რეგლამენტის თანახმად, რომელსაც იღებენ დეპუტატები და სენატორები ხმათა უმრავლესობით. ერთობლივ სხდომებზე იკრიბებიან რუმინეთის პრეზიდენტის მიმართვის მისაღებად; ქვეყნის ბიუჯეტისა და სოციალური ბიუჯეტის დამტკიცებისას; საერთო ან ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების დროს; საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს; საომარი მოქმედებების შეწყვეტის ან შეჩერების დროს; თავდაცვის უმაღლესი საბჭოს ანგარიშის განხილვისას; რუმინეთის პრეზიდენტის მიერ სადაზვერვო სამსახურის დირექტორის დანიშვნისა და მისი კონტროლის განხორციელების დროს.

პალატების სხდომები საჯაროა, ხოლო პალატებს შეუძლიათ ცალკეული სხდომები დახურონ. პალატები იღებენ კანონებს, გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

ბ) პრეზიდენტი

რუმინეთის კონსტიტუციის 80-ე მუხლის თანახმად, რუმინეთის პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს და არის ეროვნული დამოუკიდებლობის, ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, აგრეთვე თვალყურს

ადევნებს კონსტიტუციის დაცვას, საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირებას და ამ მიზნით ახორციელებს შუამავლის ფუნქციას ხელისუფლებათა შტოებს, აგრეთვე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

რუმინეთის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი კენჭისყრის საფუძველზე. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას. ხოლო თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო საჭირო ხმების მოგროვება, მაშინ იმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში გამარჯვებული პირველი ორი კანდიდატი. გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს მეტ ხმას. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ (მუხლი 81).

პრეზიდენტის ბოლო არჩევნები ჩატარდა 2004 წლის 29 ნოემბერს და 13 დეკემბერს. არჩევნებში მონაწილეობდა შვიდი კანდიდატი, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიული პარტიის, უფრო ძლიერი რუმინეთის პარტიის, რუმინეთის უნგრელთა დემოკრატიული პარტიის, ახალი თაობის პარტიის, გაერთიანება დემოკრატიული ძალის მიერ, ერთი კანდიდატი კი არ მიეკუთვნებოდა არც ერთ პარტიას.

არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა ორმა კანდიდატმა: ანდრიან ნესტასემ სოციალ – დემოკრატიული პარტიიდან (40,9%) და ტრაიან ბასესკუმ – დემოკრატიული პარტიიდან (33,9%). ხოლო მეორე ტურის შედეგების მიხედვით რუმინეთის პრეზიდენტი გახდა ტრაიან ბასესკუ (51,2%).

პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს ცნობს საკონსტიტუციო სასამართლო, რის შემდეგაც პრეზიდენტი პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დებს ფიცს (მუხლი 82). პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. მისი უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს ორგანული კანონით ომისა და კატასტროფების შემთხვევაში.

პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებისას ეკრძალება რომელიმე პარტიის წევრობა, ამით იგი თავისუფლდება პარტიული კონიუნქტურისაგან. ეს განპირობებულია იმით, რომ მან მიუკერძოებლად განახორციელოს მასზე დაკისრებული არბიტრის ფუნქცია. მას აგრეთვე ეკრძალება სხვა საჯარო ან კერძო ფუნქციის შესრულება. პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით, რომელიც დადგენილია 69-ე მუხლის პირველი პუნქტით. კონსტიტუცია ითვალისწინებს რუმინეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურას სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში.

რუმინეთის კონსტიტუცია პრეზიდენტს განუსაზღვრავს უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს. იგი ვალდებულია, ითანამშრომლოს პარლამენტთან მთავრობის ფორმირების დროს. პრეზიდენტი სთავაზობს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს მთავრობას პარლამენტის ნდობის ვოტუმის საფუძველზე. პრეზიდენტი უფლებამოსილია, კონსულტაციები გამართოს მთავრობასთანაც მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. კონსტიტუცია თითქმის ამომწურავად განსაზღვრავს მთავრობის მუშაობაში პრეზიდენტის აქტიური მონაწილეობის შემთხვევებს და მის ფუნქციას, მთავრობის სხდომების თავმჯდომარეობის დროს, როცა განიხილება პრობლემები, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ ინტერესებს და ეხებიან

საგარეო პოლიტიკას, ქვეყნის თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და პრემიერ-მინისტრის თხოვნის საფუძველზე, პრეზიდენტი, აგრეთვე მიმართავს პარლამენტს, ერის მთავარ პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ იგი მიმართავს არა ქვეყნის მდგომარეობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ ან აბარებს ანგარიშს, როგორც ეს ბევრი ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობას წარმოადგენს, არამედ — მხოლოდ ერის პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით.

პრეზიდენტი უფლებამოსილია, ორივე პალატის თავმჯდომარეებთან და საპარლამენტო ჯგუფების ლიდერებთან კონსულტაციების შემდეგ დაითხოვოს პარლამენტი. მას პარლამენტის დათხოვნა არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, აგრეთვე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთხელ. როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია პრეზიდენტს უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს და შესაბამის პირობებს, პარლამენტის დათხოვნის განსახორციელებლად. პირობად კი კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ თუ პარლამენტი არ უცხადებს ნდობის ვოტუმს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, რომელიც საჭიროა მთავრობის ფორმირებისათვის 60 დღის განმავლობაში, პირველი წინადადების წარდგენიდან და სულ ცოტა, ორჯერ, პრემიერ—მინისტრის კანდიდატურის უარყოფის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია, პარლამენტის თავმჯდომარეებთან და საპარლამენტო ჯგუფების ლიდერებთან კონსულტაციის შემდეგ დაითხოვოს პარლამენტი, რაც შეეხება ნდობის მანდატის გამოცხადებას, იგი შეიძლება უარყოფილ იქნეს უნდობლობის რეზოლუციის მიღებით.

პრეზიდენტი უფლებამოსილია, საკითხი გაიტანოს რეფერენდუმზე, რითაც ხალხს ეძლევა საშუალება, გამოიყენოს უშუალო დემოკრატიის ეს ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა ეხება ეროვნულ ინტერესს. პრეზიდენტი აგრეთვე დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებზეც მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავრობა და რატიფიცირებისათვის წარუდგენს პარლამენტს. პრეზიდენტი, მთავრობის წინადადებით, ნიშნავს და გამოიწვევს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენელთა აკრედიტაციას. რუმინეთის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ახორციელებს თავდაცვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას. პრეზიდენტს შეუძლია, გამოაცხადოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, რომელსაც წარუდგენს პარლამენტს არა უგვიანეს 5 დღისა მისი განხორციელების შემდეგ. გარდა ამისა, პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აჯილდოებს და ანიჭებს საპატიო წოდებებს; ანიჭებს მარშლის, გენერლისა და ადმირალის წოდებებს; ნიშნავს თანამდებობის პირებს; ახორციელებს ინდივიდუალურ შეწყალებას (მუხლი 91-94); პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტებს, რომელთაგან უმრავლესობა (მუხლი 100) კონტრასიგნებული უნდა იქნეს პრემიერ-მინისტრის მიერ.

ამ კონსტიტუციის ერთ-ერთი საინტერესო თავისებურება ის არის, რომ არსებობს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების ანუ იმპიჩმენტის განსხვავებული წესი — როცა საქმე ეხება სახელმწიფოს ღალატს, მაშინ პარ-

ლამენტის პალატები გაერთიანებულ სხდომაზე წაუყენებენ პრეზიდენტს ბრალდებას. ამ შემთხვევაში კომპეტენტურ სასამართლოებად ითვლებიან მართლმსაჯულების უმაღლესი და საკასაციო სასამართლოები. პრეზიდენტი კი გადაყენებულად ითვლება იმ დღიდან, როცა ბრალდება დადასტურდება. ხოლო აბსოლუტურად განსხვავებული წესია დადგენილი მაშინ, როცა პრეზიდენტი ჩაიდენს ქმედებას, რითაც არღვევს კონსტიტუციას. ამ შემთხვევაში ორივე პალატა გაერთიანებულ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის, უფლებამოსილების განხორციელებიდან ჩამოცილების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოსთან კონსულტაციის შემდეგ. ასეთ დროს პრეზიდენტს უფლება ეძლევა, გარკვეული განმარტება მისცეს პარლამენტს. თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებიდან ჩამოცილების შესახებ, მაშინ, არა უგვიანეს 30 დღისა, ეწყობა რეფერენდუმი პრეზიდენტის გადაყენების საკითხის გადასაწყვეტად. როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში პარლამენტი თავისუფალია მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი შეზღუდულია რეფერენდუმით. ეს, ერთი მხრივ, პარლამენტის შეკავების მექანიზმია, რათა არ მოხდეს ამ შესაძლებლობის ხშირი გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ ეს შეიძლება მივიჩნიოთ როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის სახალხო კონტროლად, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხალხის ხელშია იმ გადაწყვეტილების ბედი, ვის დაუჭერს მხარს — პარლამენტის ინიციატივას, თუ პრეზიდენტს.

თუ ქვეყანაში გაჩნდა პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსია, მაშინ მთავრობა მისი გაჩენიდან სამი თვის განმავლობაში ატარებს ახალ არჩევნებს. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია, ან იგი ჩამოცილებულია უფლებამოსილების განხორციელებას, ან დროებით ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, მაშინ მის მოვალეობას რიგრიგობით ასრულებენ სენატის ან დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეები.

პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ვადის ამოწურვისას; გარდაცვალებისას; თუ მას არ შესწევს უნარი, განახორციელოს უფლებამოსილება; გადადგომისას; იმპიჩმენტის წესით გადაყენებისას; შეუთავსებლობისას.

ქვეყნის ცხოვრებაში იყო მაგალითები, როცა ხდებოდა კონფლიქტები ქვეყნის მეთაურსა და პრემიერს, აგრეთვე პარლამენტს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება აიხსნას, როგორც კონსტიტუციის ხარვეზი. მაგალითად, 1999 წელს მთავრობას სათაეში ჩაუდგა პრემიერ-მინისტრი რადუ ვასილი. მაშინ მმართველ კოალიციაში შედიოდნენ ეროვნულ-ცენტრისტული ქრისტიანული და დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-ლიბერალური პარტია, მწვანეთა პარტია, დემოკრატიული პარტია, რუმინეთის უნგრელთა დემოკრატიული გაერთიანება. ამ პერიოდში მოხდა კონფლიქტი სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრ რადუ ვასილის შორის, რომელმაც პრეზიდენტი დაადანაშაულა კონსტიტუციის დარღვევაში — თითქოს იგი ერეოდა პოლიტიკაში ისეთი ფორმით, რომლიც სცილდებოდა მის კომპეტენციას. აღნიშნული დემარში განაპირობა პრეზიდენტ კონსტანტინესკუს პოპულარობის კლებამ. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა უარყო მის მიმართ გამოთქმული ბრალდებები, მას მაინც დაეძაბა ურთიერთობა თავის ცერენისტულ ქრისტიანულ და დემოკრატიულ პარტიასთან. კონ-

ფლიქტი მოყვა სახელმწიფო მეთაურის ინიციატივას პრეზიდენტისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელიც უნდა განხილულიყო რეფერენდუმზე. პარლამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ სიახლეს. დღეს ეს საკითხი კონსტიტუციით არის მოწესრიგებული (მუხლი 90).[15] იგი არ არის მთავრობის მეთაური, მას აქვს უფლებამოსილებათა ვრცელი სპექტრი, მაგრამ არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში და მთელი დატვირთვა მოდის მთავრობაზე. იგი თვალყურს ადევნებს ხელისუფლების შტოების ფუნქციონირებას და ასრულებს არბიტრის როლს. მისი როლი ძლიერდება კრიზისების პერიოდში, თუმცა პრეზიდენტი ვერც ამ დროს იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და ვალდებულია, აწარმოოს კონსულტაციები.

გ) აღმასრულებელი ხელისუფლება

მთავრობა ასრულებს პარლამენტის მიერ მიღებულ პროგრამას, ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და უწევს საერთო ხელმძღვანელობას საჯარო ადმინისტრაციას. პოლიტიკური თვალსაზრისით იგი პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

კონსტიტუცია საკმაოდ ვრცლად ეხება მთავრობის ფორმირების წესს, შემადგენლობას, მთავრობის წევრისა და პრემიერ-მინისტრის სტატუსს, უფლებამოსილების დაწყებასა და შეწყვეტას, პარლამენტთან ურთიერთობას საპარლამენტო კონტროლის სფეროში, საკანონმდებლო დელეგირებისა და უნდობლობის ვოტუმის მიღების საკითხებს.

რუმინეთში მიღებულია ინვესტიტურის ინსტიტუტი, რომელსაც წარადგენს პრეზიდენტი იმ პარტიებთან კონსულტაციების შემდეგ, რომლებიც ფლობენ უმრავლესობას პარლამენტში, თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ — საპარლამენტო პარტიებთან. ამით პრეზიდენტი ვალდებულია, ითანამშრომლოს პარლამენტთან და გაითვალისწინოს პარლამენტის შეხედულებები და მოთხოვნები. ცენტრალური ადმინისტრაცია იქმნება სამინისტროებისა და სხვა ორგანოებისაგან, რომლებიც შეიძლება იყვნენ მთავრობის, სამინისტროს დაქვემდებარებაში ან არსებობდნენ, როგორც ავტონომიური ადმინისტრაციები. სამინისტროები იქმნებიან და ფუნქციონირებენ კანონის თანახმად, ავტონომიური ადმინისტრაციები კი — მხოლოდ ორგანული კანონის მიხედვით. ასეთებად კონსტიტუცია მიიჩნევს საბჭოებსა და პრიმარებს კომუნებსა და ქალაქებში.

მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია სხვა საჯარო ფუნქციებთან დეპუტატის და სენატორის ფუნქციის გარდა, ასევე მას არ შეუძლია იყოს იმ ორგანიზაციის ანაზღაურებადი წარმომადგენელი, რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას. ამ შემთხვევაში გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ რუმინეთში, რომელმაც საკმაოდ რთული გზა გაიარა, ვიდრე დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა, დეპუტატს შეუძლია იმავდროულად შეასრულოს მთავრობის წევრის ფუნქცია. აქ აღრეულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გაგება, გარდა ამისა, შეუძლებელია, პარლამენტი ან მთავრობა თავისუფალი იყოს თავის გადაწყვეტილებებში, აგრეთვე ძნელია

15. http://www.ilpp.ru/kpva/index.html

ამ შემთხვევაში ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, როცა მთავრობის წევრები იმავდროულად დეპუტატებიც არიან.

თუმცა ყოფილა რუმინეთის ისტორიაში მაგალითები, როცა პრემიერ-მინისტრს თავად მისი პარტია უცხადებდა უნდობლობას და უპირისპირდებოდა მას. მაგალითად, 1999 წელს პრემიერ-მინისტრს რადუ ვასილის თავისმა პარტიამ უარი უთხრა მხარდაჭერაზე. ამ დროს არსებობდა კოალიციური მთავრობა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის შედგა შეთანხმება, პრემიერ-მინისტრმა რადუ ვასილიმ უარი განაცხადა გადადგომაზე და იგი პრეზიდენტმა გადააყენა თანამდებობიდან. აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ამ შემთხვევაში გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, რადგან კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს უფლებას, გადააყენოს მინისტრები და არა პრემიერ-მინისტრი (მ. 85). ამ შემთხვევაში საკმაოდ გაძლიერდა პრეზიდენტის როლი პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის დროს. მიუხედავად ოპოზიციის წინააღმდეგობისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ განმარტა პრეზიდენტის ქმედება და აღნიშნა, რომ ეს მის კომპეტენციას სცილდება. საბოლოოდ პრემიერ-მინისტრი დაარწმუნეს, დაეტოვებინა თანამდებობა საკუთარი სურვილით.[16] უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლის ცვლილებებმა აღნიშნული პრობლემა საბოლოოდ გადაწყვიტა: პრეზიდენტს არა აქვს პრემიერ-მინისტრის გადაყენების უფლება.

დღეს რუმინეთის პრემიერ-მინისტრია კელინ პოპესკუ-ტარიჩანუ, რომლის მთავრობა არის კოალიციური და ჩამოყალიბებულია ეროვნულ-ლიბერალური პარტიის, დემოკრატიული პარტიის, რუმინეთის უნგრელთა დემოკრატიული კავშირისა და რუმინეთის ჰუმანისტური პარტიის მიერ. რუმინეთის დღევანდელ პარლამენტში ამ პარტიებს აქვთ უმრავლესობა და შესაბამისად, მთავრობაც კომპლექტდება მათი შემადგენლობის გათვალისწინებით.

მთავრობის წევრის ფუნქციები წყდება: გადადგომის, გამოწვევის, საარჩევნო უფლების დაკარგვის, შეუთავსებლობისა და სიკვდილის შემთხვევებში, სხვა შემთხვევები განისაღვრება კანონით (მუხლი 106).

პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და კოორდინაციას უწევს მისი წევრების საქმიანობას. იგი პარლამენტის პალატებს წარუდგენს ანგარიშსა და განცხადებას მთავრობის პოლიტიკის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პრემიერი იმყოფება კონსტიტუციის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ან არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, მაშინ პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის სხვა წევრს დროებით შემცვლელად, რომელიც ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე. დროებითი შემსრულებლის უფლებამოსილება წყდება, თუ პრემიერი უბრუნდება თავის საქმიანობას. აღნიშნული პროცედურა ეხება მთავრობის სხვა წევრებს, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, მხოლოდ არა უმეტეს 45 დღისა (მუხლი 107).

მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებსა და ორდონანსებს, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი და რომლებიც კონტრასიგნებული უნდა იყოს მთავრობის იმ წევრების მიერ, რომლებმაც უნდა აღასრულონ.

საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით მთავრობა და

16. http://www.ilpp.ru/kpva/index.html

სხვა საჯარო დაწესებულებების ორგანოები ვალდებულნი არიან, პარლამენტს წარუდგინონ ის ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილია დეპუტატთა პალატისა და სენატის, ასევე პარლამენტის კომისიების მიერ. მთავრობა და მისი ყველა წევრი ვალდებულნი არიან, უპასუხონ პარლამენტის პალატების მიერ დასმულ შეკითხვას ან ინტერპელაციას, ხოლო პარლამენტი ვალდებულია, მიიღოს რეზოლუცია დასმულ შეკითხვასთან ან ინტერპელაციასთან დაკავშირებით. პარლამენტს შეუძლია, გადააყენოს მთავრობა უნდობლობის რეზოლუციის მიღებით. მთავრობას შეუძლია, იკისროს პასუხისმგებლობა პალატების წინაშე პროგრამისა და საერთო პოლიტიკის განცხადებასთან ან ცალკეულ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რასაც შეიძლება მოჰყვეს მთავრობის გადადგომა. პარლამენტს შეუძლია, მიიღოს სპეციალური კანონი, რომლითაც მთავრობა აღიჭურვება უფლებით, რომ გამოსცეს ორდონანსები იმ სფეროებში, რომლებიც არ წარმოადგენენ ორგანული კანონის რეგულირების სფეროს. კანონი, რომელიც აღჭურავს მთავრობას ორდონანსების გამოცემის უფლებით, აუცილებლად განსაზღვრავს ორდონანსების მოქმედების ვადებსა და სფეროებს. თუკი ეს კანონი მოითხოვს, მაშინ ორდონანსები დასამტკიცებლად წარედგინება პარლამენტს.

დ) სასამართლო ხელისუფლება

რუმინეთში სასამართლო ხელისუფლება ხასიათდება საერთო იუსტიციით. კონსტიტუცია აწესრიგებს ხელისუფლების ამ შტოს სამ ელემენტს: სასამართლო ინსტანციებს, პროკურატურასა და მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის თანახმად. მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი. მოსამართლის თანამდებობრივი დაწინაურების, გადაყვანისა და დასჯის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება ექვსი წლის ვადით არჩეული 19 წევრისაგან. რუმინეთის პრეზიდენტი უძღვება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სასამართლო განხილვებს. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო მოქმედებს როგორც მოსამართლეთა და სახალხო ბრალმდებელთა სადისციპლინო საბჭო. ამ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრს, საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოთა თავმჯდომარეებსა და გენერალურ ბრალმდებელს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება (მუხლი 133-134).

მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ კერძო ან საჯარო ფუნქციასთან, გარდა უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მოღვაწეობისა. მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, სხვა წევრები ინიშნებიან 6 წლის ვადით და მათი დანიშვნა შეიძლება განმეორებით. მართლმსაჯულება ხორციელდება უმაღლესი და საკასაციო სასამართლოებისა და დანარჩენი სასამართლო ინსტანციების მიერ. აკრძალულია საგანგებო სასამართლოების შექმნა (მუხლი 126).

პროკურატურა რუმინეთში სასამართლო სისტემის შემადგენელია, წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს და იცავს მართლწესრიგს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. პროკურორები თავიანთ უფლებამოსილებას

ახორციელებენ იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით.[17]

გარდა აღნიშნულისა, კონსტიტუცია განსაზღვრავს კიდევ ორი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს სტატუსს. ეს არის აუდიტორული სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო. აღნიშნული არ არის შეტანილი კონსტიტუციის იმ თავში, რომელიც ეძღვნება სასამართლო ხელისუფლებას. აუდიტორული სასამართლო აკონტროლებს სახელმწიფოში ფინანსური რესურსების წარმოშობას, მათ მართვასა და გამოყენებას. ამ სასამართლოს წევრები ინიშნებიან პარლამენტის მიერ 9 წლის ვადით და სარგებლობენ დამოუკიდებლობით და ხელშეუხებლობით.

საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედი კონსტიტუციის მიღებამდე რუმინეთის სახელმწიფო სამართლისათვის ცნობილი არ იყო. მისი სტატუსი განისაზღვრება კონსტიტუციის 142-146-ე მუხლებით და 1992 წლის 18 მაისის კანონით. კონსტიტუცია არ მიუთითებს, ხელისუფლების რომელ შტოს მიეკუთვნება ეს ორგანო, ხოლო ის ნორმები, რომელიც მას ეხება, ქმნიან მისი სტრუქტურის დამოუკიდებელ ნაწილს. საკონსტიტუციო სასამართლოს ამდაგვარი ადგილის განსაზღვრა დამახასიათებელია რომანული სისტემის ქვეყნებისათვის, მაგალითად, საფრანგეთისათვის, სადაც საკონსტიტუციო საბჭო, ისევე როგორც რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლო, უფლებამოსილია, განახორციელოს კანონების წინასწარი კონტროლი მათ ძალაში შესვლამდე. მაგრამ განსხვავებით საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოსაგან, სადაც ორგანული კანონი ძალაში შედის საკონსტიტუციო საბჭოს მიერ მისი კონსტიტუციურობის დამტკიცების შემდეგ. რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი განიხილოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხი, თუ მას მიმართავს ამისათვის უფლებამოსილი ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წევრისაგან, რომლებიც ინიშნებიან 9 წლის ვადით და მხოლოდ ერთხელ. მოქმედებს ეგრეთ წოდებული როტაციის პრინციპი: ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება ერთი მესამედის განახლება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი პროფესიული კომპეტენცია და იურიდიულ სფეროში მუშაობის, სულ ცოტა, 18 წლის სტაჟი.

საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებები, რომლებიც ჩამოთვლილია კონსტიტუციის 144-ე მუხლში, როგორებიცაა, მაგალითად, დავა პოლიტიკურ პარტიათა კონსტიტუციურობის გამო, პრეზიდენტის არჩევნების პროცედურების დაცვისათვის თვალყურის დევნება, რეფერენდუმის ორგანიზება, აგრეთვე მათი შედეგების დამტკიცება, მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების დაცვის პირობების შემოწმება და სხვა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ არსებობს კვაზისასამართლო ხასიათის ორგანო.[18]

6. ადგილობრივი მართველობა და თვითმმართველობა

სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, რუმინეთი უნიტარული სახელმწიფოა. მისი ტერიტორია, ადმინისტრაციული თვალსაზრისით კონ-

17. Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm
18. Вводная статья http://constitucion.garant.ru/doc-386 4899.htm

სტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იყოფა კომუნებად, ქალაქებად და მაზრებად (სულ 40). კანონით განსაზღვრული პირობებით ქალაქები ცხადდება მუნიციპიებად (სულ 56).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საჯარო ადმინისტრაცია ეყრდნობა ადგილობრივ ავტონომიებსა და დეცენტრალიზებულ საჯარო მომსახურების პრინციპს. ადგილობრივი ხელისუფლება კომუნებსა და ქალაქებში წარმოადგენს კანონის თანახმად არჩეულ ადგილობრივ საბჭოებსა და პრიმარებს. ისინი ფუნქციონირებენ კანონის თანახმად და წყვეტენ ქალაქებისა და კომუნების საჯარო საქმეებს. ისინი შეიძლება შეიქმნან აგრეთვე მუნიციპიების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფებში. მაზრების საბჭოები წარმოადგენენ საჯარო ადმინისტრაციის ხელისუფლებას, რათა კოორდიანცია გაუწიონ კომუნებისა და ქალაქების საბჭოების საქმიანობას. მაზრების საბჭოები აირჩევიან კანონის თანახმად.

მთავრობა ნიშნავს თითო პრეფექტს ყოველ მაზრაში და ბუქარესტის მუნიციპიაში. პრეფექტი მთავრობის წარმომადგენელია ადგილობრივ დონეზე და ხელმძღვანელობს სამინისტროებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების დეცენტრალიზებულ საჯარო სამსახურებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. პრეფექტის უფლებამოსილება დგინდება კანონით. პრეფექტს შეუძლია გააპროტესტოს ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტანციაში მაზრის საბჭოს, ადგილობრივი საბჭოს ან პრიმარის აქტი, თუ მას მიიჩნევს უკანონოდ. ამ დროს აქტის მოქმედება ჩერდება.

რუმინეთის კონსტიტუცია

ნაწილი 1. საერთო პრინციპები

მუხლი 1. რუმინეთის სახელმწიფო

(1) რუმინეთი არის ნაციონალური, სუვერენული, დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო.

(2) რუმინეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა.

(3) რუმინეთი დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფოა, რომლის მმართველობა დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე, სადაც ადამიანის ღირსებას, მოქალაქეთა უფლებებს და თავისუფლებებს, ადამიანის პიროვნების თავისუფალ განვითარებას და პოლიტიკურ პლურალიზმს აქვს უმაღლესი მნიშვნელობა რუმინეთის ხალხის დემოკრატიული ტრადიციების და 1989 წლის რევოლუციის იდეალებისათვის და გარანტირებულია.

(4) შეიქმნება ისეთი პირობები, რომელიც დამყარებული იქნება ხელისუფლების განაწილების პრინციპზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებად კონსტიტუციური დემოკრატიის ფარგლებში.

(5) რუმინეთში დაცულია კონსტიტუცია, მისი უზენაესობა. კანონი ყველასათვის სავალდებულოა.

მუხლი 2. სუვერენიტეტი

(1) ეროვნული სუვერენიტეტის წყაროა რუმინეთის ხალხი, რომელიც ახორციელებს მას უშუალოდ წარმომადგენლობით ორგანოებში წარმომადგენლების გზით, პირდაპირი და გამჭვირვალე, სამართლიანი არჩევნებით და რეფერენდუმის გზით.

(2) არც ერთ ჯგუფსა და პირს არ შეუძლია, განახორციელოს სუვერენიტეტი საკუთარი სახელით.

მუხლი 3. ტერიტორია

(1) რუმინეთის ტერიტორია განუსხვისებელია.

(2) ქვეყნის საზღვრები განისაზღვრება ორგანული კანონით, საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვით.

(3) ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია კომუნებად, ქალაქებად და დაბებად. კანონით განსაზღვრულ პირობებში ზოგიერთი ქალაქი ცხადდება მუნიციპიებად.

(4) რუმინეთის სახელმწიფოს ტერიტორია არ შეიძლება დასახლებულ ან კოლონიზებულ იქნეს უცხო მოსახლეობის მიერ.

მუხლი 4. ხალხის ერთიანობა და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა

(1) სახელმწიფოს საფუძველია რუმინელი ხალხისა და მოქალაქეთა ერთობა.

(2) რუმინეთი ერთიანი და განუყოფელი სამშობლოა ყველა თავისი მოქალაქისა განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, ენისა, რელიგიისა, სქესისა, აზრისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, სოციალური ან ეთნიკური წარმოშობისა.

მუხლი 5. მოქალაქეობა

(1) რუმინეთის მოქალაქეობის მოპოვება, შენარჩუნება და დაკარგვა ხდება ორგანული კანონით განსაზღვრული პირობებიო.

(2) რუმინეთის მოქალაქეობა არ ჩამოერთმევა პირს, რომელმაც იგი მოიპოვა დაბადებით.

მუხლი 6. თვითმყოფადობის უფლება

(1) სახელმწიფო აღიარებს და უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებას შეინარჩუნონ, განავითარონ და გამოავლინონ საკუთარი კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა.

(2) დაცვის ზომები, რომელთაც სახელმწიფო მიმართავს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების თვითმყოფადობის შენარჩუნების, განვითარებისა და გამოვლენის მიზნით, უნდა შეესაბამებოდეს თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს რუმინეთის სხვა მოქალაქეების მიმართ.

მუხლი 7. საზღვარგარეთ მცხოვრები რუმინელები

სახელმწიფო მხარს უჭერს ქვეყნის გარეთ მცხოვრებ რუმინელებთან ურთიერთობის გამყარებას და ხელს უწყობს მათ მიერ საკუთარი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას, განვითარებასა და გამოვლენას იმ ქვეყნის კანონმდებლობის პატივისცემით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

მუხლი 8. პლურალიზმი და პოლიტიკური პარტიები

(1) პლურალიზმი რუმინულ საზოგადოებაში წარმოადგენს კონსტიტუციური დემოკრატიის პირობასა და გარანტიას.

(2) პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის განხორციელების პირობები დადგენილია კანონით. ისინი, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიის პრინციპების განუხრელი დაცვით, ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების განსაზღვრასა და გამოვლინებას.

მუხლი 9. მშრომელთა და პროფესიული ასოციაციები და პროფესიული კავშირები

მშრომელთა და პროფესიული ასოციაციები, პროფესიული კავშირები იქმნებიან და საქმიანობენ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად. ისინი ხელს უწყობენ მათი წევრების უფლებების, ასევე მათი პროფესიული, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვას.

მუხლი 10. საერთაშორისო ურთიერთობები

რუმინეთი მხარს უჭერს და ავითარებს ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან. კეთილმეზობლური ურთიერთობები დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებზე.

მუხლი 11. საერთაშორისო და შიდა სამართალი

(1) რუმინეთის სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, ზუსტად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ იმ ხელშეკრულებებიდან, რომელთა მხარესაც იგი წარმოადგენს.

(2) პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, კანონის თანახმად წარმოადგენს შიდა სამართლის შემადგენელ ნაწილს.

(3) თუ რუმინეთის სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რატიფიკაცია მოხდება კონსტიტუციის გადასინჯვის შემდგომ.

მუხლი 12. ეროვნული სიმბოლიკა

(1) რუმინეთის დროშა სამფეროვანია; ტარიდან დაწყებული ფერები განლაგებულია ვერტიკალურად შემდეგი თანმიმდევრობით: ლურჯი, ყვითელი, წითელი.

(2) რუმინეთის ეროვნული დღესასწაულია პირველი დეკემბერი.

(3) რუმინეთის ეროვნული ჰიმნია „გაიღვიძე, რუმინელო".

(4) ქვეყნის გერბი და სახელმწიფოს ბეჭედი დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 13. ოფიციალური ენა

რუმინეთში ოფიციალური ენაა რუმინული.

მუხლი 14. დედაქალაქი

რუმინეთის დედაქალაქია მუნიციპია ბუქარესტი.

ნაწილი 2. ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 15. ერთიანობა

(1) მოქალაქეები სარგებლობენ იმ უფლებებითა და თავისუფლებებით და აკისრიათ მათთვის განსაზღვრული ის ვალდებულებები, რომლებიც განმტკიცებულია კონსტიტუციითა და სხვა კანონმდებლობით.

(2) კანონის მოთხოვნათა სფერო ვრცელდება მხოლოდ მომავალზე. გამონაკლისს წარმოადგენს უფრო მსუბუქი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული კანონი.

მუხლი 16. თანასწორობა

(1) მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონისა და საჯარო ხელისუფლების წინაშე პრივილეგიებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

(2) არავინ დგას კანონზე მაღლა.

(3) კანონის თანახმად, სამოქალაქო ან სამხედრო საჯარო ფუნქციები შეიძლება განახორციელონ იმ პირებმა, რომლებიც წარმოადგენენ რუმინეთის მოქალაქეებს და აქვთ საცხოვრებელი ადგილი ქვეყანაში. რუმინეთის მოქალაქეობა იძლევა გარანტიას, რომ ყოველ პირს შეუძლია დაიკავოს ნებისმიერი თანამდეობა.

(4) მას შემდეგ, რაც რუმინეთი შევა ევროპის გაერთიანებაში, გაერთიანების მოქალაქეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ორგანული კანონის მოთხოვნებს, აქვთ უფლება, აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივ წარმომადგენლობით ადმინისტრაციებში.

მუხლი 17. რუმინეთის მოქალაქეები საზღვარგარეთ

რუმინეთის მოქალაქეები სარგებლობენ რუმინეთის სახელმწიფოს მფარველობით საზღვარგარეთ და ისინი ვალდებულნი არიან, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები გარდა იმისა, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია მათი ქვეყანაში არყოფნის გამო.

მუხლი 18. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და აპატრიდები

(1) რუმინეთში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და აპატრიდები პიროვნულ და ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით სარგებლობენ

კონსტიტუციითა და სხვა კანონმდებლობით, ისინი გარანტირებულნი არიან საერთო მფარველობით.

(2) თავშესაფრის უფლება ეძლევათ და ერთმევათ კანონით დადგენილი პირობების საფუძველზე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების დაცვით, რომლის მხარესაც წარმოადგენს რუმინეთი.

მუხლი 19. გადაცემა და გაძევება

(1) რუმინეთის მოქალაქე არ შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვა სახელმწიფოსთვის ან — გაძევებული რუმინეთიდან.

(2) მოქალაქეები, რომლებსაც პირველი პუნქტით მინიჭებული აქვთ გარანტია, შეიძლება ექსტრადირებულ იყვნენ იმ საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, რომლის მხარესაც წარმოადგენს რუმინეთი ან კანონისა და ნაცვალგების პრინციპის თანახმად.

(3) უცხო ქვეყნის მოქალაქენი და აპატრიდები შეიძლება გადაცემულ იქნენ სხვა სახელმწიფოსათვის საერთაშორისო კონვენციების და ნაცვალგების საფუძველზე.

(4) გადაწყვეტილებას გაძევებისა და გადაცემის შესახებ იღებს სასამართლო.

მუხლი 20. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები

(1) კონსტიტუციური დებულებები მოქალაქეთა უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით განმარტებული და გამოყენებული იქნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან, აგრეთვე იმ საერთაშორისო პაქტებსა და სხვა შეთანხმებებთან შესაბამისობით, რომლის მხარესაც წარმოადგენს რუმინეთი.

(2) იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეუსაბამობა იმ პაქტებსა და შეთანხმებებს შორის, რომლის მხარესაც წარმოადგენს რუმინეთი და შიდა კანონმდებლობას შორის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სფეროში, მაშინ პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო აქტებს, თუ კონსტიტუცია და ეროვნული კანონმდებლობა არ ქმნის ხელსაყრელ პირობებს.

მუხლი 21. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

(1) ნებისმიერ პირს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

(2) დაუშვებელია რომელიმე კანონით ამ უფლების შეზღუდვა.

(3) ყველა პარტიას აქვს უფლება, მათი პრობლემა გონივრულ ვადებში და სამართლიანი სასამართლოს მიერ იქნეს გადაწყვეტილი.

(4) ადმინისტრაციული სპეციალური სამართალწარმოება არის არჩევითი და უფასო.

თავი II. ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 22. სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება

(1) სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია.

(2) დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება.

(3) სიკვდილით დასჯა იკრძალება.

მუხლი 23. პირადი თავისუფლება

(1) პირის პირადი თავისუფლება და უსაფრთხოება ხელშეუვალია.

(2) პირის ჩხრეკა, დაკავება და დაპატიმრება დაიშვება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

(3) დაკავება არ შეიძლება გრძელდებოდეს 24 საათზე მეტ ხანს.

(4) წინასწარი პატიმრობის ბრძანება შეიძლება გაიცეს მოსამართლის მიერ და მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას.

(5) სისხლის სამართლის პროცესში გაცემული წინასწარი პატიმრობის ბრძანების ვადაა 30 დღე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 30 დღით და არ უნდა გადააჭარბოს 180 დღეს.

(6) მას შემდეგ, რაც სამართალწარმოება დაიწყო, სასამართლო, კანონის თანახმად, ვალდებულია, რეგულარულად და არა უგვიანეს სამოცი დღისა შეამოწმოს წინასწარი პატიმრობის კანონიერება და დასაბუთებულობა, დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება განსასჯელის გათავისუფლების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი პატიმრობის საფუძველი აღარ არსებობს ან თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის გამამართლებელი საფუძველი აღარ არსებობს.

(7) მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება წინასწარ პატიმრობას, შეიძლება გაგრძელდეს კანონით განსაზღვრულ პირობებში.

(8) დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე დაკავებისა და დაპატიმრების მიზეზების შესახებ. აგრეთვე უმოკლეს დროში — ბრალდების არსის შესახებ; ბრალდების შინაარსი ეცნობება მხოლოდ არჩეული ან ოფიციალურად დანიშნული ადვოკატის თანდასწრებით.

(9) დაკავებულის ან დაპატიმრებულის გათავისუფლება სავალდებულოა, თუ ამ ღონისძიებების საფუძველი აღარ არსებობს ან კანონით განსაზღვრული პირობების არ არსებობისას.

(10) წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს დროებით გათავისუფლება სასამართლოს კონტროლის ან გირაოს საფუძველზე.

(11) სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე პირი ითვლება უდანაშაულოდ.

(12) არანაირი სასჯელი არ შეიძლება იყოს დანიშნული ან გამოყენებული, გარდა კანონის საფუძველზე და კანონით განსაზღვრული წესით.

(13) თავისუფლების აღკვეთის ბრძანება უნდა ეფუძნებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულს.

მუხლი 24. დაცვის უფლება

(1) დაცვის უფლება გარანტირებულია.

(2) პროცესის მსვლელობის მანძილზე მხარეებს უფლება აქვთ, ისარგებლონ როგორც ოფიციალურად დანიშნული, ისე არჩეული ადვოკატის დახმარებით.

მუხლი 25. თავისუფალი გადაადგილების უფლება

(1) თავისუფალი გადაადგილების უფლება გარანტირებულია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. კანონმდებლობით განისაზღვრება ამ უფლების განხორციელების პირობები.

(2) ყოველი მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის არჩევის უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე — ემიგრაციაში წასვლისა და დაბრუნების უფლება.

მუხლი 26. ინტიმური, ოჯახური და პირადი ცხოვრება

(1) საჯარო ხელისუფლება პატივს სცემს და იცავს ინტიმურ, ოჯახურ და პირად ცხოვრებას.

(2) ფიზიკურ პირს უფლება აქვს განაგოს თავისი თავი, თუ ამით არ ირღვევა სხვა პირის უფლებები და თავისუფლებები, საზოგადოებრივი წესრიგი ან ზნეობრივი მოთხოვნები.

მუხლი 27. საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა

(1) საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი ხელშეუხებელია. არავის შეუძლია შევიდეს საცხოვრებელ სახლში ან ადგილსამყოფელში ან დარჩეს იქ პირის თანხმობის გარეშე.

(2) პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულებიდან გადახვევა დაშვებულია კანონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

a) დაპატიმრების ორდერის ან სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის დროს;

b) სიცოცხლისათვის საშიში საფრთხის განეიტრალების, პირის ფიზიკური ან ქონების გადარჩენის დროს;

c) ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს;

d) ეპიდემიის გავრცელების თავიდან აცილების დროს;

(3) ჩხრეკის ბრძანება გაიცემა მხოლოდ მოსამართლის მიერ და ტარდება მხოლოდ კანონით განსაზღვრული ფორმით.

(4) ღამის საათებში ჩხრეკა აკრძალულია, იმ შემთხვევების გარდა, როცა ხდება დაკავება დანაშაულის ადგილზე.

მუხლი 28. კორესპონდენციის საიდუმლოება

მიმოწერის, სატელეგრაფო შეტყობინებების, საფოსტო გზავნილების, სატელეფონო საუბრების და კანონით ნებადართული სხვა კავშირის საშუალებების საიდუმლოება ხელშეუხებელია.

მუხლი 29. სინდისის თავისუფლება

(1) აზრისა და შეხედულების, ასევე რელიგიური რწმენის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს რომელიმე ფორმით. არავინ შეიძლება აიძულონ, მიუერთდეს ისეთ რელიგიურ რწმენას ან მიიღოს ისეთი აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება მის შეხედულებებს.

(2) სინდისის თავისუფლება გარანტირებულია. იგი უნდა გამოვლინდეს შემწყნარებლობასა და ურთიერთ პატივისცემაში.

(3) რელიგიური კულტი თავისუფალია და იქმნება თავისი დებულებით, კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით.

(4) რელიგიურ კულტებს შორის ურთიერთობისას აკრძალულია ნებისმიერი ფორმა, საშუალება, მოქმედებები ან აქტი, რომელიც აღვივებს რელიგიურ შუღლს.

(5) რელიგიური კულტები სარგებლობენ ავტონომიით და სახელმწიფოს მხარდაჭერით. სახელმწიფო ხელს უწყობს რელიგიურ დახმარებას ჯარში, საავადმყოფოებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, უპატრონო ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში.

(6) მშობლებსა და მეურვეებს უფლება აქვთ, თავიანთი შეხედულებით უზრუნველყონ იმ არასრულწლოვანთა აღზრდა, რომლებზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი.

მუხლი 30. თავისუფალი გამოხატვის თავისუფლება

(1) აზრის, შეხედულების ან რწმენის თავისუფლება და ნებისმიერი სხვა სახის შემოქმედება გამოვლინებული ზეპირად, წერილობით, მუსიკალური ბგერებით ან წარმოსახვით და ურთიერთობის სხვა საშუალებით, ხელშეუვალია.

(2) ნებისმიერი სახის ცენზურა დაუშვებელია.

(3) ბეჭდვის თავისუფლება ითვალისწინებს ბეჭდვითი გამომცემლობების დაარსების თავისუფლებასაც.

(4) არც ერთი ბეჭდვითი გამოცემა არ შეიძლება აიკრძალოს.

(5) კანონს შეუძლია, დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საჯაროდ გამოაქვეყნონ დაფინანსების წყაროები.

(6) თავისუფალი გამოხატვის უფლებამ არ შეიძლება, ზიანი მიაყენოს პატივსა და ღირსებას, პირის პირად ცხოვრებას და დაცვის უფლებას.

(7) კანონით დაუშვებელია ცილისწამება ქვეყანასა და ეროვნებაზე, აგრესიული ომის, ეროვნული, რასობრივი, კლასობრივი ან რელიგიური შუღლისაკენ, დისკრიმინაციის, ტერიტორიული სეპარატიზმის ან მასობრივი ძალადობისაკენ წაქეზება, ასევე ურცხვი გამოვლინებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ზნეობას.

(8) კანონით დადგენილი პირობების დაცვით საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან ან შემოქმედებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება გამომცემელს ან რეალიზატორს, ავტორს, მხატვრული ღონისძიების ორგანიზატორს, გასამრავლებელი საშუალებების მფლობელს, რადიო ან ტელესტუდიას. სამართალდარღვევები პრესის სფეროში განისაზღვრება კანონით.

მუხლი 31. ინფორმაციის უფლება

(1) არ შეიძლება შეიზღუდოს პირის უფლება — მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს.

(2) საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიაწოდოს მოქალაქეებს სწორი ინფორმაცია საჯარო საქმეების შესახებ და იმ პრობლემების თაობაზე, რომლებიც წარმოადგენს მოქალაქის პირად ინტერესს.

(3) ინფორმაციის მიღების უფლებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ახალგაზრდობის ან ეროვნული უშიშროების დაცვისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

(4) მასობრივი ინფორმაციის საჯარო და კერძო საშუალებები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საზოგადოებრივი აზრის სწორი ინფორმირება.

(5) საჯარო რადიო და სატელევიზიო სამსახურები სარგებლობენ ავტონომიით. ისინი ვალდებული არიან, უზრუნველყონ საეთერო უფლების განხორციელება მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ჯგუფებისათვის. ამ სამსახურების ორგანიზაცია და მათი საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი რეგლამენტირებულია ორგანული კანონით.

მუხლი 32. განათლების უფლება

(1) განათლების უფლება უზრუნველყოფილია ზოგადი სავალდებულო განათლებით, სალიცეუმო და პროფესიული განათლებით, უმაღლესი განათლებით, აგრეთვე სწავლებისა და დახელოვნების სხვა ფორმებით.

(2) ყველა საფეხურზე განათლება ხორციელდება რუმინულ ენაზე. კანონით დადგენილი პირობების დაცვით განათლება შეიძლება განხორციელდეს იმ ენაზეც, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში.

(3) ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლება — შეისწავლონ მშობლიური ენა და მიიღონ განათლება ამ ენაზე, გარანტირებულია; ამ უფლების განხორციელების წესები განისაზღვრება კანონით.

(4) კანონის შესაბამისად, სახელმწიფო განათლება არის თავისუფალი, სახელმწიფო აძლევს სოციალურად ხელმოკლე ოჯახებიდან ან მსგავსი ინსტიტუციონალიზაციებიდან წამოსულ ბავშვებს და ახალგაზრდებს სტიპენდიებს, რომელსაც განსაზღვრავს კანონი.

(5) კანონის თანახმად, განათლება ყველა დონეზე შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო, კერძო ან სასულიერო დაწესებულებებში.

(7) სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური განათლების თავისუფლებას თითოეული კულტის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლება ორგანიზებულია და გარანტირებულია კანონით.

მუხლი 33. კულტურაზე ხელმისაწვდომობა

(1) კულტურაზე ხელმისაწვდომობა კანონით გარანტირებულია.

(2) არ შეიძლება შეზღუდული იყოს პიროვნების სულიერ, ეროვნულ და უნივერსალურ კულტურაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

(3) სახელმწიფო გარანტირებს სულიერი თვითმყოფადობის დაცვას, ახდენს ეროვნული კულტურის მხარდაჭერას, ხელოვნების სტიუმულირებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ხელს უწყობს თანამედროვე შემოქმედების განვითარებას, აგრეთვე რუმინეთის კულტურული და ხელოვნების ღირებულებების პოპულარიზაციას.

მუხლი 34. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

(1) ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებულია.

(2) სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ზომები ჰიგიენისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

(3) სამედიცინო დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზება, დაკავშირებული ავადმყოფობასთან, უბედურ შემთხვევებთან, დედობასთან და ჯანმრთელობის აღდგენასთან, აგრეთვე სამედიცინო პრაქტიკასა და პარამედიკოსთა საქმიანობაზე კონტროლი და სხვა ზომები, რაც პირის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობასთანაა დაკავშირებული, დგინდება კანონით.

მუხლი 35. ჯანმრთელი გარემოს უფლება

(1) სახელმწიფო გარანტირებს ყველა პირის უფლებას ჯანმრთელ, კარგად დაცულ და ბალანსირებულ გარემოზე.

(2) სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლებრივ ჩარჩოებს ამ უფლების განხორციელებისათვის.

(3) ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, დაიცვან და გააუმჯობესონ გარემო.

მუხლი 36. საარჩევნო უფლება

(1) საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მოქალაქეები, რომელთაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდათ 18 წელი.

(2) საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ გონებასუსტები და ფსიქიკუ-

რად დაავადებულები, რომლებიც იმყოფებიან მეურვეობის ქვეშ, აგრეთვე პირები, რომელთაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება.

მუხლი 37. არჩევის უფლება

(1) არჩევის უფლება აქვთ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საარჩევნო უფლება და პასუხობენ იმ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-16 მუხლის (3) პუნქტით, ან თუ მათთვის აკრძალული არ არის გაერთიანება რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში მე-40 მუხლის (3) პუნქტის თანახმად.

(2) დეპუტატთა პალატაში ან ადგილობრივ ორგანოებში არჩევნების დღისათვის კანდიდატი უნდა იყოს 23 წლის, ხოლო პრეზიდენტის არჩევნების დღეს — 35 წლის, სენატორად არჩევნების დღეს — 33 წლის.

მუხლი 38. ევროპარლამენტში არჩევნების უფლება

მას შემდეგ, რაც რუმინეთი შეუერთდება ევროგაერთიანებას, რუმინეთის მოქალაქეებს უფლება ექნებათ, აირჩიონ და არჩეულ იქნენ ევროპარლამენტში.

მუხლი 39. შეკრების თავისუფლება

მიტინგები, დემონსტრაციები, მსვლელობები ან ნებისმიერი სახის შეკრება თავისუფალია და შეიძლება ორგანიზებულ იქნეს და ჩატარდეს მხოლოდ მშვიდობიანად, ყოველგვარი იარაღის გარეშე.

მუხლი 40. გაერთიანების უფლება

(1) მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებში, დასაქმების სამსახურებში, მეწარმეთა და სხვა სახის ასოციაციებში.

(2) პარტიები ან ორგანიზაციები, რომელთა მიზნები ან საქმიანობა მიმართულია პოლიტიკური პლურალიზმის, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ან რუმინეთის სუვერენიტეტის, მთლიანობის ან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, არაკონსტიტუციურია.

(3) პოლიტიკურ პარტიათა შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლენი, ხალხის ადვოკატი, მაგისტრატები, სამხედრო პირები, პოლიციელები, პირები, რომლებიც ახორციელებენ სხვა საჯარო ფუნქციებს, რომელიც განსაზღვრულია ორგანული კანონით.

(4) საიდუმლო ხასიათის ასოციაციები აკრძალულია.

მუხლი 41. შრომა და შრომის სოციალური დაცვა

(1) შრომის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს პროფესიისა და სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

(2) მუშაკებს აქვთ შრომის სოციალური დაცვის უფლება. დაცვის ზომები ეხება შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვას, ქალთა და ახალგაზრდათა შრომის ჯანმრთელ პირობებს, მინიმალური ანაზღაურების დადგენას ეკონომიკის სფეროში, ყოველკვირეული დასვენების, ანაზღაურებადი შვებულების მიცემას, მძიმე და განსაკუთრებულ პირობებში შრომას, ასევე კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებს.

(3) სამუშაო დღის ნორმალური ხანგრძლივობა საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

(4) თანაბარი შრომის პირობებში ქალებსა და მამაკაცებს აქვთ თანაბარი ანაზღაურება.

(5) კოლექტიური მოლაპარაკების უფლება შრომის პირობებზე და კო-

ლექტიური ხელშეკრულების სავალდებულო ხასიათი გარანტირებულია.

მუხლი 42. იძულებითი შრომის აკრძალვა

(1) იკრძალება იძულებითი შრომა.

(2) იძულებით შრომად არ ითვლება:

a) სამხედრო ხასიათის სამსახურის შემცვლელი საქმიანობა, რომელსაც ასრულებენ ისინი, ვინც, კანონის თანახმად, რელიგიური ან სინდისის მოტივით უარს ამბობენ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე.

b) მსჯავრდებული პირის შრომა, რომელიც ხორციელდება ნორმალურ პირობებში პატიმრობის ან პირობითი სასჯელის პერიოდში.

c) ვალდებულებები, რომელთა დაკისრება ხდება ნებისმიერი უბედურებით ან სხვა საფრთხით შექმნილ მდგომარეობაში, აგრეთვე ის პირობები, რომლებიც კანონით დადგენილი ნორმალური სამოქალაქო მოვალეობების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 43. გაფიცვის უფლება

(1) მუშებს აქვთ საკუთარი პროფესიული, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად გაფიცვის უფლება.

(2) ამ უფლების განხორციელების პირობები და საზღვრები, აგრეთვე გარანტია, საზოგადოებისათვის აუცილებელი საქმიანობის განხორციელებისათვის განსაზღვრულია კანონით.

მუხლი 44. კერძო საკუთრების დაცვა

(1) საკუთრების უფლება, ასევე სახელმწიფოს სავალო ვალდებულებები გარანტირებულია. ამ უფლების ფარგლები და შინაარსი განისაზღვრება კანონით.

(2) კერძო საკუთრება, მიუხედავად მესაკუთრისა, თანაბრად დაცული და გარანტირებულია კანონით. უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ მიიღონ მიწის საკუთრების უფლება მას შემდეგ, რაც რუმინეთი შეუერთდება ევროგაერთიანებას ან სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მონაწილეც იქნება რუმინეთი, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ორგანული კანონით განსაზღვრული პირობებით, ასევე კანონისმიერი მემკვიდრეობით.

(3) არავინ შეიძლება იყოს ექსპროპრირებული, გარდა კანონით დადგენილი საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნისათვის, სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურებით.

(4) ქონების ნაციონალიზაცია ან სხვა ფორმით საზოგადოებრივ საკუთრებაში გადასვლა, რომელსაც საფუძვლად უდევს მფლობელთა სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა საფუძველი, დისკრიმინაციულია.

(5) იმ სამუშაოებისათვის, რომელიც საზოგადოების საერთო ინტერესს წარმოადგენს, სახელმწიფოს შეუძლია, გამოიყენოს წიაღი, უძრავი ქონება მესაკუთრისათვის ნიადაგის, ნარგავების, შენობების ან სახელმწიფოს მიერ მიყენებული სხვა ზიანისათვის ზარალის ანაზღაურებით.

(6) ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია (3) და (4) პუნქტებით, დგინდება მესაკუთრესთან შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში — სასამართლოს მიერ.

(7) საკუთრების უფლება ავალდებულებს მესაკუთრეს, შეასრულოს პირობები, რომლებიც შეეხება გარემოს და კეთილმეზობლობის უზრუნველყ-

ოფას და ასევე სხვა პირობების შესრულებას, რომელიც კანონით ან ტრადიციით ეკისრება მესაკუთრეს.

(8) კანონიერად შეძენილი ქონება არ ექვემდებარება კონფისკაციას. შენაძენის კანონიერი ხასიათი იგულისხმება.

(9) ქონება, რომელიც განსაზღვრულია ან გამოყენებულია დანაშაულის ჩასადენად ან კანონდარღვევისათვის, აგრეთვე შეძენილი ასეთი ქმედების შედეგად, ექვემდებარება კონფისკაციას მხოლოდ კანონით დადგენილი პირობებით.

მუხლი 45. ეკონომიკური თავისუფლება

პიროვნების ეკონომიკური საქმიანობა და თავისუფალი მეწარმეობა გარანტირებულია კანონის შესაბამისად.

მუხლი 46. მემკვიდრეობის უფლება

მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 47. ცხოვრების დონე

(1) სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური დაცვის ზომები, რომელთა მიზანი იქნება, უზრუნველყოს მოქალაქეთათვის ცხოვრების ღირსეული დონე.

(2) მოქალაქეებს აქვთ პენსიის, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების მიღების, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება, აგრეთვე უმუშევართა შემწეობის და სოციალური დაცვის სხვა ფორმებით სარგებლობის უფლება. კანონის თანახმად, მოქალაქეებს აქვთ სოციალური შემწეობით სარგებლობის უფლება.

მუხლი 48. ოჯახი

(1) ოჯახი ეფუძნება ქორწინებას, რომელიც ითვალისწინებს მეუღლეთა თავისუფალ თანხმობას, თანასწორობას და მშობელთა უფლებებსა და მოვალეობებს — გაზარდონ შვილები, უზრუნველყონ მათი აღზრდა და განათლება.

(2) ქორწინებისა და განქორწინების, აგრეთვე მისი გაუქმების პირობები დგინდება კანონით. ეკლესიური ქორწინება დაშვებულია მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ.

(3) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები თანასწორნი არიან კანონის წინაშე ისევე, როგორც ქორწინებაში შობილი ბავშვები.

მუხლი 49. ბავშვებისა და ახალგაზრდობის დაცვა

(1) ბავშვები და ახალგაზრდები მათი უფლებების დაცვის განხორციელებისას განსაკუთრებული რეჟიმითა და ხელშეწყობით სარგებლობენ.

(2) სახელმწიფო გასცემს მატერიალურ დახმარებას ბავშვებისათვის, ავადმყოფი და ინვალიდი ბავშვებისათვის. ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური დაცვის სხვა ფორმები დგინდება კანონით.

(3) იკრძალება არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია, მათი გამოყენება ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას, ღირსებას, ან თუ იგი საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს, ან ნორმალურ განვითარებას.

(4) იკრძალება 15 წლამდე არასრულწლოვანის სამსახურში დაქირავება.

(5) საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ისეთი პირობებით უზრუნველყოფას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომი-

კურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში.

მუხლი 50. შრომის უუნარო პირთა დაცვა

შრომის უუნარო პირები სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვით. სახელმწიფო უზრუნველყოფს მათი მშობლებისა და მეურვეების უფლებებისა და მოვალეობების დასაცავად თანაბარი შესაძლებლობების ეროვნული პოლიტიკის გატარებას, აგრეთვე მკურნალობას, რათა შრომის უუნარო ადამიანებს შეეძლოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

მუხლი 51. პეტიციის უფლება

(1) მოქალაქეებს აქვთ უფლება, მიმართონ საჯარო ხელისუფლებას პეტიციით, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მხოლოდ ხელმომწერი პირების მიერ.

(2) კანონით შექმნილ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, შეიტანონ პეტიცია მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი კოლექტივის სახელით.

(3) პეტიციის უფლების განხორციელება გათავისუფლებულია გადასახადისაგან.

(4) საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, უპასუხოს პეტიციას იმ პირობებისა და ვადების დაცვით, რომელიც დადგენილია კანონით.

მუხლი 52. საჯარო ხელისუფლების მიერ შეეიწროვებული პირის უფლება

(1) პირს, რომელსაც შეელახა უფლებები საჯარო ხელისუფლებისაგან ადმინისტრაციული აქტის საშუალებით ან თხოვნის დაუკმაყოფილებლობით კანონით დადგენილი ვადების დარღვევით, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი უფლების აღიარება, აქტის შეცვლა და ზარალის ანაზღაურება.

(2) ამ უფლების განხორციელების პირობები და ფარგლები დგინდება ორგანული კანონით.

(3) კანონის საფუძველზე სახელმწიფო იღებს ქონებრივ პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულ იქნა სასამართლო პროცესებზე. სახელმწიფოს ვალდებულება შეფასდება კანონით და არ გამოირიცხება მოსამართლის პასუხისმგებლობა, რომელმაც თავისი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად.

მუხლი 53. უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების შეზღუდვა

(1) უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით და მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებლობას წარმოადგენს შესაბამის სიტუაციაში ეროვნული უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის, ღირსების ან მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, სტიქიური უბედურების შედეგების ან განსაკუთრებით სერიოზული კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით.

(2) დემოკრატიული საზოგადოების პირობებში ამგვარი შეზღუდვა დაწესდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, მიღებული ზომები უნდა იყოს გამომწვევი სიტუაციის პროპორციული და განხორციელდეს უფლებათა დაცვით.

თავი III. ძირითადი მოვალეობები

მუხლი 54. ქვეყნისადმი ერთგულება

(1) ქვეყნისადმი ერთგულება წმინდაა.

(2) მოქალაქეები, რომელთაც საჯარო ფუნქციის განხორციელება აქვთ მინდობილი, ასევე სამხედრო მოსამსახურეები, პასუხს აგებენ მათთვის დაკისრებულ ფუნქციათა სათანადო შესრულებაზე და ამ მიზნით, კანონის მოთხოვნით, დებენ შესაბამის ფიცს.

მუხლი 55. ქვეყნის თავდაცვა

(1) მოქალაქეებს აქვთ უფლება და მოვალეობა დაიცვან რუმინეთი.

(2) სამხედრო სამსახურის გავლის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

(3) ორგანული კანონის საფუძველზე მოხდება 20–დან 35 წლამდე მოქალაქეთა გაწვევა მოხალისეების გარდა.

მუხლი 56. ფინანსური შენატანი

(1) მოქალაქეები ვალდებულნი არიან, მონაწილეობდნენ საჯარო ხარჯებში უშუალოდ გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდით.

(2) კანონიერმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ფისკალური ტვირთის სამართლიანი განაწილება.

(3) ნებისმიერი სხვა გადასახადი აკრძალულია საგანგებო მდგომარეობის დროს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

მუხლი 57. უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება

რუმინეთის მოქალაქეებმა, აპატრიდებმა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელონ კონსტიტუციური უფლებანი და თავისუფლებანი ისე, რომ არ დაარღვიონ სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები.

თავი IV. ხალხის ადვოკატი

მუხლი 58. დანიშნულება და როლი

(1) ხალხის ადვოკატი ინიშნება 5 წლის ვადით, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. მისი თანაშემწეების დანიშვნა ხორციელდება მათი მოღვაწეობის სფეროების გათვალისწინებით.

(2) ხალხის ადვოკატს და მის თანაშემწეებს არ შეუძლიათ, განახორციელონ სხვა საჯარო და კერძო ფუნქციები, გარდა უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მოღვაწეობისა.

(3) ხალხის ადვოკატის ინსტიტუტის ორგანიზაცია და ფუნქციონირება რეგულირდება ორგანული კანონით.

მუხლი 59. უფლებამოსილების განხორციელება

(1) ხალხის ადვოკატი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავისი თანამდებობიდან გამომდინარე ან იმ მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე, რომელთაც კანონით დადგენილ ფარგლებში დაერღვათ უფლებები და თავისუფლებები.

(2) საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, ხალხის ადვოკატს გაუწიოს აუცილებელი დახმარება თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს.

მუხლი 60. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება

ხალხის ადვოკატი პარლამენტის ორივე პალატას ყოველწლიურად ან მათი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგენს ანგარიშს. ანგარიში შეიძლება შეიცავდეს რეკომენდაციებს კანონმდებლობასთან ან მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სხვა ზომებთან დაკავშირებით.

ნაწილი 3. საჯარო ხელისუფლება
თავი I. პარლამენტი

კარი 1. სტრუქტურა და საქმიანობა

მუხლი 61. როლი და სტრუქტურა

(1) პარლამენტი არის რუმინეთის ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო და ერთადერთი საკანონმდებლო ხელისუფლება ქვეყანაში.

(2) პარლამენტი შედგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან.

მუხლი 62. პარლამენტის არჩევნები

(1) სენატი და დეპუტატთა პალატა აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი კენჭისყრით, საარჩევნო კანონის თანახმად.

(2) მოქალაქეთა ორგანიზაციები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და პარლამენტში წარმომადგენლობისათვის არჩევნებში ვერ აგროვებენ ხმების საჭირო რაოდენობას, თითოეულს უფლება აქვს, იქონიოს დეპუტატის ერთი ადგილი საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პირობების თანახმად. მოქალაქეები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ეროვნულ უმცირესობას, შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ ერთი ორგანიზაციის სახით. ერთი ეროვნული უმცირესობის მოქალაქეებს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია.

(3) დეპუტატთა და სენატორთა რაოდენობა განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან შესაბამისობით საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 63. მანდატის ხანგრძლივობა

(1) დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევა 4 წლის ვადით; მათი მანდატის ვადის გაგრძელება შესაძლებელია მობილიზაციის, ომის, საომარი მდგომარეობის ან უკიდურესი აუცილებლობის დროს მანამ, სანამ სიტუაცია არ შეიცვლება.

(2) დეპუტატთა პალატის ან სენატის არჩევნები ტარდება მათი მანდატის ვადის გასვლის ან პარლამენტის დაშლის შემდეგ არა უგვიანეს 3 თვისა.

(3) ახლად არჩეული პარლამენტი იკრიბება პრეზიდენტის მოწვევით, არჩევნებიდან არა უგვიანეს 20 დღისა.

(4) პალატების მანდატი გრძელდება ახალი პარლამენტის პირველ კანონიერ სხდომამდე. ამ პერიოდში არ დაიშვება კონსტიტუციის შეცვლა, ორგანული კანონების მიღება, შეცვლა ან გაუქმება.

(5) კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებების წარმოება, რომლებიც წინა პარლამენტის დღის წესრიგში იყო ჩართული, გრძელდება ახალ პარლამენტში.

მუხლი 64. შინაგანი სტრუქტურა

(1) თითოეული პალატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი დგინდება მათი რეგლამენტებით. პალატების ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მათ მიერ მოწონებულ ბიუჯეტში.

(2) თითოეული პალატა ირჩევს მუდმივმოქმედ ბიუროს. დეპუტატთა პალატის და სენატის თავმჯდომარეები ირჩევიან პალატების უფლებამოსილების ვადით. მუდმივმოქმედი ბიუროს სხვა წევრები ირჩევიან ყოველი სე-

სიის დაწყებისას. მუდმივმოქმედი ბიუროს წევრები შეიძლება გამოწვეულნი იქნენ მანდატის ვადის გასვლამდე.

(3) დეპუტატებსა და სენატორებს შეუძლიათ, შექმნან საპარლამენტო ჯგუფები, თითოეული პალატის რეგლამენტის შესაბამისად.

(4) თითოეული პალატა ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს, აგრეთვე შეუძლია, დაამტკიცოს საგამოძიებო და სხვა სპეციალური კომისიები. პალატებს შეუძლიათ, ჩამოაყალიბონ ერთობლივი კომისიები.

(5) მუდმივმოქმედი ბიუროსა და საპარლამენტო კომისიების ფორმირება ხდება თითოეული პალატის პოლიტიკური შემადგენლობის გათვალისწინებით.

მუხლი 65. პარლამენტის სხდომები

(1) დეპუტატთა პალატა და სენატი თავის საქმიანობას ახორციელებენ ცალ-ცალკე სხდომების სახით.

(2) პალატები შეიძლება შეიკრიბონ ერთობლივ სხდომებზე, რა დროსაც მუშაობა მიმდინარეობს რეგლამენტის თანახმად, რომელიც მიღებულია დეპუტატთა პალატის წევრთა და სენატორთა ხმათა ურავლესობით:

a) რუმინეთის პრეზიდენტის მიმართვის მისაღებად;

b) სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტების მიღების დროს;

c) მთლიანი ან ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებისათვის;

d) საომარი მდგომარეობის გამოცხადებისათვის;

e) საომარი მოქმედებების შეჩერების ან შეწყვეტისათვის;

f) ქვეყნის თავდაცვის ეროვნული სტრატეგიის დასამტკიცებლად;

g) თავდაცვის უმაღლესი საბჭოს ანგარიშების განსახილველად.

h) რუმინეთის პრეზიდენტის წინადადებით, სადაზვერვო სამსახურის დირექტორის დანიშვნის და ამ სამსახურზე კონტროლის განხორციელებისათვის;

i) ხალხის ადვოკატის დასანიშნად.

j) დეპუტატთა და სენატორთა სტატუსის და მათი ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით;

k) სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებისას, რომლებიც კონსტიტუციისა და რეგლამენტის თანახმად, ხორციელდება ერთობლივ სხდომაზე.

მუხლი 66. სესიები

(1) დეპუტატთა პალატა და სენატი ყოველწლიურად ატარებს ორ სესიას. პირველი სესია იწყება თებერვალში და შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ივნისის ბოლომდე. მეორე სესია იწყება სექტემბერში და შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ დეკემბრის ბოლომდე.

(2) დეპუტატთა პალატა და სენატი იკრიბება რიგგარეშე სხდომებზე რუმინეთის პრეზიდენტის, თითოეული პალატის მუდმივმოქმედი ბიუროს ან სენატორებისა და დეპუტატების არანაკლებ მესამედის მოთხოვნით.

(3) პარლამენტის პალატები მოიწვევა მათი თავმჯდომარეების მიერ.

მუხლი 67. კანონიერი ქვორუმი და იურიდიული აქტები

დეპუტატთა პალატა და სენატი კანონებს, გადაწყვეტილებებს და რეზოლუციებს იღებენ დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 68. სხდომათა საჯაროობა

(1) ორივე პალატის სხდომები საჯაროა.

(2) პალატებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ცალკეული სხდომების დახურვის შესახებ.

კარი 2. დეპუტატთა და სენატორთა სტატუსი

მუხლი 69. წარმომადგენლობითი მანდატი

(1) დეპუტატები და სენატორები თავისი მანდატის განხორციელებისას იმყოფებიან ხალხის სამსახურში.

(2) ნებისმიერი იმპერატიული მანდატი გაუქმებულია.

მუხლი 70. დეპუტატებისა და სენატორების უფლებამოსილება

(1) დეპუტატები და სენატორები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას იწყებენ პალატების პირველი კანონიერი შეკრების დღიდან, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან უფლებამოსილების ცნობის პირობით და ფიცის დადების შემდეგ.

(2) დეპუტატის ან სენატორის უფლებამოსილება წყდება იმ დღეს, როცა კანონიერად შეიკრიბებიან ახლად არჩეული პალატები, გადადგომის ან საარჩევნო უფლების დაკარგვის, მანდატთან შეუსაბამობის ან გარდაცვალების გამო.

მუხლი 71. შეუთავსებლობა

(1) არავინ შეიძლება ერთდროულად იყოს დეპუტატიც და სენატორიც.

(2) დეპუტატის ან სენატორის ფუნქცია შეუთავსებელია სხვა ნებისმიერი საჯარო ფუნქციის განხორციელებასთან მთავრობის წევრის ფუნქციის გარდა.

(3) უფლებამოსილების შეუსაბამობის სხვა შემთხვევები დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 72. საპარლამენტო იმუნიტეტი

(1) არც ერთი დეპუტატი ან სენატორი არ მიეცემა პასუხისგებაში მიცემული ხმის ან თანამდებობრივი მოვალეობის აღსრულებისას გამოთქმული პოლიტიკური მოსაზრების გამო.

(2) დეპუტატები ან სენატორები შეიძლება მიეცნენ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ან სისხლის სამართლებრივ დევნას განიცდიდნენ მხოლოდ იმ ქმედების გამო, რომელიც დაკავშირებული არ არის მათ მიერ უშუალო მოვალეობის აღსრულებასთან ან გამოთქმულ პოლიტიკურ მოსაზრებებთან. მათი ძებნა, დაკავება ან დაპატიმრება დაუშვებელია იმ პალატის თანხმობის გარეშე, რომლის წევრებიც ისინი არიან. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სახალხო ბრალმდებლის უწყების მიერ. ამგვარი საკითხების განხილვა შედის საკასაციო და მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლოს იურისდიქციაში.

(3) დეპუტატის ან სენატორის დაკავება და ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების დროს. რის შესახებაც იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ აცნობებს პალატის თავმჯდომარეს. თუ პალატა მიიჩნევს, რომ დაკავებისათვის არ არსებობს საკმარისი საფუძველი, იგი დაუყოვნებლივ გასცემს განკარგულებას ამ ზომის გაუქმების შესახებ.

კარი 3. კანონის შექმნა

მუხლი 73. კანონის კატეგორიები

(1) პარლამენტი იღებს კონსტიტუციურ, ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებს.

(2) კონსტიტუციური კანონებით ხორციელდება კონსტიტუციის გადასინჯვა.

(3) ორგანული კანონით რეგულირდება:

a) საარჩევნო სისტემა, დროებით საარჩევნო უფლებამოსილების ორგანიზაცია და ფუნქციონირება;

b) პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზება, მათი საქმიანობისა და დაფინანსების წესი;

c) დეპუტატებისა და სენატორების სტატუსი, მათი ანაზღაურება და სხვა უფლებები;

d) რეფერენდუმის ორგანიზება და ჩატარება;

e) მთავრობისა და ქვეყნის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს ორგანიზება;

f) ნაწილობრივი ან სრული მობილიზაციის პირობებში მყოფი შეიარაღებული ძალები და საომარი ვითარება;

g) საგანგებო და საომარი რეჟიმი;

h) სისხლის სამართლის დანაშაული, სასჯელი და მათი აღსრულების რეჟიმი;

i) ამნისტია და კოლექტიური შეწყალება;

j) საჯარო თანამდებობის პირთა სტატუსი;

k) ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქცია;

l) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს, სასამართლო ინსტანციების, დიპლომატიური სამსახურებისა და კონტროლის სასამართლოების მოწყობა და ფუნქციონირება;

m) საკუთრებისა და მემკვიდრეობის საერთო იურიდიული რეჟიმი;

n) განათლების საერთო ორგანიზება;

o) ადგილობრივი ადმინისტრაციის, ტერიტორიის ორგანიზება; აგრეთვე ადგილობრივი ავტონომიის საერთო რეჟიმი;

p) შრომითი სამართლის, პროფკავშირის, დასაქმების სამსახურების და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით ზოგადი სამართლებრივი ნორმები;

r) ეროვნულ უმცირესობათა სტატუსი რუმინეთში;

s) რელიგიური წეს-ჩვეულებების კანონით გათვალისწინებული ზოგადი სამართლებრივი ნორმები.

მუხლი 74. საკანონმდებლო ინიციატივა

(1) საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის მთავრობას, დეპუტატებს, სენატორებს, ასევე არანაკლებ 100 000 საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებს. მოქალაქეები, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო ინიციატივას, უნდა ცხოვრობდნენ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების არანაკლებ ერთი მეოთხედის ტერიტორიაზე. თითოეულ ასეთ ერთეულში ინიციატივის მხარდასაჭერად უნდა დარეგისტრირდეს არანაკლებ 5000 ხელმოწერა.

(2) მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივის საგანი არ შეიძლება გახდეს ფისკალური პრობლემები, საერთაშორისო ხასიათის საკითხები, ამნისტია და შეწყალება.

(3) მთავრობა ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას, გადასცემს რა კანონპროექტებს ერთ-ერთ პალატას, როგორც პირველ სარეგისტრაციო პალატას.

(4) დეპუტატებმა, სენატორებმა და მოქალაქეებმა, ახორციელებენ რა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, საკანონმდებლო წინადადება უნდა შეიტანონ მხოლოდ იმ ფორმით, რომელიც მოთხოვნილია კანონპროექტისათვის.

(5) საკანონმდებლო წინადადება მისაღებად წარედგინება იმ პალატას, რომელშიც იგი შეიტანეს თავდაპირველად, როგორც პირველ სარეგისტრაციო პალატაში.

მუხლი 75. პალატების შეტყობინება

(1) დეპუტატთა პალატა, როგორც პირველი სარეგისტრაციო პალატა, განიხილავს და იღებს ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს რატიფიკაციისათვის და იღებს მათი განხორციელებისათვის საჭირო ზომებს, კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებს. დეპუტატთა პალტის კომპეტენციაში შედის აგრეთვე კონსტიტუციის 31(5), 40(3), 55(2), 58(3), 73(3), e), k), l), n), o), 79(2), 102(3), 104(2), 117(3), 118(2,3), 120(2), 126(4,5), 142(4) მუხლებითა და პუნქტებით გათვალისწინებული ორგანული კანონების პროექტებისა და სხვა კანონპროექტების დამტკიცება და სენატისათვის, როგორც პირველადი სარეგისტრაციო პალატისათვის გადაცემა.

(2) პირველადი სარეგისტრაციო პალატა თავის გადაწყვეტილებას იღებს 45 დღის ვადაში. კოდექსებისა და განსაკუთრებული სირთულის კანონებთან მიმართებაში ვადა 60 დღემდე გაიზრდება. ვადების დარღვევის შემთხვევაში კანონპროექტი მიღებულად ითვლება.

(3) კანონპროექტის მიღების ან უარყოფის შემთხვევაში პირველი მარეგისტრირებელი პალატის მიერ პროექტი იგზავნება მეორე პალატაში, სადაც ხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

(4) იმ შემთხვევაში, თუ (1) პუნქტის შესაბამისად, საკითხი პირველი სარეგისტრაციო პალატის კომპეტენციაში შედის და იგი მიიღებს დადგენილებას, დადგენილება საბოლოოა მაშინ, თუ მას ზედა პალატა დაამტკიცებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტი ბრუნდება უკან, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას საგანგებო პროცედურით გამოიტანს.

მუხლი 76. კანონებისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი

(1) ორგანული კანონები და პალატების რეგლამენტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება თითოეული პალატის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

(2) მიმდინარე კანონი და გადაწყვეტილება თითოეულ პალატაში მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

(3) მთავრობის თხოვნით ან თავისი ინიციატივით პარლამენტს შეუძლია, კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება მიიღოს დაჩქარებული წესით, რომელიც დადგენილია პალატების რეგლამენტით.

მუხლი 77. კანონთა პრომულგირება

(1) კანონები პრომულგირებისათვის გადაეცემა რუმინეთის პრეზიდენტს. პრომულგაცია ხორციელდება კანონის მიღების შემდეგ არა უგვიანეს 20 დღისა.

(2) პრომულგირებამდე პრეზიდენტს შეუძლია ერთხელ მოითხოვოს კანონის გადახედვა პარლამენტის მიერ.

(3) თუ პრეზიდენტმა მოითხოვა კანონის გადახედვა ან მისი კონსტიტუ-

ციურობის შემოწმება, კანონის გადახედვის ან მისი კონსტიტუციურობის შესახებ დასკვნის მიღების შემდგომ ხდება მისი პრომულგაცია არა უგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 78. კანონის ძალაში შესვლა

კანონი ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ მაცნეში და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში, თუ თავად ტექსტში სხვა ვადა არ არის მითითებული.

მუხლი 79. საკანონმდებლო საბჭო

(1) საკანონმდებლო საბჭო წარმოადგენს პარლამენტის სპეციალიზირებულ საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც იძლევა დასკვნას ნორმატიული აქტების პროექტებზე, მთელი კანონმდებლობის სისტემატიზაციის, უნიფიცირებისა და კოორდინაციის მიზნით. იგი აწარმოებს რუმინეთის კანონმდებლობის ოფიციალურ რეესტრს.

(2) საკანონმდებლო საბჭოს შექმნა, სტრუქტურა და საქმიანობის წესი დგინდება ორგანული კანონით.

თავი II. რუმინეთის პრეზიდენტი

მუხლი 80. პრეზიდენტის როლი

(1) რუმინეთის პრეზიდენტი წარმოადგენს რუმინეთის სახელმწიფოს და არის ეროვნული დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი.

(2) რუმინეთის პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას და საჯარო ხელისუფლების გამართულ, სათანადო ფუნქციონირებას. ამ მიზნით პრეზიდენტი ახორციელებს შუამავლის ფუნქციას ქვეყნის ხელისუფლების შტოებს შორის, ასევე — სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

მუხლი 81. პრეზიდენტის არჩევნები

(1) რუმინეთის პრეზიდენტი ირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და თავისუფალი კენჭისყრით.

(2) არჩეულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც არჩევნების პირველ ტურში მიიღებს რეგისტრირებული ამომრჩევლების ხმათა უმრავლესობას.

(3) იმ შემთხვევაში, თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოიპოვებს ხმათა საჭირო უმრავლესობას, მაშინ ტარდება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ორ ადგილზე გასული კანდიდატი, რომელიც დგინდება მათ მიერ პირველ ტურში მოპოვებული ხმების მიხედვით. არჩეულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა უმრავლესობას.

(4) არავის შეუძლია რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციის განხორციელება ორ ვადაზე მეტი ხნით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს პრეზიდენტად ზედიზედ ორი ვადით.

მუხლი 82. მანდატის ცნობა და ფიცის დადება

(1) რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციათა განხორციელების მიზნით არჩევნების შედეგების ცნობა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

(2) ის კანდიდატი, რომლის არჩევნებიც არის ცნობილი კანონიერად, დეპუტატთა პალატისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე დებს შემდეგ ფიცს: **"ვფიცავ, მთელი ჩემი ძალა და ცოდნა მივუძღვნა რუმინეთის ხალხის სულიერ და მატერიალურ განვითარებას, დავიცვა ქვეყნის კონსტიტუ-**

ცია და კანონები, დაცვა დემოკრატია, მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რუმინეთის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ტერიტორიული მთლიანობა, მფარავდეს ღმერთი".

მუხლი 83. უფლებამოსილების ვადა

(1) პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, რომლის ათვლა იწყება ფიცის დადების დღიდან.

(2) რუმინეთის პრეზიდენტის უფლებამოსილება გრძელდება ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებამდე.

(3) პრეზიდენტის მანდატი შეიძლება გაგრძელდეს ორგანული კანონით ომის ან კატასტროფების შემთხვევაში.

მუხლი 84. შეუთავსებლობა და იმუნიტეტი

(1) პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების დროს არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი ან ახორციელებდეს ნებისმიერ სხვა საჯარო ან კერძო ფუნქციებს.

(2) რუმინეთის პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით. 72-ე მუხლის (1) პუნქტის დებულებები გამოიყენება შესაბამისი ფორმით.

მუხლი 85. მთავრობის დანიშვნა

(1) რუმინეთის პრეზიდენტი სთავაზობს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის ფუნქციის განხორციელებისათვის და ნიშნავს მთავრობას პარლამენტის ნდობის ვოტუმის საფუძველზე.

(2) მთავრობის რეორგანიზაციის ან მასში ვაკანსიების წარმოქმნისას, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წინადადებით, გამოიწვევს ან ნიშნავს მთავრობის ცალკეულ წევრებს.

(3) თუ გადანაცვლების შემთხვევაში პარლამენტის პოლიტიკური სტრუქტურა ან შემადგენლობა შეიცვლება, რუმინეთის პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოიყენოს (2) პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება, მხოლოდ პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის თანხმობით.

მუხლი 86. მთავრობასთან კონსულტაცია

რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია, კონსულტაციები გასწიოს მთავრობასთან სასწრაფო და განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით.

მუხლი 87. მთავრობის სხდომებში მონაწილეობა

(1) რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, რომელზეც განიხილება ისეთი პრობლემები, რომლებიც შეეხება ეროვნულ ინტერესს, საგარეო პოლიტიკას, ქვეყნის თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და პრემიერ-მინისტრის თხოვნით სხვა შემთხვევებშიც.

(2) რუმინეთის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს, რომელშიც იგი მონაწილეობს.

მუხლი 88. მიმართვები

რუმინეთის პრეზიდენტი მიმართავს პარლამენტს ერის მთავარ პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით.

მუხლი 89. პარლამენტის დათხოვნა

(1) პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებთან და საპარლამენტო ჯგუფების ლიდერებთან კონსულტაციების შემდეგ რუმინეთის პრეზიდენტს

შეუძლია, დაითხოვოს პარლამენტი, თუ იგი არ გამოხატავს ნდობის ვოტუმს, რომელიც აუცილებელია მთავრობის ფორმირებისათვის 60 დღის განმავლობაში პირველი წინადადებიდან და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის არანაკლებ ორჯერ აცილების შემდეგ.

(2) ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთხელ.

(3) პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ასევე მობილიზაციის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

მუხლი 90. რეფერენდუმი

რუმინეთის პრეზიდენტს, პარლამენტთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია, ხალხისაგან მოითხოვოს რეფერენდუმის გზით ნების გამოვლენა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ ინტერესს.

მუხლი 91. უფლებამოსილებანი საგარეო პოლიტიკაში

(1) პრეზიდენტი რუმინეთის სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთან დაკავშირებითაც მოლაპარაკებები წარმართა მთავრობამ და გარკვეული ვადის განმავლობაში წარუდგენს პარლამენტს რატიფიკაციისათვის. სხვა სახის ხელშეკრულებები და შეთანხმებები დამტკიცებული ან რატიფიცირებული იქნება კანონით დადგენილი პროცედურების თანახმად.

(2) პრეზიდენტი, მთავრობის წინადადებით, აკრედიტაციას ახდენს და გამოიწვევს რუმინეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და იწონებს დიპლომატიური წარმომადგენლობის რანგის დადგენას, გაუქმებას ან შეცვლას.

(3) უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები აკრედიტაციას გადიან რუმინეთის პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 92. უფლებამოსილება თავდაცვის სფეროში

(1) რუმინეთის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ახორციელებს ქვეყნის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს.

(2) პარლამენტის წინასწარი თანხმობით, მას შეუძლია, გამოაცხადოს შეიარაღებული ძალების ნაწილობრივი ან მთლიანი მობილიზება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეიძლება გადაეცეს პარლამენტს დასამტკიცებლად მისი მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღის შემდეგ.

(3) ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში რუმინეთის პრეზიდენტი ღებულობს ზომებს აგრესიის მოგერიებისათვის და დაუყოვნებლივ აცნობებს პარლამენტს თავისი მიმართვის საშუალებით. თუ პარლამენტი არ არის სესიებზე, მაშინ, კანონის თანახმად, პარლამენტი შეიკრიბება აგრესიის დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში.

(4) მობილიზაციის ან ომის პირობებში პარლამენტი განაგრძობს მუშაობას არსებული ვითარების მანძილზე. თუ პარლამენტის სხდომები ჯერ არ არის მოწვეული, მაშინ მათი მოწვევა განხორციელდება შესაბამისი მდგომარეობის გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 93. განსაკუთრებული ზომები

(1) რუმინეთის პრეზიდენტს, კანონის თანახმად, მთელ ქვეყანაში ან მის ცალკეულ ნაწილში შემოაქვს საგანგებო მდგომარეობა და სთავაზობს პარლამენტს, მოიწონოს მიღებული ზომები არა უგვიანეს 5 დღისა.

(2) თუ პარლამენტი არ იმყოფება სესიებზე, იგი, კანონის თანახმად, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში მოიწვევს პარლამენტს, რომელიც ფუნქციონირებს მთელი ამ მდგომარეობის მოქმედების პერიოდში.

მუხლი 94. სხვა უფლებამოსილებანი

რუმინეთის პრეზიდენტი ასევე ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

a) აჯილდოვებს და ანიჭებს საპატიო წოდებებს;

b) ანიჭებს მარშლის, გენერლის და ადმირალის წოდებებს;

c) კანონით განსაზღვრული პირობებით ნიშნავს საჯარო ფუნქციის განხორციელებისათვის;

d) ახორციელებს ინდივიდუალურ შეწყალებას.

მუხლი 95. თანამდებობიდან გადაყენება

(1) მძიმე ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც არღვევს კონსტიტუციის ნორმებს, რუმინეთის პრეზიდენტი შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს უფლებამოსილების განხორციელებას პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე დეპუტატთა და სენატორთა ხმათა უმრავლესობით, საკონსტიტუციო სასამართლოსთან კონსულტაციის შემდეგ. პრეზიდენტს შეუძლია, მისცეს პარლამენტს ახსნა-განმარტება მის მოქმედებასთან დაკავშირებით.

(2) პრეზიდენტის იმპიჩმენტის წამოყენების უფლება აქვს დეპუტატთა და სენატორთა ერთ მესამედს, რის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პრეზიდენტს.

(3) თუ წინადადება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა, არა უგვიანეს 30 დღის შემდეგ ეწყობა რეფერენდუმი პრეზიდენტის გადაყენებისათვის.

მუხლი 96. იმპიჩმენტი

(1) დეპუტატთა პალატას და სენატს შეუძლიათ გაერთიანებულ სხდომაზე არანაკლებ 2/3-ის ხმის უმრავლესობით დააყენონ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით.

(2) პრეზიდენტის იმპიჩმენტის წამოყენების უფლება აქვს დეპუტატთა და სენატორთა უმრავლესობას, რის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პრეზიდენტს, რათა მან შეძლოს ახსნა-განმარტების მიცემა წამოყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით.

(3) იმპიჩმენტის გამოცხადების დღიდან დათხოვნის დღემდე პრეზიდენტი ჩამოცილებულია უფლებამოსილების განხორციელებას.

(4) ამგვარი საკითხების განხილვა ევალება საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს. პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის შესახებ.

მუხლი 97. თანამდებობრივი ვაკანსია

(1) რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობა ხდება ვაკანტური გადადგომის, თანამდებობიდან გადაყენების, მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან გარდაცვალების შემთხვევებში.

(2) მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის თანამდებობა გახდება ვაკანტური, სამი თვის ვადაში მთავრობა აწყობს ახალი პრეზიდენტის არჩევნებს.

მუხლი 98. მოვალეობის დროებითი განხორციელება

(1) თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია, ან თუ იგი ჩამოცილებუ-

ლია უფლებამოსილების განხორციელებას, ან დროებით ვერ ახორციელებს უფლება-მოვალეობებს, მის ფუნქციას დროებით ახორციელებენ მონაცვლეობით სენატისა და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეები.

(2) 88-90-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი არ შეიძლება განხორციელდეს პრეზიდენტის დროებითი ფუნქციის შესრულების დროს.

მუხლი 99. პრეზიდენტის მოვალეობის დროებით განმახორციელებელი პირის პასუხისმგებლობა

თუკი პირი, რომელიც დროებით ასრულებს რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციებს, ჩაიდენს მძიმე ქმედებას, არღვევს კონსტიტუციის დებულებებს, გამოიყენება კონსტიტუციის 95-ე და 97-ე მუხლები.

მუხლი 100. პრეზიდენტის აქტები

(1) თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს რუმინეთის პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტებს, რომელიც ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ მაცნეში. გამოუქვეყნებელი დეკრეტი ბათილია.

(2) რუმინეთის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული დეკრეტები, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის 91-ე მუხლის (1) და (2) პუნქტებით, 92-ე მუხლის (2) და (3) პუნქტებით 93-ე მუხლის (1) პუნქტით და 94-ე მუხლის „a" „b" და „g" პუნქტებით, კონტრასიგნებული უნდა იქნეს პრემიერ-მინისტრის მიერ.

მუხლი 101. ანაზღაურება და სხვა უფლებები

პრეზიდენტის ანაზღაურება და სხვა უფლებები დგინდება კანონით.

თავი III. მთავრობა

მუხლი 102. როლი და სტრუქტურა

(1) მთავრობა, თავისი მმართველობის პროგრამის თანახმად, რომელიც მოწონებულია პარლამენტის მიერ, უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზებას და ახორციელებს საჯარო ადმინისტრაციის საერთო ხელმძღვანელობას.

(2) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობა თანამშრომლობს დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

(3) მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, მინისტრების და სხვა წევრებისაგან, რომელიც განსაზღვრულია კანონით.

მუხლი 103. ინვესტიტურა

(1) რუმინეთის პრეზიდენტი, იმ პარტიასთან კონსულტაციის შემდეგ, რომელიც ფლობს აბსოლუტურ უმრავლესობას პარლამენტში, წარადგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო თუ ასეთი პარტია არ არსებობს, მაშინ — პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებთან კონსულტაციის შემდეგ.

(2) პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი წარდგენიდან 10 დღეში მოითხოვს ნდობის ვოტუმის მიღებას, როგორც პროგრამის, ასევე მთავრობის მთელი შემადგენლობისათვის.

(3) მთავრობის შემადგენლობა და პროგრამა განიხილება დეპუტატთა პალატისა და სენატის ერთობლივ სხდომაზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს დეპუტატებისა და სენატის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 104. ერთგულების ფიცი

(1) პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და მთავრობის სხვა წევრები ინდივიდუალურად დებენ კონსტიტუციის 82-ე მუხლით განსაზღვრულ ფიცს რუმინეთის პრეზიდენტის წინაშე.

(2) მთავრობა თავის უფლებამოსილებას აღორციელებს მთლიანად და ცალ-ცალკე ფიცის დადების დღიდან.

მუხლი 105. შეუთავსებლობა

(1) მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია საჯარო ხელისუფლების სხვა ფუნქციის განხორციელებასთან, გარდა დეპუტატისა და სენატორის ფუნქციებისა. ასევე შეუთავსებელია პროფესიული წარმომადგენლობის ფუნქციის განხორციელებასთან, რომლის ანაზღაურება ხდება იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს კომერციული მიზნები.

(2) შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები დგინდება კანონით.

მუხლი 106. მთავრობის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა

მთავრობის წევრის უფლებამოსილება წყდება გადადგომით, გამოწვევით, საარჩევნო უფლების დაკარგვისას, შეუთავსებლობის, გარდაცვალების ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 107. პრემიერ-მინისტრი

(1) პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობას და კოორდინირებს მთავრობის წევრთა მოქმედებებს მათი უფლებამოსილების დაცვით. იგი აგრეთვე წარუდგენს დეპუტატა პალატასა და სენატს ანგარიშს და მთავრობის პოლიტიკის განაცხადს, რომელიც განიხილება უპირველეს ყოვლისა.

(2) რუმინეთის პრეზიდენტს არ შეუძლია პრემიერ-მინისტრის დათხოვნა.

(3) თუკი პრემიერ-მინისტრი იმყოფება ერთ-ერთ იმ მდგომარეობაში, რომელიც გათვალისწინებულია 106-ე მუხლით, ან არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, მაშინ რუმინეთის პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის სხვა წევრს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად, რომელიც განახორციელებს პრემიერ-მინისტრის ფუნქციებს ახალი მთავრობის ფორმირებამდე. მოვალეობის შემსრულებელი წყვეტს თავის ფუნქციონირებას, თუ პრემიერ-მინისტრი განაახლებს თავის საქმიანობას მთავრობაში.

(4) მესამე პუნქტი შესაბამისი სახით გამოიყენება მთავრობის სხვა წევრების მიმართ პრემიერ-მინისტრის წინადადებით არა უმეტეს 45 დღისა.

მუხლი 108. მთავრობის აქტი

(1) მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს და ორდონანსებს.

(2) გადაწყვეტილებები გამოდის კანონის აღსრულების ორგანიზებისათვის.

(3) ორდონანსი გამოიცემა სპეციალური უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონის საფუძველზე, იმ პირობისა და ფარგლების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით.

(4) მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ორდონანსებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი, კონტრასიგნებას ახდენენ მინისტრები, რომლებიც ვალდებულები არიან, შეასრულონ გადაწყვეტილებები და ქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ მაცნეში. გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილება და ორდონანსი ბათილია. სამხედრო ხასიათის გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ დაინტერესებულ უწყებას.

მუხლი 109. მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა

(1) მთავრობა თავის საქმიანობაზე პასუხისმგებელია პარლამენტის წი-

ნაშე. მთავრობის ყოველი წევრი ატარებს ერთიან პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მთავრობის საქმიანობასა და აქტებთან დაკავშირებით.

(2) მხოლოდ დეპუტატთა პალატას, სენატსა და პრეზიდენტს შეუძლიათ, მოითხოვონ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა მთავრობის წევრის მიმართ იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა თავისი ფუნქციის განხორციელებისას, თუკი წარდგენილია მოთხოვნა სისხლის სამართლის დევნის დაწყების შესახებ. რუმინეთის პრეზიდენტს შეუძლია, გასცეს განკარგულება მისი უფლებამოსილების განხორციელების ჩამოცილების შესახებ. მთავრობის წევრის სასამართლოსადმი გადაცემას თან სდევს მისი უფლებამოსილების განხორციელებიდან ჩამოცილება. კომპეტენტურ სასამართლოდ მიიჩნევა მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო.

(3) მთავრობის წევრთა მიმართ პასუხისმგებლობა და დასჯის შემთხვევები რეგულირდება კანონით მინისტრების პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 110. უფლებამოსილების შეწყვეტა

(1) მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებას საპარლამენტო არჩევნების ცნობამდე.

(2) პარლამენტს აქვს მთავრობის დათხოვნის უფლება, იმ შემთხვევაში თუ პრემიერ-მინისტრი იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის 106-ე მუხლით, ან არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილებანი 45 დღის განმავლობაში.

(3) ამ მუხლის (2) პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დროს გამოიყენება 103-ე მუხლის დებულებები.

(4) მთავრობა, რომლის უფლებამოსილება შეწყდა (1) და (2) პუნქტების თანახმად, ახალი მთავრობის ფიცის დადებამდე ახორციელებს მხოლოდ იმ მოქმედებებს, რომელიც აუცილებელია საჯარო საქმეების მართვისთვის.

თავი IV. პარლამენტის ურთიერთობა მთავრობასთან

მუხლი 111. პარლამენტის ინფორმირება

(1) მთავრობა და სხვა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით, დეპუტატთა პალატასა და სენატს ან საპარლამენტო კომისიებს მათი თავმჯდომარეების მეშვეობით წარუდგინოს ინფორმაცია მათი მოთხოვნის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუკი საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს ქვეყნის ან სოციალური დაცვის ბიუჯეტის ცვლილებას, მაშინ ინფორმაციის მოთხოვნა სავალდებულოა.

(2) მთავრობის წევრები სარგებლობენ პარლამენტის სხდომებზე დასწრების უფლებით. ხოლო მათი დასწრების მოთხოვნის შემთხვევაში დასწრება სავალდებულოა.

მუხლი 112. შეკითხვები, ინტერპელაცია, წინადადებები

(1) მთავრობა და ყოველი მისი წევრი ვალდებულია, უპასუხოს სენატორებისა და დეპუტატების მიერ ფორმულირებულ შეკითხვებს, რაც ორივე პალატის რეგლამენტითაა გათვალისწინებული.

(2) დეპუტატთა პალატასა და სენატს შეუძლიათ, გამოიტანონ განსახილველად საშინაო ან საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული თავიანთი აზრის გამომხატველი წინადადებები.

მუხლი 113. უნდობლობის რეზოლუცია

(1) დეპუტატთა პალატამ და სენატმა გაერთიანებულ სხდომაზე შეიძლება, უნდობლობის რეზოლუციის მიღების გზით, გამოითხოვონ მათ მიერ გამოხატული ნდობის ვოტუმი დეპუტატთა და სენატორთა ხმათა უმრავლესობით.

(2) უნდობლობის რეზოლუციის ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს დეპუტატთა და სენატორთა საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი. ამის შესახებ მთავრობას ეცნობება ინიციატივის შეტანის დღეს.

(3) უნდობლობის რეზოლუცია განიხილება პალატების საერთო სხდომაზე მისი შეტანიდან სამი დღის შემდეგ.

(4) თუ უნდობლობის რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს, მაშინ იმ დეპუტატებსა და სენატორებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ინიციატივას, არ შეუძლიათ ახალი უნდობლობის რეზოლუციის შეტანა იმ სესიის განმავლობაში, იმ შემთხვევების გარდა, როცა მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობას 114-ე მუხლის თანახმად.

მუხლი 114. მთავრობის პასუხისმგებლობა

(1) მთავრობამ შეიძლება იკისროს პასუხისმგებლობა დეპუტატთა პალატისა და სენატის წინაშე ერთობლივ სხდომაზე პროგრამისა და საერთო პოლიტიკის შესახებ განცხადებასა და კანონპროექტებთან დაკავშირებით.

(2) მთავრობა შეიძლება გადადგეს თუ პროგრამის წარდგენის, საერთო პოლიტიკის შესახებ განაცხადის ან კანონპროექტის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში, 113-ე მუხლის შესაბამისად მიღებული იქნება უნდობლობის რეზოლუცია.

(3) თუკი მთავრობა არ არის გადაყენებული (2) პუნქტის თანახმად, მაშინ წარდგენილი კანონპროექტი ითვლება მიღებულად, ხოლო საერთო პოლიტიკის შესახებ განაცხადი და პროგრამა ითვლება სავალდებულოდ მთავრობისათვის.

(4) იმ შემთხვევაში, თუკი რუმინეთის პრეზიდენტი ითხოვს კანონის გადასინჯვას, რომელიც მიღებულია (3) პუნქტის შესაბამისად, მაშინ მისი განხილვა მოხდება პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

მუხლი 115. საკანონმდებლო დელეგირება

(1) პარლამენტს შეუძლია, მიიღოს სპეციალური კანონი, რომელიც მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოსცეს ორდონანსები იმ სფეროში, რომელიც არ წარმოადგენს ორგანული კანონის საგანს.

(2) უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი სავალდებულო წესით ადგენს სფეროსა და ვადებს, რომლის ფარგლებშიც მთავრობას შეუძლია, გამოსცეს ორდონანსები.

(3) თუ უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონი მოითხოვს, მაშინ ორდონანსები საკანონმდებლო პროცედურის თანახმად, წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. ვადის დაუცველობა იწვევს ორდონანსის მოქმედების შეწყვეტას.

(4) გამონაკლის შემთხვევაში მთავრობას შეუძლია, სასწრაფოდ მიიღოს ორდონანსები, ამასთან მთავრობა ვალდებულია, დაასაბუთოს გადაწყვეტილება ვითარების შინაარსიდან გამომდინარე.

(5) ორდონანსები ძალაში შედიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წა-

რედგინება პარლამენტს, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის ამ საკითხის განხილვა, რის შემდეგაც იგი უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ პარლამენტი არ არის სესიებზე, მაშინ მისი მოწვევა მოხდება 5 დღის განმავლობაში. თუ წარედგენიდან 30 დღის განმავლობაში არ მოხდება საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება დეპუტატთა პალატის მიერ, მაშინ იგი ჩაითვლება მიღებულად და გადაეცემა სენატს, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს საგანგებო რეჟიმში 76-მუხლის (1) პუნქტის მიხედვით. ორდონანსები, რომლებიც შეეხება ორგანული კანონის მსგავს დებულებებს, დამტკიცებული უნდა იქნეს უმრავლესობით.

(6) საგანგებო სიტუაციების დროს გამოცემული ორდონანსები არ შეიძლება შეეხებოდეს კონსტიტუციურ კანონებს, ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების სტატუსს, კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, საარჩევნო უფლებებს, აგრეთვე კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებაში იძულებით გადაცემის საკითხებს.

(7) ორდონანსები, რომლთა შესახებაც პარლამენტს აცნობეს, უნდა დამტკიცდეს ან უარი ეთქვას კანონით, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ორდონანსს, რომლის მოქმედებაც შეწყდა (3) პუნქტის თანახმად.

(8) ორდონანსების მიღება ან უარყოფა ხორციელდება კანონით, რომელიც ასევე არეგულირებს ორდონანსების მოქმედებით გამოწვეულ შედეგებს.

თავი V. საჯარო ადმინისტრაცია
კარი 1. ცენტრალური სპეციალიზებული საჯარო ადმინისტრაცია

მუხლი 116. სტრუქტურა

(1) სამინისტროები იქმნებიან მხოლოდ მთავრობის დაქვემდებარებაში.

(2) სხვა სპეციალიზებული ორგანოები შეიძლება შეიქმნას მთავრობისა და სამინისტროს დაქვემდებარებში, ან როგორც ავტონომიური ადმინისტრაციული ხელისუფლება.

მუხლი 117. შექმნა

(1) სამინისტროები იქმნებიან და ფუნქციონირებენ კანონის თანახმად.

(2) მთავრობასა და სამინისტროებს შეუძლიათ, შექმნან თავის დაქვემდებარებაში სპეციალიზებული ორგანოები, რომლის შესახებაც მათ უნდა აცნობონ კონტროლის პალატას, თუკი ამ კომპეტენციას მათთვის ითვალისწინებს კანონი.

(3) ავტონომიური ადმინისტრაციული ხელისუფლება შეიძლება შეიქმნას ორგანული კანონის თანახმად.

მუხლი 118. შეიარაღებული ძალები

(1) ჯარი ემორჩილება მხოლოდ ხალხის ნებას და არის სუვერენიტეტის, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური დემოკრატიის გარანტი. საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, რომლის მხარესაც წარმოადგენს რუმინეთი, ჯარი მიიღებს მონაწილეობას სამხედრო გაერთიანებების მიერ წარმოებულ მშვიდობისმყოფელ პროცესებში.

(2) თავდაცვის ეროვნული სისტემის სტრუქტურა, მოსახლეობის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე სამხედრო მოსამსახურეებისა-

თვის სტატუსი დგინდება ორგანული კანონით.

(3) (1) და (2) პუნქტების დებულებები შესაბამისად გავრცელდება შეიარაღებული ძალების იმ სხვა კომპონენტებზე, რომლებიც შემოღებულია კანონის თანახმად.

(4) აკრძალულია სამხედრო ან გასამხედროებული საქმიანობის ორგანიზება სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე.

(5) უცხო ქვეყნის ჯარებს შეუძლიათ რუმინეთის ტერიტორიაზე შესვლა ან გავლა ამ ტერიტორიაზე, დაბანაკება და სამხედრო ოპერაციების განხორციელება მხოლოდ ხელშეკრულებით, რომლის წევრიც არის რუმინეთი ან კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მუხლი 119. ქვეყნის თავდაცვის უმაღლესი საბჭო

ქვეყნის თავდაცვის უმაღლესი საბჭო ახორციელებს იმ სახის საქმიანობის ერთგვაროვან კოორდინაციასა და ორგანიზებას, რომელიც ეხება ქვეყნის თავდაცვას და ეროვნულ უსაფრთხოებას, ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვასა და სამხედრო ალიანსების მიერ წარმოებულ მშვიდობისმყოფელ პროცესებში მონაწილეობაში.

ნაწილი 4. ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაცია

მუხლი 120. ძირითადი პრინციპები

(1) საჯარო ადმინისტრაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ეფუძნება ადგილობრივი ავტონომიისა და საჯარო მომსახურების დეცენტრალიზაციის პრინციპებს.

(2) ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ეროვნული უმცირესობა წარმოადგენს მოსახლეობის დიდ ნაწილს, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, რომ უმცირესობის ენა გამოყენებულ იქნეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის და მოხდეს სახელმწიფო სამსახურების დეცენტრალიზაცია ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

მუხლი 121. კომუნებისა და ქალაქების ხელისუფლება

(1) საჯარო ადმინისტრაციის ხელისუფლებას, რომლის მეშვეობითაც კომუნებსა და ქალაქებში ხორციელდება ადგილობრივი ავტონომია, წარმოადგენენ კანონით დადგენილი პირობებით არჩეული ადგილობრივი საბჭოები და არჩევითი პრიმარები.

(2) ადგილობრივი საბჭოები და პრიმარები ფუნქციონირებენ კანონით დადგენილი პირობებით, როგორც ავტონომიური ადმინისტრაციული ხელისუფლება და წყვეტენ ქალაქებისა და კომუნების საჯარო საქმეებს.

(3) ამ მუხლის (1) პუნქტით გათვალისწინებული ხელისუფლება შეიძლება შეიქმნას ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მუნიციპიის დანაყოფში.

მუხლი 122. მაზრების საბჭოები

(1) მაზრის საბჭოები წარმოადგენენ საჯარო ადმინისტრაციის ხელისუფლებას კომუნისა და ქალაქის საბჭოების კოორდინაციისათვის, რომლის მიზანია სამაზრო მნიშვნელობის საჯარო დაწესებულებათა ფუნქციონირება.

(2) მაზრის საბჭოები ირჩევა და ფუნქციონირებს კანონით დადგენილი პირობებით.

მუხლი 123. პრეფექტი

(1) მთავრობა ნიშნავს თითო კრეფექტს ყოველ მაზრასა და ბუქარესტის მუნიციპიაში.

(2) პრეფექტი არის ხელისუფლების წარმომადგენელი ადგილზე და ხელმძღვანელობს დეცენტრალიზებული სამინისტროების და სხვა ცენტრალური ორგანოების საჯარო სამსახურებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

(3) პრეფექტის უფლებამოსილება დგინდება ორგანული კანონის შესაბამისად.

(4) ერთის მხრივ პრეფექტს და მეორეს მხრივ ადგილობრივ საბჭოებსა და მერებს შორის, ასევე პრეფექტსა და მაზრების საბჭოებს და მათ თავმჯდომარეებს შორის არ იქმნება დაქვემდებარებული სიტუაცია.

(5) პრეფექტს შეუძლია, გააპროტესტოს მაზრის საბჭოს აქტი ადგილობრივი საბჭოს, ან პრიმარის, ან ადმინისტრაციის იუსტიციის ინსტანციის წინაშე, თუკი მას უკანონოდ მიიჩნევს. გაპროტესტებული აქტის მოქმედება ჩერდება კანონით.

თავი VI. სასამართლო ხელისუფლება

კარი I. სასამართლო ინსტანციები

მუხლი 124. მართლმსაჯულების განხორციელება

(1) მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის სახელით.

(2) მართლმსაჯულება არის ყველასთვის ერთი, მიუკერძოებელი და თანაბარი.

(3) მოსამართლეები არიან დამოუკიდებლები და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

მუხლი 125. მოსამართლეთა სტატუსი

(1) რუმინეთის პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოსამართლენი, კანონის თანახმად, ხელშეუხებელნი არიან.

(2) მოსამართლეთა თანამდებობრივი დაწინაურების, გადაყვანისა და დასჯის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი მაგისტრატურის საბჭო ორგანული კანონით დადგენილი პირობებით.

(3) მოსამართლეთა ფუნქცია შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა საჯარო და კერძო ფუნქციასთან. გამონაკლისს წარმოადგენს პედაგოგიური საქმიანობა უმაღლეს სასწავლებლებში.

მუხლი 126. სასამართლო ინსტანციები

(1) მართლმსაჯულება ხორციელდება მართლმსაჯულების უმაღლეს და საკასაციო სასამართლოში და დანარჩენი სასამართლო ინსტანციების მიერ კანონით დადგენილი წესით.

(2) სასამართლოების იურისდიქცია და სასამართლო წარმოების პროცედურა განისაზღვრება მხოლოდ კანონით.

(3) საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო უზრუნველყოფს სხვა სასამართლოების მიერ მიღებული კანონის ერთნაირ განმარტებას და მოქმედებას.

(4) საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა და ფუნქციონირება განისაზღვრება ორგანული კანონით.

(5) იკრძალება საგანგებო სასამართლოების შექმნა. ორგანული კანონით განისაზღვრება სასამართლოები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში გარკვეულ

საკითხებზე მუშაობენ და დასაშვებია გარკვეულ საკითხებთან სასამართლოში გარეშე პირის მონაწილეობა.

(6) სახელისუფლებო ორგანოების ადმინისტრაციული აქტების სამართლებრივი კონტროლი სადაო საკითხებთან დაკავშირებით გარდა პარლამენტისა და სამხედრო ბრძანებებისა, ეკუთვნება ადმინისტრაციულ სასამართლოს. ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციაში შედის დადგენილი საკანონმდებლო აქტის ან ამ უკანასკნელში შემავალი არაკონსტიტუციურად მიჩნეული დებულების გამო დაზარალებულ პირთა განცხადებების განხილვა.

მუხლი 127. სასამართლო სხდომების საჯაროობა

სასამართლო სხდომები საჯაროა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 128. მშობლიური ენის გამოყენება და თარჯიმანი სასამართლოში

(1) სასამართლო წარმოება მიმდინარეობს რუმინულ ენაზე.

(2) ორგანული კანონის თანახმად, რუმინეთის მოქალაქეები, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას, აქვთ სასამართლოში მშობლიურ ენაზე საუბრის ან აზრის გამოხატვის უფლება.

(3) (2) პუნქტით განსაზღვრული უფლების გამოყენება შესაძლებელია, თუ თარჯიმნის გამოყენება ხელს არ უშლის სასამართლო პროცესის სათანადო აღსრულებას და თუ ეს არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

(4) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არ მქონე პირებს, რომლებსაც არ ესმით ან ვერ ლაპარაკობენ რუმინულ ენაზე, უფლება აქვთ, გაეცნონ ყველა აქტს და საქმის მასალებს, გამოვიდნენ ინსტანციებში და წარადგინონ დასკვნები თარჯიმნის მეშვეობით; სისხლის სამართლის პროცესების დროს თარჯიმნის მომსახურება უფასოა.

მუხლი 129. გასაჩივრების უფლების გამოყენება

დაინტერესებულ მხარეს და პროკურატურას შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალების გამოყენება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 130. ინსტანციების პოლიცია

სასამართლო ინსტანცია განაგებს პოლიციას, რომელიც მის სამსახურშია.

კარი 2. პროკურატურა

მუხლი 131. პროკურატურის როლი

(1) სასამართლო საქმიანობაში პროკურატურა წარმოადგენს მთელი საზოგადოების ინტერესებს და იცავს მართლწესრიგს, ასევე მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

(2) პროკურატურა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს პროკურორების მეშვეობით, რომლებიც ქმნიან პროკურატურის ორგანოებს კანონით დადგენილი პირობებით.

(3) კანონის მიხედვით სასამართლოსთან არსებული სახალხო ბრალმდებლის სამსახური წარმართავს და მეთვალყურეობას უწევს პოლიციის მიერ წარმართულ სისხლის სამართლებრივ გამოძიებას.

მუხლი 132. პროკურორის სტატუსი

(1) პროკურორები ახორციელებენ თავის საქმიანობას იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით, კანონიერების პრინციპის შესაბამისად, მიუკერ-

ძოებლად და იერარქიული კონტროლით.

(2) პროკურორის ფუნქცია შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა საჯარო ან კერძო ფუნქციასთან, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა უმაღლეს სასწავლებელში.

ნაწილი 5. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო

მუხლი 133. შემადგენლობა

(1) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

(2) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება 19 წევრისაგან, რომელთაგან:

a) 14 წევრი აირჩევა მოსამართლეთა საერთო სხდომაზე და შემდგომ მტკიცდება სენატის მიერ. ამის შემდგომ ისინი იყოფიან ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთ ჯგუფში შედიან მოსამართლეები, მეორეში — ბრალმდებლები. პირველი ჯგუფის შემადგენლობაში შედის 9 მოსამართლე, მეორე ჯგუფის შემადგენლობაში კი — 5 სახალხო ბრალმდებელი;

b) ორი საზოგადოებრივი წარმომადგენელი, გამოცდილების და კარგი რეპუტაციის იურისტი;

c) იუსტიციის მინისტრი, საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეები, აგრეთვე მათთან არსებული სახალხო ბრალმდებელთა სამსახურის გენერალური ბრალმდებელი.

(3) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა ერთი წლის ვადით, რომელიც არ შეიძლება შეცვლილი იქნეს მე-2 პუნქტის a) პარაგრაფში მითითებულ მაგისტრთაგან.

(4) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან 6 წლის ვადით.

(5) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

(6) რუმინეთის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სასამართლო განხილვებს.

(7) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა გარდა 134 მუხლის (2) პუნქტით განპირობებული გადაწყვეტილებებისა.

მუხლი 134. უფლებამოსილება

(1) მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს რუმინეთის პრეზიდენტთან შეაქვს წინადადებები მოსამართლეთა და სახალხო ბრალმდებელთა დანიშვნების შესახებ.

(2) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო მოქმედებს, როგორც მოსამართლეთა და სახალხო ბრალმდებელთა დისციპლინარული საბჭო. ამ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრს საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეებს და გენერალურ ბრალმდებელს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

(3) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოში.

(4) მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო აღასრულებს ორგანული კანონით განპირობებულ სხვა მოვალეობებს, რათა აღასრულოს სამართლის დაცვის გარანტის როლი.

ნაწილი 6. ეკონომიკა და საჯარო ფინანსები

მუხლი 135. ეკონომიკა

(1) რუმინეთის ეკონომიკა წარმოადგენს კერძო მეწარმეობასა და კონკურენციაზე დაფუძნებულ საბაზრო ეკონომიკას.

(2) სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

a) ვაჭრობის თავისუფლება, კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვა, წარმოების ყველა ფაქტორის რეალიზებისათვის ხელსაყრელი წესების შექმნა;

b) ეროვნული ინტერესების დაცვა ეკონომიკურ, ფინანსურ და საკალუტო საქმიანობაში.

c) სამეცნიერო და ტექნიკური კვლევების ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და საავტორო უფლებების დაცვა;

d) ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია ეროვნული ინტერესების შესაბამისად;

e) გარემოს დაცვა და აღდგენა, აგრეთვე ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება.

f) ისეთი პირობების შექმნა, რომელიც აუცილებელია ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად.

g) რეგიონალური განვითარების პოლიტიკის განხორციელება ევროკავშირის მიზნების გათვალისწინებით.

მუხლი 136. საკუთრება

(1) საკუთრება საზოგადოებრივია ან კერძო.

(2) საზოგადოებრივი საკუთრება დაცულია კანონით და იგი ეკუთვნის ან სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ — ტერიტორიულ ერთეულს.

(3) ყველანაირი წიაღისეული სიმდიდრე, რკინიგზა, საჰაერო სივრცე, წყლები, რომლითაც შესაძლებელია ელექტროენერგიის პოტენციალის ათვისება და წყლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული ინტერესებისათვის, სანაპიროები, ტერიტორიული ზღვა, ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები, ასევე, ორგანული კანონით დადგენილი სხვა სიკეთე არის მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრების ობიექტი.

(4) საკუთრება, რომელიც არის საზოგადოებრივ მფლობელობაში, არ გასხვისდება. კანონით დადგენილი პირობებით ისინი შეიძლება სამართავად გადაეცეს ავტონომიურ რეგიონებს ან სახელმწიფო ინსტიტუტებს, ან გაცემულ იქნეს დოტაციით, ან იჯარით, ან გადაეცეს თავისუფალი მოხმარებისათვის კომუნალურ სამსახურებს.

(5) კანონით დადგენილი, პირობებით, კერძო საკუთრება ხელშეუხებელია.

მუხლი 137. ფინანსური სისტემა

(1) ფინანსური რესურსების ფორმირება, მართვა, მათი გამოყენება და კონტროლი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და საჯარო დაწესებულებების მხრიდან რეგლამენტირებულია კანონით.

(2) რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის დადებული ხელშეკ-

რულების პირობებიდან გამომდინარე, ორგანული კანონის თანახმად, შესაძლებელია ეროვნული ვალუტის შეცვლა ევროკავშირში მოქმედი ვალუტით.

მუხლი 138. ეროვნული საჯარო ბიუჯეტი

(1) ეროვნული საჯარო ბიუჯეტი შეიცავს სახელმწიფო ბიუჯეტს, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტს და კომუნების, ქალაქებისა და მაზრების ადგილობრივ ბიუჯეტებს.

(2) მთავრობა ყოველწლიურად შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის პროექტებს, რომლებიც ცალ-ცალკე წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

(3) იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტები არ იქნება მიღებული არა უგვიანეს სამი დღით ადრე საბიუჯეტო წლის ამოწურვამდე, მაშინ მათ მიღებამდე მოქმედებს წინა წლის სახელმწიფო და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტები.

(4) ადგილობრივი ბიუჯეტების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება ხდება კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით.

(5) დაფინანსების წყაროს დადგენის გარეშე არანაირი საბიუჯეტო ხარჯები არ იქნება დამტკიცებული.

მუხლი 139. გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა შენატანები

(1) გადასახადები, მოსაკრებლები, ასევე სხვა შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში დგინდება მხოლოდ კანონით.

(2) ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები დგინდება ადგილობრივი ან მაზრების საბჭოების მიერ კანონით დადგენილი პირობებით და ფარგლებში.

(3) კანონის თანახმად, ფონდის დასაფუძნებლად შენატანის სახით წარმოდგენილი თანხა გამოყენებული იქნება მხოლოდ პირდაპირი მიზნებისათვის.

მუხლი 140. აუდიტორული სასამართლო

(1) აუდიტორული სასამართლო აკონტროლებს სახელმწიფოს და საჯარო სექტორის ფინანსური რესურსების წარმოქმნას, მათ მართვასა და გამოყენებას. აუდიტორული სასამართლოს საქმიანობის შედეგად გამოწვეული დავების გადაჭრა მოხდება სპეციალიზებულ სასამართლოში.

(2) აუდიტორული სასამართლო ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს მოხსენებას მიმდინარე წლის ეროვნული საჯარო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პოზიციების შესახებ, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციას.

(3) დეპუტატთა პალატისა და სენატის მოთხოვნით, აუდიტორულმა სასამართლომ შეიძლება გააკონტროლოს საჯარო რესურსების გამოყენება და აკეთებს მოხსენებას დადგენილი ფაქტების შესახებ.

(4) აუდიტორული სასამართლოს წევრები ინიშნებიან პარლამენტის მიერ 9 წლის ვადით. ამ ვადის გაგრძელება ან განახლება არ დაიშვება. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას ისინი არიან დამოუკიდებელნი და ხელშეუხებელნი.

(5) ორგანული კანონის თანახმად, აუდიტორთა სასამართლოს შემადგენლობა განახლდება პარლამენტის მიერ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ 1/3-ით.

(6) კანონის თანახმად, პარლამენტს საჭიროების შემთხვევაში ექნება აუდიტორული სასამართლოს წევრების გამოწვევის უფლება.

მუხლი 141. ეკონომიკური და სოციალური საბჭო

ეკონომიკური და სოციალური საბჭო იქმნება პარლამენტისა და მთავრობის სათათბირო ორგანოდ.

ნაწილი 7. საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 142. სტრუქტურა

(1) საკონსტიტუციო სასამართლო არის კონსტიტუციის უზენაესობის გარანტი. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან, რომლებიც დანიშნულნი არიან 9 წლის ვადით, რომლის გაგრძელება ან განახლება დაუშვებელია.

(2) სამ მოსამართლეს ნიშნავს დეპუტატთა პალატა, სამს — სენატი და სამს — რუმინეთის პრეზიდენტი.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ფარული კენჭისყრით ირჩევენ თავმჯდომარეს 3 წლის ვადით.

(4) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ექვემდებარებიან განახლებას ერთი მესამედით ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, მოსამართლეთა შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 143. დანიშვნისათვის აუცილებელი პირობები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაღალი პროფესიული კომპეტენცია და იურიდიული პროფესიით ან უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში მუშაობის არანაკლებ 18 წლის სტაჟი.

მუხლი 144. შეუთავსებლობა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ფუნქცია შეუთავსებელია ნებისმიერ საჯარო თუ კერძო საქმიანობასთან, უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში პედაგოგიური საქმიანობის გარდა.

მუხლი 145. ხელშეუხებლობა და დამოუკიდებლობა

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები დამოუკიდებლები არიან თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს და ხელშეუხებელნი თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

მუხლი 146. უფლებამოსილება

საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს შემდეგი უფლებამოსილებანი:

a) იღებს გადაწყვეტილებას კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მის პრომულგაციამდე და გამოქვეყნებამდე. რუმინეთის პრეზიდენტის, ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, მთავრობის, საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს, ხალხის ადვოკატის, არანაკლებ 50 დეპუტატის ან არანაკლებ 25 სენატორის შუამდგომლობის საფუძველზე. ასევე სავალდებულო წესით განიხილავს კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივებს და იღებს გადაწყვეტილებებს;

b) ხელშეკრულებებისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს სულ მცირე 50 დეპუტატის ან 25 სენატორის მიმართვის შემდეგ.

c) იღებს გადაწყვეტილებას პარლამენტის რეგლამენტის კონსტიტუცი-

ურობის შესახებ, ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, საპარლამენტო ჯგუფის ან არანაკლებ 50 დეპუტატის ან არანაკლებ 25 სენატორის შუამდგომლობის საფუძველზე;

d) იღებს გადაწყვეტილებას კანონებისა და ორდონანსების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომლის განხილვა მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში, პროტესტის გამოთქმის უფლება აქვს ხალხის ადვოკატს;

e) სახელმწიფო მოხელეთა შორის კონსტიტუციური სახის დავების გადაჭრა რუმინეთის პრეზიდენტის მიმართვით ევალებათ პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებს, პრემიერ-მინისტრს ან მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს;

f) აკონტროლებს პრეზიდენტის არჩევნების პროცედურის დაცვას და ამტკიცებს არჩევნების შედეგებს;

g) ადგენს რუმინეთის პრეზიდენტის ფუნქციის დროებითი შესრულების გარემოებათა არსებობას და აცნობებს პარლამენტსა და მთავრობას დადგენილი ფაქტის შესახებ.

h) აძლევს საკონსულტაციო დასკვნას რუმინეთის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების წინადადებასთან დაკავშირებით.

i) აკონტროლებს რეფერენდუმის ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურის დაცვას და ამტკიცებს მის შედეგებს;

j) ამოწმებს მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების პირობების შესრულებას.

k) წყვეტს დავებს, რომლის საგანსაც წარმოადგენს პოლიტიკური პარტიის კონსტიტუციურობის საკითხი.

l) ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

მუხლი 147. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

(1) არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონები, დებულებები და წესდებები კარგავენ იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში. ამავდროულად პარლამენტს ან მთავრობას არ შეუძლიათ, რომ ისინი შეუსაბამონ კონსტიტუციას. ვადის გასვლის შემდეგ ისინი კარგავენ იურიდიულ ძალას.

(2) კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადების გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე, პარლამენტი ვალდებულია, გადასინჯოს ის დებულებები, რათა შეუსაბამოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

(3) თუ 146 მუხლის (b) ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობა, ასეთი დოკუმენტი ვერ იქნება მიჩნეული არაკონსტიტუციურად. არაკონსტიტუციურად მიჩნეული ხელშეკრულების ან შეთანხმების რატიფიკაცია არ მოხდება.

(4) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება რუმინეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. გამოქვეყნების შემდეგ ხდება გადაწყვეტილება სავალდებულო და იძენს ძალას.

მუხლი 148. ევროკავშირში გაერთიანება

(1) რუმინეთის ევროკავშირში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული უფლებამოსილების სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის გადაცემას და ხელშეკრულებით განპირობებული

უფლებამოსილების გამოყენებას სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად, განხორციელება მოხდება მას შემდეგ, რაც დეპუტატთა და სენატორთა ორი მესამედი გაერთიანებულ სესიაზე მიიღებს კანონს, რომლის მეშვეობითაც მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განხორციელების უზრუნველყოფა.

(2) ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და სხვა საავალდებულო ღირებულებები მოიპოვებს პრიორიტეტს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში გაერთიანების აქტის დებულებათა დაცვით.

(3) (1) და (2) პუნქტებში გადმოცემული პირობები ვრცელდება იმ საკანონმდებლო აქტებზეც, რომლებიც ევროკავშირის ხელშეკრულებით გადასინჯვას ითვალისწინებს.

(4) პარლამენტი, რუმინეთის პრეზიდენტი, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს ევროგაერთიანების ხელშკრულების და (2) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულებას.

(5) მთავრობა პარლამენტის პალატებს სამანდატო აქტის პროექტს უგზავნის მანამ, სანამ მოხდება წარდგენა ევროკავშირში დასამტკიცებლად.

მუხლი 149. ნატოში გაერთიანება

რუმინეთის ნატოში გაერთიანება მოხდება დეპუტატებისა და სენატორების გაერთიანებულ სხდომაზე 2/3-ის ხმის უმრავლესობით მიღებული კანონის მეშვეობით.

ნაწილი 8. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 150. გადასინჯვის ინიციატივა

(1) კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს რუმინეთის პრეზიდენტი მთავრობის, დეპუტატების ან სენატორების არანაკლებ ერთი მეოთხედის, აგრეთვე არანაკლებ 500 000 საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქის წინადადების საფუძველზე.

(2) მოქალაქენი, რომლებიც გამოდიან კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივით, უნდა წარმოადგენდნენ ქვეყნის მაზრების არანაკლებ ნახევარს, ხოლო ყოველი ასეთი მაზრიდან ან ბუქარესტის მუნიციპიებიდან ერთი ინიციატივის მხარდასაჭერად უნდა დარეგისტრირდეს არანაკლებ 20 000 ხელმოწერა.

მუხლი 151. გადასინჯვის პროცედურა

(1) პროექტი ან წინადადება გადასინჯვის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს დეპუტატთა პალატისა და სენატორთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით თითოეული პალატის წევრთა რაოდენობისა.

(2) თუ შემათანხმებელი პროცედურის გზით შეთანხმება მიღწეული არ იქნება, დეპუტატთა პალატა და სენატი იღებენ გადაწყვეტილებას ერთობლივ სხდომაზე არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით დეპუტატებისა და სენატორების რაოდენობისა.

(3) გადასინჯვა ხდება საბოლოო, თუ ის მოწონებულ იქნება რეფერენდუმზე, რომელიც ეწყობა გადასინჯვის პროექტის ან წინადადების მიღების თარიღიდან 30 დღემდე.

მუხლი 152. გადასინჯვის ფარგლები

(1) კონსტიტუციის მოქმედი ის დებულებები, რომლებიც ეხება რუმინეთის სახელმწიფოს, ეროვნულ დამოუკიდებლობას, მის ერთიან და განუყოფელ ხასიათს, რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, ტერიტორიულ მთლიანობას, იუსტიციის დამოუკიდებლობას, პოლიტიკურ პლურალიზმს და ოფიციალურ ენას, არ შეიძლება გახდეს გადასინჯვის საფუძველი.

(2) ამის გარდა, არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი გადასინჯვა, თუკი ამის შედეგად გაუქმდება მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ან გარანტიები.

(3) კონსტიტუცია არ შეიძლება გადაისინჯოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე ომის დროს.

ნაწილი 9. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 153. ძალაში შესვლა

კონსტიტუცია ძალაში შედის რეფერენდუმზე მისი მოწონების დღიდან. ამ თარიღიდან 1965 წლის 21 აგვისტოს კონსტიტუცია ითვლება გაუქმებულად.

მუხლი 154. დროებითი განსხვავება კანონთა შორის

(1) ყველა კანონი და ნორმატიული აქტი რჩება ძალაში იმ ნაწილში, რომლითაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან წინამდებარე კონსტიტუციას.

(2) საკანონმდებლო საბჭო მისი ორგანიზაციის შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან 12 თვის განმავლობაში შეამოწმებს, შეესაბამება თუ არა კანონმდებლობა წინამდებარე კონსტიტუციას და წარუდგენს პარლამენტს ან განსაკუთრებულ შემთხვევაში მთავრობას შესაბამის წინადადებებს.

მუხლი 155. ტრანზიტორული პირობები

(1) განხილვის პროცესში მყოფი კანონპროექტები და საკანონმდებლო შემოთავაზებები, განხილულ და მიღებულ იქნება განახლებული კანონის ამოქმედებამდე არსებულ კონსტიტუციურ დებულებებთან შესაბამისობაში.

(2) განახლებული კანონის ამოქმედებამდე, კონსტიტუციით განპირობებული ორგანიზაციები იფუნქციონირებენ ახალი კანონის დადგენამდე.

(3) 83-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდება მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

(4) საკასაციო და მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოსთან დაკავშირებული დებულებების განხორციელება მოხდება განახლებული კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს ორი წლის ვადაში.

(5) პრეზიდენტის მიერ დანიშნული მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს პალატის წევრები, მოსამართლეები და აუდიტორები განაგრძობენ მოვალეობების შესრულებას ვადის ამოწურვამდე, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მათი ხელახალი დანიშვნა მომდევნო 3 ან 6 წლის ვადით.

(6) სპეციალიზებული სასამართლოების დაფუძნებამდე აუდიტორული სასამართლოს მუშაობის შედეგად წარმოქმნილი სადავო საკითხები განიხილება ორდინალური სასამართლოების მიერ.

მუხლი 156. კონსტიტუციის ხელახალი გამოქვეყნება

(1) კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონი ქვეყნდება რუმინეთის

ოფიციალურ გაზეთში მისი ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში. შესწორებული და დასრულებული კონსტიტუცია გამოქვეყნებულ იქნება რეფერენდუმზე მიღების და დეპუტატთა პალატის მიერ ნუმერაციის და დასახელების შეცვლის შემდეგ.

(2) კონსტიტუციის გადასინჯვა დადასტურდება იმ შემთხვევაში, თუ მას კონსტიტუციის 151 მუხლის (3) პუნქტის თანახმად მიიღებს ორგანიზებული რეფერენდუმი.

(3) რუმინეთის კონსტიტუცია მიღებულია დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1991 წლის 21 ნოემბრს სახელობითი კენჭისყრით — 414 მომხრე და 95 მოწინააღმდეგე ხმების რაოდენობით.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეები:
აკადემიკოსი **ალექსანდრუ ბირლედიანუ, მარციან დანი.**

რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

რუსეთის ფედერაცია – Российская федерация – (სახელწოდების შემოკლებული ფორმა – რუსეთი, Россия) უდიდესი ევრაზიული სახელმწიფოა, მას მსოფლიოში ყველაზე დიდი - 17 075 400 კვ. კმ. - ტერიტორია უკავია, 1999 წლის ოფიციალური აღწერის მიხედვით აქ 146 327 600 ადამიანი ცხოვრობდა.

ქართველი ხალხისა და საქართველოსათვის რუსეთის მნიშვნელობა უწინარესად იმით განისაზღვრება, რომ იგი ჩვენი ბუნებრივი გეოგრაფიული მეზობელია, რომელთანაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ხალხის და სახელმწიფოს ბედ-იღბალი სხვადასხვა ფორმით იყო გადაჯაჭვული, რამაც ორი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს დაუკავშირა. მეოცე საუკუნეში 70 წელზე მეტი საქართველო (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით) შედიოდა უკიდურესად ცენტრალიზებულ ფორმალურად ფედერაციულ სახელმწიფოს – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრ კავშირი) შემადგენლობაში. ამ სახელმწიფოს საფუძველსა და ძირითად სუბიექტს კი სწორედ რუსეთი (რსფსრ) წარმოადგენდა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოც და რუსეთიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ და ინტერესმოკლებული ნამდვილად არ უნდა იყოს იმის ცოდნა, შეიცვალა თუ არა რუსეთი, როგორია მისი დღევანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოწყობა.

ამის გაგების ერთ-ერთი საშუალება კი რუსეთის ფედერაციის მოქმედი კონსტიტუციის შესწავლაა. ამასთან ჩვენ გვესმის, რომ კონსტიტუციის დოგმატური, ფორმალურ-იურუდიული ანალიზი არ არის საკმარისი მისი შემეცნებისათვის. ფაქტიური, ე. წ. ცოცხალი კონსტიტუციის გამოვლინებისათვის საჭიროა მისი დეკლარირებული დებულებების შედარება სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან, ადამიანის ძირითად უფლებებთან, კანონის უზენაესობის სიცოცხლისუნარიანობის ხარისხთან. თუმცა ეს ამ გამოცემის წინაშე არსებულ ძირითად ამოცანას არ წარმოადგენს.

1. კონსტიტუციის მიღების ისტორია

კონსტიტუციის ისტორიის ანალიზისას, ჩვეულებრივ, არკვევენ მისი მიღების ობიექტურ მიზეზებს, ადგენენ სამართლებრივ საფუძვლებსა და განხორციელებულ პროცედურებს.

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის ფედერაციის (შემდგომში - რფ) მოქმედი კონსტიტუციის მიღების ძირითადი ობიექტური მიზეზი იყო სსრ კავშირის დაშლა და რუსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის მიმდინარეობა. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მიღებისა და ამ ქვეყნის კონსტიტუციური რეფორმირების ლეგალურ დასაწყისად ითვლება 1990 წლის 12 ივნისის დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის

შესახებ, რომელიც ითხოვდა ახალი კონსტიტუციის მიღებას.

კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცედურები მრავალჯერ შეიცვალა, რაც განპირობებული იყო პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის არსებული მწვავე ურთიერთობებით. საბოლოოდ შეჯერებული პროექტი გატანილ იქნა საყოველთაო სახალხო კენჭისყრაზე. კენჭისყრაში, რომელიც 1992 წლის 12 დეკემბერს გაიმართა, მონაწილეობდა 58 მილიონზე მეტი ამომრჩეველი (ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 54,8%), კონსტიტუციის მიღებას მხარი დაუჭირა 32 937 630 ამომრჩეველმა, რაც მონაწილეთა 58,4% შეადგენს.

ასე იქნა მიღებული დამოუკიდებელი რუსეთის სახელმწიფოს დღემდე მოქმედი კონსტიტუცია.

2. კონსტიტუციის სტრუქტურა

კონსტიტუციის სტრუქტურის ანალიზისას ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ამ პოლიტიკურ-იურიდიული ჟანრის თავისებურ ლიტერატურულ ნაწარმოებში კონსტიტუციური პრინციპებისა და ნორმების განთავსების თანმიმდევრობა, ამ პრინციპებისა და ნორმების დაჯგუფებისადმი მიდგომა, საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენებული სხვა ხერხი სულაც არ არის შემთხვევითი, ხშირად ისინი კონსტიტუციის შემმუშავებელთა და შემქმნელთა კონსტიტუციურ ფილოსოფიას ასახავენ. ნათქვამი რუსეთის ფედერაციის მოქმედ კონსტიტუციასაც ეხება, რომლის სტრუქტურაში, დროსა და გარემოს მოთხოვნათა გათვალისწინებით, მახვილი კონსტიტუციონალიზმის ისეთ პრინციპებზეა გაკეთებული, როგორიცაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრიორიტეტი, ფედერაციული მოწყობა, ხელისუფლების დანაწილება, სასამართლო კონსტიტუციური კონტროლი, ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვ. კონსტიტუციის ქვემოთ მოყვანილი სტრუქტურიდან აშკარად ჩანს, მაგალითად, რომ სახელმწიფო ხელისუფლებათა კონსტრუირებისას კონსტიტუციის დამფუძნებლებმა მათ შორის უპირატესობა აშკარად პრეზიდენტს — სახელმწიფო მეთაურს მიანიჭეს.

ზოგადად რუსეთის ფედერაციის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუციას აქვს თანამედროვე დემოკრატიებისათვის დამახასიათებელი შინაგანი კომპოზიცია, იგი პრეამბულისა და ორი კარისაგან შედგება, ამასთან არც ის ნაწილი, რომელიც ჩვენ პრეამბულად მიგვაჩნია და რატომღაც არც პირველი კარი დასათაურებული არ არის, განსხვავებულია პირველი და მეორე კარის სტრუქტურირების ხერხი-პირველი კარი ცხრა თავისაგან შედგება, რომელშიც ნაწილებად დაყოფილი 137 მუხლია გაერთიანებული, ხოლო მეორე კარი („დასკვნითი და გარდამავალი დებულებები") მხოლოდ პუნქტებად (9 პუნქტი) არის დაყოფილი.

3. კონსტიტუციის გადასინჯვა

კონსტიტუციის ცალკეული დებულებების გადასინჯვისათვის დადგენილია ერთმანეთისაგან განსხვავებული კონსტიტუციური პროცედურები. პირველი, მე-2 და მე-9 თავების დებულებების ცვლილება უნდა განხორციელდეს კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვის რეჟიმში, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მერვე თავების დებულებათა გადასინჯვისათვის საჭიროა შესწორე-

ბათა შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ხოლო კონსტიტუციის 65-ე მუხლის ახალი რედაქცია უნდა ჩამოყალიბდეს კონსტიტუციური ცვლილებების სახით.

კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვა ნიშნავს ახალი კონსტიტუციის მიღებას, ამისათვის გათვალისწინებულია ქმედებათა შემდეგი თანმიმდევრობა:

ა) ზოგადი გადასინჯვის შესახებ წინადადება ცალკ-ცალკე განიხილება და მიიღება ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს კვალიფიციური უმრავლესობით — პალატების სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით;

ბ) პალატების მიერ ზოგადი გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოწვეული უნდა იქნეს საკონსტიტუციო კრება;

გ) საკონსტიტუციო კრება უფლებამოსილია, ან არ დაეთანხმოს პალატების გადაწყვეტილებას, ანუ დაადასტუროს კონსტიტუციის ურყეობა, ან დაეთანხმოს მას და შეიმუშაოს კონსტიტუციის ახალი პროექტი;

დ) საკონსტიტუციო კრება ან თავად იღებს ახალ კონსტიტუციას, ან გააქვს იგი საყოველთაო სახალხო კენჭისყრაზე.

რფ-ის კონსტიტუციის მე-3-8 თავების დებულებათა გადასინჯვისათვის საჭიროა შესწორებების შესახებ კანონის მიღება.

კონსტიტუციის შესწორებად მიჩნეულია აგრეთვე კონსტიტუციის ტექსტის აღნიშნულ ნაწილიდან ცალკეული დებულებების ამოღება, ახალი დებულებების შეტანა, ან ახალი რედაქციით ფორმულირება.

რფ-ის კონსტიტუციისა და „კონსტიტუციის შესწორებათა მიღებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" ფედერალური კანონის შესაბამისად, დადგენილია შემდეგი თანმიმდევრული პროცედურა:

ა) შესწორებათა შესახებ კანონის მიღება ფედერალური კრების წევრთა კვალიფიციური უმრავლესობით - ფედერაციის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით;

ბ) პალატების მიერ კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონის მოწონების შემდეგ საყოველთაო სახალხო გაცნობისათვის მისი გამოქვეყნება;

გ) კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონის ძალაში შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებიდან ერთი წლის ვადაში იგი მოწონებული იქნება რუსეთის ფედერაციის არანაკლებ ორი მესამედის სუბიექტების საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ;

დ) ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების მიერ მოწონების შემთხვევაში, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე გადასცემს კანონს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის;

ე) კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონის ძალაში შესვლის მომდევნო ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ოფიციალურად აქვეყნებს კონსტიტუციის ტექსტს მასში შეტანილი შესწორებებით.

და ბოლოს, ნაკლებად რთული წესია დადგენილი კონსტიტუციის 65-ე მუხლის გადასინჯვისათვის, მუხლისა, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობას (ფედერაციაში ახალი წევრის მიღებას, მისი შემადგენლობის წევრთაგან ახალი სუბიექტის შექმნას) და ფედერაციის სუბიექტების სახელწოდებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუცია შეიძლება დეფინირებული იყოს როგორც „ხისტი", ძნელად შესაცვლელი კონსტიტუცია. ამას რუსეთში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმაც მოწმობს - კონსტიტუციაში არც ერთი კონსტიტუციური შესწორება არ არის შეტანილი, მისი არსებობის თითქმის 12 წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ის ცვლილებები შევიდა, რომელიც ხანტი-მანსიის ავტონომიური ოკრუგის - იუგრას, ჩუვაშეთის რესპუბლიკის - ჩუვაშეთი, ყალმუხეთის რესპუბლიკის, ინგუშეთის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის ოფიციალურ სახელწოდებებს შეეხო.

4. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

განსაკუთრებული ზრუნვა, რომელიც რფ-ის კონსტიტუციის შემქმნელებმა ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართ გამოიჩინეს, კონსტიტუციის დასაწყისშივე ვლინდება. ძირითადი კანონის მე-2 მუხლში ვკითხულობთ: „ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები უზენაესი ღირებულებაა". ნიშანდობლივია აგრეთვე კონსტიტუციური დებულება, რომლის თანახმად, დაუშვებელია კონსტიტუციის ამ ნაწილის ნაწილობრივი გადასინჯვა, ამისათვის ახალი კონსტიტუციის მიღებაა საჭირო.

რფ-ის მოქალაქეობა, ანუ პირის სამართლებრივი კავშირი რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელიც გამოიხატება ურთიერთმიმართ უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობაში, შეიძლება შეძენილი იყოს დაბადებით, რფ-ის მოქალაქეობის ცნობის გზით, რეგისტრაციით, ნატურალიზაციით, მოქალაქეობის არჩევით (ოპტაციით), რფ-ის მოქალაქეობის აღდგენით რეგისტრაციის მეშვეობით. პირს რფ-ის მოქალაქეობა შეუწყდება, თუ იგი ნებაყოფლობით გავა რფ-ის მოქალაქეობიდან, თუ გაუქმებული იქნება გადაწყვეტილება, პირისათვის რფ-ის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ოპტაციის შემთხვევაში.

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის დახასიათება, გარდა მოქალაქეობის დადგენისა და უფლება-თავისუფლების განსაზღვრისა, მოითხოვს იმ პრინციპების კვლევას, რომელთა საფუძველზე ხდება ამ უფლება-თავისუფლებების რეალიზება. კონსტიტუციაში მოყვანილია შემდეგი ამგვარი პრინციპი:

თანასწორუფლებიანობის პრინციპი (კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე თანასწორობა, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა თანასწორობა, შესაძლებლობათა თანასწორობა, მამაკაცისა და ქალის თანასწორობა), გარანტირებულობის პრინციპი (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული გარანტიების არსებობა), ძირითადი უფლებების შეზღუდვის დაუშვებლობა და ბოლოს პრინციპი, რომლის თანახმად, ყოველი პირი ფლობს უფლებებს და იმავდროულად, მას გარკვეული მოვალეობები ეკისრება.

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ბირთვს შეადგენენ **ძირითადი უფლებები და თავისუფლებები,** რომლებიც რფ-ის კონსტიტუციაში (მუხლი 17) განსაზღვრულია როგორც განუსხვისებელი უფლებები, რომლებიც ყოველ ადამიანს დაბადებიდან აქვს.

ძირითადი უფლებების დაჯგუფება სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნით სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით შეიძლება. ჩვენ უფლებებისა და თავისუფლებების ყველაზე გავრცელებულ დაყოფას მივმართავთ: პირად (სამო-

ქალაქო), პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებად და თავისუფლებებად.

პირადი უფლებები და თავისუფლებები საჭიროა ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების დაცვისათვის, ისინი განაპირობებენ ადამიანის მიერ პირადი ცხოვრების სფეროში თავისი ქცევის დაუბრკოლებლად არჩევის შესაძლებლობებს. რფ-ის კონსტიტუციის მიხედვით ეს არის სიცოცხლის უფლება; სახელმწიფოს მიერ ადამიანის ღირსების დაცვის უფლება; თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლება; მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო და სხვა სახის გზავნილების საიდუმლოების უფლება; ბინის ხელშეუვალობა; გადაადგილების თავისუფლება; ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის, წარმოებისა და გავრცელების თავისუფლება ნებისმიერი კანონიერი საშუალებით; ეროვნული კუთვნილებს განსაზღვრისა და მითითების უფლება.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები უშუალოდ სახელმწიფოში ხელისუფლების ორგანიზაციასა და განხორციელებას უკავშირდებიან, მათი მფლობელი (სუბიექტი) არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ გაერთიანების უფლება (კავშირების თავისუფლება); სახელმწიფო საქმეთა მართვაში, როგორც უშუალოდ, ასევე თავის წარმომადგენელთა მეშვეობით, მონაწილეობის უფლება; აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებები; სახელმწიფო სამსახურში შესვლის თანაბარი უფლება; მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის უფლება; მშვიდობიანად, იარაღის გარეშე შეკრების, კრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების, მსვლელობებისა და პიკეტების მოწყობის უფლებები.

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების არსებობა დაკავშირებულია საცხოვრებლის, კვების, სამუშაოს, დასვენების, ზნეობრივი და კულტურული განვითარების, ადამიანისათვის მნიშვნელოვანი გონიერული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. რუსეთში ამ ჯგუფს, ჩვეულებრივ, მიაკუთვნებენ კერძო საკუთრების უფლებას; მეწარმეობის თავისუფლებას; შრომის თავისუფლებასა და სათანადო პირობებში შრომის; დასვენების უფლებას; ოჯახის დაცვას; სოციალური უზრუნველყოფის; ბინის; განათლების; ლიტერატურული, სამხატვრო, სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა სახის შემოქმედების თავისუფლებას; კულტურის დაწესებულებით სარგებლობის უფლებას; ხელსაყრელი გარემოს უფლებასა და ზოგიერთ სხვას.

მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფო დაცვის გარანტიების, სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და თანამდებობის პირების მიერ მათი პატივისცემისა და შესრულების უზრუნველსაყოფად რუსეთის ფედერაციაში დაწესებულია ადამიანის უფლებათა რწმუნებულის თანამდებობა. თანახმად 1997 წლის 20 თებერვლის „რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა რწმუნებულის შესახებ" ფედერალური კონსტიტუციური კანონისა, ეს თანამდებობა შეიძლება დაიკავოს 35 წელს მიღწეულმა რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ, რომელსაც აქვს გარკვეული ცოდნა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დარგში და ამასთან მათი დაცვის გამოცდილება. ადამიანის უფლებათა რწმუნებულს ხუთი წლის ვადით ნიშნავს სახელმწიფო სათათბირო. რწმუნებულის კან-

დიდატურის დასახელებისა და სახელმწიფო სათათბიროში წარდგენის უფლება აქვს რფ-ის პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებსა და დეპუტატთა გაერთიანებებს სახელმწიფო სათათბიროში.

ადამიანის უფლებათა რწმუნებული განიხილავს მოსახლეობის საჩივრებს, მათი უფლებებისა თუ თავისუფლებების უხეში ან მასობრივი დარღვევის ფაქტებს.

5. ფედერაციული მოწყობა

თავისი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რუსეთი ტრადიციულად არსებობდა, როგორც რთული სახელმწიფო და ფედერაციული მოწყობა დღესაც არის ამ ქვეყნის კონსტიტუციური წესწყობილების ერთ-ერთი საფუძველი. ეს ასახულია რუსეთის კონსტიტუციის პირველსავე მუხლში, სადაც წერია: „რუსეთის ფედერაცია – რუსეთი არის დემოკრატიული ფედერაციული სამართლებრივი სახელმწიფო რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ფორმით". დღევანდელი სახით რუსეთის ფედერაციის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი არის 1992 წლის 31 მარტის ფედერაციული ხელშეკრულება, რფ-ის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუცია, ხელშეკრულებები რფ-ის სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებსა და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ფედერალური კანონები, ფედერაციის სუბიექტების კანონმდებლობა.

დაფუძნებული, როგორც სახელშეკრულებო ფედერაცია, რუსეთი თანდათან იცვლის თავისი ტერიტორიული ორგანიზაციის ბუნებას, ფედერაციის სტატუსის წყაროთა შორის უპირატესობას აშკარად ფედერალური კონსტიტუცია იძენს. ამას ხელი შეუწყო ფედერაციული ხელშეკრულების ძირითადი დებულებების კონსტიტუციაში ინკორპორირებამ, აგრეთვე რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილებამ, რომლებშიც ბათილად იქნა ცნობილი ფედერაციული ხელშეკრულებისა და რესპუბლიკათა კანონმდებლობის რიგი დებულება.

1992 წლის 31 მარტის ფედერაციული ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციისა და მისი ყველა, გარდა თათარსტანისა[1] და ჩეჩნეთ-ინგუშეთისა, სუბიექტის წარმომადგენლებმა, სამი დამოუკიდებელი ხელშეკრულებისა და თანდართული ორი ოქმისაგან შედგება.

ზემოთქმულზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციას წარმოშობის დროს უფრო მეტად სახელშეკრულებო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე კონსტიტუციური, თუმცა დღეს იგი უნდა განისაზღვროს, როგორც კონსტიტუციურ-სახელშეკრულებო ფედერაცია.

2005 წლის 1 ივნისისათვის რუსეთის ფედერაციაში იყო სხვადასხვა სახის 89 სუბიექტი, მათ შორის:

ა) სახელმწიფოები - 21 რესპუბლიკა;

ბ) სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული წარმონაქმნები – 6 მხარე, 49 ოლქი, ფედერალური მნიშვნელობის 2 ქალაქი;

---

1. რუსეთის ფედერაციისა და რესპუბლიკა თათარსტანის წარმომადგენლებს 1994 წლის 15 თებერვალს დადეს ცალკე ხელშეკრულება „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რესპუბლიკა თათარსტანის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის საგანთა გამიჯვნისა და უფლებამოსილებათა ურთიერთდელეგირების შესახებ".

გ) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები — ერთი ავტონომიური ოლქი და 10 ავტონომიური ოკრუგი.

6. სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოები

რუსეთის სახელმწიფო წყობილების ფედერალური ფორმის შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოთა არსებითად ერთიანი სისტემა შედგება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ამ ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან. რფ-ის კონსტიტუცია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს ასახელებს და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ფედერაციის სუბიექტების ორგანოთა სახეებისა და სისტემის დადგენა ამ სუბიექტთა კომპეტენციას მიეკუთვნება. ამასთან, რფ-ის კონსტიტუცია ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე განხორციელების ძირითად პრინციპს, როდესაც მე-10 მუხლში წერია: „სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება რუსეთის ფედერაციაში ხდება მისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებად დანაწილების საფუძველზე". გარდა ამისა, დეკლარირებულია ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილების ძირითადი პრინციპი — რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ამ ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის საგანთა გამგებლობა და უფლებამოსილებათა გამიჯვნა.

სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს უწინარესად მიეკუთვნება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრება, რუსეთის ფედერაციის მთავრობა, სასამართლოები.

სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში **რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის** ადგილი და როლი, უწინარესად იმით არის განპირობებული, რომ იგი გამოცხადებულია სახელმწიფო მეთაურად, კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითადი უფლებების გარანტად.

არკვევენ რა რფ-ის პრეზიდენტის სამართლებრივ სტატუსს, რუსი კონსტიტუციონალისტები ყურადღებას რამდენიმე მახასიათებელზე ამახვილებენ:

ა) „პრეზიდენტის უფლებამოსილებათა წრე უპრეცედენტოდ დიდია"[2];

ბ) „პრეზიდენტი იურიდიულად დისტანცირებულია ხელისუფლების სხვა განშტოებიდან, იგი სამართალშემოქმედებს, მართავს, წყვეტს დავებს, ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს. ამრიგად, პრეზიდენტს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში უკავია დამოუკიდებელი და მთავარი მდგომარეობა"[3];

გ) „მოქმედი კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, რომ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს ჰყავთ თავისი კოორდინატორი — საპრეზიდენტო ხელისუფლება, რომელიც აერთიანებს ყველა ამ ხელისუფლების საქმიანობას. ეს არ არის ხელისუფლების დანაწილება, ეს სხვა რამ არის, ეს საბჭოებს უფრო ჰგავს, ვიდრე ხელისუფლების დანაწილებას"[4];

დ) „შეკავებისა და გაწონასწორების" კონსტიტუციური მექანიზმები უსათუოდ მოითხოვენ კორექტირებას".

ე) რფ-ის პრეზიდენტი სახელმწიფო მეთაურის ისეთი უფლება-

---

2 *Большой юридический энциклопедический словарь. М., 2004, с. 485*
3 *Комментарий к Конституции Российской Федерации. М., 2002, с. 594*
4 *Конституции государств - участников С.Н.Г. М., 1999, с. 432*

მოსილებებით აღჭურვა, რომლებიც აშკარად მეტია ვიდრე საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლებათა კომპეტენცია, სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით, ობიექტური სინამდვილით, გარდამავალი პერიოდის სტრატეგიული ამოცანებით.

რფ-ის პრეზიდენტის არჩევნების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და 1999 წლის 31 დეკემბრის ფედერალური კანონით „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ". პრეზიდენტის თანამდებობის კანდიდატებისათვის კონსტიტუცია ადგენს საყოველთაოდ მიღებულ საცენზო მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთი ორიგინალური მომენტი აქაც არის. რუსეთის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს რუსეთის ფედერაციის არანაკლებ 35 წლის ასაკის მოქალაქე (მიაქციეთ ყურადღება — კონსტიტუცია არ მოითხოვს, რომ პრეზიდენტი დაბადებით რუსეთის მოქალაქე იყოს), რომელიც სულ ცოტა, 10 წელი მაინც მუდმივად ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში. მუდმივად 10 წლის განმავლობაში ცხოვრება ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ამ ვადაზე ნაკლები არ უნდა ცხოვრობდეს რუსეთის ფედერაციაში და ეს ვადა უწყვეტი უნდა იყოს.

რფ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 4 წელია, ერთი და იგივე პირს არ შეუძლია, ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ ამომრჩევლებს (არანაკლებ 100 ამომრჩევლისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი), საარჩევნო გაერთიანებებს, საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, შეაგროვონ მათ მიერ დასახელებული კანდიდატის მხარდასაჭერად არანაკლებ ერთი მილიონი ამომრჩევლის ხელმოწერა, ამასთან საარჩევნო კომისია არ მიიღებს სიას, რომელშიც ხელმოწერათა რაოდენობა 15%-ზე მეტით აღემატება დადგენილ ერთ მილიონს.

არჩევნები ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრირებულია პრეზიდენტის თანამდებობის ორი კანდიდატი მაინც. პირველ ტურში არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე ნაკლები. კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელმაც მიიღო კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება ხელმეორე კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ორი კანდიდატი.

პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებას შეუდგება ფიცის დადების მომენტიდან და წყვეტს მათ განხორციელებას ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან.

პრეზიდენტის ადგილსამყოფელი, მისი ოფიციალური რეზიდენცია არის ქალაქი მოსკოვი, კრემლი, ხოლო პრეზიდენტის ხელისუფლების სიმბოლოებია პრეზიდენტის შტანდარტი (დროშა) და პრეზიდენტის ნიშანი.

რფ-ის კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში პრეზიდენტს ამ სისტემის მეთაურის, ანუ სახელმწიფო მეთაურის როლს ანიჭებს, ამდენად, სულაც არ არის მოულოდნელი, რომ მას აქვს ძალიან ფართო და

მნიშვნელოვანი კომპეტენცია სახელმწიფოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების არსებითად ყველა სფეროსა და დონეზე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია პრეზიდენტის უფლებამოსილებები აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის სფეროში. სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით, პრეზიდენტი ნიშნავს რფ-ის მთავრობის თავმჯდომარეს. ამ თანხმობის მიღება პრეზიდენტს არ უნდა გაუჭირდეს არც მაშინ, როდესაც სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს განაღდებული და არც იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ოპოზიცია ფლობს უმრავლესობას, ვინაიდან მისი წარდგენილი კანდიდატურის სამჯერ უარყოფის შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს მთავრობის თავმჯდომრე, დაითხოვოს სახელმწიფო სათათბირო და დანიშნოს მისი ახალი არჩევნები.

რფ-ის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის გადაყენების შესახებ მთავრობის მიერ გადადგომის შესახებ გაკეთებული განცხადების, სახელმწიფო სათათბიროს მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, როდესაც მთავრობა ითხოვს სახელმწიფო სათათბიროს ნდობას და ეს უკანასკნელი უარს ამბობს ნდობის გამოცხადებაზე. ყველა ამ შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო სათათბირომ, ზედიზედ ორჯერ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას — აქ პრეზიდენტი ან დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს, ან გადააყენებს მთავრობას), არ დაეთანხმოს მთავრობის გადაყენებას, ანდა დაავალოს მას მოვალეობათა შესრულება ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

თუ ზემოთქმულს დავუმატებთ რფ-ის პრეზიდენტის უფლებას საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი კონსულტაციებისა თუ შეთანხმებების გარეშე გადააყენოს მთავრობის თავმჯდომარე და მასთან ერთად მთლიანად მთავრობა, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის ფორმირებაში გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, არის რფ-ის პრეზიდენტის მონაწილეობა.

პრეზიდენტი ერთპიროვნულად ნიშნავს უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობას, თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს ფედერალურ ოკრუგებში, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ფედერალურ ორგანოებში, აგრეთვე ერთპიროვნულად ქმნის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ფედერალური კრების შესაბამის კომიტეტებთან და კომისიებთან კონსულტაციის შემდეგ ნიშნავს რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოურ სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მას აქვს რფ-ის მთავრობის და მთავრობის პრეზიდიუმის სხდომების თავმჯდომარეობის უფლება.

ყოველივე ზემოთქმული საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ რფ-ის პრეზიდენტი განისაზღვროს როგორც ფედერალური აღამსრულებელი ხელისუფლების ფაქტიური ხელმძღვანელი.

ფედერალურ ორგანოთა ფორმირებაში რფ-ის პრეზიდენტის კომპეტენცია არ იქნებოდა სრული, თუკი არ აღვნიშნავდით, რომ პრეზიდენტი ფედერაციის საბჭოს დასანიშნად წარუდგენს რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს, რფ-ის უზენაესი სასამართლოს, რფ-ის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს, რფ-ის გენერალური პროკურორისა და რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის კანდიდატურებს, ერთპიროვნულად ნიშნავს ფედერალურ სასამართლოთა სხვა მოსამართლეებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე რფ-ის პრეზიდენტის კონსტიტუციური კომპეტენცია საკანონმდებლო სფეროში. კონსტიტუცია ადგენს, რომ პრეზიდენტი „...უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და მათ შორის ურთიერთმოქმედებას". ამ ფუნქციის განხორციელებისათვის მას შეუძლია, მიიღოს შესაბამისი ზომები, სახელდობრ, დაითხოვოს სახელმწიფო სათათბირო. კონსტიტუცია ადგენს სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ საფუძველს:

1. თუ სახელმწიფო სათათბირომ სამჯერ უარყო პრეზიდენტის მიერ წარდგენილი მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა;

2. თუ სამი თვის განმავლობაში სახელმწიფო სათათბირომ, ხელმეორედ (ორჯერ განმეორებით) უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას;

3. თუ სახელმწიფო სათათბირომ უარი უთხრა მთავრობას, ამ უკანასკნელის მიერ ნდობის გამოცხადების შესახებ დაყენებულ თხოვნაზე.

მე-2 და მე-3 შემთხვევებში პრეზიდენტს შეუძლია, ან სახელმწიფო სათათბირო დაითხოვოს, ან მთავრობა გადააყენოს ან, ჩვენი აზრით, ერთიც დაითხოვოს და მეორეც გადააყენოს.

რფ-ის პრეზიდენტი საკანონმდებლო პროცესის აქტიური მონაწილეა. მას აქვს ყველა სახის (კონსტიტუციური, ფედერალური, მიმდინარე) კანონპროექტის სახელმწიფო სათათბიროში შეტანის უფლება.

პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთა ხელმოწერა და გამოქვეყნება სახელმწიფო მეთაურის ტრადიციული ფუნქციაა. პარლამენტიდან მიღებულ კანონს რფ-ის პრეზიდენტმა 14 დღის განმავლობაში უნდა მოაწეროს ხელი და გამოაქვეყნოს. პრეზიდენტს უფლება აქვს, არ მოაწეროს ხელი კანონს და დაუბრუნოს ფედერალურ კრებას განმეორებით მიღებისათვის, ანუ პრეზიდენტის ვეტო მხოლოდ შეყოვნებითია. თუ ფედერაციის საბჭოს წევრთა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა კვლავ კანონის პირვანდელი რედაქცია მოიწონა, იგი ექვემდებარება რფ-ის პრეზიდენტის მიერ პრომულგირებას.

ტრადიციის შესაბამისად, რფ-ის პრეზიდენტი, სახელმწიფო მეთაური არის რფ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ამ რანგში ქმნის და ხელმძღვანელობს რფ-ის უშიშროების საბჭოს, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების უმაღლეს ხელმძღვანელობას, ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებსა და ხელს აწერს ხელშეკრულებებს, რომელიც ქვეყნის თავდაცვას, კოლექტიურ უსაფრთხოებასა და განვითარებას ეხება.

აგრესიის, აგრესიის რეალური საფრთხის, რუსეთის წინააღმდეგ წარმოქმნილი შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევებში რფ-ის პრეზიდენტი აცხადებს სრულ ან ნაწილობრივ მობილიზაციას, მთლიანად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში ბრძანებულებით შეაქს საომარი მდგომარეობა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს ფედერალური კრების პალატებს.

ისევე როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში რფ-ის პრეზიდენტს შეუძლია, შეაჩეროს რფ-ის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა, დაადგინოს გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, შემოიღოს ცალკეული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობების

შეზღუდვები, აკრძალოს შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების, მსვლელობებისა და პიკეტების ჩატარება, განახორციელოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის შეზღუდვა, შემოიღოს საკომენდანტო საათის რეჟიმი.

გარდა ზემოხსენებულისა, რფ-ის პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება, იგი წყვეტს რფ-ის მოქალაქეობის საკითხებს, განსაზღვრავს რფ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, დებს რფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ხელს აწერს სარატიფიკაციო სიგელებს, მასთან არიან აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლები.

ამასთან, რფ-ის კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესაძლებლობას, რასაც შეიძლება მოყვეს პრეზიდენტის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენება. ამ პროცედურას, ჩვეულებრივ იმპიჩმენტს უწოდებენ, თუმცა რფ-ის კონსტიტუცია ამ ტერმინს არ გამოიყენებს. თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი შეიძლება იყოს რფ-ის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენა.

ხსენებული პროცედურა ითვალისწინებს რამდენიმე ძირითად ეტაპს.

1) წინადადების დაყენება პრეზიდენტისადმი მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენების შესახებ. ამ წინადადების ინიციატორი შეიძლება იყოს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფი, რომელშიც იქნება პალატის დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი;

2) წინადადება გადაეცემა სახელმწიფო სათათბიროს სპეციალურ კომისიას, რომელმაც უნდა მოამზადოს დასკვნა ბრალდების დასაბუთებულობისა და პროცედურული წესების დაცვის შესახებ;

3) დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით სახელმწიფო სათათბირო იღებს დადგენილებას, პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების წინადადების განხილვის პროცედურის შესახებ;

4) დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით სახელმწიფო სათათბირო იღებს დადგენილებას რფ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენების შესახებ;

5) სახელმწიფო სათათბიროში მიღებული დადგენილება 5 დღის ვადაში გადაეცემა ფედერაციის საბჭოს, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს.

6) დადგენილება ყველა თანდართულ დოკუმენტთან ერთად გადაეცემა ფედერაციის საბჭოს კონსტიტუციური კანონმდებლობისა და სასამართლო-სამართლებრივ საკითხთა კომიტეტს;

7) მოიწვევა ფედერაციის საბჭო, რომელიც წყვეტს რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოებისადმი შეკითხვით მიმართვის საკითხს;

8) რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს დასკვნას ბრალდების წაყენების წესის დაცვის ან დარღვევის შესახებ;

9) თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაასკვნის, რომ ბრალდების წაყენების წესი არ იყო დარღვეული, მოიწვევა ფედერაციის საბჭოს სხდომა;

10) დადგენილება რფ-ის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შე-

სახებ მიღებული უნდა იყოს ფარული კენჭისყრით, შესაბამისი ფორმის ბიულეტენების შევსებით;

11) რფ-ის პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულია, თუ დადგენილებას მხარი დაუჭირა ფედერაციის სრული შემადგენლობის წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

სახალხო სუვერენიტეტი დემოკრატიული საზოგადოების კონსტიტუციური წესწყობილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ხალხის ძალაუფლების საუკეთესო, ქმედითი რეალიზაციის ფორმა კი კაცობრიობის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე არის პარლამენტური დემოკრატია, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობა მის მიერ არჩეული დაწესებულების მეშვეობით. რუსეთის ფედერაციაში ამგვარ დაწესებულებას **რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრება - პარლამენტი** - ეწოდება. ამ ორგანოს არსი და იურიდიული ბუნება რფ-ის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუციის 94-ე მუხლში განისაზღვრება, რომლის მიხედვით რფ-ის ფედერალური კრება:

ა) რფ-ის პარლამენტია, ანუ არის რუსეთის ხალხის ნების გამომხატველი, ხალხისა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროა;

ბ) წარმომადგენლობითი ორგანოა, ანუ ლეგიტიმური, კონსტიტუციური გზით არჩეული ხალხის კოლექტიური წარმომადგენელია;

გ) საკანონმდებლო ორგანოა, ანუ არის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტების — კანონების მიმღები ორგანო.

ფედერალური კრების სტრუქტურა და მისი პალატების შემადგენლობა უწინარესად რუსეთის ფედერალური ფორმით არის განპირობებული, თუმცა მხედველობაში მიღებულია პარლამენტის ბიკამერალური მოწყობის სხვა ღირსებებიც — უფრო მაღალი ხარისხის წარმომადგენლობითი ბუნება, საკანონმდებლო პროცესის ოპტიმიზაცია და სხვ.

რფ-ის ფედერალური კრება ორი პალატისაგან შედგება, ესენია ფედერაციის საბჭო, რომელსაც ლიტერატურაში ზედა პალატად მიიჩნევენ და სახელმწიფო სათათბირო, ანუ ქვედა პალატა. პალატები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმირების წესით, ასევე კომპეტენციის მოცულობითა და ხარისხით; არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „...ფედერაციის საბჭოსათვის განკუთვნილია თავისებური მუხრუჭის როლი, იგი მოწოდებულია, თავიდან ააცილოს საზოგადოებას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში გამარჯვებული რომელიმე პოლიტიკური ძალის „უმრავლესობის ტირანია"[5].

რუს კონსტიტუციონალისთა შორის ზოგიერთი თვლის, რომ სახელმწიფო სათათბიროსთან შედარებით ზედა პალატა, ფედერაციის საბჭო უფრო სუსტია[6], რადგანაც მას მხოლოდ კანონის მოწონება-არ მოწონება შეუძლია, მაშინ როდესაც ქვედა პალატა იღებს კანონებს[7].

სახელმწიფო სათათბირო ოთხი წლის ვადით არჩეული, 21 წლის ასაკს მიღწეული, რფ-ის მოქალაქე, 450 დეპუტატისაგან შედგება. კანონის შესაბამისად, სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ნახევარი, ანუ 225 დეპუტატი, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით აირჩევა, ხოლო

5.Колтова Е. И., Кутафин О. Е. Конституционное право России. М., 2003, с. 419
6. Коментарий к Конституции Российской Федерации. с. 650
7. Конституционное право зарубежных стран. М., 2001, с. 668

მეორე ნახევარი პროპორციული სისტემის საფუძველზე აირჩევა ფედერალურ საარჩევნო ოლქში, რომელიც რუსეთის მთელ ტერიტორიას მოიცავს. საარჩევნო სისტემის მიხედვით, მანდატების განაწილებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის საარჩევნო გაერთიანებები თუ საარჩევნო ბლოკები, რომლებმაც მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 5%.

თავისი შემადგენლობიდან დეპუტატები ირჩევენ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს (ბორის ვიაჩესლავის ძე გრიზლოვი)[8], მის პირველ მოადგილესა და 9 მოადგილეს. პალატის საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების წინასწარი განხილვისა და მომზადებისათვის იქმნება სახელმწიფო სათათბიროს საბჭო. გადამწყვეტი ხმის უფლებით საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე და დეპუტატთა გაერთიანებების ხელმძღვანელები, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით მის საქმიანობაში მონაწილეობენ თავმჯდომარის მოადგილეები.

სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების გზით შესული საარჩევნო გაერთიანებების (ბლოკების), აგრეთვე მოხალისე მაჟორიტარ დეპუტატთა საფუძველზე იქმნება დეპუტატთა ფრაქციები, ხოლო იმ დეპუტატებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი არც ერთ ფრაქციაში, შეუძლიათ შექმნან სადეპუტატო ჯგუფები, რომელთა წევრთა რაოდენობა ოფიციალური რეგისტრაციისათვის არ უნდა იყოს 35-ზე ნაკლები. ამჟამად სახელმწიფო სათათბიროში შექმნილია შემდეგი ფრაქციები:

1. ფრაქცია ერთიანი რუსეთი – „Единая Россия", მასში გაერთიანებულია 304 დეპუტატი, ანუ სათათბიროს წევრთა სრული შემადგენლობის 67,56%;
2. რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ფრაქცია - 47 დეპუტატი (10,44%);
3. რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია - 35 დეპუტატი (7,78%);
4. ფრაქცია სამშობლო – „Родина" – 40 დეპუტატი (8,89%).

სახელმწიფო სათათბიროს დამხმარე ორგანოებია მისი კომიტეტები და კომისიები, რომლებიც ამზადებენ კანონპროექტებს, განიხილავენ შემოსულ კანონპროექტებს, ორგანიზებას უკეთებენ საპარლამენტო მოსმენებს, წყვეტენ სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხს. რეგლამენტის თანახმად, სახელმწიფოს სათათბიროში შექმნილია 29 კომიტეტი და 7 კომისია.

სახელმწიფო სათათბიროს ყოველი დეპუტატი (პალატის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, ფრაქციათა ხელმძღვანელების გამოკლებით) ვალდებულია, იყოს რომელიმე კომიტეტის წევრი.

მეტად საინტერესოდ არის რეგლამენტირებული სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ორგანიზაციული ფორმები.

როგორც წესი, სახელმწიფო სათათბირო წელიწადში ორ სესიას ატარებს: საგაზაფხულოს 12 იანვრიდან 20 ივნისის ჩათვლით და საშემოდგომოს - 1 სექტემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით; სესიის დროს ტარდება პალატის სხდომები (ოთხშაბათობითა და ხუთშაბათობით), სახელმწიფო სათათბიროს საბჭოს სხდომები (რეგულარულად), კომიტეტებისა და კომისიების სხდომები (ორშაბათობითა და პარასკევობით), საპარლამენტო მოს-

---

8. ყველა მონაცემი მოყვანილია 2005 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

მენები (პარასკევობით), სამშაბათობით დეპუტატები მუშაობენ კომიტეტებში, ფრაქციებსა და ჯგუფებში, ყოველი თვის ბოლო კვირა განკუთვნილია დეპუტატების ამომრჩევლებთან მუშაობისათვის, ყოველ ოთხშაბათს გათვალისწინებულია ე. წ. „სამთავრობო საათი", როდესაც მთავრობის წევრები (არა უმეტეს ორისა) პასუხობენ დეპუტატთა კითხვებს.

ვინაიდან რფ-ის სუბიექტები, მიუხედავად მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის ზომისა, მოსახლეობის რაოდენობისა და ა. შ. თანასწორნი არიან, ფედერაციის საბჭოში ყოველი მათგანი ორ-ორი წევრით არის წარმოდგენილი — თითო-თითოთი შესაბამისად ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გამწესებით. ამგვარად, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში 89 სუბიექტია, გამოდის რომ ფედერაციის საბჭოში სულ 178 წევრია.

სენატორების (ზოგჯერ ასეც უწოდებენ ფედერაციის საბჭოს წევრებს) გამწესების წესი მრავალჯერ შეიცვალა და დღეისათვის მოქმედებს 2000 წლის 5 აგვისტოს ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს ფორმირების წესის შესახებ". ამ კანონის მიხედვით, ფედერაციის საბჭოს წევრთათვის დადგენილია სამი საცენზო მოთხოვნა: ასაკობრივი (არანაკლებ 30 წლის ასაკი), საარჩევნო უფლებაუნარიანობა (ჰქონდეს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებები) და მოქალაქეობა (იყოს რფ-ის მოქალაქე).

ფედერაციის სუბიექტის ერთი წარმომადგენელი ფედერაციის საბჭოში აირჩევა ფედერაციის სუბიექტის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოს მიერ, ამ ორგანოს უფლებამოსილებათა ვადით. ფედერაციის სუბიექტის მეორე წარმომადგენელს ნიშნავს სუბიექტის უმაღლესი თანამდებობის პირი ამ თანამდებობის პირის უფლებამოსილებათა ვადით[9]. თანამდებობის პირის გადაწყვეტილება ძალაში შევა, თუ ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოში მისი განხილვის დროს სრული შემადგენლობის ორმა მესამედმა არ უარყო მის მიერ შერჩეული (დანიშნული) კანდიდატურა.

ფედერაციის საბჭოს სტრუქტურა უმნიშვნელოდ განსხვავდება სახელმწიფო სათათბიროს სტრუქტურისაგან. **ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე** (სერგეი მირონოვი) და მისი მოადგილეები პალატის წევრთაგან ფარული კენჭისყრით აირჩევიან და, როგორც წესი, მათი ვინაობა პალატის შემადგენლობაში ინტერესთა არსებული პოლიტიკური კონფიგურაციის შესატყვისია, თუმცა პრეტენდენტთა არც პიროვნული თვისებები უნდა იყოს გამორიცხული.

ფედერაციის საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო არის პალატის საბჭო, რომელიც ამტკიცებს პალატის სხდომათა გრაფიკს, განიხილავს სხდომათა დღის წესრიგს, იღებს გადაწყვეტილებებს საპარლამენტო მოსმენის ჩატარების შესახებ, განიხილავს ან/და წყვეტს ფედერაციის საბჭოს მუშაობის სხვა საკითხებს. პალატის საბჭოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შედიან ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები. საბჭოს სხდომები ჩვეულებრივ სამშაბათობით ტარდება.

ფედერაციის საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანოებია მისი კომიტეტები, რომ-

---

9. გამოდის, რომ ფედერაციის საბჭოს უფლებამოსილების ვადა არ არის დადგენილი, არსებობს მხოლოდ სენატორების ერთიანეთისაგან განსხვავებული ვადები.

ლებიც განიხილავენ და ამზადებენ კანონპროექტებს პალატის პლენარულ სხდომაზე განსახილველად, ამზადებენ დასკვნებს პალატის კომპეტენციაში შემავალი უფლებამოსილებების შესაბამისად. 2005 წლის 1 ივნისისათვის ფედერაციის საბჭოში მოქმედებდა შემდეგი 12 კომიტეტი.

სახელმწიფო სათათბიროსაგან განსხვავებით, ფედერაციის საბჭოში არ არსებობს არც ერთი პარტიული ფრაქცია თუ დეპუტატთა ჯგუფი, რაც მისი, როგორც ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლობითი ორგანოს ბუნებიდან გამომდინარეობს.

ფედერაციის საბჭოს საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვს სახელმწიფო საქმიანობის სხვა სფეროებშიც. კონსტიტუციის თანახმად, მის გამგებლობას მიეკუთვნება: რფ-ის სუბიექტებს შორის საზღვრის გადასინჯვის დამტკიცება; რფ-ის პრეზიდენტის საომარი მდგომარეობის შემოღების შესახებ ბრძანებულების დამტკიცება; რფ-ის შეიარაღებული ძალების რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გამოყენების საკითხის გადაწყვეტა; რფ-ის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა და მისი თანამდებობიდან გადაყენება; რფ-ის საკონსტიტუციო, უზენაესი, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნა; რფ-ის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მოადგილისა და აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობებზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პარლამენტის არსებობის არსი ძირითადად კანონშემოქმედება, როგორც მისი სოციალური დანიშნულებისა და კომპეტენციის რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი ფორმაა. ამ მხრივ არც რუსეთის კონსტიტუციის დამფუძნებლებმა დატოვეს უყურადღებოდ **საკანონმდებლო პროცესის** საკითხები. კონსტიტუციის თანახმად, რფ-ის ფედერალური კრება იღებს ორი სახის კანონებს — ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებსა და ფედერალურ კანონებს, ამასთან ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

რაც შეეხება ფედერალური კანონების თემატიკას, კონკრეტულად კონსტიტუციაში იგი არ არის განსაზღვრული, იგულისხმება, რომ გამომდინარეობს რფ-ის ფედერალური კრების კომპეტენციიდან.

ჩვეულებრივ, იქ სადაც ორპალატიანი პარლამენტია, კანონშემოქმედებაში ორივე პალატა მონაწილეობს, მაგრამ მათი ამ პროცესში მონაწილეობის ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს, რუსეთის ფედერაციაში ეს იმით გამოიხატება, რომ ფედერალური კრების ქვედა პალატა — სახელმწიფო სათათბირო იღებს კანონებს, ხოლო ზედა პალატა - ფედერაციის საბჭო ან იწონებს, ან იწუნებს ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონებს.

კანონის მიღება ყოველთვის ქვედა პალატიდან იწყება. ვის აქვს სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტის შეტანის, ანუ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება? სუბიექტთა წრე ტრადიციულთან შედარებით საკმაოდ დიდია. ესენია: რფ-ის პრეზიდენტი, ფედერაციის საბჭო, ფედერაციის საბჭოს წევრები, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, რფ-ის მთავრობა, რფ-ის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოები, რფ-ის საკონსტიტუციო, უზენაესი და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოები.

სახელმწიფო სათათბიროს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტი, თუ იგი სასწრაფოდ მისაღებად არ იქნება გამოცხადებული, სამი მოსმენით უნდა იყოს მიღებული. პირველი მოსმენის დროს ინიციატორისა და პასუხისმგებელი კომიტეტის წარმომადგენლის თანამოხსენების შემდეგ განიხილება კანონპროექტის კონცეფცია, დგინდება მისი აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა და რფ-ის კონსტიტუციასთან შესაბამისობა. პირველი მოსმენით სათათბიროს შეუძლია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები: მიღებული იყოს კანონპროექტი პირველი მოსმენით და გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით გაგრძელდეს მასზე მუშაობა; არ იქნას მიღებული კანონპროექტი; დაადგინოს მეორე მოსმენისათვის პროექტის მომზადების ვადა; გაიტანოს პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი საყოველთაო სახალხო განხილვისათვის.

მეორე მოსმენა იწყება კანონპროექტზე პასუხისმგებელი კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენებით, რომელიც ამცნობს პალატას პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების კომიტეტში განხილვის შედეგებს. შემდეგ სიტყვით გამოსვლა შეუძლიათ სათათბიროში რფ-ის პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენელს, კანონპროექტის ინიციატორს ან მის წარმომადგენელს, სათათბიროში რფ-ის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს. კომიტეტის მიერ შეთავაზებული წინადადების განხილვის შემდეგ ტარდება კენჭისყრა. თუ კანონპროექტი მეორე მოსმენით უარყოფილი იქნა, იგი ჩასწორებებისათვის კვლავ დაუბრუნდება კანონპროექტზე პასუხისმგებელ კომიტეტს. თუ განმეორებითი კენჭისყრის დროსაც არ დაუჭერენ დეპუტატები კანონპროექტს მხარს, იგი ან მოიხსნება განხილვიდან, ან დაუბრუნდება პირველი მოსმენის პროცედურას. მეორე მოსმენით მიღებული კანონპროექტი გადაეცემა პასუხისმგებელ კომიტეტს, რომელმაც შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით უნდა განახორციელოს კანონპროექტის რედაქციული, ლინგვისტური დამუშავება.

მესამე მოსმენა — კანონის მთლიანად მიღებაა. ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა, ხოლო ფედერალური კანონი — თუ მას მხარი დაუჭირა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ ანუ 50%+1 დეპუტატი.

სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონი 5 დღის ვადაში გადაეცემა ფედერაციის საბჭოს[10]. თუ ფედერაციის საბჭო 14 დღის განმავლობაში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სახელმწიფო სათათბირო გადაუგზავნის კანონს რფ-ის პრეზიდენტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის. ფედერაციის საბჭოს შეუძლია, ან მიიღოს გადაწყვეტილება კანონის პლენარულ სხდომაზე განხილვის, ან განხილვის გარეშე კენჭისყრაზე გატანის შესახებ.

---

10 „ყველა ფედერალური კონსტიტუციური კანონი, აგრეთვე ფედერალური კანონები, რომელიც მიღებულია კონსტიტუციის 106-უ მუხლში ჩამოთვლილის საკითხებზე (ფედერალური ბიუჯეტი; ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები; ფინანსური, საკredიტო, საბარდიტო, სამანეო რეგულირება, ფულის ემისია; რფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და დენონსირება; რფ-ის სახელმწიფო საზღვრის სტატუსი და დაცვა; ომისა და ზავის) ექვემდებარება ფედერალური საბჭოს საკანონმდებლო განხილას. დანარჩენ საკითხებზე, სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონები ფედერაციის საბჭოს შეუძლია (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ეკუთვნოდეს დატოვოს (უარი თქვას მათ განხილვაზე).

დადგენილება, სახელმწიფო სათათბიროდან მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონის მოწონების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ფედერაციის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი, ხოლო ფედერალური კანონი - თუ მას მხარს დაუჭერს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ფედერაციის საბჭომ უარყო კანონი, იგი შენიშვნებითა და წინადადებებით გადაეგზავნება ქვედა პალატას. ამის შემდეგ, პასუხისმგებელი კომიტეტის რეკომენდაციით, სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია, ან შექმნას შემთანხმებელი კომისია, ან კვლავ მიიღოს კანონის პირვანდელი რედაქცია, ან საერთოდ მოხსნას კანონი განხილვიდან.

თუ ხელმეორე განხილვისას სახელმწიფო სათათბირო არ მიიღებს შემთანხმებელი კომისიის წინადადებებს და არ დაეთანხმება ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებას კანონის უარყოფის შესახებ, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. თუ მას მხარს დაუჭერს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა, ფედერალური კანონი მიღებულად ჩაითვლება და ხუთი დღის ვადაში გადაეგზავნება რფ-ის პრეზიდენტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის. ამგვარად, რფ-ის ფედერალურ კრებაში კანონშემოქმედების ძირითადი სუბიექტი სახელმწიფო სათათბიროა, რომელსაც შეუძლია, გადალახოს როგორც ფედერაციის საბჭოს, ასევე რფ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგობა.

რუსეთის ფედერაციის მართვა-გამგეობის ფორმის თავისებურებანი, რომელნიც პრეზიდენტის განსაკუთრებული, სახელმწიფო მეთაურის სტატუსით არის განპირობებული, უწინარესად აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში, უფრო კონკრეტულად კი მის ერთ-ერთ რგოლში — **რფ-ის მთავრობაში ვლინდება.**

კონსტიტუციის თანახმად, „აღმასრულებელ ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციაში ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა". ამ დებულების როგორი გავრცობილი განმარტებაც უნდა გამოვიყენოთ, მაინც გაგვიჭირდება იმის გაგება, თუ რატომ არის განსაზღვრული მთავრობა. როგორც „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო". რუსეთში აღმასრულებელი ხელისუფლების რეალური მეთაური არის პრეზიდენტი. ამ დასკვნის საფუძველს ქმნიან ის უმნიშვნელოვანესი და ფართო უფლებამოსილებები, რომელნიც პრეზიდენტს აქვს მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის,[11] მთავრობის ფორმირებისა და ფუნქციონირების დარგებში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და რეალიზაციაში.

იმ მიზნით, რომ რფ-ის პრეზიდენტისა და განსაკუთრებით, მთავრობის სტატუსი როგორმე შესატყვისობაში იქნას მოყვანილი რფ-ის ძირითადი კანონის მე-10 მუხლთან („რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე დანაწილების საფუძველზე"), ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში „რუსეთის ფედერაციის მთავრობის შესახებ" მოხდა მთავრო-

11. რფ-ის პრეზიდენტი 2004 წლის 20 მაისის ბრძანებულებაში „აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სტრუქტურის საკითხები" (იხ: http://www.government/ru/data/static) დაწერილით არის განსაზღვრული მთავრობაში შემავალი ყველა სამინისტროს სტრუქტურა ყველა სამსახურისა და საკანტორის დასახელებით. ცალკე დასახელებულია ის 10 ფედერალური სამსახური და ფედერალური საკანტორ. რომელთაც უშუალოდ ხელმძღვანელობს მთავრობა.

ბის სტატუსის „ხელოვნური“ გაკეთილშობილება.

მთავრობის შემადგენლობაში პერსონალურად შედიან მთავრობის თავმჯდომარე (ფრადკოვი მიხეილ ეფრემის ძე), თავმჯდომარის მოადგილეები და ფედერალური მინისტრები. მთავრობაში შემავალი 16 სამინისტროდან ოთხს — შინაგან საქმეთა, სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის საქმეთა, თავდაცვის, აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს საქმიანობას, უშუალოდ ხელმძღვანელობს რფ-ის პრეზიდენტი, ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების, კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების, მრეწველობისა და ენერგეტიკის, რეგიონული განვითარების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის, ფინანსთა, ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტროების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს რფ-ის მთავრობა.

რფ-ის მთავრობის თავმჯდომარეს, სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს რფ-ის პრეზიდენტი[12]. მთავრობის თავმჯდომარის გადადგომა ან თანამდებობიდან გადაყენება იწვევს მთლიანად მთავრობის შემადგენლობის გადადგომას. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებსა და ფედერალურ მინისტრებს, მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რფ-ის პრეზიდენტი.

მთავრობის კომპეტენცია მისი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი წამყვანი რგოლის ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთავრობა ორგანიზებას უწევს რფ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციას, არეგულირებს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციაში აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის ერთიანობას, წარმართავს და აკონტროლებს მისი ორგანოების საქმიანობას, აყალიბებს ფედერალურ მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას, ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას.

ეკონომიკის სფეროში რფ-ის მთავრობა უზრუნველყოფს ეკონომიკური სივრცის ერთიანობას, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, შეიმუშავებს და ახორციელებს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარების პროგრამებს, ფედერალური საკუთრების მართვას, შეიმუშავებს და წარმართავს სახელმწიფო პოლიტიკას საერთაშორისო ეკონომიკური, ფინანსური, საინვესტიციო თანამშრომლობის სფეროში, ახორციელებს საბანკო საქმის ზოგად ხელმძღვანელობას.

სოციალურ სფეროში რფ-ის მთავრობა:

უზრუნველყოფს ერთიანი სოციალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას; იღებს ზომებს მოქალაქეთა შრომითი უფლებების რეალიზაციისათვის; შეიმუშავებს უმუშევრობის შემცირებისა და ლიკვიდაციის პროგრამებს, უზრუნველყოფს ამ პროგრამების რეალიზებას; იღებს ზომებს მოქალაქეთა ჯანდაცვის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უფლებათა რეალიზაციისათვის; შეიმუშავებს და ახორციელებს ზომებს ფიზიკულ-

12 გარდა ამისა, პრეზიდენტი უშუალოდ ხელმძღვანელობს კოდეკ ოთხ ფედერალურ სამსახურსა (მაგ: საგარეო დაზვერვის სამსახური, უშიშროების ფედერალური სამსახური) და ორ სამმართველოს.

ტურის, სპორტისა და ტურიზმის, აგრეთვე სანიტარულ-საკურორტო სფეროების განვითარებისათვის.

მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში რფ-ს მთავრობა: შეიმუშავებს და ახორციელებს მეცნიერების სახელმწიფო მხარდაჭერის ზომებს; უზრუნველყოფს ფუნდამენტური მეცნიერებების სახელმწიფო მხარდაჭერას; უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას განათლების დარგში, ავითარებს უფასო განათლების სისტემას; უზრუნველყოფს კულტურის სახელმწიფო მხარდაჭერას.

მთავრობის უფლებამოსილებები კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების დარგებში რფ-ის პრეზიდენტის ამ სფეროებში აქტიური კონსტიტუციური პოზიციის გათვალისწინებით არის განსაზღვრული. მთავრობა: მონაწილეობს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში; ახორციელებს კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივად საშიშ მოვლენებთან ბრძოლის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ ზომებს; შეიმუშავებს და ახორციელებს სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულყოფისაკენ მიმართულ ზომებს; ახორციელებს სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობისა და რფ-ის თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომებს; უზრუნველყოფს: შეიარაღების განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესრულებას, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალურ გარანტიებს; იღებს რფ-ის სახელმწიფო საზღვრის დაცვისაკენ მიმართულ ზომებს; ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე რფ-ის უფლებამოსილებანი ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის, საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროებში.

რფ-ის მთავრობის მორიგი სხდომები ტარდება დამტკიცებული გეგმის მიხედვით თვეში ერთხელ მაინც.

სახელმწიფო ხელისუფლების სასამართლო განშტოება ინსტიტუციურად წარმოდგენილია სასამართლო ორგანოთა სისტემით. რუსეთში ამ სისტემის თავისებურებებს განაპირობებს მისი ფედერალური მოწყობა და სისტემაში სპეციალიზებული სასამართლოების არსებობა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით არსებობენ:

1. საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები;

2. ფედერალური სასამართლოები და ფედერაციის სუბიექტთა სასამართლოები;

3. ჩვეულებრივი, ანუ საერთო იურისდიქციისა და სამხედრო სასამართლოები.

რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელიც, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად, კონსტიტუციური სამართალწარმოების მეშვეობით ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას. ამ ორგანოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივ წყაროებს შეადგენენ რფ-ის კონსტიტუცია, 1996 წლის ფედერალური კონსტიტუციური კანონი „რუ-

სეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.

რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლო 19 მოსამართლისაგან შედგება, რომლებსაც რფ-ის წარდგინებით ნიშნავს ფედერაციის საბჭო. მოსამართლედ შეიძლება გამწესდეს 40 წლის ასაკს მიღწეული, უმაღლესი იურიდიული განათლებისა და უმწიკვლო რეპუტაციის მქონე, იურიდიული პროფესიით მუშაობის სულ ცოტა, 15 წლის სტაჟის მქონე რუსეთის მოქალაქე, რომელსაც, ამასთანავე აქვს აღიარებული მაღალი კვალიფიკაცია სამართლის დარგში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს რომელიმე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანოში, მას არ შეუძლია ჰქონდეს კერძო პრაქტიკა, არ შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობას გარდა შემოქმედებითისა, იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიისა თუ მოძრაობის წევრი, მატერიალურად ეხმარებოდეს მათ.

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს და წყვეტს პლენარულ სხდომებზე (მონაწილეობს ყველა მოსამართლე) და ორი პალატის სხდომებზე (ერთში ათი, მეორეში - 9 მოსამართლის შემადგენლობით). პლენარულ სხდომებზე საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს ნებისმიერი, მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი. გარდა ამისა, განსაზღვრულია პლენარული სხდომის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები და საკითხები, რომლებიც განიხილება და წყდება პალატების სხდომებზე. ზემოხსენებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ფუნქციად ადგენს რფ-ის კონსტიტუციური წესწყობილების, ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების დაცვას, რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციის უზენაესობისა და პირდაპირი მოქმედების უზრუნველყოფას. ამ ფუნქციათა რეალიზაციის მიზნით, რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს რფ-ის კონსტიტუციასთან ფედერალური კანონების, რფ-ის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, რფ-ის მთავრობის ნორმატიული აქტების, ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციების, წესდებების, კანონების და სხვა აქტების, აგრეთვე რფ-ის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულებების, ფედერაციის სუბიექტთა შორის დადებული ხელშეკრულებების, ძალაში არ შესული რფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის საქმეებს.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს დავებს კომპეტენციის შესახებ, ამოწმებს საერთო იურისდიქციის სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას გამოყენებული ან გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობას, ამზადებს კონსტიტუციის განმარტებას, აძლევს დასკვნას პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაში დადგენილი წესის დაცვის შესახებ, თავის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე შეუძლია, გამოიყენოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლო, განსაკუთრებით ბოლო 10 წლის განმავლობაში, საკმაოდ ეფექტურად იყენებს. სხვადასხვა განხილულ საქმეებზე გამოტანილი დადგენილებებით თუ კონსტიტუციის განმარტებით, წონად როლს ასრულებს რფ-ის კონსტიტუციური სამართლის შემდგომ განვითარება-სრულყოფის საქმეში.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია

მიღებულია 1993 წლის 12 დეკემბერს

ჩვენ, რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი ხალხი,

ჩვენს მიწაზე საერთო ბედით გაერთიანებულნი,

ვამტკიცებთ რა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობას,

ვინარჩუნებთ რა ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრივ ერთიანობას,

გამოვდივართ რა ხალხთა თანასწორობისა და თვითგანსაზღვრის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან,

ვცემთ რა პატივს ჩვენს წინაპრებს, რომლებმაც გადმოგვცეს სამშობლოსადმი სიყვარული და პატივისცემა, სიკეთისა და სამართლიანობისადმი რწმენა,

ვაღორძინებთ რა რუსეთის სუვერენულ სახელმწიფოებრიობას და ვამტკიცებთ რა მისი დემოკრატიული საფუძვლების ურყეობას, ვისწრაფით რა უზრუნველვყოთ რუსეთის კეთილდღეობა და აყვავება,

გამოვდივართ რა დღევანდელი და მომავალი თაობების პასუხისმგებლობიდან ჩვენი სამშობლოს წინაშე,

ვაცნობიერებთ რა ჩვენს თავს მსოფლიო თანამეგობრობის ნაწილად, ვიღებთ.

კარი პირველი

თავი 1. კონსტიტუციური წესწყობილების საფუძვლები

მუხლი 1

1. რუსეთის ფედერაცია - რუსეთი არის რესპუბლიკური მართვა-გამგეობის მქონე დემოკრატიული ფედერაციული სამართლებრივი სახელმწიფო.

2. სახელწოდებები რუსეთის ფედერაცია და რუსეთი თანაბარმნიშვნელოვანია.

მუხლი 2

ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები უმაღლესი ფასეულობებია. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება, აღსრულება და დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა.

მუხლი 3

1. რუსეთის ფედერაციაში სუვერენიტეტის მფლობელი და ხელისუფლების ერთადერთი წყარო არის მისი მრავალეროვანი ხალხი.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს უშუალოდ, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით.

3. ხალხის ხელისუფლების უშუალო გამოხატულებას წარმოადგენს რეფერენდუმი და თავისუფალი არჩევნები.

4. რუსეთის ფედერაციაში არავის შეუძლია, მიითვისოს ხელისუფლება. ხელისუფლების მიტაცება ან ძალაუფლებრივი უფლებამოსილებების მითვისება იდევნება ფედერალური კანონის თანახმად.

მუხლი 4

1. რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტი მის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

2. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონებს აქვთ უზენაესობა რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

3. რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს თავისი ტერიტორიის მთლიანობასა და ხელშეუხებლობას.

მუხლი 5

1. რუსეთის ფედერაცია შედგება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქის და ავტონომიური ოკრუგების - რუსეთის ფედერაციის თანასწორუფლებიანი სუბიექტებისაგან.

2. რესპუბლიკას (სახელმწიფოს) აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა. მხარეს, ოლქს, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქს, ავტონომიურ ოლქს, ავტონომიურ ოკრუგს აქვთ თავისი წესდება და კანონმდებლობა.

3. რუსეთის ფედერაციის ფედერაციული მოწყობა ემყარება მის სახელმწიფოებრივ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის ერთიანობას, საგანთა განლაგებასა და უფლებამოსილებათა გამიჯვნას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის, ხალხთა თანასწორობასა და თვითგამორკვევას რუსეთის ფედერაციაში.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან ურთიერთობისას რუსეთის ფედერაციის ყველა სუბიექტი თანასწორუფლებიანია ერთმანეთის მიმართ.

მუხლი 6

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, რომელიც არის ერთიანი და თანაბარი მიუხედავად მისი შეძენის საფუძვლისა, მოიპოვება და წყდება ფედერალური კანონის შესაბამისად.

2. რუსეთის ფედერაციის ყოველი მოქალაქე მის ტერიტორიაზე ფლობს ყველა უფლებასა და თავისუფლებას და ასრულებს რუსეთის კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანაბარ მოვალეობებს.

3. არ შეიძლება, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მისი შეცვლის უფლება.

მუხლი 7

1. რუსეთის ფედერაცია არის სოციალური სახელმწიფო, რომლის პოლიტიკაც მიმართულია ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელნიც უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსეულ ცხოვრებასა და თავისუფალ განვითარებას.

2. რუსეთის ფედერაციაში დაცულია ადამიანების შრომა და ჯანმრთელობა, დგინდება შრომის ანაზღაურების გარანტირებული მინიმალური ოდენობა, უზრუნველყოფილი იქნება ოჯახის, დედობის, მამობისა და ბავშვობის, ინვალიდებისა და ხანდაზმულ მოქალაქეთა სახელმწიფო მხარდაჭერა, ვითარდება სოციალურ სამსახურთა სისტემა, დადგინდება სახ-

ელმწიფო პენსიები, შემწეობები და სოციალური დაცვის სხვა გარანტიები.

მუხლი 8

1. რუსეთის ფედერაციაში გარანტირებულია ეკონომიკური სივრცის მთლიანობა, საქონლის, მომსახურებისა და ფინანსურ საშუალებათა თავისუფალი გადაადგილება, კონკურენციის მხარდაჭერა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.

2. რუსეთის ფედერაციაში თანაბრად აღიარებული და დაცულია კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და საკუთრების სხვა ფორმები.

მუხლი 9

1. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები რუსეთის ფედერაციაში გამოიყენება და დაცულია, როგორც შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველი.

2. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები შეიძლება იყო კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალურ ან სხვა ფორმის საკუთრებაში.

მუხლი 10

რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დაყოფის საფუძველზე. ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციაში ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერალური კრება (ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო სათათბირო), რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რუსეთის ფედერაციის სასამართლოები.

2. რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ მათ მიერვე შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.

3. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის საგანთა გამგებლობა და უფლებამოსილებათა გამიჯვნა ხორციელდება ამ კონსტიტუციით, ფედერალური და საგანთა გამგებლობათა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ სხვა ხელშეკრულებით.

მუხლი 12

რუსეთის ფედერაციაში აღიარებული და გარანტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. ადგილობრივი თვითმმართველობა დამოუკიდებელია თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შედიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

მუხლი 13

1. რუსეთის ფედერაციაში აღიარებულია იდეოლოგიური მრავალფეროვნება.

2. არანაირი იდეოლოგია არ შეიძლება, გამოცხადდეს სახელმწიფო ან სავალდებულო იდეოლოგიად.

3. რუსეთის ფედერაციაში აღიარებულია პოლიტიკური მრავალფეროვნება, აგრეთვე მრავალპარტიულობა.

4. საზოგადოებრივი გაერთიანებები თანასწორნი არიან კანონის წინაშე.

5. აკრძალულია ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანი ან ქმედებანი მიმართულია რუსეთის ფედერაციის მთლიანობის დარღვევასა და კონსტიტუციური წესწყობილების საფუძვლების ძალადობრივი შეცვლისაკენ, სახელმწიფოს უსაფრთხოების ძირგამოთხრის, შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის, სოციალური, რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ.

მუხლი 14

1. რუსეთის ფედერაცია არის საერო სახელმწიფო. არანაირი რელიგია არ შეიძლება დადგენილ იყოს, როგორც სახელმწიფო ან სავალდებულო.

2. რელიგიური გაერთიანებები გამიჯნულია სახელმწიფოსაგან.

მუხლი 15

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, პირდაპირი მოქმედება და გამოყენება რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. რუსეთის ფედერაციაში მიღებული კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თანამდებობის პირები, მოქალაქენი და მათი გაერთიანებები ვალდებულნი არიან, დაიცვან რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია და კანონები.

3. კანონები ექვემდებარება ოფიციალურ გამოქვეყნებას. გამოუქვეყნებელი კანონები არ გამოიყენება. ნებისმიერი ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც ეხება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს, თუ ისინი არ არის გამოქვეყნებული საყოველთაო გაცნობისათვის.

4. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები, მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. თუ რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია კანონით გათვალისწინებული ნორმებისაგან განსხვავებული ნორმები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები.

მუხლი 16

1. კონსტიტუციის ამ თავის დებულებანი შეადგენენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წესწყობილების საფუძვლებს და დაუშვებელია მათი გადასინჯვა, თუ არა ამ კონსტიტუციით დადგენილი წესით.

2. ამ კონსტიტუციის არც ერთი სხვა დებულება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წესწყობილების საფუძვლებს.

თავი 2. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 17

1. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების თანახმად, აგრეთვე ამ კონსტიტუციის შესაბამისად,

რუსეთის ფედერაციაში აღიარებული და გარანტირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები.

2. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ყველას დაბადებიდან ეკუთვნის და განუყოფელია მისგან.

3. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 18

ადამიანისა და მოქალაქის უფლებები უშუალოდ მოქმედია. ისინი განსაზღვრავენ კანონების აზრს, შინაარსს, გამოყენებას, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას და დაცულია მართლმსაჯულების მიერ.

მუხლი 19

1. ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე.

2. სახელმწიფო ქმნის ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის გარანტიებს მიუხედავად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა, წარმოშობისა, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, მრწამსისა, საზოგადოებრივ გაერთიანებათა მიკუთვნებისა, აგრეთვე სხვა გარემოებებისა. აკრძალულია მოქალაქეთა უფლებების ნებისმიერი ფორმით დისკრიმინაცია სოციალური, რასობრივი, ნაციონალური, ენობრივი ან რელიგიური კუთვნილების ნიშნებით.

3. მამაკაცსა და ქალს აქვთ თანაბარი უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე თანაბარი შესაძლებლობები მათი რეალიზაციისათვის.

მუხლი 20

1. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება.

2. სიკვდილით დასჯა მის გაუქმებამდე შეიძლება დადგენილ იყოს ფედერალური კანონით, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ზომა, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, იმ პირობით, რომ ბრალდებულს მიეცემა უფლება, სასამართლომ მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მუხლი 21

1. პიროვნების ღირსებას იცავს სახელმწიფო. არაფერი შეიძლება იყოს მისი დაკნინების საფუძველი.

2. არ შეიძლება არავის წამება, სხვა სასტიკი, ან ადამიანური ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი.

3. პირის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია მასზე სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა სახის ცდების ჩატარება.

მუხლი 22

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

2. დაკავება, დაპატიმრება და პატიმრობაში ყოფნა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პირი არ შეიძლება დაკავებული იყოს 48 საათზე მეტი დროით.

მუხლი 23

1. ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოებისა და ღირსების დაცვის უფლება.

2. ყველას აქვს მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებათა საიდუმლოების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 24

1. დაუშვებელია პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება მისი თანხმობის გარეშე.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ყველას შეუქმნან შესაძლებლობა გაეცნონ იმ დოკუმენტებს ან მასალებს, რომლებიც მის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 25

საცხოვრებელი ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება, შეიჭრას საცხოვრებელში იქ მცხოვრებ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, გარდა ფედერალური კანონით დადგენილი შემთხვევებისა ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 26

1. ყველა უფლებამოსილია, განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული კუთვნილება. არ შეიძლება არავის იძულება, გაარკვიოს და მიუთითოს თავისი ეროვნული კუთვნილება.

2. ყველას აქვს მშობლიური ენით სარგებლობის, აღზრდის, სწავლების, ურთიერთობის, აგრეთვე შემოქმედების ენის თავისუფლად განსაზღვრის უფლება.

მუხლი 27

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფალი გადაადგილების, ადგილსამყოფლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

2. ყველას შეუძლია, თავისუფლად გავიდეს რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს აქვს რუსეთის ფედერაციაში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლება.

მუხლი 28

ყველასათვის გარანტირებულია სინდისის თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, რომელიც მოიცავს ყოველი პირის უფლებას, ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად იწამოს ნებისმიერი რელიგია ან არ იწამოს არც ერთი მათგანი, თავისუფლად აირჩიოს, იქონიოს და გაავრცელოს რელიგიური ან სხვაგვარი მრწამსი და აქვს უფლება, იმოქმედოს ამ მრწამსის შესაბამისად.

მუხლი 29

1. ყველასათვის გარანტირებულია აზრისა და სიტყვის თავისუფლება.

2. დაუშვებელია სოციალური, რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური სიძულვილისა და შუღლის აღმძვრელი პროპაგანდა ან აგიტაცია. იკრძალება სოციალური, რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური ან ენობრივი უპირატესობის პროპაგანდა.

3. არ შეიძლება არავის იძულება, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და მრწამსი ან უარი თქვას მათზე.

4. ყველას აქვს ინფორმაციის თავისუფლად მოძიების, მიღების, გადაცემის, შექმნისა და გავრცელების უფლება ნებესმიერი კანონიერი საშუალებით. იმ ცნობათა ნუსხა, რომელიც შეადგენს სახელმწიფო საიდუმლობას, განისაზღვრება ფედერალური კანონით.

5. მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია. ცენზურა აკრძალულია.

მუხლი 30

1. საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის თავისუფლება გარანტირებულია.

2. არ შეიძლება არავის იძულება შევიდეს რომელიმე გაერთიანებაში ან დარჩეს მასში.

მუხლი 31

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ მშვიდობიანად, უიარაღოდ შეკრებების, კრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების, მსვლელობების ჩატარებისა და პიკეტირების უფლებები.

მუხლი 32

1. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება როგორც უშუალოდ, ასევე თავის წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ, აირჩიონ ან არჩეული იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე აქვთ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება.

3. არ შეიძლება ამომრჩეველნი ან არჩეულნი იყვნენ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილნი, აგრეთვე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი მოქალაქეები.

4. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო სამსახურში შესვლის თანაბარი უფლება.

5. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 33

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ, პირადად მიმართონ ან გააგზავნონ ინდივიდუალური ან კოლექტიური მიმართვები სახელმწიფო ორგანოებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

მუხლი 34

1. ყველას აქვს თავისი შესაძლებლობებისა და ქონების თავისუფლად გამოყენების უფლება სამეწარმეო ან იმ სხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

2. დაუშვებელია მონოპოლიზაციისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაკენ მიმართული ეკონომიკური საქმიანობა.

მუხლი 35

1. კერძო საკუთრების უფლება დაცულია კანონით.

2. ყველა უფლებამოსილია, საკუთრებაში იქონიოს ქონება, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვა პირებთან ერთად.

3. არავის შეიძლება ჩამოერთვას რაიმე უფლება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებით. სახელმწიფო საჭიროებისათვის ქონების იძულებითი გასხვისება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარი და ტოლფასი ანაზღაურების პირობით.

4. მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია.

მუხლი 36

1. მოქალაქეებსა და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, კერძო საკუთრებაში იქონიონ მიწა.

2. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას მათი მფლობელები ახორციელებენ თავისუფლად, თუ ეს ზიანს არ აყენებს გარემოს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

3. მიწის სარგებლობის პირობები და წესი განისაზღვრება ფედერალური კანონის საფუძველზე.

მუხლი 37

1. შრომა თავისუფალია. ყველას აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს საქმიანობის სახეობა და პროფესია.

2. იძულებითი შრომა აკრძალულია.

3. ყველას აქვს შრომის უფლება იმ პირობებში, რომელიც პასუხობს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურების უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, და არანაკლებ შრომის ანაზღაურების იმ მინიმალური ოდენობის, რომელიც დადგენილია ფედერალური კანონით, აგრეთვე აქვს უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

4. აღიარებულია ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავების უფლება მათ შორის გაფიცვის უფლების ჩათვლით, მათი გადაწყვეტის ფედერალური კანონით დადგენილი საშუალებების გამოყენებით.

5. ყველას აქვს დასვენების უფლება. შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთათვის გარანტირებულია ფედერალური კანონით დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა, დასვენებისა და უქმე დღეები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

მუხლი 38

1. დედობა და ბავშვობა, აგრეთვე ოჯახი დაცულია სახელმწიფოს მიერ.

2. ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა მშობელთა თანაბარი უფლება და მოვალეობაა.

3. 18 წელს მიღწეული შრომისუნარიანი შვილები ვალდებულნი არიან, იზრუნონ შრომისუუნარო მშობლებზე.

მუხლი 39

1. ყველასათვის გარანტირებულია სოციალური უზრუნველყოფა ასაკის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, ბავშვთა აღზრდისათვის და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. სახელმწიფო პენსიები და სოციალური დახმარებები დადგინდება კანონით.

3. წახალისებულია ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფისა და ქველმოქმედების დამატებითი ფორმების შექმნა.

მუხლი 40

1. ყველას აქვს ბინის უფლება. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოე-

რთვას საცხოვრებელი.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წაახალისებენ ბინათმშენებლობას, ქმნიან ბინის უფლების განხორციელებისათვის საჭირო პირობებს.

3. ხელმოკლეებს, აგრეთვე კანონში მითითებულ სხვა კატეგორიის მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ საცხოვრებელი, იგი მიეცემათ ან უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასებში სახელმწიფო, მუნიციპალური ან სხვა საბინაო ფონდიდან, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 41

1. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უფლება. ჯანდაცვის სახელმწიფო ან მუნიციპალურ დაწესებულებებში მოქალაქეებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ უფასოდ, შესაბამისი ბიუჯეტის, სადაზღვევო შენატანებისა და სხვა შენატანთა ხარჯზე.

2. რუსეთის ფედერაციაში ფინანსდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების ფედერალური პროგრამები, ხორციელდება ჯანდაცვის სახლმწიფო, მუნიციპალური, კერძო სისტემების განვითარების ზომები, წახალისებულია ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ეკოლოგიური და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის ხელშემწყობი საქმიანობა.

3. თანამდებობის პირების მიერ იმ ფაქტებისა და გარემოებების დამალვა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს პასუხისმგებლობას ფედერალური კანონის შესაბამისად.

მუხლი 42

ყველას აქვს ხელსაყრელი გარემოს, მისი მდგომარეობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღების და მისი ჯანმრთელობის ან ქონებისათვის ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 43

1. ყველას აქვს განათლების უფლება.

2. სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საწარმოებში გარანტირებულია, საყოველთაოა, ხელმისაწვდომია და უფასოა სკოლამდელი, ძირითადი, საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მიღება.

3. ყველას აქვს უფლება, კონკურსის საფუძველზე უფასოდ მიიღოს უმაღლესი განათლება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან საწარმოში.

4. ძირითადი საერთო განათლება სავალდებულოა. მშობლები ან მათი შემცვლელი პირები უზრუნველყოფენ ბავშვების მიერ ძირითადი საერთო განათლების მიღებას.

5. რუსეთის ფედერაცია ადგენს სახელმწიფო ფედერალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, მხარს უჭერს განათლებისა და თვითგანათლების სხვადასხვა ფორმას.

მუხლი 44

1. ყველასათვის გარანტირებულია ლიტერატურული, სამხატვრო, სამეცნიერო, ტექნიკური, აგრეთვე სწავლების სხვა სახეობათა და შემოქმედების

თავისუფლება. ინტელექტუალური საკუთრება დაცულია კანონით.

2. ყველას აქვს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, კულტურის დაწესებულებების და კულტურული ფასეულობებით სარგებლობის უფლება.

3. ყველა ვალდებულია, იზრუნოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, გაუფრთხილდეს და მოუაროს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

მუხლი 45

1. რუსეთის ფედერაციაში გარანტირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფო დაცვა.

2. ყველას აქვს უფლება, დაიცვას თავის უფლებები და თავისუფლებები ყველა საშუალებით, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 46

1. ყველასათვის გარანტირებულია მისი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო დაცვა.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები და მოქმედებები (ან უმოქმედობა) შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, ყველა უფლებამოსილია, მიმართოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სახელმწიფოთაშორისო ორგანოებს თუ ამოწურულია სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

მუხლი 47

1. არავის შეიძლება ჩამოერთვას უფლება, მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ და იმ მოსამართლემ, რომელთა განსჯადობასაც ექვემდებარება ეს საქმე.

2. ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულს უფლება აქვს, მისი საქმე სასამართლომ განიხილოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მუხლი 48

1. ყველასათვის გარანტირებულია კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების უფლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარება ხორციელდება უფასოდ.

2. ყოველი დაკავებული, დაპატიმრებული, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული უფლებამოსილია, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით, შესაბამისად დაკავების, პატიმრობაში აყვანის თუ ბრალდების წაყენების მომენტიდან.

მუხლი 49

1. დანაშაულის ჩადენაში ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება ფედერალური კანონით გათვალისწინებული წესით და დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

2. ბრალდებული არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

3. ყოველი ეჭვი პირის ბრალეულობის შესახებ, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, უნდა განიმარტოს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 50

1. არავის შეიძლება დაედოს მსჯავრი ერთი და იგივე დანაშაულისათვის.

2. მართლმსაჯულების განხორციელებისას დაუშვებელია ფედერალური კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება.

3. დანაშაულის ჩადენისათვის ყოველ მსჯავრდებულს აქვს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვის, აგრეთვე შეწყალების ან სასჯელის შემსუბუქების თხოვნით მიმართვის უფლება.

მუხლი 51

1. არავინ არის ვალდებული, მისცეს თავისი, მეუღლის ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება ფედერალური კანონით.

2. ფედერალური კანონით შეიძლება დადგენილი იყოს მოწმის ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

მუხლი 52

დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულთა უფლებები დაცულია კანონით. სახელმწიფო უზრუნველყოფს დაზარალებულთა მიერ მართლმსაჯულებით სარგებლობისა და მიყენებული ზარალის კომპენსაციას.

მუხლი 53

ყველას აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან მათი თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით (ან უმოქმედობით) მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლება.

მუხლი 54

1. კანონს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

2. არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ პასუხისმგებლობა მისი ჩადენისათვის გაუქმებული ან შერბილებულია, გამოიყენება ახალი კანონი.

მუხლი 55

1. რუსეთის ფედერაციაში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამოთვლა არ უნდა განიმარტებოდეს, როგორც ადამიანისა და მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების უარყოფა ან შელახვა.

2. რუსეთის ფედერაციაში არ უნდა გამოიცემოდეს ისეთი კანონები, რომლებიც აუქმებენ ან ლახავენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეზღუდული იყოს ფედერალური კანონით მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების, ზნეობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 56

1. საგანგებო მდგომარეობის პირობებში მოქალაქეთა უსაფრთხოების და კონსტიტუციური წყობილების უზრუნველყოფისათვის, ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, შეიძლება დადგენილი იყოს უფლებებისა და თავისუფლებების ცალკეული შეზღუდვები მათი მოქმედების ფარ-

გლებისა და ვადის მითითებით.

2. საგანგებო მდგომარეობა რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ტერიტორიებში შეიძლება შემოღებული იყოს ფედერალური კონსტიტუციური კანონით დადგენილ გარემოებათა არსებობისას და ამ კანონით დადგენილი წესით.

3. არ ექვემდებარება შეზღუდვას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-20, 21-ე, 23-ე (პირველი ნაწილი), 24-ე, 28-ე, 34-ე (პირველი ნაწილი) მე-40 (პირველი ნაწილი), 46-ე-54-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 57

ყველა ვალდებულია, იხადოს კანონიერად დადგენილი გადასახადები. იმ კანონებს, რომლის საფუძველზეც ახალი გადასახადები შემოიღება ან უარესდება გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობა, უკუძალა არა აქვს.

მუხლი 58

ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებას და გარემოს, მზრუნველობით მოეპყროს ბუნებრივ სიმდიდრეებს.

მუხლი 59

1. სამშობლოს დაცვა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვალი და ვალდებულებაა.

2. რუსეთის ფედერაციის მოქალაქე სამხედრო სამსახურს იხდის ფედერალური კანონის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ფედერაციის მოქალაქის მრწამსს ან აღმსარებლობას ეწინააღმდეგება სამხედრო სამსახურში ყოფნა, აგრეთვე ფედერალური კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში, მას აქვს სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით შეცვლის უფლება.

მუხლი 60

თავისი უფლებები და თავისუფლებები, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს დამოუკიდებლად შეუძლია სრული მოცულობით განახორციელოს 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 61

1. არ შეიძლება რუსეთის ფედერაციის მოქალაქის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან გაძევება ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა.

2. რუსეთის ფედერაცია თავის მოქალაქეებს აძლევს გარანტიას, რომ დაიცავს და იზრუნებს მათზე მის საზღვრებს გარეთაც.

მუხლი 62

1. რუსეთის ფედერაციის კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობა).

2. რუსეთის ფედერაციის მოქალაქის სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაში ყოფნა არ ლახავს მისი, როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს და არ ათავისუფლებს მას შესაბამისი მოვალეობისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფედერალური კანონით ან რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. რუსეთის ფედერაციაში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უფლე-

ბებითა და დაკისრებული მოვალეობებით თანაბრად სარგებლობენ, გარდა რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 63

1. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია აძლევს პოლიტიკურ თავშესაფარს უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

2. რუსეთის ფედერაციაში დაუშვებელია იმ პირების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, რომლებიც იდევნებიან პოლიტიკური მრწამსის გამო, აგრეთვე იმ ქმედებისათვის (ან უმოქმედობისათვის), რომელიც რუსეთის ფედერაციაში არ ითვლება დანაშაულად. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა გადაცემა, აგრეთვე მსჯავრდებულთა გადაცემა სხვა სახელმწიფოში სასჯელის მოხდისათვის ხორციელდება რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 64

კონსტიტუციის ამ თავის დებულებები ადგენენ რუსეთის ფედერაციაში პიროვნების სამართლებრივი სტატუსის საფუძვლებს და არ შეიძლება მათი გადასინჯვა, თუ არა ამ კონსტიტუციით დადგენილი წესით.

თავი 3. ფედერაციული მოწყობა

მუხლი 65

1. რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არიან რუსეთის ფედერაციის შემდეგი სუბიექტები:

რესპუბლიკა ადიღეა (ადიღეა), რესპუბლიკა ალტაი, რესპუბლიკა ბაშკირეთი, რესპუბლიკა ბურიატეთი, რესპუბლიკა დაღესტანი, რესპუბლიკა ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა, რესპუბლიკა ყალმუხეთი, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის რესპუბლიკა, რესპუბლიკა კარელია, რესპუბლიკა კომი, რესპუბლიკა მარი ელი, რესპუბლიკა მორდოვია, რესპუბლიკა სახა (იაკუტია), რესპუბლიკა ჩრდილოეთ-ოსეთი - ალანია, რესპუბლიკა თათრეთი (თათარსტანი), რესპუბლიკა ტუვა, უდმურტეთის რესპუბლიკა, რესპუბლიკა ხაკასეთი, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, ჩუვაშეთის რესპუბლიკა - ჩუვაშეთი;

ალტაის მხარე, კრასნოდარის მხარე, კრასნოიარსკის მხარე, პრიმორსკის მხარე, სტავროპოლის მხარე, ხაბაროვსკის მხარე;

ამურის ოლქი, არხანგელსკის ოლქი, ასტრახანის ოლქი, ბელგოროდის ოლქი, ბრიანსკის ოლქი, ვლადიმირის ოლქი, ვოლგოგრადის ოლქი, ვოლოგდის ოლქი, ვორონეჟის ოლქი, ივანოვოს ოლქი, ირკუტსკის ოლქი, კალინინგრადის ოლქი, კალუგის ოლქი, კამჩატკის ოლქი, კემეროვის ოლქი, კოროვის ოლქი, კოსტრომას ოლქი, კურგანის ოლქი, კურსკის ოლქი, ლენინგრადის ოლქი, ლიპეცკის ოლქი, მაგადანის ოლქი, მოსკოვის ოლქი, მურმანსკის ოლქი, ნიჟეგოროდის ოლქი, ნოვგოროდის ოლქი, ნოვოსიბირსკის ოლქი, ომსკის ოლქი, ორენბურგის ოლქი, ორლოვის ოლქი, პენზის ოლქი, პერმის ოლქი, როსტოვის ოლქი, რიაზანის ოლქი, სამარას ოლქი, სარატოვის ოლქი, სახალინის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, სმოლენსკის ოლქი, ტამბოვის ოლქი, ტვერის ოლქი, ტომსკის ოლქი, ტულას ოლქი, ტიუმენის ოლქი, ულიანოვსკის ოლქი, ფსკოვის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, ჩიტას ოლქი,

იაროსლავლის ოლქი;

მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი - ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები;

ებრაელთა ავტონომიური ოლქი;

აგინსკის ბურიატიის ავტონომიური ოკრუგი, კომი-პერმიაკების ავტონომიური ოკრუგი, კორიაკების ავტონომიური ოკრუგი, ნენეცთა ავტონომიური ოკრუგი, ტაიმირის (დულგანო-ნენეცთა) ავტონომიური ოკრუგი, უსტ-ორდინსკის ბურიატიის ავტონომიური ოკრუგი, ხანტი-მანსიისკის ავტონომიური ოკრუგი, ჩუკოტკის ავტონომიური ოკრუგი, ევენკიის ავტონომიური ოკრუგი, იამალო-ნენეცთა ავტონომიური ოკრუგი;

2. რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების დაფუძნება ან მიღება ხორციელდება ფედერალური კონსტიტუციური კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 66

1. რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით და ამ რესპუბლიკის კონსტიტუციით.

2. მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სტატუსი განისაზღვრება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის წესდებით, რომელიც მიიღება რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სუბიექტის საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოს მიერ.

3. ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარდგინებით შეიძლება მიღებულ იქნეს ფედერალური კანონი ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური ოკრუგის შესახებ.

4. მხარის ან ოლქის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ოკრუგების ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგებული იყოს ფედერალური კანონით და ავტონომიური ოკრუგის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და შესაბამისი მხარის ან ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

5. რუსეთის ფედერაციის სუბიექტის სტატუსი შეიძლება გადაისინჯოს რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ურთიერთთანხმობით ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად.

მუხლი 67

1. რუსეთის ფედერაციის ტერიტორია მოიცავს მისი სუბიექტების ტერიტორიას, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას, აგრეთვე საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ.

2. ფედერალური კანონითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული წესით, რუსეთის ფედერაციას აქვს სუვერენული უფლებები და ახორციელებს თავის იურისდიქციას კონსტიტუციურ შელფზე და რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

3. რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის არსებული საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მათი ურთიერთთანხმობის საფუძველზე.

მუხლი 68

1. რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა არის რუსული ენა.

2. რესპუბლიკები უფლებამოსილნი არიან, დაადგინონ თავისი სახელმწიფო

ენები. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებში ისინი გამოიყენება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ენის თანაბრად.

3. რუსეთის ფედერაცია ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხს აძლევს მშობლიური ენის შენარჩუნების უფლებას, ამ ენაზე სწავლისა და განვითარების პირობების შექმნის გარანტიებს.

მუხლი 69

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია ქმნის მცირერიცხოვანი მკვიდრი ხალხების უფლებათა გარანტიებს.

მუხლი 70

1. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი, მათი აღწერილობა და ოფიციალური გამოყენების წესი დადგენილია ფედერალური კონსტიტუციური კანონით.

2. რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი არის ქალაქი მოსკოვი. დედაქალაქის სტატუსი დგინდება ფედერალური კანონით.

მუხლი 71

რუსეთის ფედერაციის გამგებლობაშია:

ა) რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების მიღება და გადასინჯვა, კონტროლი მათ შესრულებაზე;

ბ) რუსეთის ფედერაციის ფედერალური მოწყობა და ტერიტორია;

ვ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირება და დაცვა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების რეგულირება და დაცვა;

გ) ფედერალური საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების სისტემის, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა; სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების ფორმირება;

დ) ფედერალური სახელმწიფო საკუთრება და მისი მართვა;

ე) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეროვნული განვითარების დარგში ფედერალური პოლიტიკისა და ფედერალური პროგრამების საფუძვლების დადგენა;

ჟ) ერთიანი ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა; საფინანსო, საკრედიტო, საბანკო რეგულირება, ფულის ემისია, ფასწარმოების პოლიტიკის საფუძვლები; ფედერალური ბანკების ჩათვლით ფედერალური ეკონომიკური სამსახურები;

ზ) ფედერალური ბიუჯეტი; ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები; რეგიონალური განვითარების ფედერალური ფონდები;

ი) ფედერალური ენერგეტიკული სისტემები, ბირთვული ენერგეტიკა, გახლეჩადი მასალები; ფედერალური ტრანსპორტი, მიმოსვლის გზები, ინფორმაცია და კავშირგაბმულობა; საქმიანობა კოსმოსში;

კ) რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები, ომისა და ზავის საკითხები;

ლ) რუსეთის ფედერაციის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები;

მ) თავდაცვა და უსაფრთხოება; თავდაცვითი წარმოება: იარაღის, საბრ-

ძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, და სხვა სამხედრო ქონების გაყიდვისა და შესყიდვის წესის განსაზღვრა; მომწამლავი, ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება და მათი სარგებლობის წესი;

ნ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის, ტერიტორიული ზღვის, საჰაერო სივრცის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონსტიტუციური შელფის სტატუსის განსაზღვრა და მათი დაცვა;

ო) სასამართლო წყობილება; პროკურატურა; სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა; ამნისტია და შეწყალება; სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საარბიტრაჟო საპროცესო კანონმდებლობა; ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება;

პ) ფედერალური კოლიზიური სამართალი;

რ) მეტეოროლოგიური სამსახური, სტანდარტები, ეტალონები, მეტრული სისტემა და დროის გამოთვლა; გეოდეზია და კარტოგრაფია; გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები; ოფიციალური სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვა;

ს) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ჯილდოები და საპატიო წოდებები;

ტ) ფედერალური სახელმწიფო სამსახური.

მუხლი 72

1. რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობაშია:

ა) რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგების წესდებათა კანონების და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ეროვნულ უმცირესობათა თავისუფლებების დაცვა; კანონიერების, მართლწესრიგის,საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასაზღვრო ზონების რეჟიმი;

ვ) მიწით, წიაღისეულით, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხები;

გ) სახელმწიფო საკუთრების გამიჯვნა;

დ)ბუნებათსარგებლობა; გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; განსაკუთრებულად დაცული ბუნების ტერიტორიები; ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა;

ე) აღზრდის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ზოგადი საკითხები;

ჟ) ჯანდაცვის საკითხთა კოორდინაცია; ოჯახის, დედობის, მამობისა და ბავშვობის დაცვა; სოციალური დაცვა სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით;

ზ) კატასტროფებთან, სტიქიურ უბედურებებთან, ეპიდემიებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება, მათი შედეგების ლიკვიდაცია;

ი) რუსეთის ფედერაციაში გადასახადებით დაბეგვრისა და მოსაკრებლების ზოგადი პრინციპების დადგენა;

к) ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო, შრომის, საოჯახო, საბინაო, მიწის, წყლის, სატყეო კანონმდებლობა, კანონმდებლობა წიაღისეულისა და დაცვის შესახებ;

ლ) სასამართლო და სამართლებრივი ორგანოების კადრები; ადვოკატურა, ნოტარიატი;

მ) მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთობების ბინადრობის ძირძველი გარემოსა და ცხოვრების ტრადიციული წესის დაცვა;

ნ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების სისტემის ორგანიზაციის ზოგადი პრინციპების დადგენა;

ო) რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საერთაშორისო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კოორდინაცია, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება;

2. ამ მუხლის დებულებები თანაბრად ვრცელდება რესპუბლიკებზე, მხარეებზე, ოლქებზე, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქებზე, ავტონომიურ ოლქზე და ავტონომიურ ოკრუგებზე.

მუხლი 73

რუსეთის ფედერაციის გამგებლობაში შემავალი, რუსეთის ფედერაციასა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ, რუსეთის ფედერაციის სუბიექტები სახელმწიფო ხელისუფლებას მთელი სისრულით ფლობენ.

მუხლი 74

1. დაუშვებელია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საბაჟო საზღვრების, ბაჟის, მოსაკრებლების ან სხვაგვარი წინააღმდეგობების შექმნა საქონლის, მომსახურების და ფინანსური საშუალებების თავისუფალი ბრუნვისათვის.

2. საქონლისა და მომსახურების ბრუნვის შეზღუდვა შეიძლება შემოღებულ იქნეს ფედერალური კანონის შესაბამისად, თუ ეს საჭირო გახდება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ბუნებისა და კულტურულ ფასეულობათა დასაცავად.

მუხლი 75

1. რუსეთის ფედერაციაში ფულადი ერთეული არის რუბლი. ფულის ემისია ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ. სხვა ფულის შემოღება და ემისია რუსეთის ფედერაციაში დაუშვებელია.

2. რუბლის დაცვა და მისი მდგომარეობის უზრუნველყოფა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციაა, რომელსაც იგი ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან დამოუკიდებლად.

3. რუსეთის ფედერაციაში ფედერალურ ბიუჯეტში შესატანი გადასახადების სისტემა, აგრეთვე გადასახადებითა და მოსაკრებლებით დაბეგვრის ზოგადი პრინციპები ფედერალური კანონით განისაზღვრება.

4. სახელმწიფო სესხები გამოიშვება ფედერალური კანონით დადგენილი წესით და მათი განთავსება ხდება ნებაყოფლობით საფუძველზე.

მუხლი 76

1. რუსეთის ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებულ საგნებზე მიიღება

რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების მქონე ფედერალური კონსტიტუციური კანონები და ფედერალური კანონები.

2. რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გამოიცემა ფედერალური კანონები და მათ საფუძველზე — რუსეთის ფედერაციის სუბიექტების მიერ მიღებული კანონები და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები.

3. ფედერალური კანონები არ შეიძლება, ეწინააღმდეგებოდნენ ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებს.

4. რუსეთის ფედერაციის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებს გარეთ, რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები, ავტონომიური ოლქი და ავტონომიური ოკრუგი კანონებისა და სხვაგვარი ნორმატიული სამართლებრივი აქტების მიღების ჩათვლით, საკუთარ სამართლებრივ რეგულირებას ახორციელებენ.

5. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონები ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები არ შეიძლება, ეწინააღმდეგებოდნენ ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილების შესაბამისად მიღებულ ფედერალურ კანონებს. ფედერალურ კანონსა და რუსეთის ფედერაციაში გამოცემულ სხვა აქტს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, მოქმედებს ფედერალური კანონი.

6. ფედერალურ კანონსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტის მიერ ამ მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად გამოცემულ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, მოქმედებს რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ნორმატიული სამართლებრივი აქტი.

მუხლი 77

1. რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახელმწიფო ორგანოთა სისტემა დამოუკიდებლად დგინდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტების მიერ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წესწყობილებისა და ფედერალური კანონით დადგენილი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

2. რუსეთის ფედერაციის გამგებლობის, რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ერთობლივ გამგებლობაში რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილების ფარგლებში აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოები და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ორგანოები რუსეთის ფედერაციაში ქმნიან აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიან სისტემას.

მუხლი 78

1. თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შეუძლიათ, შექმნან თავიანთი ტერიტორიული ორგანოები და დანიშნონ შესაბამისი თანამდებობის პირები.

2. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შეუძლიათ, გადასცენ მათ თავის უფლებამოსილებათა ნაწილის განხორციელება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტი-

ტუციასა და ფედერალურ კანონებს.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან შეთანხმებით, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ, გადასცენ მათ თავისი უფლებამოსილებების ნაწილის განხორციელება.

4. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და რუსეთის ფედერაციის მთავრობა უზრუნველყოფენ ფედერალური სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებათა განხორციელებას რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 79

რუსეთის ფედერაციას შეუძლია მონაწილეობდეს სახელმწიფოთაშორის გაერთიანებებში და საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად გადასცეს მათ თავის უფლებამოსილებათა ნაწილი, თუ ეს არ იწვევს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, აგრეთვე არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წესწყობილების საფუძვლებს.

თავი 4. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი

მუხლი 80

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით დადგენილი წესით იღებს ზომებს რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასაცავად, უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შეთანხმებულ ფუნქციონირებას და ურთიერთმოქმედებას.

3. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

4. როგორც სახელმწიფოს მეთაური, რუსეთის პრეზიდენტი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

მუხლი 81

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა 4 წლის ვადით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე არანაკლებ 35 წლის ასაკიდან, რომელსაც რუსეთის ფედერაციაში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წელიწადს.

3. ერთი და იგივე პირს არ შეუძლია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა ეკავოს ზედიზედ ორ ვადაზე მეტად.

4. რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების წესი ფედერალური კანონებით განისაზღვრება.

მუხლი 82

1. თანამდებობის დაკავებისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ხალხ-

ის წინაშე დებს შემდეგ ფიცს: „ვფიცავ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პატივს ვცემ და დავიცავ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, შევასრულებ და დავიცავ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას, დავიცავ სახელმწიფო სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებასა და მთლიანობას, ერთგულად ვემსახურები ხალხს."

2. ფიცის დადება ხდება საზეიმო ვითარებაში, ფედერაციის საბჭოს წევრების, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისა და რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანდასწრებით.

მუხლი 83

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

à) სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით ნიშნავს რუსეთის ფედერაციის თავმჯდომარეს;

á) აქვს რუსეთის ფედერაციის მთავრობის სხდომაზე თავმჯდომარეობის უფლება;

â) იღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების შესახებ;

ã) სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურას; სახელმწიფო სათათბიროში აყენებს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს;

ä) რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებსა და ფედერალურ მინისტრებს;

å) ფედერაციის საბჭოს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეობის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის კანდიდატურებს; ფედერაციის საბჭოში შედის რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების წინადადებით; ნიშნავს სხვა ფედერალური სასამართლოს მოსამართლეებს;

æ) ქმნის და მეთაურობს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს, რომლის სტატუსი განისაზღვრება ფედერალური კანონით;

ç) ამტკიცებს რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინას;

è) ქმნის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციას;

ê) ნიშნავს და ათავისუფლებს რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლებს;

ë) ნიშავს და ათავისუფლებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას;

ì) ფედერალური კრების პალატების შესაბამის კომიტეტებთან და კომისიებთან კონსულტაციების შემდეგ ნიშნავს და გამოიწვევს უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის ფედერაციის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

მუხლი 84

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

à) რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და ფედერალური კანონის შესაბამისად, ნიშნავს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს;

á) დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით დადგენილი წესით და განსაზღვრულ შემთხვევებში;

â) ფედერალური კონსტიტუციური კანონით დადგენილი წესით ნიშნავს რეფერენდუმს;

ã) სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს კანონპროექტები;

ä) ხელს აწერს და აქვეყნებს ფედერალურ კანონებს;

å) ფედერალურ კრებას მიმართავს ყოველწლიური გზავნილით ქვეყნის მდგომარეობის, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მუხლი 85

1. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის არსებული უთანხმოების გადასაწყვეტად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია, გამოიყენოს შემთანხმებელი პროცედურები. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მას შეუძლია, მიმართოს შესაბამის სასამართლოს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეაჩეროს რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტების მოქმედება, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგებიან რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას ან ფედერალურ კანონებს, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ვალდებულებებს ან თუ ისინი არღვევენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს შესაბამისი სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე.

მუხლი 86

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

ა) ახორციელებს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას;

ბ) აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

в) ხელს აწერს სარატიფიკაციო სიგელებს;

г) იღებს მასთან აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გაწვევის სიგელებს.

მუხლი 87

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აგრესიის ან აგრესიის უშუალო საფრთხის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილში აცხადებს საომარ მდგომარეობას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს.

3. საომარი მდგომარეობის რეჟიმი ფედერალური კონსტიტუციური კანონით განისაზღვრება.

მუხლი 88

ფედერალური კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას და წესით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი აცხადებს საგანგებო მდგომარეობას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს.

მუხლი 89

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:

ა) წყვეტს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობისა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ბ) აჯილდოვებს რუსეთის ფედერაციის სახელწიფო ჯილდოებით, ანიჭებს რუსეთის ფედერაციის საპატიო წოდებებს, უმაღლეს საძხედრო და უმაღლეს სპეციალურ წოდებებს;

ვ) შეიწყალებს მსჯავრდებულებს.

მუხლი 90

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

3. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას და ფედერალურ კანონებს.

მუხლი 91

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ხელშეუხებელია.

მუხლი 92

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებას შეუდგება ფიცის დადების მომენტიდან და მათ განხორციელებას წყვეტს თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვისა და ახლად არჩეული რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვადამდე ადრე წყვეტს თავის უფლებამოსილებათა განხორციელებას გადადგომის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უფლებამოსილების განხორციელების მყარი უუნარობის ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევებში. ამ დროს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს უფლებამოსილებათა განხორციელების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

3. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს არ ძალუძს, შეასრულოს თავისი მოვალეობები, მათ დროებით ასრულებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობათა შემსრულებელს არ აქვს სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და რეფერენდუმის დანიშვნის უფლება, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში შესწორებების შეტანისა და კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადებების შეტანის უფლებები.

მუხლი 93

1. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს

თანამდებობიდან ფედერაციის საბჭოს მიერ მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს მიერ მის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდების საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს დასკვნით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის და რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით იმის შესახებ, რომ დაცულია ბრალდების წაყენების დადგენილი წესი.

2. სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილება ბრალდების წაყენების შესახებ და ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე პალატებში მიღებულ უნდა იქნეს წევრთა სრული რაოდენობის ორი მესამედის მიერ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივითა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის თანხმობით.

3. ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სათათბიროს მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებიდან არა უგვიანეს სამი თვისა. თუ ამ ვადაში ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ჩაითვლება უარყოფილად.

თავი 5. ფედერალური კრება

მუხლი 94

ფედერალური კრება — რუსეთის ფედერაციის პარლამენტი - არის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო.

მუხლი 95

1. ფედერალური კრება შედგება ორი პალატის - ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსაგან.

2. ფედერაციის საბჭოში შედის რუსეთის ფედერაციის ყველა სუბიექტის ორ-ორი წარმომადგენელი: სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებიდან თითო-თითო.

3. სახელმწიფო სათათბირო შედგება 450 დეპუტატისაგან.

მუხლი 96

1. სახელმწიფო სათათბირო აირჩევა ოთხი წლის ვადით.

2. ფედერაციის საბჭოს ფორმირებისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების წესები განისაზღვრება ფედერალური კანონებით.

მუხლი 97

1. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იყოს 21 წელს მიღწეული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელსაც აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

2. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ფედერაციის საბჭოს წევრი და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დეპუტატი.

3. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები მუშაობენ მუდმივ პროფე-

სიულ საფუძველზე. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები არ შეიძლება იყვნენ სახელმწიფო სამსახურში, ეწეოდნენ სხვა ანაზღაურებად საქმიანობას გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 98

1. ფედერაციის საბჭოს წევრები და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები მათი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში ხელშეუხებელნი არიან. არ შეიძლება მათი დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა, აგრეთვე არ ექვემდებარებიან პირად დათვალიერებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც სხვა ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არის გათვალისწინებული ფედერალური კანონებით.

2. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის წარდგინებით, ხელშეუხებლობის მოხსნის საკითხი წყდება ფედერალური კრების შესაბამისი პალატის მიერ.

მუხლი 99

1. ფედერალური კრება არის მუდმივმოქმედი ორგანო.

2. სახელმწიფო სათათბირო პირველ სხდომაზე იკრიბება არჩევიდან ოცდამეათე დღეს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია, სხდომა მოიწვიოს ვადაზე ადრეც.

3. სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი.

4. ახალი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების მომენტიდან წყდება წინა მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს უფლებამოსილება.

მუხლი 100

1. ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს სხდომები ცალცალკე ტარდება.

2. ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს სხდომები ღიაა. პალატების რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ისინი უფლებამოსილნი არიან, ჩაატარონ დახურული სხდომები.

3. პალატებს შეუძლიათ, ერთად შეიკრიბონ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წერილების, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს წერილებისა და უცხო სახელმწიფოთა ხელმძღვანელების გამოსვლის მოსასმენად.

მუხლი 101

1. თავისი შემადგენლობიდან ფედერაციის საბჭო ირჩევს ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს. სახელმწიფო სათათბირო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

2. ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები უძღვებიან შესაბამისი პალატის სხდომებს და იცავენ პალატის შინაგანაწესს.

3. ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო სათათბირო ქმნიან კომიტეტებსა და კომისიებს, თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე ატარებენ საპარლამენტო მოსმენას.

4. თითოეული პალატა იღებს თავის რეგლამენტს და წყვეტს თავისი

საქმიანობის შინაგანაწესის საკითხებს.

5. ფედერალური ბიუჯეტის შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო სათათბირო ქმნიან საანგარიშო პალატას, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ფედერალური კანონით.

მუხლი 102

1. ფედერაციის საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება:

ა) რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის არსებული საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

ბ) საომარი მდგომარეობის შემოღების შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება;

ვ) საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება;

გ) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტა;

დ) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა;

ე) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება;

ჟ) რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა;

ზ) რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

ი) საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მოადგილისა და საანგარიშო პალატის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

2. ფედერაციის საბჭო რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს დადგენილებებს.

3. ფედერაციის საბჭოს დადგენილებები მიიღება ფედერაციის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, თუ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გადაწყვეტილებათა მიღების სხვა წესი არ არის დადგენილი.

მუხლი 103

სახელმწიფო სათათბიროს გამგებლობას განეკუთვნება:

ა) რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავჯდომარის დასანიშნად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა;

ბ) რუსეთის ფედერაციის მთავრობისადმი ნდობის საკითხის გადაწყვეტა;

ვ) რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

გ) საანგარიშო პალატის თავმჯდომარისა და საანგარიშო პალატის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

დ) ფედერალური კონსტიტუციური კანონის საფუძველზე მოქმედი ადამიანის უფლებათა რწმუნებულის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

ე) ამნისტიის გამოცხადება;

ж) რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენება მისი თანამდებობიდან გადაყენების მიზნით.

2. სახელმწიფო სათათბირო რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს დადგენილებებს.

3. სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, თუ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გადაწყვეტილებათა მიღების სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 104

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, ფედერაციის საბჭოს წევრებს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რუსეთის ფედერაციის მთავრობას, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ორგანოებს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს მათ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე.

2. კანონპროექტები შედის სახელმწიფო სათათბიროში.

3. კანონპროექტები გადასახადების შემოღების ან გაუქმების შესახებ, გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ, სახელმწიფო სესხების გამოშვების შესახებ, სახელმწიფო ფინანსურ ვალდებულებათა შეცვლის შესახებ, სხვა კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ ფედერალური ბიუჯეტიდან ხარჯების დაფარვას, შეიძლება შეტანილ იქნეს სახელმწიფო სათათბიროში მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მთავრობის დასკვნის არსებობისას.

მუხლი 105

1. ფედერალური კანონები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს მიერ.

2. ფედერალური კანონები მიიღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, თუ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონები ხუთი დღის განმავლობაში განსახილველად გადაეცემა ფედერაციის საბჭოს.

4. ფედერაციის საბჭოს მიერ ფედერალური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა ამ პალატის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა, ან თოთხმეტი დღის განმავლობაში იგი არ იქნა განხილული ფედერაციის საბჭოს მიერ. ფედერაციის საბჭოს მიერ მისი უარყოფის შემთხვევაში პალატაში წარმოქმნილ უთანხმოებათა გადასალახავად შეუძლიათ, შექმნან შემთანხმებელი კომისია, რის შემდეგაც ფედერალური კანონი ექვემდებარება სახელმწიფო სათათბიროს მიერ ხელმეორე განხილვას.

5. ამ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სათათბირო არ ეთანხმება ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, ფედერალური კანონი მიღებულად ჩაითვლება. თუ ხელმეორე კენჭისყრისას მას ხმა მისცა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

მუხლი 106

ფედერაციის საბჭოს სავალდებულო განხილვას ექვემდებარება სახელმწიფო სათათბიროს მიერ შემდეგ საკითხებზე მიღებული ფედერალური

კანონები:

ა) ფედერალური ბიუჯეტის;

ბ) ფედერალური გადასახადებისა და მოსაკრებლების;

ვ) საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბანკო რეგულირების, ფულის ემისიის;

გ) რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და დენონსირების;

დ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის სტატუსისა და დაცვის;

ე) ომისა და ზავის.

მუხლი 107

1. მიღებული ფედერალური კანონი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად გადაეცემა ხუთი დღის განმავლობაში.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი თოთხმეტი დღის განმავლობაში ხელს აწერს და აქვეყნებს ფედერალურ კანონს.

3. თუ ფედერალური კანონის მიღების მომენტიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უარყოფს მას, სახელმწიფო სათათბირო და ფედერაციის საბჭო, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით დადგენილი წესით, კვლავ განიხილავენ მოცემულ კანონს. თუ ხელახალი განხილვისას ფედერალური კანონი მოწონებული იქნება თავდაპირველად მიღებული რედაქციით ფედერაციის საბჭოს წევრთა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმების არანაკლებ ორი მესამედით, მას შვიდი დღის განმავლობაში ხელი უნდა მოაწეროს და გამოაქვეყნოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

მუხლი 108

1. ფედერალური კონსტიტუციური კანონები მიიღება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე.

2. ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ იგი მოწონებულ იქნა ფედერაციის წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა არა ნაკლებ სამი მეოთხედისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმათა არა ნაკლებ ორი მესამედის მიერ. მიღებული კონსტიტუციური კანონი თოთხმეტი დღის განმავლობაში ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელმოწერასა და გამოქვეყნებას.

მუხლი 109

1. სახელმწიფო სათათბირო შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 111-ე და 117-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ნიშნავს არჩევნების თარიღს იმის გათვალისწინებით, რომ ახლად არჩეული სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბოს დათხოვნის მომენტიდან არა უგვიანეს ოთხი თვის ვადაში.

3. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 117-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით, სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს მისი არჩევიდან ერთი წლის განმავლობაში.

4. სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენების მომენტიდან ფედერაციის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. სახელმწიფო სათათბირო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე საომარ ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

თავი 6. რუსეთის ფედერაციის მთავრობა

მუხლი 110

1. აღმასრულებელ ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციაში ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობა შედგება რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და ფედერალური მინისტრებისაგან.

მუხლი 111

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე ინიშნება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შესახებ წინადადების შეტანა ხდება რუსეთის ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების, ან რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენებიდან არა უგვიანეს ორი კვირისა, ან სახელმწიფო სათათბიროს მიერ კანდიდატურის უარყოფიდან ერთი კვირის განმავლობაში.

3. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას სახელმწიფო სათათბირო განიხილავს კანდიდატურის შესახებ წინადადების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

4. სახელმწიფო სათათბიროს მიერ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის სამჯერ უარყოფის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ნიშნავს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს, დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს და ნიშნავს ახალ არჩევნებს.

მუხლი 112

1. დანიშვნიდან არა უგვიანეს ერთ კვირიან ვადაში რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სტრუქტურების შესახებ.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს სთავაზობს კანდიდატურებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და ფედერალური მინისტრების თანამდებობებზე.

მუხლი 113

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ფედერალური კანონებისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებების შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე განსაზღვრავს რუსეთის ფედერაციის მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ორგანიზებას უწევს მის მუშაობას.

მუხლი 114

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობა:

ა) შეიმუშავებს და სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს ფედერალურ

ბიუჯეტს და უზრუნველყოფს მის შესრულებას; სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს ანგარიშს ფედერალური ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ბ) უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციაში ერთიანი საფინანსო, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის გატარებას;

ვ) უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციაში კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ეკოლოგიის დარგებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას;

გ) ახორციელებს ფედერალურ საკუთრებაში არსებული ქონების მართვას;

დ) ახორციელებს ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომებს;

ე) ახორციელებს კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომებს;

ჟ) ახორციელებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით, ფედერალური კანონებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულებებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის საქმიანობის წესი განისაზღვრება ფედერალური კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 115

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის, ფედერალური კანონების, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ნორმატიული ბრძანებულებების საფუძველზე და მათ აღსასრულებლად, რუსეთის ფედერაციის მთავრობა გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, უზრუნველყოფს მათ აღსრულებას.

2. რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება რუსეთის ფედერაციაში სავალდებულოა.

3. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან, ფედერალურ კანონებთან ან რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები შეიძლება გაუქმებულ იქნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 116

რუსეთის ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე რუსეთის ფედერაციის მთავრობა იხსნის თავის უფლებამოსილებებს.

მუხლი 117

1. რუსეთის ფედერაციის მთავრობას შეუძლია, გადადგეს, რასაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მიიღებს ან უარყოფს.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს შეუძლია, მიიღოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების გადაწყვეტილება.

3. სახელმწიფო სათათბიროს შეუძლია, გამოუცხადოს უნდობლობა რუსეთის ფედერაციის მთავრობას. დადგენილება რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ მიიღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული რაოდენობის ხმათა უმრავლესობით. რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის სახელმწიფო სათათბიროს მიერ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი

უფლებამოსილია, გადააყენოს რუსეთის ფედერაციის მთავრობა ან არ დაეთანხმოს სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ სამი თვის განმავლობაში სახელმწიფო სათათბირო რუსეთის ფედერაციის მთავრობას კიდევ ერთხელ გამოუცხადებს უნდობლობას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი აცხადებს მთავრობის გადაყენების შესახებ ან დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს.

4. რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარეს შეუძლია, სახელმწიფო სათათბიროს წინაშე დააყენოს რუსეთის ფედერაციის მთავრობისადმი ნდობის საკითხი. თუ სახელმწიფო სათათბირო უარს იტყვის ნდობის გამოცხადებაზე, პრეზიდენტი შვიდი დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების ან სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

5. გადადგომის ან უფლებამოსილებათა მოხსნის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დავალებით, აგრძელებს თავის საქმიანობას რუსეთის ფედერაციის ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

თავი 7. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 118

1. მართლმსაჯულება რუსეთის ფედერაციაში ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ.

2. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციური, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების მეშვეობით.

3. რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემა დგინდება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და ფედერალური კონსტიტუციური კანონით. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 119

მოსამართლეები შეიძლება იყვნენ 25 წლის ასაკს მიღწეული, უმაღლესი იურიდიული განათლების და იურიდიული პროფესიით სულ ცოტა, ხუთი წლის მუშაობის სტაჟის მქონე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. რუსეთის ფედერაციის სასამართლოების მოსამართლეთათვის ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 120

1. მოსამართლეები დამოუკიდებულნი არიან და მხოლოდ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონს ემორჩილებიან.

2. საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს რა სახელმწიფო ან სხვა ორგანოს აქტის შეუსაბამობას კანონთან, კანონის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 121

1. მოსამართლეები შეუცვლელნი არიან.

2. მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა ან შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ ფედერალური კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

მუხლი 122

1. მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან.

2. არ შეიძლება მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, თუ არა ფედერალური კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 123

1. ყველა სასამართლოში საქმეთა განხილვა ღია. საქმის მოსმენა დახურულ სხდომაზე დაიშვება ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა დაუსწრებელი განხილვა არ დაიშვება, გარდა ფედერალური კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.

4. ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართალწარმოება ხორციელდება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მუხლი 124

სასამართლოების დაფინანსება მხოლოდ ფედერალური ბიუჯეტიდან ხორციელდება და იგი უნდა უზრუნველყოფდეს ფედერალური კანონის შესაბამისად მართლმსაჯულების სრული და დამოუკიდებელი განხორციელების შესაძლებლობას.

მუხლი 125

1. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 19 მოსამართლისაგან.

2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, ფედერაციის საბჭოს წევრთა ან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ერთი მეხუთედის, რუსეთის ფედერაციის მთავრობის, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიმართვის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან:

ა) ფედერალური კანონების, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის ნორმატიული აქტების შესაბამისობის შესახებ;

ბ) რესპუბლიკათა კონსტიტუციების, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების წესდებებისა, აგრეთვე კანონებისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გამგებლობის და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი გამგებლობის საკითხებზე, გამოცემული სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის შესახებ;

в) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულებების, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის არსებული ხელშეკრულებების შესაბამისობის შესახებ;

г) ძალაში არ შესული რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის შესახებ.

3. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს დავებს

კომპეტენციის შესახებ:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შორის;

ბ) რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის;

ვ) რუსეთის ფედერაციის სუბიექტების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს შორის.

4. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ საჩივრებისა და სასამართლოების მიმართვის საფუძველზე ფედერალური კანონით დადგენილი წესით რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ან გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობას.

5. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების მიმართვის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის განმარტებას.

6. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები ან აქტების ცალკეული დებულებები ძალას კარგავენ; რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან შეუსაბამო რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები არ ექვემდებარება ამოქმედებას და გამოყენებას.

7. ფედერაციის საბჭოს მიმართვის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდების წაყენების დადგენილი წესის დაცვის შესახებ.

მუხლი 126

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული და საერთო იურისდიქციის სასამართლოების განსჯად სხვა საქმეებზე, ფედერალური კანონით გათვალისწინებულ პროცესუალურ ფორმებში ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას საერთო იურისდიქციის სასამართლოების საქმიანობაზე და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე იძლევა განმარტებებს.

მუხლი 127

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო არის ეკონომიკური დავებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განსახილველი სხვა საქმეების უმაღლესი სასამართლო ორგანო, ფედერალური კანონით გათვალისწინებულ პროცესუალურ ფორმებში ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობაზე და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე იძლევა განმარტებებს.

მუხლი 128

1. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან ფედერაციის საბჭოს მიერ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით.

2. სხვა ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ფედერალური კანონით დადგენილი წესით.

3. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოსა და სხვა ფედერალური სასამართლოების უფლებამოსილებანი, შექმნისა და საქმიანობის წესი ფედერალური კონსტიტუციური კანონით დგინდება.

მუხლი 129

1. რუსეთის ფედერაციის პროკურატურა წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელშიც ქვემდგომი პროკურორები ექვემდებარებიან ზემდგომებსა და რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს.

2. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით, თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ფედერაციის საბჭოს მიერ.

3. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების პროკურორები ინიშნებიან რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მიერ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან შეთანხმების საფუძველზე.

4. სხვა პროკურორები ინიშნებიან რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მიერ.

5. რუსეთის ფედერაციის პროკურატურის უფლებამოსილებები, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი ფედერალური კანონით განისაზღვრება.

თავი 8. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 130

1. რუსეთის ფედერაციაში ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას, მუნიციპალური საკუთრების დამოუკიდებლად ფლობას, სარგებლობასა და გამგებლობას.

2. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მოქალაქეების მიერ რეფერენდუმის, არჩევნების, ნების გამოხატვის სხვა პირდაპირი ფორმების გზით, არჩევითი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოების მეშვეობით.

მუხლი 131

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ქალაქის, სოფლის დასახლებებსა და სხვა ტერიტორიებში ისტორიული და სხვა ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურა დამოუკიდებლად განისაზღვრება მოსახლეობის მიერ.

2. იმ ტერიტორიების საზღვრების შეცვლა, რომელშიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა, დაიშვება შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

მუხლი132

1. ადგილობრივი თავითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად მართავენ მუნიციპალურ საკუთრებას, აყალიბებენ, ამტკიცებენ და ასრულებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, ადგენენ ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, წყვეტენ ადგ-

ილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებს.

2. კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ ცალკეული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებები მათი განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური საშუალებების გადაცემით. გადაცემულ უფლებამოსილებათა რეალიზაცია სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება.

მუხლი 133

ადგილობრივი თვითმმართველობა რუსეთის ფედერაციაში გარანტირებულია სასამართლო დაცვის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად განხორციელებული დამატებითი ხარჯების კომპენსაციის უფლებებით, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციათა და ფედერალური კანონებით დადგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა შეზღუდვის აკრძალვით.

თავი 9. კონსტიტუციური შესწორებები და კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 134

წინადადებები რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესწორებების ან გადასინჯვის შესახებ შეიძლება შეიტანონ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ფედერაციის საბჭომ, სახელმწიფო სათათბირომ, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითმა) ორგანოებმა, აგრეთვე ფედერაციის საბჭოს წევრთა ან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ერთი მეხუთედისაგან შემდგარმა ჯგუფმა.

მუხლი 135

1. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პირველი, მე-2 და მე-9 თავების დებულებები არ შეიძლება გადასინჯულ იქნეს ფედერალური კრების მიერ.

2. თუ წინადადებას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პირველი, მე-2 და მე-9 თავების დებულებათა გადასინჯვის შესახებ მხარს დაუჭერს ფედერაციის საბჭოს წევრთა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმათა სამი მეხუთედი, ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, მოიწვევა საკონსტიტუციო კრება.

3. საკონსტიტუციო კრება ან ადასტურებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შეუცვლელობას ან შეიმუშავებს რუსეთის ფედერაციის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც მიიღება საკონსტიტუციო კრების მიერ მის წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედით ან საკითხი გადის საყოველთაო სახალხო კენჭისყრაზე. საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარებისას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა იმ პირობით, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 136

შესწორებები რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-3 — მე-8 თავებში მიიღება ფედერალური კონსტიტუციური კანონის მიღებისათვის დად-

გენილი წესით და ძალაში შედის რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ ხმათა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობის შემდეგ.

მუხლი 137

1. ცვლილებები რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 65-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობას, შეიტანება რუსეთის ფედერაციაში მიღებისა და მის შემადგენლობაში რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიექტების შექმნის, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციურ - სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შესახებ ფედერალური კონსტიტუციური კანონის საფუძველზე.

2. რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ახალი სახელწოდება ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 65-ე მუხლში შეტანას.

კარი მეორე
დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. საერთო სახალხო კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია ძალაში შედის მის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

საერთო სახალხო კენჭისყრის დღე 1993 წლის 12 დეკემბერი ითვლება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მიღების დღედ.

იმავდროულად წყდება 1978 წლის 12 აპრილს მიღებული რუსეთის ფედერაციის - რუსეთის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) და მისი მომდევნო ცვლილებებისა და დამატებების მოქმედება.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებებთან ფედერალური ხელშეკრულებების დებულებების, სახელდობრ, ხელშეკრულებისა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი სუვერენული რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის გამგებლობის საგანთა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, ხელშეკრულებისა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის მხარეების, ოლქების, ქალაქების მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის გამგებლობის საგანთა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, ხელშეკრულებისა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის გამგებლობის საგანთა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებსა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დადებულ სხვა ხელშეკრულებების — რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დებულებები.

2. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედი კანონების და სხვა სამართლებრივი აქტების ის ნაწილი გამოიყენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას.

3. რუსეთის ფედერაციის - რუსეთის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად არჩეული რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან მასში დადგენილ უფლებამოსილებებს ახორციელებს იმ ვადის ამოწურვამდე, რომლითაც ის იყო არჩეული.

4. მინისტრთა საბჭო - რუსეთის ფედერაციის მთავრობა ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან იძენს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის დადგენილ უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას და შემდგომი მისი სახელწოდება იქნება - რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

5. სასამართლოები რუსეთის ფედერაციაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ ამ კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილებების შესაბამისად.

კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ყველა სასამართლოს მოსამართლეები ინარჩუნებენ თავის უფლებამოსილებებს იმ ვადის ამოწურვამდე, რომლითაც ისინი იყვნენ არჩეულნი. ვაკანტური თანამდებობების დაკავება ხდება ამ კონსტიტუციით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ვიდრე არ ამოქმედდება ფედერალური კანონი, რომელიც ადგენს სასამართლოს მიერ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის წესს, შენარჩუნებულია შესაბამისი საქმეების სასამართლო განხილვის ძველი წესი.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამ კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანამდე შენარჩუნებულია დაპატიმრების, პატიმრობაში ყოფნისა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა დაკავების ძველი წესი.

7. პირველი მოწვევის ფედერაციის საბჭო და პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბირო აირჩევა ორი წლის ვადით.

8. ფედერაციის საბჭო პირველ სხდომაზე იკრიბება არჩევიდან ოცდამეათე დღეს. ფედერაციის საბჭოს პირველ სხდომას ხსნის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

9. სახელმწიფო სათათბიროს პირველი მოწვევის დეპუტატი იმავდროულად შეიძლება იყოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებზე - რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრებზე არ ვრცელდება ამ კონსტიტუციის დებულებები დეპუტატთა ხელშეუხებლობის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეხება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებულ მოქმედებას (ან უმოქმედობას).

ფედერაციის საბჭოს პირველი მოწვევის ღეპუტატები თავის უფლებამოსილებებს ახორციელებენ დროებით საფუძველზე.

უნგრეთის
რესპუბლიკა



ზურაბ ჯიბლაშვილი

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — უნგრეთის რესპუბლიკა;

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის ცენტრალური ნაწილი;

ფართობი — 93 ათასი კვ. კმ.;

მოსახლეობა — 10.319 მილიონი. მოსახლეობის 95% შეადგენენ უნგრელები; ბოშები - 2%; გერმანელები - 1,2%; ებრაელები - 1%; რუმინელები - 0,8%; სლოვაკები - 0,4%; ხორვატები - 0,2%; სერბები - 0,2%; უკრაინელები - 0,1%.

უნგრეთი 2004 წლის პირველ ივნისიდან არის ევროპის კავშირის წევრი ქვეყანა. 2004 წლის 20 დეკემბერს კი უნგრეთის სახელმწიფო კრებამ, ევროპის კავშირის წევრი ქვეყნებიდან მეორემ, მოახდინა ევროპის კავშირის კონსტიტუციის ტექსტის რატიფიცირება.

უნგრეთი, რომელმაც პოსტსოციალისტურ ევროპაში პირველმა განახორციელა ძირეული კონსტიტუციური ცვლილებები, იქცა საზოგადოებრივი წყობილების ევოლუციური გზით ძირფესვიანად შეცვლის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. ამით მან სოციალისტური ევროპის სივრცეში დემოკრატიული პროცესების სტიმულირება გამოიწვია. თუმცა ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივ-კონსტიტუციური განვითარება, ისტორიული სიმძიმეების შესაბამისად, მრავალი სირთულით ხასიათდებოდა.

1. ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების ძირითადი ეტაპები

1918 წელს ავსტრო-უნგრეთის იმპერიისაგან გამოყოფის შემდეგ, უნგრეთში დამყარდა კომუნისტური რეჟიმი. 1919 წელს სრულიად უნგრეთის საბჭოების ყრილობამ 23 ივნისს მიიღო უნგრეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ხასიათდებოდა რუსეთის სფსრ-ის კონსტიტუციის არსებითი გავლენით. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამხობის შემდეგ შეჩერდა აღნიშნული კონსტიტუციის მოქმედება და ქვეყანაში დამყარდა ავტორიტარული — ფაშისტური რეჟიმი. მეორე მსოფლიო ომშიც უნგრეთი გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა, რომლის დამარცხების შემდეგაც, ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს ზრდის შესაბამისად, 1949 წელს უნგრეთში კვლავ დამყარდა სოციალისტური ხელისუფლება. ომის შემდგომ, ხანმოკლე „გარდამავალ პერიოდში", კერძოდ კი 1946 წელს I კანონის „სახელმწიფო წყობილების შესახებ" მიღების შედეგად ჩამოყალიბდა რიგი დემოკრატიული ინსტიტუტებისა. ქვეყანაში კი თანდათან ძლიერდებოდა სსრკ-ის „მეგობარი" უნგრეთის კომუნისტების გავლენა და 1949 წელს ძალაუფლება მთლიანად გადავიდა მათ ხელში. 1949 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო კრებამ (რომელმაც — 15 აგვისტოს უნგრეთი გამოაცხადა სახ-

ალხო რესპუბლიკად), კონსტიტუცია მიიღო (1949 წლის II კანონით). ამ აქტში 1972 წელს შეტანილ იქნა მრავალი პრინციპული ცვლილება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთი იმდროინდელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან 1956 წელს ოქტომბრის მოვლენების შემდგომ ყველაზე მეტი ლიბერალიზმით ხასიათდებოდა, მისი კონსტიტუცია მაინც რჩებოდა ერთიანი სოციალისტური კონსტიტუციების იდეოლოგიურ თარგზე გამოჭრილ ძირითად კანონად.

1989 წლიდან ქვეყანაში გარდამავალ ფაზაში შევიდა დემოკრატიული მოძრაობა. შესაბამისად, კონსტიტუციაში შევიდა რიგი პრინციპული ცვლილებები, რომლებმაც ბუნებრივად გამოიწვია უნგრეთის მუშათა სოციალისტური პარტიის (ადგილობრივი კომუნისტები) ჰეგემონიის დამხობა და მრავალპარტიული სისტემის დანერგვა. 1989 წლის XXXI კანონით განხორციელდა სერიოზული კონსტიტუციური რეფორმა — მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციონალიზაცია, დამკვიდრდა რეფერენდუმის ინსტიტუტი, გამყარდა სახელმწიფო კრების უფლებამოსილებები და მის თავმჯდომარეს გადაეცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის რიგი უფლებამოსილებები, მოქალაქეთა უფლება, გაერთიანებებსა და შეკრებებზე, განთავისუფლებული იქნა „სოციალისტური მიზნებისაგან" და ა.შ. იმავე წლის აპრილში კონსტიტუციაში ჩაიდო სახელმწიფო კრების წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობლობის მექანიზმი უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის სახით; ოქტომბერში განხორციელდა ყველაზე მასშტაბური კონსტიტუციური რეფორმა და პრაქტიკულად კონსტიტუციის ახალი ტექსტი იქნა მიღებული: უმთავრესი, რაც ამ რეფორმას მოჰყვა შედეგად, ეს იყო კონსტიტუციის ტექსტის სოციალისტური ფასეულობებისაგან სრული დეიდეოლოგიზაცია; გარდა ამისა, რესპუბლიკის პრეზიდიუმი ჩანაცვლებულ იქნა სახელმწიფოს მეთაურის ინდივიდუალური ინსტიტუტით — პრეზიდენტით, დაფუძნდა სახელმწიფო კრების რწმუნებულის (ომბუდსმენის) სამოქალაქო ინსტიტუტი, მოხდა სასამართლო და პროკურატურის სისტემების დეპოლიტიზაცია, სრულიად ახლებურად იქნა გააზრებული ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა და ა.შ.[1]

2. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები; კონსტიტუციის სტრუქტურა და მისი გადასინჯვის წესი

უნგრეთის რესპუბლიკა კონსტიტუციის პირველი და მე-2 პარაგრაფების თანახმად, დეკლარირებულია დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ, რომლის მმართველობის ფორმაც არის რესპუბლიკა. ხელისუფლების ერთადერთ და უზენაეს წყაროდ კი მიჩნეულია ხალხი, რომელიც სახელმწიფოს მართვის ფუნქციას ახროციელებს როგორც წარმომადგენლების მეშვეობით, ასევე უშუალოდ.

კონსტიტუცია ამკვიდრებს ისეთ დემოკრატიულ ფასეულობებს, როგორებიცაა კონსტიტუციის უზენაესობა; მრავალპარტიულობა; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა და დაცვა, ამასთანავე, კონსტიტუციის §8-ის პირველი აბზაცით ადამიანის უფლებათა დაცვას აცხადებს

1. *Страшун Б.А. Конституционные перемены в Восточной Европе 1989-90Г; М. 1995. Стр. 85-86.*

სახელმწიფოს მთავარ ამოცანად; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან შიდა სამართლის შესაბამისობა; საჯარო და კერძო საკუთრების თანასწორობა. თითოეული კონსტიტუციური პრინციპი შემდგომ კონსტიტუციის ტექსტში განივრცობა კონკრეტულ დებულებებში.

კონსტიტუციის სტრუქტურა ფრიად მარტივია და იგი შედგება თხუთმეტი განყოფილებისაგან და პარაგრაფებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი იყოფიან აბზაცებად. მარტივადაა გააზრებული აგრეთვე კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურაც და მის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. ამ თვალსაზრისით, უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიეკუთვნება „მოქნილი კონსტიტუციების" ჯგუფს.

3. პარტიული სისტემა

კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრეობის შიშით უნდა აიხსნას ალბათ ის მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიების საქმიანობასთან მიმართებაში. პარტიები მონაწილეობენ ხალხის ნების ფორმირებასა და გამოხატვაში, თუმცა მათ არ შეუძლიათ, უშუალოდ განახორციელონ სახელმწიფო-ადმინისტრაციული ხელისუფლება; არც ერთი პარტია არ არის უფლებამოსილი, მართოს რომელიმე სახელმწიფო ორგანო.

ქვეყანაში პოლიტიკურ ასპარეზზე მეტ-ნაკლები გავლენით გამოირჩევა რამდენიმე პარტია, რომლებიც ხასიათდებიან მყარი იდეოლოგიური საფუძვლებით. ქვეყნის პარტიული სისტემა ხასიათდება ორი, მონაცვლეობითი დომინანტი პარტიის არსებობით.

1) ამჟამად მმართველი კოალიციის ლიდერს ***„უნგრეთის სოციალისტურ პარტიას"*** (***უსპ***) უნგრული პოლიტიკის მემარცხენე ფრთაზე დღეისათვის დომინირებული მდგომარეობა უკავია. იგი ფორმალურად არის უნგრეთის მუშათა სოციალისტური პარტიის (კომუნისტების) მემკვიდრე, რომელსაც ამჟამად პრაქტიკულად არაფერი აკავშირებს ამ იდეოლოგიასთან. დღეისათვის ეს პარტია არის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მატარებელი. 2002 წლის 7 და 21 აპრილის არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 42.1% და სახელმწიფო კრებაში - 178 მანდატი. პარტიის ლიდერია ამჟამად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ***ფერენც დურჩანი***.

2) მეორე დომინატი პარტია, რომელსაც დღეისათვის აკისრია მემარჯვენე ძალების ლიდერის ფუნქცია, არის ***„ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირი — უნგრეთის სამოქალაქო პარტია*** (***ადკ-უსპ***) 1989 წელს მშვიდობიანი რევოლუციის კვალდაკვალ აღმოცენდა. 1990 წლის სახელმწიფო კრების არჩევნებში პარტიამ მოიპოვა ხმათა მხოლოდ 5,5% და 21 მანდატი. ეს პარტია 1990 წლის მოწვევის სახელმწიფო კრებაში თავისუფალ დემოკრატთა კავშირის მოკავშირე იყო, თუმც მათი გზები გაიყარა 1995 წელს, როდესაც ახალგაზრდა დემოკრატებმა სხვა მემარჯვენე პარტიებთან ერთად მხარი დაუჭირა პრეზიდენტობის ალტერნატიულ კანდიდატს — ***ფერენც მადლს***. ამის შემდეგ კი ეს პარტია დამოუკიდებლად გაძლიერდა და 1998 წელს უკვე ხმათა 28.2% და 148 მანდატი მიიღო, რის შედეგადაც სათავეში ჩაუდგა მემარჯვენე-ცენტრისტულ სამთავრობო კოალიციას, ხოლო მისმა

ლიდერმა *ჟიქტორ ორბანმა* კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის საკარძელი დაიკავა. საარჩევნო ბლოკი *ადკ-უსპ* მეთაურობით 2002 წლის არჩევნებში[2] მართალია პირველ ადგილზე გავიდა, მიიღო რა ხმათა 41.1% და 188 მანდატი, მაგრამ საერთო ჯამში მან საპარლამენტო უმრავლესობა დათმო *სპ* და *თდკ*-ს კოალიციასთან.

3) *„თავისუფალ დემოკრატთა კავშირი“* (*თდკ*) — მმართველი მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის მეორე სუბიექტი, რომელიც ეფუძნება ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობებს. ეს პოლიტიკური გაერთიანება არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული გავლენიანობით, მაგრამ გდამწყვეტ როლს თამაშობს ხოლმე კოალიციების ფორმირებაში. ამიტომაც ეს პოლიტიკური გაერთიანება ჯერ 1994-98წწ., ხოლო შემდეგ უკვე 2002 წლის არჩევნების შემდეგ სოციალისტური პარტიის პარტნიორია სამთავრობო კოალიციაში. 2002 წლის სახელმწიფო კრების არჩევნებში მიიღო ხმათა მხოლოდ 5.5% და 20 მანდატი.

4) *„უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი“* (*უდფ*) — პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდგომ ქვეყნის მმართველი (მემარჯვენე) კოალიციის ლიდერი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 42,7% და 165 მანდატი მიიღო. 1990 წლის მაისიდან *წმამდ*-სა და *ქდსპ*-სთან ერთად *იოჟეფ ანტალის* ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მთავრობა. ანტალი გარდაიცვალა თანამდებობაზე ყოფნის დროს 1993 წლის 12 დეკემბერს, რის შემდეგაც დაიწყო ორგანიზაციის დასუსტება და 2002 წლის არჩევნებში იგი უკვე მემარჯვენე პოლიტიკურ ძალთა მიერ ფორმირებული საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი იყო, რომელმაც მხოლოდ 24 მანდატის მოპოვება შეძლო, ხოლო დღეისათვის ფრაქცია ითვლის მხოლოდ 8 წევრს.

5) *„ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ (ქდსპ)* — ეს პარტია ტრადიციულად მემარჯვენეთა ფლანგზე მოღვაწეობს. ამიტომაც, მისთვის შესაძლებელი აღმოჩნდა კოალიციის შექმნა როგორც ანტალის *უდფ*-სთან 1990-94 წლებში, ასევე *ადკ-უსპ*-სთან 1998-2002წწ. პარტიამ 2002 წლის არჩევნებში ბლოკის შემადგენლობაში ვერ შეძლო ვერცერთი მანდატის მოპოვება.

2002 წლის სახელმწიფო კრების არჩევნების შედეგების მიხედვით მის გარეთ დარჩენილი მეტ-ნაკლებად გავლენიანი პარტიებია — რადიკალ მემარჯვენეთა *„უნგრეთის სამართლიანობისა და სიცოცხლის პარტია“* (*უსსპ*); *„ცენტრის პარტია“* (*ცპ*); კომუნისტები *„მუშათა პარტიის“* (*მპ*) სახელწოდებით და *„წვრილ მეწარმეთა, აგრარიკოსთა და მოქალაქეთა დამოუკიდებელი პარტია“* (*წმამდ*), რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხანმოკლე უნგრულ დემოკრატიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური გაერთიანება იყო. მადლის კანდიდატურაც სწორედ მათ მიერ იქნა დასახელებული პრეზიდენტის პოსტზე ჯერ 2000[3], ხოლო შემდეგ კი 2005[4] წლებში; ციგანთა კავშირი *„ლუნგო დრომი“* და ა.შ.

---

2. ბლოკში ადკ-უსპ-სთან ერთად გამოდიოდნენ უდფ, ქდსპ და ბოშათა კავშირი — „ლუნგო დრომი“. საკუთრივ ადკ-უსპ მოიპოვა 164 მანდატი.

3. Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; Журн. Конституционный мониторинг: Хорватия; №3 (12) 1995г стр.67.

4. Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; Журн. Конституционный мониторинг: Венгрия; №3 (33) 2000г. стр.103.

დღეისათვის სახელმწიფო კრებაში ‘ძექმნილია 4 ფრაქცია – *უნგრეთის სოციალისტური პარტიის* – 178 წევრი (46%), *ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირის – უნგრეთის სამოქალაქო პარტიის* – 168 წევრი (44%), *თავისუფალ დემოკრატთა კავშირის* – 20 წევრი (5%) და ყველაზე მცირერიცხოვანი – 8 წევრით (2%) *უნგრეთის დემოკრატიული ფორუმის* ფრაქციები. დამოუკიდებელი დეპუტატების რაოდენობა, რომლებიც არცერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი, შეადგენს 12-ს (3%).[5]

4. უნგრეთის რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

უნგრეთის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა – მათი ფორმირებისა და ურთიერთობების წესები, თითოეული მათგანის როლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციურ განხორციელებაში პარლამენტარიზმის კონცეფციაზეა დაფუძნებული. ამ სისტემაში კონსტიტუცია ნათლად განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფო ორგანოს უფლებებსა და ვალდებულებებს, მის ფარგლებს. კონსტიტუციური ნორმების ამგვარი სტრუქტურა გამორიცხავს ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციის განაწილებაზე ორაზროვნებებს და ამ ნორმებში ე.წ. „ნაგულისხმევი“ უფლებების ინტერპრეტაციას. მიუხედავად ამისა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა ურთიერთობა დაძაბულობის გარეშე, არადინამიურობითა და მონოტონურობით ხასიათდებოდა. უნგრეთში 1989-90-იან წლებში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებით დანერგილი ხელისუფლების ორგანიზაციის საპარლამენტო სისტემა მაინც განიცდიდა სოციალისტური პოლიტიკური მენტალობის წნეხს და ამ სისტემას პრაქტიკაში გამოწრთობა, ხოლო ახალ უნგრულ დემოკრატიულ პოლიტიკურ ცნობიერებას კი მასთან ადაპტაცია სჭირდებოდა. სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მსგავსად, გარკვეული დროის მანძილზე, უნგრეთშიც პოლიტიკურად ვნებიანად მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად პარლამენტ-პრეზიდენტ-მთავრობის ტრიადაში. ამ ურთიერთობების განსაზღვრისა და კონსტიტუციურ კალაპოტში ჩაყენების თვალსაზრისით, მათ შორის ძალაუფლების გაყოფის თაობაზე მიმდინარე დებატებში გადამწყვეტი როლი ითამაშა საკონსტიტუციო სასამართლომაც. მისმა გადაწყვეტილებებმა ფორმალურ-იურიდიულად ისედაც საპარლამენტო რესპუბლიკისათვის ტიპიურად სუსტ პრეზიდენტს არ მისცა თავისი ძალაუფლების გავლენის გაფართოების შესაძლებლობა. ამ გადაწყვეტილების შედეგი იყო საპრეზიდენტო ხელისუფლების მნიშვნელოვანი შესუსტება. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში მოქმედი პრეზიდენტი ***არპად გონცი*** აცხადებდა: „ამბობენ, რომ პარლამენტმა სუსტი პრეზიდენტი აირჩია[6]. (დამიჯერეთ) მე მთლად სუსტი არა ვარ“[7]. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, როდესაც მან „ერთმნიშვნელოვნად უარყო პრეზიდენტის პოზიცია, რომ იგი (პრეზიდენტი) აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი იყო.“[8]

5. http://www.mkogy.hu/parl_en.htm

6. აქ საუბარია არა პიროვნულ, არამედ ინსტიტუციონალურ სისუსტეზე.

7. ჰერმან შვარცი; კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; თბ. 2003. გვ. 415. შენიშვნა 49.

8. ჰერმან შვარცი. დს. ნაშ. გვ 150.

ამავე გადაწყვეტილებებმა იმავდროულად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის ინსტიტუციონალურ სისტემაში პოლიტიკური ურთიერთობების წესები. ყოველივე ამის პარალელურად განმტკიცება იწყო პრემიერის ძალაუფლებამ. როგორც ანდრაშ შაიო აღნიშნავს, „უნგრეთის კონსტიტუციამ ერთპალატიანი პარლამენტი გამოაცხადა ხელისუფლების ერთ ცალკე განშტოებად, ხალხის სუვერენიტეტიდან გამომდინარე, ძალაუფლების კურატორად...“[9] შაიოსავე თქმით, ბრიტანული პარლამენტარიზმის მსგავსად, აღმოსავლეთ ევროპის არასაპრეზიდენტო დემოკრატიების უმრავლესობა (უნგრეთიც) სწრაფად მიექანება დემოკრატიული მინისტრთა კაბინეტის დიქტატურისაკენ და „უნგრეთის მსგავს კონსტიტუციურ სისტემაში... გარდაუვალია ევოლუცია მინისტრთა კაბინეტის დიქტატურისაკენ“[10]. ეს ტენდენცია საზოგადოებისათვის უფრო თვალში საცემი გახდა 1998-2002 წწ. მემარჯვენე ორბანის (*ფიდეზი*) პრემიერობის პერიოდში (ქვეყანაში გატარებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად), რაც გახდა კიდეც 2002 წლის სახელმწიფო კრების არჩევნებში სოციალისტებთან მისი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი. მინისტერიალიზმის, როგორც პოტენციურად მყარი რეჟიმის სიმპტომები, ჯერ კიდევ 1995 წელს შეიმჩნეოდა, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ, *წამდპ*-მ დასვა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევისა და შესაბამისად, მისი უფლებამოსილებების გაფართოების საკითხი. მისი ამგვარი პოზიციის მოტივაცია მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა იყო.

ა) სახელმწიფო კრება

კონსტიტუციის §19-ის პირველი პუნქტით სახელმწიფო კრება გამოცხადებულია უნგრეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და სახალხო წარმომადგენლობის უმაღლეს ორგანოდ. სახელმწიფო კრება ერთადერთი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ფორმირდება პირდაპირი არჩევნებით. ამდენად ლოგიკურია, რომ იგი არის სახალხო სუვერენიტეტის გამომხატველი ერთადრთი ორგანო (რომელიც საკანონმდებლო უზენაესობაში შეზღუდულია მხოლოდ რეფერენდუმით) და ახორციელებს მისგან მომდინარე ყველა უფლებას. სახელმწიფო კრება თავისი კონკრეტული უფლებამოსილებების განხორციელებით განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომელსაც ახორციელებს მთავრობა. კერძოდ, ***საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საშინაო პოლიტიკის სფეროში:*** სახელმწიფო კრება ახორციელებს კანონშემოქმედებით საქმიანობას — იღებს უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს; იღებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს; განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმას და ა.შ.

სახელმწიფოს სხვა ცენტრალურ ორგანოებთან ურთიერთობისა და საკადრო-პერსონალური საკითხების გადაწყვეტის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი როლი მთავრობის ფორმირების პროცესში და მისი საკონტროლო უფლებამოსილებები ამ უკანასკნელთან მიმართებაში; ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს, აგრეთვე სახელმწიფო კრების რწმუნებულებს, საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, უზენაესი სასა-

9. ანდრაშ შაიო; ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თბ. 2003; გვ. 4-5.
10. ანდრაშ შაიო. დას ნაშ. გვ. 5

მართლოს თავმჯდომარეს და გენერალურ პროკურორს, საკონსტიტუციო სასამართლოს თერთმეტ წევრს.

საგარეო-პოლიტიკურ უფლებამოსილებათა სფეროში აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო კრება თავად დებს რესპუბლიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგანგებო უფლებამოსილებათა სფეროში სახელმწიფო კრებას, აქვს საომარი, საგანგებო და ეროვნული კრიზისის მდგომარეობის რეგულირების უფლება. წყვეტს სამხედრო და პოლიციის ძალების გამოყენების საკითხს როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სახელმწიფო კრება აგრეთვე *აცხადებს ამნისტიას.*

ის როლი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, რომელიც კონსტიტუციით მინიჭებული აქვს სახელმწიფო კრებას და შესაბამისად, მისით განსაზღვრული უფლებამოსილებები, სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური ერთიანობის პრინციპს განამტკიცებს და ამავდროულად, ფორმალურად მას ხელისუფლების სისტემაში დომინირებულ განმტოებად ხდის. თავისი კომპეტენციით უნგრეთის სახელმწიფო კრება, მიუხედავად ფართო უფლებამოსილებებისა, მიეკუთვნება განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტების რიცხვს.

კონსტიტუცია დაწვრილებით არეგულირებს საომარი, საგანგებო და ეროვნული კრიზისის მდგომარეობას. ამ სფეროებში სახელმწიფო კრება წყვეტს საომარი მდგომარეობის გამოცხადების და ზავის დადების საკითხებს; საომარი მდგომარეობის ან სხვა სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის უშუალო საფრთხის (სამხედრო საფრთხის) შემთხვევაში, აცხადებს ეროვნული კრიზისის მდგომარეობას და ქმნის თავდაცვის საბჭოს; კონსტიტუციური წყობის დამხობის ან ხელისუფლების უზურპაციისაკენ მიმართული საომარი მოქმედებების შემთხვევაში, აგრეთვე იარაღის გამოყენებით ჩადენილი მასობრივი მოქმედებებისას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეთა სიცოცხლესა და ქონებას, სტიქიური უბედურებების და სამრეწველო ავარიების შემთხვევაში აცხადებს განსაკუთრებულ მდგომარეობას. ამ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

სახელმწიფო კრების უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოხდება სახელმწიფო კრების დათხოვნა ან თვითდაშლა) და შესაბამისად, მისი ყოველი მორიგი არჩევნები ტარდება ეროვნული კრების არჩევნებიდან მეოთხე წლის აპრილის ან მაისის თვეში. სახელმწიფო კრების წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს არა კონსტიტუცია, არამედ „სახელმწიფო კრების დეპუტატთა არჩევნების შესახებ" 1989 წლის XXXIV კანონი (შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით). 1989 წლის 25 მარტის სახელმწიფო კრების არჩევნები ჩატარდა 4%-ანი საარჩევნო ბარიერით, ხოლო 1994 წლიდან ეს ზღვარი აწეული იქნა 5%-მდე. სახელმწიფო კრებაში აირჩევა სულ 386 დეპუტატი. ამათგან 176 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული წესით, 152 — მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პროპორციული წესით, ხოლო 58 — ასევე პროპორციული წესით ქვეყნის მასშტაბით ერთ მრავალმანდატიან ოლქში.

რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის, სახელმწიფო კრების თავმჯდომარისა და სახელმწიფო კრებაში წარმოდგენილი პარტიების ფრაქციების თავმჯდომარეების აზრის მოსმენის შემდეგ შეუძლია, დაითხოვოს სახელმწიფო კრება და იმავდროულად, დანიშნოს ახალი არჩევნები იმ შემთხვევაში, თუ ერთი მოწვევის სახელმწიფო კრებამ 12 თვის განმავლობაში არანაკლებ ოთხჯერ უარყო მთავრობის ნდობის საკითხი ან მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, პირველი კანდიდატურის წამოყენებიდან 40 დღის განმავლობაში, არ აირჩია პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა პრემიერ-მინისტრად. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მოქმედი მყარი პარტიული სისტემის გამო, დღემდე არც ერთხელ არ გამოუყენებია პრეზიდენტს სახელმწიფო კრების დათხოვნის უფლება. სახელმწიფო კრების უფლებამოსილების ამოწურვიდან, დათხოვნიდან ან თვითდათხოვნიდან სამი თვის განმავლობაში უნდა აირჩეს ახალი სახელმწიფო კრება. სახელმწიფო კრების საქმიანობა ხორციელდება ახალი სახელმწიფო კრების დამფუძნებელ სხდომამდე. საგანგებო და განსაკუთრებული მდგომარეობის დროს არ შეიძლება სახელმწიფო კრება დათხოვნილ იქნეს ან გამოაცხადოს თვითდათხოვნა. თუ სახელმწიფო კრების უფლებამოსილებები იწურება საგანგებო ან განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, მაშინ იგი გრძელდება ამ მდგომარეობის შეწყვეტამდე. ომის, ომის საფრთხის ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, მოიწვიოს დათხოვნილი ან თვითდათხოვნილი სახელმწიფო კრება. დეპუტატები შეზღუდული არ არიან იმპერატიული მანდატით და მოქმედებენ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. კონსტიტუცია ადგენს დეპუტატების საქმიანობის სამართლებრივი და სოციალური გარანტიების საფუძვლებს.

სახელმწიფო კრებაში მოქმედებს მუდმივმოქმედი კომისიები. კრება აგრეთვე უფლებამოსილია, კონკრეტული საკითხების განსახილველად შექმნას სპეციალური კომისიები. ამ უკანასკნელისათვის სავალდებულოა მის მიერ გამოთხოვილი მასალების წარდგენა, აგრეთვე ჩვენებების მიცემა.

სახელმწიფო კრების მუშაობის ფორმებია სესიები და სხდომები. იგი ყოველწლიურად მართავს ორ მორიგ სესიას: პირველი თებერვლიდან თხუთმეტ ივნისამდე და პირველი სექტემბრიდან თხუთმეტ დეკემბრამდე. სახელმწიფო კრების დამფუძნებელ სხდომას არჩევნებიდან ერთი თვის განმავლობაში იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტი. გათვალისწინებულია რიგგარეშე სესიის მოწვევაც. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით რესპუბლიკის პრეზიდენტს; მთავრობას; სახელმწიფო კრების კომისიასა და სახელმწიფო კრების დეპუტატს. კანონებს იღებს სახელმწიფო კრება. რესპუბლიკის პრეზიდენტი თხუთმეტი დღის განმავლობაში უზრუნველყოფს მიღებული კანონის გამოქვეყნებას. პრეზიდენტი სარგებლობს შეყოვნებითი ვეტოს უფლებით, მაგრამ თუ სახელმწიფო კრება კანონის განმეორებითი განხილვისას ხმათა იმავე უმრავლესობით მიიღებს კანონს, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია, ხელი მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი ხუთი დღის განმავლობაში. ამასთანავე, პრეზიდენტი უფლებამოსილია, კანონი მისი რომელიმე დებულების არაკონსტიტუციურობის მოტივით დასკვნისათვის გაგზავნოს საკონსტიტუციო სასამართლოში. თუ საკონსტი-

ტუციო სასამართლო კანონის რიგგარეშე წესით განხილვისას მას სცნობს არაკონსტიტუციურად, რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს აბრუნებს სახელმწიფო კრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია, ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს ხუთი დღის ვადაში.

სახელმწიფო კრების საკონტროლო უფლებამოსილებათა ფარგლებში დეპუტატები უფლებამოსილნი არიან, კითხვებით მიმართონ სახელმწიფო კრების რწმუნებულებს სამოქალაქო უფლებებზე და ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებზე, სახელმწიფო საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს, უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, აგრეთვე ინტერპელაციით ან შეკითხვით მიმართონ მთავრობას, მთავრობის წევრს, გენერალურ პროკურორს, მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საქმეზე.

კონსტიტუცია ითვალისწინებს უშუალო დემოკრატიის განხორციელების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა. საყოველთაო რეფერენდუმისა და სახალხო ინიციატივის საგანი შეიძლება იყოს სახელმწიფო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი. რეფერენდუმი შეიძლება ატარებდეს როგორც სავალდებულო (საყოველთაო რეფერენდუმი), ასევე სარეკომენდაციო ხასიათს. საყოველთაო რეფერენდუმი შეიძლება გაიმართოს არანაკლებ 200 000 ამომრჩეველის ინიციატივით. იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმი გამოცხადდა ჩატარებულად, მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა სახელმწიფო კრებისათვის. კონსტიტუციის §28/C შეიცავს იმ საკითხთა სრულ ჩამონათვალს, რომლებთან დაკავშირებითაც არ შეიძლება საყოველთაო რეფერენდუმის გამართვა.

რესპუბლიკაში ხშირია რეფერენდუმის გამართვის პრაქტიკა. ასე მაგალითად, 2003 წლის 12 აპრილს ქვეყნის ევროპის კავშირში გაერთიანებას რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა მონაწილეთა 83,76%-მა. ბოლო რეფერენდუმი კი გაიმართა 2004 წლის 5 დეკემბერს, როდესაც სარეფერენდუმოდ გატანილ იქნა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური უნგრელებისათვის მოქალაქეობის მინიჭებისა და სამკურნალო დაწესებულებების პრივატიზების საკითხები. თუმცა ამომრჩეველთა გამოცხადების დაბალი მაჩვენებლის (ამომრჩეველთა მხოლოდ 37% მიიღო რეფერენდუმში მონაწილეობა) გამო, რეფერენდუმი არ ჩაითვალა ჩატარებულად."[11]

ბ) რესპუბლიკის პრეზიდენტი

უნგრეთში 1946 წლის იანვარში ამოქმედებული „სახელმწიფო წყობილების შესახებ" №1 კანონის თანახმად, შემოღებულ იქნა პრეზიდენტის თანამდებობა, რომელმაც სულ რაღაც სამიოდე წლის არსებობის (1949 წლის კონსტიტუციის მიღების) შემდეგ, 40 წლით შეწყვიტა არსებობა. 1989 წლის ოქტომბერის კონსტიტუციურმა რეფორმამ გააუქმა რა სახელმწიფო მეთაურის კოლეგიალური ორგანო – საპრეზიდენტო საბჭო, საფუძველი ჩაუყარა პრეზიდენტურის აღდგენას. უნგრეთის პირველ პრეზიდენტად 1990 წლის 2 მაისს არჩეულ იქნა *თდკ*-ის წარმომადგენელი, აკადემიკოსი გონცი, რომელსაც ალტერნატივა არ ჰყოლია. პრეზიდენტის ინსტიტუციონალიზაციის შემდეგ, რამდენიმეჯერ აქტიურად იქნა დასმული სა-

11. *http://www.hungary-ru.com/index.php?mode=news&id=788*

კითხი პირდაპირი არჩევნების შემოღების შესახებ, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნების მრავალსაფეხურიანი წესი დღემდე უცვლელი რჩება. უნგრეთის რესპუბლიკაში პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევა ასახავს პრეზიდენტის ლიმიტირებულ უფლებამოსილებებს, რომელიც გამყარებულია არა პირდაპირი არჩევნებით, არამედ პირიქით, სწორედაც რომ შეზღუდულია მისი არჩევის საპარლამენტო წესით.

პრეზიდენტი ფორმალურ-იურიდიულად ფლობს უფლებამოსილებათა საკმაოდ ფართო სპექტრს, მაგრამ იგი არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვის პროცესში, რადგანაც პრეზიდენტის ძალაუფლება შეზღუდულია მართვა-გამგეობის საპარლამენტო კონცეფციით. მას არა აქვს დაკისრებული სახალხო სუვერენიტეტის დაცვა. მიუხედავად გონცის ზემოთ აღნიშნული პოზიციისა, რომ იგი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი, უნგრეთის პრეზიდენტის კონსტიტუციური მოდელი გამორიცხავს მის მონაწილეობას სახელმწიფოს მართვის პროცესში. ქვეყნის მმართველობითი ფუნქციის განხორციელების ტვირთი მაინც მთავრობაზე გადადის. საგანგებო, საომარი და ეროვნული კრიზისის მდგომარეობის დროს ფორმალურად მნიშვნელოვანწილად იზრდება პრეზიდენტის დამოუკიდებელი მოქმედების ხარისხი (ამ დროს, სახელმწიფო კრების შეკრების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეიარაღებული ძალების გამოყენების საკითხს წყვეტს პრეზიდენტი), მაგრამ რაკიღა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საბოლოოდ ეროვნული კრების თანხმობაზე არის დამოკიდებული, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებათა გაზრდის წყაროც სახელმწიფო კრებაა. ამასთანავე, სახელმწიფო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის ფაქტი, აგრეთვე საომარი, საგანგებო, ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლიანობა, დგინდება არა პრეზიდენტის, არამედ ერთობლივად, სახელმწიფო კრების თავმჯდომარის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის მიერ.

მთლიანობაში პრეზიდენტი თავისი კონსტიტუციური სტატუსითა და ავტორიტეტით არის სახელმწიფოს მეთაური — ის ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა გამართული, კონსტიტუციით განსაზღვრული მათი დემოკრატიულ-სამართლიანი პრინციპების შესაბამისი ფუნქციონირება. ამიტომაც პრეზიდენტი წარმოდგენილია როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის არბიტრი და ესეც პირდაპირაა გამყარებული კონსტიტუციური დებულებით. კერძოდ: კონსტიტუციის §29 პირველი აბზაცის თანახმად, „პრეზიდენტი... დგას სახელმწიფო სტრუქტურების დემოკრატიული საქმიანობის სადარაჯოზე.“ ამასთანავე იგი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. იგი ხელმძღვანელობს საომარი, საგანგებო, ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის დროს შექმნილი თავდაცვის საბჭოს საქმიანობას და სახელმწიფო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, წყვეტს შეიარაღებული ძალების გამოყენების საკითხს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა ხდება არაპირდაპირი არჩევნებით — სახელმწიფო კრების მიერ ფარული კენჭისყრით და მისი უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების

დღისთვის შეუსრულდა ოცდათხუთმეტი წელი. ამ თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ. რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატების დასახელება ხდება სახელმწიფო კრების არანაკლებ ორმოცდაათი დეპუტატის წერილობითი რეკომენდაციით. პირველი კენჭისყრის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ხმების ორ მესამედს. თუ პირველი კენჭისყრის შემდეგ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო უმრავლესობა, კანდიდატთა ხელახალი დასახელების საფუძველზე, იმართება მეორე კენჭისყრა. მეორე კენჭისყრით ასარჩევად კანდიდატმა საჭიროა მიიღოს დეპუტატთა ხმების კვლავ ორ მესამედი. თუ მეორე კენჭისყრის შემდეგაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო უმრავლესობა, იმართება მესამე კენჭისყრა. ამ შემთხვევაში კენჭისყრა იმართება მხოლოდ იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მეორე კენჭისყრისას მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. მესამე კენჭისყრის შედეგად რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატთა ხმების უმრავლესობა. პირველივე ტურში ხმათა ორი მესამედის მოპოვება მხოლოდ პირველმა პრეზიდენტმა გონცმა შეძლო. 1995 წლის 19 ივნისის არჩევნებში კი როდესაც გონცს *ადკ-უსპ*-მ, *უდფ*-მ *და ქდსპ*-მ დაუპირისპირეს მადლის კანდიდატურა, გონცმა კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება კვლავ პირველივე ტურში მოახერხა. 2000 წლის 7 ივნისს *წმამდ*-ის მიერ დასახელებული მადლი (საერთაშორისო სავაჭრო სამართლის პროფესორი), რომლის კანდიდატურასაც მხარს უჭერდნენ აგრეთვე სამთავრობო კოალიციის წევრი პარტიები *ადკ-უსპ, უდფ და ქდსპ*, არჩეული იქნა მხოლოდ მესამე კენჭისყრით – კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით – 243 მომხრით. 2005 წლის 7 ივნისს ასევე ხმათა უბრალო უმრავლესობით, მე-3 ტურში იქნა არჩეული ქვეყნის პრეზიდენტად *უდფ*-ის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, მოგვიანებით უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, 63 წლის *ლასლო სოლიომი.* სოლიომმა მოიპოვა 185, ხოლო მისმა კონკურენტმა – სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ – *კატალინა სილიმ* – 182 ხმა. საყურადღებოა, რომ სოლიომმა (მემარჯვენე ოპოზიციური ძალების კანდიდატმა (სოლიომის აღნიშნული წარმატება განაპირობა იმ ფაქტორმაც, რომ *თდკ*-ს ფრაქციამ მხარი არ დაუჭირა კოალიციის უფროსი პარტნიორის კანდიდატურას და კენჭისყრაში საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა[12])) *სპ*-ის კანდიდატის ძლევა მოახერხა თავისი მხარდამჭერი სუბიექტების მიერ არაკონტროლირებად საპარლამენტო შემადგენლობაში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, საინტერესო ცვლილებებს გვპირდება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ურთიერთობაში, რადგანაც სოლიომი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობდა სწორედ მაშინ, როდესაც კონსტიტუციით დამკვიდრებული მმართველობის სისტემა მკვიდრდებოდა რეალურ პოლიტიკურ ურთიერთობებში და გადიოდა პირველ პრაქტიკულ გამოცდას. სოლიომის ფენომენმა და ავტორიტეტმა შესაძლოა, გარკვეული კორექტივები შეიტანოს სახელისუფლე-

12. http://news.maas.ru/index.php?id=92534&type=2

ბო განშტოებათა ურთიერთობების სისტემაში.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც ინიშნება სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მიერ, უნდა გაიმართოს მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა, ხოლო თუ პრეზიდენტის უფლებამოსილება შეწყდა ვადამდე, მაშინ - შეწყვეტიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის დღეს, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში - კენჭისყრის შედეგების გამოცხადებიდან ან გამოქვეყნებიდან მერვე დღეს. თანამდებობის დაკავების წინ რესპუბლიკის პრეზიდენტი დებს ფიცს სახელმწიფო კრების წინაშე.

იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, ასევე თუ გარკვეული მიზეზების გამო მისი უფლებამოსილება შეწყდა ვადამდე, ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის დაწყებამდე, რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელწიფო კრების თავმჯდომარე, ამასთან ერთად სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს არ შეუძლია შეყოვნებითი ვეტოს უფლების გამოყენება, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში კანონპროექტების დასკვნისათვის გაგზავნა, სახელმწიფო კრების დათხოვნა; შეწყალების უფლების განახორციელება კი შეუძლია მხოლოდ მსჯავრდებულთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ***საგარეო ურთიერთობების სფეროში*** წარმოადგენს უნგრეთის სახელმწიფოს; უნგრეთის რესპუბლიკის სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; თუ ხელშეკრულების საგანი მიეკუთვნება საკანონმდებლო რეგულირების სფეროს, შეთანხმების დადებისათვის აუცილებელია სახელმწიფო კრების წინასწარი თანხმობა; ნიშნავს და იღებს ელჩებს და დესპანებს;

პრეზიდენტს აქვს რიგი ***უფლებამოსილებები სახალხო წარმომადგენლობის ორგანოებთან მიმართებაშიც***, კერძოდ — ნიშნავს სახელმწიფო კრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს და მოიწვევს სახელმწიფო კრების დამფუძნებელ სხდომას; შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს და გამოვიდეს სიტყვით სახელმწიფო კრების სესიის მუშაობაში და მისი მუდმივი კომისიების სხდომებზე; შეუძლია, სახელმწიფო კრებას შესთავაზოს განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება; უფლებამოსილია ერთი სესიის განმავლობაში ერთხელ, არა უმეტეს ოცდაათი დღისა, გადადოს სახელმწიფო კრების სხდომა; კონსტიტუციის §28-ით განსაზღვრულ შემთხვევებში დაითხოვოს სახელმწიფო კრება; შეუძლია, გამოვიდეს რეფერენდუმის გამართვის ინიციატივით;

საკადრო - პერსონალურ საკითხებში პრეზიდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო მდივნებს; კანონით განსაზღვრული პირებისა და ორგანოების წინადადებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს, უნივერსიტეტების რექტორებსა და პროფესორებს; ანიჭებს და უმატებს გენერლის წოდებებს; თანამდებობაზე ამტკიცებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს; ახდენს კანო-

ნით დადგენილი წოდებების მინიჭებას და მომატებას; აჯილდოებს ორდენებით და ჯილდოებით და იძლევა მათი ტარების ნებართვას.

პიროვნების სტატუსის რეგულირების სფეროში იღებს გადაწყვეტილებებს მოქალაქეობის საკითხებზე. პრეზიდენტი ასევე ახორციელებს ინდივიდუალურ შეწყალებას.

პრეზიდენტი წყვეტს კონსტიტუციითა და მიმდინარე კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს. იგი რიგ (ყველაზე მნიშვნელოვან) საკითხებს, რომლებიც მითითებულია კონსტიტუციის §30/A-ში, ახორციელებს კონტრასიგნების წესით. ამასთანავე, კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს არ გააჩნია პარლამენტისათვის მოხსენების წარდგენის შესაძლებლობა, თუმცა კონსტიტუციის §30/A (1) ნაწილის „f" აბზაცის თანახმად, მას შეუძლია, სახელმწიფო კრებას შესთავაზოს განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. ამდენად, აღნიშნული ნორმა პრეზიდენტს საშუალებას აძლევს, საკუთარი პოლიტიკური კურსის რეალიზაციისათვის სახელმწიფო კრებას გარკვეული საკითხების გადაწყვეტა შესთავაზოს და, შესაბამისად, მხარდაჭერაც მიიღოს საკანონმდებლო ორგანოსაგან. პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, გარდაცვალებისას, ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას, შეუთავსებლობის დადგენისას, გადადგომისა და იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენებისას. იგი სარგებლობს ხელშეუხებლობით; მისი სისხლისსამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფილია სპეციალური კანონით. ამავდროულად იგი შეიძლება იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულ იქნეს, თუ მან შეგნებულად დაარღვია კონსტიტუცია ან კანონი.

რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში სახელმწიფო კრების დეპუტატთა ერთი მეხუთედის ინიციატივით. გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პროცედურის დაწყების თაობაზე ფარული კენჭისყრით მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. საქმის განხილვა მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს კანონის დარღვევის ფაქტს, მას შეუძლია, პრეზიდენტი გადააყენოს დაკავებული თანამდებობიდან. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრალეულობას შეგნებულად დანაშაულის ჩადენაში, იგი უფლებამოსილია, გადააყენოს პრეზიდენტი დაკავებული თანამდებობიდან და იმავდროულად გამოიყენოს ამ ქმედებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სასჯელი და ღონისძიება.

გ) საკონსტიტუციო სასამართლო

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია სასამართლო სისტემისაგან განყენებულად განიხილავს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც შედგება თერთმეტი წევრისაგან. სასამართლოს წევრების კანდიდატურები სახელდება სახელმწიფო კრებაში წარმოდგენილი პარტიების საპარლამენტო ფრაქციების თითო-

თითო წარმომადგენლისაგან შემდგარი კომიტეტის მიერ. მისი ფორმირების წესი, ერთი შეხედვით მარტივ და ყველაზე ობიექტურად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ თუ პროცედურას კარგად დავუკვირდებით, ნათელი ხდება, რომ ეს პროცედურა პოლიტიზირებას ბოლომდე მაინც ვერ აღწევს თავს (რადგანაც საპარლამენტო კენჭისყრის დროს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის სამთავრობო კოალიციის უმრავლესობას). „სიმკაცრის პაკეტის" (რიგი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების პაკეტი) დაბლოკვის გამო განაწყენებულმა ორბანის უმრავლესობამ, უარი თქვა მეორე ვადით დაენიშნა თავმჯდომარედ უნგრული საკონსტიტუციო კონტროლის ეპოქის შემქმნელი, სასამართლოს პირველი თავმჯდომარე — სოლიომი. თუმცა, მთლიანობაში, ეს პროცედურა მაინც სხვა და სხვა პოლიტიკურ ძალებს შორის კომპრომისის წახალისებას უწყობს ხელს.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შესახებ კონსტიტუცია მწირ ნორმებს შეიცავს. სასამართლო ამოწმებს სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციურობას და წყვეტს კანონებით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და ორგანიზაციის წესის შესახებ კანონი (რომელიც განსაზღვრავს მის უფლებამოსილებებსაც), მიიღება სახელმწიფო კრების მიერ, დამსწრე დეპუტატთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით. არაკონსტიტუციურობის დადგენის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს კანონებსა და სხვა სამართლებრივ ნორმებს.

პოსტსოციალისტურ ტალღაზე აღმოცენებული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებიდან უნგრეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინსტიტუტია. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი საქმიანობით დაიმსახურა ის, რომ პატრიცია მ. ვალდის მიერ იგი მარშალისა და უორენის დროინდელ უზენაეს სასამართლოებთან იქნა შედარებული (რფ-ის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოებთან ერთად)[13]. თავისი საქმიანობის მანძილზე სასამართლოს მოუხდა ბევრი რეზონანსული და მმართველთათვის არასასიამოვნო შედეგების მქონე გადაწყვეტილებების გამოტანა. მან მართლაც განუზომლად დიდი როლი ითამაშა გარდამავალი კონსტიტუციით განპირობებული ზოგიერთი უზუსტობისა თუ სხვა გარემოებების გამო სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის კომპეტენციის განაწილების თაობაზე წარმოშობილი დავების გადაწყვეტაში, მიუხედავად იმ რისკისა, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას შეიძლებოდა პოლიტიკური სიმპათიები მოჰყოლოდა ბრალდებად. არადა ამგვარი რისკი არსებობდა სასამართლოსათვის მინიჭებული აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ „სასამართლოს პოლიტიზირების სათავე მის აბსტრაქტულ კომპეტენციაშია"[14], მან მაინც გაუძლო ამგვარ წნეხს და გარდამავალი დემოკრატიის ურთულეს ეტაპზე იქცა სამართლიანობის ავტორიტეტულობის უზრუნველმყოფელ ინსტიტუტად. იგი არ შემოიფარგლა კონსტიტუციური ნორმების მშრალი კონტროლით და თავისივე დანაპირების შესაბამისად, მან შექმნა „უხილავი კონსტიტუცია" —

13. პერშან შვარცი. დას ნამ. გვ. 22
14. პერშან შვარცი. დას. ნამ. გვ. 143

„დოგმათა სისტემა“, იმ პრინციპების ერთობლიობა, რომლებზე დაფუძნებითაც „სასამართლომ აღიარა უფლებები, რომლებიც მხოლოდ არაპირდაპირ იყო კონსტიტუციაში გამყარებული და ამით შექმნა „სასამართლო აქტივიზმისა“ და „დაწერილი კონსტიტუციის უგულებელყოფის“ საფუძველი“[15]. ამით იგი, გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკის სამართლებრივი ზედამხედველობის ინსტიტუტად იქცა და მოგვიანებით, თავისი ფუნქციის შესრულებისთანავე იგი განერიდა პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხების განხილვას, რომლებიც მომდინარეობდნენ მისი აბსტრაქტული კონტროლის კომპეტენციიდან და რომლებიც დაკავშირებული იყო ძალაუფლების გადანაწილებასთან.

დ) მთავრობა

უნგრული კონსტიტუციის შემქმნელებისათვის არსებითი ასპექტი იყო საპარლამენტო სისტემაში შექმნილიყო მთავრობის სტაბილურობის გარანტიები. ამ გარემოებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში მთავრობის როლის მნიშვნელოვან ზრდამდე მიგვიყვანა. პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, დღეისათვის მთავრობას უკავია არა მხოლოდ წამყვანი, არამედ დომინირებული მდგომარეობა. მთავრობის შემადგენლობაში არიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, რომელთაგან ერთ-ერთი პრემიერის დროებით არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას.

პრეზიდენტის წინადადებით, პრემიერ-მინისტრს ხმების უმრავლესობით ირჩევს სახელმწიფო კრება. ანუ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არის არა ის, თუ ვის წარადგენს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, არამედ ის, სარგებლობს თუ არა იგი საპარლამენტო უმრავლესობის (კოალიციის) მხარდაჭერით. ასე მაგალითად, 2000 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით, როდესაც *ადკ-უსპ*-თან ერთად საარჩევნო-პოლიტიკურმა კოალიციამ *უდფ*-თან ერთად ჯამში მოაგროვა სოციალისტებზე 10 მანდატით მეტი, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ სწორედ ამ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით გაპრეზიდენტებულ მადლს შეენარჩუნებინა მისთვის სასურველი მემარჯვენე ძალთა მთავრობა, რადგანაც *თდკ*-ის ოცმა მანდატმა განაპირობა სოციალისტ-ლიბერალების კოალიციური საპარლამენტო უმრავლესობის მმართველ ძალად გახდომა. პრეზიდენტი მადლიც იძულებული გახდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარედგინა *უსპ*-ის ლიდერი *პიტერ მედეში*. უნგრეთის რესპუბლიკაში მინისტრები თანამდებობაზე ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, ამ უკანასკნელის მიერ ნდობის ვოტუმის მოპოვების შემდეგ. სახელმწიფო კრება ერთდროულად ახდენს პრემიერ-მინისტრის არჩევასა და მთავრობის პროგრამის დამტკიცებას, ანუ კანონმდებელი ნდობის ვოტუმს აძლევს მხოლოდ პრემიერ-მინისტრს, რაც კლასიკური დემოკრატიის დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში დამახასიათებელია წმინდა საპარლამენტო სისტემებისათვის. მინისტრები კი პრემიერ-მინისტრის წინადადებით თანამდებობაზე ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ.

კონსტიტუციურად მთავრობა თავის საქმიანობაზე პასუხისმგებელია სა-

---

15. ჯერმან შვარცი. დას. ნაშ. ეკ. 147

ხელმწიფო კრების წინაშე. თუმც, აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების რეალურმა ტენდენციამ ამ ქვეყანაში საკუთრივ დაიმსახურა ის შეფასება, რასაც უნგრელი კონსტიტუციონალისტი შაიო აკეთებს ზოგადად საპარლამენტო სისტემებთან მიმართებაში, რომ „მთავრობა ხელმძღვანელობს პარლამენტს... მთავრობა პარლამენტს არც კი ეკითხება, თუ როგორი პოლიტიკური კურსი უნდა გაატაროს."[16] სახელმწიფო კრებას, კონსტიტუციის §39/A პირველი აბზაცის თანახმად, შეუძლია გადააყენოს მთავრობა. სახელმწიფო კრების არანაკლებ ერთ მეხუთედს, ე.ი. მინიმუმ 78 დეპუტატს, უფლება აქვს, გამოხატოს პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადების ინიციატივა იმ პირობით, რომ უნდობლობის გამოცხადების რეზოლუციის პროექტში იმავდროულად მითითებული იქნება კანდიდატის ვინაობა, რომელიც პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს. პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადასაყენებლად საჭიროა სახელმწიფო კრების დეპუტატთა უმრავლესობის თანხმობა (ანუ ხმების ის რაოდენობა, რა რაოდენობითაც ხდება პრემიერ-მინისტრის არჩევა). ამ რაოდენობის დეპუტატთა მხარდაჭერა ნიშნავს პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადებას და შესაბამისად მთავრობაც ითვლება გადაყენებულად, ხოლო დასახელებული კანდიდატი - ახლად არჩეულ პრემიერ-მინისტრად უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის განხორციელების გზით. კენჭისყრა უნდობლობის გამოცხადების თაობაზე უნდა ჩატარდეს წინადადების შეტანიდან არა უადრეს 3 და არა უგვიანეს 8 დღისა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებშიც დანერგილია უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი, უნგრეთის მაგალითზე კენჭისყრის მაქსიმალური ვადის განსაზღვრას აქვს ის უპირატესობა, რომ თუ საკითხზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრულ ვადაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ იხსნება დღის წესრიგიდან. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის გამოცხადება ლოგიკურად ხდება ხმათა იმავე უმრავლესობით, რა უმრავლესობითაც პრემიერ-მინისტრი აირჩევა პრეზიდენტის წარდგინების დროს — სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების უმრავლესობით. თუ სახელმწიფო კრებამ პრემიერ-მინისტრს გამოუცხადა უნდობლობა, ახალი პრემიერ-მინისტრი ითვლება არჩეულად.

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციურ პრაქტიკაში დღემდე არ ყოფილა უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის გამოცხადების შემთხვევა. როდესაც 2004 წლის ზაფხულში კოალიციაში მოხდა განხეთქილება[17] და პრემიერ-მინისტრი მედეში, აღარ სარგებლობდა უმრავლესობის მხარდაჭერით, იგი გადადგა (რადგანაც უმრავლესობა ჩამოყალიბდა ალტერნატიულ კანდიდატურაზე) და უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის განხორციელების საჭიროება აღარ წარმოშობილა. მედეშის მიერ თანამდებობის დაუტოვებლობა გამოიწვევდა კოალიციის დაცემას, რასაც შესაბამისად მოჰყვებოდა რიგგარეშე არჩევნები. ამ შემთხვევაში კი საკუთარი კოალიციის წინაშე პოლიტიკური მარცხის საფუძველზე მთავრობის გადადგომა გამოიწვევდა კოალიციაში მოკავშირე პარტიების პოლიტიკური რეიტინგის მკვეთრ ვარდნასაც,

16. ანდრაშ შაიო. დას. ნაშ. გვ. 211
17. http://www.hungary-ru.com/index.php?mode=news&id=756

რასაც ლოგიკურად მოჰყვებოდა მათი სავარაუდო მარცხი.

„უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი, რომელიც უნგრეთის კონსტიტუციაში 1990 წლის შესწორებით დამკვიდრდა იმდროინდელი კოალიციის პარტნიორების დისციპლინირების მიზნით, თეორიულად მთავრობაზე პარლამენტის ზეგავლენას ზღუდავს."[18] იგი ობიექტურად მთავრობის დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული არამყარი პარტიული სისტემებისათვის, რაც, გარდამავალი დემოკრატიის ეტაპზე სავსებით რეალური საფრთხე იყო უნგრეთისთვისაც. აქედან გამომდინარე, ფრთხილ მიდგომას მოითხოვდა სამთავრობო კოალიციების სიმყარის უზრუნველყოფა. ამ პოტენციური საფრთხის განეიტრალებამ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმით (პრემიერ-მინისტრის პიროვნულ სიმტკიცესა და ქარიზმატულობასთან ერთად[19]) გზა გაუხსნა ხელისუფლების სიტემაში პერსონალიზაციის ელემენტების სტიმულირებას და ყოველი საპარლამენტო არჩევნები პრაქტიკულად პრემიერ-მინისტრის არაპირდაპირ არჩევნებად გადაიქცა. პრემიერის როლის ხაზგამსმელი მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში „სამთავრობო (პრემიერის) დემოკრატიის" სახელწოდებით გახდა ცნობილი. ორბანის (*ადკ-უსკ*) ქარიზმატულმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ სახელმწიფო კრების 1998 და 2002 წწ. უნგრეთში არჩევნები სწორედ პრემიერ-მინისტრის არაპირდაპირ არჩევნებად იქცა. ქარიზმატულობის საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა აგრეთვე სოციალისტი პრემიერ-მინისტრი დურჩანი (*უსკ*) და ეს გარემოება 2006 წლის სახელმწიფო კრების არჩევნებისათვის უკვე ორი პოპულარული პოტენციური პრემიერის პოლიტიკურ ძალთა საინტერესო ჭიდილს გვპირდება.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტიტუციით დამკვიდრებული უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის კონკრეტული პროცედურები ნაკლებ გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რამდენად ეფექტურია ეს მექანიზმი პარლამენტის ხელში მთავრობის საკონტროლოდ, რადგანაც ეს მთლიანად დამოკიდებულია კოალიციების (პარტიული სისტემის) სიმყარეზე. ანუ კონსტიტუცია განსაზღვრავს მხოლოდ პროცედურებს; შინაარსსა და შედეგს კი — მთლიანად, კონკრეტულ მომენტში, პარტიულ ძალთა ბალანსი სახელმწიფო კრებაში. მეორე მხრივ, მთავრობას უფლება აქვს, სახელმწიფო კრებას შესთავაზოს კენჭისყრა ნდობის საკითხის შესახებ, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მთავრობის მიერ წარდგენილი კონკრეტული კანონპროექტის მიღებასთანაც. თუ სახელმწიფო კრებამ ხმა არ მისცა მთავრობის ნდობის საკითხს, მთავრობა ვალდებულია გადადგეს. ნდობის საკითხის დასმის უფლება კი მთავრობის ხელში ის ბერკეტია, რის საფუძველზეც (თუ მთავრობის ნდობის უარყოფა ერთი მოწვევის სახელმწიფო კრების მიერ 12 თვის განმავლობაში მოხდა ოთხჯერ), მას შეუძლია პრეზიდენტისაგან მოითხოვოს სახელმწიფო კრების დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციური პროგრამატიზების ფარგლებში, საშინაო პოლიტიკის სფეროში

---

18. ანდრაშ შაი. დას. ნაშ. გვ. 226

19. თუმც ამ ფაქტორებს ბოლოანებით, რეალურ პოლიტიკაში - პარტიული სისტემის ფორმირების პროცესში იჩენს თავი.

სარგებლობს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით. მთავრობა ახორციელებს კონსტიტუციური წყობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას; უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას; კოორდინაციას უწევს, წარმართავს სამინისტროებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოების მუშაობას; უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას; განსაზღვრავს სახელმწიფოს ამოცანებს მეცნიერებისა და კულტურის სფეროში და უზრუნველყოფს მათ გადასაწყვეტად აუცილებელ პირობებს; განსაზღვრავს სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემას, ახორციელებს მის მატერიალურ მომარაგებას; ხელმძღვანელობს შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების საქმიანობას და ა.შ. მთავრობა ასევე მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში, სახელმწიფოს სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ასევე ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

მთავრობა თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად სარგებლობს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის უფლებით — გამოსცემს დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ კანონს. მთავრობას უფლება აქვს, გააუქმოს ან შეცვალოს მისადმი დაქვემდებარებული ორგანოების ნებისმიერი განკარგულებები ან ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს.

5. ადგილობრივი თვითმმართველობა

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ კონსტიტუციის §42 იძლევა თვითმმართველობის პირდაპირ განმარტებას. მის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის ადგილობრივი საჯარო საქმეების დამოუკიდებელი, დემოკრატიული რეგულირება და ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების განხორციელება მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.“

უნგრეთი მიეკუთვნება რეგიონალურ თვითმმართველობაზე დამყარებულ დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოების რიცხვს. მისი ტერიტორია იყოფა ოლქებად (megyékre), ქალაქებად და თემებად. დედაქალქ *ბუდაპეშტთან* ერთად, ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიცაა *დებრეცენი, მიშკოლცი, სეგედი* და *პეჩი* ცალკე თვითმმართველ ერთეულებს წარმოადგენენ. თითოეულ ამ ერთეულში ხორციელდება შესაბამისი დონის თვითმმართველობა. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება როგორც არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების, ასევე ადგილობრივი რეფერენდუმის მეშვეობით.

ერთი და იმავე დონის თვითმმართველი ერთეულებისათვის ძირითადი უფლებები თანაბარია და, ერთი მხრივ, არ შეიძლება მათი დიფერენციაცია, თუმცა, მეორე მხრივ, კანონმდებლობამ შესაძლოა დაადგინოს თვითმმართველობების განსხვავებული ვალდებულებები. თვითმმართველობის უფლებების განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა სასამართლო დაცვის უფლებით უზრუნველყოფა. თვითმმართველობის ორგანოს თავისი უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არის ბურგომისტრი. ბურგომისტრს, გარდა თვითმმართველობის უფ-

ლებისა, უფლება აქვს ასევე, კანონის ან მის აღსასრულებლად გამოცემული მთავრობის დადგენილების საფუძველზე, განახორციელოს სახელმწიფო ადმინისტრაციის უფლებამოსილება. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ბურგომისტრის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი და წარმომადგენლობითი ორგანოს თვითდაშლის ან დათხოვნის შემთხვევაში ასევე წყდება ბურგომისტრის მანდატი.

6. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ დებულებები, სტრუქტურულად კონსტიტუციის ერთ-ერთი უკანასკნელი განყოფილებაა. კონსტიტუციამ ჩვეულებისამებრ, უფლებათა კლასიკური კლასიფიკაციის მიხედვით მოახდინა მათი თანმიმდევრული ასახვა შესაბამის — XII განყოფილებაში: პირადი (სამოქალაქო), პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებები შეესაბამება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დღეისათვის მოქმედ საერთაშორისო ნორმებს.

პირად (სამოქალაქო) უფლებებში გამყარებულია ის კატეგორიები, როგორებიცაა სიცოცხლის, პატიოსნისა და ღირსების დაცვის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემების, კორესპონდენციისა და ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა, აგრეთვე ბინის ჩხრეკისაგან დაცვა. განმტკიცებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი მიუხედავად სქესისა, რელიგიისა და ყველა სხვა კრიტერიუმისა; ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების, აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება, თავისუფალი გადაადგილების უფლება ქვეყნის ტერიტორიაზე და ა.შ.

პოლიტიკურ უფლებებში, უპირველეს ყოვლისა, თავს იყრის ყველა ის უფლება, რომელიც კონსტიტუციის §2-ით უზრუნველყოფს ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროდ წარმოჩენას. ესენია: საარჩევნო უფლება, უფლება გაერთიანებაზე, მანიფესტაციების, მსვლელობების, გაფიცვის უფლება და ა.შ. გარდა ამისა, აღიარებულია კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოში თხოვნით ან საჩივრით კოლექტიური წერილობითი მიმართვის უფლება.

უნგრეთში უზრუნველყოფილია თავშესაფრის უფლება იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებიც შესაბამისად თავიანთ სამშობლოში ან მათ ადგილსამყოფელ ქვეყანაში იდევნებიან სხვადასხვა საფუძვლებით და თუ მათი წარმომავლობის ან სხვა არც ერთი ქვეყანა არ უზრუნველყოფს მათ დაცვას.

რაც შეეხება **უფლებათა სოციალურ ჯგუფს**, აქ თავს იყრის ის ნორმები, რომლებიც განმტკიცებულია მოხუცებულობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მეუღლის დაკარგვის, ობლობისა და უმუშევრობის მდგომარეობისას (რომლებიც გამოწვეულია მათი ბრალის გარეშე) სოციალური უსაფრთხოებისა და მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. წახალისებულია მატერიალური უზრუნველყოფის უფლება სოციალური დაზღვევისა და სოციალური ინსტიტუტების სისტემის განვითარების მეშვეობით. კონსტიტუცია უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს ანიჭებს უფლებას, ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის მაქსიმალურად შესაძლო დონეზე, რაც თავის მხრივ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ვალდებულებით მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფოს. სწორედ ამ თვალსაზრისით, სახ-

ელმწიფო უზრუნველყოფს შრომის დაცვის ორგანიზაციას, ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო მომსახურების დაწესებულებების შექმნას, აგრეთვე ხელოვნური და ბუნებრივი გარემო პირობების დაცვას.

უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს შრომის, საქმიანობისა და სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება. ყველას აქვს უფლება, მიიღოს ერთნაირი ანაზღაურება ერთნაირი სამუშაოსათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ყველა მშრომელს აქვს უფლება შემოსავალზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ გაწეული შრომის ოდენობასა და ხარისხს. ყველას აქვს დასვენების, თავისუფალი დროის და რეგულარული, ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია ტიპიური პოსტსოციალისტური კონსტიტუციაა იმ თვალსაზრისითაც, რომ მან, ბევრი დასავლელი ექსპერტის რეკომენდაციების მიუხედავად, საკმაოდ წინ წამოსწია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რაც ზოგად დებულებებშივე — §§16-18-შია ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სოციალური უფლებების შემცველ ნორმებზე დაყრდნობით არა ერთი და, მათ შორის, ხელისუფლებისათვის საკმაოდ მწვავედ განსაცდელი გადაწყვეტილებაც მიუღია საკონსტიტუციო სასამართლოს.

კონსტიტუცია სოლიდურ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკაში მაცხოვრებელი **ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების დაცვას**. აქ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალკეა ინსტიტუციონალიზებული სახელმწიფო კრების რწმუნებული (ომბუდსმენი) ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში. ეს არის უმცირესობების საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი. ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებისათვის გარანტირებულია ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის უფლება, რომლებიც ეთნიკურად უნგრელების თანაბრად წარმოადგენენ უნგრელი ხალხის სახელმწიფოს წარმომქმნელ ნაწილს. ნაციონალურ და ეთნიკურ უმცირესობებს აგრეთვე შეუძლიათ, შექმნან თვითმმართველობის ორგანოები.

უფლებათა დაცვის (ევროპაში ფართოდ გავრცელებულ) ერთ-ერთ ინსტიტუციონალურ მექანიზმს (ომბუდსმენს) სახელმწიფო კრების რწმუნებულებს სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში ეთმობათ კონსტიტუციის ცალკე V განყოფილება. სახელმწიფო კრების რწმუნებულები ამოწმებენ ან ორგანიზებას უკეთებენ მათთვის ცნობილი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმებას და მათ აღსადგენად იღებენ შესაბამის ზომებს. კანონმდებლობის საფუძველზე დაშვებულია ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებათა სფეროში ცალკეული რწმუნებულების არჩევის შესაძლებლობაც.

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიღებულია 1949 წლის 18 აგვისტოს.

შეტანილია ცვლილებები და დამატებები:
1989 წლის № XXXI;
1990 წლის № XV, XXIX, XL, XLIV, LIV, LIX, LXI, LXIII;
1993 წლის № CVI, CVII;
1994 წლის № XLIV, LXXIII, LXXIV, LIX, LXI, XLI;
1995 წლის № CLIV;
1997 წლის № IX, LIX, XCVIII;
2000 წლის № №XCI;
2001 წლის № XLII;
2002 წლის № LXI
2003 წლის № CIX და
2004 წლის № CIV კანონებით

სამართლებრივ სახელმწიფოდ მშვიდობიანი პოლიტიკური გარდაქმნის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელშიც ხდება მრავალპარტიული სისტემის, საპარლამენტო დემოკრატიისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების რეალიზაცია, სახელმწიფო კრება ჩვენი საშობლოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ადგენს უნგრეთის კონსტიტუციის შემდეგ ტექსტს.

განყოფილება I
ზოგადი დებულებები

§1. უნგრეთის სახელმწიფო არის რესპუბლიკა.

§2. (1)უნგრეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოა.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც თავის სუვერენიტეტს ახორციელებს მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, აგრეთვე — უშუალოდ.

(3) არც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, არც ერთი სახელმწიფო ორგანოს ან მოქალაქის საქმიანობა არ შეიძლება, მიმართული იყოს ხელისუფლების ძალადობრივი მოპოვებისა და შენარჩუნებისაკენ, შესაბამისად, მისი გამონაკლისის სახით ფლობისაკენ. ყველას აქვს უფლება და იმავდროულად მოვალეობა, კანონის ფარგლებში გამოვიდეს ასეთი მისწრაფებების წინააღმდეგ.

§2. (1). ხელშეკრულების ძალით, უნგრეთის რესპუბლიკა, როგორც ევროკავშრის წევრი ქვეყანა, სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად ახორციელებს კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს ევროკავშირისა და ევროგაერთიანებების (შემდგომში — "ევროკავშირი") დამფუძნებელი ხელშეკულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად; ეს უფლებამოსილებები შეიძლება, განხორციელდეს დამოუკიდებლად და ევრო-

კავშირის ინსტიტუტების მიერ დადგენილი წესით.

(2). პირველი აბზაცით გათვალისწინებული ხელშეკრულების რატიფიცირება და გამოქვეყნება ხდება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§3. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში პარტიებს შეუძლიათ, ჩამოყალიბდნენ თავისუფლად და თავისუფლად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კონსტიტუციისა და კონსტიტუციის დებულებების პატივისცემით.

(2) პარტიები მონაწილეობენ ხალხის ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.

(3) პარტიებს არ შეუძლიათ, უშუალოდ განახორციელონ სახელმწიფო-ადმინისტრაციული ხელისუფლება. ამის შესაბამისად, არც ერთ პარტიას არ შეუძლია, მართოს არც ერთი სახელმწიფო ორგანო. სახელმწიფო-ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან პარტიის გამიჯვნის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით განისაზღვრება თანამდებობები სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან ან პარტიულ თანამდებობასთან.

§4. პროფესიული კავშირები და სხვა გაერთიანებები იცავენ და წარმოადგენენ დაქირავებულ მშრომელთა, კოოპერატივების წევრებისა და მეწარმეების ინტერესებს.

§5. უნგრეთის რესპუბლიკა იცავს ხალხის თავისუფლებასა და ხელისუფლებას, ქვეყნის დამოუკიდებლობას და მის ტერიტორიულ მთლიანობას, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ მის საზღვრებს.

§6. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უარყოფს ომს, როგორც ხალხებს შორის დავების გადაჭრის საშუალებას და თავს იკავებს ძალის გამოყენებისაგან, აგრეთვე ძალადობრივი მუქარისაგან, რომელიც მიმართულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა ისწრაფვის მსოფლიოს ხალხებთან და სახელმწიფოებთან თანამშრომლობისაკენ.

(3) უნგრეთის რესპუბლიკა გრძნობს პასუხისმგებლობას საზღვარგარეთ მცხოვრები უნგრელების ბედის გამო და მხარს უჭერს უნგრეთთან მათი კავშირის შენარჩუნებას.

(4) ევროპის ხალხთათვის მშვიდობის, კეთილდღეობისა და უშიშროების მიღწევის მიზნით, უნგრეთის რესპუბლიკა აქტიურ როლს თამაშობს ევროკავშირის განვითარებაში.

§7. (1) უნგრეთის რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემა აღიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და უზრუნველყოფს უნგრეთის შიდა სამართლის შესაბამისობას მის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

(2) სამართალშემოქმედების განხორციელება რეგულირდება კანონით, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§8. (1) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს ადამიანის ხელშეუვალ და განუსხვისებელ ძირითად უფლებებს; მათი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში ძირითადი უფლებებისა და ვალდებულე-

ბების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით; ამასთან არ შეიძლება, დაწესდეს ძირითადი უფლებების არსის საწინააღმდეგო შეზღუდვები.

(3) გაუქმებულია.

(4) საგანგებო და ეროვნული კრიზისის ან საფრთხის საშიშროების დროს, ძირითადი უფლებების განხორციელება, §§54-56, §57 მე-2-4 აბზაცების, §§60, 65-69 და §70/E-ში გათვალისწინებული უფლებების გარდა შეიძლება შეიზღუდოს ან შეჩერებულ იქნას.

§9. (1) უნგრეთის ეკონომიკა არის ისეთი საბაზრო მეურნეობა, სადაც საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება თანასწორუფლებიანნი არიან და სარგებლობენ თანაბარი საზოგადოებრივი დაცვით.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს და მხარს უჭერს სამეწარმეო საქმიანობის უფლებას და ეკონომიკური კონკურენციის თავისუფლებას.

§10. (1) უნგრეთის რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე არის უნგრეთის სახელმწიფოს საკუთრება.

(2) იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაშია, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სახეები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, დგინდება კანონით.

§11. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები და ორგანიზაციები, კანონით დადგენილი წესისა და პასუხისმგებლობის საფუძველზე, ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად.

§12. (1) სახელმწიფო მხარს უჭერს ნებაყოფლობითი გაერთიანებების საფუძველზე შექმნილ კოოპერატივებს და სცნობს მათ დამოუკიდებლობას.

(2) სახელმწიფო პატივს სცემს თვითმმართველი გაერთიანებების საკუთრებას.

§13. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას.

(2) საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც განპირობებულია საზოგადოების ინტერესებით, კანონით დადგენილი წესითა და პირობებით, ზიანის სრული, უპირობო და დაუყოვნებლივი ანაზღაურებით.

§14. კონსტიტუცია უზრუნველყოფს მემკვიდრეობის უფლებას.

§15. უნგრეთის რესპუბლიკა იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტს.

§16. უნგრეთის რესპუბლიკა იცავს ახალგაზრდობის ინტერესებს, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს მათ სოციალურ დაცვაზე, განათლებასა და აღზრდაზე.

§17. უნგრეთის რესპუბლიკა სოციალური ღონისძიებების განვითარებული სისტემის მეშვეობით მზრუნველობას იჩენს გაჭირვებულების მიმართ.

§18. უნგრეთის რესპუბლიკა ცნობს და უზრუნველყოფს ყველას უფლებას ჯანსაღ გარემოზე.

განყოფილება II
სახელმწიფო კრება

§19. (1) უნგრეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფო კრება.

(2) სახელმწიფო კრება, რომელიც ახორციელებს სახალხო სუვერენიტეტიდან გამომდინარე ყველა უფლებას, უზრუნველყოფს საზოგადოების კონ-

სტიტუციური წყობილების დაცვას, განსაზღვრავს მისი მმართველობის ორგანიზაციას, მიმართულებებს და პირობებს.

(3) სახელმწიფო კრება ამ უფლებამოსილებათა ფარგლებში:

a) იღებს უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას;

b) იღებს კანონებს;

c) განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას;

d) ადგენს სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების ბალანსს, ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს;

e) იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის საქმიანობის პროგრამაზე;

f) დებს უნგრეთის რესპუბლიკისათვის საგარეო კავშირების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

g) წყვეტს საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და ზავის დადების საკითხებს;

h) საომარი მდგომარეობის ან სხვა სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის უშუალო საფრთხის (სამხედრო საფრთხის) შემთხვევაში, აცხადებს ეროვნული კრიზისის მდგომარეობას და ქმნის თავდაცვის საბჭოს;

i) კონსტიტუციური წყობის დამხობის ან ხელისუფლების უზურპაციისაკენ მიმართული საომარი მოქმედებების შემთხვევაში, აგრეთვე იარაღის გამოყენებით ჩადენილი მასობრივი მოქმედებებისას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეთა სიცოცხლესა და ქონებას, სტიქიური უბედურებების და სამრეწველო ავარიების შემთხვევაში აცხადებს განსაკუთრებულ მდგომარეობას.

j) წყვეტს შეიარაღებული ძალების საზღვრებს გარეთ ან ქვეყნის შიგნით გამოყენების საკითხს;

k) ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფო კრების რწმუნებულებს, სახელმწიფო საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და გენერალურ პროკურორს;

l) მთავრობის წინადადებით და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ, ითხოვს ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას; იღებს გადაწყვეტილებას ოლქების ტერიტორიის განსაზღვრისა და მათი დასახელების, საოლქო ცენტრების ადგილმდებარეობის, ქალაქებისათვის ოლქის სტატუსის მინიჭების, აგრეთვე დედაქალაქში ოლქების შექმნის თაობაზე;

m) აცხადებს ამნისტიას.

(4) მე-3 აბზაცის „g", „h" და „i" პუნქტებში გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) გაუქმებულია.

(6) მე-6 აბზაცის „j" პუნქტში გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§19/A. (1) იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო კრება მოკლებულია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა, ეროვნული კრიზისის მდგომარეობა და შექმნას თავდაცვის საბჭო ან გამოაცხადოს

საგანგებო მდგომარეობა.

(2) სახელმწიფო კრება პირველ აბზაცში მითითებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მოკლებულად ითვლება, თუ არ მიმდინარეობს სესია, ხოლო მისი მოწვევა შეუძლებელია დროის უკმარისობის ან იმ გარემოებათა გამო, რომელიც იწვევს საომარი, საგანგებო ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის გამოცხადებას.

(3) სახელმწიფო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის ფაქტი, აგრეთვე საომარი, საგანგებო, ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლიანობა დგინდება სახელმწიფო კრების თავმჯდომარის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის მიერ ერთობლივად.

(4) სახელმწიფო კრება მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის შესაძლებლობის წართმევის მიზეზების დაძლევის შემდეგ, პირველივე სხდომაზე განიხილავს საომარი, საგანგებო ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლიანობისა და გატარებული ღონისძიებების კანონიერების საკითხებს. ამ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§19/B. (1) სამხედრო მდგომარეობისას ეროვნული თავდაცვის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს:

a) სამხედრო ძალების გამოყენებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მის საზღვრებს გარეთ, სამშვიდობო მისიებში სამხედრო ძალების მონაწილეობაზე, ჰუმანიტარული ოპერაციების განხორციელებასა და სამხედრო ძალების განთავსებაზე უცხო ქვეყნებში;

b) უნგრეთში ან უნგრეთის ტერიტორიიდან სხვა ქვეყნებში უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგების და უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების უნგრეთში განთავსების თაობაზე.

c) ცალკე კანონით განსაზღვრული საგანგებო ღონისძიებების წარდგენის თაობაზე.

(2) თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეა რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო წევრები — სახელმწიფო კრების თავმჯდომარე, სახელმწიფო კრებაში წარმოდგენილი პარტიების საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელები, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, უნგრეთის ჯარების მეთაურები, აგრეთვე გენერალური შტაბის ხელმძღვანელი.

(3) თავდაცვის საბჭო ახორციელებს:

a) სახელმწიფო კრების მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებებს;

b) რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს;

c) მთავრობის მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

(4) თავდაცვის საბჭოს უფლება აქვს, გამოსცეს დადგენილებები ზოგიერთი გამოსაყენებელი კანონის შეჩერების მიზნით, გადაუხვიოს კანონის დებულებებს, აგრეთვე მიიღოს სხვა საგანგებო ზომები, მაგრამ არ შეუძლია, შეაჩეროს კონსტიტუციის მოქმედება.

(5) თავდაცვის საბჭოს დადგენილებები ძალას კარგავენ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც სახელმწიფო კრება აგრძელებს განსაზღვრული დადგენილების მოქმედების ვადას.

(6) საგანგებო მდგომარეობის პირობებში არ შეიძლება, შეიზღუდოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა.

§19/C. (1) ეროვნული კრიზისის მდგომარეობისას სახელმწიფო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

(2) ეროვნული კრიზისის მდგომარეობის პირობებში სპეციალური კანონით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებების შემოღება ხდება რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი გატარებული საგანგებო ღონისძიებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს. ეროვნული კრიზისის პირობებში სახელმწიფო კრება, ხოლო თუ ის ვერ იკრიბება, სახელმწიფო კრების თავდაცვის საკითხთა კომისია მართავს რეგულარულ სხდომებს. სახელმწიფო კრებას, აგრეთვე მისი თავდაცვის საკითხთა კომისიას შეუძლია, შეაჩეროს პრეზიდენტის ბრძანებულებით შემოღებული საგანგებო ღონისძიებების მოქმედება.

(4) ბრძანებულებით შემოღებული საგანგებო ღონისძიებები მოქმედებენ ოცდაათი დღის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოქმედების ვადა გრძელდება სახელმწიფო კრების, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, თავდაცვის საკითხთა კომისიის მიერ.

(5) ეროვნული კრიზისის მდგომარეობის პირობებში გამოიყენება საგანგებო მდგომარეობისათვის გათვალისწინებული წესები.

§19/D. საგანგებო და ეროვნული კრიზისის მდგომარეობის პირობებში მოქმედ წესებს ადგენს კანონი, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§19/E. (1) უნგრეთის ტერიტორიაზე უცხოეთის შეიარაღებული ძალების უეცარი თავდასხმის მოგერიების, საჰაერო თავდაცვისა და უნგრეთის ავიაციის ჯარების მიერ ქვეყნის ტერიტორიის თავდაცვის, კონსტიტუციური წყობის, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობა ვალდებულია, დაუყოვნებლივ, ეროვნული კრიზისის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მოწონებული გეგმის შესაბამისად, გამოიყენოს თავდასხმის თანაბარი და საამისოდ მომზადებული ძალები.

(2) პირველი აბზაცის საფუძველზე გატარებული ღონისძიებების შესახებ მთავრობა, შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დაუყოვნებლივ აცნობებს სახელმწიფო კრებას და პრეზიდენტს.

(3) კანონი, რომლის ძალითაც პირველი აბზაცით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება მთავრობას, მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედით.

§20. (1) სახელმწიფო კრების საყოველთაო არჩევნები, სახელმწიფო კრების საქმიანობის შეწყვეტასთან ან დათხოვნასთან დაკავშირებული არჩევნების გარდა, უნდა გაიმართოს მოქმედი ეროვნული კრების არჩევნებიდან მეოთხე წლის აპრილის ან მაისის თვეში.

(2) სახელმწიფო კრების დეპუტატები მოქმედებენ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

(3) სახელმწიფო კრების დეპუტატი, სახელმწიფო კრების დეპუტატის სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონის თანახმად, ხელშეუვალია.

(4) სახელმწიფო კრების დეპუტატს მიეცემა მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფი ხელფასი, აგრეთვე განსაზღვრული შეღავათები და კომპენსაცია ხარჯების დასაფარავად და გასავლების ასანაზღაურებლად. კანონი, რომელიც ადგენს დეპუტატის გასავლების ანაზღაურებასა და ხელფასის ოდენობას, აგრეთვე მისთვის მინიჭებულ შეღავათებს, მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) დეპუტატი არ შეიძლება იყოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სახელმწიფო კრების წარმომადგენელი სამოქალაქო უფლებების სფეროში, სახელმწიფო საანგარიშო პალატის თავმჯდომარე, მოადგილე ან რევიზორი, მოსამართლე, პროკურორი, ბურგომისტრი, სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოთა თანამშრომელი (მთავრობის წევრისა და პოლიტიკური სახელმწიფო მდივნის თანამდებობის გარდა), აგრეთვე კადრის სამხედრო მოსამსახურე, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მოხელე. კანონით შეიძლება დადგინდეს აგრეთვე შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებიც.

(6) კანონი სახელმწიფო კრების დეპუტატთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§20/A. (1) სახელმწიფო კრების დეპუტატის მანდატი წყდება შემდეგ შემთხვევებში:

a) სახელმწიფო კრების საქმიანობის დასრულებისას;

b) დეპუტატის გარდაცვალებისას;

c) შეუთავსებლობის დადგენისას;

d) გადადგომისას;

e) საარჩევნო უფლების დაკარგვისას.

(2) შეუთავსებლობის დადგენის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(3) დეპუტატი შეიძლება გადადგეს, რის შესახებაც აცნობებს სახელმწიფო კრებას. დეპუტატის გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე არ საჭიროებს სახელმწიფო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

§21. (1) სახელმწიფო კრება დეპუტატთა რიცხვიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და მდივნებს.

(2) სახელმწიფო კრება დეპუტატთა რიცხვიდან აყალიბებს მუდმივ კომისიებს, აგრეთვე კონკრეტული საკითხების განსახილველად შეუძლია, შექმნას სპეციალური კომისიები.

(3) ყველა ვალდებულია, სახელმწიფო კრების მუდმივ კომისიებს წარუდგინოს მის მიერ გამოთხოვილი მასალები, აგრეთვე მისცეს მათ მოწმეთა ჩვენებები.

§22. (1) სახელმწიფო კრება ყოველწლიურად მართავს ორ მორიგ სესი-

ას: პირველი თებერვლიდან თხუთმეტ ივნისამდე და პირველი სექტემბრიდან თხუთმეტ დეკემბრამდე.

(2) სახელმწიფო კრების დამფუძნებელ სხდომას არჩევნებიდან ერთი თვის განმავლობაში იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტი; სახელმწიფო კრების სესიის პერიოდში ცალკეულ სხდომებს იწვევს სახელმწიფო კრების თავმჯდომარე.

(3) სახელმწიფო კრების საგანგებო სესია ან საგანგებო სხდომა მოიწვევა რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან დეპუტატთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით. მოთხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს საგანგებო სესიის ან სხდომის მოწვევის აუცილებლობის გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე ვადა და დღის წესრიგი.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, ერთი სესიის განმავლობაში ერთხელ, არა უმეტეს ოცდათი დღისა, გადადოს სახელმწიფო კრების სხდომა.

(5) იმ დროის განმავლობაში, რომლითაც პრეზიდენტმა გადადო სახელმწიფო კრების სხდომა, სახელმწიფო კრების თავმჯდომარე ვალდებულია, მოიწვიოს სახელმწიფო კრება დეპუტატთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით, ამ მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს რვა დღისა.

§23. სახელმწიფო კრების სხდომები ღიაა. რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან სახელმწიფო კრების ნებისმიერი დეპუტატის თხოვნით, სახელმწიფო კრებას დეპუტატთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის გამართვის თაობაზე.

§24. (1) სახელმწიფო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება დეპუტატთა ნახევარზე მეტი.

(2) გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სახელმწიფო კრების სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ნახევარზე მეტი.

(3) კონსტიტუციის ცვლილება, აგრეთვე ცალკეული გადაწყვეტილების მიღება კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხდება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) სახელმწიფო კრება თავისი საქმიანობისა და საკითხების განხილვის წესებს დამოუკიდებლად ადგენს რეგლამენტში, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) გაუქმებულია

§25. (1) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთავრობას, სახელმწიფო კრების კომისიებს და სახელმწიფო კრების დეპუტატებს.

(2) კანონების მიღების უფლება ეკუთვნის სახელმწიფო კრებას.

(3) სახელმწიფო კრების თავმჯდომარე ხელს აწერს სახელმწიფო კრების მიერ მიღებულ კანონებს და უგზავნის მათ რესპუბლიკის პრეზიდენტს.

§26. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი თხუთმეტი დღის განმავლობაში უზრუნველყოფს კანონის გამოქვეყნებას, ხოლო სახელმწიფო კრების თავმჯდომარის თხოვნით სასწრაფო განხილვის თაობაზე — მისი მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს გამოსაქვეყნებელ კანონს. კანონი უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

(2) იმ შემთხვევაში თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ ეთანხმება კა-

ნონს ან მის რომელიმე დებულებას. პირველი აბზაცით გათვალისწინებულ ვადებში მას შეუძლია, სახელმწიფო კრებას განმეორებითი განხილვისათვის დაუბრუნოს კანონი თავისი შენიშვნებით.

(3) სახელმწიფო კრება განმეორებით განიხილავს კანონს და მისი მიღების საკითხს. კანონის მიღების შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია, ხელი მოაწეროს სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მიერ გაგზავნილ კანონს და გამოაქვეყნოს იგი ხუთი დღის განმავლობაში.

(4) თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონის რომელიმე დებულებას მიიჩნევს არაკონსტიტუციურად, მაშინ პირველი აბზაცით გათვალისწინებულ ვადებში იგი კანონს დასკვნისათვის გზავნის საკონსტიტუციო სასამართლოში.

(5) თუ საკონსტიტუციო სასამართლო კანონის რიგგარეშე წესით განხილვისას მას სცნობს არაკონსტიტუციურად, რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს უბრუნებს სახელმწიფო კრებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია, ხელი მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი ხუთი დღის ვადაში.

(6) საყოველთაო რეფერენდუმზე წარდგენილ კანონპროექტს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი მოწონებულ იქნა რეფერენდუმზე.

§27. სახელმწიფო კრების დეპუტატებს შეუძლიათ, კითხვებით მიმართონ სახელმწიფო კრების რწმუნებულებს სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში და ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებათა დაცვის სფეროში, სახელმწიფო საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს, უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, აგრეთვე ინტერპელაციით ან შეკითხვით მიმართონ მთავრობას, მთავრობის ნებისმიერ წევრს, გენერალურ პროკურორს, მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საქმეზე.

§28. (1) სახელმწიფო კრების უფლებამოსილების ვადა გამოითვლება დამფუძნებელი სხდომის გახსნის დღიდან.

(2) სახელმწიფო კრებას შეუძლია, განაცხადოს თვითდაშლის შესახებ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდეც.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, დაითხოვოს სახელმწიფო კრება და იმავდროულად დანიშნოს ახალი არჩევნები იმ შემთხვევაში თუ:

a) ერთი მოწვევის სახელმწიფო კრება 12 თვის განმავლობაში არანაკლებ ოთხჯერ უარყოფს მთავრობის ნდობის საკითხს;

b) მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ პირველი კანდიდატურის წამოყენებიდან 40 დღის განმავლობაში არ აირჩია პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

(4) გაუქმებულია.

(5) სახელმწიფო კრების დათხოვნამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია, აზრი გამოკითხოს პრემიერ-მინისტრს, სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს, სახელმწიფო კრებაში წარმოდგენილი პარტიების საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეებს.

(6) სახელმწიფო კრების უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან, დათხოვნიდან ან თვითდაშლიდან სამი თვის განმავლობაში უნდა გაიმართოს ახალი სახელმწიფო კრების არჩევნები.

(7) სახელმწიფო კრების საქმიანობა გრძელდება ახალი სახელმწიფო

კრების დამფუძნებელ სხდომამდე.

§28/A. (1) საგანგებო და ეროვნული კრიზისის მდგომარეობის დროს სახელმწიფო კრება არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს ან გამოაცხადოს თვითდაშლა.

(2) თუ სახელმწიფო კრების უფლებამოსილებები იწურება საგანგებო ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის დროს, მაშინ იგი გრძელდება ამ მდგომარეობის შეწყვეტამდე.

(3) ომის, ომის საფრთხის ან ეროვნული კრიზისის მდგომარეობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, მოიწვიოს დათხოვნილი, ან თვითდაშლილი სახელმწიფო კრება. სახელმწიფო კრება დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მისი უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე.

§28/B. (1) სახელმწიფო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი შეიძლება იყოს საყოველთაო რეფერენდუმისა და სახალხო ინიციატივის საგანი.

(2) კანონი საყოველთაო რეფერენდუმისა და სახალხო ინიციატივის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§28/C. (1) საყოველთაო რეფერენდუმი შეიძლება გაიმართოს გადაწყვეტილების მიღების ან უმრავლესობის აზრის გარკვევის მიზნით, რეფერენდუმის შედეგებს შეიძლება ჰქონდეს სავალდებულო ან სარეკომენდაციო ხასიათი.

(2) საყოველთაო რეფერენდუმი შეიძლება გაიმართოს არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით.

(3) იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმი გამოცხადდა ჩატარებულად, მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა სახელმწიფო კრებისათვის.

(4) სარეკომენდაციო ხასიათის რეფერენდუმი სახელმწიფო კრების მიერ შეიძლება დაინიშნოს პრეზიდენტის, მთავრობის, სახელმწიფო კრების დეპუტატთა ერთი მესამედის, ან საარჩევნო უფლების მქონე 100 000 მოქალაქის წინადადებით.

(5) საყოველთაო რეფერენდუმი არ შეიძლება გაიმართოს შემდეგ საკითხებზე:

a) ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, ცენტრალიზებულ გადასახადებსა და შემოსავლებზე, საბაჟო ტარიფებზე, აგრეთვე იმ კანონების შინაარსის შესახებ, რომლებიც ეხება ადგილობრივი გადასახადების აკრეფის ცენტრალიზებულ პირობებს;

b) იმ ვალდებულებებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, ისევე როგორც იმ კანონების შინაარსის შესახებ, რომლებიც შეიცავენ ამ ვალდებულებებს;

c) საყოველთაო რეფერენდუმისა და საკონსტიტუციო საკითხებზე სახალხო ინიციატივის პირობების შესახებ;

d) სახელმწიფო კრების კომპეტენციაში შემავალ საკადრო და ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ცვლილებებზე (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია);

e) სახელმწიფო კრების დათხოვნის შესახებ;

f) მთავრობის პროგრამაზე;

g) საომარი, საგანგებო და ეროვნული კრიზისის გამოცხადების თაობაზე:

h) ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე;

i) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნის შესახებ;

j) ამნისტიაზე.

(6) საყოველთაო რეფერენდუმზე განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ რეფერენდუმში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ნახევარზე მეტი და მონაწილეთა ნახევარზე მეტი, მაგრამ ქვეყნის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეოთხედი მაინც, მხარს დაუჭერს სარეფერენდუმო კითხვას.

§28/D. (1) საყოველთაო ინიციატივა განსახილველად შეიძლება წარდგენილ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის წინადადებით. სახალხო ინიციატივა შეიძლება ეხებოდეს საკითხს, რომ სახელმწიფო კრებამ დღის წესრიგში განსახილველად შეიტანოს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი. სახელმწიფო კრება ვალდებულია, განიხილოს საყოველთაო სახალხო ინიციატივაში ფორმულირებული საკითხი.

§28/E. საყოველთაო რეფერენდუმის გამართვის ინიციატივასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვება შეიძლება მიმდინარეობდეს ოთხი თვის მანძილზე; საერთო ეროვნული ინიციატივის გამოხატვასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს ორი თვის მანძილზე.

განყოფილება III
რესპუბლიკის პრეზიდენტი

§29. (1) უნგრეთის სახელმწიფოს მეთაური არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც განასახიერებს ერის მთლიანობას და დგას სახელმწიფო სტრუქტურების დემოკრატიული საქმიანობის სადარაჯოზე.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

§29/A. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ ხუთი წლის ვადით.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდა ოცდათხუთმეტი წელი.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

§29/B. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს წინ უძღვის კანდიდატების წამოყენება. კანდიდატის წამოყენებისათვის აუცილებელია სახელმწიფო კრების არანაკლებ ორმოცდაათი დეპუტატის წერილობითი რეკომენდაცია. კენჭისყრის დანიშვნამდე რეკომენდაციები უნდა წარედგინოს სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს. სახელმწიფო კრების ყოველ დეპუტატს უფლება აქვს, რეკომენდაცია მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. დეპუტატის ყველა რეკომენდაცია ბათილია თუ იგი ასახელებს რამდენიმე კანდიდატს.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ ფარული კენჭისყრით. აუცილებლობის შემთხვევაში კენჭისყრა შეიძლება იყოს

მრავალჯერადი. პირველი კენჭისყრის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს დეპუტატთა ხმების ორ მესამედს.

(3) თუ პირველი კენჭისყრის შემდეგ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო უმრავლესობა, პირველი აბზაცის შესაბამისად, კანდიდატთა ხელახალი დასახელების საფუძველზე, იმართება მეორე კენჭისყრა. მეორე კენჭისყრით ასარჩევად საჭიროა, კანდიდატმა კვლავ მიიღოს დეპუტატთა ხმების ორი მესამედი.

(4) თუ მეორე კენჭისყრის შემდეგ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო უმრავლესობა, იმართება მესამე კენჭისყრა. ამ შემთხვევაში კენჭისყრა იმართება მხოლოდ იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მეორე კენჭისყრისას მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. მესამე კენჭისყრის შედეგად რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატთა ხმების უმრავლესობა.

(5) კენჭისყრის პროცედურა უნდა დასრულდეს არა უგვიანეს თანმიმდევრული სამი დღისა.

§29/C. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩეული უნდა იქნეს მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა, ხოლო თუ პრეზიდენტის უფლებამოსილება შეწყდა ვადამდე, მაშინ – შეწყვეტიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ინიშნება სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მიერ.

§29/D. არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის დღეს, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – კენჭისყრის შედეგების გამოცხადებიდან ან გამოქვეყნებიდან მერვე დღეს. თანამდებობის დაკავების წინ რესპუბლიკის პრეზიდენტი დებს ფიცს სახელმწიფო კრების წინაშე.

§29/E. (1) იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს დროებით არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება, ასევე, თუ რაღაც მიზეზების გამო, მისი უფლებამოსილება შეწყდა ვადამდე, ამ შემთხვევაში ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის დაწყებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელწიფო კრების თავმჯდომარე, ამასთან ერთად სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს არ შეუძლია, სახელმწიფო კრებას დაუბრუნოს კანონები განმეორებითი განხილვისათვის, ასევე გაგზავნოს ისინი დასკვნისათვის საკონსტიტუციო სასამართლოში, დაითხოვოს სახელმწიფო კრება; ხოლო შეწყალების უფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ მსჯავრდებულთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე.

(2) სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ჩერდება მისი, როგორც სახელმწიფო კრების თავმჯდომარის უფლებამოსილებები, ხოლო სახელმწიფო კრების თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფო კრების მიერ დანიშნული მისი მოადგილე.

§30. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა ნებისმიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ თანამდებობასთან

ან ფუნქციასთან. რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია, ახორციელებდეს სხვა ნებისმიერ ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა საქმიანობისა, რომლის შედეგებზეც ვრცელდება საავტორო უფლება.

(2) კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელფასის მოცულობის, შეღავათებისა და იმ თანხის შესახებ, რომელიც ერგება მას დანახარჯების ასანაზღაურებლად, მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§30/A. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი:

a) წარმოადგენს უნგრეთის სახელმწიფოს;

b) უნგრეთის რესპუბლიკის სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; თუ ხელშეკრულების საგანი მიეკუთვნება საკანონმდებლო რეგულირების სფეროს, შეთანხმების დასადებად აუცილებელია სახელმწიფო კრების წინასწარი თანხმობა;

c) ნიშნავს და იღებს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს და დესპანებს;

d) ნიშნავს სახელმწიფო კრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს;

e) უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს და გამოვიდეს სიტყვით სახელმწიფო კრების სესიის მუშაობაში და მისი მუდმივი კომისიების სხდომებზე;

f) უფლებამოსილია, სახელმწიფო კრებას შესთავაზოს განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

g) უფლებამოსილია, გამოვიდეს რეფერენდუმის გამართვის ინიციატივით;

h) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო მდივნებს;

i) კანონით განსაზღვრული პირებისა და ორგანოების წინადადებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს, უნივერსიტეტების რექტორებსა და პროფესორებს; ანიჭებს და უმატებს გენერლის წოდებებს; თანამდებობაზე ამტკიცებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს;

j) ახდენს კანონით დადგენილი წოდებების მინიჭებას და მომატებას; აჯილდოებს ორდენებითა და ჯილდოებით და იძლევა მათი ტარების ნებართვას;

k) ახორციელებს ინდივიდუალურ შეწყალებას;

l) იღებს გადაწყვეტილებებს მოქალაქეობის საკითხებზე;

m) წყვეტს კანონებით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

(2) პირველი აბზაცით გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილება, გარდა „a“, „d“, „e“, „f“, „g“ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებისა, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხორციელდება პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის კონტრასიგნებით.

§31. (1) პრეზიდენტის მანდატი წყდება:

a) მანდატის ვადის ამოწურვისას;

b) პრეზიდენტის გარდაცვალებისას;

c) იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, როდესაც ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში იგი ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;

d) შეუთავსებლობის კონსტატაციისას;

e) გადადგომისას;

1) პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებისას.

(2) თუ პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში წარმოიშობა შეუთავსებლობის საფუძველი (§30-ის პირველი აბზაცი), სახელმწიფო კრება ნებისმიერი დეპუტატის ინიციატივით იღებს შეუთავსებლობის კონსტატაციის გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება გადადგეს, რის შესახებაც იგი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო კრებას. გადადგომის მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო კრება. სახელმწიფო კრებას შეუძლია, თხუთმეტი დღის განმავლობაში მიმართოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება. თუ პრეზიდენტი არ ცვლის თავის გადაწყვეტილებას, სახელმწიფო კრებას არ შეუძლია, არ მიიღოს მისი გადადგომა.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან გადაყენებულ იქნეს, თუ მან შეგნებულად დაარღვია კონსტიტუცია ან კანონი.

§31/A. (1) რესპუბლიკის პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობით; მისი სისხლისსამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფილია სპეციალური კანონით.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში სახელმწიფო კრების დეპუტატთა ერთი მეხუთედის ინიციატივით.

(3) გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პროცედურის დაწყების თაობაზე ფარული კენჭისყრით მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის პროცედურის დაწყების თაობაზე სახელმწიფო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მის დასრულებამდე პრეზიდენტს არ შეუძლია, განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები.

(5) საქმის განხილვა მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.

(6) თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს კანონის დარღვევის ფაქტს, მას შეუძლია, პრეზიდენტი გადააყენოს დაკავებული თანამდებობიდან.

(7) გაუქმებულია.

(8) გაუქმებულია.

§32. (1) თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ დაწყებულია პასუხისგებაში მიცემის პროცელურა მის მიერ ოფიციალური საქმიანობისას სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო საქმის განხილვისას იყენებს სისხლის სამართალწარმოებისათვის დადგენილ ძირითად დებულებებს. ბრალდებას წარადგენს სახელმწიფო კრების მიერ დეპუტატთა რიცხვიდან არჩეული ბრალმდებელი.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის სისხლისსამართლებრივი დევნა სხვა

ქმედებისათვის, შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

(3) თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრალეულობას დანაშაულის შეგნებულად ჩადენაში, იგი უფლებამოსილია, გადააყენოს პრეზიდენტი დაკავებული თანამდებობიდან და იმავდროულად გამოიყენოს ამ ქმედებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სასჯელი და ღონისძიება.

განყოფილება IV
საკონსტიტუციო სასამართლო

§32/A. (1) საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციურობას და წყვეტს კანონებით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

(2) არაკონსტიტუციურობის დადგენის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს კანონებსა და სხვა სამართლებრივ ნორმებს.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება კანონით დადგენილ შემთხვევებში აქვს ნებისმიერ პირს.

(4) საკონსტიტუციო სასამართლოს თერთმეტი წევრი აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების კანდიდატურები სახელდება სახელმწიფო კრებაში წარმოდგენილი პარტიების საპარლამენტო ფრაქციების თითო-თითო წარმომადგენლისაგან შემდგარი კომიტეტის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები აირჩევიან სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(5) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები არ შეიძლება, მიეკუთვნებოდნენ პარტიებს და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის მიღმა ეწოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

(6) საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და ორგანიზაციის წესის შესახებ კანონი მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

განყოფილება V
სახელმწიფო კრების რწმუნებული სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში და სახელმწიფო კრების რწმუნებული ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში

§32/B. (1) სახელმწიფო კრების რწმუნებული სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში ამოწმებს ან ორგანიზებას უკეთებს მისთვის ცნობილი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმებას და იღებს ზომებს მათ აღსადგენად.

(2) სახელმწიფო კრების რწმუნებული ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში ამოწმებს ან ორგანიზებას უკეთებს მისთვის ცნობილი ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმებას და იღებს ზომებს მათ აღსადგენად.

(3) კანონით დადგენილ შემთხვევებში, ყველას აქვს უფლება, გამოვიდეს სახელმწიფო კრების რწმუნებულის მიერ წარმოების დაწყების ინიციატივით.

(4) სახელმწიფო კრების რწმუნებულები სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით აირჩევიან სახელმწიფო კრების მიერ დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. სახელმწიფო კრებას შეუძლია ასევე, აირჩიოს სპეციალური რწმუნებულები ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებათა დასაცავად.

(5) გაუქმებულია.

(6) სახელმწიფო კრების რწმუნებული თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სახელმწიფო კრებას.

(7) კანონი სახელმწიფო კრების რწმუნებულების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

განყოფილება VI
სახელმწიფო საანგარიშო პალატა და უნგრეთის ეროვნული ბანკი

§32/C. (1) სახელმწიფო საანგარიშო პალატა არის სახელმწიფო კრების საფინანსო-სამეურნეო კონტროლის ორგანო. მის კომპეტენციას მიეკუთვნება კონტროლი სახელმწიფო აპარატის სამეურნეო საქმიანობაზე, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დასაბუთებულობის, სახელმწიფო გასავლების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შემოწმება, ბიუჯეტის კრედიტირებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების რატიფიცირება; სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების კანონიერების წინასწარი შემოწმება; სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემოწმება;, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებსა და გაერთიანებებზე სახელმწიფო ქონებით სარგებლობაზე კონტროლი, რომელიც მიმართულია მათი ფონდების ღირებულების დაცვისა და ზრდისაკენ; მასზე კანონით დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

(2) სახელმწიფო საანგარიშო პალატა კონტროლის განხორციელებისას ხელმძღვანელობს კანონიერების, რაციონალურობისა და რენტაბელობის პრინციპებით. პალატა განხორციელებული შემოწმებების ანგარიშს წარუდგენს სახელმწიფო კრებას. ანგარიში უნდა იყოს გამოქვეყნებული. პალატის თავმჯდომარე სახელმწიფო კრებას წარუდგენს დოკუმენტს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის შემოწმების თაობაზე, თავად ამ ანგარიშთან ერთად.

(3) სახელმწიფო საანგარიშო პალატის თავმჯდომარე და მოადგილეები აირჩევიან სახელმწიფო კრების მიერ დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) კანონი სახელმწიფო საანგარიშო პალატის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§32/D. (1) უნგრეთის ეროვნული ბანკი, კანონით დადგენილი წესით, ახორციელებს კანონიერი საგადასახადო სახსრების ემისიას, ასევე ეროვნული ვალუტის სიმყარის დაცვას და ფულის მიმოქცევის რეგულირებას.

(2) უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ექვსი წლის ვადით.

(3) უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე სახელმწიფო კრებას ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს ბანკის საქმიანობის შესახებ.

განყოფილება VII
მთავრობა

§33. (1) მთავრობა შედგება:

a) პრემიერ-მინისტრისა და

b) მინისტრებისაგან.

(2) პრემიერ-მინისტრს ცვლის მის მიერვე დანიშნული მინისტრი.

(3) პრემიერ-მინისტრი აირჩევა ხმათა უმრავლესობით სახელმწიფო კრების მიერ პრეზიდენტის წინადადებით. სახელმწიფო კრება ერთდროულად ირჩევს პრემიერ-მინისტრს და ამტკიცებს მთავრობის პროგრამას.

(4) მინისტრები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წინადადებით.

(5) მთავრობის ფორმირება ხდება მინისტრების დანიშვნის გზით. მთავრობის ფორმირების შემდეგ მისი წევრები ფიცს დებენ სახელმწიფო კრების წინაშე.

§33/A. მთავრობის უფლებამოსილება წყდება:

a) ახლად არჩეული სახელმწიფო კრების შეკრებისას;

b) პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისად მთავრობის გადადგომისას;

c) პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებისას;

d) პრემიერ-მინისტრის მიერ საარჩევნო უფლების დაკარგვისას;

e) პრემიერ-მინისტრის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების დადგენისას ან დაკარგვისას;

f) სახელმწიფო კრების მიერ პრემიერ-მინისტრისათვის, §39/A პირველი აბზაცის თანახმად, უნდობლობის გამოცხადებისა და ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევის შემთხვევაში.

§33/B. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება წყდება:

a) მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;

b) გადადგომისას;

c) თანამდებობიდან გადაყენებისას;

d) გარდაცვალებისას;

e) საარჩევნო უფლების დაკარგვისას;

f) დაკავებულ თანამდებობასთან შეუთავსებლობის დადგენისას.

§34. უნგრეთის რესპუბლიკის სამინისტროების ჩამონათვალი დგინდება კანონით.

§35. (1) მთავრობა:

a) იცავს კონსტიტუციურ წყობას, იცავს და უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებს;

b) უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას;

c) კოორდინაციას უწევს, წარმართავს სამინისტროებისა და მისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სხვა ორგანოების მუშაობას;

d) შინაგან საქმეთა მინისტრის ხელშეწყობით უზრუნველყოფს კონტროლს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე;

e) უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

f) განსაზღვრავს სახელმწიფოს ამოცანებს მეცნიერებისა და კულტურის სფეროში და უზრუნველყოფს მათ გადასაწყვეტად აუცილებელ პირობებს;

g) განსაზღვრავს სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემას, ახორციელებს მის მატერიალურ მომარაგებას;

h) ხელმძღვანელობს შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების საქმიანობას;

i) სტიქიური უბედურებებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისას (შემდგომ საფრთხის მდგომარეობა) მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად იღებს შესაბამის ზომებს;

j) მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით;

k) ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

(2) მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს დადგენილებებს და იღებს გადაწყვეტილებებს. მათ ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. დადგენილება და გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს. მთავრობის დადგენილება ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

(3) საფრთხის დადგომის მოახლოების შემთხვევაში, სახელმწიფო კრებისაგან მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილებები და ზომები, რომლებიც ცვლიან ცალკეული კანონების დებულებებს. წესები, რომლებიც გამოიყენება საფრთხის მდგომარეობის დროს, დგინდება კანონით, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) მთავრობას უფლება აქვს, საკანონმდებლო აქტების გარდა, გააუქმოს ან შეცვალოს მისადმი დაქვემდებარებული ორგანოების ნებისმიერი განკარგულებები ან ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს.

§36. მთავრობა თავისი ამოცანების განხორციელებისას თანამშრომლობს დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

§37. (1) პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომებს, უზრუნველყოფს მთავრობის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას.

(2) მთავრობა, კანონმდებლობისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ხელმძღვანელობს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სახელმწიფო ადმინისტრაციის მიმართულებებს და წარმართავს მისადმი დაქვემდებარებული ორგანოების მუშაობას. უპორტფელო მინისტრები ახორციელებენ მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს.

(3) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებს უფლება აქვთ, გამოსცენ განკარგულებები. ეს აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ კანონებსა და მთავრობის დადგენილებებს ან გადაწყვეტილებებს. ეს განკარგულებები ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

§38. გაუქმებულია.

§39. (1) მთავრობა თავის საქმიანობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო

კრების წინაშე. იგი ვალდებულია, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში რეგულარულად წარუდგინოს სახელმწიფო კრებას.

(2) მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი არიან მთავრობისა და სახელმწიფო კრების წინაშე; ისინი ვალდებულნი არიან, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშით წარსდგნენ მთავრობისა და სახელმწიფო კრების წინაშე. მთავრობის წევრთა და სახელმწიფო მდივნების სამართლებრივი სტატუსი, შრომის ანაზღაურება და პასუხისმგებლობის წესი დგინდება კანონით.

(3) მთავრობის წევრებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ და სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო კრების სხდომაზე.

§39/A. (1) სახელმწიფო კრების არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვს, გამოვიდეს პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადების ინიციატივით და იმავდროულად დაასახელოს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა. პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადების ინიციატივა განიხილება როგორც მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ინიციატივა. თუ სახელმწიფო კრების დეპუტატთა უმრავლესობამ პრემიერ-მინისტრს გამოუცხადა უნდობლობა, ახალი პრემიერ-მინისტრი არჩეულად ითვლება.

(2) უნდობლობის გამოცხადების შესახებ დისკუსია და კენჭისყრა უნდა გაიმართოს წინადადების შეტანიდან არა უადრეს სამი და არა უგვიანეს რვა დღისა.

(3) მთავრობას, პრემიერ-მინისტრის მეშვეობით, უფლება აქვს, სახელმწიფო კრებას შესთავაზოს ნდობის საკითხის თაობაზე კენჭისყრა მე-2 აბზაცით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

(4) მთავრობას, პრემიერ-მინისტრის მეშვეობით, უფლება აქვს, სახელმწიფო კრებას ასევე შესთავაზოს, მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტსა და ნდობის გამოცხადებას ერთად უყაროს კენჭი.

(5) თუ სახელმწიფო კრებამ მე-3-მე-4 აბზაცებით განსაზღვრულ შემთხვევებში ხმა არ მისცა მთავრობის ნდობის საკითხს, მთავრობა ვალდებულია, გადადგეს.

§39/B. მთავრობის მანდატის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი აგრძელებს საქმიანობას ახალი მთავრობის ფორმირებამდე და ამასთან, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლითაც იგი აღჭურვილია; მაგრამ მთავრობას არ შეუძლია, დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და უფლება აქვს, დადგენილებები მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კანონში პირდაპირ არის მითითებული გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ.

§39/C. (1) თუ პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული სახელმწიფო კრების დამფუძნებელი სხდომის გამართვის ან პრემიერ-მინისტრის და შესაბამისად, მთავრობის გადადგომის გამო, ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევამდე დროებით ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, თუმცა მას არ შეუძლია, კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების საფუძველზე განახორციელოს წინადადებები თანამდებობაზე დანიშვნის, ან თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

(2) თუ პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება წყდება მის მიერ საარჩევნო უფლების დაკარგვის ან შეუთავსებლობის დადგენის გამო, ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევამდე მის მოვალეობას პირველ აბზაცში მითითებული

შეზღუდვებით ახორციელებს ის მინისტრი, რომელიც პრემიერ-მინისტრის მიერ დასახელებული იყო მის მოადგილედ; იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამოდენიმე იყო ის მინისტრი, რომელიც პირველი იყო ჩამონათვალში.

§40. (1) მთავრობას ზოგიერთი საკითხის განსახორციელებლად უფლება აქვს, შექმნას სამთავრობო კომისიები.

(2) გაუქმებულია.

(3) მთავრობა უფლებამოსილია, აიღოს უშუალო კონტროლი სახელმწიფო ადმინისტრაციის ნებისმიერ მიმართულებაზე და მისთვის შექმნას სპეციალური სამთავრობო ორგანოები.

განყოფილება VIII
შეიარაღებული ძალები და პოლიცია

§40/A. (1) შეიარაღებული ძალების (უნგრეთის ჯარები, სასაზღვრო დაცვა) ძირითადი ვალდებულებაა სამშობლოს სამხედრო დაცვა. სასაზღვრო დაცვა უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის დაცვას, კონტროლს საზღვარზე გადაადგილებაზე და სასაზღვრო რეჟიმის დაცვას. კანონი შეიარაღებული ძალების ამოცანებისა და მათი განხორციელების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(2) პოლიციის ძირითადი ამოცანაა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საშინაო წესრიგის უზრუნველყოფა. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კანონი პოლიციისა და მისი საქმიანობის განხორციელების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§40/B. (1) გაუქმებულია

(2) შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტიტუციური წყობის შეიარაღებული გზით დამხობის მცდელობისას, ხელისუფლების მითვისებისაკენ მიმართული განსაკუთრებული ქმედების, აგრეთვე იარაღის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით მძიმე ძალადობრივი მოქმედებისას, რომლებიც მასობრივად უქმნიან საფრთხეს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ქონებას, აგრეთვე კონსტიტუციის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის შემოღების დროს, როდესაც არასაკმარისია პოლიციის გამოყენება.

(3) თუ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კონსტიტუციითა და სპეციალური კანონით დადგენილ ფარგლებში შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის განსაკუთრებული უფლება ეკუთვნით სახელმწიფო კრებას, რესპუბლიკის პრეზიდენტს, თავდაცვის საბჭოს, მთავრობასა და კომპეტენტურ მინისტრს.

(4) პირებს, რომლებიც იმყოფებიან პროფესიულ სამხედრო სამსახურში, პოლიციასა და ეროვნული უშიშროების სამოქალაქო ორგანოებში, არ შეუძლიათ იყვნენ პარტიის წევრები და ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

(5) პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან შეიარაღებული ძალების არაპროფესიულ სამხედრო სამსახურში, პარტიული საქმიანობის შეზღუდვას ადგენს კანონი, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§40/C მე-19/E მუხლის გათვალისწინებით, მთავრობას უფლება აქვს,

ქვეყნის ტერიტორიის დაცვის მიზნით, გაერთიანებულ სამხედრო ძალებს, მოქმედ საჰაერო და საჰაერო დაცვის ძალებთან ერთად, მიანიჭოს საპატრულო მისიებში ჩართვის უფლებამოსილება.

განყოფილება IX
ადგილობრივი თვითმმართველობა

§41. (1) უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორია იყოფა დედაქალაქად, ოლქებად, ქალაქებად და თემებად.

(2) დედაქალაქი იყოფა ოლქებად. ქალაქებში შეიძლება, შეიქმნას ოლქები.

§42. თემის, ქალაქის და მისი ოლქების, ასევე ოლქების ამომრჩევლები ფლობენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას. ადგილობრივი თვითმმართველობა არის ადგილობრივი საჯარო საქმეების დამოუკიდებელი, დემოკრატიული რეგულირება და ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების განხორციელება მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

§43. (1) ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი უფლებები თანაბარია (§44/A). თვითმმართველობებისათვის შეიძლება, დადგინდეს განსხვავებული ვალდებულებები.

(2) ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები და ვალდებულებები დგინდება კანონით. თვითმმართველობის უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია სასამართლო დაცვის უფლებით, თვითმმართველობის ორგანოს თავისი უფლებების დასაცავად შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

§44. (1) ამომრჩევლები ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ მათ მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით და ასევე ადგილობრივი რეფერენდუმის გზით.

(2) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ბურგომისტრის არჩევნები, გარდა შუალედური არჩევნებისა, იმართება ბოლო საყოველთაო არჩევნებიდან მეოთხე წლის ოქტომბრის თვეში.

(3) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილება გრძელდება თვითმმართველობის ორგანოების საყოველთაო არჩევნებამდე. თუ არჩევნები არ ჩაითვალა ჩატარებულად კანდიდატების არ არსებობის გამო, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების ვადა გრძელდება შუალედურ არჩევნებამდე. ბურგომისტრის უფლებამოსილება გრძელდება ახალი ბურგომისტრის არჩევამდე.

(4) ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით დადგენილი წესით, წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია, თავისი მანდატის ვადის ამოწურვამდე გამოაცხადოს თვითდაშლის შესახებ. წარმომადგენლობითი ორგანოს თვითდაშლის ან დათხოვნის შემთხვევაში (პუნქტი „i" აბზაცი 3, §19) წყდება ასევე ბურგომისტრის მანდატი.

§44/A. (1) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო:

a) დამოუკიდებლად მართავს თვითმმართველი ერთეულის საქმეებს; მისი გადაწყვეტილებები შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს;

b) თვითმმართველი ერთეულის ქონებასთან მიმართებაში ახორციელებს მესაკუთრის უფლებას, დამოუკიდებლად განაგებს თვითმმართველი ერთეულის შემოსავლებს, შეუძლია, საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციე-

ლოს სამეწარმეო საქმიანობა;

c) კანონით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად ფლობს საკუთარი შემოსავლების ასევე, ამ ამოცანების შესაბამისად, სახელმწიფო დოტაციის ქონის უფლებას;

d) კანონით დადგენილი წესით ადგენს ადგილობრივი გადასახადების სახეებსა და განაკვეთებს;

e) კანონის შესაბამისად დამოუკიდებლად ქმნის თავის სტრუქტურას და განსაზღვრავს საკუთარი მუშაობის წესს;

f) სარგებლობს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების, ადგილობრივი ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დაწესების უფლებით;

g) სარგებლობს კომპეტენტურ ორგანოებთან მიმართვის უფლებით ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

h) სარგებლობს სხვა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებთან თავისუფალი გაერთიანების, თვითმმართველი ერთეულების კავშირის შექმნის, რომლებიც წარმოადგენენ საკუთარ ინტერესებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა ქვეყნების თვითმმართველ ერთეულებთან თანამშრომლობის და თვითმმართველობის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლებით.

(2) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს დადგენილებები, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ უფრო მაღალი დონის სამართლებრივ ნორმებს.

§44/B. (1) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არის ბურგომისტრი. წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია, აირჩიოს კომისიები და შექმნას კანცელარია.

(2) ბურგომისტრს, გარდა თვითმმართველობის უფლებისა, უფლება აქვს, ასევე კანონის ან მის აღსასრულებლად მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილების საფუძველზე განახორციელოს სახელმწიფო ადმინისტრაციის უფლებამოსილება.

(3) კანონით ან მთავრობის დადგენილებით შეიძლება, დადგინდეს სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციები და სამდივნოს, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, წარმომადგენლობითი ორგანოს საქმისმწარმოებლის კომპეტენცია.

§44/C. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. ასეთივე წესით შეიძლება, მიღებულ იქნეს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესახებ.

განყოფილება X
სასამართლო სისტემა

§45. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება უნგრეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოების, დედაქალაქის, საოლქო, ასევე ადგილობრივი სასამართლოების და შრომის საკითხებთან დაკავშირებული დავების განმხილველი სასამართლოების მიერ.

(2) განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა განსახილველად კანონით შეიძლება ასევე შექმნას სპეციალური სასამართლოები.

§46. (1) თუ კანონი არ ადგენს განსხვავებულ წესს, სასამართლო

მართლმსაჯულებას ახორციელებს კოლეგიალურად.

(2) სპეციალურად განსაზღვრული საშუალებებითა და შემთხვევებში, სასამართლოს წარმართვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე არაპროფესიონალმა მოსამართლეებმაც.

(3) ერთპიროვნულად საქმის განხილვასა და სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეობის უფლება აქვთ მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეებს.

§47. (1) უნგრეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არის უნგრეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

(2) უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს ყველა სასამართლოს მიერ კანონის ერთგვაროვან გამოყენებას, სასამართლო საქმიანობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა სასამართლოსათვის.

§48. (1) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით, მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(2) პროფესიონალი მოსამართლეები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კანონით დადგენილი წესით.

(3) მოსამართლეები დაკავებული თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდნენ მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას.

§49. გაუქმებულია.

§50. (1) უნგრეთის რესპუბლიკის სასამართლოები იცავენ და უზრუნველყოფენ კონსტიტუციურ წყობას, მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, დამნაშავეებს უნიშნავენ სასჯელს.

(2) სასამართლო აკონტროლებს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობას.

(3) სასამართლოები არიან დამოუკიდებლები და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. არ შეიძლება მოსამართლეები მიეკუთვნებოდნენ რომელიმე პარტიას და ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

(4) სასამართლოების ადმინისტრაციული მართვა ხორციელდება მართლმსაჯულების საბჭოს მიერ, ადმინისტრაციული მართვის პროცესში მონაწილეობას იღებენ თვითმმართველობის სასამართლო ორგანოებიც.

(5) კანონი სასამართლოების ორგანიზაციისა და მათი ადმინისტრაციული მართვის, აგრეთვე მოსამართლეების სამართლებრივი მდგომარეობისა და შრომისათვის წახალისების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

განყოფილება XI
პროკურატურა

§51. (1) უნგრეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და პროკურატურა უზრუნველყოფენ მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ასევე სისხლისსამართლებრივ დევნას იმ ქმედებებისათვის, რომლითაც ზიანი მიადგა ან მიაყენა საფრთხე კონსტიტუციურ წყობას, ქვეყნის უსაფრთ-

ხოებასა და დამოუკიდებლობას.

(2) პროკურატურა, კანონით დადგენილ შემთხვევებში, აწარმოებს გამოძიებას, ახორციელებს ზედამხედველობას გამოძიებაზე, სასამართლო პროცესზე წარადგენს ბრალდებას, აგრეთვე ახორციელებს ზედამხედველობას სასჯელის აღსრულების კანონიერებაზე.

(3) პროკურატურა კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად დახმარებას უწევს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სახელმწიფო ორგანიზაციებს და მოქალაქეებს. კანონდარღვევის შემთხვევაში პროკურატურა, კანონით დადგენილი წესით, გამოდის კანონის დამცველად.

§52. (1) უნგრეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით, აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, გენერალური პროკურორის მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, გენერალური პროკურორის წინადადებით.

(2) გენერალური პროკურორი პასუხისმგებელია სახელმწიფო კრების წინაშე და ვალდებულია, თავისი საქმიანობის შესახებ მას წარუდგინოს ანგარიში.

§53. (1) პროკურორები ინიშნებიან უნგრეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ.

(2) პროკურორები არ შეიძლება, მიეკუთვნებოდნენ რომელიმე პარტიას ან ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

(3) გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს პროკურატურის ორგანოების სისტემას და წარმართავს მის საქმიანობას.

(4) პროკურატურის საქმიანობის წესი დგინდება კანონით.

განყოფილება XII
ძირითადი უფლებები და მოვალეობები

§54 (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველა ადამიანი ფლობს სიცოცხლისა და ადამიანური ღირსების ხელშეუვალ უფლებას, არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას ეს უფლებები.

(2) არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ და დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს მისი ნების საწინააღმდეგოდ სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებს.

§55. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება, არავის შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება, გარდა არსებული საფუძვლებისა და წესისა, რომელსაც ადგენს კანონი.

(2) დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და დაკავებული პირი უმოკლეს ვადაში ან უნდა გათავისუფლდეს, ან წარსდგეს სასამართლოს წინაშე. მოსამართლე ვალდებულია, მოუსმინოს სასამართლოში წარდგენილ პირს და დაუყოვნებლივ გამოიტანოს მოტივირებული წერილობითი გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების ან დაპატიმრების შესახებ.

(3) პირებს, რომლებიც უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი ან დაპატიმრებულნი, უფლება აქვთ, მოითხოვონ ზარალის ანაზღაურება.

§56. უნგრეთის რესპუბლიკაში ყველა ადამიანი არის უფლებაუნარიანი.

§57. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, ყველას აქვს უფლება, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ან

მისი უფლებები და მოვალეობები კანონით დადგენილი წესით განიხილებოდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიან და საჯარო პროცესზე.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში არავინ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით.

(3) პირებს, რომელთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, აქვთ დაცვის უფლება პროცესის ყველა სტადიაზე. დამცველი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში მის მიერ დაცვის განხორციელებისას გამოთქმული აზრის გამო.

(4) არავინ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ და დაექვემდებაროს სასჯელს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს უნგრეთის კანონმდებლობით არ ითვლებოდა დანაშაულად.

(5) უნგრეთის რესპუბლიკაში, მისი კანონების შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს, სახელმწიფო ადმინისტრაციისა და სხვა საუწყებო გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევენ მის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. სამართლებრივი დავების გასაჩივრების უფლება, მათი ხანდაზმულობის რაციონალურ ვადებში განხილვის ინტერესების შესაბამისად, შესაძლებელია შეიზღუდოს კანონით, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§58. (1) ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება უნგრეთის ტერიტორიაზე, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა, აქვს თავისუფალი მიმოსვლის და ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლება, ამასთანავე საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ქვეყნის დატოვების უფლება.

(2) უცხოეთის მოქალაქე, რომელიც კანონიერად იმყოფება უნგრეთის ტერიტორიაზე, შეიძლება გაძევებულ იქნეს ქვეყნიდან მხოლოდ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

(3) კანონი მიმოსვლის თავისუფლების და ადგილსამყოფელის არჩევის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§59. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს პატიოსანი სახელის, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის, აგრეთვე პირადი საიდუმლოსა და პირადი ცნობების დაცვის უფლება.

(2) კანონი პირადი ცნობების დაცვის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§60. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების უფლება.

(2) ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და სხვა მორალური მრწამსის არჩევის ან შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე ყველას უფლებას, თავისი რელიგია და მრწამსი გამოხატოს რელიგიური მოქმედებების, რიტუალების ან სხვა საშუალებების შესრულებით, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან ვიწრო წრეში.

(3) უნგრეთის რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან.

(4) კანონი სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ, დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ

ორი მესამედის უმრავლესობით.

§61. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, აგრეთვე — მიიღოს და გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს და იცავს ბეჭედითი სიტყვის თავისუფლებას.

(3) კანონი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის საჯაროობის შესახებ და კანონი ბეჭედითი სიტყვის თავისუფლების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) კანონი სახელმწიფო რადიოს, ტელევიზიისა და საინფორმაციო საგენტოების კონტროლისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ, ინფორმაციაზე მონოპოლიის თავიდან აცილების და კომერციული რადიოსა და ტელევიზიის შექმნის უფლების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§62. (1) უნგრეთის რესპუბლიკა აღიარებს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უზრუნველყოფს მის თავისუფალ რეალიზაციას.

(2) კანონი შეკრების უფლების შესახებ, მიიღება სახელმწიფო კრების მიერ, დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§63. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს უფლება გაერთიანებაზე, ანუ უფლება, შექმნან ორგანიზაციები, რომელთა მიზნები არ ეწინააღმდეგებიან კანონს, აგრეთვე ყველას აქვს უფლება, შეუერთდეს ამგვარ ორგანიზაციებს.

(2) უფლება გაერთიანების შესახებ, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად პოლიტიკური მიზნების მიმდევარი შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნას.

(3) კანონი გაერთიანებების შექმნის შესახებ, აგრეთვე კანონი პარტიის ფუნქციონირებისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ, მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§64. უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს უფლება, პირადად ან სხვა ადამიანებთან ერთად მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს წერილობითი თხოვნით ან საჩივრით.

§65. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში კანონით დადგენილი პირობებით უზრუნველყოფილია თავშესაფრის უფლება იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებიც, შესაბამისად, თავიანთ სამშობლოში ან მათ ადგილსამყოფელ ქვეყანაში, იდევნებიან რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, ენობრივი, სოციალური კუთვნილების, ან პოლიტიკური საფუძვლებით, ან დასაბუთებულია დევნის საფრთხე, თუ მათი წარმომავლობის ან სხვა არც ერთი ქვეყანა არ უზრუნველყოფს მათ დაცვას.

(2) კანონი თავშესაფრის უფლების მინიჭების შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§66. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს მამაკაცისა და ქალის თანაბარ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

(2) უნგრეთის რესპუბლიკაში სპეციალური გადაწყვეტილებების საფუძველზე, დედა, ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილია დაცვით და ეძლევა დახმარება.

(3) ქალისა და ახალგაზრდების დაცვა მათი სამუშაო საქმიანობისას უზრუნველყოფილია სპეციალური წესებით.

§67. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში შესაფერისი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარების უზრუნველსაყოფად ყველა ბავშვს აქვს ოჯახის, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან დაცვის უფლება.

(2) მშობლებს აქვთ უფლება, დამოუკიდებლად აღზარდონ თავიანთი შვილები.

(3) სახელმწიფოს ამოცანები, დაკავშირებული ოჯახისა და ახალგაზრდობის დაცვასთან, განისაზღვრება სპეციალური დადგენილებებით.

§68. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები, მონაწილეობენ ხელისუფლების განხორციელებაში და წარმოადგენენ უნგრელი ხალხის სახელმწიფოს წარმომქმნელ ნაწილს.

(2) უნგრეთის რესპუბლიკა ახორციელებს ეთნიკური და ნაციონალური უმცირესობების დაცვას. იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ კოლექტიურ მონაწილეობას, მათი კულტურის, თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მშობლიური ენით სარგებლობას, მშობლიურ ენაზე სწავლებას, აგრეთვე ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებას — გამოთქვან სახელწოდებები მშობლიურ ენაზე.

(3) უნგრეთის რესპუბლიკის კანონები უზრუნველყოფენ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ნაციონალური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობას.

(4) ნაციონალურ და ეთნიკურ უმცირესობებს შეუძლიათ, შექმნან ადგილობრივი და სრულიად უნგრული თვითმმართველობის ორგანოები.

(5) კანონი ნაციონალური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ, მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§69. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა, არ შეიძლება უნგრეთის მოქალაქის გაძევება უნგრეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

(2) უნგრეთის მოქალაქეს შეუძლია, ნებისმიერ დროს დაბრუნდეს საზღვარგარეთიდან სამშობლოში.

(3) ყველა უნგრელ მოქალაქეს, რომელიც კანონიერად იმყოფება მის ფარგლებს გარეთ, აქვს უნგრეთის რესპუბლიკის მხრიდან დაცვის უფლება.

(4) კანონი მოქალაქეობის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§70. (1) ყველა სრულწლოვან უნგრელ მოქალაქეს უნგრეთის ტერიტორიაზე უფლება აქვს, აირჩიოს და არჩეულ იქნეს სახელმწიფო კრების არჩევნებზე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და უმცირესობების თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა სრულიად უნგრულ ან ადგილობრივ რეფერენდუმზე და სახალხო ინიციატივის დროს, თუ არჩევნებისა და რეფერენდუმის დღეს იგი იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე.

(2) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატებისა და ბურგომისტრების არჩევნებში, ადგილობრივ რეფერენდუმში და ადგილობრივ სახალხო ინიციატივაში, კანონის შესაბამისად, მონაწილეობის უფლება აქვთ

ემიგრანტებს, რომლებიც არ არიან უნგრეთის მოქალაქეები, მაგრამ არჩევნების ან რეფერენდუმის დღეს იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე.

(3) საარჩევნო უფლება არა აქვთ შეზღუდულ ქმედუნარიან ან არაქმედუნარიან პირებს, რომლებიც იმყოფებიან მეურვეობის ქვეშ, აგრეთვე პირებს, რომლებსაც მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე ეკრძალებათ საჯარო საქმეებში მონაწილეობა, აგრეთვე პირები, რომლებიც მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან გადიან იძულებით სტაციონალურ მკურნალობას.

(4) ყველა უნგრელ მოქლაქეს აქვს უფლება, მონაწილეობდეს საჯარო საქმეებში, აგრეთვე დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა თავისი უნარის, განათლებისა და პროფესიული ცოდნის შესაბამისად.

§70/A. (1) უნგრეთის რესპუბლიკა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ანუ რასის, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა მრწამსისა, ნაციონალური და სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადების გარემოებებისა და სხვა საფუძვლების განურჩევლად, მის ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირს უზრუნველყოფს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებითა და თავისუფლებებით.

(2) ადამიანთა ნებისმიერი დისკრიმანაცია იმ ნიშნებით, რომლებიც ჩამოთვლილია პირველ აბზაცში, ისჯება კანონით.

(3) უნგრეთის რესპუბლიკა ახორციელებს თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისა და შესაძლებლობათა უთანასწორობის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

§70/B. (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს შრომის, საქმიანობისა და სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება.

(2) ყველას აქვს უფლება, მიიღოს ერთნაირი ანაზღაურება ერთნაირი სამუშაოსათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

(3) ყველა მშრომელს აქვს უფლება შემოსავალზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ გაწეული შრომის ოდენობასა და ხარისხს.

(4) ყველას აქვს დასვენების, თავისუფალი დროის და რეგულარული, ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

§70/C. (1) ყველას აქვს უფლება, სხვა პირებთან ერთად შექმნას ორგანიზაციები საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად ან შეუერთდეს ასეთ ორგანიზაციებს.

(2) გაფიცვის უფლების რეალიზაცია შეიძლება კანონით დადგენილი წესით და კანონით განსაზღვრულ პირობებში.

(3) კანონი გაფიცვის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების მიერ, დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§70/D. (1) უნგრეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის მაქსიმალურად შესაძლო დონე.

(2) ამ უფლებას უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს შრომის დაცვის ორგანიზაციის მეშვეობით, რეგულარული ფიზიკური ვარჯიშებით, ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო მომსახურების დაწესებულებების შექმნით, აგრეთვე ხელოვნური და ბუნებრივი გარემო პირობების დაცვით.

§70/E. (1) უნგრეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს მოსუცებულობის,

ავადმყოფობის, ინვალიდობის, მეუღლის დაკარგვის, ობლობისა და უმუშევრობის გამო, რომლებიც გამოწვეულია მათი ბრალის გარეშე, აქვთ სოციალური უსაფრთხოებისა და მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

(2) უნგრეთის რესპუბლიკის მიერ გარანტირებულია მატერიალური უზრუნველყოფის უფლება სოციალური დაზღვევისა და სოციალური ინსტიტუტების სისტემის განვითარების მეშვეობით.

§70/F. (1) უნგრეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის განათლების უფლებას.

(2) ეს უფლება გარანტირებულია საზოგადოებრივი განათლების განვითარებით და მისთვის საყოველთაო ხასიათის მინიჭებით, უფასო და სავალდებულო დაწყებითი სკოლების ქსელით, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის მისი შესაძლებლობების მიხედვით, აგრეთვე განათლებამიღებულ პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევით.

§70/G. (1) უნგრეთის რესპუბლიკა პატივს სცემს და ხელს უწყობს სამეცნიერო და მხატვრული შემოქმედების თავისუფლებას, ცოდნის მიღებისა და სწავლების თავისუფლებას.

(2) მეცნიერული ჭეშმარიტებისა და მეცნიერული ღირებულებების დადგენის უფლება აქვთ მხოლოდ მეცნიერ მუშაკებს.

§70/H. (1) სამშობლოს დაცვა არის უნგრეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობა.

(2) მოქალაქეები საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე მსახურობენ იარაღით ან უიარაღოდ, აგრეთვე, კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით, გადიან სამოქალაქო სამსახურს.

(3) კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ, მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§70/I. უნგრეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, მისი შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესაბამისად, ვალდებულია, იხადოს საზოგადოებრივი გადასახადები.

§70/J. უნგრეთის რესპუბლიკაში მშობლები და მზრუნველები ვალდებული არიან, იზრუნონ მცირეწლოვანი ბავშვების სწავლებაზე.

§70/K. ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით ძირითადი უფლებების დარღვევის თაობაზე და გამოხატოს უკმაყოფილება მოვალეობათა შესრულებისას მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებების გამო.

განყოფილება XIII
არჩევნების ძირითადი პრინციპები

§71. (1) სახელმწიფო კრების დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აგრეთვე ბურგომისტრები და დედაქალაქის მთავარი ბურგომისტრი აირჩევიან საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებით პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით.

(2) საოლქო და სათემო კრებების თავმჯდომარეები აირჩევიან საოლქო და სათემო კრების წევრების მიერ ფარული კენჭისყრით.

(3) სახელმწიფო კრების დეპუტატების, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისა და ბურგომისტრების არჩევნები სორციელდება კანონით დადგენილი წესით, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

(4) უმცირესობათა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით, რომელიც მიიღება სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

§72. გაუქმებულია.

§73. გაუქმებულია.

განყოფილება XIV
უნგრეთის რესპუბლიკის დედაქალაქი და ნაციონალური სიმბოლოები

§74. უნგრეთის რესპუბლიკის დედაქალაქია ბუდაპეშტი.

§75. უნგრეთის რესპუბლიკის ჰიმნს წარმოადგენს ფერენც კელჩეის ლექსი „ჰიმნი" ფერენც ერკელის მუსიკაზე.

§76. (1) უნგრეთის რესპუბლიკის დროშას წარმოადგენს ქსოვილის ნაჭერი, რომელიც შედგება სამი თანაბარი სიგანის ჰორიზონტალური წითელი, თეთრი და მწვანე ფერის ზოლისაგან.

(2) უნგრეთის რესპუბლიკის გერბს წარმოადგენს ფუძისაკენ წაწვეტებული ორად გაყოფილი ფარი. მარცხენა მინდორი კომბინირებულია ჰორიზონტალურად გავლებული წითელი და ვერცხლისფერი რვა ხაზით; მარჯვენა მინდორზე ოქროს გვირგვინის შუა ნაწილის შემაღლებულ ადგილას, რომელიც მოთავსებულია მწვანე სამქიმიანი ბორცვის მწვერვალზე, ფარზე მოთავსებულია უნგრეთის წმინდა გვირგვინი, დგას ორმაგი ვერცხლის ჯვარი.

(3) კანონი გერბის და დროშის და მათი გამოყენების წესის შესახებ მიიღება სახელმწიფო კრების დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

განყოფილება XV
დასკვნითი დებულებები

§77. (1) კონსტიტუცია არის უნგრეთის რესპუბლიკის უზენაესი კანონი.

(2) ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სახელმწიფო ორგანო და მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას კონსტიტუცია და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმები.

(3) გაუქმებულია.

§78. (1) უნგრეთის კონსტიტუცია კანონიერ ძალაში შედის გამოცხადების დღიდან, კონსტიტუციის შესრულებას უზრუნველყოფს მთავრობა.

(2) მთავრობა ვალდებულია, სახელმწიფო კრებას წარუდგინოს კანონების პროექტები, რომლებიც საჭიროა კონსტიტუციის რეალიზაციისათვის.

§79. გაუქმებულია

ჩეხეთის
რესპუბლიკა





ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია
შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება - ჩეხეთის რესპუბლიკა;
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა - ევროპის ცენტრალური ნაწილი;
ფართობი - 78,866 კვ. კმ;
მოსახლეობა – 10. 400. 000;
დედაქალაქი – პრაღა

ჩეხეთის რესპუბლიკა 2004 წელს გაერთიანდა ევროპის კავშირში.

სოციალისტური სივრცის რღვევის პროცესის ნაწილი იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის (*ჩსფრ*) დაშლა. 1993 წლის პირველ იანვარს, ევროპის რუკაზე გაჩნდა ორი ახალი სახელმწიფო ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების სახით. ამ დღეს დასრულდა 74- წლიანი ისტორია, რომელიც 1918 წელს დაიწყო (როდესაც დაემხო ავსტრო-უნგრეთის იმპერია და შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა. იგი აერთიანებდა ორ სლავურ სახელმწიფოს). ამ ფედერაციის მშვიდობიანი ფორმით დაშლა ცნობილია „ხავერდოვანი რევოლუციის" სახელით. პირველი იანვრიდანვე ძალაში შევიდა ***ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია***, რომელიც ***1992 წლის 16 დეკემბერს*** მიიღო რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში დამყარდა ბოლშევიკურ-სოციალისტური წყობილება. თუმცა ჩეხების მხრიდან პასიური ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გრძელდებოდა 1968 წლის ბოლომდე, ხოლო კულმინაციას მიაღწია 1969 წლის დასაწყისში. საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ვერ შეძლო ჩეხეთში საკუთარი პოზიციების გამყარება, იძულებული გახდა ქვეყნის ლიდერებთან მოლაპარაკებაზე წასულიყო. თუმცა რეფორმის ინიციატორები იძულებულნი შეიქმნენ წასულიყვნენ გარკვეულ დათმობებზე. შეიქმნა „სოციალიზმი ადამიანური სახით", რათა ლიბერალური გაეხადათ კომუნისტური პარტიის მმართველობა. ამავდროულად, გახშირდა ანტისოციალისტური დემონსტრაციები, პარალელურად აღდგა ცენზურა ბეჭდვით სიტყვაზე და სხვა. მშვიდობიანი „ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ ჩეხოსლოვაკიამ აღადგინა დამოუკიდებლობა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ სრული კრახი განიცადა.

1. ქვეყნის განვითარების ძირითადი კონსტიტუციური ეტაპები:

1918 წელს, ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაცემის პარალელურად, შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა („პირველი რესპუბლიკა"), რაც დადასტურდა ვერსალის 1919 წლის ხელშეკრულებით. „პირველ რესპუბლიკაში" გამყარებული იყო დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მახასიათებელი

პრინციპები. მისი ძირითადი დოკუმენტი — „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, რომელიც გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა საბჭომ პარიზში 1918 წელს, ამკვიდრებდა კონსტიტუციონალიზმის ისეთ ძირითად ინსტიტუტებს, როგორებიცაა: პარლამენტარიზმი; პროპორციული წარმომადგენლობა; მთავრობის ლეგიტიმურობა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ კონსენსუსს; ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა. ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუციამ გააერთიანა აღნიშნული პრინციპები.

1948 წლის 9 მაისის კონსტიტუციამ უარი თქვა ერთიანი ჩეხოსლოვაკური ერის შექმნის იდეაზე, ამ კონსტიტუციის პრემბულაში ჩეხოსლოვაკია განისაზღვრა როგორც სახელმწიფო, რომელიც შედგებოდა ორი სლავური ერისგან, ჩეხებისა და სლოვაკებისგან. ეს კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებდა სლოვაკეთში ისეთი ორგანოების ფუნქციონირებას, როგორიც იყო სლოვაკური ეროვნული საბჭო და დელეგატების კომიტეტი. ამ ორგანოების შექმნა იყო ერთგვაროვანი კომპენსაცია იმისთვის, რომ სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადდა ჩეხური ქალაქი პრაღა, სადაც თავმოყრილი იყო ცენტრალური ხელისუფლება.

საბჭოთა კავშირის მიერ ჩეხოსლოვკიის ოკუპაციის შემდეგ, 1968 წელს მიღებულ იქნა კანონი ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ, რომლითაც შევიდა ცვლილებები 1960 წლის კონსტიტუციაში. კერძოდ, ამ კანონის მიხედვით შეიქმნა ფედერალური სტრუქტურა — ორპალატიანი პარლამენტი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური პარტიის მონოპოლიურმა მმართველობამ ხელი შეუშალა 1968 წლის კანონის რეალურად განხორციელებას. კერძოდ, ამ აქტით დამკვიდრებული ფედერალური ასამბლეა დამოუკიდებლად ვერც ერთ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა.

1989 წელს ჩეხოსლოვაკიამ კვლავ გამოიღვიძა. აღმოსავლური ბლოკის სხვა ქვეყნის მაგალითებზე, რომლებიც წარმატებით ართმევდნენ თავს კომუნისტური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას, ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებმაც აიძულეს თავიანთი კომუნისტი ლიდერები გადამდგარიყვნენ. ეს რევოლუცია დაიწყო 1989 წლის 17 ნოემბერს და რევოლუციამ კულმინაციას მიაღწია იმავე წლის 29 დეკემბერს, როდესაც არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე კოალიციის ლიდერი ***ვაცლავ ჰაველი*** გახდა პრეზიდენტი.

„ხავერდოვანმა რევლუციამ“ ვერ შეძლო მოეგვარებინა ჩეხებსა და სლოვაკებს შორის არსებული აშკარა ეთნიკური დაპირისპირება. კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, სახელმწიფოში კვლავ იჩინა თავი სეცესიურმა მისწრაფებებმა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი დემოკრატიული კონსტიტუციის მიღების საკითხი, რომელიც შეცვლიდა კომუნისტური სისტემის ძველ კონსტიტუციას. რა თქმა უნდა, ასეთი დოკუმენტის მიღება ერთ დღეში შეუძლებელი იყო და ამიტომ ფედერალურმა პარლამენტმა გადაწყვიტა, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ძალაში დაეტოვებინა 1960 წლის კონსტიტუცია მასში აუცილებელი ცვლილებების შეტანით. 1990 წლის დეკემბერში ფედერალურმა ასამბლეამ მიიღო კონსტიტუციური აქტი, რომელიც ეხებოდა ფედერაციასა და მასში შემავალ რესპუბლიკებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას.

1991 წლის იანვარში მიღებული „ძირითადი უფლებებისა და თავისუფ-

ლებების ქარტიით“ აღიარებულ იქნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების უზენაესობა ჩეხოსლოვაკიის შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე.

1992 წლის ივნისში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომლის დროსაც გაიმარჯვა ორმა პარტიამ, კერძოდ, სლოვაკეთის რესპუბლიკაში პარტიამ სახელწოდებით: „მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისკენ“ და ჩეხეთის რესპუბლიკაში „სამოქალაქო დემოკრატიულმა პარტიამ“. გამარჯვებული პარტიების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ 1993 წლის 1 იანვარს დაშლილად გამოაცხადებდნენ ჩეხოსლოვაკიის ფედერაციას. ჩეხეთის ეროვნულმა საბჭომ ხანგრძლივი დებატების შემდეგ, 1992 წლის 16 დეკემბერს მიიღო დღემდე მოქმედი ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც დამოუკიდებლობის დღიდან ამოქმედდა.

2. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, სტრუქტურა და გადასინჯვის წესი

ჩეხეთის რესპუბლიკა კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლის თანახმად, ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოა. სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა. ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, რომელიც სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირებას ახორციელებს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო განშტოებების მეშვეობით.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის თვალსაზრისით ჩეხეთი მიეკუთვნება მონისტურ მიმდინარეობას. პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებაში აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა და შეადგენენ ქვეყნის სამართლის ნაწილს. ამასთანავე, საერთაშორისო ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს ჩეხეთის რესპუბლიკის ორგანოთა განსაზღვრული უფლებამოსილებების საერთაშორისო ორგანიზაციების ან ინსტიტუტებისათვის გადაცემა. სახელმწიფოში პოლიტიკური გადაწყვეტილება ეფუძნება თავისუფალ არჩევნებში გამოხატულ უმრავლესობის ნებას. ამავდროულად, უმრავლესობის გადაწყვეტილებების მიღებისას უზრუნველყოფილია უმცირესობის უფლებათა დაცვა.

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემის სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ იგი ძირითადად შედგება ორი კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტის — რესპუბლიკის კონსტიტუციისა „ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიისაგან“. კონსტიტუციური აქტები შედგებიან თავებისაგან, თავები — მუხლებისაგან, მუხლები — აბზაცებისაგან და პუნქტებისგან. აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა არაბული ციფრებით, ხოლო პუნქტები — ლათინური ასოებით.

კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კონსტიტუციური კანონით, რომელიც მიიღება დეპუტატთა 3/5-ისა და დამსწრე სენატორთა ასევე 3/5-ის უმრავლესობით. პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს შეყოვნებითი ვეტოს უფლება კონსტიტუციურ კანონებზე. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-9 მუხლის

თანახმად, დაუშვებელია დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშნების შეცვლა, სამართლებრივი ნორმების განმარტების გამოყენება დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საფრთხის შექმნის ან ლიკვიდაციის საფუძვლად. ამასთანავე პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს შეყოვნებითი ვეტო კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონზე.

3. პარტიული სისტემა

პოლიტიკური სისტემა ეფუძნება ძირითადი დემოკრატიული პრინციპების პატივისმცემელი და საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებად ძალადობის უარმყოფელი პოლიტიკური პარტიების თავისუფალ და ნებაყოფლობით შექმნას და მათ თავისუფალ შეჯიბრობითობას. დღეისათვის, ჩეხეთში არსებობს ოთხმოცამდე განსხვავებული პარტია.

ბოლო საპარლამენტო არჩევნები ჩეხეთში 2002 წელს ჩატარდა. ერთი შეხედვით, ეს იყო მარცხნივ გადადგმული ნაბიჯი. რეფორმირებულმა *კომუნისტურმა პარტიამ* (*კპ*) მიიღო ამომრჩეველთა ხმების 18%, რაც 6%-ით აღემატება 1998 წლის არჩევნების შედეგს. კომუნისტების მიღწევები ბევრად შთამბეჭდავია, თუ დავაკვირდებით დეპუტატთა მანდატების რაოდენობას, როდესაც ყველა პარტიამ დაკარგა რამდენიმე მანდატი, კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა 17 ადგილით მეტი, 1998 წლის შედეგებით, როდესაც გამარჯვებული ჩეხეთის სოციალ-დემოკრატთა პარტია კომუნისტურ პარტიასთან ერთად ვერ ქმნიდა უმრავლესობას. თუმცა, ეს მარცხნივ გადაგმული ნაბიჯი არც ისე ბევრ რამეს ცვლის, რადგან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, როგორც პარლამენტში არსებულ სხვა პარტიებს, არ სურთ ითანამშრომლონ კომუნისტურ პარტიასთან.

კოალიციამ, რომელიც აერთიანებს *ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირსა* (*ქდკ*) და *სამოქალაქო პარტიას* (*სქ*), მიიღო ხმათა 14,2% და შესაბამისად, 31 მანდატი, 1998 წლის მონაცემებთან შედარებით მან დაკარგა 7 მანდატი, რომელსაც პარლამენტში 200-დან 24 ადგილი უკავია. ქრისტიან-დემოკრატები ქვეყანაში გავლენას ინარჩუნებენ სამოქალაქო პარტიასთან გაერთიანების შედეგად.

სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ (*სდპ*), რომელიც არსებობს 1991 წლის 21 აპრილიდან, ამომრჩეველთა 24,0%-ით მოიპოვა 58 მანდატი, რაც 1998 წლის შედეგებთან შედარებით 4%-ით (10 მანდატით) ნაკლებია. პირველი მარცხის შედეგად სახალხო–დემოკრატიული პარტია წააწყდა სერიოზულ პრობლემას, კერძოდ, იგი გადაიქცა ერთი ადამიანის პარტიად, მთელი მისი წინასაარჩევნო კამპანია აგებული იყო *ვაცლავ კლაუსის* ირგვლივ, ასე რომ დემოკრატიული პარტიის დამარცხება იქცა, ფაქტობრივად, კლაუსის დამარცხებად. პარტიაში კი არავინ მოიძებნა, ვინც კლაუსს შეცვლიდა.

ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (*ჩსდპ*) არჩევნების შედეგები არ ნიშნავს ძალთა ბრწყინვალე გამარჯვებას, როგორც ამას ხშირად აღნიშნავენ. ის 1945 წლიდან 1948 წლამდე ცნობილი იყო, როგორც ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ხოლო 1948 წლის ივნისში სახელწოდება შეიცვალა და ეწოდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია.

1990 წელის მარტში ის რეგისტრირებული იყო, როგორც ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, მან მიიღო 30,2% და 70 მანდატი, რაც 1998 წლის შედეგებთან შედარებით 4 მანდატით ნაკლებია.

საბოლოოდ, არჩევნების შედეგად, პარლამენტში კოალიცია შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა და „კოალიციამ" ქრისტიან დემოკრატთა კავშირი - სამოქალაქო პარტია. რამაც უზრუნველყო არცთუ მთლად მყარი უმრავლესობა — 200-დან 101 ადგილით.

4. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩეხეთის კონსტიტუციურ სისტემაში ცალკე — „ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიით" რეგულირდება ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა და მისი კავშირი სახელმწიფო მექანიზმთან.

ქარტიაში ასახული ადამიანის უფლებები შეიძლება კლასიკური კლასიფიკაციის მიხედვით დავაჯგუფოთ ძირითად უფლებებად და თავისუფლებებად, სამოქალაქო და პოლიტიკურ და აგრეთვე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებად.

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ჩეხეთის კონსტიტუციის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ადამინის სიცოცხლეს, რომელიც ჯერ კიდევ დაბადებამდე იმსახურებს დაცვას და არავისათვის შეიძლება სიცოცხლის წართმევა. მათ შორის, დაუშვებელია სიკვდილით დასჯა, წამება, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. ჩეხეთში საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია და აკრძალულია საცხოვრებელ ბინაში შესვლა იქ მცხოვრები პირის თანხმობის გარეშე. მას, ვინც კანონიერად იმყოფება ჩეხეთის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის და ამ ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლება. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი რელიგია და რწმენა შესაბამისი რიტუალების ან წეს-ჩვეულებების დაცვის გზით.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები უპირველეს ყოვლისა, მოიცავს სიტყვის თავისუფლებასა და ინფორმაციის უფლებას. ცენზურა დაუშვებელია, ყველას აქვს თავისი შეხედულების ზეპირად, წერილობით, ბეჭდვით ორგანოში გამოსახულების ან სხვაგვარი საშუალებით გამოხატვის, აგრეთვე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფლად შეგროვების, მიღებისა და გავრცელების უფლება, მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა. ასევე თავისუფალია მშვიდობიანი შეკრებები და ყველას აქვს უფლება სხვა პირებთან ერთად გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებაში ან სხვა გაერთიანებაში, მოქალაქეებს აგრეთვე აქვთ პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური მოძრაობების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

ჩეხეთის „ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია" მიჰყვა საერთო პოსტტოტალიტარულ ტენდენციებს და სოციალური უფლებების ნაწილში ერთერთი ყველაზე მეტყველი აქტთაგანია. **ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში** ყველასათვის ნებადართულია თავისი შრომით მოიპოვოს საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო სახსრები და შეიქმნას საამისო პირობები. პირებს, რომე-

ლთაც თავისი ბრალეულობით არ შეუძლიათ განახორციელონ ეს უფლება, სახელმწიფო სთავაზობს შესაბამისი ოდენობის მატერიალურ უზრუნველყოფას. მოხუცებულობის, შრომისუუნარობის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში უფლება აქვთ მიიღონ შესაბამისი ოდენობის მატერიალური უზრუნველყოფა. ასევე კონსტიტუციით განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ ქალებს ორსულობის პერიოდში, ხოლო ბავშვებს, დაბადებულებს ქორწინებაში ან მის გარეშე, გააჩნიათ თანაბარი უფლებები. ჩეხეთში მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს უფასო განათლება დაწყებით და საშუალო სკოლებში, ხოლო მოქალაქის უსარისა და საზოგადოების შესაძლებლობების გათვალისწინებით ასევე — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ქარტიამ არც **ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის უფლებები** დატოვა ყურადღების მიღმა. მოქალაქეებს, რომლებიც ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, გარანტირებული აქვთ ყოველმხრივი განვითარება, კერძოდ, თავის ენაზე განათლების მიღების, ოფიციალურ ურთიერთობებში თავისი ენის გამოყენების და მათ შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება;

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიაში მეხუთე თავი დათმობილი აქვს სასამართლო და სხვა სამართლებრივი დაცვის უფლებებს, რომლის მიხედვითაც ყველას შეუძლია, დადგენილი წესით დაიცვას თავისი უფლებები დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში, ხოლო „კანონით დადგენილ შემთხვევებში — სხვა ორგანოში, უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, თუ ეს სისხლისსამართლებრივი დევნის საფრთხეს უქმნის მას ან მის ახლობელს, ამსთანავე ზედმეტი გაჭიანურების გარეშე მისი საქმის საჯაროდ და მისი დასწრებით განხილვის უფლება იმისთვის, რათა ყველა მოყვანილ მტკიცებულებაზე შეეძლოს აზრის გამოთქმა. ხოლო დანაშაულის ჩადენისას ბრალის ან სასჯელის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო.

5. ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემა

ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალურ ორგანოთა სისტემა, მათი ფორმირებისა და მათ შორის კონსტიტუციურად დამკვიდრებული ურთიერთობის შინაარსით, მთლიანად ხელისუფლების დანაწილების საპარლამენტო ვარიაციის ფორმაშია გააზრებული.

სახელმწიფო ინსტიტუტებთან მიმართებაში კონსტიტუცია არ შეიცავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციურ განხორციელებაში თითოეული მათგანის როლის განმსაზღვრელ აღმატებით ნორმებს. მაგალითად, პოსტსოციალისტური კონსტიტუციონალიზმისათვის ნაკლებად მახასიათებელია გნებავთ საკანონმდებლო ხელისუფლების და გნებავთ პრეზიდენტის როლის მშრალი მითითება, რასაც ადგილი აქვს ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში. „ჩეხეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს“ (მე-15 მუხლის პირველი პუნქტი); „რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური“ (54-ე მუხლის პირველი პუნქტი), ხოლო „მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო“ (67-ე მუხლის პირველი პუნქტი). მართალია, ფორმალურად რესპუბლიკის პრეზიდენტი განხილულია აღმასრულებელი

ხელისუფლების მატარებელ თანამდებობის პირად, მაგრამ ეს მიდგომა არ პოულობს რეალურ ასახვას კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების შინაარსში და ჩეხეთის რესპუბლიკის მმართველობის სისტემა ერთმნიშვნელოვნად საპარლამენტო რესპუბლიკის კონცეფციაზეა აგებული.

ა) პარლამენტი

კონსტიტუციით, ფორმალური თვალსაზრისით, სახალხო ნების უშუალო გამომხატველი და შესაბამისად მისივე სუვერენიტეტის უზენაესი დამცველი, არის რესპუბლიკის ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. ჩეხური ბიკამერალიზმის (ორპალატიანობის) უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია ქვეყანაში დამკვიდრებული ტერიტორიული თვითმმართველობა[1], რომელიც პოსტკომუნისტურ ევროპაში დეცენტრალიზებული უნიტარიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

პარლამენტის დეპუტატთა (ქვედა) პალატა შედგება ოთხი წლის ვადით, პროპორციული წესით არჩეული 200 დეპუტატისგან. მანდატები ნაწილდება იმ პარტიებს (საარჩევნო ბლოკებს) შორის, რომლებიც გადალახავენ 5%-იან ბარიერს. სენატი აირჩევა მაჟორიტარული წესით. ორივე პალატის ფორმირება ეფუძნება დემოკრატიული არჩევნების ფუნდამენტურ პრინციპებს: ფარულობას, საყოველთაობასა და თანასწორობას. ამასთანავე, დეპუტატების მსგავსად, სენატორთა არჩევაც, ხდება პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე. დეპუტატად და სენატორად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე, ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე. ასაკობრივი ცენზი დეპუტატებისათვის განისაზღვრება 21, ხოლო სენატორთათვის — 40 წლით.

პარლამენტის წევრთათვის კონსტიტუციით დადგენილია თანამდებობრივი შეუთავსებლობის სამი შემთხვევა. არ შეიძლება პარლამენტის ორივე პალატის წევრობა ერთდროულად, პრეზიდენტის ან მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევების განსაზღვრის ტვირთი გადატანილია კანონზე. მთავრობის წევრის მანდატი შეთავსებადია როგორც დეპუტატის, ასევე სენატორის მანდატთან, რაც პარლამენტარიზმის ორგანული მახასიათებელია მისი აღმოცენებისთანავე. ეს მდგომარეობა ზრდის მთავრობის მხრიდან საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის საშუალებას. კანონმდებლები (როგორც დეპუტატები, ასევე სენატორები), არ არიან შეზღუდულნი იმპერატიული მანდატით. ამასთანავე, ისინი სარგებლობენ იმუნიტეტით და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავებისა და დაპატიმრების სპეციფიკური, გართულებული წესები რეგულირდება კონსტიტუციის 27-ე მუხლით.

პალატების სტრუქტურა მარტივია. თითოეული პალატა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს. პალატებში, ჩვეულებისამებრ იქმნება დეპუტატთა ჯგუფები (ფრაქციები), საგამოძიებო კომისიები, კომიტეტები და სხვა კომისიები. პალატების სამუშაო ქვორუმი განისაზღვრება წევრთა 1/3-ით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად სა-

1. ჩეხეთის რესპუბლიკაში შეიქმნა 13 ოლქი. ქალაქის ტერიტორიული მოწყობისა და მისი თვითმართველობის შესახებ ქვემოთ შეჩერდებით.

ჭიროა კვალიფიციური უმრავლესობა, განისაზღვრება კონსტიტუციით. ეს შემთხვევებია:

- ომის გამოცხადება;

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიარაღებული ძალების გაგზავნა ან ქვეყანაში უცხო სამხედრო ძალის შეყვანაზე თანხმობის მიცემა;

- ქვეყნის მონაწილეობაზე იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა დაცვით სისტემებში, რომელთა წევრიცაა ჩეხეთის რესპუბლიკა. ამ გადაწყვეტილებების მიღებას ესაჭიროება დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობისა და სენატორთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის თანხმობა. კონსტიტუციური კანონის მისაღებად და კონსტიტუციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისთვის საჭიროებს დეპუტატთა 3/5-ის და დამსწრე სენატორთა ასევე 3/5-ის თანხმობა.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით: დეპუტატს, დეპუტატთა ჯგუფს, სენატს, მთავრობას, ტერიტორიული თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს. კანონპროექტები შეიტანება დეპუტატთა პალატაში. საკანონმდებლო პროცესში გათვალისწინებულია მთავრობის მონაწილეობაც, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი თითოეული კანონის აღსრულებაზე. კონსტიტუციაში დეტალურადაა გაწერილი დეპუტატთა პალატისა და სენატის ურთიერთობები საკანონმდებლო პროცესში, რომელიც პრეზიდენტის მსგავსად, სარგებლობს შეყოვნებითი ვეტოს უფლებით. პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა ხდება დეპუტატთა პალატის მიერ დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი — 101 ხმით. ვეტოს დაუძლეველობის შემთხვევაში კანონი არ ითვლება მიღებულად. კანონს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად ხელს აწერენ დეპუტატთა პალატისა და მთავრობის თავმჯდომარეები.

კონსტიტუცია არ ახდენს პალატებს შორის კომპეტენციის ნათელ გამიჯვნას, თუმცა, მე-40 მუხლის თანახმად, პალატებს შორის ურთიერთობები განისაზღვრება ცალკე კანონით, რომელიც მიიღება ჩვეულებრივი წესით. მთავრობის საქმიანობას აკონტროლებს დეპუტატთა პალატა. ამ უკანასკნელის დათხოვნის შემთხვევაში სენატი უფლებამოსილია, ერთპალატიანი პარლამენტისათვის მახასიათებელი წესით მიიღოს კანონის ძალის მქონე აქტები საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგების აუცილებლობაც დაყოვნებასთან შეუთავსებადია. თუმცა ეს კანონის ძალის მქონე აქტები, თავისი სამართლებრივი ავტორიტეტის მიხედვით, მიეკუთვნება ჩვეულებრივი კანონების რიცხვს და ისინი უნდა დამტკიცდეს ახლად არჩეულ დეპუტატთა პალატის პირველსავე სხდომაზე. ამ შემთხვევაში ეს აქტები იღებს კანონის სახეს, ხოლო დაუმტკიცებლობის შემთხვევაში კი ძალას კარგავს.

პალატები სესიაზე იმყოფებიან მუდმივად. პრეზიდენტი დეპუტატთა პალატას დაითხოვს იმ შემთხვევაში, თუ:

- მან არ გამოხატა ნდობა მთავრობისადმი, რომლის თავმჯდომარეც პრეზიდენტის მიერ დაინიშნა, პალატის თავმჯდომარის წინადადებით.

- პალატამ სამი თვის ვადაში არ მიიღო არანაირი გადაწყვეტილება მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვასთანაც მთავრობა აკავშირებს ნდობის საკითხს;

- პალატის მუშაობა შეწყდა დასაშვებზე მეტი დროით.

- პალატა სამ თვეზე მეტი ხნით იყო ქმედუუნარო გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა მისი სესია არ შეწყვეტილა და ამ დროს იგი ხელახლა იქნა მოწვეული.

ამასთანავე, იკრძალება პალატის დათხოვნა მისი უფლებამოსილების ვადის ბოლო, სამთვიან მონაკვეთში.

ბ) პრეზიდენტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტის როლის განსაზღვრასთან მიმართებაში კონსტიტუცია არ იჩენს განსაკუთრებულ „ენაწყლიანობას" და მშრალად აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური." ამასთანავე, პრეზიდენტის როლი განისაზღვრება მისი არჩევის წესშივე. სახელმწიფოს მეთაურის საპარლამენტო გზით არჩევნები, თავისი განხორციელების ფორმით, ატარებს ორსაფეხურიან სახეს. ანუ, პრეზიდენტის არჩევა ხდება იმ პირთა შიერ, რომლებიც პირდაპირი წესით არიან არჩეული საკანონმდებლო ორგანოში და ქვეყნის პრეზიდენტის არჩევა მათი ერთ-ერთი ფუნქციაა. პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 30 დღის განმავლობაში. პრეზიდენტის არჩევის ვადების ამგვარი მკაცრი რეგლამენტირება თითქოსდა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე ვაკანსიის გაჩენის თავიდან აცილების ერთგვარი მცდელობაა. თუმცა ამის მიუხედავად, 2003 წლის 2 თებერვალს ჩეხეთში პრეზიდენტ ჰაველის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, პრეზიდენტის არჩევამდე, რომელიც ჩატარდა იმავე წლის 8 თებერვალს, ქვეყანაში პრეზიდენტის პოსტზე 6 დღის განმავლობაში მაინც შეიქმნა ვაკანსია. ამ პერიოდში, კონსტიტუციური პროცედურების თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი *ვლადიმერ შპიდლა*.

რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს. ჩეხეთის ორპალატიან პარლამენტში კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე დასახელებული უნდა იქნეს არანაკლებ ათი დეპუტატის ან ათი სენატორის მიერ. საკანონმდებლო ორგანოს თითოეულ წევრს უფლება აქვს, ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი ჯგუფის ინიციატივას. ამრჩევი ორგანოს სტრუქტურის თავისებურებიდან (ბიკამერალიზმიდან) გამომდინარე, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება პრეზიდენტის არჩევის წესი ჩეხეთის პარლამენტში. კანდიდატს პირველ ტურში ასარჩევად ესაჭიროება თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების ნახევარზე მეტი. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა დადგენილი რაოდენობა, ტარდება მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობას იღებს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც მიიღეს ხმების მეტი რაოდენობა ცალ-ცალკე, დეპუტატთა პალატაში და სენატში. თუ ამ პრინციპით რამდენიმე კანდიდატმა მიიღო ხმების თანაბარი რაოდენობა ერთ-ერთ პალატაში მაინც, ამ შემთხვევაში ხმები დაითვლება თითოეულ პალატაში მოპოვებულ ხმათა ჯამური რაოდენობით. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა და სენატორთა ხმების ნახევარზე მეტს. პრეზიდენტის მეორე ტურში აურჩევლობის შემთხვევაში იმართება მესამე

ტური. რომელშიც კენჭი ეყრება მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებს. ამ ტურში გასამარჯვებლად საჭიროა დამსწრე დეპუტატთა და სენატორთა ხმების ნახევარზე მეტის მიღება. პრეზიდენტის მესამე ტურშიც აურჩევლობის შემთხვევაშიც იმართება ხელახალი არჩევნები. 2003 წლის 8 თებერვალს სწორედ მესამე ტურში იქნა არჩეული ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ვაცლავ კლაუსი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფიცის დადების მნიშვნელობა ჩეხეთში. ფიცის დადებაზე უარის თქმა, ან ფიცის დადება რაიმე დათქმით, განიხილება როგორც ფიცის დადების პირობების დარღვევა და რესპუბლიკის პრეზიდენტის აურჩევლობის ფაქტი. ამის შემდეგ ორივე შემთხვევაში თავიდან იწყება პრეზიდენტის არჩევნების პროცედურები.

ჩეხეთის კონსტიტუცია უშვებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა მოხდეს როგორც პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებათა განხორციელების დროებითი შეუძლებლობა, ასევე მისი უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა. ამ შემთხვევებში, რაც დასტურდება დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილებით, კონსტიტუციის 66-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე. ხოლო მთავრობის თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტის შეზღუდული უფლებამოსილების შესრულების პერიოდში, რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ასევე 66-ე მუხლით გათვალისწინებულ ნაწილს ახორციელებს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური ხდება დეპუტატთა პალატის დათხოვნის პერიოდში, პრეზიდენტის აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სენატის თავმჯდომარე.

რესპუბლიკის პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით და მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით სენატის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე. სასჯელის ზომა შეიძლება იყოს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება და ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის უფლების ჩამორთმევა. პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილი ქმედებებისათვის კი სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ. პრეზიდენტი გადადგომის შესახებ განცხადებით აცნობებს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს.

პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა პრეზიდენტს ეძლევა კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის ორივე პალატის სესიების, აგრეთვე პარლამენტის კომიტეტებისა და კომისიების მუშაობაში.

ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამგვარი შეზღუდვები სათავეს იღებს მმართველობის რესპუბლიკურ ფორმაში, პარლამენტარიზმის კონცეფციის დამკვიდრების თავდაპირველი ეტაპიდანვე და შესაბამისად, კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში, ძირითადად მმართველობის საპარლამენტო სისტემისათვისაა დამახასიათებელი, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ფუნქცია საკანონმდებლო პროცესში ვლინდება კანონის პრომულგაციასა და შეყოვნებითი ვეტოს უფლებაში.

პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკურ და მთავარსარდლის ფუნქციებს, ასევე პიროვნების სამართლებრივი სტატუსის რეგულირებას, მოსამართლეების დანიშვნასა და ამნისტიას ახორციელებს მთავრობის კონტრასიგნების საფუძველზე. კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია განახორციელოს სხვა უფლებამოსილებებიც, რომლებიც კონსტიტუციით პირდაპირ არ არიან დადგენილნი, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით. ჩეხეთის პრეზიდენტის იმ უფლებამოსილებათა წყარო, რომლებიც პირდაპირ არ არიან მითითებულნი კონსტიტუციაში, ცალსახად უნდა იყოს კანონი. სხვა შემთხვევაში, პრეზიდენტის მიერ ვერ იქნება განხორციელებული ვერანაირი უფლება.

გ) მთავრობა

ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და ის შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მოადგილეებისა და მინისტრებისაგან.

მთავრობა პასუხისმგებელია დეპუტატთა პალატის წინაშე. ახლად არჩეული დეპუტატთა პალატის წინაშე მთავრობა იხსნის პასუხისმგებლობას და ამის შემდეგ იწყება მისი ახალი შემადგენლობის ფორმირება. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს და მისი წარდგინებით — მთავრობის სხვა წევრებს და გადასცემს მათ სამინისტროების ან სხვა უწყებების ხელმძღვანელობას. დანიშვნიდან არა უგვიანეს ოცდაათ დღეში მთავრობა უნდა წარსდგეს დეპუტატთა პალატის წინაშე და მოითხოვოს ნდობის მანდატი. თუ დეპუტატთა პალატა ახლად დანიშნულ მთავრობას არ გამოუცხადებს ნდობას, მისი ფორმირების პროცედურა ხელახლა იწყება. თუ დეპუტატთა პალატა კვლავ ვერ შეძლებს მთავრობის შექმნას, რესპუბლიკის პრეზიდენტი, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით, ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს. ამ პროცედურის დაცვის შემდეგ პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით, ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის სხვა წევრებს.

მთავრობა უფლებამოსილია, დეპუტატთა პალატის წინაშე დასვას ნდობის საკითხი. ამავდროულად დეპუტატთა პალატას შეუძლია, არანაკლებ ორმოცდაათი დეპუტატის ინიციატივით, მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს. გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტით. თუ დეპუტატთა პალატამ უარი თქვა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებაზე, ან გამოუცხადა უნდობლობა, მთავრობა გადადგება. მთავრობის თავმჯდომარე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს. თავის მხრივ, პრეზიდენტი გამოიწვევს მთავრობის წევრს მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით. რესპუბლიკის პრეზიდენტი ასევე გამოიწვევს იმ მთავრობას, რომელიც ნდობის საკითხის უარყოფის ან უნდობლობის გამოცხადების მიუხედავად არ გადადგა.

მთავრობის ყოველი გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიალურობის საფუძველზე და მთავრობის სახელით გამოდის მისი თავმჯდომარე.

კანონის აღსრულებისათვის და მის ფარგლებში, მთავრობას უფლება აქვს, გამოსცეს დადგენილებები. დადგენილებებს ხელს აწერენ მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის სხვა შესაბამისი წევრები.

2002 წლის არჩევნებით ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი გახდა *ვლადიმერ*

შპიდლა, რომლის მთავრობის გადადგომაც მოჰყვა ჩეხეთის პარლამენტში მის მიერ წარდგენილ საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პაკეტის ჩავარდნას. ეს საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებდა გადასახადების გაზრდას[2]. შპიდლა არა მარტო მთავრობიდან წავიდა, მან აგრეთვე უარი თქვა ჩსდპ-ს ლიდერობაზე. მას ღიად დაუპირისპირდა ***სტანისლავ გროსი***, რომელსაც შპიდლას მმართველობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა და სწორედ ეს უკანასკნელი იქნა წარდგენილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე. მისმა მთავრობამ 2004 წლის 26 ივლისს ძნელად, მაგრამ მაინც შეძლო დეპუტატთა პალატის ნდობის მოპოვება. მან დეპუტატთა პალატაში ნდობის საკითხზე კენჭისყრისას მიიღო 101 ხმა. გროსი თანამდებობიდან გადადგა 2005 წლის 25 აპრილს, რაც რეაქცია ქვეყანაში აგორებულ სკანდალზე იყო მთავრობაში კორუფციის შესახებ[3]. ამის შემდეგ კოალიციამ პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინა ***ჯირ პარუბეკის*** კანდიდატურა[4].

მთავრობათა ასეთი ხშირი ცვლილებების მიზეზები, ალბათ, მმართველი ჩსდპ-ს შიგნით სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებში აზრთა განსხვავებებით განპირობებულ ძალთა გადანაწილების შედეგი იყო.

დ) სასამართლო ხელისუფლება

ჩეხეთის სასამართლო სისტემას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- სასამართლო ხელისუფლებას რესპუბლიკის სახელით ახორციელებენ დამოუკიდებელი სასამართლოები და მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას არიან დამოუკიდებელნი, არავის აქვს უფლება, ხელყოს მათი მიუკერძოებლობა.
- დაუშვებელია მოსამართლეების ნების საწინააღმდეგოდ მათი დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნა ან სხვა სასამართლოში გადაყვანა, თუმცა გამონაკლისი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან, რომელიც დგინდება კანონით.
- მოსამართლის ფუნქცია შეუთავსებელია პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, ასევე საჯარო ადმინისტრაციაში რაიმე ფუნქციის შესრულებასთან.

კონსტიტუციურობის დაცვის სასამართლო ორგანო არის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შედგება ათი წლის ვადით დანიშნული თხუთმეტი მოსამართლისაგან. რომელთაც სენატის თანხმობით ნიშნავს პრეზიდენტი. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმწიკვლო რეპუტაციის (ეს უფრო აბსტრაქტული ცნებია) მქონე მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს და აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ათი წლის გამოცდილება.

საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს: კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობას; ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოთა კონსტიტუციურ სარჩელებს მის ფუნქციებში სახელმწიფოს უკანონო ჩარევის თაობაზე; კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი

---

2. http://www.rol.ru/news/misc/news/02/09/14 016.htm
3. http://www.rnews.ru/news/view/20050425/130519
4. http://8-04.olo.ru/news/politic/41440.html

უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სარჩელებს; დავებს დეპუტატისა და სენატორის არჩევის გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ, ასევე ფუნქციების შეუთავსებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს; პრეზიდენტისათვის წაყენებულ კონსტიტუციურ ბრალდებას და კონსტიტუციის 87-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლო საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში ახორციელებს პრევენციული (წინასწარი) კონტროლის ფუნქციას. არ შეიძლება ხელშეკრულების რატიფიცირება კონსტიტუციურ წყობასთან მისი შესაბამისობის დადგენამდე.

მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულნი არიან, იხელმძღვანელონ მხოლოდ კონსტიტუციური კანონებით და გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას, თუ ის გამოქვეყნებული იყო შესაბამისად დადგენილ კანონთან, გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირისათვის.

სასამართლოები მოწოდებულნი არიან, კანონით დადგენილი წესით უზრუნველყონ უფლებათა დაცვა და მხოლოდ ის წყვეტს სისხლის სამართლის დანაშაულზე ბრალისა და სასჯელის საკითხს, მის უფლებამოსილებასა და ორგანიზაციის წესს ადგენს კანონი. მოსამართლე ინიშნება პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის გარეშე.

კანონით დგინდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ სენატის და სენატორთა შემადგენლობაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ ერთპიროვნულად. გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ხელმძღვანელობენ კანონებით და სამართლებრივი სისტემის შემადგენელი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ხოლო თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი კანონი არღვევს კონსტიტუციურ წყობას, მაშინ საკითხს განსახილველად გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს.

სასამართლო პროცესის ყველა მონაწილეს აქვს თანაბარი უფლება. საქმის განხილვა ზეპირი და ღიაა, თუმცა ამ წესიდან გამონაკლისი დგინდება კანონით. გადაწყვეტილება ყოველთვის საჯაროდ ცხადდება.

6. ტერიტორიული თვითმმართველობა

ჩეხეთის რესპუბლიკაში კონსტიტუციურად სტიმულირებულია ტერიტორიული თვითმმართველობა. ქვეყანა იყოფა თემებად, რომლებიც არიან ტერიტორიული თვითმმართველობის ძირითადი ერთეულები, უფრო მაღალი დონეა მიწები და ოლქები.

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები არიან თვითმმართველობის უფლების მქონე მოქალაქეთა ტერიტორიული გაერთიანებები და კანონით დგინდება პირობები, როდის არიან ისინი ადმინისტრაციული ოკრუგები. მათ შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ქონება და განკარგონ იგი საკუთარი ბიუჯეტის საფუძველზე. სახელმწიფოს შეუძლია, ჩაერიოს თვითმმართველობის ერთეულთა საქმიანობაში, თუ ეს აუცილებელია კანონის დაცვის მიზნით, მაგრამ ამ ჩარევის ფარგლები დგინდება და განისაზღვრება კანონით.

უფრო მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის შექმნა და ლიკვიდაცია ხორციელდება კონსტიტუციური კანონით და ისინი იმართებიან დამოუკიდებლად თავისი წარმომადგენლობის მიერ, ასევე დასახელება განისაზღვრება მისი წარმომადგენლობის გადაწყვეტილებით.

წარმომადგენლობის წევრები აირჩევიან ფარული კენჭისყრით, მათი უფლებამოსილების ვადა შეადგენს ოთხ წელს და კომპეტენცია განსაზღვრულია მხოლოდ კანონით, რომლითაც შეუძლია, მიიღოს ზოგადსავალდებულო დადგენილებები (obencne zavaze vyhlasky).

ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს, კონსტიტუციის 105-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიღებულია 1992 წლის 16 დეკემბრს.

შეტანილია ცვლილებები და დამატებები:
1997 წლის №347, 2000 წლის №300,
2001 წლის №№ 448 და 395,
2002 წლის №515 კანონებით.
ძალაში შევიდა 1993 წლის 1 იანვარს.

ჩვენ, ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქენი ჩეხეთსა, მორავიასა და სელეზიაში,

ჩეხეთის სახელმწიფოს თვითმყოფადობის აღდგენის პერიოდში,

ჩეხური მიწის გვირგვინისა და ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფოებრიობის ყველა ჯანსაღი ტრადიციის რწმენით,

სრული გადაწყვეტილებით ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების სულისკვეთებით, ავაშენოთ, შევინახოთ და განვავითაროთ ჩეხეთის რესპუბლიკა,

როგორც თანასწორუფლებიანი თავისუფალი მოქალაქეების მამული, სხვებთან მიმართებაში თავისი და საკუთარი საერთო პასუხისმგებლობის ვალდებულებების გათავისებით,

როგორც ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებზე დაფუძნებული თავისუფალი და როგორც ევროპისა და მსოფლიოს დემოკრატიული ერების ოჯახის წევრი,

მყარი გადაწყვეტილებით, გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ მემკვიდრეობით მიღებული ბუნებრივი და კულტურული, მატერიალური და სულიერი სიმდიდრე,

სრული გადაწყვეტილებით, ვიხელმძღვანელოთ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მახასიათებელი ყველა პრინციპით,

თავისუფლად არჩეული საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით, ვიღებთ ჩეხეთის რესპუბლიკის ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი

მუხლი 1.

(1) ჩეხეთის რესპუბლიკა არის ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო.

(2) ჩეხეთის რესპუბლიკა თავის ვალდებულებას ასრულებს საერთაშორისო სამართლის დაცვით.

მუხლი 2

(1) სახელმწიფოში ყოველი ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი მას ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუ-

ფლების ორგანოთა მეშვეობით.

(2) კონსტიტუციურმა კანონმა შეიძლება განსაზღვროს, თუ როდის ახორციელებს ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას უშუალოდ.

(3) სახელმწიფო ხელისუფლება ემსახურება ყველა მოქალაქეს და ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, წესითა და განსაზღვრულ ფარგლებში.

(4) ყოველ მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს ის, რაც არ არის კანონით აკრძალული და არავინ შეიძლება იქნეს იძულებული გააკეთოს ის, რის ვალდებულებასაც არ ადგენს კანონი.

მუხლი 3

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია არის ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 4

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაცულია სასამართლო ხელისუფლების მიერ.

მუხლი 5

პოლიტიკური სისტემა ეფუძნება ძირითადი დემოკრატიული პრინციპების პატივისმცემელი და საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებად ძალადობის უარმყოფელი პოლიტიკური პარტიების თავისუფალ და ნებაყოფილობით შექმნასა და მათ თავისუფალ შეჯიბრებითობას.

მუხლი 6

პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეფუძნება თავისუფალ არჩევნებში გამოხატული უმრავლესობის ნებას. უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას უზრუნველყოფილია უმცირესობის უფლებათა დაცვა.

მუხლი 7

სახელმწიფო ზრუნავს ბუნებრივი რესურსების ყაირათიან გამოყენებასა და ბუნებრივი სიმდიდრის დაცვაზე.

მუხლი 8

ტერიტორიული თვითმმართველი ერთეულებისათვის გარანტირებულია თვითმმართველობა.

მუხლი 9

(1) კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კონსტიტუციური კანონით.

(2) დაუშვებელია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშნების შეცვლა.

(3) სამართლებრივი ნორმების განმარტება არ უნდა იყოს გამოყენებული დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საფრთხის შექმნის ან ლიკვიდაციის საფუძვლად.

მუხლი 10

ჩეხეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებული პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და გამოქვეყნებული საერთაშორისო ხელშეკრულებები შეადგენენ ქვეყნის სამართლის ნაწილს და შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებაში აქვთ უპირატესი ძალა.

მუხლი 10ᵃ

(1) საერთაშორისო ხელშეკრულებამ შეიძლება გაითვალისწინოს ჩე-

ხეთის რესპუბლიკის ორგანოთა განსაზღვრული უფლებამოსილებების საერთაშორისო ორგანიზაციების ან ინსტიტუტებისათვის გადაცემა.

(2) სავალდებულოა პირველი აბზაცით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია პარლამენტის მიერ, თუ კონსტიტუციური კანონი არ მოითხოვს რეფერენდუმით მათ დამტკიცებას.

მუხლი 10ბ

(1) მთავრობამ რეგულარულად და წინასწარ უნდა შეატყობინოს პარლამენტს მე-10ა მუხლით გათვალისწინებული ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ორაგანიზაციაში თუ ინსტიტუტში წევრობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ.

(2) ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პარლამენტის პალატები გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებს მათი რეგლამენტებით გათვალისწინებული წესებით.

(3) პალატების ურთიერთმოქმედების, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებისა და მათი შიდა ურთიერთკავშირის შესაბამისად, კანონმა პალატის გაერთიანებულ ორგანოს შეიძლება დაავალოს პალატათა კომპეტენციის განხორციელება მე-2 აბზაცის შესაბამისად.

მუხლი 11

ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორია არის განუყოფელი და მთლიანი. მისი საზღვრების შეცვლა დაიშვება მხოლოდ კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 12

(1) ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებისა და შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

(2) არავის შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა მისი ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 13

ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქია პრაღა.

მუხლი 14

(1) ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოებია დიდი და პატარა სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო ფერები, სახელმწიფო დროშა, რესპუბლიკის პრეზიდენტის შტანდარტი, სახელმწიფო ბეჭედი და სახელმწიფო ჰიმნი.

(2) სახელმწიფო სიმბოლოები და მათი გამოყენების წესი დგინდება კანონით.

თავი მეორე
საკანონმდებლო ხელისუფლება

მუხლი 15

(1) ჩეხეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს.

(2) პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან — დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან.

მუხლი 16

(1) დეპუტატთა პალატა შედგება ოთხი წლის ვადით არჩეული 200 დეპუტატისაგან.

(2) სენატი შედგება ექვსი წლის ვადით არჩეული 81 სენატორისაგან. სენატორთა ერთი მესამედის განახლება ხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 17

(1) ორივე პალატის არჩევნები ტარდება თითოეული პალატის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე უკანასკნელი ოცდაათი დღის განმავლობაში.

(2) დეპუტატთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში, არჩევნები ტარდება მისი დათხოვნის დღიდან სამოცი დღის განმავლობაში.

მუხლი 18

(1) დეპუტატთა პალატის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით.

(2) სენატის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემის პრინციპით.

(3) არჩევის უფლება აქვს ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 19

(1) დეპუტატთა პალატაში შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოცდაერთი წლის ასაკიდან.

(2) სენატში შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ჩეხეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ორმოცი წლის ასაკიდან.

(3) დეპუტატისა და სენატორის მანდატი მოიპოვება არჩევნების შედეგების მიხედვით.

მუხლი 20

საარჩევნო უფლების განხორციელების, არჩევნების ორგანიზაციის და სასამართლო კონტროლის ფარგლების სხვა პირობები დგინდება კანონით.

მუხლი 21

არავინ შეიძლება იყოს ერთდროულად პარლამენტის ორივე პალატის წევრი.

მუხლი 22

(1) დეპუტატის ან სენატორის ფუნქციასთან შეუთავსებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის, მოსამართლისა და კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შეთავსება.

(2) დეპუტატის ან სენატორის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის, მოსამართლის ან დეპუტატისა და სენატორის ფუნქციასთან შეუთავსებელი სხვა ფუნქციების შესრულების დაწყების დღიდან წყდება დეპუტატისა და სენატორის მანდატი.

მუხლი 23

(1) დეპუტატი ფიცს დებს დეპუტატთა პალატის იმ პირველ სხდომაზე, რომლის მუშაობაშიც იგი იღებს მონაწილეობას.

(2) სენატორი ფიცს დებს სენატის იმ პირველ სხდომაზე, რომლის მუშაობაშიც იგი იღებს მონაწილეობას.

(3) დეპუტატისა და სენატორის ფიცი: „ვფიცავ, ვუერთგულო ჩეხეთის რესპუბლიკას. ვფიცავ, რომ დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს. ვფიცავ საკუთარ სინდისს, რომ ჩემს მანდატს საკუთარი რწმენისა და სინდისის ხელმძღვანელობით განვახორციელებ მთელი ხალხის ინტერესების შესაბამისად."

მუხლი 24

დეპუტატს ან სენატორს უფლება აქვს, პალატის იმ სხდომაზე, რომლის წევრიც არის იგი, პირადი განცხადებით უარი თქვას მანდატზე. სერიოზული გარემოების არსებობისას მას შეუძლია ეს გააკეთოს ასევე კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 25

დეპუტატის ან სენატორის მანდატი შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

a) ფიცის დადებაზე უარის თქმის ან დათქმით ფიცის დადებისას;

b) უფლებამოსილების ვადის გასვლისას;

c) მანდატზე უარის თქმის შემთხვევაში;

d) პასიური საარჩევნო უფლების დაკარგვისას;

e) დეპუტატებისათვის — დეპუტატთა პალატის დათხოვნისას;

f) 22-ე მუხლის შესაბამისად, ფუნქციათა შეუთავსებლობის შემთხვევის აღმოცენებისას.

მუხლი 26

დეპუტატები და სენატორები თავიანთ მანდატებს ახორციელებენ პირადად დადებული ფიცის შესაბამისად და არ არიან დამოკიდებულნი არანაირ მითითებებზე.

მუხლი 27

(1) დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში დეპუტატთა პალატაში, ან სენატში, ან მათ ორგანოებში კენჭისყრისათვის.

(2) დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში დეპუტატთა პალატაში, ან სენატში, ან მათ ორგანოებში გამოსვლებისათვის. დეპუტატი ან სენატორი დისციპლინურ პასუხისმგებლობას ატარებს მხოლოდ იმ პალატის წინაშე, რომლის წევრიც იგი არის.

(3) დანაშაულის ჩადენისათვის დეპუტატი ან სენატორი დისციპლინურ პასუხისმგებლობას ატარებს იმ პალატის წინაშე, რომლის წევრიც იგი არის, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(4) დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება, მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იმ პალატის თანხმობის გარეშე, რომლის წევრიც იგი არის. თუ პალატა არ მისცემს თანხმობას, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ.

(5) დეპუტატი ან სენატორი შეიძლება, დაკავებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. შესაბამისი ორგანო ვალდებულია, დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს იმ პალატის თავმჯდომარეს, რომლის წევრიც არის დაკავებული. თუ დაკავების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში პალატის თავმჯ-

დომარე არ მისცემს თანხმობას, დაკავებულის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, დამკავებელმა ორგანომ უნდა გაათავისუფლოს დაკავებული. პალატა თავის უახლოეს სხდომაზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაშვების შესახებ.

მუხლი 28

დეპუტატსა და სენატორს, მათ შორის მანდატის შეწყვეტის შემდეგაც, უფლება აქვთ, უარი თქვან მოწმედ გამოსვლაზე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა დეპუტატისა და სენატორის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 29

(1) დეპუტატთა პალატა ირჩევს და გამოიწვევს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

(2) სენატი ირჩევს და გამოიწვევს სენატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

მუხლი 30

(1) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხთა გამოძიებისათვის, დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედის წინადადებით, დეპუტატთა პალატას შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომისიები.

(2) კომისიაში საპროცესო მოქმედებები რეგულირდება კანონით.

მუხლი 31

(1) პალატები თავიანთი ორგანოების სახით ქმნიან კომიტეტებსა და კომისიებს.

(2) კომიტეტებისა და კომისიების საქმიანობა რეგულირდება კანონით.

მუხლი 32

მთავრობის წევრი დეპუტატი ან სენატორი არ შეიძლება, იყოს დეპუტატთა პალატის ან სენატის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, ასევე საპარლამენტო კომიტეტის, საგამოძიებო ან სხვა კომისიის წევრი.

მუხლი 33

(1) დეპუტატთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში, სენატი უფლებამოსილია, მიიღოს კანონის ძალის მქონე აქტები საკანონმდებლო წესით დასარეგულირებელ იმ საკითხებზე, რომელთა დაყოვნებაც შეუძლებელია.

(2) სენატი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს საკანონმდებლო აქტები, კონსტიტუციურ, სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და საარჩევნო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე მე-10 მუხლში გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ.

(3) სენატში საკანონმდებლო აქტის პროექტების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას.

(4) სენატის აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებს ხელს აწერენ სენატის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე; მათი გამოქვეყნება ხდება კანონის გამოქვეყნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

(5) სენატის აღნიშნული საკანონმდებლო აქტები მტკიცდება დეპუტატთა პალატის პირველ სხდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატთა პალატა არ დაამტკიცებს სენატის აქტს, იგი ამ მომენტიდან კარგავს ძალას.

მუხლი 34

(1) პალატები სესიაზე იმყოფებიან მუდმივად. ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იწვევს დეპუტატთა პალატის სესიას იმისათვის, რომ იგი დაიწყოს არჩევნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა; თუ პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ მოიწვევს სესიას, დეპუტატთა პალატა იკრიბება არჩევნებიდან ოცდამეათე დღეს.

(2) პალატის სესია შეიძლება შეწყდეს მისი დადგენილებით. შესვენების საერთო ხანგძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ას ოც დღეს.

(3) სესიებს შორის პერიოდში დეპუტატთა პალატის ან სენატის თავმჯდომარეს შეუძლია, მოიწვიოს პალატა დადგენილ ვადაზე ადრე. ასეთ გადაწყვეტილებას ისინი ყოველთვის იღებენ რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის ან პალატის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

(4) დეპუტატთა პალატის სესია მთავრდება მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან მისი დათხოვნისას.

მუხლი 35

(1) დეპუტატთა პალატა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ შეიძლება დათხოვნილ იქნეს იმ შემთხვევებში, თუ:

a) დეპუტატთა პალატამ არ გამოხატა ნდობა ახლად დანიშნული მთავრობისადმი, რომლის თავმჯდომარეც დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით დანიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტმა;

b) დეპუტატთა პალატამ სამი თვის განმავლობაში არ მიიღო დადგენილება მთავრობის კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვასთანაც მთავრობა აკავშირებს ნდობის საკითხს;

c) დეპუტატთა პალატის სესია შეწყვეტილ იქნა დასაშვებზე უფრო მეტი ვადით;

d) დეპუტატთა პალატა სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ იყო გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე, თუმცა მისი სესია არ შეწყვეტილა და ამ დროს იგი განმეორებით იქნა მოწვეული სხდომაზე.

(2) დეპუტატთა პალატა არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს მისი უფლებამოსილების გასვლამდე სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 36

პალატების სხდომები ღიაა. დახურული სხდომა შეიძლება გაიმართოს მხოლოდ კანონით დადგენილი პირობების არსებობისას.

მუხლი 37

(1) პალატების გაერთიანებულ სხდომას იწვევს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე.

(2) გაერთიანებულ სხდომაზე დისკუსია იმართება დეპუტატთა პალატის რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 38

(1) მთავრობის წევრს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ორივე პალატის, მათი კომიტეტებისა და კომისიების სხდომებში. მთავრობის წევრს მოთხოვნისთანავე, ნებისმიერ დროს, ეძლევა სიტყვა გამოსვლისათვის.

(2) დეპუტატთა პალატის მოთხოვნისას, მთავრობის წევრი ვალდებულია, პირადად დაესწროს სხდომას. მსგავსი მოთხოვნა მოქმედებს კომიტეტის, კომისიისა და საგამოძიებო კომისიის სხდომის შემთხვევაშიც. ამ

ორგანოების სხდომებზე მთავრობის წევრი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მისი მოადგილის ან მთავრობის სხვა წევრის სახით, თუ დადგენილება არ შეიცავს მოთხოვნას მისი პირადი მონაწილეობის შესახებ.

მუხლი 39

(1) პალატები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ მესამედი.

(2) პალატის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამსწრე დეპუტატებისა და სენატორების ნახევარზე მეტის თანხმობა, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(3) გადაწყვეტილება ომის გამოცხადების, ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ ჩეხეთის შეიარაღებული ძალების გაგზავნის ან ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების ყოფნის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილება ჩეხეთის რესპუბლიკის იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა დაცვით სისტემებში მონაწილეობის თაობაზე, რომლის წევრიც არის ჩეხეთის რესპუბლიკა, საჭიროებს დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობისა და სენატორთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის თანხმობას.

(4) კონსტიტუციური კანონის მიღებისა და მე-10' მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დეპუტატთა სამი მეხუთედისა და დამსწრე სენატორთა სამი მეხუთედის თანხმობა.

მუხლი 40

საარჩევნო კანონისა და პალატის საქმიანობის პრინციპების შესახებ კანონის, პალატებს შორის და მათ სხვა ორგანოებთან ურთიერთობების, ასევე სენატის რეგლამენტის შესახებ კანონის მისაღებად აუცილებელია დეპუტატთა პალატისა და სენატის თანხმობა.

მუხლი 41

(1) კანონპროექტები შეიტანება დეპუტატთა პალატაში.

(2) კანონპროექტები შეიძლება შეტანილ იქნეს დეპუტატის, დეპუტატთა ჯგუფის, სენატის, მთავრობისა და ტერიტორიული თვითმმართველობის უმაღლესი დონის ერთეულის წარმომადგენლობის მიერ.

მუხლი 42

(1) კანონპროექტები სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეიტანება მთავრობის მიერ.

(2) აღნიშნული კანონპროექტები განიხილება ღია სხდომაზე და მათ შესახებ დადგენილება მიიღება მხოლოდ დეპუტატთა პალატის მიერ.

მუხლი 43

(1) პარლამენტს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ჩეხეთის რესპუბლიკაზე თავდასხმის შემთხვევაში, ან იმ საერთაშორისო ერთობლივი ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც ითვალისწინებენ საერთო თავდაცვას.

(2) პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს ჩეხეთის რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხი იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა თავდაცვით სისტემაში, რომლის წევრიც იგი არის.

(3) პარლამენტმა თანხმობა უნდა მისცეს:

a) ჩეხეთის რესპუბლიკის სამხედრო ძალების გაგზავნას ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ;

b) ჩეხეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების ყოფნის საკითხს, თუ ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება შენარჩუნებული არ იყო მთავრობისათვის.

(4) მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ჩეხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ გაგზავნის და ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების არაუმეტეს 60 დღით ყოფნის საკითხი, როდესაც ეს დაკავშირებულია:

a) აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივ თავდაცვაზე საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებასთან;

b) საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის წევრიც არის ჩეხეთის რესპუბლიკა, მშვიდობიან მოქმედებებში მონაწილეობისათვის, თუ მას აქვს მიმღები სახელმწიფოს თანხმობა;

c) ბუნებრივი, სამრეწველო და ეკოლოგიური კატასტროფების შემთხვევებში სამაშველო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ.

(5) მთავრობამ აგრეთვე უნდა გადაწყვიტოს:

a) ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების გატარების ან გადაფრენის საკითხი;

b) ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ ჩეხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო სწავლებაში მონაწილეობისა და ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამხედრო სწავლებაში მონაწილეობის საკითხები.

(6) მთავრობამ მე-4 და მე-5 აბზაცებით გათვალისწინებული თავისი გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს პარლამენტის ორივე პალატას. პარლამენტს შეუძლია, გაუქმოს მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება, მისი ერთ-ერთი პალატის გადაწყვეტილების მეშვეობით, თუ მას მხარს დაუჭერს ამ პალატის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარი.

მუხლი 44

(1) მთავრობას უფლება აქვს, ყველა კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქვას თავისი აზრი.

(2) მთავრობაში კანონპროექტის განსახილველად შესვლიდან ოცდაათი დღის ვადაში თუ მთავრობა თავის აზრს არ გამოთქვამს, კანონპროექტი მის მიერ მოწონებულად ითვლება.

(3) თუ მთავრობა კანონპროექტის განხილვას უკავშირებს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დეპუტატთა პალატის მიერ სამთავრობო კანონპროექტის განხილვის დასრულება მისი შეტანიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 45

დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი დაუყოვნებლივ გადაეცემა სენატს.

მუხლი 46

(1) სენატი კანონპროექტს განიხილავს და შესაბამის დადგენილებას იღებს მისი შეტანიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

(2) სენატს შეუძლია, თავისი დადგენილებით დაამტკიცოს ან უარყოს

კანონპროექტი, დაუბრუნოს იგი დეპუტატთა პალატას შესწორებისათვის, ან უარი თქვას კანონპროექტის განხილვაზე.

(3) თუ სენატი პირველი აბზაცით გათვალისწინებულ ვადაში არ გამოთქვამს თავის აზრს კანონპროექტის შესახებ, კანონპროექტი ითვლება მიღებულად.

მუხლი 47

(1) სენატის მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში, დეპუტატთა პალატაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. კანონპროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

(2) თუ სენატი კანონპროექტს შესწორებებისათვის დაუბრუნებს დეპუტატთა პალატას, კენჭი ეყრება სენატის მიერ დამტკიცებულ რედაქციას. კანონპროექტი მიიღება დეპუტატთა პალატის დადგენილებით.

(3) თუ დეპუტატთა პალატა არ მიიღებს სენატის მიერ დამტკიცებული კანონპროექტის რედაქციას, ხელახალი კენჭისყრა ტარდება კანონპროექტის იმ რედაქციაზე, რომელიც სენატში იქნა გაგზავნილი. კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

(4) დეპუტატთა პალატაში უარყოფილი ან დაბრუნებული კანონპროექტის განხილვისას მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 48

თუ სენატი თავისი დადგენილებით უარს იტყვის კანონპროექტის განხილვაზე, კანონის პროექტი ითვლება მიღებულად.

მუხლი 49

პარლამენტის ორივე პალატის თანხმობას საჭიროებენ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც:

a) არეგულირებენ ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს;

b) ეხება გაერთიანებას, მშვიდობას ან სხვა პოლიტიკურ შეთანხმებებს;

c) იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩეხეთის რესპუბლიკის წევრობას;

d) ძირითადი არსით არის ეკონომიკური ხასიათის;

e) ეხება კანონით მოსაწესრიგებელ სხვა საკითხებს.

მუხლი 50

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, მიღებული კანონი, კონსტიტუციური კანონის გარდა, საკუთარი შენიშვნებით დააბრუნოს მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში.

(2) კანონის დაბრუნებისას, დეპუტატთა პალატა ატარებს ხელახალ კენჭისყრას. მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. თუ დაბრუნებულ კანონს განმეორებით ხმას მისცემს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი, კანონი ქვეყნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი არ ჩაითვლება მიღებულად.

მუხლი 51

მიღებულ კანონებს ხელს აწერენ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 52

(1) კანონი ძალაში შესვლისათვის უნდა გამოქვეყნდეს.

(2) კანონით გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნების წესი.

მუხლი 53

(1) ყოველ დეპუტატს აქვს მთავრობის ან მთავრობის წევრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინტერპელაციის შეტანის უფლება.

(2) მთავრობის შესაბამისი წევრები ვალდებულნი არიან, უპასუხონ ინტერპელაციას მისი შეტანიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

თავი მესამე
აღმასრულებელი ხელისუფლება
რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 54

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ პალატების ერთობლივ სხდომაზე.

(3) რესპუბლიკის პრეზიდენტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ფუნქციების შესრულებისათვის.

მუხლი 55

რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი ვალდებულებების შესრულებას იწყებს ფიცის დადების მომენტიდან. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი, რომელიც აითვლება ფიცის დადების დღიდან.

მუხლი 56

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ოცდაათი დღის ვადაში. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი პრეზიდენტის არჩევნები იმართება ოცდაათი დღის განმავლობაში.

მუხლი 57

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს.

(2) არავინ შეიძლება აირჩეს პრეზიდენტად ზედიზედ ორჯერ მეტი ვადით.

მუხლი 58

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ არანაკლებ ათ დეპუტატს ან არანაკლებ ათ სენატორს.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა და სენატორთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

(3) თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო დეპუტატთა საერთო რაოდენობისა და სენატორთა რაოდენობის ხმათა უმრავლესობა, თოთხმეტი დღის ვადაში ტარდება არჩევნების მეორე ტური.

(4) არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს კანდიდატი, რომელმაც დეპუტატთა პალატაში ყველაზე მეტი ხმა მიიღო და კანდიდატი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო სენატში.

(5) თუ დეპუტატთა პალატასა და სენატში რამდენიმე კანდიდატმა მიიღო ხმათა უმრავლესობის თანაბარი რაოდენობა, დაითვლება მათ მიერ ორივე პალატაში მიღებული ხმები. მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს კანდიდატი, რომელიც ჯამში ხმათა უმრავლესობას დააგროვებს.

(6) არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს დამსწრე დეპუტატთა ნახევარზე მეტი და დამსწრე სენატორთა ნახევარზე მეტი.

(7) თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერც მეორე ტურში აირჩა, თოთხმეტი დღის ვადაში ტარდება არჩევნების მესამე ტური; არჩეულად ჩაითვლება არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა დამსწრე დეპუტატთა და სენატორთა ნახევარზე მეტმა.

(8) თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერც არჩევნების მესამე ტურში აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 59

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი ფიცს დებს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინაშე პალატების ერთობლივ სხდომაზე.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტის ფიცი: **„ვფიცავ, ვუერთგულო ჩეხეთის რესპუბლიკას. ვფიცავ, რომ დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს. ვფიცავ საკუთარ სინდისს, რომ თანამდებობაზე ჩემი ყოფნისას, ვიმოქმედებ საკუთარი რწმენისა და სინდისის ხელმძღვანელობით მთელი ხალხის ინტერესების შესაბამისად.“**

მუხლი 60

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმა ან დათქმით ფიცის დადება განიხილება რესპუბლიკის პრეზიდენტის აურჩევლობად.

მუხლი 61

რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, გადადგეს, რის შესახებაც მან უნდა განაცხადოს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 62

რესპუბლიკის პრეზიდენტი:

a) ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის ხელმძღვანელსა და სხვა წევრებს, იღებს მათ გადადგომას, გადააყენებს მთავრობას და იღებს მის გადადგომას;

b) იწვევს დეპუტატთა პალატის სესიას;

c) ითხოვს დეპუტატთა პალატას;

d) მთავრობას, რომლის გადადგომაც მიიღო ან რომელიც გადააყენა, ახალი მთავრობის დანიშვნამდე ანიჭებს თავისი ფუნქციების დროებითი განხორციელების უფლებას;

e) ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს;

f) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ნიშნავს მის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს;

g) ახორციელებს შეწყალებას, ამსუბუქებს სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელს; იძლევა მითითებებს, რათა არ დაიწყოს სისხლის სამართლის საქმისწარმოება ან შეჩერდეს დაწყებული სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება; უხსნის ნასამართლეობას;

h) უფლებამოსილია, პარლამენტს დაუბრუნოს მიღებული კანონი, კონსტიტუციური კანონის გარდა.

i) ხელს აწერს კანონებს;

j) ნიშნავს კონტროლის უზენაესი სამმართველოს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს;

k) ნიშნავს ჩეხეთის ეროვნული ბანკის საბანკო საბჭოს წევრებს;

1) ნიშნავს რეფერენდუმს ჩეხეთის რესპუბლიკის ევროპის კავშირში გაწევრიანების თაობაზე და აცხადებს შედეგებს.

მუხლი 63

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი ასევე:

a) წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში;

b) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ რატიფიკაციას; უფლება აქვს, საერთაშორისო ხელშეკრულების დადება დაავალოს მთავრობას ან მისი თანხმობით – მთავრობის ცალკეულ წევრებს;

c) არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;

d) იღებს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს;

e) ნიშნავს და გამოიწვევს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს;

f) ნიშნავს დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნებს;

g) ანიჭებს გენერლის წოდებას;

h) იღებს გადაწყვეტილებას დაჯილდოების შესახებ და გადასცემს სახელმწიფო ჯილდოებს, თუ ამის უფლებამოსილებას არ ანიჭებს სხვა ორგანოს;

i) ნიშნავს მოსამართლეებს;

j) უფლებამოსილია, გამოაცხადოს ამნისტია.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, განახორციელოს სხვა ფუნქციებიც, რომლებიც უშუალოდ არ არის მითითებული კონსტიტუციურ კანონში, მაგრამ გათვალისწინებულია კანონით.

(3) პირველი და მე-2 აბზაცების თანახმად რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შედის მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის უფლებამოსილი წევრის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

(4) რესპუბლიკის პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის უფლებამოსილი წევრის ხელმოწერას საჭიროებენ, პასუხისმგებელია მთავრობა.

მუხლი 64

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის ორივე პალატის, მათი კომიტეტებისა და კომისიების სხდომებში. მას სიტყვა გამოსვლისათვის ეძლევა მოთხოვნისთანავე.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, მთავრობისა და მისი წევრებისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია და მთავრობასთან ან მთავრობის წევრებთან ერთად განიხილოს მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხები.

მუხლი 65

(1) რესპუბლიკის პრეზიდენტი არ შეიძლება დაკავებულ იქნეს, დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე დევნას გადაცდომის ან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი, სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში, შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სენატის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე. სასჯელის ზომა შეიძლება იყოს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება და ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის უფლების ჩამორთმევა.

(3) პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილი ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ.

მუხლი 66

იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია, ხოლო რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი არ არის არჩეული ან ფიცი არა აქვს დადებული, ასევე, როდესაც სერიოზული მიზეზების გამო რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციების განხორციელება, რაც დასტურდება დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილებით, 63-ე მუხლის პირველი აბზაცის „a", „b", „c", „d", „e", „h", „g", „i" და „j" პუნქტებით გათვალისწინებულ პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტის შეზღუდული უფლებამოსილებების შესრულების პერიოდში, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის 62-ე მუხლის „a", „b", „c", „d", „e", „k" და „l" პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს; თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური ხდება დეპუტატთა პალატის დათხოვნის პერიოდში, პრეზიდენტის აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სენატის თავმჯდომარე.

მთავრობა

მუხლი 67

(1) მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

(2) მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებისა და მინისტრებისაგან.

მუხლი 68

(1) მთავრობა პასუხისმგებელია დეპუტატთა პალატის წინაშე.

(2) რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს და მისი წარდგინებით — მთავრობის სხვა წევრებს და გადასცემს მათ სამინისტროების ან სხვა უწყებების ხელმძღვანელობას.

(3) დანიშვნიდან არა უგვიანეს ოცდაათ დღეში მთავრობა უნდა წარსდგეს დეპუტატთა პალატის წინაშე და მოითხოვოს ნდობის გამოცხადება.

(4) თუ დეპუტატთა პალატა ახლად დანიშნულ მთავრობას არ გამოუცხადებს ნდობას, კვლავ განხორციელდება მე-2 და მე-3 აბზაცებით გათვალისწინებული მოქმედებები. თუ დეპუტატთა პალატა ამ შემთხვევაშიც არ გამოუცხადებს მთავრობას ნდობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით, ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს.

(5) სხვა შემთხვევებში რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით, ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის სხვა წევრებს და გადასცემს მათ სამინისტროების ან სხვა უწყებების ხელმძღვანელობას.

მუხლი 69

(1) მთავრობის წევრი ფიცს დებს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე.

(2) მთავრობის წევრის ფიცი: **„ვფიცავ, ვუერთგულო ჩეხეთის რესპუბლიკას. ვფიცავ, დავიცავ მის კონსტიტუციასა და კანონებს და ცხოვრებაში განვახორციელებ მათ. ვფიცავ საკუთარ სინდისს, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ საკუთარ ვალდებულებებს და ბოროტად არ გამოვიყენებ საკუთარ მდგომარეობას."**

მუხლი 70

მთავრობის წევრი არ არის უფლებამოსილი, ეწეოდეს საქმიანობას, რო-

მელიც თავისი ხასიათით შეუთავსებელია მისი ფუნქციის განხორციელებასთან. კონკრეტული მოთხოვნები დგინდება კანონით.

მუხლი 71

მთავრობას შეუძლია, დეპუტატთა პალატას მოსთხოვოს ნდობის გამოცხადება.

მუხლი 72

(1) დეპუტატთა პალატას შეუძლია, მთავრობას გამოუცხადოს უნდობლობა.

(2) მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება განიხილება დეპუტატთა პალატის არანაკლებ ორმოცდაათი დეპუტატის მიერ შეტანილი წერილობითი წინადადების საფუძველზე. უნდობლობის გამოცხადებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის თანხმობა.

მუხლი 73

(1) მთავრობის თავმჯდომარე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს. მთავრობის სხვა წევრები გადადგომის შესახებ განცხადებებს წარუდგენენ რესპუბლიკის პრეზიდენტს მთავრობის თავმჯდომარის მეშვეობით.

(2) მთავრობა გადადგება, თუ დეპუტატთა პალატამ უარი თქვა მის თხოვნაზე, ნდობის გამოცხადების შესახებ ან გამოუცხადა უნდობლობა. მთავრობა გადადგება ახლად არჩეული დეპუტატთა პალატის დამფუძნებელი სხდომის შემდეგ.

(3) თუ მთავრობა გადადგება მე-2 აბზაცის შესაბამისად, მის გადადგომას იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 74

რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის წევრს გამოიწვევს მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით.

მუხლი 75

რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოიწვევს მთავრობას, რომელიც არ გადადგა, თუმცა ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა.

მუხლი 76

(1) მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიალურად.

(2) მთავრობის დადგენილების მისაღებად აუცილებელია მის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის თანხმობა.

მუხლი 77

(1) მთავრობის თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ხელმძღვანელობს მის სხდომებს, გამოდის მისი სახელით და ახორციელებს კონსტიტუციით ანდა კანონებით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

(2) მთავრობის თავმჯდომარეს ცვლის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი წევრი.

მუხლი 78

კანონის აღსრულებისათვის და მის ფარგლებში, მთავრობას უფლება აქვს, გამოსცეს დადგენილებები. დადგენილებებს ხელს აწერენ მთავრობის თავმჯდომარე და სხვა შესაბამისი წევრები.

მუხლი 79

(1) სამინისტროებისა და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულებების შექმნა და მათი კომპეტენციის განსაზღვრა ხდება მხოლოდ კანონით.

(2) სამინისტროებისა და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულებების სახელმწიფო მოსამსახურეების სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება კანონით.

(3) სამინისტროებს, სხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებებსა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ, კანონის საფუძველზე და ფარგლებში გამოსცენ სამართლებრივი აქტები, თუ ისინი საამისოდ კანონით არიან უფლებამოსილნი.

მუხლი 80

(1) სახელმწიფო წარმომადგენლობა ახორციელებს საჯარო ბრალდებას სისხლისსამართლებრივ წარმოებასთან დაკავშირებით; ასევე, ახორციელებს კანონით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

(2) სახელმწიფო წარმომადგენლობის სტატუსი და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

თავი მეოთხე
სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 81

სასამართლო ხელისუფლებას რესპუბლიკის სახელით ახორციელებენ დამოუკიდებელი სასამართლოები.

მუხლი 82

(1) მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას არიან დამოუკიდებელნი. არავის აქვს უფლება, ხელყოს მათი მიუკერძოებლობა.

(2) დაუშვებელია მოსამართლეების ნების საწინააღმდეგოდ მათი დაკავებული თანამდებობიდან დათხოვნა ან სხვა სასამართლოში გადაყვანა; გამონაკლისი ამ წესიდან, დაკავშირებული უპირველეს ყოვლისა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან, დგინდება კანონით.

(3) მოსამართლის ფუნქცია შეუთავსებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, ასევე საჯარო ადმინისტრაციაში რაიმე ფუნქციის შესრულებასთან; კანონი განსაზღვრავს მოსამართლის ფუნქციის განხორციელებასთან შეუთავსებელი საქმიანობის სხვა სახეებს.

საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 83

საკონსტიტუციო სასამართლო არის კონსტიტუციურობის დაცვის სასამართლო ორგანო.

მუხლი 84

(1) საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ათი წლის ვადით დანიშნული თხუთმეტი მოსამართლისაგან.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, სენატის თანხმობით, ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ათი წლის გამოცდილება.

მუხლი 85

(1) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თავისი ფუნქციის განხორციელებას შეუდგება რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე ფიცის დადების მომენტიდან.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ფიცი: **„ვფიცავ საკუთარ ღირსებასა და სინდისს, რომ დავიცავ ადამიანისა და მოქალაქის ბუნებითი უფლებების ურღვევობას, ვიხელმძღვანელებ კონსტიტუციური კანონებით და გადაწყვეტილებას მივიღებ დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, საკუთარი რწმენის შესაბამისად“.**

(3) თუ მოსამართლე უარს იტყვის ფიცის დადებაზე ან დათქმით დადებს ფიცს, იგი არ ჩაითვლება დანიშნულად.

მუხლი 86

(1) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში სენატის თანხმობის გარეშე. თუ სენატი არ მისცემს თანხმობას, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სენატის თავმჯდომარეს. თუ სენატის თავმჯდომარე დაკავების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას დაკავებულის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, დამკავებელი ორგანო ვალდებულია, გაათავისუფლოს დაკავებული. სენატი უახლოეს სხდომაზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაშვების შესახებ.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უფლება აქვს, ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მისი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 87

(1) საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს:

a) კანონის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმების შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ კანონს;

b) სხვა სამართლებრივი აქტის ან მისი ცალკეული დებულების გაუქმების შესახებ, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ კანონს ან კანონს;

c) სახელმწიფოს უკანონო ჩარევის თაობაზე ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოთა კონსტიტუციურ სარჩელზე;

d) კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ სარჩელზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებებსა და სხვა მოქმედებების თაობაზე;

e) დეპუტატისა და სენატორის არჩევის გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ სარჩელებზე;

f) პასიური საარჩევნო უფლების დაკარგვასა და 25-ე მუხლით გათვალისწინებული დეპუტატისა და სენატორის ფუნქციების შეუთავსებლო-

ბასთან დაკავშირებით ეჭვის წარმოშობისას;

g) 65-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, სენატის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის წაყენებული კონსტიტუციური ბრალდების თაობაზე;

h) რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებაზე დეპუტატთა პალატისა და სენატის დადგენილების გაუქმების თაობაზე, 66-ე მუხლის შესაბამისად;

i) ჩეხეთის რესპუბლიკისათვის სავალდებულო საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე, თუ ის არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს სხვა ხერხით;

j) პოლიტიკური პარტიის დათხოვნის ან პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილების კონსტიტუციურ და სხვა კანონებთან შესაბამისობის თაობაზე;

k) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული დავის თაობაზე, თუ მოცემული დავის გადაწყვეტა კანონით სხვა ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

(2) საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე უნდა დაადგინოს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციამდე მათი შესაბამისობა მე-10ა და 49-ე მუხლებით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ წყობასთან. ხელშეკრულების რატიფიცირება არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

(3) კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოს ნაცვლად იღებს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო:

a) სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული დებულებების გაუქმების თაობაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს;

b) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული დავის თაობაზე, თუ კანონით მოცემული დავის გადაწყვეტა სხვა ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 88

(1) კანონით დგინდება, თუ ვინ და რა პირობების არსებობისას არის უფლებამოსილი, შეიტანოს წინადადება საქმის წარმოების აღძვრის შესახებ, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმოების აღძვრასთან დაკავშირებული სხვა წესები.

(2) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულნი არიან, იხელმძღვანელონ მხოლოდ კონსტიტუციური კანონებითა და პირველ აბზაცში მითითებული კანონით.

მუხლი 89

(1) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას, თუ ის გამოქვეყნებული იყო კანონით დადგენილი წესით, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(2) აღსრულებას დაქვემდებარებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირისათვის.

(3) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით, 87-ე მუხლის მე-2 აბზაცზე დაყრდნობით, საერთაშორისო ხელშეკრულების შეუ-

საბამობა კონსტიტუციურ წყობასთან, ხელს უშლის ხელშეკრულების რატიფიკაციას ასეთი შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

სასამართლოები

მუხლი 90

სასამართლოები მოწოდებულნი არიან, კანონით დადგენილი წესით უზრუნველყონ უფლებათა დაცვა. მხოლოდ სასამართლო წყვეტს ხიხლის სამართლის დანაშაულზე ბრალისა და სასჯელის საკითხს.

მუხლი 91

(1) სასამართლო სისტემას ქმნიან: უზენაესი სასამართლო, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, უმაღლესი, საოლქო და რაიონული სასამართლოები. სხვა სახის სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კანონით.

(2) სასამართლოთა უფლებამოსილებასა და ორგანიზაციის წესს ადგენს კანონი.

მუხლი 92

უზენაესი სასამართლო არის სასამართლოთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე უმაღლესი სასამართლო ორგანო, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს განსაკუთრებული საქმეებისა.

მუხლი 93

(1) მოსამართლე ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის გარეშე. იგი თავისი ფუნქციის შესრულებას შეუდგება ფიცის დადების მომენტიდან.

(2) მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი თეორიული განათლების მქონე, უმწიკვლო რეპუტაციის მოქალაქე. დანიშვნის სხვა პირობები და პროცედურა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 94

(1) კანონით დგინდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ სენატისა და სენატორთა შემადგენლობაში. ცალკეულ შემთხვევებში მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ ერთპიროვნულად.

(2) კანონით შეიძლება დადგინდეს, თუ რომელ საქმეებში და რა წესით მონაწილეობენ მოქალაქეები მოსამართლეებთან ერთად სასამართლოებში საქმეთა გადაწყვეტაში.

მუხლი 95

(1) გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს კანონებით და სამართლებრივი სისტემის შემადგენელი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. იგი უფლებამოსილია, განსაზღვროს სხვადასხვა თეორიული აქტების შესაბამისობა კანონთან ან ამგვარ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

(2) თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი კანონი არღვევს კონსტიტუციურ წყობას, საკითხს განსახილველად გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მუხლი 96

(1) სასამართლო პროცესის ყველა მონაწილეს აქვს თანაბარი უფლება.

(2) სასამართლოში საქმის განხილვა ზეპირი და ღია; ამ წესიდან გამონაკლისი დგინდება კანონით. გადაწყვეტილება ყოველთვის საჯაროდ ცხადდება.

მეხუთე თავი
კონტროლის უზენაესი სამმართველო

მუხლი 97

(1) კონტროლის უზენაესი სამმართველო დამოუკიდებელი ორგანოა. იგი ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ქონების სამეურნეო გამოყენებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე.

(2) კონტროლის უზენაესი სამმართველოს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, დეპუტატთა პალატის თანხმობით, ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

(3) კონტროლის უზენაესი სამმართველოს სტატუსი, უფლებამოსილება, ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა დეტალები დგინდება კანონით.

მეექვსე თავი
ჩეხეთის ეროვნული ბანკი

მუხლი 98

(1) ჩეხეთის ეროვნული ბანკი არის სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი. მისი ფუნქციონირების მთავარი მიზანია ზრუნვა ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მის საქმიანობაში ჩარევა დაიშვება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

(2) ჩეხეთის ეროვნული ბანკის სტატუსი, უფლებამოსილება და სხვა დეტალები დგინდება კანონით.

მეშვიდე თავი
ტერიტორიული თვითმმართველობა

მუხლი 99

ჩეხეთის რესპუბლიკა იყოფა თემებად, რომლებიც არიან ტერიტორიული თვითმმართველობის ძირითადი ერთეულები. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების უფრო მაღალი დონეა მიწები და ოლქები.

მუხლი 100

(1) ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები არიან თვითმმართველობის უფლების მქონე მოქალაქეთა ტერიტორიული გაერთიანებები. კანონით დგინდება პირობები, როდესაც ისინი არიან ადმინისტრაციული ოკრუგები.

(2) თემი ყოველთვის არის უფრო მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის შემადგენელი ნაწილი.

(3) უფრო მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის შექმნა და ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 101

(1) თემი იმართება დამოუკიდებლად თავისი წარმომადგენლობის მიერ.

(2) უფრო მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეული იმართება დამოუკიდებლად თავისი წარმომადგენლობის მიერ.

(3) ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები არიან საჯაროსამართლებრივი კორპორაციები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ქონება და განკარგონ საკუთარი ბიუჯეტის საფუძველზე.

(4) სახელმწიფოს შეუძლია, ჩაერიოს ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულთა საქმიანობაში, თუ ეს აუცილებელია კანონის დაცვის მიზნით და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 102

(1) წარმომადგენლობის წევრები აირჩევიან ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

(2) წარმომადგენლობის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ოთხ წელს. კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს პირობები, რომელთა არსებობისასაც წარმომადგენლობის ახალი არჩევნები ინიშნება უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 103

უფრო მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულთა დასახელება განისაზღვრება მისი წარმომადგენლობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 104

(1) წარმომადგენლობის კომპეტენცია შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ კანონით.

(2) თვითმმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ოლქების წარმომადგენლობა, თუ კანონით აღნიშნული არ განეკუთვნება უფრო მაღალი დონის ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის უფლებამოსილებას.

(3) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმომადგენლობას შეუძლია, მიიღოს ზოგადსავალდებულო დადგენილებები (obencne zavaze vyhlasky).

მუხლი 105

სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციის შესრულება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში შეიძლება დაეკალოს თვითმმართველობის ორგანოებს.

მერვე თავი
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 106

(1) ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ჩეხეთის ეროვნული საბჭო მოქმედებს, როგორც დეპუტატთა პალატა, რომლის უფლებამოსილების ვადაც 1996 წლის 6 ივნისს მთავრდება.

(2) კონსტიტუციის შესაბამისად, სენატის არჩევამდე სენატის ფუნქციას ასრულებს დროებითი სენატი. დროებითი სენატი იქმნება კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე სენატის ფუნქციას ასრულებს დეპუტატთა პალატა.

(3) დეპუტატთა პალატა არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს, ვიდრე ის მე-2 აბზაცის შესაბამისად ასრულებს სენატის ფუნქციას.

(4) პალატების რეგლამენტების შესახებ კანონის მიღებამდე ორივე პალატაში გამოიყენება ჩეხეთის საბჭოს რეგლამენტი.

მუხლი 107

(1) სენატის არჩევნების შესახებ კანონი დაადგენს სენატის პირველ არჩევნებში სენატორთა იმ მესამედის განსაზღვრის წესს, რომლის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ორ წელს და სენატორთა იმ მესამედს, რომ-

ლის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ოთხ წელს.

(2) სენატის სესიას იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტი ისე, რომ იგი გაიხსნას არჩევნებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღის განმავლობაში; თუ პრეზიდენტი მითითებულ ვადაში არ მოიწვევს სენატის სესიას, სენატი იკრიბება არჩევნებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 108

1992 წლის არჩევნების შემდეგ დანიშნული და კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან თავისი ფუნქციების განმახორციელებელი ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა მოქმედებს, როგორც ამ კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნული მთავრობა.

მუხლი 109

სახელმწიფო წარმომადგენლობის შექმნამდე მის ფუნქციას ახორციელებს ჩეხეთის რესპუბლიკის პროკურატურა.

მუხლი 110

1993 წლის 31 დეკემბრამდე სასამართლოთა სისტემაში ასევე შედიან სამხედრო სასამართლოები.

მუხლი 111

ჩეხეთის რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც მოსამართლის ფუნქციებს ახორციელებენ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღისათვის, მოქმედებენ, როგორც ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნული მოსამართლეები.

მუხლი 112

(1) ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციურ სისტემას შეადგენენ: ეს კონსტიტუცია, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ქარტია, ამ კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კონსტიტუციური კანონები, ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების, ჩეხო-სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრებისა და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს კონსტიტუციური კანონები ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის შესახებ და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს მიერ 1992 წლის 6 ივნისიდან მიღებული კონსტიტუციური კანონები.

(2) უქმდება ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციის კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური კანონები, რომელთა მეშვეობითაც კონსტიტუციაში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები და ჩეხეთის ეროვნული საბჭოს №67/1990 კონსტიტუციური კანონი ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ.

(3) ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა კონსტიტუციურ კანონებს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ენიჭებათ კანონის ძალა.

მუხლი 113

ეს კონსტიტუციური კანონი ძალაში შედის 1993 წლის 1 იანვრიდან.

მილან უდე (დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე)
ვაცლავ კლაუსი (მთავრობის თავმჯდომარე)

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია

პირველი თავი
ზოგადი დებულებები

ფედერალური კრება, ჩეხეთის ეროვნული საბჭოსა და სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს პროექტების საფუძველზე,

აღიარებს რა ადამიანის ბუნებითი უფლებების ურღვევობას, მოქალაქის უფლებებსა და კანონის უზენაესობას,

კაცობრიობის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებთან და ჩვენი ერების დემოკრატიულ და თვითთმმართველობით ტრადიციებთან დაკავშირებით,

იმ დროის მწარე გამოცდილების ხსოვნით, როდესაც ჩვენს სამშობლოში ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ითელებოდა,

ამ უფლებების სხვა თავისუფალ ერებთან ერთად ერთიანი ძალისხმევის უზრუნველყოფის იმედით,

ჩეხეთისა და სლოვაკეთის ერების თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე,

მომავალი თაობების წინაშე ქვეყანაში ცხოვრების ბედთან დაკავშირებით თავისი წილი პასუხისმგებლობის გათავისებით,

და ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ სახელმწიფოთა რიცხვში ღირსეულად შესვლის ნების გამოხატვით, რომლებიც პატივს სცემენ ამ ფასეულობებს,

იღებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ამ ქარტიას:

მუხლი 1

ხალხი არის თავისუფალი და თანასწორი თავის ღირსებასა და უფლებებში. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განუყოფელი და განუსხვისებელია და არ ექვემდებარება ხანდაზმულობას ან გაუქმებას.

მუხლი 2

(1) სახელმწიფო ეფუძნება დემოკრატიულ ფასეულობებს და ის არ შეიძლება, დაუკავშრდეს რომელიმე იდეოლოგიას ან აღმსარებლობას.

(2) სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში და კანონით განსაზღვრული წესით.

(3) ყველას აქვს იმის გაკეთების უფლება, რაც არ არის კანონით აკრძალული და არავინ შეიძლება იქნეს იძულებული, გააკეთოს ის, რასაც კანონი არ ავალდებულებს.

მუხლი 3

(1) ძირითადი უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია ყველა-

სათვის, განურჩევლად სქესისა, რასისა, კანის ფერისა, ენისა, რწმენისა და რელიგიისა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობისა, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობის კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, წარმომავლობისა ან სხვა გარემოებებისა.

(2) ყველას აქვს თავისი ეროვნების თავისუფლად განსაზღვრის უფლება. აკრძალულია ამ გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა და თავის ეროვნებაზე უარის თქმისაკენ მიმართული ყოველგვარი ზეწოლა.

(3) არავის შეიძლება შეელახოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების უფლება.

მუხლი 4

(1) ვალდებულებების დაკისრება შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე, განსაზღვრულ ფარგლებში და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პირობებში.

(2) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ფარგლები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონებით, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის მიერ დადგენილი პირობების დაცვით.

(3) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კანონიერი შეზღუდვები უნდა მოქმედებდნენ ერთნაირად ყველა იმ შემთხვევისთვის, რომლებიც პასუხობენ დადგენილ პირობებს.

(4) ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ფარგლების შესახებ ნორმების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი არსი და მნიშვნელობა. მითითებული შეზღუდვები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი მიზნისათვის.

მეორე თავი
ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

პირველი განყოფილება
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 5

ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია.

მუხლი 6

(1) ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. ადამიანის სიცოცხლე ჯერ კიდევ დაბადებამდე იმსახურებს დაცვას.

(2) არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე.

(3) სიკვდილით დასჯა დაუშვებელია.

(4) ამ მუხლის შესაბამისად, დარღვევას არ წარმოადგენს სიცოცხლის წართმევა იმ ქმედებით, რომელიც კანონით სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის.

მუხლი 7

(1) პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გარანტირებულია. შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

(2) არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.

მუხლი 8

(1) პირადი თავისუფლება გარანტირებულია.

(2) არავინ შეიძლება დაექვემდებაროს დევნას ან თავისუფლების აღკვეთას, გარდა კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლით. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ გარიგებით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისთვის.

(3) დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან ეჭვმიტანილი შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა გააცნონ დაკავების საფუძველი, მოუსმინონ და, არა უმეტეს 24 საათისა, გაათავისუფლონ ან წარუდგინონ სასამართლოს. მოსამართლემ 24 საათის განმავლობაში უნდა მოუსმინოს დაკავებულს და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების ან გათავისუფლების შესახებ.

(4) ბრალდებული შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს მხოლოდ მოსამართლის მოტივირებული, წერილობითი ბრძანების საფუძველზე. სასამართლოს დაკავებული უნდა წარედგინოს 24 საათის განმავლობაში. მოსამართლე ვალდებულია, 24 საათის განმავლობაში მოუსმინოს დაკავებულს და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაპატიმრების ან გათავისუფლების შესახებ.

(5) არავინ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს თუ არა კანონით დადგენილი საფუძვლითა და ვადით და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

(6) კანონი ადგენს პირის საავადმყოფოში სამედიცინო მზრუნველობაში გადაცემის ან მისი თანხმობის გარეშე იქ ყოფნის შემთხვევებს. ასეთი ზომების გამოყენების შესახებ სასამართლოს უნდა ეცნობოს 24 საათის განმავლობაში, რომელიც 7 დღის ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას პირის საავადმყოფოში მოთავსების შესახებ.

მუხლი 9

(1) არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით სამუშაოს ან იძულებით სამსახურს.

(2) პირველი აბზაცით გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება:

a) კანონით გათვალისწინებულ სამუშაოზე, რომლითაც პირი თავისუფლების აღკვეთის სახით იხდის სასჯელს ან სხვა სასჯელს, რომელიც ცვლის თავისუფლების აღკვეთას;

b) სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად კანონით დადგენილ სამხედრო ან სხვა სამსახურზე;

c) კანონის საფუძველზე მოთხოვნილ სამსახურზე, სტიქიური უბედურების, კატასტროფების ან სხვა საფრთხისას, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს მატერიალურ ფასეულობებს;

d) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის მიზნით კანონით დადგენილ საქმიანობაზე.

მუხლი 10

(1) ყველას აქვს თავისი ადამიანური ღირსების, პირადი პატივის, რეპუტაციის პატივისცემისა და სახელის დაცვის უფლება.

(2) ყველას აქვს უფლება, დაცულ იქნეს კერძო და ოჯახურ ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევისაგან.

(3) ყველას აქვს თავისი პიროვნული მონაცემების უსაფუძვლოდ შეკრების ან გამოქვეყნების ან მისი სხვაგვარად, ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება.

მუხლი 11

(1) ყველას აქვს უფლება, იყოს მესაკუთრე. ყველა მესაკუთრის საკუთრების უფლებას აქვს ერთნაირი სამართლებრივი შინაარსი და დაცვის გარანტია. მემკვიდრეობა უზრუნველყოფილია.

(2) კანონით დგინდება საზოგადოების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის, ეროვნული ეკონომიკისა და საჯარო ინტერესის განვითარებისათვის აუცილებელი რომელი ქონება უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ სახელმწიფო, თემის ან განსაზღვრული იურიდიული პირების საკუთრებაში; კანონით აგრეთვე შეიძლება დადგენილ იქნეს, რომ განსაზღვრული ქონება შესაძლოა იმყოფებოდეს მხოლოდ იმ მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა საკუთრებაში, რომელთაც ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აქვთ საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

(3) საკუთრება ავალდებულებს. იკრძალება საკუთრების ბოროტად გამოყენება და მისი გამოყენება კანონით დაცული საერთო ინტერესების წინააღმდეგ ან სხვა პირთა უფლებების საზიანოდ. საკუთრების უფლების განხორციელება არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის ჯანმრთელობას, ბუნებასა და გარემოს, გარდა კანონით დადგენილი ნორმებისა.

(4) საკუთრების ჩამორთმევა ან საკუთრების უფლების იძულებითი შეზღუდვა დასაშვებია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის კანონის საფუძველზე და ანაზღაურებით.

(5) გადასახადები და მოსაკრებლები დგინდება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მუხლი 12

(1) საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. აკრძალულია საცხოვრებელ ბინაში შესვლა იქ მცხოვრები პირის თანხმობის გარეშე.

(2) საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი წარმოების მიზნით, მოსამართლის წერილობითი მოტივირებული ბრძანებით. საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის საპროცესო წესი დგინდება კანონით.

(3) საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის პრინციპიდან სხვა გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს კანონით მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისა და ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგისათვის სერიოზული საფრთხის

ასაცილებლად. თუ საცხოვრებელი ადგილი გამოიყენება ასევე სამეწარმეო ან სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის, იქ შესვლა შეიძლება ნებადართულ იქნეს კანონით და იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია საჯარო მმართველობის ამოცანათა განსახორციელებლად.

მუხლი 13

არავის აქვს უფლება, დაარღვიოს როგორც კერძოდ შენახული, ისე ფოსტით გადაგზავნილი ან. სხვა საშუალებით გადაცემული მიმოწერის ან სხვა დოკუმენტებისა და ჩანაწერების საიდუმლოება; გამონაკლისი დგინდება კანონით. ამგვარადვე არის გარანტირებული სატელეფონო, სატელეგრაფო ან სხვა მსგავსი საშუალებებით გადაცემული ცნობების საიდუმლოება.

მუხლი 14

(1) გარანტირებულია თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

(2) ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლება.

(3) მითითებული თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, ხოლო განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბუნების დაცვის მიზნით.

(4) ყველა მოქალაქეს აქვს ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფლად შესვლის უფლება. არ შეიძლება მოქალაქის იძულება, დატოვოს თავისი სამშობლო.

(5) უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 15

(1) გარანტირებულია აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ყველას აქვს უფლება, შეიცვალოს რელიგია ან რწმენა ან არ აღიაროს არც ერთი რელიგია.

(2) გარანტირებულია სამეცნიერო კვლევისა და სამხატვრო შემოქმედების თავისუფლება.

(3) არ შეიძლება არავის იძულება გაიაროს სამხედრო სამსახური, თუ ეს ეწინააღმდეგება მის რწმენას ან აღმსარებლობას. დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 16

(1) ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად, თავისუფლად გამოხატოს თავისი რელიგია და რწმენა, ღვთისმსახურების, მისი სწავლების საჯაროდ და დამოუკიდებლად განხორციელებით, რელიგიური რიტუალების ან წეს-ჩვეულებების დაცვის გზით.

(2) ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები დამოუკიდებლად მართავენ საკუთარ საქმეებს, კერძოდ, აფუძნებენ თავის ორგანოებს, განსაზღვრავენ საკუთარ სასულიერო პირებს, აარსებენ მონასტრებსა და სხვა

საეკლესიო დაწესებულებებს და არიან სახელმწიფო ორგანოებისაგან დამოუკიდებელნი.

(3) სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლების პირობები განისაზღვრება კანონით.

(4) მითითებული უფლებების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მეორე განყოფილება
პოლიტიკური უფლებები

მუხლი 17

(1) გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციის უფლება.

(2) ყველას აქვს თავისი შეხედულების ზეპირად, წერილობით, ბეჭდვით ორგანოში გამოსახულების ან სხვაგვარი საშუალებით გამოხატვის, აგრეთვე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფლად შეგროვების, მიღებისა და გავრცელების უფლება, მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა.

(3) ცენზურა დაუშვებელია.

(4) სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

(5) სახელმწიფო და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან, შესაბამისი ფორმით წარმოადგინონ ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ. ინფორმაციის პირობები და წესი დგინდება კანონით.

მუხლი 18

(1) პეტიციის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად საჯაროდ და სხვა საერთო ინტერესთან დაკავშირებულ საკითხზე თხოვნით, წინადადებით ან საჩივრით მიმართოს სახელმწიფო ან ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს.

(2) პეტიციამ არ უნდა დარღვიოს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი.

(3) პეტიცია არ უნდა მოუწოდებდეს ქარტიის მიერ გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისკენ.

მუხლი 19

(1) გარანტირებულია მშვიდობიანი შეკრების უფლება.

(2) საჯარო ადგილებში შეკრების ჩატარების შემთხვევაში, აღნიშნული უფლება შეიძლება, შეიზღუდოს კანონით, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ქონებისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. შეკრების უფლება არ შეიძლება იყოს საჯარო ადმინისტრაციის ორგანოთა

ნებართვაზე დამოკიდებული.

მუხლი 20

(1) თავისუფლად გაერთიანების უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება, სხვა პირებთან ერთად გაერთიანდეს კავშირში, საზოგადოებაში ან სხვა გაერთიანებაში.

(2) მოქალაქეებს აგრეთვე აქვთ პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური მოძრაობების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

(3) მითითებული უფლებების განხორციელება შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

(4) პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები, აგრეთვე სხვა გაერთიანებები სახელმწიფოსგან დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 21

(1) მოქალაქეებს საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში აქვთ მონაწილეობის მიღების უფლება უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

(2) არჩევნები უნდა ჩატარდეს იმ ვადაში, რაც არ აღემატება კანონით დადგენილ უფლებამოსილების რეგულარულ ვადებს.

(3) საარჩევნო უფლება საყოველთაო და თანასწორია და ხორციელდება ფარული კენჭისყრის გზით. საარჩევნო უფლების განხორციელების პირობებს ადგენს კანონი.

(4) მოქალაქეებს აქვთ საარჩევნო და სხვა საჯარო ფუნქციებთან ხელმისაწვდომობის თანაბარი პირობები.

მუხლი 22

ყველა პოლიტიკური უფლებისა და თავისუფლების და მათი განმარტებისა და გამოყენების საკანონმდებლო რეგულირება უნდა ქმნიდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალთა თავისუფალი შეჯიბრებითობისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.

მუხლი 23

თუ კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციური ორგანოების მოქმედება და სამართლებრივი საშუალებების ეფექტურად გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდება, მოქალაქეებს უფლება აქვთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც ხელყოფს ქარტიის მიერ დადგენილ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსახორციელებლად საჭირო დემოკრატიულ წყობას.

მესამე თავი
ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის უფლებები

მუხლი 24

რომელიმე ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებამ არავის უნდა მიაყენოს ზიანი.

მუხლი 25

(1) მოქალაქეებს, რომლებიც ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, გარანტირებული აქვთ ყოველმხრივი განვითარება, კერძოდ, სხვა უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად თავისი კულტურის განვითარების, ინფორმაციის მშობლიურ ენაზე გავრცელებისა და მიღების და ეროვნულ გაერთიანებებში გაერთიანების უფლება. დეტალები დგინდება კანონით.

(2) ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, კანონით დადგენილ პირობებში, გარანტირებული აქვთ აგრეთვე:

a) თავის ენაზე განათლების მიღების უფლება;

b) ოფიციალურ ურთიერთობებში თავისი ენის გამოყენების უფლება;

c) ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება.

მეოთხე თავი
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

მუხლი 26

(1) ყველას აქვს პროფესიის თავისუფლად არჩევისა და მასში მომზადების, აგრეთვე სამეწარმეო და სხვა სამეურნეო საქმიანობის უფლება.

(2) კანონით შეიძლება დადგინდეს გარკვეული პროფესიისა და საქმიანობის სახეების განხორციელების პირობები და შეზღუდვები.

(3) ყველას აქვს უფლება, თავისი საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შრომით მოიპოვოს სახსრები. პირებს, რომელთაც თავისი ბრალეულობით არ შეუძლიათ, განახორციელონ ეს უფლება, სახელმწიფო სთავაზობს შესაბამისი ოდენობის მატერიალურ უზრუნველყოფას. პირობები დგინდება კანონით.

(4) უცხოელთათვის კანონით შეიძლება დადგინდეს სხვა პირობები.

მუხლი 27

(1) თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად, ყველას აქვს სხვა პირებთან ერთად თავისუფლად გაერთიანების უფლება.

(2) პროფკავშირული ორგანიზაციები იქმნებიან სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად. დაუშვებელია პროფკავშირული ორგანიზაციების რაოდენობის შეზღუდვა, აგრეთვე წარმოებისა, თუ მის რომელიმე დარგში ზოგიერთი მათგანისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა.

(3) ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად, პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა და სხვა გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

(4) გაფიცვის უფლება გარანტირებულია კანონით დადგენილი პირობებით.

ეს უფლება არ ვრცელდება მოსამართლეებზე, პროკურორებზე, სამხედრო ძალებისა და უშიშროების შეიარაღებული ფორმირებების მოსამსახურეებზე.

მუხლი 28

ყოველ მუშაკს აქვს შრომის შესაბამისი სამართლიანი ანაზღაურების და დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნის უფლება. დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 29

(1) ქალებს, ახალგაზრდებსა და ჯანმრთელობადარღვეულ პირებს აქვთ შრომის პროცესში ჯანმრთელობის გაუმჯობესებული დაცვისა და შრომის განსაკუთრებული პირობების უფლება.

(2) ახალგაზრდებსა და ჯანმრთელობადარღვეულ პირებს აქვთ შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებული დაცვისა და პროფესიის დაუფლებაში დახმარების უფლება.

(3) დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 30

(1) მოქალაქეებს აქვთ მოხუცებულობის, შრომისუუნარობის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შესაბამისი ოდენობის მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

(2) ყველას, ვინც საჭიროებს მატერიალურ დახმარებას, აქვს არსებობისთვის აუცილებელი ძირითადი პირობების უზრუნველსაყოფად აუცილებელი დახმარების უფლება.

(3) დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 31

ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება. დაზღვევის საფუძველზე, კანონით დადგენილი პირობების თანახმად, მოქალაქეებს აქვთ უფასო სამედიცინო მომსახურებისა და სამედიცინო დახმარების უფლება.

მუხლი 32

(1) დედობა, მამობა და ოჯახი იმყოფება კანონის დაცვის ქვეშ. გარანტირებულია ბავშვებისა და ახალგაზრდების განსაკუთრებული დაცვა.

(2) ქალებისათვის ორსულობის პერიოდში გარანტირებულია განსაკუთრებული მზრუნველობა, შრომით ურთიერთობებში დაცვა და შრომის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა.

(3) ქორწინებითა და მის გარეშე დაბადებულ ბავშვებს აქვთ თანაბარი უფლებები.

(4) ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა არის მშობლების უფლება; ბავშვებს აქვთ მშობლების მიერ აღზრდისა და მზრუნველობის უფლება. მშობელთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვები მშობელთა ნების საწინააღმდეგოდ, შეიძლება განშორებულ იქნენ მშობლებისგან მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებითა და კანონის საფუძველზე.

(5) მშობლებს, რომლებიც ზრუნავენ ბავშვებზე, აქვთ სახელმწიფო დახმარების უფლება.

(6) დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 33

(1) ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლაში დასწრება კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში სავალდებულოა.

(2) მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს უფასო განათლება დაწყებით და საშუალო სკოლებში, ხოლო მოქალაქის უნარისა და საზოგადოების შესაძლებლობების გათვალისწინებით ასევე — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

(3) არასახელმწიფო სკოლების შექმნა და იქ სწავლება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი პირობებით. არასახელმწიფო სკოლებში განათლების მიღება შეიძლება იყოს ფასიანი.

(4) კანონი ადგენს მოთხოვნებს, რომელთა არსებობისას პირს სწავლის პერიოდში აქვს სახელმწიფო დახმარების უფლება.

მუხლი 34

(1) ინტელექტუალური შემოქმედების საქმიანობის შედეგზე უფლება დაცულია კანონით.

(2) კანონით დადგენილი პირობებით გარანტირებულია კულტურულ ფასეულობებზე ხელმისაწვდომობის უფლება.

მუხლი 35

(1) ყველას აქვს ხელსაყრელ გარემოში ცხოვრების უფლება.

(2) ყველას აქვს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შესახებ დროული და სრული ინფორმაციის მიღების უფლება.

(3) საკუთარი უფლებების განხორციელებისას არავის აქვს უფლება, საფრთხე შეუქმნას ან ზიანი მიაყენოს გარემოს, ბუნებრივ რესურსებს, ცხოველურ და მცენარეულ სამყაროსა და კულტურული ძეგლების მრავალფეროვნებას, გარდა კანონით დადგენილი ნორმებისა.

მეხუთე თავი

სასამართლო და სხვა სამართლებრივი დაცვის უფლება

მუხლი 36

(1) ყველას შეუძლია, დადგენილი წესით დაიცვას თავისი უფლებები დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში — სხვა ორგანოში.

(2) ყველა, ვინც ამტკიცებს, რომ საჯარო ადმინისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილებით დაირღვა მისი უფლებები, ამ გადაწყვეტილების კანონიერების შესამოწმებლად შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს კომპეტენციიდან გამომდინარე, არ შეიძლება, გამოირიცხოს იმ გადაწყვეტილების შემოწმება, რომელიც ეხება ქარტიით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

(3) ყველას აქვს სასამართლოს სხვა სახელმწიფო ორგანოს ან საჯარო ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო გადაწყვეტილებით ან არასწორი ოფიციალური პროცედურით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

(4) პირობები და დეტალები დგინდება კანონით.

მუხლი 37

(1) ყველას აქვს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, თუ ; სისხლისსამართლებრივი დევნის საფრთხეს უქმნის მას ან მის ახლობელ

(2) სასამართლოში, სხვა სახელმწიფო ორგანოებში ან საჯარო ადმინ ისტრაციის ორგანოში საქმის განხილვისას, ყველას აქვს სამართლებრივ დახმარების უფლება წარმოების დაწყების მომენტიდან.

(3) წარმოების ყველა მხარე თანასწორია.

(4) ყველას, ვინც განაცხადებს, რომ არ ფლობს წარმოების ენას, აქვ თარჯიმნის დახმარების უფლება.

მუხლი 38

(1) არავის შეიძლება ჩამოერთვას შესაბამის სასამართლოში მისი საქმის განხილვის უფლება. განსჯადობა დგინდება კანონით.

(2) ყველას აქვს ზედმეტი გაჭიანურების გარეშე მისი საქმის საჯაროდ და მისი დასწრებით განხილვის უფლება იმისთვის, რათა ყველა მოყვანილ მტკიცებულებაზე შეეძლოს აზრის გამოთქმა. საქმის განხილვის საჯაროობა შეიძლება გამოირიცხოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 39

მხოლოდ კანონით დგინდება, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად და რომელი სასჯელი ან უფლებებისა და ქონებასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვა შეიძლება იქნეს მისი ჩადენისათვის დანიშნული.

მუხლი 40

(1) დანაშაულის ჩადენისას ბრალის ან სასჯელის შესახებ გადაწ-ყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო.

(2) ყველა, ვის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალი არ იქნება დადგენილი კანონ-იერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

(3) ბრალდებულს უფლება აქვს, დაცვისათვის მოსამზადებლად და თავის დასაცავად მიეცეს დრო და საშუალება, რომელიც მას შეუძლია, განახორციე-ლოს დამოუკიდებლად ან დამცველის დახმარებით. თუ ბრალდებული, რომელ-საც კანონის შესაბამისად უნდა ჰყავდეს დამცველი, დამოუკიდებლად არ აირჩევს მას, დამცველი დაენიშნება სასამართლოს მიერ. ბრალდებულს, კანონით დადგენილ შემთხვევებში, აქვს დამცველის უფასო დახმარების უფლება.

(4) ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე; დაუშ-ვებელია მისთვის ამ უფლების რაიმე წესით ჩამორთმევა.

(5) არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნაში მიცემას იმ ქმედებისათვის, რომლისთვისაც სასამართლოს კანონიერ ძალა-ში შესული განაჩენით ის უკვე იყო მსჯავრდებული ან სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული. აღნიშნული პრინციპი არ გამორიცხავს საგანგებო სამართლებრივი საშუალებების გამო-ყენებას კანონის შესაბამისად.

(6) ქმედების დასჯადობა განისაზღვრება და სასჯელი ინიშნება ქმედების ჩადენის მომენტისთვის მოქმედი კანონის შესაბამისად. შემდგომ მიღებული

კანონი გამოიყენება, თუ ის ქმედების ჩამდენი პირისთვის უფრო ხელსაყრელია.

მეექვსე თავი
საერთო დებულებანი

მუხლი 41

(1) ქარტიის 26-ე, 27-ე მუხლის მე-4 აბზაცის, 28–31-ე, 32-ე მუხლის პირველი და მე-3 აბზაცების, 33-ე და 35-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ამ დებულების სარეალიზაციოდ მიღებული კანონით დადგენილ ფარგლებში.

(2) ამ ქარტიით ტერმინში „კანონი" იგულისხმება ფედერალური კრების კანონი, თუ საკანონმდებლო უფლებამოსილების კონსტიტუციური დანაწილების თანახმად, შესაბამისი ურთიერთობების რეგულირება არ ხდება ეროვნული საბჭოების კანონით.

მუხლი 42

(1) ქარტიაში „მოქალაქის" („obèan") ცნება გამოიყენება ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქის მნიშვნელობით („státhß obèan").

(2) უცხოელები ჩეხო-სლოვაკიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სარგებლობენ ქარტიით გარანტირებული ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, თუ ისინი მხოლოდ მოქალაქეთათვის არ არის პირდაპირ აღიარებული.

(3) ადრე მიღებულ სამართლებრივ აქტებში „მოქალაქის" ცნების ქვეშ იგულისხმება ყოველი ადამიანი, თუ საუბარია ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებსაც მოქალაქეობის მიუხედავად აღიარებს ქარტია.

მუხლი 43

ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკა თავშესაფარს ანიჭებს პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის დევნილ უცხოელებს. თავშესაფრის მიცემაზე შეიძლება უარი ეთქვას მას, ვინც მოქმედებდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ.

მუხლი 44

კანონით შეიძლება დადგინდეს შეზღუდვები: მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის, მე-20 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლებაზე კანონით განსაზღვრულ თანამდებობაზე დაკავებული სახელმწიფო ადმინისტრაციისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოს მოსამსახურეებისათვის, ამავდროულად — 27-ე მუხლის მე-4 აბზაცით გათვალისწინებულ უფლებებზე; უშიშროების ფორმირებების მოსამსახურეებისა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისათვის, ამავდროულად — მე-18, მე-19 და 27-ე მუხლის 1-3 აბზაცებით გათვალისწინებულ უფლებებზე, თუ მათი განხორციელება დაკავშირებულია სამსახურის გავლასთა. პირებისათვის, რომელთა პროფესია უშუალოდ უკავშირდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, კანონით შეიძლება დადგინდეს გაფიცვის უფლების შეზღუდვა.

ხორვატიის
რესპუბლიკა



ზურაბ ჯიბლაშვილი

ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია

შესავალი ნარკვევი

ოფიციალური სახელწოდება — ხორვატიის რესპუბლიკა;
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა — ევროპის სამხრეთ ნაწილი;
ფართობი — 56,542 ათას კვ. კმ;
მოსახლეობა — 4497 ათასი. მოსახლეობის 78% შეადგენენ ხორვატები; 12% — სერბები; 0,6% — ჩეხები; 0,3% — იტალიელები; 0,2% — სლოვაკები; 0,1% — უკრაინელები. 0,1%-ზე ქვევით სხვები.
დედაქალაქი — ზაგრები.

1. ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების ძირითადი ეტაპები

ხორვატია *იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული რესპუბლიკის (ისფრ)* შექმნიდანვე ამ ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტი იყო, რომელიც 1963 წლის კონსტიტუციით უკვე იწოდებოდა *იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკად*. XX საუკუნის 60-იან წლებში ფედერაციის სხვა სუბიექტებთან შედარებით ხორვატიის (*სლოვენიასთან* ერთად) აშკარად მზარდი ეკონომიკური პროგრესის ფონზე ობიექტური იყო ამ ორი რესპუბლიკის მოთხოვნა მეტ უფლებამოსილებებზე. მოძრაობამ სახელწოდებით „*ხორვატული გაზაფხული*" სათავე დაუდო ფედერალური ხელისუფლების უმწვავეს რეაქციას, რასაც მოჰყვა *1971 წლის* რეპრესიები. იუგოსლავიის ფედერალური სტრუქტურები მაქსიმალურად ცდილობდნენ ჩაეხშოთ ფედერაციაში მიმდინარე „სეპარატისტული" პროცესები. საამისო მეთოდები კი ტრანსფორმირებადი იყო. თუ *1974 წელს* ბელგრადი გარკვეული ეკონომიკური თავისუფლების ხასიათის დათმობებზე წავიდა ფედერაციის სუბიექტებთან მიმართებაში, *1988 წელს* *ფსრ*-ის სკკ-ში „კონსტიტუციური პოლიტიკური ღვედების" შექმნა სცადა და ფედერალურ კონსტიტუციაში ცვლილებებ-დამატებების შეტანით გაზარდა ფედერალური სტრუქტურების სახელმძღველო ფუნქციები და შესაბამისად, ქვეყნის ცენტრალიზაციის ხარისხიც.

ცხადი იყო, რომ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო რეფორმები განაპირობებდა არსებული სახის ფედერაციის საბოლოო დაშლას. *1990 წლის 11 იანვარს* ხორვატიის საბორმა მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები, რომლის საფუძველზეც აპრილში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები, სადაც გამარჯვება მოიპოვა ნაციონალურად განწყობილმა „*ხორვატიის დემოკრატიულმა თანამეგობრობამ*" (*ხდთ*) ტუჯმანის ხელმძღვანელობით. *1990 წლის 20 ივნისის* კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად „*ხორვატიის სოციალისტური სამოკავშირეო რესპუბლიკა*" იწოდა „*ხორვატიის რესპუბლიკად*" და მიღებულ იქნა ახალი სახელმწიფო სიმბოლოები. იმავე წლის *22 დეკემბერს* კი მიღებულ იქნა „საშობაო კონსტიტუციის" სახელწოდებით ცნობილი *ხორვატი-*

ის რესპუბლიკის კონსტიტუცია. მის საფუძველზე დაიწყო დამოუკიდებელი სამხედრო ძალების ფორმირებაც. ეს ბელგრადისათვის უკვე აშკარა გამოწვევას ნიშნავდა. *1991 წლის 25 ივნისს*, ამავე წლის *მაისში* ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე (კენჭისყრაში მონაწილეთა 94%-მა მხარი დაუჭირა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას), მიღებულ იქნა „*დეკლარაცია ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შესახებ*", რომელიც ძალაში იმავე წლის *8 ოქტომბერს* შევიდა. ამ ყოველივეს შედეგი ბალკანეთის ომი იყო. *1992 წლის იანვარში* შეწყდა საომარი მოქმედებები და მოხდა ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე-იურედ ცნობა. მსოფლიო თანამეგობრობის მცდელობის მიუხედავად, სერბებსა და ხორვატებს შორის გაგრძელდა ომი, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მხრიდან ხორვატიის მიმართ სანქციები მოჰყვა. ამ დროს პრეზიდენტი ტუჯმანი თავისი პოლიტიკის შეცდომების გამოსწორების ნაცვლად საუბრობდა ხორვატი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ მსოფლიოს შეთქმულებაზე. ქვეყანა აღმოჩნდა ფაქტობრივად სრულ საერთაშორისო იზოლაციაში. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან აშკარა გახდა ქვეყანაში დამკვიდრებული ავტორიტარიზმი.[1] რასაც მოჰყვა ქვეყნის მასშტაბით *ხდთ*-ს ნდობის დაკარგვა. შესაბამისად გაიზრდა ოპოზიციური პარტიების რეიტინგი. ტუჯმანის გარდაცვალებამ (*1999 წლის 11 ნოემბერს*) და *2000 წლის 3 იანვრის საპარლამენტო* და *24 იანვრის საპრეზიდენტო* არჩევნებში *ხდთ*-ს მარცხმა ქვეყანაში ახალი კონსტიტუციური ერის დასაწყისი განაპირობა.

1990 წლის 22 დეკემბრის კონსტიტუცია თავისი არსით უფრო მეტი იყო, ვიდრე ნახევრად საპრეზიდენტო (ე.წ. ფრანგული მოდელი). მან გადააბიჯა შერეული მართვა-გამგეობის ზღურბლს და ფორმალურ დონეზე კარი გაუღო ტუჯმანის ავტორიტარულ მისწრაფებებს. ამ კონსტიტუციის უმთავრესი მახასიათებელი პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია იყო და სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემა მთლიანად საპრეზიდენტო ხელისუფლების ვერტიკალს ეფუძნებოდა. ამასთანავე ტუჯმანი კონსტიტუციური ნორმებისა და საბორის გვერდის ავლით თავის უფლებამოსილებებს აფართოებდა. კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მას შეეძლო კონსტიტუციური ვალდებულებების განხორციელებაში დახმარებისათვის შეექმნა გარკვეული ორგანოები, პრეზიდენტმა თავისი ვიწრო გარემოცვა შექმნა, რომელიც მისი ნების შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს აკონტროლებდა. „ფორმალური თვალსაზრისით, ეს ორგანოები საკმაოდ კანონიერნი იყვნენ. რეალურად კი მათი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ პრეზიდენტს შეძლებოდა პარლამენტის გვერდის ავლით მოქმედება."[2]

2000 წლის 9 ნოემბერს, ტუჯმანის გარდაცვალებიდან თითქმის ერთი წლისთავზე, ხორვატიის საბორმა მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები, რომლითაც შემცირდა პრეზიდენტის ძალაუფლება.[3] ამით პრეზიდენტმა მე-

---

1. *რაც გამოიხატებოდა პრესასთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებაში გარკვეულ რეპერესიულ ქმედებებში; სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო გამოვლინებებში. მკვეთრად გაიზარდა კორუფციის ხარისხი; იყო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებმა (ხორვატიის ქონების მხოლოდ 200 ოლიგარქის ოჯახზე გადანაწილებამ და შესაბამისად, მათთვის სასობურე პირობების შექმნამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური რეგრესი.)*

2 *Диктатура в Хорватии: украинским последователям Туджмана и их противникам посвящается. იხ: ინტერნეტწყარო: http://www.yabloko.org.ua/yabl-cgi/view.cgi?tema/50722101002*

3. *East European Constitutional Review; Constitutional Watch A country-by-country update on constitutional politics in Eastern Europe and the ex-USSR. 2002; #1*

სიჩმა აასრულა თავისი წინასაარჩევნო დანაპირები. იგი აცხადებდა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები აშკარად მოითხოვდა შემცირებას. მმართველი კოალიციის შიგნით შეთანხმება ყველა სადავო საკითხზე მწვავე დისკუსიების ფონზე იქნა მიღწეული და პარლამენტში ცვლილებები მიიღეს 106 ხმით 35-ის წინააღმდეგ.[4] წინააღმდეგი მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებიდან კენჭისყრისათვის დროისათვის 20 დეპუტატით შემცირებული „ᲮᲓᲗ"-ს ფრაქცია იყო. ამ ცვლილებებით პრეზიდენტს ჩამოერთვა მთავრობის (პრემიერ-მინისტრის) გადაყენების უფლება, დაიხვეწა საბორის დათხოვნის საფუძვლები და პროცედურები. პრეზიდენტის ეს უფლება დასჯის ღონისძიებიდან გარდაიქმნა კრიზისის მართვის მექანიზმად. ***2001 წლის 30 აპრილს*** განხორციელდა კიდევ ერთი რეფორმა, რომლის დროსაც, პარლამენტი ერთპალატიანი გახდა. ყოველივე ამის შემდეგ, კონსტიტუციამ მიიღო დღევანდელი სახე, რომლის შინაარსიც მთლიანად დაფუძნებულია გარდასულ, ადამიანთა ცნობიერებაში ღრმად დამკვიდრებულ, პოლიტიკური რეჟიმით გამოწვეულ შიშზე. ამით, „სუპერპრეზიდენტალიზმის სისტემა გარდაიქმნა საპარლამენტო დემოკრატიად".[5] მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, ჩვენ ვთვლით, რომ ხორვატიის დღევანდელი კონსტიტუციური რეჟიმი ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის ნათელი ნიმუშია, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

2. კონსტიტუციის პრინციპები, სტრუქტურა და გადასინჯვის წესი

კონსტიტუციის პირველივე მუხლით განსაზღვრულია ის ოთხი უმთავრესი პრინციპი, რომელთაც ხორვატიის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა ეფუძნება. ესენია: ქვეყნის ერთიანობა და განუყოფლობა, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი და სახელმწიფოს სოციალური ორიენტირები.

აღნიშნული პრინციპებიდან წარმოებს ის სხვა ფასეულობები, რომლებიც გამყარებულნი არიან კონსტიტუციაში, ხოლო თავად კონსტიტუციის სხვა დებულებები შესაბამისობაში არიან სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მახასიათებელ, კონსტიტუციით დამკვიდრებულ ყველა პრინციპთან. კონსტიტუციის მე-3 მუხლში აღნიშნულია, „რომ თავისუფლება, თანასწორობა, მშვიდობისმოყვარეობა, სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, საკუთრების ხელშეუხებლობა, ბუნებისა და გარემოს დაცვა, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული მრავალპარტიულობა არის ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის უზენაესი ფასეულობები და კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველი." სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი და იგი ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების ერთობას. ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციურად გააზრებულია, როგორც შრომის პროზაული გადანაწილება სამ (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო) სახელისუფლებო შტოს შორის (პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლების

---

4 ინფორმაცია ამ პროცესების შესახებ დაწერილია: Зоран Кусовац Хорватия после Туджмана: перспективы изменений; Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; Журн; №3 (32) 2000".; East European Constitutional Review, Volume 10 Number 1; Winter 2001; Constitutional Watch A country-by-country update on constitutional politics in Eastern Europe and the ex-USSR.

5. East European Constitutional Review; Constitutional Watch A country-by-country update on constitutional politics in Eastern Europe and the ex-USSR. 2002; #1

განშტოებისათვის მიკუთვნებით). კონსტიტუციის უზენაესობა კი ის პრინციპია, რომელზედაც დაფუძნებულია ქვეყნის სამართლებრივი სისტემა.

კონსტიტუციის სტრუქტურა მარტივია და იგი შედგება რომაული ნუმერაციით დაყოფილი თავებისაგან, რომლებშიც გაერთიანებულია ქვეთავები და შემდეგ მუხლები.[6] მუხლები შედგება პუნქტებისა და აბზაცებისაგან.

რესპუბლიკის კონსტიტუცია არცთუ ისე მოქნილია, რადგანაც მასში ცვლილებების შეტანა მართალია არახანგრძლივი პროცედურით ხასიათდება, მაგრამ კონსტიტუციაში ცვლილებების კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბორის სრული შემადგენლობის 2/3. კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების უფლებას ფლობენ საბორის წევრთა არანაკლებ 1/5, რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა. ინიციატივის დაფიქსირების შემდეგ საბორი, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას — დაიწყოს თუ არა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურა.

3. პარტიული სისტემა

კონსტიტუცია აღიარებს პოლიტიკური პარტიების შექმნის თავისუფლებას. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავიანთი პროგრამებით ან ძალადობრივი მოწოდებებით საფრთხეს უქმნიან რესპუბლიკაში დემოკრატიულ წყობას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცხადდებიან არაკონსტიტუციურად.

ქვეყნის პარტიული სისტემა ხასიათდება არასიმყარით და მრავალფეროვნებით. დღეისათვის ქვეყანაში 70-ზე მეტი პარტიაა ერთი, მკვეთრად დომინირებული, პარტიის გარეშე. პოლიტიკის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ფრთაზე მხოლოდ თითო, მეტ-ნაკლებად დომინირებული პარტიაა. თუმცა პარტიული სისტემა ნელ-ნელა კრისტალდება. პოსტტუჯმანისეული ეპოქა მრავალი პარტიისათვის აღმოჩნდა ახალი განსაცდელის მომტანი. გაჩნდა შიდაპარტიული დაპირისპირებები, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, განპირობებული იყო სერიოზული იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობით, ზოგიერთში კი — პარტიაში გავლენის მოსაპოვებელი ინტერესების დაპირისპირებებით.

ნორვატიის დემოკრატიული თანამეგობრობა (ხდთ) — 1989 წელს დაარსებულმა პარტიამ გამარჯვება მოიპოვა 1990 წლის არჩევნებში და 10 წლის მანძილზე იმყოფებოდა ქვეყნის სათავეში. პრეზიდენტ ტუჯმანის მმართველობის წლებში ძლევამოსილი პარტია, პოსტტუჯმანისეულ ეპოქაში შიდადაპირისპირებების შედეგად კრიზისმა მოიცვა. მან მარცხი იწვნია როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებში. პარტიიდან გავიდნენ როგორც ლიბერალები, ასევე კონსერვატორების დაჯგუფებები. პარტიის თავმჯდომარედ პროევროპული იმიჯის პოლიტიკოსის ***ივო სანადერის*** არჩევის შემდეგ დაიწყო პარტიის ლიბერალიზაცია, რომელიც დღეისათვის ევროპული კონსერვატული ტიპის პლატფორმაზე დგას. 2003 წლის 23 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ ამომრჩევლების ხმათა 33.9% და შესაბამისად, 66 მანდატით, პირველი ადგილი მოიპოვა და **დც**-თან

---

6. კონსტიტუცია ამ სტრუქტურულ დანაყოფებს არ უწოდებს თავებსა და ქვეთავებს. ამიტომ, ჩვენს მიერ დასახელებული ეს ტერმინები პირობითია.

ერთად, სანადერის ხელმძღვანელობით ძექმნა დომინირებული სამთავრობო კოალიცია. ამ გამარჯვების შემდეგ პარტიის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრ სანადერის განცხადებით, „პარტია ახლა დემოკრატიული ფასეულობების მიმდევარია".[7] ამასთანავე, იგი თავის საჯარო გამოსვლებში ყურადღებას ამახვილებდა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზეც.

დემოკრატიული ცენტრი (დც) – 2000 წლის 2 აპრილს ***ხდთ***-დან გასული ლიბერალური ფრთის ბაზაზე დაარსებული პარტიაა. 2003 წლის არჩევნების შედეგებით ბლოკმა, რომელშიც იგი გამოდიოდა ***ხსლპ***-სთან ერთად, მოიპოვა 3 მანდატი (საკუთრივ ***დც***-მა – 1). ამჟამად ერთ ფრაქციაშია გაერთიანებული ***ლპ***-ის ერთ და ***ხსლპ***-ის 2 წარმომადგენელთან ერთად. პარტიას დღეს მთავრობაში მიკუთვნებული აქვს ერთი პორტფელი.

ხორვატიის სოციალურ-ლიბერალური პარტია (ხსლპ) – მემარჯვენე ცენტრისტული მიმდინარეობის პარტიაა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ოპოზიციური პარტია იყო. იგი 2000 წლის არჩევნების შედეგად გამარჯვებული ***სდპ-ხსლპ*** კოალიციის წევრი იყო და 2002 წლამდე საკმაოდ მრავალრიცხოვნად იყო წარმოდგენილი 6 სუბიექტიან კოალიციურ მთავრობაში, რომელიც 2002 წლის ივნისიდან ორად გაიყო. პარტიის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის მოადგილის (2000-2002 წლებში), პარტიის ნაციონალური ფრთის წარმომადგენლის ბუდიშას ავტორიტარულ-რეაქციული პოლიტიკით უკმაყოფილო ჯგუფმა დატოვა პარტია. დღეისათვის პარტია განიცდის ლიბერალიზაციას; 2003 წლის არჩევნებში ბლოკში იყო ***დც***-თან. საბორში დღეს წარმოდგენილია 2 წევრით და ერთ ფრაქციაშია ჯერ კიდევ 1997 წელს მისგან გამოყოფილ ***ლპ*** და ***დც***-ის თითოთითო წარმომადგენელთან ერთად.

სოციალ-დემოკრატიული პარტია (სდპ) – საერთაშორისო სოციალისტური ინტერნაციონალის წევრია. 1990 წელს იუგოსლავიის კომუნისტური პარტიისაგან გამოყოფილი და სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გარდაქმნილი ეს პოლიტიკური გაერთიანება 1994 წელს ერთ ორგანიზაციად გაერთიანდა წვრილ პარტია – ***ხორვატ სოციალ-დემოკრატებთან***. ტუჯმანის ასევე ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ოპოზიციური პარტია 2000 წლის არჩევნების შემდეგ (სადაც გამოდიოდა ***ხსლპ***-სთან ერთად) 2004 წლამდე ედგა სათავეში სამთავრობო კოალიციას. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი (სადაც გამოდიოდა ბლოკში ***იდს, ლდპ-ლიბრა*** და ***ლპ***-სთან ერთად), თავად მიიღო 34 მანდატი და დღეს ყველაზე წარმომადგენლობითი ოპოზიციური პარტიაა 35 წევრიანი ფრაქციით.

ხორვატიის გლეხთა პარტია (ხგპ) (აგრარიკოსები) – 1904 წ. დაარსებული აგრარიკოსთა ეს პარტია აღდგენილ იქნა 1989 წ. 2000-2004 წლებში იყო სამთავრობო კოალიციის წევრი. 2003 წელს არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად, სადაც მიიღო ხმათა 7.2% და 10 მანდატი. დღეისათვის საბორში წარმოდგენილია 12 წევრიანი დამოუკიდებელი ფრაქციით.

ხორვატიის სახალხო პარტია – ლიბერალ-დემოკრატები (ხსპ-ლდ) – ცენტრისტული მიმართულების პარტიაა. ეს არის 2005 წლის 5 თებერვალს ***ხორვატიის სახალხო პარტიისა*** და ***ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის – ლიბრას*** (რომელიც შეიქმნა 2002 წელს ***ხსლპ***-ისაგან ბუდიშას ოპოზიცი-

7. *http://tolerance.ngo.ru/news/index.phtml?action=lookelement&element=577*

ური ძალების გამოყოფის შემდეგ) გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი პარტია. 2000-2004წწ. ისიც სამთავრობო კოალიციის წევრი იყო. 2003 წელს. არჩევნებში მონაწილეობდა ორ რეგიონალისტ პარტიასთან ერთად. ამ პარტიამ დაასახელა მესიჩის კანდიდატურა 2000 და 2005 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში. რაც შეეხება *ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტია — ლიბრას*, ეს იყო 2002 წლის ივნისში *ხსლპ*-გან გამოყოფილი, ზომიერად განწყობილი ადამიანების ჯგუფის მიერ ამავე წლის სექტემბერში დაარსებული პარტია. *ხსპ-ლდ* ერთ პარტიად ჩამოყალიბების შემდეგ საბორში წარმოდგენილია აგრეთვე ერთ 13 წევრიან ოპოზიციურ ფრაქციად.

სერბთა სახალხო პარტია (სსპ) — ხორვატიაში მცხოვრებ სერბთა ზომიერი, არასეპარატისტული პარტიაა.

პოლიტიკურ ორბიტაზე მეტ-ნაკლები წარმატებით მოძრაობენ აგრეთვე ლიბერალური პარტია (ლპ); ხორვატიის პარტია უფლებებისათვის (ხპუ); ხორვატიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (ხქდკ); სერბთა დამოუკიდებელი დემოკრატიული პარტია (სდპ); ახალი ხორვატია (ახ); ისტრიის დემოკრატიული საბორი (იდს) და კიდევ სხვადასხვა წვრილ-წვრილი რეგიონალური პარტიები.

2003 წლის არჩევნების შედეგად საბორში წარმოდგენილია 14 პარტია, რომელთა წევრებიც 2005 წლის ზაფხულისათვის გაერთიანებულნი იყვნენ 11 სხვადასხვა ფრაქციაში. ხშირია ინდივიდუალური პარტიული გადაჯგუფებები და შეიმჩნევა ლიბერალური მიმართულების გაძლიერების ტენდენცია.

4. პიროვნების სამართლებრივი სტატუსი

კონსტიტუციამ უფლებათა არსის მიხედვით მოახდინა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია, რაც III თავში საკმაოდ დაწვრილებით და თანმიმდევრულადაა რეგლამენტირებული. პირადი (სამოქალაქო) და პოლიტიკური უფლებები დაჯგუფა ერთ ქვეთავში, ხოლო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები — ცალკე ქვეთავში. ეს დებულებები შეესაბამება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დღეისათვის მოქმედ საერთაშორისო ნორმებს.

უფლებების თავში ქვეთავი „ზოგადი დებულებანი" ადგენს თანასწორობის პრინციპს; განსაზღვრავს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის შემთხვევებს და ადგენს შესაბამის წესებს; აგრეთვე განსაზღვრავს პასუხისმგებლობას, უფლებათა დარღვევისათვის.

კონსტიტუცია, ქვეყნის ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, სათანადო ყურადღებას უთმობს რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების დაცვას. კონსტიტუციის მე-15 მუხლი ადგენს ეროვნულ ჯგუფებს შორის თანასწორობის პრინციპს. ეროვნულ უმცირესობებს უფლება აქვთ, დაიცვან თავიანთი ეროვნულობა, გამოიყენონ თავიანთი ენა და დამწერლობა და ისარგებლონ კულტურული ავტონომიით. მათი უფლებების დაცვის გარანტიად მიჩნეულია შესაბამისი კონსტიტუციური კანონი; ამავე მუხლით დადგენილი ნორმის საფუძველზე, კანონმდებლობა უზრუნველყოფს საბორში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობას.

პირად და პოლიტიკურ უფლებებში გამყარებულია სიცოცხლის, პირადი თავისუფლების, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის

თავისუფალი არჩევის, საცხოვრებელი სახლისა და პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობის, სიტყვის და აზრის, სინდისის, რელიგიისა და აღმსარებლობის, გაერთიანებების, საარჩევნო და სხვა უფლებები და თავისუფლებები.

უცხოელი მოქალაქეებისათვისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის გათვალისწინებულია თავშესაფრის მინიჭების უფლება.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონსტიტუცია, პოსტსოციალისტური კონსტიტუციების მსგავსად, საკმაოდ სოციალიზირებულია. უფლებათა ამ ჯგუფს მიკუთვნებულია საკუთრების, მემკვიდრეობის, თავისუფალი ბაზრისა და მეწარმეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, შრომის, პროფესიის არჩევის, დასვენების, განათლებისა და სხვა უფლებები. ამ უფლებათა რეალიზაციის ერთ-ერთ გარანტიად აღიარებულია გაფიცვის უფლებაც. ცალკე დებულებები შეეხება მცირეწლოვანთა, დედებისა და სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ მზრუნველობას.

უფლებათა დაცვის ერთ-ერთ ინსტიტუციონალურ მექანიზმს წარმოადგენს სახალხო ომბუდსმენი, რომლის მეშვეობითაც საბორი თვალყურს ადევნებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. სახალხო დამცველი აირჩევა საბორის მიერ რვა წლის ვადით.

5. ხორვატიის რესპუბლიკის სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემა

სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემა ფუნქციონირებს ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის რეჟიმში, სადაც უფლებამოსილებების დუალიზმის გათვალისწინებით, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ბალანსი ხასიათდება დინამიური ცვალებადობით კონსტიტუციის ფარგლებში. ამგვარი ბიცეფალური სისტემის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია საბორში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა. პრეზიდენტისადმი ოპოზიციური საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში, ხელისუფლების განშტოებებს შორის ურთიერთობების დინამიზმისათვის არსებითი მნიშვნელობა ექნება პრეზიდენტის პოლიტიკურ კულტურასა და ხელოვნებას. ქვეყანაში კონსტიტუციურად დამკვიდრებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოიცავს როგორც ხელისუფლების განშტოებებს შორის კომპეტენციის გადანაწილებას, ასევე მათ შორის ურთიერთთანამშრომლობას, აგრეთვე გაწონასწორებასა და კონტროლს კონსტიტუციის შესაბამისად.

ხორვატული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი შეიცავს რაციონალიზებული პარლამენტარიზმის ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა — საბორის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის გართულებული პროცედურები, განსაზღვრული კომპეტენციის პარლამენტი[8] და ა.შ. საბოლოოდ მმართველობის ამ სისტემის საერთო სურათის ძირითადი მახასიათებლებია:

1. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანო — საბორი;

2. პრეზიდენტი არ არის გაყვანილი სახელისუფლებო ინსტიტუტების სისტემიდან. კონსტიტუციურად პრეზიდენტი თავისი ფუნქციებით (რომელიც

---

8 იგი საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელებაში შეზღუდულია როგორც რეგერენდუმი, ასევე ფილიალური კანონმდებლობის საბოლოო რესურსი (ოუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოკრძალებისათვის ამ უფლებას მინიჭების თობაზე გადაწყვეტილებას თავად საბორი იღებს).

ფლობს არბიტრაჟის ფუნქციებსაც) წარმოდგენილია არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურად, არამედ აღმასრულებელი ფუნქციების მატარებელ პირადაც;

3. საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვისა და განხორციელების სფეროში (სწორედ თუნდაც ეს გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას) პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ფუნქციები არ არის მკვეთრად გამიჯნული, რაც განაპირობებს ამ სფეროში ორივე მათგანის უფლებამოსილებათა გარკვეულ აბსტრაქტულობას;

4. პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, რაც კონსტიტუციურად პრეზიდენტის კონკრეტული აღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვის გათვალისწინებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორი ინსტიტუტის (ერთი მხრივ, პრეზიდენტისა და მეორე მხრივ, მთავრობის), ფორმირებისა და მხარდაჭერის წყაროების გამიჯვნას გულისხმობს;

5. მთავრობის ფორმირება და საქმიანობა დამოკიდებულია საბორის ნდობის მანდატზე. თუმცა პრეზიდენტი უფლებამოსილია, დროებით (მთავრობის შესაბამისი სურვილის შემთხვევაში) შეინარჩუნოს საბორის მხრიდან ნდობაგამოცლილი მთავრობა, დათხოვოს საბორი და დანიშნოს ხელახალი არჩევნები. ამავდროულად, პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი, თავისი ნებით გადააყენოს მთავრობა;

6. მხოლოდ ომიანობის დროს აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება, ხორვატიის საბორის მიერ აღჭურვილი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტები. საბორის სესიაზე არ ყოფნის შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია, კანონის ძალის მქონე დეკრეტებით დაარეგულიროს ომთან დაკავშირებული ყველა საკითხი. იმ შემთხვევებში კი, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და არსებობას ექმნება უეცარი საფრთხე, ან როდესაც სახელმწიფო ორგანოები რეგულარულად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, პრეზიდენტი უფლებამოსილია, პრემიერ-მინისტრის წინადადებითა და კონტრასიგნებით გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტი;

7. პრეზიდენტი, კონსტიტუციით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, თავის სამართალშემოქმედებით საქმიანობაში შეზღუდულია კონტრასიგნების მექანიზმით. ამ წესს ექვემდებარება, უპირატესად, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის ფორმირებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები. ყველა სხვა უფლებამოსილება, რომლის კონტრასიგნების წესით რეგულირებასაც არ მოითხოვს კონსტიტუცია, მიეკუთვნება მის დისკრეციულ უფლებამოსილებებს.

8. ომიანობის დროს ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და არსებობის მიმართ უეცარი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია, მოიწვიოს მთავრობის სხდომა და გასწიოს თავმჯდომარეობა ამ სხდომაზე (საერთოდ, ექსტრაორდინალურ შემთხვევებში კიდევ უფრო იზრდება რესპუბლიკის პრეზიდენტის როლი მმართველობის პროცესში). პრეზიდენტი ასევე უფლებამოსილია, მთავრობას შესთავაზოს შეკრება და აუცილებელი სადავო საკითხების განხილვა. მას, აგრეთვე, უფლება აქვს, დაესწროს მთავრობის სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა საკითხების განხილვაში;[9]

---

9. *მთავრობის სხდომის მონაწილეს, მასზე დასწრებისა და თავმჯდომარეობის უფლებაში კიდევ უფრო ნათლად ვლინდება მერეული რესპუბლიკის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი - აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი პრეზიდენტსა და კაბინეტს შორის.*

9. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ხორვატიის რესპუბლიკის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;

10. ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის საკითხებში კონსტიტუციურად გამყარებულია პრეზიდენტსა და მთავრობასთან თანამშრომლობა. სწორედ ამ თვალსაზრისითაა გადაწყვეტილი უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეთანხმებით.[10]

11. მთავრობა, პრეზიდენტისაგან განსხვავებით,[11] აღჭურვილია საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით. პრეზიდენტი არ სარგებლობს არც ვეტოს უფლებით და მას კანონის ხელმოწერამდე მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოში გადაგზავნის უფლება აქვს მისი კონსტიტუციურობის გარკვევის მიზნით;

12. ეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელების ტვირთი კონცენტრირებულია მთავრობის კომპეტენციაში.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება (საბორი)

ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო არის ხორვატიის საბორი. მისი რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 100 და არაუმეტეს 160 პირდაპირი, საყოველთაო და ფარული თანაბარი კენჭისყრით არჩეული დეპუტატით. 2003 წლის არჩევნებისათვის საბორში აირჩა 151 დეპუტატი. ამათგან 140 დეპუტატი აირჩევა ათ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე და მანდატები ნაწილდება 5%-იანი საარჩევნო ბარიერიერ გადალახულ პარტიებზე (ბლოკებზე); 2003 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით 6 მანდატი განაწილდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ხორვატებზე.[12] 5 მანდატი ნაწილდება თავად ხორვატიაში მცხოვრებ მცირე ერებსა და ეროვნულ უმცირესობებზე (მათ შორის 3 — სერბებზე). საბორის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

საბორის თვითდაშლა ვადამდელი არჩევნების ჩატარების მიზნით შესაძლებელია, თუ მას მხარს დაუჭერს საბორის წევრთა უმრავლესობა. საბორის დაშლის უფლებით სარგებლობს აგრეთვე, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით, საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ თუ საბორმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას, ან არ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი წარდგენიდან 120 დღეში. საბორი სესიაზე მოიწვევა წელიწადში ორჯერ. საგანგებო სესია კი მოიწვევა ქვეყნის პრეზიდენტის, მთავრობის მოთხოვნის ან საბორის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე. საბორის თავმჯდომარე აგრეთვე უფლებამოსილია, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შედეგად მოიწვიოს საგანგებო სესია. საბორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბორის წევრთა უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საბორი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებით განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. კონ-

---

10. ეს იყო სწორედ ის საკითხი, რომელმაც 2000 წლის კონსტიტუციური რეფორმის განხორციელებისას გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა პრეზიდენტ მესიჩსა და პრემიერ-მინისტრ რაჩანს შორის.

11. პრეზიდენტი მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას.

12. საზღვარგარეთ მცხოვრებ ხორვატებზე გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა განისაზღვრება კენჭისყრაში მონაწილეთა რიცხვის მიხედვით.

სტიტუციის მე-80 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ საბორის მოვალეობაა „ხორვატიის საბორის პოლიტიკის გამომხატველი დოკუმენტების მიღება". საბორის *საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საშინაო პოლიტიკის სფეროში* უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა აღსანიშნავია კონსტიტუციის მიღებისა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლებამოსილება. გარდა ამისა, ახორციელებს კანონშემოქმედებით საქმიანობას, მთავრობის წინადადებების საფუძველზე განსაზღვრავს საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკას (სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების ჩათვლით) და კონტროლს უწევს მის წარმართვას.

სახელმწიფოს სხვა ცენტრალურ ორგანოებთან ურთიერთობისა და საკადრო-პერსონალური საკითხების გადაწყვეტის სფეროში ახდენს მთავრობის ფორმირებას და შეკითხვებით, ინტერპელაციით (რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმა), უნდობლობის გამოცხადებითა და სხვა ფორმებით ახორციელებს კონტროლს მის საქმიანობაზე.

საგარეო-პოლიტიკურ უფლებამოსილებათა სფეროში საბორი იღებს გადაწყვეტილებას რესპუბლიკის საზღვრების შეცვლის თაობაზე, ახდენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებას, რომლებიც უკავშირდებიან შიდა კანონმდებლობის შეცვლას, აგრეთვე სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსური ვალდებულებების დაკისრების შესახებ საკითხებს. საბორი ასევე განიხილავს საკითხს რესპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანების შესახებ, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.[13]

ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგანგებო უფლებამოსილებათა სფეროში უფლებამოსილია, გამოაცხადოს ომი და ზავი. იგი შეიმუშავებს რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიას, ახორციელებს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლს და ა.შ.

საბორი აგრეთვე *აცხადებს საყოველთაო ამნისტიას.*

თავისი კომპეტენციით ხორვატიის საბორი მიეკუთვნება განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტების რიცხვს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ საბორის წევრს, ფრაქციას, კომიტეტებს, დროებით კომისიებსა და მთავრობას. ხორვატიის საბორი უფლებამოსილია, საკუთარი, პრეზიდენტის (პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით) ან ამომრჩეველთა ათი პროცენტის მოთხოვნით ჩაატაროს რეფერენდუმი. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კანონით.

საბორი უფლებამოსილია, შექმნას საგამოძიებო კომისიები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან, რაც ახდენს უმცირესობის საქმიანობის წახალისებას.

საბორის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულთაგანია პოლიტიკური ჯგუფები — დეპუტატთა კლუბები (ფრაქციები). საინტერესოა, რომ ფრაქციის შექმნისათვის საჭირო დეპუტატთა მინიმალური რაოდენობა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. პოლიტიკური პარტიების შესაბამისი

13. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღება რეფერენდუმზე.

ფრაქციების გარდა, საბორში არსებობს ეროვნულ უმცირესობათა ფრაქციაც, სადაც შედიან სხვადასხვა პარტიებიდან არჩეული დეპუტატებიც.

. *ბ) რესპუბლიკის პრეზიდენტი*

რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავრობასთან ერთად იყოფს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამავდროულად პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასრულებს არბიტრის ფუნქციასაც.

პრეზიდენტად ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. არ არის განსაზღვრული ამომრჩეველთა მინიმალური ქვორუმი არჩევნების ჩატარებულად ცნობისათვის და რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმათა უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები. ხელახალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ არჩევნებში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. უკანასკნელ ორ საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ხელახალი არჩევნებისას იქნა არჩეული მოქმედი პრეზიდენტი მესიჩი.[14] თუ არჩეული პრეზიდენტი წარმოადგენს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, იგი ვალდებულია, არჩევის შემდეგ დატოვოს პარტიის რიგები.

რესპუბლიკის პრეზიდენტის ავადმყოფობის ან არყოფნის გამო, თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია, დროებით გადასცეს თავისი უფლებამოსილება რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარეს. პრეზიდენტის სიკვდილის, გადადგომის ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მანდატის შეწყვეტის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარე.

1999 წლის *23 ნოემბრამდე, კონსტიტუციური დამატების* მიღებამდე, გაუთვალისწინებელი იყო პრეზიდენტის უფლებამონაცვლეობის საკითხის რეგულირება მისი ხანგძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში, რამაც პრეზიდენტ ტუჯმანის სიკვდილის წინა პერიოდში იჩინა თავი. პრეზიდენტ ტუჯმანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების შემდეგ ხელისუფლებას არსებული სიტუაციიდან ერთად-ერთი გამოსავალი ჰქონდა — იმ დროისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, მთავრობის წინადადებით საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა პრეზიდენტის მიერ თავის უფლებამოსილების განხორციელების ხანგძლივი შეუძლებლობის ფაქტი. რაც გამოიწვევდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას და ახალი არჩევნების ჩატარებას. ეს პრაქტიკულად ე.წ. „სამედიცინო იმპიჩმენტს" ნიშნავდა, რასაც მთავრობა მოერიდა იმის შიშით, რომ პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის

---

14. მესიჩის კანდიდატურა, რომელიც იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფოს ბოლო პრეზიდენტი, შემდეგომში კი ხორვატიის პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ორჯერვე დასახელა ხსპან. 2000 წელს მესიჩმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 41.1%, მეორე საუკეთესო შედეგი ხელახალ არჩევნებში მესიჩთან ერთად 27.7%-ით გაიარა ხსლპ-ის კანდიდატ ბუდიმამ. ხელახალ არჩევნებში მესიჩმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 56.0%, ხოლო ბუდიმამ - 44.0%. 2005 წელს კი მესიჩის უნიკალური მოწინააღმდეგე აღმოჩნდა ხდფ-ის კანდიდატი ივო კოშორი. კანდიდატებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების შესაბამისად 48.9% და 20.3%, ხელახალ არჩევნებში კი - 65.9% და 34.1%. 1999 წელს სხვა კანდიდატებზე გაანწილდა ხმათა 31.2%, ხოლო 2000 წელს - 30.8% რაც ორივე შემთხვევაში იყო კიდევ ერთი დასტური, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრი ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია.

გაუმჯობესების შემთხვევაში, მმართველ *ხდთ*-ს თავს დაატყდებოდა პრეზიდენტის რისხვა. გამოსავალი მოიძებნა კონსტიტუციაში დამატების მიღებით, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მთავრობის წინადადებით უნდა დაედგინა პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ხანგრძლივი უუნარობის ფაქტი ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების გარეშე. რის შემდეგაც, 60 დღის ვადით, საბორის თავმჯდომარე იქნებოდა პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი. 26 ნოემბერს ექიმების მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადების საფუძველზე პრეზიდენტ ტუჯმანის „უკიდურესად სერიოზული" მდგომარეობის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლომ იმავე დღეს დაადგინა პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროებითი შეუძლებლობის ფაქტი და საბორის თავმჯდომარემ *ვლატკო პავლეტიჩმა* 60 დღის ვადით დაიკავა პრეზიდენტის სავარძელი.[15] მოგვიანებით, ტუჯმანის გარდაცვალების შემდეგ, დაინიშნა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები.

რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებათა არეალი ფორმალურად საკმაოდ ფართოა, რაც განპირობებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ბიცეფალური ბუნებით. *საგარეო ურთიერთობების სფეროში* მთავრობასთან ერთად წარმართავს და ახორციელებს საგარეო პოლიტიკას; პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იგი ასევე იღებს უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციისა და გაწვევის სიგელებს; შეიძლება მთავრობის წინადადებით დადოს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც არ მოითხოვს საბორში რატიფიცირებას. ამასთანავე, ხელს აწერს კონსტიტუციის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ საბორის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

კონსტიტუციის 93-ე მუხლის საფუძველზე, პრეზიდენტი აღმასრულებელ ფუნქციებს ასრულებს არა მხოლოდ საგარეო, არამედ *საშინაო პოლიტიკის სფეროშიც*, რაც ვფიქრობთ, ვერ იქნება განყენებულად განხილული, რადგანაც იგი კონსტიტუციურ სამართალში არსებული სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებში შემავალ რამდენიმე ასპექტს მოიცავს. მათ შორის უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს *უფლებამოსილებები წარმომადგენლობით ორგანოებთან მიმართებაში.* ამ უფლებამოსილებათა ფარგლებში რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს საბორის არჩევნებს და იწვევს პირველ სესიას; მთავრობის წინადადებით და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით, საბორის ფრაქციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ, უფლებამოსილია, დაითხოვოს საბორი, თუ საბორმა ნდობა არ გამოუცხადა მთავრობას, ან არ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი მისი შეტანიდან 120 დღეში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, პრეზიდენტის უფლებამოსილება კონსტიტუციური ცვლილების კანონპროექტის ინიცირების შესახებ.

საკადრო-პერსონალურ საკითხებში — პრეზიდენტი კონსულტაციების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ანიჭებს მთავრობის ფორმირების მანდატს; პრემიერ-მინისტრთან ერთად ნიშნავს უშიშროების სამ-

15. *Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; Журн. Конституционный мониторинг: Хорватия; №1 (30) 2000г. стр.131-132.*

სახურების ხელმძღვანელებს. ნიშნავს აგრეთვე სხვადასხვა თანამდებობის პირებს.

პიროვნების სტატუსის რეგულირების სფეროში — ახორციელებს შეწყალებას აქტს; ანიჭებს სახელმწიფო ორდენებს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ჯილდოებს და ა.შ.

საკმაოდ ფართოა პრეზიდენტის უფლებამოსილებები ***თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროშიც (ე.წ. საგანგებო უფლებამოსილებები)***, იგი არის ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საბორის გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს ომს და დებს ზავს; სახელმწიფოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მოულოდნელი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, გასცემს ბრძანებას შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე.

კონსტიტუციის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს იცავს იმუნიტეტი." არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე პრეზიდენტის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ მძიმე დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში და მაშინაც აუცილებელია სახელმწიფო ორგანომ, რომელმაც დააპატიმრა პრეზიდენტი, საქმის კურსში ჩააყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციის დარღვევის ბრალდებით შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტის საკითხი აღიძვრება საბორის სრული შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით. პრეზიდენტის ქმედებაში კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში გადაწყვეტილებას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ იღებს საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლეთა სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

გ) ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა

ფორმალურად, კონსტიტუციის 107-ე მუხლის პირდაპირი მითითებით, ხორვატიის რესპუბლიკაში ქვეყანაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მხოლოდ მთავრობა. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისაგან, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი მოადგილე და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობა რიცხობრივად ცვალებადია (***ივიცა რაჩანის*** მიერ 2002 წლის ივნისში ხუთ სუბიექტიანი კოალიციისაგან ხელახლა ფორმირებული მთავრობისაგან გასხვავებით, რომელიც 19 წევრს ითვლიდა, დღევანდელი მდგომარეობით მის შემადგენლობაში შედის 15 წევრი [პრემიერ-მინისტრი, 13 მინისტრი და პრემიერ-მინისტრის 2 მოადგილე, რომელთაგან ერთ-ერთს უკავია მინისტრის თანამდებობაც]). მთავრობის კომპეტენციაა: საბორისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა; კანონებისა და საბორის სხვა გადაწყვეტილებების აღსრულება; დადგენილებების მიღება; ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა; ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა და ა.შ.

მთავრობა ფორმირდება წმინდა საპარლამენტო წესით — მისი შემადგენლობა მთლიანად საბორში პოლიტიკურ ძალთა ბალანსით განისაზღვრება და პოლიტიკური პასუხისმგებლობაც მხოლოდ მის წინაშე ეკისრება. პრე-

ზიდენტი მთავრობის ფორმირების მანდატს ანიჭებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს. მთავრობის სხვა წევრებს საბორის თავმჯდომარის კონტრასიგნებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. კაბინეტის ფორმირებიდან 30 დღის განმავლობაში რწმუნების მანდატით აღჭურვილი პირი, მთავრობის შემადგენლობასა და პროგრამას ნდობის მოსაპოვებლად წარადგენს საბორში. მთავრობის ინვესტიტურა ხდება საბორის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. მთავრობის ფორმირების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ 30 დღიანი ვადით. თუ ამ ვადაშიც ვერ მოესწრება მთავრობის ფორმირება, ან თუ საბორი მას ნდობას არ გამოუცხადებს, პრეზიდენტი მთავრობის ფორმირების უფლებამოსილებას მიანიჭებს სხვა პირს. კონსტიტუცია ითვალისწინებს რა ამ პროცედურის სირთულეს, კვლავ უშვებს მთავრობის ფორმირების შეუძლებლობას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს ანიჭებს დროებითი, არაპარტიული მთავრობის დანიშვნის, იმავდროულად საბორის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის უფლებამოსილებას. პრემიერ-მინისტრისა და მთლიანად მთავრობისათვის ან მისი ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი დგება საბორის წევრთა საერთო რაოდენობის 1/5-ის ინიციატივით. უნდობლობის გამოცხადება, ისევე როგორც მთავრობის პირველადი ფორმირება, ხდება საბორის დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თავის მხრივ მთავრობაც უფლებამოსილია, საბორის წინაშე დასვას ნდობის საკითხი. უნდობლობის გამოცხადების, ან ნდობის წინადადების უარყოფის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია, დაითხოვოს საბორი და დანიშნოს ახალი არჩევნები. მთავრობის გადაყენების შემდეგ, თუ ახალ მთავრობას 30 დღის ვადაში საბორი ნდობას არ გამოუცხადებს, პრეზიდენტი დაითხოვს საბორს და დანიშნავს ახალ არჩევნებს. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, მთავრობის გადადგომა დაუკავშიროს ერთ-ერთი მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადებასაც ან წარმოადგინოს ახალი კანდიდატურა.

საბორისა და მთავრობის ურთიერთობების ასეთი დეტალური ასახვა ქვეყნის არამყარი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პარტიული სისტემის შედეგია, რაც დღემდე კოალიციური მთავრობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს და ეს კოალიციები ხშირად დაცემის საფრთხით ხასიათდებიან. 2002 წლის ივლისში, როდესაც პრემიერ-მინისტრს რაჩანსა (***სდპ***) და ვიცე-პრემიერ ბუდიშას (***ხსლპ***) შორის არსებულმა მუდმივმა დაძაბულობამ (ამ უკანასკნელის ნაციონალისტურ – რეაქციული პოლიტიკისაკენ მიდრეკილების გამო) პიკს მიაღწია, კოალიციაში განხეთქილება მოხდა, რამაც მთავრობა აიძულა, გადამდგარიყო. ბუდიშამ მთავრობიდან გაიწვია ***ხსლპ***-ს წევრები. „***ხსლპ***-დან მინისტრების გადადგომის შემდეგ კაბინეტი ან უნდა გადამდგარიყო და გამოცხადებულიყო ახალი საპარლამენტო არჩევნები, ან ჩამოყალიბებულიყო ხელახლა, რაც საჭიროებდა საბორის თანხმობას. მთავრობამ აირჩია მეორე გზა."[16] ამის შემდეგ, ***ხსლპ*** გამოაკლდა კოალიციას და მისი ადგილი მოკრძალებული წარმომადგენლობით დაიკავა მისგან გამოყოფილმა ლიბერალურმა ჯგუფმა.

16. Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение; Журн. Конституционный мониторинг" Хорватия, №4 (41) 2002г. стр.186.

დ) სასამართლო სისტემა

პოსტტუჯმანისეულ პერიოდში სასამართლო სისტემა (მათ შორის უპირატესად საკონსტიტუციო სასამართლო) დაცული გახდა ხელისუფლების არამართლზომიერი ჩარევისაგან და შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლო ორგანოების ქმედითობა და დამოუკიდებლობა. იგი უკვე ახერხებს პოლიტიკური ტვირთისაგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებას.

დ. ა. საერთო სასამართლოები

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სასამართლოების მიერ. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია. მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული სასამართლო საბჭო, რომელიც აგრეთვე წყვეტს საკითხს მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

რესპუბლიკის სასამართლო სისტემა შედგება: მუნიციპალური სასამართლოების; სავაჭრო სასამართლოების; ხორვატიის რესპუბლიკის უმაღლესი სავაჭრო სასამართლოს; ხორვატიის რესპუბლიკის ადმინისტრაციული სასამართლოსა და ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოსაგან.

ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემაში კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 4 წლის ვადით, უზენაესი სასამართლოს გენერალური სესიისა და საბორის შესაბამისი კომიტეტის აზრის გათვალისწინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საბორი პრეზიდენტის წარდგინებით. მოსამართლეები სარგებლობენ იმუნიტეტით.

ეროვნული სასამართლო საბჭო შედგება 11 წევრისგან რომელთაც მოსამართლეების, ადვოკატებისა და უნივერსიტეტის პროფესორ-იურისტებისგან, კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს საბორი. ეროვნული სასამართლო საბჭო უმეტესწილად დაკომპლექტებული უნდა იყოს მოსამართლეებით.

დ. ბ. გენერალური პროკურატურა

გენერალური პროკურატურა ავტონომიური და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოა. მის ფუნქციებში შედის დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირებზე ძებნის გამოცხადება, ხორვატიის რესპუბლიკის საკუთრების დასაცავად და სამართლებრივი დახმარების მიზნით კანონიერი ზომების განხორციელება. გენერალურ პროკურორს ნიშნავს საბორი მთავრობის წარდგინებით და საბორის შესაბამისი კომიტეტის აზრის გათვალისწინებით 4 წლის ვადით.

დ. გ. საკონსტიტუციო სასამართლო

ხორვატიის რესპუბლიკაში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება ინსტიტუციონალურად დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. სასამართლო შედგება საბორის მიერ 8 წლის ვადით არჩეული 13 მოსამართლისაგან. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 4 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სარგებლობენ საბორის წევრების თანაბარი იმუნიტეტით.

გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებიც გადმოცემულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში, საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განიხილავს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის; სახელმწიფო ორგანოთა, ადგილო-

ბრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოთა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ საჩივრებს, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ისევე როგორც კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობაზე; დავებს კომპეტენციის შესახებ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოთა შორის; პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებულ; პოლიტიკური პარტიების, არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხებს. სასამართლო აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე პრეზიდენტის უფლებამონაცვლეობის საკითხშიც. მისი უფლებამოსილებები დეტალურად განისაზღვრება კონსტიტუციის 128-ე მუხლით. აღსანიშნავია ერთი მკვეთრი თავისებურება. საკონსტიტუციო სასამართლო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს განიხილავს არა მხოლოდ კონსტიტუციურობის, არამედ კანონიერების თვალსაზრისითაც.

6. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა

თვითმმართველობა ხორციელდება ორ — ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე. მუნიციპალიტეტები და ქალაქები წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს. ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულები განისაზღვრება კანონით. რეგიონალური თვითმმართველობის დანაყოფებს კი წარმოადგენს 10 ოლქი. დედაქალაქ ზაგრებსა და დიდ ქალაქებს: ზადარს, ოსიეკს, რიეკასა და სპლიტს მინიჭებული აქვთ ცალკე ოლქის სტატუსი.

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა ხორციელდება შესაბამისად ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, რომლის წევრებიც აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაშია ტერიტორიულ და საქალაქო დაგეგმარებასთან, კომუნალურ მომსახურებასთან, სოციალურ უზრუნველყოფასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, განათლების სისტემასთან, კულტურასთან, ფიზიკურ მომზადებასა და სპორტთან, გარემოს დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული, აგრეთვე კანონით განსაზღვრული სხვა საკითხები. რეგიონალური თვითმმართველობის სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციაშია განათლებასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, ტერიტორიულ და საქალაქო დაგეგმარებასთან, ეკონომიკის განვითარებასთან, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის, სოციალური და კულტურული ინსტიტუტების ქსელის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ერთეულების ორგანოები არიან დამოუკიდებელნი და მათზე მხოლოდ კონსტიტუციურობისა და კანონიერების დაცვაზე სამართლებრივი კონტროლი ხორციელდება. კონსტიტუცია ქმნის აგრეთვე თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური თვითმყოფადობის გარანტიებსაც. მათ უფლება აქვთ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იქონიონ საკუთარი შემოსავალი და თავისუფლად განკარგონ იგი.

სახელმწიფო იღებს ფინანსურად სუსტი ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველი ერთეულების დახმარების ვალდებულებას.

ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია

მიღებულია 1990 წლის 21 დეკემბერს.

შეტანილია ცვლილებები და დამატებები: 1997 წლის 8 დეკემბრის №135/97; 1999 წლის 23 ნოემბრის №117/99; 2000 წლის 9 ნოემბრის №113/00 და 2001 წლის 27 მარტის №28/01 კანონებით

I. ისტორიული საფუძვლები

ხორვატიის ქვეყნის ათასწლოვანი თვითმყოფადობა და მისი სახელმწიფოებრივი ხანგრძლივობა დასტურდება მისი სახელმწიფოებრიობის სხვა დასხვა ფორმებისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეის შენარჩუნებასა და განვრცობის ისტორიული გამოცდილებით, რომელიც დაფუძნებული ხორვატი ხალხის სრული სუვერენიტეტის ისტორიული უფლებით და გამოხატულია:

— VII საუკუნეში ხორვატიის სამთავროების ჩამოყალიბებაში;

— IX საუკუნეში დამოუკიდებელი შუასაუკუნეობრივი ხორვატიის სახელმწიფოს დაარსებაში;

— X საუკუნეში ხორვატების სამეფოს დაარსებაში;

— ხორვატია-უნგრეთის კავშირში ხორვატიის სახელმწიფოს თვითმყოფადობის შენარჩუნებაში;

— ჰაბსბურგის დინასტიიდან მეფის არჩევის შესახებ 1527 წლის ხორვატიის პარლამენტის (საბორი) დამოუკიდებელ და სუვერენულ გადაწყვეტილებაში;

— 1712 წლის ხორვატიის საბორის დამოუკიდებელ და სუვერენულ გადაწყვეტილებაში პრაგმატულ სანქციებზე;

- 1848 წლის ხორვატიის საბორის დასკვნებში, რომელიც ეხება ხორვატიის ტრიუნის სამეფოს აღდგენას ბანუსის ხელისუფლების დაქვემდებარების ქვეშ, რაც დაფუძნებულია ხორვატიის ქვეყნის ისტორიულ, ნაციონალურ და ბუნებრივ უფლებებზე;

— 1868 წლის ხორვატია-უნგრეთის კომპრომისში დალმატიის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოსა და უნგრეთის სამეფოს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ემყარებოდა ორივე ქვეყნის სამართლებრივ ტრადიციებსა და 1712 წლის პრაგმატულ სანქციებს;

— 1918 წლის 29 ოქტომბრის ხორვატიის საბორის გადაწყვეტილებაში ხორვატიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობების გაუქმებისა და იმავდროულად ხორვატიის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ;

— იმ ფაქტში, რომ ხორვატიის საბორმა არ მოახდინა სლოვენიის, ხორვატიისა და სერბეთის სახელმწიფოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების რატიფიცირება სერბეთის სამეფოდ სერბეთსა და ჩერნოგორიასთან გაერთიანების შესახებ, რომლის შემდეგ, ხორვატებმა და სლოვენიელებმა (3 ოქ-

ტომბერს 1929 წ.) გამოაცხადეს იუგოსლავიის სამეფო;

— 1939 წელს ხორვატიის "ომე ღულე" ("ბანოვინა") გამოქვეყნებაში, რომლითაც ხორვატიის სახელმწიფო შევიდა იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში;

— მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნებაში, (1943 წ.) ხორვატიის ანტიფაშისტური საბჭოს გადაწყვეტილებებით, რომელიც დაუპირისპირდა დამოუკიდებელი ხორვატიის სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს (1941 წ.), შემდგომ ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციას (1947 წ.) და ხორვატიის სოციალისტური სახელმწიფოს ყველა შემდგომ კონსტიტუციებს (1963-1990 წწ.). კომუნისტური სისტემის დამხობისა და ევროპულ საერთაშორისო წესრიგში ცვლილებებიდან გამომდინარე, ხორვატიის ერმა პირველ დემოკრატიულ არჩევნებზე (1990 წ.) თავისუფლად გამოხატული საკუთარი ნებით ხელახლა დადასტურა მისი ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა. ხორვატიის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციითა (1990 წ.) და სამშვიდობო ომში (1991-1995 წწ.) გამარჯვებით, ხორვატიის ერმა გამოხატა სურვილი, დამკვიდროს და დაიცვას ხორვატიის რესპუბლიკა, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო.

მოცემული ისტორიული ფაქტებისა და თანამედროვე მსოფლიოს საყოველთაოდ მიღებული პრინციპების გათვალისწინებით, აგრეთვე ხორვატი ხალხის განუყოფელი, შეუცვლელი და განუსხვისებელი თვითგამორკვევისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის უფლების, გაერთიანებაზე და გამოყოფაზე სრული უფლებით, ხორვატიის რესპუბლიკა გამოცხადდა, როგორც ხორვატთა და ეროვნულ უმცირესობათა — სერბების, ჩეხების, სლოვაკების, იტალიელების, უნგრელების, ებრაელების, გერმანელების, ავსტრიელების უკრაინელების, და სხვა მოქალაქეების სახელმწიფოდ, რომლებიც თანასწორუფლებიანები არიან. ნაციონალური უფლების განხორციელება ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და თავისუფალი ქვეყნების დემოკრატიული ნორმების შესაბამისად.

ხორვატი ერისა და ყველა მოქალაქის სურვილის გათვალისწინებით, რაც გამოხატულია თავისუფალ არჩევნებში, ხორვატიის რესპუბლიკა უნდა განვითარდეს, როგორც სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც თანასწორობა, ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი უზრუნველყოფილი და გარანტირებულია და რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მათ ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესსა და სოციალურ კეთილდღეობას.

II. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ხორვატიის რესპუბლიკა არის ერთიანი, განუყოფელი, დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო.

2. ხორვატიის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი და იგი ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების ერთობას.

3. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებით.

მუხლი 2

1. ხორვატიის რესპუბლიკის სუვერენიტეტი ხელშეუხებელი, განუყოფელი და განუსხვისებელია.

2. ხორვატიის რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება მის ხმელეთზე, მდინარეებზე, ტბებზე, არხებზე, შიდა საზღვაო წყლებზე, ტერიტორიულ ზღვასა და მის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეზე.

3. ხორვატიის რესპუბლიკა მის სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას ახორციელებს საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, საზღვაო ტერიტორიასა და ადრიატიკის ზღვის კონტინენტურ შელფზე სახელმწიფო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მეზობელი ქვეყნების საზღვრებამდე.

4. ხორვატიის საბორი ან უშუალოდ ხალხი, დამოუკიდებლად და კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებებს:

— ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირების საკითხებზე;

— ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრეების შენახვასა და გამოყენებაზე;

— სხვა სახელმწიფოებთან ერთად ალიანსის შექმნაზე.

5. ხორვატიის რესპუბლიკას შეუძლია, შექმნას ალიანსი სხვა სახელმწიფოებთან და აგრეთვე, თავისუფლად გამოვიდეს ასეთი გაერთიანებებიდან.

მუხლი 3

თავისუფლება, თანასწორობა, მშვიდობისმოყვარეობა, სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, საკუთრების ხელშეუხებლობა, ბუნებისა და გარემოს დაცვა, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული მრავალპარტიულობა არის ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის უზენაესი ფასეულობები და კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველი.

მუხლი 4

1. ხორვატიის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა გარანტირებულია კონსტიტუციით.

2. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოიცავს ურთიერთთანამშრომლობას, აგრეთვე ორმხრივ გაწონასწორებასა და კონტროლს, კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

მუხლი 5

1. ხორვატიის რესპუბლიკაში კანონები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, ხოლო სხვა სამართლებრივი აქტები - კონსტიტუციასა და კანონს.

2. ყველა უნდა დაემორჩილოს კონსტიტუციასა და კანონს და პატივი სცეს მართლწესრიგს ხორვატიის რესპუბლიკაში.

მუხლი 6

1. პოლიტიკური პარტიების შექმნა თავისუფალია.

2. პოლიტიკური პარტიების შიდა ორგანიზაცია ხდება ფუნდამენტური კონსტიტუციური დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად.

3. პარტიებმა უნდა გამოაქვეყნონ ანგარიში მათი ქონებისა და საკუთრების წყაროს შესახებ.

4. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავიანთი პროგრამებით ან

ძალადობრივი მოწოდებებით საფრთხეს უქმნიან დემოკრატიულ წყობას ხორვატიის რესპუბლიკაში, ცხადდებიან არაკონსტიტუციურად. გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურობის შესახებ იღებს ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო.

5. პოლიტიკური პარტიების სტატუსი და დაფინანსების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 7

1. ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იცავენ სახელმწიფო სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას.

2. ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ, გადაკვეთონ სახელმწიფო საზღვრები და იმოქმედონ მხოლოდ ხორვატიის საბორის გადაწყვეტილებით.

3. შეიარაღებულ ძალებს წვრთნისათვის შეუძლიათ, გადაკვეთონ ხორვატიის რესპუბლიკის საზღვრები ხორვატიის საბორის გადაწყვეტილების გარეშე იმ საერთაშორისო თავდაცვის ორგანიზაციების მიზნების შესაბამისად, რომლებსაც ხორვატიის რესპუბლიკა მიუერთდა, ან მიუერთდება, ანდა ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

4. კონსტიტუციის მე-17 და მე-100 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიარაღებული ძალები უკიდურესი აუცილებლობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიციისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურის დასახმარებლად.

5. ხორვატიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების თავდაცვითი ორგანიზაცია, ადმინისტრირება და დემოკრატიული კონტროლი რეგულირდება ამ კონსტიტუციით და კანონით.

მუხლი 8

ხორვატიის რესპუბლიკის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ხორვატიის საბორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 9

ხორვატიის მოქალაქეობა, მისი მიღებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 10

1. ხორვატიის რესპუბლიკა იცავს სხვა ქვეყანაში მყოფი ან მცხოვრები ხორვატი მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე ხელს უწყობს მათ სამშობლოში დაბრუნებას.

2. სხვა სახელმწიფოებში მყოფი ხორვატები ხორვატიის რესპუბლიკის მიერ უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური მფარველობითა და დაცვით.

მუხლი 11

1. ხორვატიის რესპუბლიკის გერბი არის ისტორიული გერბი, რომელიც შედგება 25 ურთიერთშენაცვლებითი წითელი და თეთრი ზოლებისაგან.

2. ხორვატიის რესპუბლიკის დროშა სამფეროვანია: წითელი, თეთრი და ლურჯი, ცენტრში ხორვატიის ისტორიული გერბით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის ჰიმნი არის „ჩვენი ლამაზი მამული" („ იჯეპა ნასა დომოვინო").

4. ხორვატიის ისტორიული გერბის და დროშის აღწერა, ჰიმნის ტექსტი და სხვა სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია კანონით.

მუხლი 12

1. ხორვატიის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ხორვატული და ოფიციალურ გამოყენებაში არის ლათინური დამწერლობა.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ცალკეულ ადგილობრივ დანაყოფებში ხორვატულ ენასა და ლათინურ დამწერლობასთან ერთად ოფიციალურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ენა და დამწერლობა.

მუხლი 13

1. ხორვატიის რესპუბლიკის დედაქალაქი არის ზაგრები.

2. დედაქალაქ ზაგრების სტატუსი, უფლებამოსილებები და ადმინისტრაციული მოწყობა რეგულირდება კანონით.

III. ადამიანის ძირითადი თავისუფლებებისა და უფლებების დაცვა

1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 14

1. ხორვატიის რესპუბლიკაში ყველა ადამიანს აქვს თავისუფლებები და უფლებები განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადებისა, განათლებისა, სოციალური სტატუსისა და სხვა.

2. ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

მუხლი 15

1. ხორვატიის რესპუბლიკაში ყველა ეროვნულ უმცირესობას აქვს თანაბარი უფლებები.

2. ეროვნულ უმცირესობათა თანასწორობა და უფლებათა დაცვა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით, რომელიც მიიღება იმავე პროცედურით, როგორც ორგანული კანონი.

3. გარდა საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, ეროვნული უმცირესობებისათვის შეიძლება კანონით გათვალისწინებულ იქნეს ხორვატიის საბორში თავიანთი წარმომადგენლების არჩევის სპეციალური უფლება.

4. ეროვნულ უმცირესობებს უფლება აქვთ, დაიცვან თავიანთი ეროვნულობა, გამოიყენონ თავიანთი ენა და დამწერლობა და ისარგებლონ კულტურული ავტონომიით.

მუხლი 16

1. ადამიანის თავისუფლებები და უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით სხვათა თავისუფლებებისა და უფლებების, საზოგადოებრივი წესრიგის, მორალისა და ჯანმრთელობის ინტერესების დასაცავად.

2. უფლებათა და თავისუფლებათა ყოველგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას.

მუხლი 17

1. კონსტიტუციით გარანტირებული ცალკეული თავისუფლებები და უფლებები შეიძლება შეიზღუდოს საომარი მდგომარეობის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის მოულოდნელი საფრთხის შექმნის ან სტიქიური უბედურების დროს. ამ გადაწყვეტილებას ხორვატიის საბორი იღებს სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედით, ხოლო თუ საბორი ვერ იკრიბება, მაშინ მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის

კონტრასიგნებით — რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. ასეთი შეზღუდვების გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საფრთხის ხასიათს და არ უნდა გამოიწვიოს ადამიანების დიფერენცირება მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნული და სოციალური კუთვნილებისა.

3. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფოს არსებობას შეექმნება მოულოდნელი საფრთხე, არ შეიძლება, შეზღუდვები გავრცელდეს კონსტიტუციის იმ დებულებებზე, რომლებიც შეეხება სიცოცხლის უფლებას, წამების აკრძალვას, სასტიკ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, სიტყვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

მუხლი 18

1. ყველა ადამიანს აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს და ხელისუფლების სხვა გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

2. გასაჩივრების უფლება, გამონაკლისის სახით, შეიძლება არ განხორციელდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ გამოყენებულია სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალება.

მუხლი 19

1. ადმინისტრაციული და სხვა ორგანოების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს კანონს.

2. გარანტირებულია საჯარო ხელისუფლებით აღჭურვილი ადმინისტრაციული ორგანოების ცალკეული აქტების კანონიერების სასამართლო გადასინჯვის უფლება.

მუხლი 20

ნებისმიერი პირი, ვინც დაარღვევს კონსტიტუციის იმ დებულებებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, პასუხს აგებს პირადად და არ შეიძლება მან თავისი ქმედება გაამართლოს ზემდგომი თანამდებობის პირის ბრძანების შესრულების აუცილებლობით.

2. პირადი და პოლიტიკური თავისუფლებები და უფლებები

მუხლი 21

1. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება.

2. ხორვატიის რესპუბლიკაში სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

მუხლი 22

1. ადამიანის პირადი თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 23

1. დაუშვებელია მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარება ადამიანზე მისი თანხმობის გარეშე.

2. დაუშვებელია ძალადობით ან იძულებით მუშაობა.

მუხლი 24

1. დაუშვებელია ადამიანის დაპატიმრება ან დაკავება სასამართლოს ბრძანების გარეშე. სასამართლოს ბრძანება პირს უნდა განემარტოს დაპატიმრების ან დაკავებისთანავე.

2. პოლიციას შეუძლია, დააპატიმროს პირი სასამართლოს ბრძანების გარეშე, როდესაც მის მიმართ არსებობს კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძვლიანი ეჭვი. დაპატიმრებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა განემარტოს დაპატიმრების საფუძველი და კანონით განსაზღვრული მისი უფლებები.

3. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში, სასამართლო დაუყოვნებლივ წყვეტს საკითხს თავისუფლების აღკვეთის კანონიერების შესახებ.

მუხლი 25

1. დაუშვებელია დაპატიმრებული და დაკავებული პირისათვის არაჰუმანური მოპყრობა და ღირსების შელახვა.

2. ნებისმიერ დაკავებულ და ბრალდებაწაყენებულ პირს აქვს უფლება, მიყვანილ იქნეს სასამართლოში კანონით განსაზღვრულ უმოკლეს ვადაში და გასამართლებულ იქნეს კანონით დადგენილ ვადაში.

3. დაკავებული პირი შეიძლება გათავისუფლდეს სათავდებო თანხის გადახდის შემდეგ.

4. ნებისმიერ პირს, რომელსაც უკანონოდ შეეზღუდა თავისუფლება, კანონის შესაბამისად, აქვს კომპენსაციის მიღებისა და რეაბილიტაციის უფლება.

მუხლი 26

ხორვატიის რესპუბლიკის მოქალაქეები და უცხოელები თანასწორნი არიან სასამართლოს, სახელმწიფო და სხვა ორგანოების წინაშე.

მუხლი 27

საადვოკატო საქმიანობა, როგორც ავტონომიური და დამოუკიდებელი მომსახურება, კანონის შესაბამისად, ყველას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით.

მუხლი 28

ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანად და გონივრულ ვადებში მის თავისუფლებებსა და უფლებებზე, აგრეთვე დანაშაულის ჩადენაში ეჭვზე ან ბრალდებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

2. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს უფლება აქვს:

— შესაძლო უმოკლეს ვადაში მისთვის გასაგებ ენაზე განემარტოს მისი ბრალდების ხასიათზე, მიზეზებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ამხელენ მას;

— დაცვის განხორციელებისათვის ჰქონდეს შესაბამისი დრო და შესაძლებლობა;

— უზრუნველყოფილ იყოს დამცველით დროის შეუზღუდავად, რაც უნდა განემარტოს მას;

— საკუთარი არჩევით დაიცვას საკუთარი თავი თვითონ ან დამცველის დახმარებით. თუ მას დამცველის დაქირავების სახსრები არ გააჩნია, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იყოს უფასო დამცველით;

— სასამართლოში გასამართლებულ იქნეს მისი თანდასწრებით;

— დაკითხოს ბრალდებული მხარის მოწმეები და მოითხოვოს დაცვის მოწმეთა დასწრება და დაკითხვა იმავე პირობებში, როგორც ბრალდებული მხარის მოწმეები;

— თუ არ იცის სასამართლოში საქმისწარმოების ენა, უზრუნველყოფილი იქნეს უფასო თარჯიმნით.

3. არ შეიძლება ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის იძულება, აღიაროს დანაშაული.

4. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები არ დაიშვება სასამართლოზე.

5. სისხლისსამართალწარმოება შეიძლება აღიძრას მხოლოდ სასამართლოში უფლებამოსილი პროკურორის ინიციატივით.

მუხლი 30

კანონის შესაბამისად, მძიმე და განსაკუთრებული სისატკით ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება განსაზღვრული ვადით გარკვეული უფლების ჩამორთმევის ან ასეთი უფლების მოპოვების აკრძალვის შესახებ, თუ ეს აუცილებელია მართლწესრიგის დასაცავად.

მუხლი 31

1. არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც კანონისა და საერთაშორისო სამართლით მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს უკუძალა აქვს, თუ იგი ამსუბუქებს პასუხისმგებლობას.

2. არავინ უნდა გასამართლდეს ან აგოს პასუხი განმეორებით იმ ქმედებისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე გათავისუფლებული ან გასამართლებული იქნა უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ კანონის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფუძვლებით სისხლისსამართალწარმოების განახლების შემთხვევები და მიზეზები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ კანონით, კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.

მუხლი 32

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება ხორვატიის რესპუბლიკაში, აქვს თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს დატოვოს სახელმწიფო ტერიტორია და დასახლდეს სხვაგან დროებით ან მუდმივად და აგრეთვე, ნებისმიერ დროს დაბრუნდეს სამშობლოში.

3. ხორვატიის რესპუბლიკაში თავისუფლად გადაადგილებისა და თავისუფლად გასვლის ან შემოსვლის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, მართლწესრიგის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

მუხლი 33

1. უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეიძლება მიეცეთ თავშესაფარი ხორვატიის რესპუბლიკაში, თუ ისინი იმხილებიან პოლიტიკური დანაშაულისა და აქტივობისათვის, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

2. არცერთი უცხოელი, რომელიც კანონიერად იმყოფება ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არ შეიძლება გაძევებული ან ექსტრადირებული იქნეს სხვა სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კანონის შესაბამისად.

მუხლი 34

1. საცხოვრებელი სახლი ხელშეუხებელია.

2. საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მფლობელობაში ჩხრეკის ჩატარება შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად მიღებული სასამართლოს მოტივირებული წერილობითი ბრძანების საფუძველზე.

3. მფლობელ პირს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს, დაესწროს საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის ჩხრეკას, სავალდებულო ორ მოწმესთან ერთად.

4. კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამართალდამცავებს შეუძლიათ, შეავიდნენ სხვის საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მოსამართლის ბრძანების გარეშე და მოწმეთა დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია დაკავების განსახორციელებლად ან სამართალდამრღვევის გასანეიტრალებლად, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის და საკუთრების დასაცავად.

5. ჩხრეკის ჩატარება, რომლის მიზანია მტკიცებულებების მოპოვება, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოწმის თანდასწრებით.

მუხლი 35

გარანტირებულია ოჯახისა და პირადი ცხოვრების, პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის ხელშეუხებლობის იურიდიული დაცვა.

მუხლი 36

1. პირადი მიმოწერითა და ყველა სხვა სახის საკომუნიკაციო საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.

2. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 37

1. პირადი მონაცემების საიდუმლოება გარანტირებულია. ამ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გამოყენება შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე დაიშვება მხოლოდ კანონით გათვლისწინებულ შემთხვევებში.

2. პირადი მონაცემების დაცვა და ინფორმაციული სისტემის მუშაობის შემოწმება რეგულირდება კანონით.

3. აკრძალულია პირადი მონაცემების გამოყენება მათი შეგროვების დადგენილი მიზნის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 38

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვისა და აზრის თავისუფლება.

2. სიტყვის თავისუფლება მოიცავს უპირველეს ყოვლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების, საჯარო გამოსვლების, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნის თავისუფლებას.

3. ცენზურა აკრძალულია. ჟურნალისტებს უფლება აქვთ, თავისუფლად მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია.

4. ყოველ ადამიანს, რომლის კონსტიტუციური და კანონიერი უფლებები შეილახა მასობრივი საშუალებებით, აქვს რეაბილიტაციის უფლება.

მუხლი 39

ომისაკენ ნებისმიერი მოწოდება ან წაქეზება, ძალადობის გამოყენება, ეროვნული, რასისტული ან რელიგიური სიძულვილი, ან ნებისმიერი სახის სხვა შეუწყნარებლობა აკრძალულია და ისჯება კანონით.

მუხლი 40

სინდისის, რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 41

1. ყველა რელიგიური გაერთიანება კანონის წინაშე თანასწორია და ისინი გამოყოფილნი არიან სახელმწიფოსაგან.

2. კანონის შესაბამისად, რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ, საჯაროდ, დამოუკიდებლად განახორციელონ რელიგიური მსახურება, გახსნან სკოლები, საგანმანათლებლო, სოციალური, რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებები, მართონ ისინი და მიიღონ სახელმწიფოსაგან დახმარება და დაცვა.

მუხლი 42

ყველა ადამიანს აქვს საზოგადოებრივი შეკრებისა და მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის უფლება, კანონის შესაბამისად.

მუხლი 43

1. ყველას აქვს კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლება, თავისი ინტერესების დაცვის ან სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, კულტურული და სხვაგვარი განვითარების მიზნით. ამ მიზნით ყველას აქვს უფლება, თავისუფლად შექმნას პროფკავშირები, ასევე სხვა გაერთიანებები, თავისუფლად შევიდეს მასში ან დატოვოს იგი.

2. ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა დასაშვებია, თუ ის საფრთხეს უქმნის ხორვატიის რესპუბლიკის დემოკრატიულ კონსტიტუციურ წყობას, დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

მუხლი 44

ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს თანაბრად აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ისარგებლოს საზოგადოებრივი მომსახურებით.

მუხლი 45

1. ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს საყოველთაო და თანაბარი ხმის უფლება. ეს უფლება ხორციელდება პირდაპირი საარჩევნო სისტემით, ფარული კენჭისყრით.

2. ხორვატიის რესპუბლიკის საბორისა და პრეზიდენტის არჩევნებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არჩევნების პერიოდში საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების ხმის უფლება მათი ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე ან კანონით გათვალისწინებული სხვა გზით.

მუხლი 46

ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისი პეტიციები და საჩივრები მთავრობას ან ხელისუფლების სხვა ორგანოსათვის წარდგენისა და პასუხის მიღების უფლება.

მუხლი 47

1. სამხედრო ვალდებულების მოხდა და ქვეყნის დაცვა საამისო უნარის მქონე ხორვატიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ვალია.

2. შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ვალდებულებაზე უარი დასაშვებია რელიგიური ან მორალური საფუძვლებით. ასეთი პირები მოვალენი არიან, შეასრულონ კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი.

3. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

მუხლი 48

1. საკუთრების უფლება უზრუნველყოფილია.

2. საკუთრების უფლება გულისხმობს ვალდებულებებსაც. მესაკუთრეებმა და საკუთრების მომხმარებლებმა ხელი უნდა შეუწყონ საყოველთაო კეთილდღეობას.

3. უცხოელს ქონების შეძენის უფლება აქვს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. მემკვიდრეობის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 49

1. ბაზრისა და მეწარმეობის თავისუფლება არის ხორვატიის რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის ბაზისი.

2. სახელმწიფომ ბაზარზე ყველა მეწარმე უნდა უზრუნველყოს თანაბარი იურიდიული სტატუსით. მონოპოლიზაციის ბოროტად გამოყენება აკრძალულია.

3. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ პროგრესს, სოციალურ კეთილდღეობას და უნდა იზრუნოს ეკონომიკის განვითარებაზე მის ყველა რეგიონში.

4. დაუშვებელია კაპიტალის ინვესტირებასთან დაკავშირებული უფლებების შემცირება კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტით.

5. უცხოელი ინვესტორები უზრუნველყოფილნი არიან მოგებისა და დაბანდებული კაპიტალის თავისუფალი ტრანსფერითა და რეპატრიაციით.

მუხლი 50

1. ხორვატიის რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების შეზღუდვა და საკუთრების ჩამორთმევა დაიშვება კანონით დადგენილ შემთხვევებში და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

2. მეწარმეობის თავისუფლება და საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფოს ინტერესებისა და უსაფრთხოების, ბუნების, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

მუხლი 51

1. ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივი ხარჯების ანაზღაურებაში მისი ეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

2. საგადასახადო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

მუხლი 52

1. ზღვა, სანაპირო ზოლი და კუნძულები, შიდა წყლები, საჰაერო სივრცე,

წიაღისეული სიმდიდრეები და სხვა ბუნებრივი რესურსები, ისევე როგორც მიწა, ტყეები, ფაუნა და ფლორა, ბუნების სხვა ნაწილი, უძრავი ქონება და განსაკუთრებული კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური ან ეკოლოგიური ფასეულობები სარგებლობენ ხორვატიის რესპუბლიკის სპეციალური დაცვით.

2. მათი გამოყენებისა და მოხმარების წესი და მათთვის მიყენებული ზიანისათვის კომპენსაცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 53

1. ხორვატიის ეროვნული ბანკი არის ხორვატიის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი.

2. ხორვატიის ეროვნული ბანკის სტატუსი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კანონით.

3. ხორვატიის ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და პასუხისმგებელია ხორვატიის საბორის წინაშე.

მუხლი 54

1. ყველას აქვს უფლება, იმუშაოს და ისარგებლოს შრომის თავისუფლებით.

2. ყველას აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს მისი პროფესია და საქმიანობა; ნებისმიერი სამსახური თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის.

მუხლი 55

1. ყველა მოსამსახურეს აქვს უფლება, მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება, რომელიც უზრუნველყოფს მისი და მისი ოჯახის ნორმალურ ცხოვრებას.

2. სამუშაო საათების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება კანონით.

3. ყველა მოსამსახურეს აქვს ყოველკვირეული დასვენების და ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულების უფლება. დაუშვებელია ამ უფლებათა შეზღუდვა.

4. მოსამსახურეებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საწარმოო საქმიანობის გადაწყვეტილებების მიღებაში, კანონის შესაბამისად.

მუხლი 56

1. მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვისა და სოციალური დაზღვევის უფლება რეგულირდება კანონით და კოლექტიური ხელშეკრულებით.

2. დედობასთან, ბავშვის დაბადებასთან და მზრუნველობასთან დაკავშირებული უფლებები რეგულირდება კანონით.

მუხლი 57

1. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დახმარებით სუსტები, არაფრის მქონენი და სხვა ადამიანები, რომლებსაც უმუშევრობის თუ უუნარობის გამო არ შეუძლიათ თავის რჩენა.

2. სახელმწიფო ზრუნავს ფიზიკურად უუნარო ადამიანებზე და ხელს უწყობს მათ დაბრუნებას სოციალურ გარემოში.

3. უცხო ქვეყნიდან ჰუმანიტარული დახმარებების მიღება არ შეიძლება აიკრძალოს.

მუხლი 58

ყველას აქვს უფლება, კანონის შესაბამისად იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე.

მუხლი 59

1. თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად ყველა მოსამსახურეს აქვს უფლება, ჩამოაყალიბოს პროფკავშირი, თავისუფლად გაერთიანდეს ან დატოვოს იგი.

2. პროფკავშირებს შეუძლიათ, შექმნან თავიანთი ფედერაციები და გაერთიანდნენ პროფკავშირების საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

3. შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში პროფკავშირების შექმნა შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

4. დამქირავებლებს უფლება აქვთ, ჩამოაყალიბონ ასოციაციები, თავისუფლად გაერთიანდნენ ან დატოვონ იგი.

მუხლი 60

1. გაფიცვის უფლება გარანტირებულია.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაფიცვის უფლება შეიძლება შეეზღუდოთ იმ პირებს, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და საჯარო სამსახურის შემადგენლობაში.

მუხლი 61

1. სახელმწიფო იცავს და ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

2. ქორწინება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, აგრეთვე არაკანონიერი ქორწინება რეგულირდება კანონით.

მუხლი 62

სახელმწიფო მფარველობს დედებს, ბავშვებს და ახალგაზრდებს, აგრეთვე ხელს უწყობს ნორმალური ცხოვრებისათვის სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, მატერიალური და სხვა პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 63

1. მშობელი მოვალეა აღზარდოს, არჩინოს და მისცეს განათლება თავის ბავშვს. მას აქვს უფლება, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები.

2. მშობელმა უნდა უზრუნველყოს შვილი საკუთარი პიროვნების სრული და თავისუფალი განვითარების უფლებით.

3. ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილ, აგრეთვე სოციალურად დაუცველ ბავშვებს, აქვთ სპეციალური ზრუნვის, განათლებისა და კეთილდღეობის უფლება.

4. შვილები მოვალენი არიან, სათანადოდ იზრუნონ ხანში შესულ და უუნარო მშობლებზე.

5. სახელმწიფო ზრუნავს მარტოხელა და ობოლ ბავშვებზე.

მუხლი 64

1. ბავშვებისა და უუნარო ადამიანების დაცვა ყველას მოვალეობაა.

2. ბავშვები არ შეიძლება მიღებულ იქნენ სამსახურში, სანამ არ მიაღწევენ კანონით გათვალისწინებულ ასაკს, აგრეთვე — იძულებულნი ან დაშვებულნი ჯანმრთელობისა და მორალისათვის საზიანო სამუშაოზე.

3. ახალგაზრდები, დედები და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები სამსახურში სარგებლობენ სპეციალური შეღავათებით.

მუხლი 65

1. დაწყებითი განათლება სავალდებულოა და მას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

2. საშუალო და უმაღლესი განათლება თანაბრად მისაწვდომია ყველასთვის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მუხლი 66

კერძო სკოლები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები შეიძლება გაიხსნას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 67

1. უნივერსიტეტების თვითმმართველობა გარანტირებულია.

2. უნივერსიტეტები ორგანიზაციული და სამუშაო საკითხების გადაწყვეტაში დამოუკიდებელნი არიან კანონის შესაბამისად.

მუხლი 68

1. სამეცნიერო, კულტურული და სახელოვნებო შემოქმედების თავისუფლება გარანტირებულია.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას.

3. სამეცნიერო, კულტურისა და ხელოვნების შემოქმედებით ნაწარმოებებს სახელმწიფო იცავს, როგორც ეროვნულ სულიერ ფასეულობებს.

4. სამეცნიერო, კულტურული, ხელოვნების, ინტელექტუალური და სხვა შემოქმედებითი საქმიანობიდან გამომდინარე, მორალური და მატერიალური უფლებების დაცვა გარანტირებულია.

5. სახელმწიფო ზრუნავს და ხელს უწყობს ფიზიკური მომზადებისა და სპორტის განვითარებას.

მუხლი 69

1. ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში.

2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.

3. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოს.

IV. სახელმწიფოს ორგანიზაცია

1. ხორვატიის საბორი

მუხლი 70

ხორვატიის საბორი წარმოადგენს ხორვატიის რესპუბლიკის ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც აღჭურვილია საკანონმდებლო ძალაუფლებით.

მუხლი 71

ხორვატიის საბორის დეპუტატთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 100 და არა უმეტეს 160 პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული დეპუტატისაგან.

მუხლი 72.

1. ხორვატიის საბორის დეპუტატები აირჩევიან 4 წლის ვადით.

2. საბორის წევრთა რაოდენობა, არჩევის პროცედურა და პირობები რეგულირდება კანონით.

მუხლი 73

1. ხორვატიის საბორის არჩევნები უნდა შედგეს არა უგვიანეს 60 დღისა

საბორის დაშლის ან დეპუტატთა მანდატის შეწყვეტის შემდეგ.

2. ხორვატიის საბორის პირველი სესია იკრიბება არჩევნების დასრულების შემდგომ არა უგვიანეს 20 დღისა.

3. საბორი ფორმირდება პირველ სესიაზე, რომელზეც დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით აირჩევა საბორის თავმჯდომარე.

მუხლი 74

1. საბორის წევრებს არ გააჩნიათ იმპერატიული მანდატი.

2. საბორის წევრთა ხელფასი და სხვა უფლებები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 75

1. ხორვატიის საბორის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით.

2. საბორის წევრს არ შეიძლება წაეყენოს ბრალდება, დაპატიმრებულ იქნეს ან მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში საბორში გამოთქმული მოსაზრებების ან ხმის მიცემისათვის.

3. საბორის წევრის დაპატიმრება ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მის წინააღმდეგ დაუშვებელია ხორვატიის საბორის თანხმობის გარეშე.

4. ხორვატიის საბორის თანხმობის გარეშე საბორის წევრის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის დანაშაული ითვალისწინებს ხუთი ან მეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამ შემთხვევაში, აუცილებელია ხორვატიის საბორის თავმჯდომარის საქმის კურსში ჩაყენება.

5. თუკი საბორი არ იმყოფება სესიაზე, საბორის წევრის დაპატიმრების ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების მხარდაჭერას და იმუნიტეტის მოხსნის საკითხს წყვეტს სამანდატო-საიმუნიტეტო კომიტეტი, საკითხის საბორის სხდომაზე შემდგომი განხილვის გათვალისწინებით.

მუხლი 76

საბორის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების კანონით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით ომის დროს ან კონსტიტუციის მე-17 და მე-100 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 77

1. ხორვატიის საბორის დათხოვა ვადამდელი არჩევნების ჩატარების მიზნით შესაძლებელია, თუ მას მხარს დაუჭერს საბორის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

2. ქვეყნის პრეზიდენტს, კონსტიტუციის 103-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს, დაითხოვოს ხორვატიის საბორი.

მუხლი 78

1. საბორის სესია მოიწვევა წელიწადში ორჯერ: პირველი სესიის პერიოდი განისაზღვრება 15 იანვრიდან 15 ივლისამდე, ხოლო მეორე სესიისა — 15 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე.

2. კანონით გათვალისწინებულია ხორვატიის საბორის საგანგებო სესიის მოწვევა ქვეყნის პრეზიდენტის, მთავრობის მოთხოვნის ან საბორის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ხორვატიის საბორის თავმჯდომარე უფლებამოსილია, საპარლამენტო პარტიების წევრების მიერ შემდგარ საბორის კლუბებთან კონსულტაციების შედეგად, მოიწვიოს საგანგებო სესია.

მუხლი 79

1. ხორვატიის საბორს ჰყავს თავმჯდომარე და ერთი ან მეტი თავმჯდომარის მოადგილე.

2. ხორვატიის საბორის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით.

3. რეგლამენტი მიიღება საბორის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 80

ხორვატიის საბორი:

— იღებს კონსტიტუციას და მასში შეაქვს ცვლილებები და დამატებები;

— იღებს კანონებს;

— იღებს სახელმწიფო ბიუჯეტს;

— აცხადებს ომსა და ზავს;

— იღებს ხორვატიის საბორის პოლიტიკის გამომხატველ დოკუმენტებს;

— შეიმუშავებს ხორვატიის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიას;

— ახორციელებს სამოქალაქო ცონტროლს შეიარაღებულ ძალებზე, აგრეთვე ხორვატიის რესპუბლიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

— იღებს გადაწყვეტილებას ხორვატიის რესპუბლიკის საზღვრების შეცვლაზე;

— აცხადებს რეფერენდუმს;

— კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად, ატარებს არჩევნებს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს;

— კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად, ახორციელებს ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების კონტროლს;

— აცხადებს საყოველთაო ამნისტიას;

— ახორციელებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს;

მუხლი 81

1. თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხორვატიის საბორი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხორვატიის საბორი ქმედუნარიანია, თუ სხდომას ესწრება საბორის წევრთა უმრავლესობა.

2. ხორვატიის საბორში კენჭისყრა პირდაპირია.

მუხლი 82

1. კანონი (ორგანული კანონი), რომელიც არეგულირებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, მიიღება ხორვატიის საბორის მიერ სრული შემადგენლობის 2/3-ით.

2. კანონი (ორგანული კანონი), რომელიც არეგულირებს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა და სხვა ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო, ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოთა სტრუქტურას და ორგანიზაციას, ხორეატიის საბორის მიერ მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

3. კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-8 მუხლთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები ხორვატიის საბორის მიერ მიიღება სრული შემადგენლობის 2/3-ით.

მუხლი 83

ხორვატიის საბორის სხდომები საჯაროა.

მუხლი 84

ხორვატიის საბორის წევრს, საბორის დეპუტატთა კლუბს, საბორის სხვა მოქმედ სტრუქტურულ დანაყოფებს და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 85

1. ხორვატიის საბორის წევრს უფლება აქვს, დაუსვას შეკითხვები, როგორც ერთიანად მთავრობას, აგრეთვე პირადად მინისტრებს.

2. ხორვატიის საბორის წევრთა ერთ მეათედს აქვს ინტერპელაციის უფლება მთლიანად მთავრობის ან მისი რომელიმე წევრის მოქმედებაზე.

3. შეკითხვებისა და ინტერპელაციის უფლება დეტალურად რეგულირდება რეგლამენტით.

მუხლი 86

1. ხორვატიის საბორი უფლებამოსილია, ჩაატაროს რეფერენდუმი კონსტიტუციაში შესწორების შეტანის, კანონპროექტებსა და სხვა საკითხებზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის ინიციატივის საფუძველზე და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით, უფლებამოსილია, დააყენოს საკითხი რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით ან ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან ნებისმიერ სხვა საკითხზე.

3. ხორვატიის რესპუბლიკის ამომრჩეველთა 10 პროცენტის მოთხოვნით, ხორვატიის საბორი ატარებს რეფერენდუმს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საკითხებთან დაკავშირებით.

4. ასეთ რეფერენდუმში გადაწყვეტილება მიიღება რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობით; რეფერენდუმი ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

5. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად.

6. სავალდებულოა რეფერენდუმზე მხარდაჭერილი კანონის მიღება.

მუხლი 87

1. ხორვატიის საბორს შეუძლია, არა უმეტეს ერთი წლის ვადით ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა აღჭურვოს ბრძანებულების გამოცემის უფლებით, მისი კომპეტენციის ფარგლებში გარკვეული საკითხების რეგულირებისათვის, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ეხება კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ეროვნულ უფლებებს, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციას, უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს და ადგილობრივ თვითმმართველობას.

2. მთავრობის მიერ მიღებულ ბრძანებულებებს უკუძალა არა აქვთ.

3. მთავრობის მიერ მიღებული ბრძანებულებები ძალას კარგავენ საბორის მიერ მთავრობის შესაბამისი უფლებით აღჭურვიდან ერთი წლის შემდეგ, თუ ხორვატიის საბორმა სხვა რამ არ დაადგინა.

მუხლი 88

1. რესპუბლიკის პრეზიდენტი აქვეყნებს კანონს ხორვატიის საბორის მიერ მისი მიღებიდან რვა დღის განმავლობაში.

2. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კანონი შეუსაბამობაშია კონსტიტუციასთან, მაშინ მას შუძლია, მიმართოს ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მუხლი 89

1. კანონები და კანონქვემდებარე აქტები ძალაში შესვლის წინ იბეჭდება რესპუბლიკის ოფიციალურ პრესაში ("narodni novine").

2. საჯარო სტრუქტურებში მიღებული აქტები, წესები თუ დადგენილებები ძალაში შესვლამდე აუცილებელად უნდა გამოქვეყნდეს კანონის შესაბამისად.

3. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-8 დღეს, თუ კანონით პირდაპირ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

4. კანონს და კანონქვემდებარე აქტს არა აქვს უკუძალა.

5. კანონის ცალკეულ დათქმებს უკუძალა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

მუხლი 90

1. სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტით.

2. კანონში, რომლის შემოღება მოითხოვს დაფინანსებას, აუცილებელია მიეთითოს დაფინანსების წყარო.

მუხლი 91

1. ხორვატიის საბორი უფლებამოსილია, შექმნას საგამოძიებო კომისიები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

2. საგამოძიებო კომისიების სტრუქტურა, კომპეტენცია და უფლებამოსილება უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან.

3. საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, ირჩევა ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან საბორის წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 92

1. სახალხო ომბუდსმენი, როგორც ხორვატიის საბორის რწმუნებული, იცავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ და კანონიერ უფლებებს სახელმწიფო და სახალხო უფლებამოსილებებით აღჭურვილ ორგანოებთან მიმართებაში.

2. სახალხო ომბუდსმენი აირჩევა საბორის მიერ რვა წლის ვადით.

3. სახალხო ომბუდსმენის და მისი მოადგილეების არჩევის წესი, ფუნქციები, უფლებამოსილება და მისი ადმინისტრაციის ფორმირების წესი განისაზღვრება კანონით.

4. სახალხო ომბუდსმენის ადმინისტრაციის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქალაქეთა კონსტიტუციური და კანონიერი უფლებების დაცვა თავდაცვის სამინისტროს, შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სამსახურების, ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან, აგრეთვე ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის უფლების დაცვა.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 93

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი წარმოადგენს ხორვატიის რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ და ჰარმონიულ ფუნქციონირებასა და სტაბილურობას.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკისრება ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.

მუხლი 94

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით.

2. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმათა უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ხელახალი არჩევნები იმართება 14 დღის შემდეგ.

4. ხელახალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ პირველ არჩევნებში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. თუ ერთ-ერთი მათგანი მოხსნის თავის კანდიდატურას, იმ კანდიდატს, რომელიც შემდეგია პირველ არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობით, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ხელახალ არჩევნებში.

5. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არა უადრეს 30 და არა უგვიანეს 60 დღისა.

6. თანამდებობის დაკავების წინ ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დებს კონსტიტუციის ერთგულების ფიცს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე.

7. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, ფიცი და მისი დადების წესი განსაზღვრულია კანონით.

მუხლი 95

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეწეოდეს რაიმე საჯარო ან პროფესიულ საქმიანობას.

2. არჩევნების შემდეგ ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია, გამოვიდეს საკუთარი პოლიტიკური პარტიის რიგებიდან და აცნობოს ამის თაობაზე საბორს.

მუხლი 96

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, ავადმყოფობის, არყოფნის ან ყოველწლიური შვებულების გამო, თავისი უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტს შეუძლია, დროებით ჩააბაროს თავისი უფლებამოსილება ხორვატიის რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარეს. უფლებამოსილების დაბრუნების საკითხს წყვეტს ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერ ახო-

რციელებს თავის უფლებამოსილებას ავადმყოფობის ან უუნარობის გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არ შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი დროებით შეცვლის შესახებ, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს ხორვატიის რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარე. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მთავრობის წინადადებით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, რომელიც უნდა დაადასტუროს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ და რის შესახებაც უნდა ეცნობოს ხორვატიის რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარეს, ან როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს მიზეზებს ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მანდატის შეწყვეტის შესახებ, კონსტიტუციის ძალით, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს ხორვატიის რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარე.

4. ხორვატიის რესპუბლიკის საბორის თავმჯდომარე, როგორც ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, ბრძანებულებას კანონის გამოქვეყნების შესახებ გამოსცემს ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, ახალი საპრეზიდენტო არჩევნები იმართება 60 დღის ვადაში დროებითი პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების დაწყების დღიდან.

მუხლი 97

ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი:

— ნიშნავს ხორვატიის რესპუბლიკის საბორის არჩევნებს და იწვევს პირველ სესიას;

— კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს რეფერენდუმს;

— მთავრობის ფორმირების მანდატს ანიჭებს პიროვნებას, რომელიც საბორში დეპუტატთა მანდატების განაწილების მიხედვით და კონსულტაციების შემდეგ იმსახურებს საბორის წევრთა უმრავლესობის ნდობას;

— გამოსცემს შეწყალების აქტს;

— ანიჭებს სახელმწიფო ორდენებს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ჯილდოებს;

— ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 98

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად განსაზღვრავს და ახორციელებს საგარეო პოლიტიკას.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით, აყალიბებს დიპლომატიურ კორპუსს და საკონსულო დაწესებულებებს საზღვარგარეთ.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის კონ-ტრასიგნებით, მთავრობის წინადადებისა და საბორის შესაბამისი კომიტეტის ინიციატივის საფუძველზე, ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

4. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციისა და გაწვევის სიგელებს.

მუხლი 99

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ხორვატიის რესპუბლიკის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, კანონის შესაბამისად, ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს სამხედრო ძალების მხედართმთავრებს.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხორვატიის რესპუბლიკის საბორის გადაწყვეტილების საფუძველზე, აცხადებს ომს და დებს ზავს.

4. სახელმწიფოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მოულოდნელი საფრთხის დროს, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, გასცეს ბრძანება შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი.

მუხლი 100

1. ომიანობის დროს ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხორვატიის საბორის მიერ აღჭურვილი უფლებამოსილების საფუძველზე და მის ფარგლებში, გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს. იმ შემთხვევაში, თუ საბორი არ იმყოფება სესიაზე, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, ომთან დაკავშირებული ყველა საკითხი დაარეგულიროს კანონის ძალის მქონე დეკრეტებით.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და არსებობის მიმართ უეცარი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, ან როდესაც სახელმწიფო ორგანოები რეგულარულად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, პრემიერ-მინისტრის წინადადებითა და კონტრასიგნებით, გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტი.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი წარუდგენს მის მიერ გამოცემულ კანონის ძალის მქონე დეკრეტს ხორვატიის საბორს დასამტკიცებლად საბორის შეკრებისთანავე.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ხორვატიის საბორს დასამტკიცებლად არ წარუდგენს დეკრეტს, ან თუ საბორმა უარი თქვა მის დამტკიცებაზე, მაშინ დეკრეტი კარგავს ძალას.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შედეგის დადგომის შემთხვევაში, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია, მოიწვიოს მთავრობის სხდომა და უხელმძღვანელოს მას.

მუხლი 101

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, შესთავაზოს მთავრობას სხდომის ჩატარება და აუცილებელი სადავო საკითხების განხილვა.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, დაესწროს მთავრობის სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა განხილვებში.

მუხლი 102

1. კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამშრომლობს მთავრობასთან უსაფრთხოების დაცვის საკითხებში.

2. უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ აქტის ხელმოწერა ხდება საბორის შესაბამისი კომიტეტისათვის გაცნობის შემდეგ ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მიერ.

მუხლი 103

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წინადადებით და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნებით, საბორის ფრაქციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ, უფლებამოსილია, დაითხოვოს საბორი, თუ მან უარყო მთავრობის წინადადება ნდობის გამოცხადების თაობაზე, ან არ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი წარდგენიდან 120 დღეში.

2. მთავრობის ინიციატივით საბორის დათხოვნა არ შეუძლია ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს, თუ კონსტიტუციის დარღვევისათვის აღძრულია საკითხი იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

მუხლი 104

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების პერიოდში კონსტიტუციის დარღვევისათვის.

2. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საკითხს აღძრავს ხორვატიის საბორი სრული შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოსამართლეთა სრული შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით.

4. საკონსტიტუციო სასამართლო ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საკითხს იხილავს მისი შეტანიდან 30 დღის ვადაში.

5. თუკი საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ქმედებაში კონსტიტუციის დარღვევა, კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტს უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 105

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს იცავს იმუნიტეტი.

2. არ შეიძლება ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაპატიმრება ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე

3. ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის დანაშაული ითვალისწინებს ხუთი წლით ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამ შემთხვევაში აუცილებელია სახელმწიფო ორგანომ, რომელმაც დააპატიმრა პრეზიდენტი, საქმის კურსში ჩააყენოს ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 106

1. პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში ეხმარება მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში დაუშვებელია უფლებამოსილებათა გადანაწილების პრინციპის დარღვევა.

2. საკონსულტაციო, საექსპერტო და სხვა საკითხები სრულდება ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურა და კომპეტენცია განისაზღვრება კანონითა და შიდაგანაწესით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 107

ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

მუხლი 108

1. ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისგან, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი მოადგილე და მინისტრებისაგან.

2. დაუშვებელია პრემიერ-მინისტრისა და კაბინეტის სხვა წევრების მიერ საჯარო ან პროფესიული უფლებამოსილების განხორციელება მთავრობასთან შეუთანხმებლად.

მუხლი 109

1. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილ პირს ევალება კაბინეტის წევრთა კანდიდატურების შეთავაზება.

2. კაბინეტის დაკომპლექტებისთანავე, მაგრამ რწმუნების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა, მანდატით აღჭურვილი პირი წარადგენს მთავრობის შემადგენლობას და მის პროგრამას ხორვატიის საბორში ნდობის მოსაპოვებლად.

3. მთავრობა შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას, თუ საბორში ნდობის მოპოვების საკითხს მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. პრემიერ-მინისტრი და მთავრობის სხვა წევრები დებენ ფიცს ხორვატიის საბორის წინაშე. ფიცის ტექსტი განისაზღვრება კანონით.

5. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ საბორის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხორვატიის საბორის თავმჯდომარის კონტრასიგნებით, გამოსცემს ბრძანებულებას პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე. ხოლო პრემიერ-მინისტრს, ხორვატიის საბორის თავმჯდომარის კონტრასიგნებით, გამოაქვს დადგენილება მთავრობის სხვა წევრების დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 110

1. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მანდატით აღჭურვილი პირი ვერ ასწრებს მთავრობის ფორმირებას მანდატის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, ეს ვადა გააგრძელოს კიდევ 30 დღით.

2. იმ შემთხვევაში, თუ მანდატით აღჭურვილი პირი ვერ ასწრებს მთავრობის ფორმირებას დამატებით ვადაშიც ან თუ ხორვატიის საბორმა ნდობა არ გამოუცხადა მთავრობას, პრეზიდენტი სხვა პირს აღჭურვავს მანდატით მთავრობის ფორმირებისთვის.

მუხლი 111

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ფორმირება არ მოხდა კონსტიტუციის 109-ე და 110-ე მუხლების შესაბამისად, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოიწვევს დროებით არაპარტიულ მთავრობას და ამავდროულად, დანიშნავს საბორის ვადამდელ არჩევნებს.

მუხლი 112

ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა:

- საბორს დასამტკიცებლად წარუდგენს საკანონმდებლო ან სხვა სახის აქტებს;
- საბორს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტს და

წლიურ ანგარიშს;

- უზრუნველყოფს საბორის მიერ მიღებული კანონების და სხვა გადაწყვეტილებების აღსრულებას;

— იღებს დადგენილებებს კანონის შესასრულებლად;

— უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას;

— ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაობას;

— ზრუნავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე;

— ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს საჯარო სამსახურის საქმიანობის სრულყოფას;

— ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 113

მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით და მისი რეგლამენტით.

მუხლი 114

1. მთავრობა ანგარიშვალდებულია ხორვატიის საბორის წინაშე.

2. პრემიერ-მინისტრი და კაბინეტის სხვა წევრები მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლები არიან გუნდური პრინციით, ხოლო პირადად — თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 115

1. პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ცალკეულ წევრთა ან მთლიანად მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხის დასმა ხდება საბორის წევრთა არანაკლებ საერთო რაოდენობის 1/5-ის ინიციატივით.

2. მთავრობის ნდობის საკითხის განხილვა საბორში შეიძლება შეთავაზებულ იქნეს პრემიერ-მინისტრის მიერ.

3. საბორში ნდობის საკითხის განხილვა და კენჭისყრა ხდება მისი შეტანიდან არა უადრეს 7 დღისა.

4. დაუშვებელია საბორში ნდობის საკითხის განხილვა და კენჭისყრა მისი შეტანიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

5. თუ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას მხარს არ დაუჭერს საბორის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა, საკითხი განიხილება მისთვის უნდობლობის გამოცხადებად.

6. იმ შემთხვევაში, თუ ხორვატიის რესპუბლიკის საბორმა უნდობლობა არ გამოუცხადა მთავრობას, საბორის იმ წევრებს, რომლებმაც დასვეს ეს საკითხი, უნდობლობის საკითხის დასმა ხელმეორედ შეუძლიათ მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ.

7. იმ შემთხვევაში, თუ საბორმა ნდობა არ გამოუცხადა პრემიერ-მინისტრს ან მთლიანად მთავრობას, შესაბამისად პრემიერ-მინისტრი და მთავრობა გადადგება. თუ ახალ მთავრობას 30 დღის ვადაში საბორი ნდობას არ გამოუცხადებს, ხორვატიის საბორის თავმჯდომარე ამის თაობაზე აცნობებს ხორვატიის რესპულიკის პრეზიდენტს, რის შემდეგაც პრეზიდენტი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას საბორის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

8. იმ შემთხვევაში, თუ საბრძმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობის ერთ-ერთ წევრს, პრემიერ-მინისტრი აყენებს ახალ კანდიდატურას ან მთავრობასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ.

9. პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის გადადგომის ყველა შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ამ მუხლის მე-7 პუნქტი.

მუხლი 116

1. სახელმწიფო ადმინისტრაციის სტრუქტურა, უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

2. სახელმწიფო ადმინისტრაციის გარკვეული უფლებამოსილებანი კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში უნაწილდებათ ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობის სტრუქტურებს.

3. თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება კანონით.

4. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 117

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სასამართლოების მიერ.

2. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი და ავტონომიურია.

3. სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

მუხლი 118

1. ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც იცავს მართლმსაჯულების განხორციელებას და უზრუნველყოფს სამართლიანობას.

2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის საბრძ ხორვატიის პრეზიდენტის წარდგინებით, უზენაესი სასამართლოს გენერალური სესიისა და ხორვატიის საბრძ შესაბამისი კომიტეტის აზრის გათვალისწინებით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ინიშნება 4 წლის ვადით.

3. სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება, სტრუქტურა, ორგანიზაცია და სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 119

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე და სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ ხორვატიის რესპუბლიკის სახელით.

2. საქმის ან მისი ნაწილის განხილვა დახურულ სხდომაზე დასაშვებია მორალის, საჯარო წესრიგის და სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე საქორწინო დავებზე, საქმეები მეურვეობასა და მზრუნველობაზე, შვილებასთან დაკავშირებით, სამხედრო, სახელმწიფო და ბიზნესის საიდუმლოებებთან დაკავშირებით, ხორვატიის რესპუბლიკის თავდაცვისათვის და უსაფრთხოებისათვის, რომელიც სასამართლოს აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 120

სპეციალისტები და ექსპერტები მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობენ კანონის შესაბამისად.

მუხლი 121

1. მოსამართლეები სარგებლობენ იმუნიტეტით კანონის შესაბამისად.

2. მოსამართლეებს და სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში, არ შეიძლება ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება მათ მიერ გამოთქმული აზრისთვის ან გადაწყვეტილებისთვის, თუ მათ მოქმედებაში არ არის კანონდარღვევა.

3. ეროვნული სასამართლო საბჭოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია მოსამართლის დაკავება ან დასტიმრება პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.

მუხლი 122

1. მოსამართლის თანამდებობა მუდმივია. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მოსამართლე პირველად ინიშნება თანამდებობაზე 5 წლის ვადით. მისი დანიშვნის განახლებისას იგი უფლებამოსილებას ახორციელებს, როგორც მუდმივი მოსამართლე.

2. მოსამართლე შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან:

— საკუთარი სურვილით;

— თუ ის გახდა ქმედუუნარო;

— თუ მის მიმართ წაყენებულია სისხლის სამართლის ბრალდება;

— კანონის შესაბამისად, დისციპლინის სერიოზული დარღვევისათვის ეროვნული სასამართლო საბჭოს გადაწყვეტილებით;

— 70 წლის მიღწევისას.

3. მოსამართლეს შეუძლია, გაასაჩივროს მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში უწყების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს „ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კონსტიტუციური აქტის შესაბამისად.

4. მოსამართლეს შეუძლია, გაასაჩივროს ეროვნული სასამართლო საბჭოს გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში უწყების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს „ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კონსტიტუციური აქტის შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანის დღიდან 30 დღის ვადაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

6. მოსამართლე არ შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვაგან, გარდა სასამართლოს გაუქმების ან რეორგანიზაციის შემთხვევებისა.

7. მოსამართლემ არ უნდა დაიკავოს მის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

მუხლი 123

1. მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული სასამართლო საბჭო, რომელიც აგრეთვე წყვეტს მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

2. მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლებისას ეროვნულმა სასამართლო საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ხორვატიის საბორის შესაბამისი კომიტეტის მოსაზრებანი.

3. ეროვნული სასამართლო საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომელთაც მოსამართლეების, ადვოკატებისა და უნივერსიტეტის პროფესორ-იურისტებისგან, კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს ხორვატიის საბორი. ეროვნული სასამართლო საბჭო უმეტესწილად დაკომპლექტებული უნდა იყოს მოსამართლეებით.

4. სასამართლოების თავმჯდომარეები არ შეიძლება არჩეულნი იყვნენ ეროვნული სასამართლოს საბჭოს წევრებად.

5. ეროვნული სასამართლო საბჭოს წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. ეროვნული სასამართლო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრების უმრავლესობით ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით.

7. ეროვნული სასამართლო საბჭოს იურისდიქცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

5. გენერალური პროკურატურა

მუხლი 124

1. გენერალური პროკურატურა არის ავტონომიური და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, გამოაცხადოს ძებნა დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირებზე, მიიღოს კანონიერი ზომები ხორვატიის რესპუბლიკის საკუთრების დასაცავად და უზრუნველყოს სამართლებრივი დახმარებით.

2. გენერალურ პროკურორს ნიშნავს ხორვატიის საბორი მთავრობის წარდგინებით და საბორის შესაბამისი კომიტეტის აზრის გათვალისწინებით 4 წლის ვადით.

3. გენერალური პროკურორის მოადგილეები თავდაპირველად ინიშნებიან 5 წლის ვადით. მათი ხელახლა დანიშვნის შემთხვევაში ისინი ინიშნებიან უვადოდ.

4. გენერალური პროკურორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, აგრეთვე, განიხილავს საკითხს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ გენერალური პროკურატურის ეროვნული საბჭო. გენერალური პროკურატურის ეროვნული საბჭო აირჩევა ხორვატიის საბორის მიერ კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. გენერალური პროკურატურის ეროვნული საბჭო უმეტესწილად უნდა დაკომპლექტდეს გენერალური პროკურორის მოადგილეებისაგან.

5. გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელი პირები არ შეიძლება, აირჩენ ეროვნული საბჭოს წევრებად.

6. გენერალური პროკურატურის ეროვნული საბჭოს უფლებამოსილებანი, ორგანიზება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

7. გენერალური პროკურატურის საშტატო განრიგი, ორგანიზაცია, უფლებამოსილებანი და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

V. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 125

1. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 13 მოსამართლისაგან, რომელთაც იურისტებისაგან, უმეტესწილად კი მოსამართლეებისაგან, აგრეთვე პროკურორების, ადვოკატებისა და უნივერსიტეტის პროფესორ-იურისტებისაგან ირჩევს ხორვატიის საბორი 8 წლის ვადით.

2. კანდიდატის შერჩევა და ხორვატიის საბორისათვის წარდგინება ხდება საბორის შესაბამისი კომიტეტის მიერ.

3. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 4 წლის ვადით.

მუხლი 126

1. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან.

2. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სარგებლობენ იმავე იმუნიტეტით, როგორც საბორის წევრები.

მუხლი 127

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაკავებული თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლდეს: პირადი განცხადებით, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ იგი მუდმივად ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს.

მუხლი 128

ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო:

— იღებს გადაწყვეტილებებს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებზე;

— იღებს გადაწყვეტილებებს სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან და კანონთან შესაბამისობის საკითხებზე;

— იღებს გადაწყვეტილებებს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე, რომელთაც დაკარგეს ძალა იმ შემთხვევაში, თუ ძალის დაკარგვის მომენტიდან სასამართლო საქმის წარმოების დაწყების შესახებ თხოვნის ან წინადადების დამტკიცებამდე არ გასულა ერთ წელზე მეტი.

— იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციურ საჩივრებზე სახელმწიფო ორგანოთა, ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოთა იმ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ისევე როგორც კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობაზე;

— უზრუნველყოფს კონსტიტუციურობასა და კანონიერებას, ხოლო არაკონსტიტუციურობისა და არაკანონიერების შემთხვევაში ატყობინებს ხორვატიის საბორს ამის თაობაზე;

— იხილავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ დავებს;

— კონსტიტუციის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებულ საკითხებზე;

— ამოწმებს პოლიტიკური პარტიების პროგრამებისა და საქმიანობის კონსტიტუციურობას და კონსტიტუციის შესაბამისად შეუძლია, უკანონოდ გამოაცხადოს მათი საქმიანობა;

— ამოწმებს არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობასა და კანონიერებას და იხილავს საარჩევნო დავებს;

— ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

მუხლი 129

თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ უფლებამოსილმა ორგანომ არ გამოსცა სამართლებრივი აქტი კონსტიტუციისა და კანონის შესრულების უზრუნველსაყოფად, იგი ამის თაობაზე აცნობებს მთავრობას, ხოლო შესაბამისად, თუ მთავრობამ არ გამოსცა სამართლებრივი აქტი, ამის თაობაზე ეცნობება ხორვატიის საბორს.

მუხლი 130

1. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს კანონს, თუ მიიჩნევს, რომ იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

2. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს ნებისმიერ სხვა ნორმატიულ აქტს, თუ მიიჩნევს, რომ იგი არაკონსტიტუციური ან არაკანონიერია.

3. კონსტიტუციის 128-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტი შეუსაბამობაშია კონსტიტუციასთან ან კანონთან, ძალაში შედის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურობაზე ან არაკანონიერებაზე.

მუხლი 131

1. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევის წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

2. კონსტიტუციური კანონი მიიღება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისათვის დადგენილი წესით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შიდა ორგანიზაცია განისაზღვრება მისი დებულებით.

VI. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა

მუხლი 132

1. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის უფლება გარანტირებულია.

2. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის უფლება ხორციელდება ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით, რომლის წევრები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი

და პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით.

3. მოქალაქეებს შეუძლიათ, კანონის შესაბამისად, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ საქმიანობაში რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

მუხლი 133

1. მუნიციპალიტეტები და ქალაქები წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის დანაყოფებს. მათი ტერიტორია განსაზღვრულია კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა დანაყოფები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონით.

2. რეგიონალური თვითმმართველობის დანაყოფებს წარმოადგენს ოლქები. ოლქების ტერიტორია განსაზღვრულია კანონით.

3. დედაქალაქი ზაგრები კანონით შეიძლება აღიჭურვოს ოლქის სტატუსით. ხორვატიის რესპუბლიკის დიდ ქალაქებს კანონით შეიძლება მიენიჭოთ ოლქის უფლებამოსილება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული დანაყოფები შეიძლება შეიქმნას კანონის შესაბამისად.

მუხლი 134

1. ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული დანაყოფები ახორციელებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს, კერძოდ, ტერიტორიულ და საქალაქო დაგეგმარებასთან, კომუნალურ მომსახურებასთან, სოციალურ უზრუნველყოფასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, განათლების სისტემასთან, კულტურასთან, ფიზიკურ მომზადებასა და სპორტთან, გარემოს დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს.

2. რეგიონალური თვითმმართველობის სტრუქტურული დანაყოფები ახორციელებენ რეგიონალური მნიშვნელობის საქმეებს, კერძოდ, განათლებასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, ტერიტორიულ და საქალაქო დაგეგმარებასთან, ეკონომიკის განვითარებასთან, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის, სოციალური და კულტურული ინსტიტუტების ქსელის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3. ადგილობრივი და რეგიონალური საკითხების იურისდიქცია განისაზღვრება კანონით. საკითხების გამოყოფის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ორგანოს, რომელიც უფრო ახლოა მოქალაქეებთან.

4. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის იურისდიქციის განსაზღვრისას ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული მხარისა და ბუნების საკითხებზე, ეფექტიანობის მოთხოვნასა და ეკონომიკაზე.

მუხლი 135

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის სტრუქტურულ ერთეულებს, კანონით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, უფლება აქვთ, თავიანთი ორგანოების შიდა ორგანიზაცია და იურისდიქცია დამოუკიდებლად დაარეგულირონ თავიანთი დებულებით.

მუხლი 136

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილების განხორციელებისას ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის სტრუქტურუ-

ლი ერთეულები არიან დამოუკიდებელნი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოს მიერ შემოწმებას ექვემდებარებიან მხოლოდ კონსტიტუციურობასა და კანონიერებასთან შესაბამისობაზე.

მუხლი 137

1. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილების განხორციელებისას, ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობის სტრუქტურულ ერთეულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ საკუთარი შემოსავალი და თავისუფლად განკარგონ იგი.

2. ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეულების შემოსავალი კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

3. სახელმწიფო კანონის შესაბამისად უნდა დაეხმაროს ფინანსურად სუსტ ადგილობრივ და რეგიონალურ თვითმმართველობის სტრუქტურულ ერთეულებს.

VII. საერთაშორისო ურთიერთობები

1. საერთაშორისო შეთანხმებები

მუხლი 138

საერთაშორისო შეთანხმებები დაიდება კონსტიტუციის, კანონისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. საერთაშორისო შეთანხმებებს, შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე, დებს ხორვატიის საბორი, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ან მთავრობა.

მუხლი 139

1. საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც გამოიწვევენ შიდა კანონმდებლობის შეცვლას, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებები სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებზე და საერთაშორისო ხელშეკრულებები ფინანსური ვალდებულებების დაკისრების შესახებ, რატიფიცირებული უნდა იქნეს ხორვატიის საბორის მიერ.

2. საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებითაც ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე, ძალაუფლება გადაეცემა საერთაშორისო ორგანიზაციებს ან კავშირებს, რატიფიცირებული უნდა იქნეს ხორვატიის საბორის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

3. ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს ხორვატიის საბორის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუქტების შესაბამისად რატიფიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებებს.

4. საერთაშორისო შეთანხმებებს, თუ მისი რატიფიცირება არ შედის ხორვატიის საბორის კომპეტენციაში, დებს ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით პრეზიდენტი ან თვითონ ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 140

კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდა კანონმდებლობასთან. საერთაშორისო შეთანხმებების დებულებების შეცვლა

ან გაუქმება დაიშვება მხოლოდ თვით ამ შეთანხმებით დადგენილი წესით ან საერთაშორისო სამართლით.

2. გაერთიანება და გამოყოფა

მუხლი 141

1. ხორვატიის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანების პროცედურის დაწყება შეუძლიათ ხორვატიის საბორის წევრთა არანაკლებ 1/3-ს, ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას.

2. აკრძალულია სხვა სახელმწიფოებთან ისეთი გაერთიანების პროცედურის ინიციატივა, რომელიც იწვევს ან მომავალში გამოიწვევს სამხრეთ სლავიის ან ბალკანეთის სახელმწიფოს ფორმირების რამენაირ განახლებას.

3. ხორვატიის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან ნებისმიერი გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება თავდაპირველად უნდა მიიღოს ხორვატიის საბორმა 2/3-ის უმრავლესობით.

4. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ხორვატიის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანებას, მიიღება რეფერენდუმით, სახელმწიფოს ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

5. ასეთი რეფერენდუმი უნდა გაიმართოს ხორვატიის საბორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში.

6. ამ მუხლის დებულებები, რომელიც ეხება გაერთიანებას, აგრეთვე ვრცელდება ხორვატიის რესპუბლიკის გამოყოფაზე.

VIII. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა

მუხლი 142

კონსტიტუციაში ცვლილებების კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ ხორვატიის საბორის წევრთა არანაკლებ 1/5-ს, პრეზიდენტსა და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 143

1. ხორვატიის საბორი, საბორის წევრთა უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას, დაიწყოს თუ არა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურა.

2. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხს ხორვატიის საბორი წყვეტს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 144

კონსტიტუციაში ცვლილებების კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ხორვატიის საბორის სრული შემადგენლობის 2/3.

მუხლი 145

კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კანონს აქვეყნებს ხორვატიის საბორი.

IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 146

კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის („ოფიციალური

მაცნე“ №28/2001) ძალაში შესვლით ხორვატიის საბორის სენატის უფლებამოსილება, აგრეთვე ეროვნული სასამართლოს საბჭოს თავმჯდომარისა და მისი წევრების უფლებამოსილება და ხორვატიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება.

მუხლი 147

ხორვატიის საბორი მიიღებს კონსტიტუციურ კანონს „ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარების შესახებ“.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები

წიგნი
I

გამოცემა მომზადდა შპს „ინტელექტი-2005“-ის მიერ
თბილისი, ჭოველიძის 2, ტ: 98 71 25
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა: საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”
თბილისი, ძმ. კაკაბაძეების 22, ტ: 99 70 94

თბილისი
2005